ა. ფარჯანაძე

საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და მათი ურთიერთდამოკიდებულება

თბილისი
2015

ნაშრომში, წერილობითი წყაროებისა და საარქივო მასალების საფუძველზე განხილულია როგორც ამიერკავკასიაში მდებარე სახელმწიფოების: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთს შორის, ადრეული საუკუნეებიდან დაწყებული დღევანდლამდე, ურთიერთ დამოკიდებულება, ასევე ამ სახელმწიფოების დამოკიდებულება კავკასიის ჩრდილოეთ მხარეში მდებარე რუსეთის სახელმწიფოსთან. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება XX–XXI საუკუნეებში ამიერკავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ. ძირითადათ გამოყენებულია ის მოპოვებული მასალები, რომლებიც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

რედაქტორი: ინგა ალიაშვილი

© ალექსი ფარჯანაძე, 2015
გამომცემლობა უსტარი, 2015

ISBN 978-9941-9396-8-6

წიგნი დაიბეჭდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იზიკრედ ჯორჯიას“ დაფინანსებით.

შესავალი

ფრანგი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ლ ე ო ნ ბ ლ უ მ ი (1872–1950) წერდა:

„აუცილებელია თქვა არა უბრალოდ სიმართლე, რაც პრინციპში არც თუ ისე რთულია, არამედ სრული სიმართლე, რაც გაცილებით უფრო ძნელია“.

* * * * * *

ჩვენმა სათაყვანებელმა დიდმა ქართველმა მწერლმა და პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ, ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა და ქართული კულტურის უდიდესმა მოამაგემ, რომელსაც ქართველმა ხალხმა „უგვირგვინო მეფე“ უწოდა, ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ (1837–1907), 1861 წელს წარმოსთქვა სიტყვები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნეობა. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცით და ჩვენკი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. (1, ტ.3, გვ.26).

ისტორიის შესახებ ილია აღნიშნავდა:

„არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“. (1, ტ.4, გვ.179).

ხოლო, დიდი ქართველი, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს და კავკასიის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (1876–1940) ქართველი ერის შესახებ წერდა:

„ხშირად ადამიანი ეხლა გაიგონებს, რომ ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი თავის ერს უუძველეს ერად სთვლის და აცხადებს ხოლმე. ეს წინადადება ამჟამად თითქმის მომაბეზრებელ ჰიპერბოლად იქცა, რომელსაც მსმენელნი უფრო მჭერმეტყველების სამკაულად სთვლიან, ვიდრე სინამდვილედ. მაინც თანამედროვე ერთა შორის იშვიათია ისეთი ერი, რომელსაც ქართველსავით უფლება ჰქონდეს თავის თანამოძმეების შესახებ ზემოაღნიშნული აზრი წარმოსთქვას“. (2, ტ.III, გვ.300).

აქ და შემდეგში პირველი ციფრით მითითებულია ლიტერატურის რიგითი მაჩვენებელი, შემდეგ – გამოცემის ცალკეული წიგნი და ნაშრომის გვერდი.

თავი პირველი. საქართველო უძველესი დროიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე. (მოკლე მიმოხილვა).

§I. არქეოლოგიური ხანები და არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში.

ი. ჯავახიშვილი 1908 წ-ს „ქართველი ერის ისტორიის" შესავალში აღნიშნავდა:

„საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მკაფიო სურათის აღდგენა ჯერჯერობით მხოლოდ I ს-იდან ქ. წ. შეიძლება. ამ ხანამდე ცნობების მეტისმეტი ნაკლებობისა და შემთხვევითობის წყალობით ამ ისტორიის მხოლოდ ზოგიერთი მომენტების გამორკვევაა შესაძლებელი. უფრო საგულისხმო შედეგებს გვაწვდის უცხო მწერალთა ცნობებისა და ლინგვისტიკური ანალიზის შედეგი ჩვენი ერისა და კავკასიის იმგვარადვე, როგორც მცირე აზიის ეთნოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემების გამოსარკვევად". (2, ტ.I, გვ.3).

„ერის ნივთიერი კულტურის შესასწავლად არქეოლოგიისა, ენათმეცნიერების და წერილობითი ძეგლებიდან ამოღებული ცნობებია საჭირო. ამ სამი წყაროს შედარებითი შესწავლა ისტორიკოსს ე. წ. ისტორიის უწინარესი ხანის ნივთიერი კულტურის სურათის აღდგენას შეაძლებინებს ხოლმე. არქეოლოგია, ვითარცა თავისი საკუთარი მეთოდების მქონე მეცნიერების დარგი, სათანადო სპეციალისტთა კვლევაძიების სარბიელს შეადგენს და ჩვეულებრივ ისტორიკოსი მისი მონაპოვარით სარგებლობს ხოლმე თვისი მიზნებისათვის. მაგრამ ასეთ ხელსაყრელ პირობებში ქართული ისტორიის მკვლევარი ჯერ არ ჩავარდნილა, რადგან კავკასიის არქეოლოგია თავის სპეციალურ საგნად ჯერ არავის აურჩევია და ყველა ის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც კავკასიის ნივთიერი კულტურის გასათვალისწინებლად უკვე არსებობს, სასხვათაშორისო კვლევაძიების შედეგს ნარმოადგენს და უფრო ზოგადი პრობლემებით დაინტერესებულ, მაგრამ თავისი კვლევაძიების მუდმივი ასპარეზით დაშორებულ გამოჩენილ მეცნიერთა მონაწილეობით არის შეძენილი. ამ გარემოების წყალობით კავკასიის არქეოლოგიურ შესწავლას სისტემური გეგმიანი მუშაობის თვისების მაგიერ შემთვევითი ხასიათი აქვს. აქამდე არ არსებობს საქართველოში დაწესებულება, რომელსაც გინდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მუდმივი, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა ჰქონდეს დავალებული. ჯერჯერობით არც ცალკეული მეცნიერი მოიპოვება, რომელსაც მიზნად იმ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ფაქტებისა და ძეგლების სპეციალური, მთელი სიერცესიღრმით შესწავლა მაინც დაესახოს, რომლებიც საქართველოს და მეზობელი რესპუბლიკების მუზეუმებში გათხრილობისა და შეგროვების წყალობით საკმაო რიცხვით და მრავალ-ფეროვანობით არის თავმოყრილი". (2, ტ.I, გვ.7).

ი. ჯავახიშვილის შემდეგ, საქართველოში არქეოლოგია თანდათან განვითარდა. საქართველოში ბევრ ადგილას არქეოლოგებმა დაიწყეს გათხრები და ენათმეცნიერებმა, ეთნოლოგებმა, ანთროპოლოგებმა, ისტორიკოსებმა და განსაკუთრებით ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, საქართველოს ისტორია შეცვალა და ზოგიერთი ადრინდელი, ძველად მიღებული შეხედულებები სულ სხვაგვარად წარმოგვიდგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიის მცოდნეობაში და ქართველოგიის განვითარებაში დიდი გავლენა მოახდინა პეტერბურგის უნივერსიტეტმა, სადაც მოღვაწეობდა ი. ჯავახიშვილი, რომელმაც ქართველოლოგიას და ქართული საისტორიო მეცნიერების შესწავლას შეიძლება ითქვას საფუძველი ჩაუყარა და მსოფლიო დონეზე აიყვანა.

დღევანდელ დღეს, მეცნიერების მიერ მიღებულია არქეოლოგიური დროის მონაკვეთები (ხანები): **პალეოლითის, ბრინჯაოს, რკინის ხანები** და თვითეულ მათგანში შემავალი კულტურები:

პალეოლითის (ქვის) **ეპოქა** – ადრეული დრო, ყველაზე ხანგრძლივი იყო ადამიანის განვითარების ისტორიაში და მოიცავდა რამდენიმე ასიათას წელს. ის 3 საფეხურისაგან შედგება: **ქვედა** (ადრინდელი ეპოქა), დაიწყო 2–2,5 – 300 000 მილიონი წლის წინათ; **შუა** (მეზოლითის ხანა) — 300–40 000 ათასი წლის წინათ და **ზედა** (გვიანდელი ეპოქა, ნეოლითის და ენეოლითის ხანები) – 40 000–8 000 ათასი წლის წინათ.

პალეოლითის ეპოქაში შევიდა შემდეგი კულტურები:

I. ქვედა ხანაში:

1. აბევილის კულტურა (ევროპაში);

2. ოლდოვაის (ადამიანის მსგავსი, ხმელეთის ორფეხა პრიმატები) კულტურა.

3. შელის კულტურა (708–300 ათასი წლის წინ. აფრიკაში, ევროპაში, სამხრეთ დასავლეთ და სამხრეთ აზიაში. ამ დროს მოსახლეობა იყენებდა ცეცხლს. ცხოვრობდა ღია ცის ქვეშ და გამოქვაბულებში. ეწეოდა შემგროვებლობას და ნადირობას).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შელის კულტურის 50-მდე ნამოსახლარია არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი.

4. აშელის კულტურა (400–100 ათასი წლის წინ. აფრიკაში, ევროპასა და სამხრეთ აზიაში. ამ დროს მოსახლეობა პირველყოფილი თემური წყობილების ადრეულ საფეხურზე იმყოფებოდა).

„კოლხეთი, რომელიც ძველი ქვის ხანის მთელ მანძილზე გამოირჩეოდა თავისი კლიმატური პირობებით, ყოველთვის იზიდავდა პალეოლითელ ადამიანს. აქ გამოვლენილი აშელური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოხუმთან აღმოჩენილი სოფ. იაშთხვას ღია სადგომი. ამ დროს ინტენსიურადაა ათვისებული სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი რეგიონები, მისი მთა და ბარი. მაღალმთიან ზოლში აღსანიშნავია შიდა ქართლში, ყვირილისა და ჯეჯორის სათავეებთან, კუდაროს და ნონას გამოქვაბულები. ფარავნის ტბასთან, ჯავახეთის პლატოზე აღმოჩნდა აშელური დროის სადგომი...

ბინადრობს ამ დროს ადამიანი იორ-ალაზნის ორმდინარეთშიც...

სამხრეთ კავკასიაში აშელის დროინდელი ადამიანის, არქანთროპის ნაშთები ორ ძეგლზე აღმოჩნდა: აზერბაიჯანში აზიხის გამოქვაბულში და შიდა ქართლში კუდარო I აშელურ დანალექებში“. (8, ტ.I, გვ.13).

5. მუსტიეს კულტურა (100–80 ათასი წლის წინ. ქვედა ხანის გვიანდელი დრო. ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში.). ამ დროს განეკუთვნება ნეანდერტალელები. ხდებოდა ქვის უფრო კარგად დამუშავება. ცხოვრობდნენ მღვიმეებში, ღია ცის ქვეშაც. ნადირობდნენ მღვიმის დათვებზე და მამონტებზე. ეწეოდნენ შემგროვებლობასაც. საქართველოში აღმოჩენილია მუსტიეს კულტურის 200-ზე მეტი ძეგლი, რომლებიც ძირითადათ მდებარეობენ რიონ-ყვირილის აუზში, ზემო იმერეთში და ისტორიულ შიდა ქართლის მიდამოებში. „მდ. ლიახვის, ფრონეს, ქსნის და მეჯუდის ხეობაში. ათვისებულია ამ დროს შიდა ქართლის მაღალმთიანი ზოლი, წონასა და კუდაროს ჯგუფის გამოქვაბულებში გვხვდება მუსტიეს ადამიანის ნაკვალევი...

მუსტიეს ხანაში საკმაოდ ინტენსიურად ჩანს დასახლებული ივრის ზეგანი, დავით გარეჯისა და შირაქის ველები. ათვისებულია ჯავახეთის მაღალმთიანი პლატო. ამ დროის ძეგლები გამოვლენილია ქვემო ქართლში.

ამრიგად, ქვედა პალეოლითში, აშელ-მუსტიეს ხანაში საქართველოს მინა-წყალი საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული“. (8, ტ.I, გვ.14).

6. ტამპანიის კულტურა (მალაიზიაში).

არქეოლოგიური ძეგლებიდან ჩანს, რომ მუსტიეს ხანის შემდეგ, დედამიწაზე მკვეთრად შეიცვალა კლიმატური პირობები და დაიწყო გამყინვარების ხანა. მოსახლეობა იძულებული გახდა საცხოვრებელი მოეძებნა თბილ ადგილებში. ეტყობა, რომ ამის გამო კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში მოსახლეობა საერთოდ გამქრალა, ხოლო კავკასიის სამხრეთ მხარეებში, მოსახლეობა მეტად შემცირებულა. ხოლო შავი ზღვისპირეთის, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი მხარე, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი და რიონ-ყვირილის მიდამოები, შედარებით მჭიდროთაა დასახლებული.

II. შუა ხანაში:

მეზოლითის ხანა (X–VI ათასი წლის წინ) – ეს არის დედამიწაზე გამყინვარების ბოლო დრო. ხმელეთზე თანდათან დამყარდა თანამედროვე ჰავა და წარმოიქმნა მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო. მეზოლითის ხანა დედამიწაზე დაიწყო სხვადასხვა დროს: ჩრდილოეთ მხარეებში – 6–5 ათასი წლის წინ, ევროპაში – 10–7 ათასი წლის წინ, ხოლო ახლო აღმოსავლეთში – 12–9 ათასი წლის წინ.

ამ დროს ადამიანი ეწეოდა ნახევარ ბინადარ ცხოვრებას. ადამიანმა დაიწყო ცხოველთა მოშინაურება. შედარებით განვითარდა სამეურნეო დარგი და მესაქონლეობა, ხოლო ნადირობა ნაკლებად ხდებოდა. მეზოლითის ხანაში შევიდა შემდეგი კულტურები:

1. ნატუფიის კულტურა. (ძვ. წ. X–VIII ათასწლეულში. პალესტინის, სირიის და სამხრეთ თურქეთის მხარეში. ამ დროს განვითარდა მარტივი მიწათმოქმედება);
2. აზილის კულტურა. (ძვ. წ. X–VIII ათასწლეულში. საფრანგეთსა და გერმანიის მიდამოებში);
3. კაფსის კულტურა (ძვ. წ. IX–V ათასწლეული. ჩრდ. აფრიკა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში).
4. მეზოლითის ხანაში „იწყება ამიერკავკასიის და საერთოდ კავკასიის ფართო ათვისების პროცესი. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საგრძნობლად იმატა მოსახლეობის რიცხვმა, რომელიც თანდათანობით ინტენსიურად სახლდებოდა კავკსიის ბარსა და მთაში. ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონი ისევ დასავლეთ ამიერკავკასიაა. სწორედ აქ გვხვდება მეზოლითური ხანის ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი“. (8, ტ.I, გვ.18).

III. ზედა ხანაში:

1. ორინიაკის კულტურა (დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. 33–15 ათას წლებში);
2. სოლუტრეს კულტურა (საფრანგეთსა და ესპანეთში. ძვ. წ. XVIII–XV ათას წლებში);
3. მადლენის კულტურა (ზედა პალეოლითის დასასრული. ძვ. წ. XV–VIII ათას წლებში).

ნეოლითის ხანა (ახალი ქვის საუკუნის ბოლო დრო). ნეოლითის ხანა დედამიწის მხარეებში მიმდინარეობდა სხვადასხვა დროს. ახლო აღმოსავლეთში ძვ. წ. VIII–VII ათასწლეულში, ევროპაში და აზიაში ძვ. წ. VI–III ათასწლეულში, ეგვიპტესა და ჩრდილოეთ აფრიკაში ძვ. წ. V–IV ათასწლეულში, კავკასიაში ძვ. წ. X–V ათასწლეულში. ხოლო საქართველოში ძვ. წ. X–IV ათასწლეულში.

ნეოლითის ხანას ეკუთვნის შემდეგი კულტურები:

1. ჰასუანის კულტურა. (ხმელთაშუაზღვისპირეთი. ძვ. წ. VIII–VI ათასწლეული);
2. თელ-სოტოს კულტურა. (ჰასუანის კულტურის დარჩენილი ნაწილი. ძვ. წ. VI ათასწლეული);
3. ჯეითუნის კულტურა. (შუა აზიის სამხრეთი. ძვ. წ. VI–V ათასწლეული);
4. იანშაოს კულტურა. (ჩინეთში. IV–III ათასწლეული) და სხვ.

ენეოლითის ხანა. (სპილენძის საუკუნე. ნეოლითიდან ბრინჯაოს საუკუნეზე გარდამავალი დრო. ძვ. წ. IV–III ათასწლეული). ამ დროს ჩნდება თვითნაბადი სპილენძის ცივი დამუშავების გზით დამზადებული სხვადასხვა იარაღები.

ენეოლითის ხანაში შემავალი კულტურებია:

1. აცტეკების და მაიას კულტურა. (ამერიკის სამხრეთ მხარეში);
2. ელ-ობეილის კულტურა. (ძვ. წ. VI–IV ათასწლეული. შუა აზია. ამ დროს ხდება ქალაქების წარმოქმნა და მიწის ირიგაცია);
3. ფაიუმის კულტურა. (ძვ. წ. V ათასწლეული. ეგვიპტე);
4. მაიკოპის კულტურა. (ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი. ჩრდილოეთ კავკასია);
5. შულავერ-შომუთეფეს კულტურა. (ძვ. წ. V–III ათასწლეული. საქართველო-აზერბაიჯანი) და სხვ.

ზედა პალეოლითის ხანაში ჩანს, რომ საქართველოში მოსახლეობა მომრავლებულა. როგორც ლიხსიქეთ, ასევე ლიხსაქეთ საქართველოში მრავლადაა მოპოვებული ნეოლითისა და ენეოლითის ძეგლები. კოლხეთში, რიონ-ყვირილის აუზში, სამხრეთ კოლხეთში – ადრენეოლითური ნამოსახლარი ანასეული I, ღია სადგომები და სხვ. ლიხსააქეთ საქართველოში შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, არაგვის ხეობაში და სხვ.

„საქართველოში ზედაპალეოლითური კულტურის ძეგლები ერთიანდება 3 დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფში: 1. ადრინდელი საფეხურის, 2. განვითარებული საფეხურისა და 3. გვიანდელი საფეხურის ძეგლები“. (10, ტ.7, გვ.647).

საქართველოს ზედა პალეოლითის ქრონოლოგიურ ჯგუფებში შესულია ძეგლები:

ადრეულ საფეხურს მიეკუთვნება – ხერგულის კლდე (სოფ. ვაჭევთან, ჭიათურის რ-ნი), თარო კლდე (სოფ. შუქრუთში, ჭიათურის რ-ნი), სვანთა სავანე (მდ-ბის ამტყელისა და ჯამპალის შესართავთან, გულრიფშის რ-ნი) და სხვ.

განვითარებული საფეხური – საგვარჯილე II (სოფ. ძევრთან, მდ. შავიწყლის ხეობაში, თერჯოლის რ-ნი), საკაჯიას მღვიმე (მდ. წყალწითელას ხეობაში, ქუთაისის რ-ნი), მღვიმევი (მდ. ყვირილას ნაპირზე, ჭიათურის რ-ნი), დევის ხვრელი (სოფ. ლაშესთან, მდ. ჩხერიმელის ნაპირას, ხარაგაულის რ-ნი), სამერცხლე კლდე (მდ. ჯრუჭულას ხეობაში, ჭიათურის რ-ნი) და სხვ.

გვიანი საფეხური – გვარჯილის კლდე (სოფ. რგანის მიდამოებში, ჭიათურის რ-ნი), ჭახათი (მდ. წყალწითელის ხეობაში, ქუთაისის მიდამოებში), ქვაჭარა (სოფ. ყადის მახლობლად, გულრიფშის რ-ნი), ნონა, ბუბას კლდე, (მდ. ყვირილას სათავესთან, ჯავის რ-ნი), ეძანი (წალკის რ-ნი), ზურტაკეტი (თრიალეთის ვაკეზე) და სხვ. (9, ტ.I, გვ.101).

ბრინჯაოს ხანა. (ბრინჯაოს გამოყენება საბრძოლო და სამუშაო იარაღებად. ძვ. წ. IV–I ათასწლეული).

„საქართველოში ბრინჯაოს ხანაში სამი პერიოდი გამოიყოფა: ადრე რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანამდე გაგრძელდა, შუა, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს მოიცავდა და გვიანი, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრება. ამ პერიოდის გარკვეულ საფეხურზე ჩნდება რკინის პირველი ნივთები. ამიტომ მას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანასაც უწოდებენ“. (8, ტ.I, გვ.41).

ბრინჯაოს ხანაში შედის შემდეგი კულტურები:

1. კეჩუას კულტურა. (სამხრეთ ამერიკა);
2. კრეტა-მიკენის კულტურა. (ძვ. წ. 2 800–1 100 ათასწლეული);
3. მტკვარ-არაქსის კულტურა. (ადრინდელი ხანა. გრძელდებოდა 1 000 წელი);

„ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა ვრცელდება... ამ დროს მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. საწარმოო ძალების საფუძვლიანმა შეცვლამ მეურნეობის დაწინაურებამ, ცხოვრების დონის ამაღლებამ, მოსახლეობის რიცხვის მნიშვნელოვან გაზრდას შეუწყო ხელი. ტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ფართოდ ითვისებენ თითქმის მთელ კავკასიას, გარდა მისი დასავლეთი ნაწილისა და სამხრეთითაც საკმაოდ შორს ვრცელდებიან. ამ კულტურის აღზევება ლითონის ინდუსტრიის მკვეთრმა აღმავლობამ განაპირობა....

ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოსათვის.... მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში სულ უფრო და უფრო ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება როგორც ბარში, ისე მთისწინეთში და მთაში. ამ კულტურის მატარებელი ტომები ინტენსიურად ითვისებენ ქვემო და შიდა ქართლს. იორ-ალაზნის ორმდინარეთს და მესხეთ-ჯავახეთს. იგივე პროცესი მიმდინარეობდა აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა მხარეებშიც....

ამ კულტურის ერთ-ერთი ლოკალური ვარიანტი აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შიდა ქართლში ჩამოყალიბდა. შიდა ქართლის ვარიანტი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. განსხვავებულია ამ დროის სოფელი, თავისებურია სამშენებლო საქმე, არქიტექტურა, საცხოვრებელი ტიპი...

შიდა ქართლიდან ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურა დასავლეთ საქართველოში. ყვირილის ხეობის ზემო წელი ამ კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა, სადაც გამოვლენილია ამ დროის ნამოსახლარები და სამაროვნებები....

მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა რიონის შუა წელი... მტკვარ-არაქსიის კულტურის დასავლეთ საქართველოში გავრცელების უკიდურესი საზღვარი სამტრედიამდე აღწევს. უფრო ღრმად კოლხეთის დაბლობზე ეს კულტურა აღარ გავრცელებულა. ჩანს, კოლხეთის სუბტროპიკული გარემო ნაკლებად იზიდავდა ამ კულტურის მატარებელ ტომებს“. (8, ტ. I, გვ.41–44).

4. თრიალეთის (შუა ხანა) კულტურა;

შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ჩანს, რომ საქართველოში ლიხსაქეთ და ლიხსიქეთ საქართველოში, შუა ბრინჯაოს ხანა, განსხვავებულად მიმდინარეობდა.

„აღმოსავლეთ საქართველოში შუა ბრინჯაოს დროს ორი პერიოდი გამოირჩევა – „ადრეყორღანული კულტურა“, რომელსაც „თრიალეთის კულტურა“ ენაცვლება. ამ დროს საგრძნობლად

„თხელდება“ მოსახლეობა ბარში, რომელიც ტოვებს ძველ დასახლებულ ადგილებს და საცხოვრებლად სხვა მხარეებს ითვისებს“. (8, ტ.I, გვ.55). თუ რატომ ხდებოდა ეს მოვლენა, ჯერჯერობით არ არის დადგენილი. „ადრეყორღანული კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძირითადად მოიცავდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებს. საქართველოს და აზერბაიჯანის გარკვეულ ოლქებს. უფრო სამხრეთით, არარატის ველზე იგი ნაკლებად იყო გავრცელებული. საქართველოში ადრეყორღანულ კულტურაში ორი ჯგუფის ყორღანები ვრცელდება – მარტყოფის და ბედენის“. (8, ტ.I, გვ.57).

„თრიალეთის კულტურა ძვ. წ. II ათასწლეულის თითქმის მთელ პირველ ნახევარს მოიცავდა. როგორც ჩანს, მისი წარმოქმნის ძირითადი კერა აღმოსავლეთ საქართველო, უფრო მისი სამხრეთი რეგიონები, მიმდგომი მხარეებით, უნდა ყოფილიყო. იგი აქ გავრცელებულ ადრეყორღანული კულტურის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო“. (8. ტ.I, გვ.61).

„თრიალეთის კულტურა თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა. ამ კულტურის საკმაოდ მძლავრი კერა მესხეთში აღმოჩნდა, არტაანის მტკვრის ხეობაში, ვარძიასთან, სოფ. ძველთან, ასპინძასთან და სხვ....

კარგადაა თრიალეთური კულტურა წარმოდგენილი შიდა ქართლში...

შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები გამოვლენილია დიდი მცხეთის ტერიტორიაზე – სამთავროს სამაროვანზე, ნატახტართან, წიწამურსა და მუხათგვერდში...

თრიალეთის კულტურა ვრცელდება ქვემო ქართლის სამხრეთით მიმდებარე ტაშირ-ძორაგეტის მხარეში, არარატის ველზე, ლორეს მხარეში, რომელიც ქვემო ქართლის პლატოს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს“. (8, ტ.I, გვ.67–68) და სხვა ადგილებში.

„დასავლეთ საქართველოში შუაბრინჯაოს ხანაში საზოგადოების სოციალურ ურთიერთობაში რაიმე საგრძნობი ძვრები არ შეინიშნება. შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ აქ სადღეისოდ სამარხეული ძეგლები ნაკლებადაა გამოვლენილი... როგორც ჩანს, შუა ბრინჯაოს ხანაში საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებში საზოგადოების განვითარების პროცესი სხვადასხვა გზით წარიმართა. ჩანს, გარემო პირობები ჯერ კიდევ გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობის ცხოვრების ხასიათზე“. (8. ტ.I, გვ.75).

5. ყობანის და ყაიაქენთ-ხოროჩოის კულტურტა. (ჩრდილოეთ კავკასია. გვიანი ხანა);

6. კოლხური კულტურა. (გვიანი ხანა. I ათასწლეულს განვითარების მაღალ დონეს მიაღწია).

„გვიანდელი ბრინჯაოს – ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. – I ათასწლ. I ნახ.) არქეოლოგიური კულტურა. გავრცელებულია ძვ. კოლხებისა და სხვა დასავლეთ ქართული ტომების (სასპერები, ტიბარენები, მაკრონები, მოსხები, მოსინიკები და სხვ.) მიწა-წყალზე (დასავლეთ საქართველოში მტკვრისა და ჭოროხის წყალგამყოფი მთიანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი ქ. ორდუმდე). უმთავრესად ცნობილია მაღალგანვითარებული ბრინჯაოს წარმოებით და მხატვრული ხელოსნობით...

კოლხური და მისი თანადროული აღმოსავლეთ ქართული კულტურის შეხვედრის ოლქებია მესხეთი და შიდა ქართლი, სადაც განძებსა და სამარხებში გვხვდება შერეული კომპლექსები. კოლხური ბრინჯაოს ცალკეული ნიმუშები აღმოჩნდა უფრო შორსაც (აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა, ცენტრალური ანატოლია). კოლხურ კულტურას უკავშირდება ყუბანური კულტურა“. (10, ტ.5, გვ.597–598).

რკინის ხანა. (ბრინჯაოს ცვლის რკინის გამოყენება. როდესაც დაიწყო რკინის გამოდნობა. ძვ. წ. II ათასწლეულიდან). მასში შედის სკვითების კულტურა და სარმატების კულტურა.

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ძეგლების თანახმად, დასტურდება, რომ კავკასიაში, რკინის ხანაში „რამდენიმე არქეოლოგიური კულტურა იყო: ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში – ყუბანისპირეთისა, ცენტრალურში – ყუბანისა და მის აღმოსავლეთით – ყაიაქენთ-ხოროჩოისა; ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში – კოლხური; აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ აზერბაიჯანსა და სომხეთის უდიდეს ნაწილში – ცენტრალური ამიერკავკასიური, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – თალიშისა.... რკინის ხანაში დაღესტნის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში არსებობდა სარმატულთან ახლოს მდგომი არქეოლოგიური კულტურა, ხოლო სამხრეთით

გავრცელებული იყო წინამორბედ კულტურასთან გენეტიკურად კავკასიაში მყოფი ე. წ. მუგერგანის არქეოლოგიური კულტურა...

რკინა-ფოლადის წარმოების დონისა და მაშტაბის მიხედვით, რკინის ხანა საქართველოს ტერიტორიაზე 2 ძირითად პერიოდად იყოფა: ადრინდელ რკინის ხანად და რკინის ფართოდ ათვისების ხანად. მცხეთის მასალების მიხედვით, რკინის ფართოდ ათვისების ხანაში 3 საფეხურის გამოყოფა ხერხდება... რკინის წარმოების უძველესი კერაა რკინის მადნებით მდიდარი ქვემო ქართლი. აქ აღმოჩენილი რკინის ნივთები ძვ. წ. XIV–XIII საუკუნეებით თარიღდება. ერთ-ერთი უძველესი კერა უნდა იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ შუაზღვისპირეთი, სადაც რკინის წარმოება მაგნეტიტის უხვად შემცველი ქვიშის ბაზაზე განვითარდა... აქ რკინის წარმოების რამდენიმე ცენტრია დადასტურებული: ჩოლოქის, სუფსა-ნატანებისა და ხობ-ოჩხამურის აუზებში...

ადიგენისა და ბორჯომის რაიონებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძვ. წ. XIII–XII საუკუნეებში რკინის წარმოება ზემო ქართლშიც ვითარდება. შიდა ქართლის სამხრეთ რაიონებში, თბილისისა და მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებზე დაყრდნობით, რკინის წარმოება არა უგვიანეს ძვ. წ. XII საუკუნეში ისახება". (10, ტ.8, გვ.409).

უნდა აღინიშნოს, რომ „თანამედროვე უცხოელი მეცნიერები მსოფლიო მეტალურგიის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უძველესი ქართველური მოდგმის ტომების როლს სხვადასხვა ლითონების წარმოებაათვისების საქმეში. ამიტომ ძნელია მოიძებნოს სამთამადნო წარმოების ისტორიისადმი მიძღვნილი ისეთი გამოკვლევა, სადაც ამის შესახებ არ იყოს რაიმე ნათქვამი. ისიც უნდა ითქვას, რომ წმინდა მეტალურგიული საკითხების გარდა, მათ ნაშრომებში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა ხალიბების, მოსინიკების, თუბალებისა და მოსხების ეთნიკური ვინაობის კვლევასაც.

ამრიგად, სასიამოვნო გარემოებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უცხოელ მეცნიერთა შორის დღესაც მტკიცდება დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ შავიზღვისპირეთი, კერძოდ კი პონტოს რაიონი, წარმოადგენს ზოგიერთი ფერადი და შავი ლითონების დამუშავების ეპიცენტრს, ხოლო ქართველური მოდგმის ტომები ხალიბები, მოსინიკები და თუბალები ამ მეტალების პირველწარმოებლები არიან მთელს მსოფლიოში". (48, გვ.77).

1948 წელს, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე სამსონ ფირცხალავა (1872–1952) წერდა:

„იყო დრო და არც ისე შორსაა ეს დრო, როცა სწავლულები კაცობრიობის თავგადასავალს საბერძნეთის და რომის ისტორიით იწყებდნენ.... და მთელი ცივილიზაცია ქვეყნიერებისა იხატებოდა როგორც მათი ნამოქმედებარი და შექმნილი. მაგრამ დაახლოებით 60–70 წ. წინად დაწყებულმა გათხრებმა წინაზიასა სხვადასხვა ადგილებში, გათხრებმა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ 25 წ. განმავლობაში და რომლისთვის ერთიმეორეს ეცილებოდნენ ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, ამერიკელი და სხვა არქეოლოგები, – სულ ერთიან გადაატრიალა არსებული ისტორიული შემეცნება". (14, გვ.5).

XIX–XXI საუკუნეებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლებით მტკიცდება, რომ საქართველოში ძველთაგანვე საცხოვრებლად ნორმალური პირობები ყოფილა, რადგან, აქ მყოფმა მოსახლეობამ, ჰომოსაპიენსიიდან (პირველყოფილ ორფეხა გამართულად მოსიარულე, თანამედროვე ადამიანის მსგავსი მაიმუნი) დაწყებული, გაიარა ზემოთ დასახელებული ყველა ხანები და კულტურები.

ცნობილია, რომ საქართველოში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო XIX საუკუნეში. ჩვენში, არქეოლოგიურ განვითარებას ხელი შეუწყო კავკასიის მუზეუმმა, რომელიც დაარსდა 1852 წელს თბილისში, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის გეოგრაფიულ განყოფილებასთან და იმ დროს ის წარმოადგენდა მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთ დაწესებულებას არა თუ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

„კავკასიის მუზეუმს გადაეცა 1879-81 არქეოლოგიურ გათხრებით მოპოვებული მასალა...

XX ს. დამდეგის არქეოლოგიურ შენაძენთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. ახალ გორის განძი და ურარტული ლურსმულწარწერიანი ქვების დიდი კოლექცია". (10, ტ.5, გვ.307).

ასევე საქართველოში არქეოლოგიის განვითარებას ხელი შეუწყო, ცნობილმა ისტორიკოსმა, არქეოლოგმა და ეთნოგრაფმა დიმიტრი ბაქრაძემ (1826–1890) მის მიერ 1873 წელს დაარსებულმა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ, რომელიც შემდეგში, მისივე თავჯდომარეობით 1881 წელს ჩამოყალიბდა „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება". მაგრამ, XIX საუკუნეში არქეოლოგიური გამოკვლევები საქართველოში მიმდინარეობდა ყოველი გეგმის გარეშე და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. „მიუხედავად არქეოლოგიური გათხრების მცირე მასშტაბისა, XIX ს-ნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები: სამთავროს სამაროვნისა და საჩხერის ყორღანული სამარხების გათხრები, ყაზბეგის განძის, ბორის სამაროვნის, ახალგორის განძის პოვნა და სხვ. გათხრებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად კავკასიის მუზეუმი არქეოლოგიურ ძეგლთა ერთ-ერთ უდიდეს საცავად იქცა". (10, ტ.1, გვ.596).

XX–XXI სს-ში საქართველოში არქეოლოგიური აღმოჩენები.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს თითქმის ყველა მხარეში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ისეთი ღირსშესანიშნავი ძეგლები, რომლებმაც მეცნიერებს საშუალება მისცა შეესწავლათ ქვის ხანიდან დაწყებული თვით ადამიანის, მისი კულტურისა და პალეოგარემოს განვითარების საკითხები, როგორც საქართველოში, ასევე კავკასიაში და მცირე (წინა) აზიაში.

როგორც არქეოლოგი და ისტორიკოსი ანდრია აფაქიძე (1914–2005) აღნიშნავდა: „ისტორიული წყაროები (მათ შორის არქეოლოგიური ძეგლებიც) მიუთითებენ, რომ ქართველმა ტომებმა, ერთ-ერთმა პირველებმა კავკასიის ხალხთა შორის, შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი – ქართლისა (იბერიის) და კოლხეთის სამეფოები.

ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენები ძვირფას მასალას გვაძლევს ქვეყნის კულტურისა და საერთოდ ისტორიის შესასწავლად... შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო არქეოლოგთა მუშაობამ, რომელიც 1937 წლიდან დაიწყო საქართველოს ძველი დედაქალაქის – მცხეთის ტერიტორიაზე, ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ხელმძღვანელეობით". (16. გვ.28).

„მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი განსაკუთრებით კარგად ასახავს აღმოსავლურ-ქართული სამეფოს ვითარებას ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან. ეს სწორედ ის დროა, როდესაც ამასთანავე ჩნდება წერილობითი ცნობები მცხეთის შესახებ. ეს ცნობები დაახლოებით იმგვარადვე გვისახავს იბერიის ქალაქებს, როგორადაც წარმოგვიდგება, მაგალითად, მცხეთა არქეოლოგიურ აღმოჩენათა სინათლეზე". (16. გვ. 33).

ამ ბოლო დროს (2000–2012 წლებში) საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, განსაკუთრებით გახშირდა საინტერესო და იშვიათი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენები, რომლებიც ტარდება სხვადასხვა დარგის უცხოელ მეცნიერებებთან ერთად. ამავე დროს უახლესი ტექნოლოგიისა, ტექნიკისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით ხდება, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ახალ-ახალი ძეგლების გამოკვლევები და მათი წლოვანების დადგენაც.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენათა რიცხვს ეკუთვნის, საქართველოს სამხრეთ მთიანეთში, **დმანისში** (1947 წლამდე ბაშკიჩეთი) არქეოლოგების მიერ გამოკვლეული ძეგლები.

როგორც ცნობილია, დმანისში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ჯერ კიდევ 1936 წელს და დღემდე გრძელდება. დმანისი, როგორც ქალაქი, პირველად წყაროებში მოხსენებულია IX საუკუნეში. მტერთა შემოსევების გამო, XVI საუკუნიდან ქალაქის სიძლიერე თანდათან დაეცა და საბოლოოდ, XVIII საუკნეში ქალაქი გაჩანაგდა და გაუკაცრიელდა. არქეოლოგიური „გათხრების შედეგად გამოვლინდა ქალაქის ჭიშკარი, მოკირწყლული ქუჩები, მდინარეზე გასასვლელი გვირაბი, ნასახლარები, სამეთუნეო, ზეთსახდელი და სხვ. სახელოსნოები, ქულბაქები, ბელელი, მარნები, აბანოები, მინარეთიანი მეჩეთისა და მედრესეს ნაშთები. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი IX–X

სს., განსაკუთრებით კი XI–XIII სს. ადგილობრივი კერამიკა. XI–XIII სს. მონეტები (უმეტესად ქართული), შრომისა და საბრძოლო იარაღი. XII–XIII სს. ოქროსა და ვერცხლის სამკაულის განძი და სხვ.". (10, ტ.3, გვ. 593).

1983 წელს დაარსდა დმანისის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალი. რომელიც 2006 წლიდან შევიდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში.

1984 წელს აქ აღმოჩნდა პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილი ქვის იარაღები.

1991 წლიდან ქართველებთან ერთად გათხრებს აწარმოებდნენ გერმანელი მეცნიერები, ხოლო შემდეგ შემოუერთდნენ საფრანგეთის, ესპანეთისა და აშშ-ის არქეოლოგები.

დმანისის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია მდინარეების ფინეზაურისა და მაშავერის შესართავთან კონცხზე მდებარე ნაქალაქარი, რომელსაც გარშემო ერტყა, ბაზალტის ქვით ნაგები, ნახევრად წრიული ბურჯებით (კონტრფორსებით) გამაგრებული მაღალი გალავანი, შუა საუკუნეების კოშკებიანი გალავნით გამაგრებული შიდა ციხე. ხოლო მის ქვემოთ დგას VI საუკუნის საკულტო ნაგებობა, სამეკლესიანი ბაზილიკა – „დმანისის სიონი". რომლისთვისაც XIII საუკუნის I მეოთხედში მიუშენებიათ ორნამენტებითა და წარწერებით შემკული შესანიშნავი კარიბჭე. აქვე დგას გვიანდელი ფეოდალური ხანის ეკლესია და სამრეკლო.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან დმანისის არქეოლოგიური ძეგლები შეიტანეს იუნესკოს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია. UNESCO) და მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

1991–2001 წლებში დმანისში აღმოჩნდა ჰომინიდის (ნამარხი უმაღლესი პრიმატები. ავსტრალიპითეკები და სხვ. რომლებიც ზოგიერთი მეცნიერის აზრით წარმოიშვა 4 მლნ. წლის წინ, ზოგიერთების ვარაუდით – დაახლ. 1 მლნ. წლის წინ) 5 თავის ქალა და ცხოველთა ნაშთები, რომლებიც დაახლოებით 1,8 მილიონი წლით თარიღდება. შემდეგში მათი გამოსახულება აღადგინეს და „მზია" და „ზეზვა" უწოდეს. ჰომინიდების ამდენი ნაშთების აღმოჩენა ერთად, ჯერჯერობით არსად არ მომხდარა. 2010 წელს კიდევ აღმოაჩინეს გოგონას ჩონჩხის ნაშთები და ცხოველთა კარგად შენახული თავის ქალები. ამ გოგონას მულიაჟი, „მზია" და „ზეზვა" თბილისის საოკუპაციო მუზეუმშია დაცული. ამ აღმოჩენებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან შეცვალა ადრინდელი მოსაზრება, აფრიკიდან ჰომინიდების განსახლების შესახებ. მაგრამ, ეს ჰომინიდები, რა გზით და როგორ მოხვდნენ საქართველოში, ჯერჯერობით გაურკვეველია.

ღირსშესანიშნავი არქეოლოგიური აღმოჩენები გამოვლინდა აგრეთვე, იმერეთის დაბლობზე მდ. სულორის (რიონის მარცხენა შენაკადი), ნაპირზე მდებარე **ქ. ვანის** მიდამოებშიც.

1947 წლიდან, ქ. ვანში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები.

ცნობილია, რომ ძვ. წ. III–I საუკუნეებში ქ. ვანი იყო კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ძლიერი და აყვავებული ქალაქი. ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ქალაქს, სადაც იმყოფებოდა მმართველი. ხოლო ძვ. წ. III საუკუნიდან, ის ხდება დიდი სატაძრო ქალაქი.

არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ძვ. წ. III საუკუნის ქალაქის გალავნის კედელი, მრგვალი ტაძარი, ხუროთმოძღვრული კარიბჭე, საკურთხეველი, სხვადასხვა მცირე ქანდაკებები, ნიღბები, ბერძნული და ადგილობრივი კერამიკა და სხვა. როგორც ცნობილია, ქალაქი ვანი განადგურდა ძვ. წ. I საუკუნეში.

1985 წლის 25 სექტემბერს ქ. ვანში გაიხსნა არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია 1985 წლიდან გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები. ხოლო, 1987 წელს ამავე მუზეუმში დაარსდა ოქროს ფონდი. სადაც ინახება არქეოლოგების მიერ ქ. ვანში და მის მიდამოებში მოპოვებული სხვადასხვა ოქრომჭედლობის ნაკეთობანი. ვანის ძეგლები თარიღდება ძვ. წ. VIII – ძვ. წ. I საუკუნის შუა წლებით. ქ. ვანში არქეოლოგიური გათხრები გრძელდება.

არქეოლოგებმა წყალტუბოს მიდამოებში, სოფ. ყუმისთავთან მდებარე **სანურბლიას გამოქვაბულში** გამოავლინეს უძველესი ადამიანის საცხოვრებელი ადგილი.

1975 წელს წყალტუბოში, აღმოაჩინეს სანურბლიას გამოქვაბული, რომლის გათხრები დაიწყო 1978 წელს. 2008 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და დუბლინის ტრინიტის კოლეჯის საერთაშორისო ექსპედიციამ გააფართოვეს ღვიმის შესასვლელი და დაიწყეს გაწმენდა. 2012 წელს სანურბლიას მღვიმეში აღმოჩნდა სამი საცხოვრებელი ადგილი და სხვადასხვა ქვისა და ძვლის იარაღები, სამკაულები, გულსამკაულები და სხვ. მეცნიერთა ვარაუდით აღმოჩენა, დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 17 000 წელს ეკუთვნის.

სანურბლიას აღმოჩენა ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ პირველად ამიერკავკასიაში გამოვლინდა ზედა პალეოლითის ხანის ჰომო საპიენსის (საზრიანი ადამიანი. თანამედროვე ადამიანის მსგავსი სახეობა) საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი ერთსა და იმავე გამოქვაბულში, გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა.

1984 წლის 15 ივლისს, საქართველოს გეოგრაფიის სპელეოლოგიური ექსპედიციის ნევრებმა აღმოაჩინეს სოფ. ყუმისთავთან, მდ. ყუმის აუზში, მდებარე კარსტული ღვიმე „წყალტუბო", შემდეგში ენოდა „პრომეთეს მღვიმე". რომელიც წარმოადგენს მოცულობით, ერთ-ერთ დიდ მღვიმეს. ზღვის დონიდან 100 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს და ჯერჯერობით გამოვლენილია ერთმანეთისაგან განსხვავებული ულამაზესი 16 დარბაზი. ღვიმეში შესასვლელიდან 60 მ-ის დაშორებით არის სიფონური ტბა, საიდანაც გამოედინება მდ. ყუმისთავი. მღვიმე წარმოქმნილია ქვედაცარცულ კირქვებში და მასში გვხვდება თითქმის ყველა მინისქვეშა ულამაზესი კარსტული სახეობები: სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კალციტის ნაღვენთები განუმეორებელი სახით, გაქვავებული ჩანჩქერები, მინის ქვეშა ტბები და სხვ.

1969 წელს წყალტუბოში გაიხსნა არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია 31 819 ექსპონატები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს მდგომარეობას პალეოლითის ხანიდან დაწყებული, გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით.

წყალტუბოს მიდამოებში დგას ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები: განვითარებული შუა საუკუნეების, რუხი თლილი ქვით მოპირკეთებული სამნავიანი **დერჩის ეკლესია**, რომლის კედლებზე შემორჩენილია XVII საუკუნის ფრესკული მხატვრობა; ფეოდალური ხანის საერო არქიტექტურული ძეგლი – გეგუთის სასახლე და შუა საუკუნეების ხომულის ციხე-სიმაგრე, წყალტუბოს მიდამოებშია კარსტული ხომულის მღვიმე და სოფ. ბანოჯაშის მახლობლად მდებარე კარსტული მღვიმე და სათაფლიის ნაკრძალი.

საქრთველოში, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მხარეა ზემო იმერეთი. ამ კარსტულ მხარეში მდებარეობს ბუნებრივი და ნახევრად ხელოვნური მღვიმეები და გამოქვაბულები, სადაც მეცნიერთა აზრით შემორჩენილია უძველესი დროიდან დაწყებული ყველა ეპოქის ისტორიული და არქეოლოგიური ე. წ. ფენები. ამიტომაც, სწორედ აქედან, იმერეთიდან, რიონ-ყვირილის აუზიდან, დაიწყეს არქეოლოგებმა აქ მდებარე მღვიმეების გამოკვლევები.

ჭიათურის ზეგანზე, სოფ. ზოდის მიდამოებში (ჭიათურის მუნიციპალიტეტი), მდ. ღრუჭულის ხეობის მარჯვენა ნაპირზე, 1962 წელს აღმოაჩინეს პალეოლითური დროის კარსტული მღვიმე **სამგლე კლდე**, რომელიც 2 დარბაზისაგან შედგება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა შუა მუსტიეს ხანის, ნეანდერტალური ადამიანის დროებითი ნასახლარის ძეგლები: მღვიმის დათვის, ბიზონის, შვლის, ირმის, გიგანტური ირმის, ჯიხვის ძვლები და სხვადასხვა დანები, საფხეკები და სხვ. ეს მასალები ცხადყოფენ, რომ საქართველოში ნეანდერტალული ადამიანი არსებობდა. ამავე ხეობაში, 1959 წელს აღმოჩნდა ნეოლითისა და ადრინდელი ბრინჯაოს ძეგლი – **სამელე კლდე**, რომელიც ადრინდელ სამინათმოქმედო კულტურულ ძეგლს წარმოადგენს. 1962 წელს, ამავე ხეობაში, სოფ. ზოდსა და სოფ. დარკვეთს შორის, აღმოაჩინეს კარსტული მღვიმე – **სამერცხლე კლდე**, გამოვლენილი მასალების თანახმად, განეკუთვნება ენეოლით-ადრინდელ ბრინჯაოს ხანას.

XIX საუკუნის 70-იან წლებში, ჭიათურის ზეგანზე მდებარე სოფ. **რგანში**, არქეოლოგებმა მდ. ჭერულას ხეობაში, „გვარჯილას კლდე" გამოქვაბულში აღმოაჩინეს პირველყოფილი ადამიანის ნასახლარები, ადამიანისა და მღვიმის დათვის ძვლების ნაწილები, სხვადასხვა იარაღები, ძვლების მახათები, ქვისა და კაჟის ნივთები, რომლებიც მოთავსებულია ქ. ჭიათურის III საშ. სკოლის მუზეუმში.

ამავე სოფ. რგანის მიდამოებში, „ორთვალა კლდის“ გამოქვაბულშიც, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძველი ადამიანის საცხოვრებელი და სხვადასხვა იარაღები, რომლებმაც საზღვარგარეთის არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო.

ზემოთ მოხსენებული მღვიმეების გარდა, სოფ. რგანის მიდამოებში აღსანიშნავია შემდეგი მღვიმეები: „რგანის კლდე“, „ბნელი კლდე“, „საქაჯი კლდე“, „საძროხიას“, „ჩელტის თავის“, „ფირანას ჭა“, „ფიცის კლდის ჭა“, „ღამე კლდის I“ და „ღამე კლდის II“.

სოფ. რგანში დგას XI–XIII საუკუნის ნმ. გიორგის ეკლესია, სადაც ამოტვიფრულია ლაპიდანური ნარწერა.

1926 წელს ქართული არქეოლოგიის ფუძემდებელმა გ ი ო რ გ ი ნ ი ო რ ა ძ ე მ (1886–1951) ქუთაისის მაზრაში (დღევანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) შემავალი მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფ. ლაშესთან, **ხანდების კლდეში**, აღმოაჩინა ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის მღვიმე-ნამოსახლარი, მღვიმე – „დევისხვრელი“. „დევის ხვრელში“ გათხრების შედეგად აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის იარაღები, ხელსაწყოები და რაც ყველაზე უფრო საყურადღებო იყო, თანამედროვე მსგავსი ადამიანის ქვედა ყბის ნაწილი. (1926–1931) წლებში გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალით, მეცნიერებმა მიაკუთვნეს ორინიაკის და კაფსის კულტურებს. შემდეგში ზოგმა მეცნიერმა, „დევის ხვრელი“-ს აღმოჩენები მიაკუთვნა ამიერკავკასიის ზედა პალეოლითური კულტურის მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფს.

1934 წელს არქეოლოგმა ს ე რ გ ე ი ზ ა მ ი ა ტ ი ნ მ ა (1899–1958) მდ. ყვირილას ხეობის მარჯვენა მიდამოებში აღმოაჩინა კარსტული **ღვიმე მღვიმევი**, რომელიც წარმოადგენს ზედა პალეოლითურ ძეგლს. 1944 წელს გათხრების შედეგად მასში გამოვლინდა ძველი ქვის ხანის (ზედა პალეოლითის) ადამიანის მატერიალური კულტურის ნაშთები: ქვის, კაჟის, გრავეტის მაგვარი დანები, საფხეკები, საჭრისები, ობსიდიანის ძვლის შუბის წვერები და ირმის რქის იარაღები და სხვ. აღმოჩნდა აგრეთვე ისეთი ცხოველთა ძვლები, რომლებიც, როგორც ჩანს, ადრე, ჩვ. წ.-მდე პრეისტორიული სახეობები ბინადრობდნენ კავკასიაში და საქართველოშიც: მღვიმის დათვის (გადაშენდა დახლ. 15 000 წლის წინ), მღვიმის ლომის (გადაშენდა დაახლ. 10 000 წლის წინ), პირველყოფილი ხარის (დომბა), პირველყოფილი ცხენის, კავკასიური ჯიხვის, გარეული ცხვრის და სხვ.

მღვიმევი შედგება 2 სართულისაგან და წარმოადგენს კლდოვან ფარდულებს და ეხებიებს (მცირე ზომის კარსტული მღვიმე ან გამოქვაბული თაღოვანი ჭერით). №5 ეხის კედელზე შემორჩენილია პირველყოფილი ადამიანის მიერ შესრულებული, კედელში ამოკვეთილი ხაზოვან-გეომეტრული გამოსახულებები.

სოფ. მღვიმევის მიდამოებში აღმოჩენილია კიდევ კარსტული ღვიმეები: **„ძუძუანას ღვიმე“** და **„ქიათურა 100“**. სოფ. მღვიმევის ახლოს, მდ. ყვირილის ხეობაში დგას XIII საუკუნის სამონასტრო კომპლექსი – **„დედათა მონასტერი“**, რომლის ქვეშ გაყვანილია ხელოვნური გრძელი გვირაბი. ეკლესიაში შემონახულია ფრესკული მხატვრობა. მონასტრის ახლოს მდებარეობს, XIII–XIV საუკუნის, ნახევრად კლდეში გამოკვეთილი მცირე ზომის ეკლესია და ორსართულიანი სამრეკლო.

მღვიმე **„ქიათურა 100“** აღმოაჩინა ადგილობრივმა მცხოვრებმა. ის 1980 წელს შეისწავლა საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოექსპედიციამ. მასში მოხვედრისათვის საჭიროა სპელეოლოგიური იარაღები. მღვიმეში არის სტალაქტიტ-სტალაგმიტები, კალციტის უბნები, სხვადასხვა ქიმიური ნალექები და სხვ. მღვიმე ჯერჯერობით მოუწყობელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში გამოვლენილია მრავალი მღვიმეები (დაახლ. 3 000-ზე მეტი). ხოლო, საქართველოს სხვა მხარეთა შორის, უაღრესად საყურადღებოა ქიათურის მიდამოებში აღმოჩენილი ულამაზესი კარსტული მღვიმე-გამოქვაბულები და მიუვალ ციცაბო კლდეებზე ამოკვეთილი მრავალი გამოქვაბული. ამ გამოქვაბულებს შორის, აღსანიშნავია სოფ. მღვიმევის მახლობლად, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე მდებარე, ე. წ. **„ძუძუანას მღვიმე“**, რომელიც წარმოადგენს მრავალფენიან მღვიმეს, სადაც აღმოჩნდა ზედა პალეოლითის დროიდან დაწყებული ადრინდელ ბრინჯაოს ხანამდე სხვადასხვა ძეგლები.

„ეს მღვიმე ძალიან საინტერესოა... ძუძუანის მღვიმეში დადასტურდა იმდროინდელი ადამიანის ცხოვრების სამი პერიოდი: დაწყებული 11 000 წლიდან, ვიდრე 13 000 წლამდე; შემდეგი – 20 000–26 000 წლამდე და 27 000–32 000 წლამდე". (73).

ძუძუანას ორსართულიანი მღვიმე-ნამოსახლარში, რომელიც არქეოლოგებმა 1966 წელს აღმოაჩინეს, 1975 წლამდე მიმდინარეობდა მუშაობა. 1983 წელს ისევ განახლდა მუშაობა. გათხრებში მონაწილეობას ღებულობდნენ საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციები, ამერიკის, ჰარვარდისა და ისრაელის უნივერსიტეტის მეცნიერები.

1996 წელს აღმოჩნდა პალეოლითერი ადამიანის ნამოსახლარი, კაჟისა და ობსიდიანის იარაღები, ცხოველთა ძვლები, თიხის ჭურჭლები და სხვ. მოპოვებულია აგრეთვე ზედა პალეოლითური დროის ფაუნის ნაშთები: მღვიმური დათვის, მურა დათვის, გარეული ცხენის, ბიზონის, ჯიხვის და სხვა. მოპოვებულ მასალებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2007 წელს გამოკვლეული და 2009 წელს აღიარებული ადრეული ზედაპალეოლითური დროის (დაახლ. 34 000 წლის) დროის ველური სელის ძაფის გრეხილი ბოჭკო, რომელიც მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო.

„დღემდე ითვლებოდა, რომ ყველაზე ძველი ძაფი, ჭინჭრისაგან დამზადებული, აღმოჩენილი იყო დოლნიეესტონიცაში, ჩეხეთში (ძვ. წ. 29 000 წ.). დღეს კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურაში აღმოჩენილი სელის ძაფი, პრეისტორიული ხანის უძველესი ძაფია მთელ მსოფლიოში. ძუძუანას გამოქვაბულში 1500-მდე სელისა და შალის ძაფის ბოჭკოა აღმოჩენილი. კვლევა გამოქვაბულში დღესაც გრძელდება". (71).

ჭიათურის ზეგანზე, მდ. საძალისხევის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფ. სვერის მიდამოებშიც გამოვლენილია არაერთი მღვიმე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მღვიმე, რომელიც 1960-იან წლებში კოტე ცუცქირიძემ აღმოაჩინა და რომელსაც მის საპატივსაცემოდ **„კოტიას კლდე"** უწოდეს. ამ მღვიმედან ამოღებული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცა.

2002 წლიდან არქეოლოგებმა დაიწყეს კოტიას კლდის მღვიმეში მუშაობა და 2004 წლის 4 აგვისტოს ქართველმა და უცხოელმა „ექსპედიციის წევრებმა პირველად კავკასიის არქეოლოგიის ისტორიაში პალეოლითელი ადამიანის მთლიანი ჩონჩხი აღმოაჩინეს, რომელსაც კ. ცუცქირიძის საპატივსაცემოდ სახელი კოტე დაარქვეს. ჩონჩხის ასაკად არქეოლოგები 11 500 წელს ასახელებენ". (74). ამის გარდა მღვიმეში აღმოჩნდა იმ დროინდელი ადამიანის შრომის იარაღები, თიხის ქალის ქანდაკება და სხვა. „2004 წელს კოტიას კლდის მღვიმეში აღმოჩენილმა პალეოლითელი ხანის ადამიანის სამარხმა სახელი გაუთქვა ამ არქეოლოგიურ ძეგლს და მეცნიერებს იმედი გაუჩნდათ, რომ მღვიმეში ბევრ სხვა ისეთ საინტერესო ნივთიერ მასალას აღმოაჩენენ, რომელიც არა მარტო სოფელ სვერის და ზემო იმერეთის ისტორიას, არამედ საქართველოს ისტორიასაც გაამდიდრებს". (74).

„კოტიას მღვიმე" წარმოადგენს კარსტულ მღვიმეს. მასში არის წყალქვეშა მდინარე, მოზრდილი დარბაზები, სტალაქტიტები და სტალაგმიტები.

არქეოლოგებმა, მეორე ძველი ადამიანის მთლიანი ჩონჩხი, აღმოაჩინეს შრილანკაში „ფახანის" გამოქვაბულში. რომელიც, მეცნიერთა ვარაუდით ეს უძველესი ადამიანი, 37 000 წლის წინ ცხოვრობდა აზიაში. ჯერჯერობით, მსოფლიოში, ამ უძველესი ადამიანის მთლიანი ჩონჩხის პირველი აღმოჩენაა.

არქეოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესო მხარეა ბორჯომის ხეობაც. როგორც ცნობილია, ბორჯომის ხეობაში XX საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევები. 1911 წელს პირველად, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე სოფ. რველთან, მდ. ბანისხევის შესართავთან, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სამარხები, საიდანაც ამოღებული ნივთები მეცნიერთა თქმით მიეკუთვნება ძვ. წ. XVI საუკუნეს.

შემდგომ წლებში, ბორჯომის ხეობაში და თვითონ ქ. ბორჯომშიც, არქეოლოგებმა გამოავლინეს არაერთი ძეგლი. მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ ბორჯომის ხეობაში ადრინდელ

მცხოვრებთ, ჰქონიათ განვითარებული როგორც მიწათმოქმედება, ასევე მესაქონლეობაც, სალითონო და სათუნუქო წარმოებაც და კულტმსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის 18 სექტემბერიდან დაწყებული „თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის" 1768 კმ-იანი სიგრძის მილსადენის გაყვანის დროს, ბორჯომის ხეობის მიდამოებში გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა ხანგრძლივობა ეკუთვნის პალეოლითის ხანიდან დაწყებული გვიან შუა საუკუნემდე.

ბორჯომის ხეობაში მდებარე სოფლებში: **მოლითში, საკირეში და ტაძრისში** გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ, რომ ბორჯომის ხეობაში ადამიანს დაუწყია ცხოვრება ჯერ კიდევ ძველი ქვის დროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქეოლოგებმა ამ ბოლო (2000–2012) წლებში, საქართველოს სხვადასხვა მხარეში ზედიზედ ახალ-ახალი ღირსშესანიშნავი ძეგლები გამოავლინეს. 2012 წელს 200-მდე აკლდამა, საკულტო-სარიტუალო მოედნები და ნამოსახლარები აღმოაჩინეს. ამავე წელსვე, კასპის მიდამოებში, მდ. ლეხურის ნაპირზე მდებარე სოფ. იგოეთში, ე. ნ. **„გრაკლიაგორაზე"** არქეოლოგებმა აღმოაჩინეს საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების სხვადასხვა საგნები, რომლებიც სამიათასწლიან უწყვეტ ეპოქას განეკუთვნება. აქვე მდებარე ტაძრის (რომელიც მეცნიერთა ვარაუდით ძვ. წ. V–IV საუკუნეებს ეკუთვნის) შესწავლის დროს აღმოაჩინეს 4 საკულტო ოთახი და ხელსაფქვავები. განსაკუთრებით ყურადღებას იწვევს სფეროსებრი საკურთხეველი, სარიტუალო ადგილი და აქ მდგარი დედა ღმერთის მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც ამიერკავკასიაში განუმეორებელია.

2010 წლის დეკემბერში, არქეოლოგებმა მდ. ივრის ზეგანზე, დედოფლისწყაროს (ყოფ. წითელწყარო) მუნიციპალიტეტის მიდამოში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, 3 000 წლის წინანდელი ნაქალაქარი აღმოაჩინეს. ხოლო 2011 წლის აგვისტოში, ამავე ზეგანზე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, გამოავლინეს მთაზე მდებარე ციხე-ქალაქი, რომელიც თითქმის 12 ჰექტარს მოიცავს. მეცნიერთა ვარაუდით, ციხე-ქალაქი VII–VIII საუკუნეს ეკუთვნის და ის არის ე. წ. „აბრეშუმის გზაზე" მდებარე, ქართულ და არაბულ წყაროებში მოხსენებული, ცნობილი ქალაქი **„ვარაზ-მანავრი"**, რომლის მდებარეობა აქამდე დაკარგულად ითვლებოდა. ჯერ-ჯერობით მოპოვებულია 129 ძეგლი: ეკლესიის, კოშკების და საცხოვრებელი სახლების ნანგრევები. ეტყობა, რომ ქალაქს გარშემო შემოვლებული ჰქონდა დიდი გალავანი.

ამავე წლის დეკემბერში, დედოფლისწყაროს მიდამოებში, დალის ხეობაში აღმოაჩინეს ღირსშესანიშნავი უძველესი ნამარხი ძეგლები: ცხოველთა ეშვები და ცხოველთა ნაწილები, რომლებიც 9-10 მილიონი წლით თარიღდებიან. პალეონტოლოგები ფიქრობენ, რომ ეშვები ეკუთვნიან მასტონდოტს (დღევანდელი სპილოს წინაპარი) და ნამარხში შეიძლება იყოს მთლიანი ჩონჩხიც. ხოლო ნამარხში აღმოჩენილი სხვა ნარჩენები ეკუთვნიან, ამავე დროის ფაუნის ზოგიერთ გადაშენებულ ცხოველების წინაპრებს: შველის, კუს და სხვ. ყველა მოპოვებული მასალები, რომ არ დაიშალოს, ქანთან ერთად ამოიღებენ და ეროვნულ მუზეუმში გადაიტანენ, სადაც მოხდება მათი შესწავლა და რესტავრაცია.

2012 წლის თებერვალში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, დედოფლისწყაროს მიდამოებში, არქეოლოგებმა გათხრების შედეგად, აღმოაჩინეს მესოპოტამიური უძველესი კულტურის (შუამდინარეთის) ძეგლები, მათ შორის ოქროს თასები, თიხის ჭურჭელი და სხვ. რომლებიც 4 000 წლით თარიღდებიან.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მცხეთაში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო 1937 წელს ი. ჯავახიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ (1900–1947).

1940 წელს არმაზის შემოგარენი გამოცხადდა არქიტექტურულ ნაკრძალად. 1957 წელს მდინარეების არაგვისა და მტკვარს შორის მიდამოები **ბებრის ციხემდე** გახდა ნაკრძალი.

1966 წელს მთლიანად მცხეთა ხდება ნაკრძალი. ხოლო 1968 წელს მცხეთა გამოცხადდა როგორც ქალაქ-მუზეუმი.

მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სამაროვნები და ნამარხები (რომლებიც განიკუთვნება ადრინდელი ბრინჯაოს დროიდან დაწყებული ადრინდელ რკინის ხანას),

სხვადასხვა ანტიკური დროის ნაგებობები, ფეოდალური ხანის საძვალეები, რკინის სადნობი სახელოსნოები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.

2008 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ავსტრალიის მელბურნის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაიწყეს სამხრეთ კავკასიის ძეგლების გამოკვლევები.

არქეოლოგებმა მცხეთის მიდამოებში, გათხრების შედეგად მნიშვნელოვანი ძეგლები გამოავლინეს. **მოგვთაკარში** აღმოაჩინეს სამარხები, რომლებიც თავისი ნაგებობებით განსხვავებული იყო მცხეთაში ადრინდელ აღმოჩენილ სამარხებისაგან. ამოიღეს სხვადასხვა ქალის სამკაულები, ბრინჯაოს და რკინის უცხოური ნივთები და ლითონის ფულები; ნამოსახლარებში გამოვლინდა სახლის ნაშთები, ვერცხლის სხვადასხვა საგნები, თიხის ჭურჭლები, ქვევრი და სხვა.

2011 წელს მცხეთის აკროპოლისში გამოვლინდა ანტიკური დროის ტაძრის ნაშთები, მარანი, აბანოები, სხვადასხვა სახის სათავსოები და ნივთები. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს ადგილები მეფეებს ეკუთვნოდათ.

ამის გარდა, ე. წ. **სარკინეში** (მცხეთის უბანი) არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ლითონის სახელოსნოს უბანი, სადნობი ქურების ნანგრევები (სადაც ტყვიას და სპილენძს ადნობდნენ), სხვადასხვა ლითონის იარაღები, ბრინჯაოს და ოქროს ნივთები, საკულტე ადგილები, ტერაკოტული საკულტო-სამსახიობო ნიღბები და სხვა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ძეგლებით ცხადი ხდება, რომ ძვ. წ. IV–I საუკუნეებში და შემდეგაც, სახელოსნო და საკულტო ადგილებს შემოვლებული ჰქონიათ გალავნები – გოდოლებით და კარიბჭეებით.

აღსანიშნავია არქეოლოგების მიერ (2011–2012) წლებში გამოვლენილი ღირსშესანიშნავი აღმოჩენები თბილისში.

2011 წელს, **აბანოთუბანში**, 40 სებასტიელთა მოწამეთა სახელობის ეკლესიის მიმდებარე მინაწყალზე, ვახტანგ მეფის და მისი ძის დროინდელი (V საუკუნის 40-ანი წლები) ციხის გალავანი და კარიბჭე აღმოაჩინეს, რომლის ქვეშ უფრო ადრინდელი (I საუკუნის) გალავანი და კარიბჭე აღმოჩნდა. ამავე დროს დადგინდა, რომ ამ ადგილას 2 000 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა საამშენებლო სამუშაობები, გამოვლინდა 7 მ-ის სიღრმეზე, I–II საუკუნის აბანოს ნაშთები, რომლის აუზები ბუნებრივი ცხელი გოგირდის წყლით ივსებოდა. ჯერჯერობით განმენდილია 3 აბანო. აღმოჩნდა IV საუკუნის მარნის ნაშთები და ქვევრები და I–III საუკუნეების რომაული ამფორა, რომელიც თბილისში აქამდე არ იყო გამოვლენილი.

მარნის გარეთ, მინის უფრო დაბალ ფენებში, აღმოჩნდა III საუკუნის ბავშვის სამარხი, რომელიც აგურებისაგან ამოშენებული და კრამიტებით გადახურული იყო. აღმოჩნდა აგრეთვე მეორე სამარხი – აკლდამა, რომელშიც დაკრძალული იყო 11–15 წლამდე ბავშვი და თითის ფალანგზე ბრინჯაოს ბეჭედი ეკეთა. გამოვლენილ იქნა თიხისა და მინის სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლები. მინის ზედა ფენებში, აღმოჩნდა IX–XI საუკუნეების სასახლის ნაშთები ქვის იატაკით.

2012 წლის ივნისში, ისან-სამგორის მიდამოებში, 31-ე ქარხნის შემოგარენში, გამოვლინდა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ჭურჭლები. მეცნიერთა თქმით ეს ნივთები ეკუთვნის გვიან ბრინჯაოს და ადრინდელ რკინის ხანას, ძვ. წ. X–IX საუკუნეებს.

ამავე წლის ივლისში, ღირსშესანიშნავი აღმოჩენა მოხდა, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოების დროს, გამოჩნდა ძველი გალავნის ნანგრევები. არქეოლოგიური გათრებისას აღმოაჩინეს თიხის ჭურჭელი და ბირთვის ქვა, რომელსაც ძველად ომის დროს იყენებდნენ. გალავნის კედელზე აღმოჩენილი წარწერები, მეცნიერების თქმით XII–XVIII საუკუნეებია გაკეთებული.

აღმოჩენილი გალავნის ნაწილი, 5 გოდოლით, დაახლოებით 110 მეტრის სიგრძისაა. კედლის სიგანე 3–4 მეტრია, ხოლო გოდოლები 13–14 მეტრია. თბილისის გალავანი არაერთხელ დანგრეულა და შემდეგ აღუდგენიათ. ცნობილია, რომ როდესაც რუსეთის იმპერია გაბატონდა საქართველოში, მან 1801 წელს თბილისის გალავანი დაანგრია.

„აღა-მაჰმად-ხანმა გადაწვა ქალაქი, სახლები მიანგრ-მოანგრია, მაგრამ თბილისის გალავანი არ დაუნგრევია. როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, გააუქმა სამეფო, ავტოკეფალია, რომელიც საქართველოს პირველი საუკუნეებიდან გააჩნდა. ამ პერიოდიდან რუსეთი მიიჩნევდა, რომ

საქართველო მხოლოდ გუბერნია იყო. თბილისის ციხე-სიმაგრეს, რომლის ყურებაც კი გარკვეული სულიერი სიძლიერით აღავსებს ადამიანს, გალავანი შემოაცალეს, დაშალეს და დაიყვანეს იმ დონეზე, რა დონეზეც ახლაა.... თბილისი გადაასწორეს, თვით თბილისის ციხე, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა, მისი ნაწილის აღდგენა საბჭოთა კავშირის პერიოდში მოხდა. ნელ-ნელა დაიპყრეს იმერეთი, სამეგრელო, გურია, თუკი რაიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა იყო, ყველაფერი შემუსრეს". (75).

პუშკინის ძეგლის შემოგარენი და პუშკინის ქუჩა, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით გამოცხადდა მუზეუმად ღია ცის ქვეშ.

არქეოლოგების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედგად გამოკვლეული მასალები საფუძველს იძლევა, რომ ადრინდელი თბილისის დაარსების ისტორია შეიცვალოს. ცხადი ხდება, რომ ვახტანგ გორგასლამდე, თბილისის დედაქალაქად გამოცხადებამდე, თბილისი წარმოადგენდა ძლიერ, კარგად გამაგრებულ დასახლებულ ადგილს და შეიძლება ითქვას, რომ I საუკუნეში დღევანდელი ქალაქი იცავდა დედაქალაქ მცხეთას და ის ამავე დროს წარმოადგენდა მცხეთის კარიბჭეს.

არქეოლოგიური გათხრები საქართველოს მინა-წყალზე გრძელდება.

არქეოლოგების მიერ გამოვლენილი აღმოჩენებიც კი, რომელიც ზოგადად ზევით აღვნიშნეთ, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოში უძველესი დროიდან აღმოჩნდა დღევანდელი ადამიანის წინაპარი და ბუნებრივი პირობების გამო იგი აქვე დასახლდა, აქვე განაგრძო ცხოვრება, აქვე დაიწყო ჩამოყალიბება და განვითარება და აქვე გადაიქცა ის დღევანდელ ადამიანად. ამავე დროს, არქეოლოგთა უახლესმა უდიდესმა აღმოჩენებმა, რომლებიც საერთაშორისო კომისიამაც აღიარა, ცხადი გახადა, რომ საქართველო წარმოადგენდა ერთ-ერთ გზას, საიდანაც დაიწყო ევროპაში ადამიანის განსახლება.

§II. ქართველური ტომები, სამეფოები და სამთავროები.

დღევანდელ დღეს, არქეოლოგების, ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფების, ანთროპოლოგების და სხვა დარგის მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ როგორც დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე, ასევე მის ჩრდილოეთ და სამხრეთ მოსაზღვრე მხარეებში უძველეს დროს ცხოვრობდნენ ქართველური ტომები.

საერთოდ, ამა თუ ერის, ხალხის, წარმომავლობის შესახებ იქმნებოდა ლეგენდები და სხვადასხვა ზღაპრები. ისტორიკოსი გიორგი მელიქიშვილი (1918–2002) აღნიშნავდა, რომ:

„ხალხის უძველესი წარსული ხშირად რომანტიკულ ინტერესს იწვევს და ლეგენდებით იმოსება. ძნელია მოიძებნოს ხალხი, რომლის წარმოშობის, რომლის შორეული წარსულის შესახებ შეთხზული არ იყოს ათასგვარი ზღაპარი და ლეგენდა. ზოგჯერ ამ ლეგენდებში ისტორიული სინამდვილეა არეკლილი, ბევრჯერ კი ადამიანში გაკვირვებას იწვევს, თუ რამ შეათხზვევინათ ესოდენ დაუჯერებელი ამბები ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის შესახებ.

ასეთი ლეგენდები, ზღაპრული ცნობები და სხვადასხვა დაუსაბუთებელი განცხადებები გვხვდება ჩვენ საქართველოს მოსახლეობის შესახებაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების ავტორებთან". (12, გვ.7).

მისივე თქმით, ასეთივე ზღაპარია მოთხრობილი ქართულ მატიანეში, „ქართლის ცხოვრება"-შიც, ლეონტი მროველის (მეცნიერთა ნაწილის აზრით VIII საუკუნის, ზოგიერთის – XI საუკუნის მოღვაწის) მიერ მოხსენებული, ყველა კავკასიელთა, „ამათ თჳსთა", ერთი ეთნარქის, „ნოეს ძისაის" „ერთი იყო მამაჲ, სახელით თარგამოს", „კაცი გმირი"-ის, (13, გვ.25) შვილები. ე. ი. ყველა კავკასიელებს, მათ შორის ქართველებს, აზერბაიჯანელებს და სომხებსაც, ერთი ეთნიკური წარმომავლობა ჰქონიათ. ლეონტი მროველის უცნაური შეხედულება, ყველა კავკასიელთა ძმებად მიჩნევის შესახებ, შეუსაბამობაა. რადგან მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ სომხები, კავკასიაში ჩამოსახლებულნი არიან და არმენიელი ხალხი, ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ჩამოყალიბდა. ცნობილია, რომ ქართველებსა და არმენებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. სომხებმა, როდესაც მომძლავრდნენ, შეიერთეს მეზობლად მყოფი ზოგიერთი ქართველური ტომები და დაკავებულ მიწა-წყალზე, მოხდა მათი გათქვეფა და აღრევა. ამის შესახებ თვითონ სომეხი მემატიანეებიც აღიარებდნენ. (იხ. ქვევით, სომხეთი). ხოლო აზერბაიჯანელები, როგორც ერი ჩამოყალიბდა (XI–XIII) საუკუნეებში თურქ-სელჩუკთა და ადგილობრივი ტომების (მათ შორის ქართველური ტომების – ალვანელების) შერწყმის შედეგად. (იხ. ქავევით, აზრბაიჯანი).

ასეთივე ზღაპრულ ცნობებს გვაწვდის, „ისტორიის მამად" წოდებული ჰეროდოტე (ძვ. წ. 485–ძვ. წ. 424). მისი თქმით, ლიხსიქეთ ქართველები, კერძოდ „კოლხები ეგვიპტელები არიან", „რადგან კოლხები შავგვრემანები არიან და ხუჭუჭთმიანები... მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპიელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინადაცვეთას... და ჩანს, რომ ესენიც ეგვიპტელების მსგავსად აკეთებენ ამას"....

კიდევ სხვა რამის თქმაც შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად. მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის" და სხვ.

ჰეროდოტე „დაბეჯითებით" ვერ ასაბუთებს, მაგრამ მისი აზრით, ეგვიპტის მეფემ სესოტრისმა, როდესაც „აზიიდან ევროპაში" „გადავიდა და დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები", იქედან „შემობრუნდა" და მდინარე ფასისთან, „სესოტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაცა ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლად, ან კიდევ... ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი გადაღლილი ხეტიალით, დარჩა მდინარე ფასისთან". (50, ტ.I, გვ.155–156).

ძველი ბერძენი მწერლები, ლიხსაქეთ ქართველების (იბერების) შესახებ წერდნენ, რომ იბერები გადმოსახლებულან ესპანეთიდან, რომელსაც ისინი „იბერიას" უწოდებდნენ. მათი აზრით, „კავკასიელი იბერები" ბაბილონელი მეფის ნაბუქოდონოსორის (ნაბუ-ქუდუ-რუცური) II (ძვ. წ.

604–ძვ. წ. 562) დროს ჩამოსახლებულან ესპანეთის „იბერიიდან“. ეს ლეგენდა ეტყობა ამ ორი ქვეყნის მსგავსი სახელწოდების გამო წარმოიქმნა და როგორც ჰეროდოტეს თვალსაზრისსაც, ამ ლეგენდასაც არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ცნობილია, რომ დღევანდელი თურქეთის აზიურ ნაწილში, ანატოლიაში, რომელსაც ძველად ეწოდებოდა „მცირე აზია“, ცხოვრობდნენ სხვადასხვა ტომები. ხდებოდა მათი გაერთიანებები, იქმნებოდა მცირე თუ დიდი სახელმწიფოები. მაგრამ სხვადასხვა ვითარების გამო ისინი გაქრნენ და დღეს, თუ ვინ იყვნენ ისინი და მათი მდებარეობა უცნობია.

არქეოლოგებმა გათხრების შედეგად, გამოავლინეს მანამდე უცნობი სახელმწიფო, რომელიც მდებარეობდა ძვ. წ. IV–III ათასწლეულში, ახლანდელი ერაყის მინა-წყალზე, სამხრეთ შუამდინარეთში, მდ-ის ტიგროსისა და ევფრატის ქვემო დინებათა შორის მდებარე დაბლობზე, რომელსაც შუამდინარეთში მცხოვრები აქადელები უწოდებდნენ **შუმერს**. თვით შუმერები კი, თავის მიწა-წყალს ეძახდნენ ქალამს („ქვეყანა“). თუ საიდან მოვიდნენ შუმერები ამ ადგილას, მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს. მეცნიერთა ნაწილის ვარაუდით, ისინი სამხრეთიდან გადმოსახლებულან.

ისტორიკოსი დავით მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ:

„როგორც ცნობილია, შუმერები არ არიან შუამდინარეთის ავტოქტონები და ითვლება, რომ რომელიღაც მთიანეთიდან არიან იქ მისულნი. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ისინი დასავლეთ ირანის მთიანეთიდან ჩავიდნენ მესოპოტამიის დაბლობში, მაგრამ არ არის გამორიცხული და ზოგი მეცნიერი ფიქრობს კიდეც შუმერების ჩრდილოეთის მთიანეთიდან მიგრაციას, კერძოდ სამხრეთ კავკასიიდან ან მის სამხრეთით მდებარე მთიანეთიდან, სადაც უნდა განხორციელებულიყო ლინგვისტურად დამოწმებული ურთიერთობანი წინარექართველურ ეთნოსსა და შუმერებს შორის“. (8, ტ.I, გვ.118).

შუმერები იყვნენ მაღალი კულტურის წარმომადგენლები, რომლებმაც შეიძლება ითქვას, რომ მათ სათავე დაუდეს ადამიანის მოდგმას. ცნობილია, რომ ისინი იყვნენ პირველი სრულყოფილი პროტოლურსმული დამწერლობის შემქმნელნი. დღემდე დაუდგენელია შუმერული, ამ ურთულესი ენის კავშირი ცნობილ ენათა რომელიმე ოჯახთან. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ შუმერული ენა ახლოს დგას და მსგავსია უწინდელ საერთო ქართველურ ქართულ-ზანურ (მეგრულ-ჭანურ)-სვანურ და იბერიულ-კავკასიურ მთის ენებთან.

დ. მუსხელიშვილი „წინარე საერთო – ქართველური ენის“ შესახებ აღნიშნავს, რომ:

„ენათმეცნიერებმა დღეს არსებული ქართველური ენების – [ქართულის, ზანურის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის] – საფუძველზე აღადგინეს საერთო-ქართველური ფუძეენა ანუ ის ენა, რომელზედაც საუბრობდნენ უძველესი ქართველი ტომები, ვიდრე ისინი სამ ზემოდასახელებულ შტოდ განაწილდებოდნენ“. (8, ტ.I, გვ.116). მისივე თქმით:

„საერთო-ქართველური ეთნოსის არსებობის ქრონოლოგიური დონის გათვალისწინებისათვის ფრიად საინტერესოა წინარე ქართველურ-შუმერული ლექსიკური შეხვედრები. ენათმეცნიერების მიერ დადგენილია ორასზე მეტი შუმერული სიტყვა, რომლებიც პარალელებს პოულობს წინარე ქართველურ ლექსიკასთან“. (8, ტ.I, გვ.118).

XIX საუკუნის დასაწყისში, ანატოლიაში, ანკარის აღმოსავლეთით მდებარე სოფ. **ბოღაზქოიში**, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ძეგლებისა და ამავე საუკუნის 70-იან წლების ბოლოს ჩრდილოეთ სირიაში გამოვლენილი მანამდე უცნობი იეროგლიფური დამწერლობის შესრულებული მრავალი წარწერების შესწავლის შემდეგ, მეცნიერებისათვის აშკარა გახდა, რომ ეს ძეგლები და წარწერები ეკუთვნოდა მანამდე უცნობ **„ხეთებს“**. ხოლო 1906–1912 წლებში, ბოღაზქოისში გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ლურსმული დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტების შესწავლისა და წაკითხვის შემდეგ, მეცნიერთათვის ცხადი გახდა, რომ მცირე აზიაში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, ძვ. წ. II ათასწლეულში ნამდვილად არსებობდა ხეთების (ხათი) სამეფო, რომელიც მაშინდელ აღმოსავლეთში წარმოადგენდა უდიდეს სახელმწიფოს და ბოღაზქოის ადგილას მდებარეობდა ხეთების სამეფოს დედაქალაქი **ხათუსა**. მეცნიერებისათვის ცხადი გახდა ისიც, რომ ხეთების სამეფოს ჩამოყალიბებამდე, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ანატოლიის შუა ნაწილში,

ხეთებამდე ცხოვრობდნენ **ხათები** (პროტო-ხეთები). ხოლო, ამავე ხანებში, ჩრდილო მესოპოტამიაში ბინადრობდნენ **ხურიტები** (ხურის ტომები). **ხეთების სამეფო**, (ხათი) (ძვ. წ. 1800–1180 წწ) წარმოადგენდა ისეთივე მძლავრ სახელმწიფოს, როგორიც იყო იმ დროს **ეგვიპტე, აქადი, ბაბილონი** და ხურის სამეფო **უგარიტი.** ის გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ცნობილია, რომ გამუდმებული ომების შედეგად დასუსტებული ხეთების სამეფო ძვ. წ. 1200 წლიდან ეგეოსის ზღვის სამხრეთიდან წამოსულმა „ზღვის ხალხმა" (სიკულები, ფილისტიმელები, ეტრუსკები და სხვ.) საბოლოოდ გაანადგურეს.

ი. ჭავჭავაძე ხეთების შესახებ წერს:

„ინგლისის მეცნიერი რ. ანდერსონი ამბობს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეტტების, იგივე გიტტების ცივილიზაციაა და ევროპა მადლობელი უნდა იყოს ხეტტებისა, რადგანაც დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტტელებისაგან არის მიღებულიო". (1, ტ.8, გვ.180).

ისტორიკოსების და ენათმეცნიერების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ქართველ ტომებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ხათებთან და ხეთებთანაც. მათ ერთგვარი ზეგავლენა იქონეს ქართული ენის განვითარებაში. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს:

„გამოვლენილი ლექსიკური პარალელებიდან აღვნიშნავთ რამდენიმეს: ხეთური „სუფი" და ქართული „სუფთა"; ხეთ. „ველლუ" და ქართ. „ველი"; ხეთ. „ვიანა" და ქართ. „ღვინო"; ხეთ. „დუდდუმილი" და ქართ. „დუმილი" და სხვა....

საკონტაქტო ზონად ხეთურ-ქართული ეთნოსების შეხვედრისათვის მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიას თვლიან. აქვე ემეზობლებოდნენ, როგორც ჩანს, ერთმანეთს... ხეთებამდე მოსახლე ხატები (პროტოხეთები) და ქართველი ტომები, რომელთა შორის ასევე არსებობს ლექსიკური პარალელები: ხათ. „ვინ" და ქართ. „ღვინო", ხათ. „ურეშ"-მჭედელი და ქართ. „ურო"; ხათ. „თეთე" და ქართ. „დიდი". ვარაუდობენ, რომ ხათურიდან უნდა შეეთვისებინა ქართულს სადაურობის —ელ სუფიქსი და სხვა". ხურიტების შესახებ დ. მუსხელიშვილი წერს, რომ ხურიტული „ენიდანაც მეცნიერები ვარაუდობენ ცალკეული სიტყვების შეთვისებას ქართველური ენების მიერ. ასე მაგალითად: ხურ. „ეცი" და ქართულ-მეგრულ-სვანური „ცა"; ხურ. „შერი" – საღამო და ქართ. „სერობა", მეგრ. „სერი, ღამე"; ხურ. „ქად" – ქადილი და ქართ. „ქადილი" და სხვა". (8, ტ.I, გვ.115).

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი, ქართველთა ტომების ნათესაობის შასახებ, ძველ აღმოსავლეთის ხალხებთან. ი. ჭავჭავეს მოჰყავს ცნობილი ფრანგი ეგვიპტოლოგის გ ა ს ტ ო ნ მ ა ს პ ე რ ო ს (1846–1916) სიტყვები და წერს, რომ მასპერო „ამბობს, რომ ხეტტელნი ნათესავები იყვნენ ტაბალებისა, მუშკებისა, რომელნიც თუბალებად, მოსოხებად ცნობილნი არიან და თუბალნი და მოსოხნი (მესხნი) ხომ ქართველის მოდგმის ხალხებად მიჩნეულია მეცნიერთაგან". (1, ტ.8, გვ.178). ქართველთა ტომების ნათესაობის შესახებ ეს ცნება გაიზიარა ს. ჯანაშიამაც და ადრე გავრცელებული თვალსაზრისი ქართველთა ტომების სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ უარყო და წამოაყენა თავისი შეხედულება, რომ ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველი მკვიდრი მოსახლეები იყვნენ და ხეთები და სუბარები ქართველ ტომთა წინაპრებს წარმოადგენდნენ. ს. ჯანაშიას შეხედულება ქართველ ტომთა წარმოშობის შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში თანდათან გავრცელდა მის მიერ შემოტანილი ცნება: „ხეთურ-იბერიული ხალხების ჯგუფი".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერთა ვარაუდით, ხეთების სამეფოს ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველთა ტომები მუშქებიც. ფიქრობენ, რომ ხეთებმა გარკვეული გავლენა იქონიეს მათ მეზობლად მდებარე ქართველური ტომების გაერთიანებებზე – **დიაოხსა** და **კოლხაზეც**.

წერილობით წყაროებიდან ცნობილია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში ერაყის მიწა-წყალზე, შუამდინარეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩამოყალიბდა **ასურეთის სამეფო**, რომელიც თანდათან იმდენად მომძლავრდა, რომ მის მეზობლად მდებარე ქვეყნები: ბაბილონი, პალესტინა, ფინიკია და ეგვიპტეც კი მცირე ხნით დაიპყრო. ებრძოდა მითანიას და ელამს, სამხრეთ ამიერკავკასიაში მდებარე ნაირის ქვეყნებს, ურარტუს და შავი ზღვისპირეთში მყოფ ტომებსაც. შეიქმნა ასურეთის ვრცელი იმპერია.

ძვ. წ. XI საუკუნიდან დაიწყო დასავლეთის მხრიდან არამეული ტომების შემოჭრა და ასურეთში დამკვიდრება. გაუთავებელმა სასტიკმა სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა, ქვეყნის შიგნით წარმოქმნილმა შინაგანმა გართულებულმა მდგომარეობამ (დაპირისპირება ქურუმებსა და სამხედრო პირებს შორის) და ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა სკვითებმა და კიმერიელებმა ასურეთი დაასუსტეს. ძვ. წ. 605 წელს **ახალბაბილონურ სამეფომ** და ახლადწარმოქმნილმა **მიდიის სამეფოს** ერთობლივმა ლაშქარმა საბოლოოდ ასურეთი გაანადგურეს და ასურეთის სამეფომ შეწყვიტა არსებობა.

ქართველებისათვის, ასურეთის სამეფო და მისი ისტორია უფრო იმით არის საინტერესო, რომ როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს:

„ქართველი ტომების შესახებ უძველესი ცნობები მხოლოდ უცხო მწერლობაში მოიპოვება, ხოლო ყოველი ერი განსაკუთრებით თავის მოსაზღვრე და მახლობელ ტომს იცნობს ხოლმე, ამიტომ ზოგი ქართველი ტომების სახელები, რომელნიც ასურეთზე უფრო მახლობლად ცხოვრობდნენ, უკვე უძველეს დროინდელ ასურულ წყაროებშია მოხსენებული....

ყველაზე პირველად ასურულ წყაროებში მესხები, ანუ როგორც მათ ასურელები ეძახდნენ ხოლმე, **„მუშქები“**, ანუ **„მუსკები“** არიან მოხსენებულნი....

მეორე ქართველი ტომი **„ტაბალი“** პირველად სალმანასარ II-ის (860–825 წ.) წარწერაშია მოხსენებული....

ეს ორი, როგორც ასურული წყაროებიდან ჩანს, ძლიერი ქართველი ტომები შემდეგდროინდელ წარწერებშიაც ხშირად არის ხოლმე მოხსენებული....

ასურულ წყაროებში ტაბალი და მუსკი ყოველთვის ერთად არიან ხოლმე მოხსენებულნი;

დაბადებაშიაც ასე ტყუპად არიან დასახელებული; ხოლო ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს თხზულებიდანაც ჩანს, რომ მოსხები და ტიბარელნი მეზობლები ყოფილან; ბერძნული სახელწოდება ტიბარენი ასურული წარწერების „ტაბალ“-ს, ხოლო დაბადების „ტუბალს“ უდრის“. (2, ტ.I, გვ.401).

ასურული ლურსმული წარწერებიდან ჩანს, რომ ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე **„ნაირის ქვეყნები“** წარმოადგენდნენ გაერთიანებებს, რომელნიც მდებარეობდნენ მდინარეების ყარა-სუსა (დას. ევფრატი) და მურად-სუს შორის მიდამოებში. ხოლო მათ შორის ყველაზე ძლიერი და დიდი გაერთიანება ჩანს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, ქართველ ტომთა გაერთიანება **დაიაენი** (ურარტელები უწოდებდნენ დიაუხის. შემდეგში ტაოხი, ტაო), რომელიც ძვ. წ. 1112 წელს შეებრძოლა ასურეთის მეფეს. ასურეთის მეფე ტ ი გ ლ ა თ ფ ი ლ ე ს ერ I (ასურ. თუქულთიაფალეშარი) (ძვ. წ. 1114–1076) წარწერაში აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთით ლაშქრობის დროს, მის წინააღმდეგ გამოსულა, დიაუხის ქვეყნების მეფე ს ი ე ნ ი, რომელსაც ეხმარებოდა 23 მეფე და ნაირის ქვეყნების 60 მეფე. მას დაუმარცხებია და ბრძოლით მისულა „ზემო ზღვამდე“ – შავ ზღვამდე. „ასურეთის მეფე თავის თავს ეძახის „ნაირის ქვეყნების დაპყრობელს თუმედან დაიანემდე. აგრეთვე კოლხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“. საინტერესო ის არის, რომ ეს უკანასკნელი აქ „კილხის“, ე. ი., როგორც ვფიქრობთ, კოლხის//კოლხეთის სახელით იხსენიება. ამრიგად, ჩვენ საშუალება გვეძლევა, ვილაპარაკოთ კოლხური გაერთიანების ბრძოლებზე ძვ. წ. XII–XI სს. ასურეთის ხელისუფლებასთან. ამ ბრძოლებში კოლხური გაერთიანება მჭიდრო კავშირში გამოდიოდა მის სამხრეთით მდებარე ნაირის ქვეყნების გაერთიანებასთან, რომელშიც წამყვანი მდგომარეობა დიაოხის (დაიაენს) ეკავა“. (8, ტ.I, გვ.133).

ცნობილია, რომ ძვ. წ. XVI საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ შუამდინარეთში, მდ. ბელიხისა და მდ. ხაბურის ველზე, მდ. ტიგრის ზემო დინების მიდამოებში, ჩამოყალიბდა **მითანის სამეფო**. რომელიც ებრძოდა ეგვიპტესა და ხეთებს. მის შემადგენლობაში მოექცნენ ურარტელები. ხეთების მეფე ს უ ფ ი ლ უ ლ ი უ მ ა I-მა (დაახლ. ძვ. წ. 1380– 1340) დაამარცხა მითანი და მისი დედაქალაქი **ვაშუქანი** მიწასთან გაასწორა. ასურეთის ბატონობის დროს, მითანის სამეფო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიყო. შემდეგში მითანის მიწა-წყალი არამეული ტომების გავლენის ქვეშ მოექცა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ.

ძვ. წ. XIII საუკუნეში როდესაც მითანის სამეფო საბოლოოდ დაემხო, ურარტელები განთავისუფლდნენ და ძვ. წ. IX–VI საუკუნეებში **ურარტუ** მახლობელ აღმოსავლეთში, ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა. რომელიც მოიცავდა სამხრეთით – ჩრდილოეთ მესოპოტამიის ნაწილს, აღ-

მოსავლეთით – ურმის ტბასა და დღევანდელ თავრიზის მიდამოებს, დასავლეთით – ჩრდილოეთ სირიას და აღმოსავლეთ მცირე აზიის მხარეებს, ხოლო ჩრდილოეთით – სევანის ტბასა და ყარსი-არზრუმის ოლქებს. მისი დედაქალაქი იყო დღევანდელი ქ. ვანის (თურქეთში) ადგილას – **ტუშფა**. „ურარტუს" ასურელები ეძახდნენ, ხოლო თვით ურარტელები თავის ქვეყანას „ბიაინილს" უწოდებდნენ. ურარტუსა და ასურული ლურსმული წერილობითი წყაროებიდან და მოპოვებული ძეგლებიდან ჩანს, რომ ურარტელები გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ მეზობელი სახელმწიფოების: ასურეთის, მანას, სირიის, მესოპოტამიის, ფრიგიის, სამხრეთ ამიერკავკასიაში ქართველთა ტომების **დიაოხის**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა გაერთიანების – **კოლხას** წინააღმდეგ და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გაუთავებელმა ბრძოლებმა ურარტუ დაასუსტეს და დაახლ. ძვ. წ. 590-იან წლებში, მიდიამ დაიპყრო ურარტუს შუა გული, ხოლო, ჩრდილოეთი ნაწილი ერთ ხანს კიდევ რჩებოდა ურარტუს გამგებლობაში. მალე ამიერკავკასიის ტომებმა და მათმა მომხრე სკვითებმა ურარტუს ძალაუფლება საბოლოოდ დაამხეს.

ამის შემდგომ, „ურარტელთა შთამომავლები ალაროდიელთა სახელით იხსენიებიან ძვ. წ. V ს-ში ძვ. ბერძენ ისტორიკოსის ჰეროდოტესთან. მისი ცნობით, ისინი მონათესავე ხურიტებთან ერთად (სასპერები და მატიანები) შეადგენდნენ აქემენიდური ირანის XVIII სატრაპიას". (10, ტ.10, გვ.170). „სახელწოდება „ალაროდიებში" შემონახულია სახელი ძვ. ურარტუელებისა (არაროდ>ალაროდ. შდრ. არარატ – ურარტუ სახელის ვარიანტი), რომელთა შთამომავლებიც ალბათ ალაროიდები იყვნენ. როგორც ჩანს, ძვ. წ. V ს. ალაროდიები ისევ ძველი ურარტუს მინა-ნყალზე ცხოვრობდნენ". (10, ტ.1, გვ.266).

ი. ჭავჭავაძე, მაშინდელი მეცნიერთა მტკიცებით აღნიშნავს, რომ „ურარტელნი ქართველები ყოფილან", „დიახ, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცი ერი ყოფილა". „ჩვენ უსაბუთოდ არ ვამბობთ ურარტელების ქართველობას". (1, ტ.8, გვ.164). მას მოჰყავს, იმ დროს, ცნობილი ანთროპოლოგის, ეთნოგრაფისა და არქეოლოგის დიმიტრი ანუჩინის (1843–1923) სიტყვები, რომ „არის რამოდენიმე საბუთები, რომლის ძალითაც შესაძლოა ვიგულვოთ, რომ ურარტელნი, ანუ პონტოს ქალდები ქართველთა მამა-პაპანი ყოფილანო". (1, ტ.8, გვ.188).

ი. ჯავახიშვილი ურარტელების და ხეთების შესახებ აღნიშნავს, რომ:

„ცნობები ქართველი ტომების უძველესი ბინადრობის შესახებ სრული არ იქნებოდა, თუ რომ ურარტელებისა და ხეტების ვინაობას არ შევეხეთ. კასკების ანუ კოლხების აღმოსავლეთით, მდ. ევფრატისა და ტიგროსის სათავეებში, ვანის ტბის, მდ არაქსისა და არარატის მიდამოების ქვეყნებში ნაირისა, ვანისა და ურარტუს სამეფოები იყო. ამ სამ სახელმწიფოთა შორის ყველაზე სამხრეთი ნაწილი ნაირის ქვეყანას ეჭირა, მერე ვანი, ანუ ბიანა მისდევდა, შემდეგ კიდევ ყველაზე ჩრდილოეთით ურარტუს სამეფო იყო....

სიტყვები ნაირი, ბიაინა და ურარტუ მხოლოდ ქვეყნების საკუთარი სახელებია, თითონ ხალხი კი თავის თავს ქალდის ანუ ხალდის უძახდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სახელი ქართველი ტომების საზოგადო სახელწოდება იყო (ქართუელი, კარდუხი); ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ. მართლაც, თითქმის ყველა თანამედროვე მეცნიერებს **ურარტელები ან ქართველების წინაპრებად, ან მონათესავე ერად მიაჩნიათ**". (2, ტ.I, გვ.437). ი. ჯავახიშვილს მოჰყავს ფრანგი არქეოლოგის ფრანსუა ლენორმანის (1837–1883) მტკიცებულება ვანში აღმოჩენილი ურარტუს ლურსმული წარწერების შესახებ და აღნიშნავს: „ვანის წარწერების ენა ყველაზე წინათ ქართულს ფ. ლენორმანმა შეადარა და თავის გამოკვლევაში... ამტკიცებდა ურარტელების ენა ძველი ქართული ენაიო". (2, ტ.I, გვ.439).

ცხადია, ურარტუს გაერთიანებაში, ქართველი ტომების გარდა, სხვადასხვა ტომებიც იყვნენ. რა თქმა უნდა, ურარტუს მძლავრობის დროს, მის ჩრდილოეთით მდებარე ქართველ ტომებს, ურარტუს სამეფოსთან, ურთიერთ კავშირი ექნებოდათ, ხშირად მტრული, ამავე დროს ეკონომიკურიც და კულტურულიც. მისი დაცემის შემდეგ, ჩამოყალიბდა ქართველი ტომების გაერთიანებები და ამ გაერთიანებებში მოექცა ურარტელებიც, რომლებიც დროთა განმავლობაში შეერწყმნენ ქართველებს. ამან კი გამოიწვია ქართულ მეტყველებაში ურარტული სიტყვების შემოტანა. გ.

მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „ურარტული ენის მონაცემებით ხერხდება დღევანდელი ქართულისათვის თავისი შედგენილობით სრულიად გაუგებარი ზოგიერთი გამოთქმის ახსნა, მაგალითად, ისეთი ქართული გამოთქმისა, როგორიცაა „ყირამალა“, „თავდაყირა“ ან „ყირაზე გადასვლა“. ეს **გამოთქმები გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ურარტულში „ყირა“** („კირა“) ნიშნავს „მინას“, მაშინ ყირამა(ღ)ლა = მინა მაღლა, თავდაყირა = თავით მინისკენ, ყირაზე გადასვლა = მინაზე (თავით) გადასვლაა. თვით „ყირა“ არც ერთ ქართველურ ენაში არ ნიშნავს „მინას“.

არაერთი ქართული სიმღერის მისამღერში ვხვდებით ასეთსავე გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთა ახსნა აგრეთვე ხერხდება ძველაღმოსავლური მასალის, კერძოდ ურარტული ენის მონაცემებით. ყურადღება მიაქციეს, მაგალითად, რომ ქართული სიმღერების ამ მისამღერებში იხსენიება წინა აზიის უძველესი მოსახლეობის არაერთი ღმერთის სახელი, მათ შორის ხშირად გვხვდება მოსავლის ღვთაება არალეს (ალალეს) სახელიც. საინტერესოა, რომ ამ ღმერთთან დაკავშირებით ქართულ სიმღერებში თავს იჩენს სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარია, მაგრამ ურარტულ ენაში კარგად ცნობილ სიტყვებს წარმოადგენს. მაგალითად, გვხვდება გამოთქმები: „ივრი ალალე“, „თარი არალე“ („თარი ალალე“), „არი ალალე“. „ივრი“ ურარტულად „მეუფეს“ ნიშნავს. ასე, რომ ქართული მისამღერის „ივრი ალალე“ ნიშნავს „მეუფეო ალალე“! „თარი“ ურარტულად „ძლიერს“ აღნიშნავს. ასე რომ, „თარი არალე“ ნიშნავს „ძლევამოსილო არალე!“...

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დღემდე ქართველები მღერიან სიმღერებს და ხმარობენ გამოთქმებს, სადაც ისმის ურარტული სიტყვები და გამოთქმები, თავისი შედგენილობით დღევანდელი ქართველისათვის გაუგებარი ზოგი სიტყვა და გამოთქმა ურარტული ენის საშუალებით შეიძლება აიხსნას. ასეთი ფაქტები ადასტურებენ, რომ ურარტული ხალხის ერთი ნაკადი ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, მას უნდა შერწყმოდა“. (25, გვ.358).

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ შორეულ წარსულში, **ქართველი ტომები კავკასიის მკვიდრი მოსახლენი ყოფილან და ამ უძველეს ქართველ ტომებს ერთი საერთო სასაუბრო ენა ჰქონდათ.** შუა ბრინჯაოს დროიდან (III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის I ნახევარში) ერთიანი ქართული ფუძე ენა უკვე დაშლილა ქართულ, ზანურ (მეგრულ-ჭანურ) და სვანურ ენებად. ცნობილია ისიც, რომ ძვ. წ. IV–II ათასწლეულებში ქართველური ტომების ადგილსამყოფელი მოიცავდა დღევანდელ საქართველოს, ჩრდილოეთით – ჩრდილო-კავკასიის ნაწილს, კავკასიის სამხრეთში და სამხრეთ-დასავლეთში – ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას და ჩრდილო მესოპოტამიას, დასავლეთით – შავი ზღვის სანაპიროებს.

მიუხედავად წყაროთა სიმცირისა, მეცნიერებმა გამოაშკარავეს ზოგიერთი ის ქართველი ტომები, სანამ მოხდებოდა მათი გაერთიანებების შედეგად სამეფოებად ჩამოყალიბება (ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურული) და ამის შემდეგაც. ზოგიერთმა ამ ტომებმა სხვადასხვა ვითარების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია. ზოგი ტომთა სახელწოდებები, დღევანდელ დღესაც ჩანს იმ გეოგრაფიულ სახელწოდებებში სადაც ისინი ერთ დროს სახლობდნენ, ან სხვა ხალხში გაითქვიფებოდნენ. მეცნიერთა აზრით, ქართლში შემორჩენილი გეოგრაფიული სახელწოდებანი: ალგეთი, ბაზალეთი, გოგარანი, თრიალეთი, კასპი, ჭართალეთი და სხვა, მაჩვენებელია იმისა, რომ შორეულ წარსულში ამ ადგილებში სახლობდნენ და ღებულობდნენ მონაწილეობას ერთიანი სახელმწიფოს, საქართველოს, ჩამოყალიბებაში.

„ამიერკავკასიაში ქართველთა ავტოქტონობას ქართველი ტომთა სახელწოდებების ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზიც ადასტურებს. დღეს ისტორიკოსების აზრით, მაგალითად, ქართლის ტომი საიდანღაც მოსული კი არ არის და „ქართლი“ გარედან მოტანილი სახელი კი არაა, არამედ აქვე, კავკასიის გეოგრაფიულ არეზე წარმოქმნილი ქვეყანაა, ისევე, როგორც „ეგრისი“ და სხვა, წინარექართველური ეთნოსის დიფერენციაციაც აქვე, ამ არეალში ხდება“. (8, ტ.I, გვ.117).

ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, არქეოლოგები და სხვა დარგის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, თავისი მდებარეობის გამო (მთავარი სამიმოსვლო გზა), შედარებით სხვა ქართველ ტომთა შორის, ყველაზე მეტად კულტურულად, მატერიალური სიმდიდრით და პოლიტიკური სიძლიერით, დაწინაურებული აღმოჩნდა ლიხსაქეთ მყოფი **„ქართ“-ის**

(**„ქართუ"-ს**) ტომი, რომელიც თანდათან ისე გაძლიერდა, რომ შეძლო თავის გავლენის ქვეშ მოექცია მეზობელი ქართული ტომები და „მისი სახელიც: ძვ. წ. VI საუკუნეში „ქართლი" უკვე მოიცავდა ტერიტორიას „ხუნანიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა" ანუ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს ჭოროხის აუზიანად შავ ზღვამდე. ამ ეთნოპოლიტიკური დიდი მოძრაობის პარალელურად, ჩანს, მიმდინარეობდა ბრძოლა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად. ასეთივე პროცესი უკვე ვითარდებოდა ლიხსიქეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იმავე ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა კოლხეთის (ეგრისის) დასავლურქართული სახელმწიფო, ხოლო ძვ. წ. IV ს-ის დასასრულისათვის კი დასავლურ-ქართული ტომების ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. უკვე გვიანბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის პერიოდში ანუ ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში დაწყებულ პროცესს ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებისას, ამ დროს კიდევ უფრო ძლიერი იმპულსი უნდა მისცემოდა". (8, ტ.I, გვ.130).

ცნობილია, რომ **ქართები** უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ლიხსაქეთ საქართველოს სამხრეთ მხარეში და ლიხსიქეთ საქართველოს აღმოსავლეთ მხარეში. ისტორიულ წყაროებში, ხშირად, ქართებით აღნიშნავდნენ ისტორიულ ქართლში მცხოვრებ მოსახლეობას. ამავე დროს, ქართებით აღნიშნავდნენ ყველა ლიხსაქეთ მყოფ ქართველ ტომებს, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ის ქართული, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ქართველური ენების (ქართული, ზანური, სვანური) ძირითადი ფუძეენის შერწყმისა და განვითარების შედეგად. ანტიკურ წყაროებში ქართებს აღნიშნავდნენ **„იბერების"** სახელწოდებით. რომ განესხვავებინათ ესპანეთში მცხოვრები იბერებისაგან („დასავლეთის იბერებისაგან") უწოდებდნენ „აღმოსავლეთ იბერებს".

საერთოდ, ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში, ლიხსაქეთ და ლიხსიქეთ მყოფ ყველა ქართველ ტომებს აღნიშნავდნენ **იბერების** სახელწოდებით.

ერთ დროს, მეცნიერთა ნაწილი თვლიდა და ამტკიცებდა, რომ ქართები და იბერიელები სხვადასხვა ტომები იყვნენ. ზოგიერთის აზრით იბერები, ლიხსიქეთ საქართველოში იმყოფებოდნენ და მეგრელებად ითვლებოდნენ, ზოგის კი, „იბერიის სამეფო თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში იყო, მაგრამ მხოლოდ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ბერძნული „იბერის" შესატყვისად ქართულად... „ჰერეთი", ტომს კი „ჰერები" რქმევია. ეს იბერები ლეკთა და ალბანელთა მონათესავე ტომი ყოფილა. საკუთრივ „ქართველებს" აღმოს. საქართველოს მტკვრის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალი ჰკუთვნებიათ". (2, ტ.I, გვ.206). მეცნიერებმა ეს მოსაზრებები უარყვეს. ი. ჯავახიშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ: „ეს მათი დებულება მცდარია" და რომ „პოლიტიკურადაც და ტერიტორიულადაც კლასიკური მწერლობის „იბერია" მთელ აღმოსავლურ საქართველოს, ანუ მაშინდელი ტერმინოლოგიით „ქართლს" უდრიდა". (2, ტ.I, გვ.210).

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ვითარების გამო გაქრა ტომები, მათ შორის ქართველური ტომებიც. გამქრალ, ეთნოგრაფიულ ერთეულებს შორის, ერთ-ერთ ქართველურ ტომს წარმოადგენდა **გოგარები**.

წყაროებიდან ჩანს, რომ გოგარების სამფლობელო – **გოგარენი** (ბერძნები ქვემო ქართლს უწოდებდნენ გოგარენეს, სომხები – გუგარქის), იყო ისტორიული ქვემო ქართლის მხარე, მდინარეების: ალგეთის, ქციის და დებედას შორის მიდამოები. თუმცა, დროთა განმავლობაში მისი საზღვრები განიცდიდა ცვალებადობას. სომხურ ერთ-ერთ წყაროში, მოთხრობილია, რომ ძველ დროს, გუგარქის საპიტიახშო მოიცავდა იბერიის სამეფოს მიწა-წყალს კლარჯეთიდან ხუნანამდე (მდ-ის ძეგამჩაისა და ჰასანსუსას შორის მიდამოებს. აზერბ. რესპ.). პირველად გოგარენი მოხსენებული აქვს ძველ ბერძენ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ს ტ რ ა ბ ო ნ ს (დაახლ. ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24). მისი გადმოცემით გოგარენი იყო იბერიის ერთ-ერთი მხარე. გუგარქი წარმოადგენდა იბერიასა და სომხეთს შორის სადაო მიწა-წყალს. ძვ. წ. II საუკუნეში გოგარენე სომხეთის სამეფომ დაიპყრო. ძვ. წ. I საუკუნეში ჩამოყალიბდა საპიტიახშო. ახ. წ. I საუკუნეებში ქართლის სამეფომ დაიბრუნა. II საუკუნის შემდეგ ისევ სომხეთს დაუპყრია. ცნობილია, რომ გოგარენე ხუთჯერ გადასულა ხელიდან ხელში. ხოლო საბოლოოდ, დაახლოებით 349 წლიდან, ქართლის სამეფომ შეძლო მისი

დაბრუნება. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „VII ს. სომეხ გეოგრაფის სიტყვით... გუგარქი იბერებს თავიანთვის დაუბრუნებიათ; იმავე გეოგრაფის მოწმობით იგი ქართველებს ეკუთვნოდა. „გუგარქი უტის მახლობლადა დევს და ცხრა ხეობას შეიცავს, რომელნიც ქართველებს უჭირავთ: ძოროფორი, კოლფისსვევი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარი, არტანი, ჯავახეთი და კლარჯეთი“-ო“. (2, ტ.I, გვ.430). ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსები გუგარქებს არასომხურ ტომად თვლიან. ზოგი კი – ქართველ ტომად მოიხსენიებს. სომხურ წყაროებში, ხშირად, ქართლის პიტიახშს (სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე), გუგარქის პიტიახშს უწოდებდნენ.

„გოგარენე-გუგარქის ტერიტორია გაფართოების ამსახველ ფაქტად მიაჩნიათ ქართული ტოპონიმი გუჯარეთი. ძვ. ქართული ადმინისტრაციული დანაწილებით საკუთრივ გოგარენე-გუგარქის გეოგრაფიული რეგიონი ემთხვევა სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას“. (10, ტ.3. გვ.196). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გოგარენების სამყოფელ ადგილს, დღევანდელ დღესაც შემორჩა სახელწოდება – გოგარენე.

ლიტერატურათმცოდნე პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა (1893–1983) წერს: „რომ გოგარენი მხარე ეს იყო მხოლოდ ერთი, შედარებით პატარა კუთხე, სახელდობრ გ ა რ დ ა ბ ა ნ ი ს მ ხ ა რ ე, რომელიც მდებარეობდა საქართველოს განაპირაზე და მოიცავდა ყოფილი განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრის ტერიტორიას“. (4, გვ.457).

„იბერიის ეს ძველი ისტორიული მიწა-წყალი გოგარენ-გარდაბანის პროვინცია (ყოფილი ყაზახის მაზრა განჯის მხარისა) თუმცა ანტიკურ ხანაში ერთხანად მოწყვეტილი იყო საქართველოს, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობა აქ ამ ხნის მანძილზე საგრძნობლად არ შეცვლილა: გოგარენ-გარდაბანის პროვინცია თავიდანვე ყოფილა ქართული მხარე და შემდეგადაც ძირითადში ქართულ მხარედვე დარჩენილა...

იმის გამო, რომ ისტორიული ქართლის ძველი ეთნოგრაფიული საზღვრები ახალ საუკუნეებში თანდათანობით შემცირდა და განჯის მხარის ყაზახ-შამშადილის პროვინციაში ქართული მოსახლეობა გვიან ხანაში მოისპო კიდეც, – საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევართ ეს კუთხე – ყაზახ-შამშადილი – სრულიად რჩებათ მხედველობის არედან საქართველოს ძველი მიწა-წყლის ფარგლების გათვალისწინების დროს; ეს კუთხე – ყაზახ-შამშადილი – არც კია მიჩნეული ისტორიული ქართლის ნაწილად... სინამდვილეში კი, როგორც გამოირკვა, ეს კუთხე განჯის მხარისა – ყაზახ-შამშადილი, ძველი „ქართველთა ველი“ (გარდაბნის მხარე) ისტორიულ წარსულში არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეთნიკურადაც ნაწილი იყო ქართლის ქვეყნისა“. (4, გვ.476).

მეცნიერთა მტკიცებით, სამხრეთ კავკასიაში იმყოფებოდნენ ქართველური ტომები, რომლებმაც, შემდეგში მონაწილეობა მიიღეს დროთა განმავლობაში, მძლავრი პოლიტიკური ერთეულებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში: „ნაირის ქვეყნები“, დაიაენი-დიაოხი, მიდიის, ძველი კოლხეთი და სხვ.

ფილოლოგი, თ ი ნ ა თ ი ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი (1919–2011) ჰეროდოტეს შესახებ წერს:

„ქართველი ტომების შესახებ ცნობების გადმოცემა ჰეროდოტესათვის არსებითი არ ყოფილა, მაგრამ სხვა მასალის გვერდით მას ამ რიგის მონაცემებიც მოეპოვება...

საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც ჰეროდოტეს დროის ქართველ ტომებს ეხება. ქართველ ტომებს შორის იხსენიებიან: კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინოკები, მარები. მათ მონათესავე ტომთაგან: ალაროდიები, მატიენები. არ არიან ჩამოთვლილნი, მაგრამ იხსენებიან ტომები, რომლებიც კავკასიის მთებში ცხოვრობენ (I, 203) და ის ტომებიც, რომლებიც კოლხების მეზობლები არიან ჩრდილოეთისაკენ (III, 97)“. (50, ტ.I, გვ.27).

ქართველური მოდგმის ტომების შესახებ მსჯელობისას, არ შეიძლება არ აღინიშნოს, ერთ დროს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები – **ხალიბები**.

„ხალიბები, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომთა ერთი ჯგუფის სახელწოდებაა ანტიკური ხანის მწერლების ცნობებში. ხალიბები იხსენიებიან ძირითადათ დასავლეთ-ქართველური ტომების (კოლხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მაკროკეფალები, ხალდები და სხვ.) გარემოცვაში. ქსენოფონტთან და სტრაბონთან „ხალიბების“ სინონიმად არის მიჩნეული ხალდები,

რომლებსაც VII ს. სომხური „გეოგრაფია“ ჭანებთან აიგივებს. ამიტომ ჩვეულებრივ ხალიბებსაც დასავლურ-ქართულ ტომებად მიიჩნევენ“. (10. ტ.11, გვ.418).

„ძვ. წ. აღრიცხვით XIV საუკუნეში, მცირე აზიაში, პონტოს რაიონში, კერძოდ, მდ. ჰალისის ხეობაში მცხოვრებმა მელითონეობით სახელგანთქმულმა ქართველური მოდგმის ტომმა – ხალდებმა (ხალიბებმა) პირველად მთელ მსოფლიოში შეიმუშავეს ჯერ რკინის დაფოლადების, ხოლო შემდეგ კი ფოლადის მიღების ტექნოლოგია, რამაც დასაბამი მისცა რკინის ფართოდ წარმოებას აღმოსავლეთსა და დასავლეთში. საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას – ფოლადის აღმოჩენას დასაბამი მიეცა იქ – პონტოს რაიონში, სადაც მეტალურგიასთან დაკავშირებით მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი პრობლემები გადაწყდა.... მსოფლიო მეტალურგიის ისტორიის პირველ და უახლოვეს გამოკვლევებში ხალიბებმა ტრადიციისამებრ კვლავ დაიკავეს თავიანთი კანონიერი, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ხელშეუხებელი ადგილი“. (48, გვ.44–47).

მეტად მცირე ცნობებია შემორჩენილი ერთ-ერთი გამქრალი ქართველური ტომის სასპერების შესახებ, რომლის ადგილსამყოფელი ყოფილა ლიხსაქეთ საქართველოს სამხრეთ მხარეში.

სასპერები ეტყობა, რომ საკმარისად დიდი ტომი ყოფილა. ჰეროდოტეს გადმოცემით: „სპარსელების ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობდნენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ სასპეირები, სასპეირების ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ასისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე“. (50, ტ.I, გვ.292). მეორე ადგილას, ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ: „კოლხეთიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპეირების ტომი; ამათ რომ გასცდები, უკვე მიდიაში ხარ“. (50, ტ.I, გვ.78). მისივე გადმოცემით, სპარსეთის მეფის ქსერქსეს (ძვ. წ. 485–465) დროს, სასპერები და ალაროდიელები შედიოდნენ მე-18 სატრაპიაში და „მატიანებს, სასპეირებს და ალაროდიელებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი“. (50, ტ.I, გვ.226). სასპერებს ქსერქსეს დროს მონაწილეობა მიუღიათ საბერძნეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში და „ალაროდიელები და სასპერიები კოლხების მსგავსად ლაშქრობდნენ“. „კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები. ამას გარდა დანები“. (50, ტ.II, გვ.435).

დღევანდელ დღეს სასპერების სახელწოდება შემოინახა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთმა კუთხემ – სპერმა. (ახლა თურქეთშია). მეცნიერთა ვარაუდით, ქართლის სამეფოს ძველბერძნული სახელწოდება – იბერია, მომდინარეობს სპერიდან (სპერი – ჰესპერი – იბერია). „სასპერების სახელწოდებას უკავშირებენ სპერის ოლქის, ძველი აღმოსავლური ხანის სუბარელთა (ხური-მითანელთა), აგრეთვე აღმოსავლურ-ქართული ტომების – იბერების სახელწოდებებს. ზოგიერთ მკვლევარს ისინი აქემენიდურ ხანაში ქართლის ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ იბერიის წინამორბედ გაერთიანებად მიაჩნდა“. (10, ტ.9, გვ.125).

გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ:

„ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში ხალიბებს სასპერები ცვლიან. ეს უკანასკნელნიც უეჭველად აღმოსავლურ ქართული ტომია, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ძველ-ქართული პროვინციის „სპერის“ სახელწოდება. სპერი ჭოროხის ზემო დინებაზე მდებარეობდა. მისი ნაშთია ისპირი დღევანდელ თურქეთში. მეორე მხრივ, სასპერთა სახელი ორგანულად არის დაკავშირებული აღმოსავლელ-ქართველთა ზოგად ეთნონიმთან – „იბერი“ (სპერი<იბერი), რომლითაც ისინი მოიხსენებიან ბერძნულ და რომაულ წყაროებში....

სასპერების ტერიტორია მოიცავს არა მხოლოდ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს და მდ. არაქსის შუა და ზემო დინებასაც. ჩრდილო-დასავლეთით ეს ქართული ტომები შავ ზღვამდე აღწევდნენ, რისი დასტურიცაა ის, რომ ძველ ქართულ წყაროებში შავ ზღვას „სპერის ზღუა“ ეწოდება“. (8, ტ.I, გვ.145).

მეცნიერთა მტკიცებით, ჩრდილოეთ კავკასიაში და შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეში მცხოვრები ტომები: **დვალები, ჰენიოხები, აქაელები (აქაველები), ქაშაგები, აფსილები, აბაზგები, სანიგები** და **სკვითინები**, განეკუთვნებოდნენ ქართველურ ტომებს. ქართველური ტომები იყვნენ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები, დასავლეთ კავკასიელები – **აქაველები**, რომლებსაც ემეზობლებოდნენ კერკეტები, ჯიქები და ქართველთა ერთ-ერთი ტომები **ჰენიოხები**, რომლებიც უძვე-

ლესი დროიდან იმყოფებოდნენ კოლხეთის მინა-წყალზე, ჯერ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ხოლო შემდეგ, ჩრდილოეთიდან ჯიქების შემოსევების გამო, გადასულან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, ჩილდირის ტბისა და მდ. ჭოროხის მიდამოებში.

ერთ-ერთ დასავლურ-ქართველურ ტომებს წარმოადგენდნენ **სკვითინები**. „უძველესი და ყველაზე სრული ცნობები სკვითინების შესახებ დაცულია ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს „ანაბასისში". სკვითინები ბინადრობდნენ მდ. ჭოროხის დასავლეთით, პონტოს ტავრის სამხრეთ კალთებზე, ტრაპეზუნტის ხაზამდე. სკვითინების სახელი დაცულია პონტოს ტავრის ამ ნაწილის უძველეს სახელწოდებაშიც – „სკვიდისში". ტერმინი „სკვიდისშს" საფუძვლად უდევს დასავლურ-ქართველური (მეგრულ-ჭანური) რიცხვითი სახელი შქვითი (შვიდი)....

როგორც ჩანს, სკვიდიშის ერთობა სახელმწიფოს ტიპის გაერთიანება იყო. რამაც დიდხანს ვერ იარსება. გვიანდელი წყაროები ასეთ ერთეულს აღარ ასახელებენ". (10, ტ.9 გვ.419).

როგორც ცნობილია, კავკასიის სამხრეთი, უძველესი დროიდან ნარმოადგენდა გამუდმებულ გამანადგურებელ სხვადასხვა ტომების მიერ, როგორც გარეშე ძალების (ჩრდილოეთის და ირანული ტომების, აზიაში და მახლობელ აღმოსავლეთში სახვადასხვა დროს წარმოქმნილი სახელმწიფოების), ასევე, აქ მყოფი ტომების ურთიერთ თავდასხმის მხარეს. რის გამოც ხდებოდა ხალხთა ამოძრავება და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკან გადაადგილება, ქართველ ტომთა გაერთიანება და ახალი პოლიტიკური ერთეულების, სახელმწიფოების, ჩამოყალიბება.

1. ძველი კოლხეთი.

მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ სამხრეთ კავკასიაში, თანდათან მეზობელ ტომებს შორის ურთიერთობა და ცხოვრების პირობები, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები, პირობებს ქმნიდა მონათესავე ტომთა გაერთიანებების ჩამოყალიბებისათვის. შემდეგში, ამ გაერთიანებებს შორის ხდებოდა უფრო მყარი დაახლოება და ურთიერთ შერწყმა. ეკონომიური ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საწარმოო და საომარი იარაღების, განსაკუთრებით რკინის მეტალურგიის განვითარებამ, ტომებს შორის ვაჭრობამ და ამავე დროს ურთიერთ ომებმაც, ხელი შეუწყო ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას.

კავკასიოლოგი ჯონი კეციანი აღნიშნავს, რომ: „კულტურათა მასალების შესწავლა საშუალებას იძლევა გავაკეთოდ დასკვნა, რომ II ათასწლეულის მეორე ნახევრის კავკასიაში იწყება პირველყოფილი საზოგადოების დაშლა და საფუძველი ეყრება ახალი კლასობრივი დიფერენცირებული საზოგადოების წარმოქმნას. სახელმწიფოებრივი კულტურის განვითარება კი ხელს უწყობს ეთნო-გენეტიკური პროცესების შემდგომ განვითარებას". (19, გვ.33).

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ძვ. წ. II – I საუკუნეებში, კავკასიის (დღევანდელი საქართველოს) სამხრეთ-დასავლეთში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, წარმოიქმნა ძირითადათ ქართველური ტომების დიდი გაერთიანებები: **დიაოხის** (დაიაენის, ტაო), **კოლხის** (კოლხეთის, კასკები), **ზაბახა** (ჯავახა, ჯავახეთი), **ვიძეროხი** (ოძრახე) და სხვ. ხოლო ანტიკური ხანის IV საუკუნეში, ლიხსაქეთ საქართველოში – **იბერიის** ანუ **ქართლის სამეფო.**

ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში მოხსენებულია „ზემოზღვისპირის მხარეში", მრავალრიცხოვანი ტომთა გაერთიანება, რომელშიც იგულისხმება **კოლხის** (კოლხას) დიდი გაერთიანება. რომელიც მოიცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალს და რომელსაც უხდებოდა ასურეთის და განსაკუთრებით ურარტუს სამეფოების შემოტევების მოგერიება.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „ასურული წარწერებიდან ჩანს, ქართველები 1 100 წლამდე ქრ. წ., ვიდრე მათ ასურეთის ბატონი ტიგლატპილესარ I დაამარცხებდა, უძლეველ ერად ითვლებოდნენ. თვით ასურეთის მეფე ამბობს, მუსკები ჯერ არც ერთ მეფეს არას დროს არ დაემარცხებინაო. მაშასადამე, წინათ ქართველები არამცთუ დამოუკიდებელნი უნდა ყოფილიყვნენ, ძლევამოსილი ერის სახელიცა ჰქონიათ მოხვეჭილი". (2, ტ.I, გვ.441).

ასურულ წყაროებში მოხსენებულ კოლხების შესახებ, ი. ჯავახიშვილის თქმით, ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის ლურსმულ ნარწერებში აღნიშნული მუსკები, ტაბალები და კასკები იგივე კოლხები არიან და რომ ქართველი ტომები მუდამ ბრძოლას აწარმოებდნენ ასურელებთან. იგი წერს:

„XI ს-იდან მოყოლებული მუსკები, ტაბალები და კასკები, რომელნიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და ხშირად ძლევამოსილ ბრძოლას აწარმოებენ ასურელების წინააღმდეგ. IX ს-იდან მოყოლებული ამ ბრძოლაში უკვე ასურელები იმარჯვებენ. მათ დამორჩილებასაც ახერხებენ და ყმადნაფიც სახელმწიფოებადაც ხდიან, ყოველწლიურ ხარკსაც ადებენ. ასურული წარწერებიდან ჩანს, რომ მუსკებს, ტაბალებს და კასკებს ამის შემდგომაც თავიანთი პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორება არა ერთხელ უცდიათ, მაგრამ ასურეთის მბრძანებლები კვლავ მათ დაჰპატრონებიან. ამ ბრძოლას კიმერიელთა მცირე აზიაში VII ს-ში შესევამ მოუღო ბოლო: დაამხო მაშინდელი მბრძანებლებიცა და ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღაც ჩრდილოეთისაკენ ნასწია. ამ დროიდან მოყოლებული მუსკებისა, ტაბალებისა და კასკების სახელი მცირე აზიაში ქრება და ქართველთა მოსახლეობის ასპარეზი შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროთი და ამიერკავკასიითღა განისაზღვრება“. (2, ტ. I. გვ.3).

ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ, ასურეთის მეფე სარგონ II-ემ (ასურ. შარუქინი) (ძვ. წ. 722–ძვ. წ. 705) „როგორც სხვა თავის მოხარკე ქვეყნებში, ისე კასკების ანუ კოლხების, ტაბალების და მუსკების სამეფოებში სარგონს საკუთარი მოხელეები და მოადგილეები დაუყენებია; ხარკი და გადასახადი დაუწესებია. მაშასადამე, ცოტალა აკლდა, რომ მათ შინაურ საქმეებშიაც ჩარეულიყო“. (2, ტ.I, გვ.442).

კოლხეთის გაერთიანება უფრო მომძლავრდა, როდესაც მან შეიერთა, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში მყოფი დიდი გაერთიანება, დიაოხის (ტაო) სამეფო. ამის შემდეგ ის უშუალოდ დაუპირისპირდა ურარტუს სამეფოს.

არქეოლოგიური და ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ძველ დროს **კოლხეთი** (კოლხა, კილხი, კასკები) განვითარებული და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა ყოფილა. აქ, ურარტუს წყაროების მონაცემებით კოლხები მისდევდნენ მესაქონლეობას, განვითარებული ყოფილა მინათმოქმედება და მეტალურგიაც. კოლხეთის ძლიერება და მისი სიდიადე აისახა ძველ ბერძნულ თქმულებებსა და მითებში. ერთ-ერთ ასეთ თქმულებას წარმოადგენს ძველი ბერძენი მწერლისა და მეცნიერის, აპოლონიოს როდოსელის (დაახლოებით ძვ. წ. 295–215) პოემა „არგონავტიკა“.

„ანტიკური ხანის ბერძენი მწერლები თავიანთ ცნობებს ძველ ქართველ ტომთა შესახებ ძირითადად არგონავტების თქმულების, ან მისი რომელიმე ეპიზოდის გადმოცემასთან დაკავშირებით წარმოგვიდგენენ. აქედან გამომდინარეობს ამ თქმულებისა და მის ნიადაგზე აღმოცენებული ლიტერატურული ძეგლების ყოველმხრივი შესწავლის განსაკუთრებული აქტუალობა. აპოლონიოსის „არგონავტიკა“ ერთ ასეთსა და, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს, იგი უძველესი და ბერძნულ წყაროებში ყველაზე უფრო ვრცელი თხზულებაა ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების – აია-კოლხეთის შესახებ. ისტორიული რეალური ვითარების საფუძველზე აღმოცენებული არგონავტების თქმულება აპოლონიოს როდოსელს დამუშავებული აქვს ელინისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი მწიგნობრული თვალსაზრისით. თქმულების ფანტასტიურ ჩარჩოებში პოეტი უხვად გადმოგვცემს სინამდვილის ამსახველ გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ ფაქტებს. აქ მას გამოყენებული აქვს სხვადასხვა რიგის წყაროები და მათ შორის სხვების მიერ ავტოფსიის გზით მოპოვებული მასალაც. აპოლონიოსი დანვრილებით აღწერს ყველაფერს, რაც კი არგონავტებს გზაში შეხვდებათ. იგი განმარტავს ამა თუ იმ ადგილის სახელწოდებას, გვამცნობს მდინარეთა მიმართულებას, კუნძულთა მდებარეობას და ამ მხარეებში მობინადრე ტომებს.....

„არგონავტიკაში“ დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს უძველესი ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. ამ ცნობათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება ქართველ ტომთა განსახლების საკითხის გათვალისწინება. აპოლონიოსი დანვრილებით მოგვითხრობს შავი

ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მოსახლე ქართველი ტომების სამკვიდრებელი ადგილის, ზნე-ჩვეულებებსა და ყოფა-ცხოვრების შესახებ." (51, გვ.21-22). აპოლონიოსის გადმოცემით, კოლხეთის დედაქალაქი „კუტაიისი", „რაც ქართულად „ქუთაისის" ბერძნული ფორმაა", (51, გვ.22), მდიდარი და ბრწყინვალე ყოფილა. კოლხეთი მრავალრიცხოვანი ხალხით ყოფილა დასახლებული და წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოს.

„კოლხეთი, არგონავტების მარშრუტის უკანასკნელი პუნქტი, „არგონავტიკაში" ორი სახელითაა მოხსენებული – აია-კოლხიდა „აია" და „კოლხიდა" აპოლონიოს როდოსელისათვის სინონიმებია... „აია" კოლხეთის (კოლხიდის) ძველი სახელწოდებაა. ყველა შემთხვევაში, სადაც კი აპოლონიოსი აიას მოიხსენიებს, კოლხეთის მხარე იგულისხმება (II, 417, 422, 1094, 1185; III, 306, 1061; IV 255). აიას სახელითაა კოლხეთი მოხსენებული ადრეული ხანის ბერძენ ავტორებთანაც, ჰეროდოტესთან, მაგალითად, აია და კოლხეთი გაიგივებულია. აიას აღიარება ქალაქად მერმინდელ ხანებშია დამკვიდრებული ცუდად ინფორმირებულ ზოგიერთ ბერძენ კომენტატორთა წყალობით..... აპოლონიოსის მიერ მონოდებული ცნობები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არა თუ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი უძველესი ქალაქის – ქუთაისის შესახებ". (51, გვ.22).

როგორც ცნობილია, ძვ. წ. VIII საუკუნის 20-იან წლებში, დღევანდელი სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან, ჩრდილოკავკასიიდან, დაიწყო კავკასიის სამხრეთსა და მცირე აზიაში დიდი შემოსევები. **კიმერიელთა** – აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებით, ხოლო, **სკვითების** – დარიალის ხეობიდან და კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროებით.

„სახელები „კიმერიელები", „სკვითები" ძველ დროს უფრო ხშირად კრებითი სახელწოდებების სახით იხმარებოდა, რომლებითაც აერთიანებდნენ სხვადასხვა მოდგმის ტომებს. მათ შორის ძირითად ბირთვს ჩრდილო-ირანული ტომები წარმოადგენდნენ, თუმცა ხშირად იგულისხმებოდნენ აგრეთვე ქართველთ მონათესავე ჩრდილო-კავკასიელი ტომებიც (დღევანდელი აფხაზურ-ადიღეური და დაღისტნური ტომების წინაპარი ტომები)." (7, გვ.35).

შემოსეულმა ტომებმა გაანადგურეს და გააჩანაგეს ამიერკავკასიისა და წინა აზიის, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ:

„კიმერიელებისა და სკვითების შემოსევებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამიერკავკასიისა და წინა აზიის ხალხთა ცხოვრებაში. მათ დაარბიეს და გააჩანაგეს მთელი რიგი ქვეყნები; ცეცხლითა და მახვილით გადაიარეს მცირე აზიაზე, შეიჭრნენ სირია-პალესტინაში და ეგვიპტის საზღვრებს მიადგნენ. დიდი ძველაღმოსავლური სახელმწიფოების (ეგვიპტე, ასურეთი, ურარტუ) ხელისუფლებმა ძალის დიდი დაჭიმვით შეძლეს დაეცვათ თავიანთი სამეფოები სრული განადგურებისაგან." (9, ტ.I, გვ.394).

მეცნიერთა ვარაუდით, როგორც ეტყობა, კიმერიელთა და სკვითების მიერ წინა აზიის, ამ დიდი ქვეყნების განადგურებაში, მონაწილეობას ღებულობდნენ, ამ ქვეყნების მიერ დაჩაგრული ამიერკავკასიისა და მის სამხრეთში მცხოვრები მცირე ტომებიც.

„სკვითებისა და კიმერიელების ნაწილი ამიერკავკასიის ტერიტორიაზეც დამკვიდრდა. ისინი დასახლდნენ, კერძოდ, საქართველოს იმ კუთხეში, რომელიც ქვემო ქართლის სახელითაა ცნობილი და აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე ოლქებში. აქ ისინი ერთხანს (VIII საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში) ყველაზე ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, რის გამოც ზოგიერთ ამ ოლქს მათი სახელიც კი დაუმკვიდრდა...

საინტერესოა, რომ ქართულ ენაში კიმერიელთა სახელი („გიმირი" – გმირი), ხოლო სომხურში კი სკვითების სახელი („საკა" – სკა „გოლიათს" ნიშნავს) განმადიდებელი შინაარსის საზოგადო სახელებად გადაიქცა." (7, გვ.35).

ცხადია, კიმერიელებს, პირველ რიგში უნდა დაეძლიათ კოლხეთის სამეფოს წინააღმდეგობა და რა თქმა უნდა, კოლხების მოსახლეობის ნაწილი ამ ბრძოლების შედეგად დაიღუპებოდა, ნაწილი, მეზობელ სახელმწიფოებში გაიხიზნებოდა, ხოლო დანარჩენნი კი მიუვალ ადგილებში შეაფარებდა თავს. კიმერიელთა შემოტევების შემდეგ, კოლხეთს მალე ახალი მოწინააღმდეგეები მოევლინენ: **მიდიელები** და **სპარსელები**.

მიდია („მადაი“) მოხსენებულია ჯერ კიდევ ძვ. წ. IX საუკუნის II ნახევარში ასურულ წყაროებში. მიდიელები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ირანულ ტომს. მიდიის სამეფო, წარმოიქმნა ირანის ჩრდილო-დასავლეთში, დღევანდელი აზერბაიჯანის სამხრეთ მხარეში. ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს და ძვ წ. VI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც მან დაიპყრო ასურეთი და ურარტუ, ის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა წინა აზიაში. მაგრამ, მის სამხრეთით, ჩამოყალიბდა სამხრეთირანული ტომების, სპარსეთის სამეფო. რომელიც თანდათან გაძლიერდა და მეფე კიროს II დიდმა (ძვ. წ. 558–530), ძვ. წ. 550 წ. შეიერთა მიდია. ამის შემდეგ მან დაიპყრო წინა და შუა აზიის ქვეყნები და ბაბილონიც. მიდიის დედაქალაქი **ეკბატანა** სპარსეთის სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. მის გამგებლობაში მოექცა სომეხი და სამხრეთით მცხოვრები ქართველი ტომებიც.

ძვ. წ. VI საუკუნეში სპარსეთმა შეძლო ძველი კოლხეთის სამხრეთის – სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მინა-წყალზე – მცხოვრები ქართველი ტომების დამორჩილება და აქ, ჰეროდოტეს გადმოცემით, შეიქმნა მე-19 სატრაპია, სადაც იყვნენ შესულნი: მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები.

„უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები ქართველი ტომების უშუალოდ შეყვანა თავის სამეფოს ფარგლებში სპარსელებმა ვერ შეძლეს. ამ დროს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდნენ დიდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები, რომელთა ენერგიული წინააღმდეგობის დაძლევა სპარსეთის მეფეებმა, ეტყობა ვერ მოახერხეს.“ (7, გვ.39).

კოლხეთის სამეფოს დამორჩილება სპარსელებმა ვერ შეძლეს. მაგრამ, ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსა და ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში, ბერძნული წყაროებიდან ჩანს, რომ კოლხები ეტყობა იძულებულნი გამხდარან, 5 წელიწადში ერთხელ ეგზავნათ სპარსეთში მონები – 100 გოგო და 100 ბიჭი და მაშველი ჯარიც გამოეყვანათ სპარსეთისათვის. თუმცა, როგორც ეტყობა, მალე, კოლხეთსა და სხვებსაც დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ. ძვ. ბერძენი ისტორიკოსის, სნავლულისა და მხედართმთავრის ქსენოფონტის (დაახლ. ძვ. წ. 435/431–355/354) გადმოცემით, (რომელიც ძვ. წ. 401 წ. იმყოფებოდა ამ მხარეში), „(სპარსეთის) მეფეს არ ემორჩილებოდნენ კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიტები და ტიბარენები“. (9, ტ.I, გვ.414).

ძვ. წ. III საუკუნიდან კოლხეთი „მოექცა იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ. კოლხთა მეფეები ქვეყანას სკეპტუქოსების მეშვეობით მართავდნენ, რომელთაც ენიჭებოდათ ხელისუფლების ნიშანი – კვერთხი (ბერძ. „სკეპტრონი“). ერთ-ერთი სკეპტუქოსი, ოლთაკესი, იხსენიება ძვ. წ. I ს-ის შუა წლებში.

ძვ წ. III – II ს-ის კოლხ მეფეთაგან კერძოდ, ცნობილი არიან აკი (III ს.), რომლის სახელითაც არის მოჭრილი ოქროს ფული, და სავლაკი (II ს.). ეს უკანასკნელი, როგორც „აიეტის შთამომავალი“ მეფე ულევი ოქრო-ვერცხლის მფლობელად ჰყავდათ რომაელებს მიჩნეული“. (7, გვ.65).

სპარსელები, კოლხეთის სამეფოში შემავალი ადგილობრივ ტომთა გაერთიანებების დამორჩილების შემდგომ, დაუსრულებელ ბრძოლებს აწარმოებდნენ კოლხეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებმა კოლხეთი დაასუსტეს და თანდათან, ვინაიდან ჩრდილოეთით უფრო შედარებით მოხერხებული და ბუნებრივი პირობები იყო, ამიტომ კოლხამ სამხრეთიდან, ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა და ძვ. წ. VI ს-ში, დღევანდელ საქართველოს ლიხსიქეთ მხარეში, შავიზღვისპირეთში, თანდათან ჩამოყალიბდა **კოლხეთის სამეფო**, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია როგორც **ეგრისის სამეფო**, რომლის დედაქალაქი უნდა ყოფილიყო მდ. ფაზისზე (მდ. რიონი) მდებარე, ქართული წყაროების მიხედვით **ციხე-გოჯი**, რომელიც იმყოფებოდა დღევანდელ ნოქალაქევის ადგილას. შემდგომში, ბიზანტიელი წყაროების მიხედვით, ამ ადგილას მდებარე ქალაქი, მოხსენებულია როგორც **ლაზიკის** დედაქალაქი **„არქაიოპოლისი“**, ანუ **„ძველი ქალაქი“**.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ სტრაბონი ნამყოფი ყოფილა კოლხეთში. მისი ნაშრომი „გეოგრაფია“, წარმოადგენს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და ეთნოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. მასში დაწვრილებით და საფუძვლიანადაა ასახული საქართველოს შესახებ ცნობები და გამოირჩევა დიდი სიზუსტით. „საინტერესო ცნობები აქვს სტრაბონს კოლხეთის ისტორიისათვის, რასაც იწყებს მითოლოგიური ხანით და მოჰყავს თავის დრომდე. სტრაბონის ცნობით, ელინ-

ისტური ხანის კოლხეთი ცალკეულ სეპტიუხებად ყოფილა დაყოფილი. ახასიათებს ქალაქებს: პიტიუნტს, დიოსკურიას, ფასის, შორაპანს, ტრაპეზუნტს. მნიშვნელოვანი ცნობები აქვს სვანების შესახებ (XI, 2. 14, 19). ალბანეთის ისტორიისათვის სტრაბონის „გეოგრაფია" ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. დაწერილებით აღწერს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს (ჰენიოხები, აქაიები, კერკეტები). სტრაბონი პირველი ავტორია, რომელიც ახსენებს ჯიქებს შავი ზღვის ამ სანაპიროზე (XI, 2. 14 და სხვ.), მანამდე ისინი სარმატიის ველებზე იმყოფებოდნენ. სტრაბონი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე იხსენიებს ტომთა მთელ ჯგუფს: სისპირიტებს, ტიბარენებს, ხალდებს (ხალიბებს), სანებს (მაკრონებს), მოსინიკებს, ჰეპტაკომეტებს, ბიძერებს (XI–XII წიგნები), მოსხებს. სტრაბონის „გეოგრაფია" არის ერთ-ერთი წყარო იმ დიდი სავაჭრო გზის გასათვალისწინებლად, რომლითაც ინდური საქონელი შავ ზღვამდე აღწევდა (II. 1, 15)". (10, ტ.9, გვ.576).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „შავი ზღვის აღმოსავლეთის მხარე და კავკასია.... სტრაბონზე ადრე არავის არ აუწერია..... მაშინდელი ამიერკავკასია ოთხ უმთავრეს ნაწილად იყო დაყოფილი: შავი ზღვის პირას კოლხეთი მდებარეობდა, მერე იბერია იყო, რომელსაც ალბანია მისდევდა კასპის ზღვამდე, სამხრეთი სომხეთს ეჭირა..... სტრაბონის დროსაც კი, ესე იგი პირველი საუკუნის დამდეგს ქრ. წ., კოლხეთი დიდ სამეფოდ ითვლებოდა და შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები ეპყრა. სტრაბონის თხზულების სხვადასხვა ცნობების საშუალებით შეიძლება გამოვარკვიოთ, რა საზღვრები ჰქონდა მაშინ კოლხეთს. „ჰენიოხების იქით, კავკასიისა და მესხეთის მთებს შორის, ამბობს შესანიშნავი გეოგრაფი, კოლხიდა მდებარეობსო". მაშასადამე, კოლხიდის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის უღელტეხილი ყოფილა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მესხების მთები. ეს დასკვნა სტრაბონის მეორე ცნობითაც მტკიცდება. „ზღვის ნაპირი, – ამბობს იგი, – პიტიუნტსა და დიოსკურიადასთან თავდება; კოლხიდის ეს ადგილებიც ხომ ამავე ზღვის ნაპირს ეკუთვნის. დიოსკურიადას მისდევს ზღვის პირას დანარჩენი კოლხიდის მიწები და მისი მოსაზღვრე ტრაპიზონიო". ქ. ბიჭვინთა და დიოსკურიადა კოლხიდაში ყოფილა. მაშასადამე, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მეზობლად ტრაპიზონი ჰქონია; ცხადია ეს ქალაქი კოლხიდას არ ჰკუთვნებია. აღმოსავლეთით კოლხიდას იბერია საზღვრავდა, მიჯნად კოლხეთის ციხე შორაპანი იყო. დასავლეთით ხომ შავი ზღვა ერტყა". (2, ტ.I, გვ.423).

ძვ. წ. VI–III საუკუნეებში კოლხეთის სამეფო, წარმოადგენდა მძლავრ, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოს. ამ დროს „კოლხეთში იჭრებოდა ვერცხლის ფული (კოლხური თეთრი), რომელიც საშინაო ბაზრისათვის იყო განკუთვნილი.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქებთან (ბათუმი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფასისი, გიენოსი, დიოსკურია) დაარსებული ბერძნული ფაქტორიების მეოხებით ძვ. წ. VI–V საუკუნეებში კოლხეთი აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო ბერძნულ სამყაროსთან". (10, ტ.5, გვ.596).

ი. ჯავახიშვილს მოჰყავს სტრაბონის მონათხრობი კოლხების შესახებ: „კოლხეთი ხილეულობით მდიდარი იყო; სელი, კანაფი, ცვილი და ფისიც უხვად იყო; იქაური სელის ქსოვილებს ხომ დიდი სახელი ჰქონდა ხოლმე. გემების ასაშენებელი ტყეც ბლომად მოიპოვებოდა ადგილობრივად და უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ. ერთი სიტყვით ხალხი აქ, როგორც ჩანს, მეურნეობასა და მრეწველობას მისდევდა და მარტო თავისთვის სახმარებლად კი არ აკეთებდა, არამედ უცხოეთში გასასყიდადაც; ეტყობა აღებ-მიცემობას ფეხი მაგრად ჰქონია მოკიდებული. კოლხეთში რამდენადმე განთქმული სავაჭრო ადგილი იყო, სადაც ხალხი ახლო-მახლო ადგილებიდან თავს იყრიდა ხოლმე. ერთ ასეთ ადგილად კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში დიოსკურია ითვლებოდა; რიონზე კიდევ „კოლხების სავაჭრო ნავსადგური" ფაზისი იყო, რომელიც სწორედ იქ იდო, სადაც მდინარე რიონი ზღვას ერთვოდა და სადაც ეხლა ქალაქი ფოთია. იმ განთქმულ სავაჭრო გზასაც, რომლითაც ირკანის ზღვით, მერე ალბანიით, იბერიით, მტკვრით და რიონით შავ ზღვამდე საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში ინდოეთიდან საქონელი მიჰქონდათ ხოლმე, სწორედ კოლხეთში ჰქონდა ბოლო; მაშინ გემები მდინარე რიონზე ციხე შორაპნამდე დადიოდნენ. რასაკვირველია, ამისთვის მდინარე ყოველთვის უნდა გაეწმინდათ და უწმენდიათ კიდეც. კოლხებს სხვაგვარ გზებზედაც უზრუნვიათ: რიონს რომ მიმოსვლა არ შეეფერხებინა, სტრაბონის სიტყვით, მდინარეზე 120 ხიდი ყოფილა გა-

კეთებული. ხოლო შორაპნიდან მოყოლებული იბერიის საზღვრამდე ოთხი დღის სავალი ურმის გზა იყო გაყვანილი. ერთი სიტყვით, ქვეყანა და ხალხი განვითარებული და დანინაურებული ყოფილა". (2, ტ.I, გვ.30).

როგორც ვხედავთ კოლხეთში ვითარდებოდა ვაჭრობა – აღებ-მიცემა, რომლის გამოც იქმნებოდა ბერძნული სავაჭრო ახალშენები, ქალაქები: **ფაზისი** (ფოთი), **დიოსკურია** (სოხუმი), **პიტიუნტი** (ბიჭვინტა), **ტრაპეზუნტი**, და სხვა.

„ეს ახალშენები ჩვეულებრივ ადგილობრივ უკვე არსებულ სამოსახლოთა ადგილას ან მათ მეზობლად ეწყობოდა. ამიტომ კოლხეთის სანაპიროზე არსებული ბევრი ამ ახალშენის მოსახლეობა ძველიდანვე ნარევი იყო: მოსულ უცხოელებს, ბერძნებს, გარდა, მასში მრავლად შედიოდნენ ადგილობრივი მკვიდრნიც. ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წონა დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მატულობდა.

გარდა უცხოეთში გასაზიდად განკუთვნილი საქონლისა, ადგილობრივი მოსახლეობა ბერძნულ ახალშენებს ანვდიდა მათი მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო სურსათსაც. აქაურ ბერძნებს შორის იყვნენ საამისოდ გამოყოფილი პირები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაჭრობას აწარმოებდნენ. მათ ადგილობრივი მოსახლეობის ენაც იცოდნენ." (7, გვ.42). მართალია, შავი ზღვისპირეთში თანდათან შეიქმნა ბერძნული ქალაქები, მაგრამ წყაროებიდან და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მტკიცდება, რომ უმრავლესობა ამ ქალაქებისა წარმოიქმნა ადრე არსებულ ამ ადგილებში დასახლებულ ადგილებზე. როგორც მაგალითად, კოლხეთის ერთ-ერთი ცნობილი ქალაქი **დიოსკურია**, რომელიც ძვ. წ. VIII–VI საუკუნეში უკვე ცნობილი იყო.

ამ ბერძნულ ახალშენების შესახებ ისტორიკოსი ნ ო დ ა რ ლ ო მ ო უ რ ი წერს:

„ესენი, ე. წ. «ბერძნული კოლონიები» წარმოადგენდნენ ადგილობრივი ქალაქების ცენტრებს, რომელთა წარმოქმნისა და ორგანიზაციაში მართალია მონაწილეობას ღებულობდნენ ბერძნები, მაგრამ მათი მონაწილეობა იყო მეტად მცირე. ეს ქალაქები თავიდანვე წარმოადგენდნენ კოლხეთის სამეფოს ორგანულ ნაწილს, მათი მოსახლეობის უმეტესობა იყო ადგილობრივები. ვინაიდან... ფაზისი, დიოსკურია და გიენოსი (ფსევდო-სკილაქს კორიანდელის მიერ მოხსენებული როგორც «ელინების ქალაქები») არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ძვ. წ. VI საუკუნეებზე უფრო ადრე. ამ დროს უკვე არსებობდა კოლხეთის სამეფო, რომელიც ჩამოყალიბდა უკიდურეს ბერძნულ კოლონიების მინა-წყალზე. ე. ი. დამოუკიდებელი ქალაქ-პოლისების არსებობა გამორიცხულია...

კოლხეთის სამეფოში არსებული აღნიშნული ქალაქების წარმოქმნისას, მნიშვნელოვნად აჭარბებდა ადგილობრივი არქეოლოგიური მასალები ისეთ პუნქტებში, როგორც დიოსკურია, ქ. ფაზისის მიდამოებში, გიენოსი, შედარებით მცირე ბერძნული კულტურის გავლენა ეტყობა არა თუ მთელ კოლხეთში, არამედ ამ ქალაქების «ქორებში». თვით დასახელება ფაზისი და დიოსკურია, მიუხედავად უკანასკნელის აშკარა ბერძნულის მსგავსებისა, მომავალი ცალკეული ანტიკური ავტორების მითითებები, აღნიშნავენ ფაზისისა და დიოსკურიას, სწორედ როგორც ადგილობრივი ტომების სავაჭრო ცენტრებს. ყველაფერი ეს ერთად აღებული, ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ ზემოთ დასახელებული ქალაქები წარმოადგენდნენ ადგილობრივი ქალაქების ცენტრებს. ისინი, სხვა ქალაქებთან ერთად (ვანი, დაბლაგომი, ქუთაისი და სხვ.) წარმოიქმნენ VI–V ჩვ. წელთაღრიცხვამდე კოლხეთში შიდა პროცესების განვითარებისა და არა როგორც ბერძნული კოლონიზაციის გამო, რაც შეეხება ბერძნულ მოსახლეობას, უეჭველია, აქ არსებობდნენ, ისინი წარმოადგენდნენ ე მ პ ო რ ი ე ბ ს, ს ა ვ ა ჭ რ ო ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ს, ბერძნების მიერ დაარსებულ სხვადასხვა დროს ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს ც ე ნ ტ რ ე ბ ში. მაშასადამე, განსხვავებით სხვა დანარჩენი შავი ზღვის სანაპიროებისა, კოლხეთში არ არსებობდნენ დამოუკიდებელი ბერძნული ქალაქ-პოლისები... რომლებმაც შემდეგში შეასრულეს გარკვეული როლი ურთიერთ მიმართ დასავლეთ საქართველოს ანტიკურ სამყაროსთან". (103, გვ56–57).

ახ. წ. I ს-ის დასაწყისში დიოსკურიის ადგილას ან მის მახლობლად, გ ა ი უ ს ი უ ლ ი უ ს ო ქ ტ ა ვ ი ა ნ ე ა ვ გ უ ს ტ უ ს ი ს (ძვ. წ. 63–ახ. წ. 19) დროს, რომაელებმა ააშენეს ციხე-სიმაგრე და მასში მუდმივად სამხედრო ნაწილები ჩააყენეს. ამ ციხე-სიმაგრეს დაერქვა **სებასტოპოლისი**. (103,

გვ.211). დიოსკურია არსებობდა VI საუკუნემდე. ზღვის ნაპირის დანევისა და ზღვის შემოჭრის შედეგად, ის თანდათან ჩაიძირა და ამჟამად მისი ნანგრევები მოქცეულია ზღვის ფსკერზე.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია, რომ კოლხეთის მეორე ქალაქი **პიტიუნტიც** (ეხლანდელი ბიჭვინთა), ჯერ კიდევ ძვ. ნ. II საუკუნეში კოლხეთში დასახლებული ადგილი ყოფილა. სტრაბონის „გეოგრაფია"-ში პიტიუნდი მოხსენებულია როგორც „დიდი პიტიუნდი". ხოლო რომაელი მწერლის, სწავლულისა და სახელმწიფო მოღვაწის პ ლ ი ნ ი უ ს ი ს (გაიუს პლინიუს სეკუნდუსი) (23/24–79) (უფროსი) გადმოცემით პიტიუნტი ყოფილა მდიდარი ქალაქი და ის ჰენიოხებს გაუძარცვავთ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მტკიცდება, რომ გაძარცვის შემდეგადაც პიტიუნდში ცხოვრება გრძელდებოდა და ახ. ნ. II საუკუნის ბოლოს ის წარმოადგენდა ციხე-სიმაგრეებით გამაგრებულ ქალაქს, სადაც მდგარა რომის საჯარისო ნაწილები. II საუკუნის ბერძენი მეცნიერი კლავდიუს პტოლემე (პტოლემაოსი) „პიტიუნდსს ასახელებს როგორც «ძლიერ სიმაგრეს» ან «ძლიერ კედელს»". (103, გვ.242). ახ. ნ. III საუკუნეებში პიტიუნდის ციხეებშიც იდგა რომაელთა სამხედრო ნაწილები, რომლებიც იცავდნენ რომის იმპერიას მთიელთა შემოტევებისაგან. ასევე ერთ-ერთი ძველი და შუა საუკუნეების ხანის კოლხური ქალაქი და ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე **ფაზისიც** (ფასისი) წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ქალაქს. ის რომის იმპერიის დროს წარმოადგენდა გამაგრებულ ქალაქს. აჭარის მხარის შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ჭოროხის შესართავთან მდებარე ერთ-ერთი ისტორიული **გონიოს ციხესიმაგრე** (აფსარუნტი, აფსაროსი) ადრე დასახლებული ყოფილა. ცნობილია, რომ ახ. ნლის II საუკუნეში კარგად გამაგრებული და კეთილმოწყობილი ციხე ქალაქი ყოფილა და აქ მდგარა რომაელთა ხუთი კოჰორტა.

ნ. ლომოური აღნიშნავს, რომ ქალაქები: აფსარი, ფაზისი, სებასტოპოლისი და პიტიუნდი „წარმოადგენდნენ ადგილობრივ ქალაქების ცენტრებს, სადაც ან მათ ახლოს იქმნებოდნენ რომაელთა სიმაგრეები". (103, გვ.217).

კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროს ციხე-ქალაქები, რომლებშიდაც განლაგებული იყვნენ რომის საჯარისო ნაწილები, II საუკუნის ბოლოსა და განსაკუთრებით III საუკუნის შუა ხანებში უფრო ფართოვდებოდნენ და ძლიერდებოდნენ.

ეგრეთწოდებული ბერძნული ქალაქები დიდ როლს ასრულებდნენ რომაელთა შესვლას და გავრცელებას მცირე აზიაში და აღმოსავლეთში. რადგან, ბერძნული ახალშენები მხარს უჭერდნენ რომაელებს. ისინი წარმოადგენდნენ დასაყრდენ ძალას რომაელებისათვის. ძირითადათ მაღალი წრის წარმომადგენლები და მდიდარი ვაჭრები ემხრობოდნენ რომაელებს, რადგან მათგან ღებულობდნენ ყოველგვარ შეღავათებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ „ბერძნული ქალაქები ყველგან და ყოველთვის არ წარმოადგენდნენ რომაელების დასაყრდენ ძალას, ხშირად გამოდიოდნენ რომაელების წინააღმდეგ და შეურიგებელი მონინააღმდეგეები იყვნენ რომაელთა ბატონობისა. ასე ხდებოდა დასავლეთ შავიზღვისპირეთში. (103, გვ.297).

გარდა ამ ახალშენებებისა, კოლხეთის მიწა-წყალზე არსებობდა „ადგილობრივი ქალაქები – სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები. ისინი უმთავრესად მდინარეების, კერძოდ მდ. რიონის, სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდნენ. ამგვარი პუნქტები ყოფილა, მაგალითად, იქ, სადაც ამჟამად დაბა (რაიონის ცენტრი) ვანი და სოფელი დაბლაგომია, (ეს უკანასკნელი სამტრედიის რაიონშია). აქ არქეოლოგებმა გამოავლინეს თავდაცვითი ნაგებობისა და კრამიტით დახურულ ქალაქურ შენობათა ნაშთები; ჩანს პროფესიონალური ხელოსნობის განვითარება, მრავლადაა ნაპოვნი მონეტები და სხვ. იქვე საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა უცხოური საფუფუნებო საგნები – შავლაკიანი ჭურჭელი, საღვინე ჭურჭელი და სხვ., რომელთა მომხმარებელიც ამ ქალაქების მდიდარი ზედაფენა უნდა ყოფილიყო.

იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში სასაქონლო წარმოებისა და აღებ-მიცემის განვითარების მაღალ დონეს მოასწავებს აგრეთვე ადგილობრივ მოჭრილი ვერცხლის მონეტების სიმრავლე, რაც თავის დროზე ფულის გაცხოველებულ ტრიალს გულისხმობს. ამ ფულს „კოლხურ თეთრს" უწოდებენ." (7, გვ.44).

მაგრამ, განვითარებული მხარე, მხოლოდ კოლხეთის ბარის მოსახლეობა იყო. ხოლო, მასში შემავალი უამრავი მთის მოსახლეობა-კი, ჯერ კიდევ, ჩამორჩენილ, პირველყოფილ თემური წყობილების წესებით ცხოვრობდა.

როდესაც კოლხეთის სამეფოში ხელისუფლება დასუსტდა, ადგილობრივი მმართველობა მოიშალა და ხელისუფლებამ ვერ შეძლო მთიანეთის მეომარი მოსახლეობის მორჩილებაში ყოლა, მთიელებმა დაიწყეს ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებში ბარში და ზღვის სანაპიროებზე ჩამოსახლება. თანდათან, აქ ჩამოყალიბდა **აბაზგების, აფშილების, ლაზებისა** და **მახელონ-ჰენიოხების სამეფოები.**

წყაროებიდან ჩანს, რომ ეს სამეფოები, ახ. წ. I საუკუნიდანვე, გარკვეულ ადგილს იკავებენ, კოლხეთისა და მის მეზობელ მხარეების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი დამორჩილება რომაელებმა ძალით ვერ შეძლეს და ამიტომ ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ მათთან. ხოლო ამ სამეფოების მეთაურებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინად რომაელთა კავშირი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში, კოლხეთის (ეგრისი) მინა-წყლის ნაწილი – დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი მხარე და მათ შორის კოლხეთის სამეფოში შემავალი კუთხე – **არგვეთი** (მარგვეთი), რომელიც ლეონტი მროველის მიხედვით „მოიცავდა ტერიტორიას ლიხის ქედიდან რიონამდე და რაჭის მთებიდან ფერსათის მთებამდე. ე. ი. ახლანდელი ორჯონიკიძის, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონებისა, ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების ტერიტორიას“. (10, ტ.1, გვ.556) და მესხეთის ნაწილს, ახლად წარმოქმნილ ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრებში მოექცა.

ნ. ლომოური წერს, რომ:

„ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისი, – ქართლის სამეფოს დამოუკიდებლობის დასაწყისის და მისი გაძლიერების ხანაა... ამ დროს სავსებით შესაძლებელია დასავლეთ საქართველოს ცალკეული ოლქები მას შეეერთებინა. ერთ-ერთი მხარის – არგვეთთან დამოკიდებულებით ეს დასტურდება ანტიკური წყაროებით და არქეოლოგიური მონაცემებით. დასანანია, რომ არ შეიძლება იგივეს თქმა აჭარის შესახებ. ჩვენს განკარგულებაში არ არის დამატებითი მონაცემები, შეგვეძლოს გვეთქვა, რომ II საუკუნეში ჩვ. წ-მდე კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთის მხარე შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. მით უმეტეს, ზოგიერთი ანტიკური ავტორების მონაცემები ამბობენ საპირისპიროს.

ასე, მაგალითად: სტრაბონი აღნიშნავს, რომ კოლხეთი გადაჭიმულია ტრაპეზუნტის მხარემდე და მოსხების მხარეც (... მესხები) არ ეკუთვნის მთლიანად იბერიას, მისი ერთი ნანილი შედის კოლხეთის შეადგენლობაში“. (103, გვ.68).

„არგვეთის საერისთავო ქვეყანა იყო. ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, აქ ჯერ კიდევ ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს დაუსვამს ერისთავი. მასვე აუგია შორაპანისა და დიმის ციხეები. ვახტანგ გორგასალის დროს არგვეთი თაკვერსაც მოიცავდა.....

გვიან ფეოდალურ ხანაში არგვეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სათავადოები: საწერეთლო, სააბაშიძეო, საჩხეიძეო და სამხეიძეო“. (10, ტ.1, გვ.556)

როგორც ცნობილია კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით ძვ. წ. 302/301 წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში წარმოიქმნა ელინისტური სახელმწიფო **პონტოს სამეფო**. ძვ. წ. 121 წელს პონტოს მეფე გახდა მ ი თ რ ი დ ა ტ ე VI ე ვ პ ა ტ ო რ ი, დ ი ო ნ ი ს ე (ძვ. წ. 132–ძვ. წ. 63), რომელმაც საჯარისო ნაწილები გარდაქმნა, დაიწყო სამეფოს გაფართოება და ცდილობდა მცირე აზიიდან რომაელების განდევნას. მან შემოიერთა მცირე არმენია, დაიპყრო კოლხეთის, ბოსფორის სამეფოები და ყირიმის ბერძნული ქალაქები. მცირე ხნით შეძლო **კაპადოკიისა** (მცირე აზიის შუა ნაწილში) და **ბითინიის** (ისტორიული ოლქი მცირე აზიის ჩრდილოეთ დასავლეთში. დღევანდელ თურქეთში) შემოერთებაც. შემდეგში, მისი მთავარი მოწინააღმდეგე გახდა რომი.

წყაროებიდან ჩანს, რომ მითრიდატე VI ევპატორს ბრძოლით დაუმორჩილებია კოლხეთი. გარდა მთიანი მხარეებისა (სვანეთი) და არგვეთისა, რომელიც შედიოდა იბერიის სამეფოში.

პირველი ცნობები საქართველო-რომის ურთიერთობის შესახებ მოცემულია ისტორიკოსის მ ე მ ნ ო ნ ი ს (ძვ. წ. I ს-ის ბოლო – ახ. წ. I ს-ის დასაწყისი) „ჰერაკლეს“ ქრონიკაში, სადაც ასახულია

მითრიდატე VI ევპატორის ურთიერთ დამოკიდებულება კოლხეთთან და იბერიასთან, და მათი ურთიერთობა რომთან. (103, გვ.9). მემნონი აღნიშნავს, რომ მითრიდატეს მოუხდა ფაზისის მეფეების „ბრძოლით დამორჩილება". (103, გვ.73). შემდეგშიც, მას არაერთხელ უხდებოდა აჯანყებული კოლხეთის დაშოშმინება. რომაელი ისტორიკოსის და სამხედრო მოღვაწის აპიანე ალექსანდრიელის (დაახლ. 90–170) ცნობით, მითრიდატე „ძვ. წ. 83 წ. ებრძოდა გამდგარ „კოლხებსა" და „ბოსფორელებს", ამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მითრიდატემ კოლხეთის მმართველად დააყენა თავისი ვაჟი, რომელსაც აგრეთვე მითრიდატე ერქვა. მაგრამ მალე ეს უკანასკნელი ღალატში იქნა ეჭვმიტანილი და სიკვდილით დაისაჯა.

ისტორიული კოლხეთის ყველა რაიონში პონტოს მმართველთა ძალაუფლება, რა თქმა უნდა, ერთნაირი არ იყო. ყველაზე მტკიცედ ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონში დამკვიდრდნენ. აქ მდებარე ზღვისპირა ქალაქები მათი მთავარი დასაყრდენი გახდა. კოლხეთის ცენტრალური და ჩრდილო რაიონის მთიან მხარეებში კი ეს ძალაუფლება ეფემერულ ხასიათს ატარებდა. აქ, ჯერ ისევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში მცხოვრები მოსახლეობა ფაქტიურად ალბათ დამოუკიდებელი იყო და პონტოს ხელისუფალთა მიმართ არავითარ ვალდებულებას არ ასრულებდა." (9, ტ.I, გვ.475).

„როგორც ჩანს, კოლხეთს, პონტოს სამეფოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სტრაბონის სიტყვით, «აქედან მიდიოდა მეფესთან მთავარი მაშველი ძალა საზღვაო ძალების ორგანიზაციისათვის». ვინაიდან სტრაბონი, ცოტა ზემოთ ლაპარაკობს მასზე, რომ კოლხეთი მითრიდატე VI-ეს ანვდიდა ძირითად ხე-ტყის მასალას ფლოტის ასაშენებლად. ამავე დროს, მოგვითხრობს, ფართოდ სახელგანთქმულ კოლხეთის სელის ტილოს შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ მითრიდატე ქირაობდა აქ მეზღვაურებსაც, აგრეთვე სახმელეთო რაზმებსაც". (103, გვ.77).

წყაროებიდან ჩანს, რომ პონტოს მიერ კოლხეთის დაპყრობის დროს კოლხეთს უკვე დაკარგული ჰქონდა ძველი დიდება და ის ამ დროს აღარ წარმოადგენდა მძლავრ სახელმწიფოს, ეტყობა, ამ დროს მასში შემავალ ტომებს გადაცემული ჰქონდათ ძალაუფლების ნაწილი და სტრაბონის გადმოცემით, მათ ჰყავდათ თავიანთი მმართველები.

ამ დროს, კოლხეთის მეფეთა ხელისუფლების სისუსტის გამო, ცალკეული ტომების მმართველები მიილტვოდნენ დამოუკიდებლობისაკენ და აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს. „შინაური წინააღმდეგობებისაგან მოუძლურებულ მეფეს სქეპტუქოსებიც აღარ ემორჩილებოდნენ. ისე რომ, როდესაც პონტოს მპყრობელი მითრიდატე კოლხეთს დაესხა, აქ მას მეფის ხელისუფლება დაკნინებულ-დანაწილებული დახვდა. მითრიდატე ადვილად დაეუფლა კოლხეთს, რომელსაც კარგა ხანს მართავდნენ მითრიდატეს პირები – მოაფერნე და სხვ. ხოლო როდესაც რომაელებმა გაიმარჯვეს ამიერკავკასიაში, იბერიიდან კოლხეთში შემოჭრილმა (ძვ. წ. 65 წ.) პომპეუსმა მითრიდატის გავლენის აღმოსაკვეთად იქ მეფედ დასვა ვინმე არისტარქი. შემონახულია ამ მეფის სახელით მოჭრილი დრამა (ძვ. წ. 52 ჭ.). კოლხეთის სამეფოს აღარც არისტარქის შემდეგ დაბრუნებია ადრინდელი პოლიტიკური მდგომარეობა". (7, გვ.65).

როგორც აღვნიშნეთ, პონტოს სამეფოს გაძლიერებას, წინ აღუდგა რომი და მითრიდატეს მოუხდა რომთან შებრძოლება. ძვ. წ. 89–85 წლების პირველ ომში, მითრიდატემ მცირე აზიიდან განდევნა რომაელები და გადავიდა საბერძნეთში, მაგრამ დამარცხდა. ძვ. წ. 83–81 წლებში, მეორე ომში, მცირერიცხოვანი შეტაკეკები ჰქონდა რომაელებთან. ხოლო ძვ. წ. 74–63 წლების „მესამე მითრიდატიულ ომში", გადამწყვეტ ომში, იგი რომაელ მხედართმთავრისა და პოლიტიკური მოღვაწის ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსთან (დაახლ. ძვ. წ. 117–დაახლ. ძვ. წ. 56) ბრძოლის დროს დამარცხდა, გაიქცა სომხეთში და იქიდან განაგრძობდა ომს. დროებით შეძლო დაებრუნებინა პონტოს სამეფო. მაგრამ, შემდეგ, ძვ. წ. 66 წელს აღმოსავლეთის მთავარსარდლად დანიშნულმა გნეუს მაგნუს პომპეუსმა (ძვ. წ. 106–ძვ. წ. 48), არაერთი ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ დაამარცხა მითრიდატე. რომელიც გამოიქცა კოლხეთში და თავი შეაფარა დიოსკურიას, საიდანაც ფიქრობდა რომაელების წინააღმდეგ ომის გაგრძელებას. იგი ჯერ გადავიდა ბოსფორის სამეფოში და დასაჯა მის მიერ ბოსფორის (ყირიმის) მმართველად დანიშნული მოღალატე ძე **მახარე**. შემდეგ, ორი წლის განმავლობაში ემზადებოდა ომისათვის, მაგრამ მას უღალატეს ახლობლებმა: ცოლმა

სტრატონიკემ, რომელმაც პომპეუსთან მოლაპარაკება გამართა მისი შვილის **ქსითარას** გამეფების გამო, ახალმა სარდლებმა, მისმა დამცველებმაც და მისმა შვილებმა, მათს შორის საყვარელმა შვილმა **ფარნაკემ**.

მწერალი და ისტორიკოსი ლევან სანიკიძე (1925–2001) წერს, რომ:

„მითრიდატემ შვილთან დაზავება სცადა. მან ზედიზედ აახლა თავისიანნი ფარნაკეს.

იგი სთხოვდა შვილს, დაენდო მამის სიცოცხლე ისე, ვითარცა მამამ შეინდო შვილი ამასწინანდელი ღალატისათვის. უკიდურეს შემთხვევაში, იმდენი გულმონყალება მაინც გამოიჩინე, უვნებლად წასვლის ნება მომეცი და სამეფო ტახტი შენთვის დამილოცნიაო, – ემუდარებოდა მითრიდატე შვილს.

მაგრამ ფარნაკე მამაზე უფრო სასტიკი და შეუბრალებელი აღმოჩნდა.

ის ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: მითრიდატე უნდა მომკვდარიყო.

რა გაეწყობა: უნდა მომკვდარიყო. მითრიდატე აღმოჩნდა ის კაცი, რომელმაც ღალატით გარშემორტყმულ მთელ თავის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ აპატია ღალატისათვის, ისიც თავის ღვიძლ შვილს, – და ეს ერთადერთი პატიებაც მისთვის საბედისწერო გამოდგა. მამამ შვილის შეწყალებისათვის იგივე შვილისაგან სამაგიერო შეწყალება ვერ მიიღო". (26, ნ.I, გვ.62). მითრიდატემ, უერთგულესი მსახურისა და საჭურველთმტვირთველის შემწეობით, თავი მოიკლა. ასე დასრულდა ძვ. ნ. 63 წელს მითრიდატესა და რომის ომი.

„მითრიდატე VI იყო ენერგიული, ფიზიკურად ძლიერი, განათლებული, (ფლობდა 22 ენას), ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, ამასთანავე ძალზე მკაცრი და შეუბრალებელი. მის დროს პონტოს სამეფოს ვრცელ სახელმწიფოში შევიდნენ სხვადასხვა ხალხები და ტომები, მათ შორის ქართველური ტომებიც". (10, ტ.6, გვ.684).

წყაროებიდან ირკვევა, რომ ერთხანს, დაახლოებით ძვ. ნ. 70 წელს, კოლხეთი შედიოდა ბოსფორის სამეფოში და მითრიდატეს შვილი მახარე, იმყოფებოდა კოლხეთში. მემნონის გადმოცემით მითრიდატე VI-ის და ლუკულუსის ბრძოლის დროს კოლხეთში მყოფი მითრიდატეს შვილი მახარე (ზოგიერთი მეცნიერები თვლიან, რომ შვილის სახელი მემნონს შეცდომით აქვს მოხსენებული) დაუკავშირდა ლუკულუს და მთელი სურსათი რომელიც იყო განკუთვნილი პონტოსათვის, გადაუგზავნა რომაელებს.

ლ. სანიკიძე წერს, რომ: მეორედაც, მახარემ „პომპეუსს გამოუცხადა მორჩილება". (26, ნ.I, გვ.48). მითრიდატეს დამარცხების შემდეგ, „გნეუს პომპეუსმა სცადა დამარცხებული მითრიდატეს დევნა, მაგრამ, როცა მეფემ კოლხეთისაკენ გადაუხვია, თავი მიანება მას და პონტოს წინააღმდეგ ომი დამთავრებულად ჩათვალა. მან პონტო მთლიანად ჩაიბარა და მითრიდატეზე საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად უკანასკნელი ბრძოლის ადგილზე დააარსა ქალაქი ნიკოპოლისი („გამარჯვების ქალაქი"). პომპეუსმა პირველყოვლისა იქ დაასახლა დაჭრილი მეომრები; მათთან ბევრი ახლომახლო ადგილობრივი მცხოვრებიც დასახლდა". (26, ნ.I, გვ.49).

მითრიდატე VI-ის დამარცხების შემდეგ პომპეუსმა სომხეთი, ალვანეთი და იბერია დალაშქრა. პომპეუსმა „იბერია რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად" გამოაცხადა.

რაკი იბერიის მხრივ უშიშროება უზრუნველყო, პომპეუსმა არმიები კოლხეთისაკენ დაძრა. რომაელებმა გადაიარეს ლიხის მთა და ძირულა-რიონის ხეობაში დაეშვნენ. ისინი გზადაგზა ადგილობრივ ქართულ ტომთაგან ზოგს იმეგობრებდნენ, ზოგსაც იარაღით იმორჩილებდნენ.

ასე მიაღწიეს ქალაქ ფაზის.....

მცირე ფიქრის შემდეგ პომპეუსმა ირწმუნა, რომ იგი ვერ შეძლებდა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ლაშქრობას და გადაწყვიტა ეს წელი (656) ლეგენდარული კოლხეთის სრული დამორჩილებისათვის მოენდომებინა. მან ფასისიდან გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ...

მაგრამ რომაელები, რაც უფრო ჩრდილოეთით მიიწევდნენ, მით უფრო მარცხდებოდნენ მამაც მთიელ ქართველობასთან შეტაკებებში.

პომპეუსმა დროზე იცოდა თავის შეკავება. ამჯერადაც მან შეუძლებლის შეძლებაზე ხელი აიღო და სამხრეთისაკენ შემობრუნდა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიები სამმართ-

ველოდ გადასცა ვიღაც არისტარქეს..... და თვითონ ალბანეთის წინააღმდეგ დაიძრა". (26, ნ.I, გვ.56). ხოლო 63 წელს ბოსფორის მეფედ დანიშნა მითრიდატე VI ევპატორის მეორე შვილი ფარნაკე. რომელიც როგორც ზევით აღვნიშნეთ, აუჯანყდა მამამისს და სასიკვდილოდ გაიმეტა.

IV საუკუნის კომპილატორებს ევტროპიუსს და ფესტუსს თავიანთ ნაშრომებში არისტარკე „მეფედ" ჰყავთ მოხსენებული, მაგრამ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ არისტარქე წარმოადგენდა ადგილობრივ (კოლხეთის) ერთ-ერთ დიდებულს (სეპტუხი), რომელიც ადრე მიემხრო პომპეუს, ანდა პომპეუსის კოლხეთში შემოსვლისას მას მხარი დაუჭირა. (103, გვ.115); იგი მართავდა კოლხეთის ძირითად მხარეს, ხოლო ტრაპეზუნტის მხარე გადასცა, მცირე აზიაში, ანატოლიაში მდებარე გალატიის მეფე დეიოტარს. როგორც დავინახეთ, პონტოს სამეფოს განადგურების შემდეგ, რომმა ბრძოლებით დაიპყრო კოლხეთიც, „ხოლო ჩრდილო კოლხეთის მთიელი ტომები არავის ემორჩილებოდნენ". (9, ტ.I, გვ.506). და კოლხეთი რომის ერთ-ერთი კუთხე გახდა.

ცნობილია, რომ ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარში, თვით რომში პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ გადაიზარდა სამოქალაქო ომში და ბოლოს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რომის სათავეში მყოფი „ტრიუმვირატი"-ს („სამთა კავშირი"), წარმომადგენლები: გნეუს მაგნიუს პომპეუსი, მარკუს ლიციინიუს დიეეს კრასუსი (ძვ. წ.115–ძვ. წ. 53) და გაიუს იულიუს კეისარი (ცეზარი) (ძვ, წ, 100–ძვ. წ. 44).

ძვ. წ. 53 წ. მარკუს კრასუსი, მესოპოტამიის უდაბნოში, პართიელებთან ომის დროს დაილუპა. ხოლო იულიუს კეისარმა ძვ. წ. 48 წლის 9 აგვისტოს ფარსალთან მორიგ გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა პომპეუსი. იგი ეგვიპტეში გაიქცა. სადაც მოკლეს ეგვიპტის მეფის ბრძანებით.

რომის არეულობით ისარგებლა ბოსფორის მეფე ფარნაკემ და მან ბოსფორის მმართველად დატოვა ასანდრე (მეცნიერთა ვარაუდით ასანდრე სპარტოკიდების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო) და ძვ. წ. 48 წელს მცირე ხნით დაიპყრო კოლხეთი, პონტო და მცირე არმენია. სტრაბონის გადმოცემის თანახმად, ცხადი ხდება, რომ ფარნაკს ბრძოლით მოუხდა კოლხეთის დაპყრობა, რადგან ამ დროს კოლხეთს მართავდა პომპეუსის მიერ დატოვებული არისტარქე. ამ ბრძოლების დროს, როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან ჩანს, განადგურებულა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი **ვანი**, რომელიც ძვ. წ. III საუკუნიდან ხდება სატაძრო ცენტრი. ამ ქალაქის გარდა, როგორც ეტყობა, ფარნაკეს უხდებოდა კოლხეთის სხვა ქალაქების ბრძოლით აღება. ამავე დროს, ფარნაკეს გაუძარცვავს მესხეთის **ლევკოეთის** სამლოცველო.

სტრაბონი გადმოგვცემს, რომ: „მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოეთის სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული"; მისივე თქმით: „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე – იბერებს და მესამე – არმენიელებს". (9, ტ.I, გვ.506).

გნეუს პომპეუსზე გამარჯვების შემდეგ, იულიუს კეისარმა სწრაფად გაილაშქრა ფარნაკეს წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხა. ფარნაკემ ძლივს მოასწრო ბრძოლის ველიდან გაქცევა. ცნობილია, კეისრის მიერ, ამ ბრძოლის შესახებ, რომში გაგზავნილი წერილი: „Veni, vidi, vici", „ვენი, ვიდი, ვიცი" („მოვედი, ვნახე, ვძლიე").

ბრძოლიდან გამოქცეული ფარნაკე ზღვით დაბრუნდა ბოსფორში, მაგრამ ძალაუფლების გადაცემაზე უარი განუცხადა ასანდრემ და მასთან ბრძოლის დროს ფარნაკე დაიღუპა. ასანდრეს იმედი ქონდა, რომ კეისარი მას გადასცემდა ბოსფორის სამეფოს, მაგრამ ვინაიდან კეისარი მას არ ენდობოდა, ამიტომ ფარნაკის სამფლობელოები გადასცა მის მოკავშირე პერგამონის (სახელმწიფო მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში. ძვ. წ. 283–193 წწ. დედაქალაქი პერგამონი – დღევ. ბერგამი), მეფე მითრიდატეს და რომში დაბრუნდა. ჩანს, რომ ასანდრესა და მითრიდატეს შორის ბრძოლის მოედნად კოლხეთი იქცა. მაგრამ, თუ როგორ მიმდინარეობდა კოლხეთში ბრძოლები, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ნ. ლომოური წერს:

„ვის შეეძლო ამჯერად წინააღმდეგობის გაწევა მითრიდატე პერგამონელისათვის?...

ჩვენის აზრით, დასტურდება, რომ 48–47 წწ-ში ჩვ. წ-მდე კოლხეთი გახდა დიდი მოვლენების მოედანი, პონტოს სამეფოს აღდგენასთან დაკავშირებით. დასანანია, რომ წყაროებმა მეტად მცირე ცნობები შემოგვინახეს ამ მოვლენებთან დაკავშირებით კოლხეთის მონაწილეობის შესახებ. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ, ზოგჯერ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ წარმოდგენით და ვარაუდით". (103, გვ.124).

დიდების მწვერვალზე ასული, რომის ერთპიროვნული მმართველი, გაიუს იულიუს კეისარი ძვ. წ. 44 წლის 15 მარტს შეთქმულებმა რომის სენატში მოკლეს და რომში ხელახლა დაიწყო არეულობა.

ძვ. წ. 43 წლის ოქტომბერში შეიქმნა „მეორე ტრიუმვირატი". რომელსაც რომის იმპერია 5 წლით გადაეცათ სამართავად, რომლის წარმომადგენლები: მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე მარკუს ანტონიუსი (ძვ. წ. 83–ძვ. წ. 30), პოლიტიკური მოღვაწე მარკუს ემილიუს ლეპიდუსი (უმცროსი) (დაახლ. ძვ. წ. 89–ახ. წ. 13), და გაიუს იულიუს ოქტავიანე ავგუსტუსი (ძვ. წ. 27 წლიდან რომის იმპერატორი). როგორც პირველი ტრიუმვირატის დროს, შემდეგში, ისინი ერთმანეთს დაერივნენ.

ტრიუმვირატებმა რომის იმპერიაში მოქცეული ქვეყნები გაინაწილეს: ლეპიდუსს გადაეცა სამართავად ესპანეთი, იმპერიის აღმოსავლეთი ერგო ანტონიუსს, ხოლო – დასავლეთი ოქტავიანეს.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ როდესაც მარკუს ანტონიუსი აზიაში მოვიდა, მან კოლხეთი პართიას დაუქვემდებარა და ის კარგა ხნის მანძილზე წარმოადგენდა პონტოს სამეფოს ერთ-ერთ მხარეს.

„კოლხეთი აღარ წარმოადგენდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს. ახ. და ძვ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე იგი რომაელთა პონტოს მეფის პოლემონ I-ის სამფლობელოში აღმოჩნდა... პოლემონის შემდეგ, სტრაბონის ცნობით, კოლხეთს, ისევე როგორც ტრაპეზუნტს, ფარნაკიას და „მათ ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებს" მართავდა პოლემონის ქვრივი პითოდორიდა... იგი განაგებდა ხალდებსა და ტიბარენებსაც... ე. ი. ჩვ. ერის დასაწყისში, როდესაც წერდა თავის თხზულებას სტრაბონი, მისი ძალაუფლება, ჩანს, თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსზე ვრცელდებოდა". (9, ტ.I, გვ.507).

აქ, კოლხეთის ზღისპირეთის ქალაქებში, რომაელებმა ჯარი ჩააყენეს. თუმცა, მალე, თვით რომში წარმოქმნილი პოლიტიკური მდგომარეობისა და კოლხეთში, როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე სამხრეთიდან მთიელი ტომების ჩამოსახლების გამო, რომის ხელისუფლებას ვეღარ შესწევდა ძალა, რომ მათ გამკვლავებოდნენ და ამიტომ რომაელები ცდილობდნენ კოლხებთან და ამ მთიელ ტომებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ.

რომის იმპერატორი ავგუსტუსი ცდილობდა აღმოსავლეთში შეექმნა თავის საზღვრების გარშემო ისეთი რომისადმი დამორჩილებული სამეფოები, რომლებიც დამოუკიდებლობასაც შეინარჩუნებდნენ და ამავე დროს შეასრულებდნენ ერთგვარ ბუფერულ ზონებს რომსა და მის გარშემო სამყაროს შორის. ასეთ სამეფოს წარმოადგენდა ავგუსტუსის დროს კოლხეთი. თუმცა, 54 წლიდან რომის იმპერატორის ლუციუს კლავდიუს დრუზუს გერმანიკუს ცეზარ ნერონის (ნერო) (ახ. წ. 37–68) დროს, პონტოს სამეფოსთან მიერთებული კოლხეთის სამეფო გადაიქცა რომის ერთ-ერთ კუთხედ. მან კოლხეთის ზღვისპირეთის გამაგრების თვალსაზრისით, ციხესიმაგრეებში ჩააყენა საჯარისო ნაწილები. ხოლო ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს (ახ. წ. 9–79) დროს, კოლხეთში მდგომი საჯარისო ნაწილები უფრო გაიზარდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ დროს, რომის ხელისუფლება კოლხეთში მაინც არ იყო მყარი. კოლხები ყოველთვის იბრძოდნენ დამოუკიდებლობისაკენ და როგორც კი შემთხვევა ეძლეოდათ გამოდიოდნენ რომის წინააღმდეგ.

კოლხეთის სამეფო რომის იმპერიის დროს, მაინც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რადგან, ნ. ლომოურის თქმით: „კოლხეთის მოსახლეობას შორის, არ იყო ის ფენა რომელზედაც რომი შეძლებდა დაყრდნობას. აქ ანტიკური პოლისების უქონლობა, მონათფლობილური წარმოების ნესების სისუსტე, მჭიდრო ურთიერთკავშირი მუნიციპალურ წყობილებასთან, ხელს უშლიდა რომის გავლენის დანერგვას და კოლხეთის პროვინციად გადაქცევის მცდელობა განწირული იყო". (103, გვ.151).

„რომმა ვერ შეძლო საბოლოოდ კოლხეთის პროვინციად გადაქცევა, ხოლო ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში, ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია ადგილობრივი მართველების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებისათვის, მის წინ იდგა საშიშროება მთლიანად ამ სახელმწიფოს დაკარგვისა და ის იძულებული იყო ეცნო ცალკეული ტერიტორიულ-ეთნიკური ერთეულების წინამძღოლების დამოუკიდებლობა, რომ შეენარჩუნებინა ფორმალურად სიუზერენობა და გავლენა კოლხეთზე. ამავე დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადგილობრივი მოსახლეობის ანტირომის განწყობილების მატების გამო, რომი იძულებული იყო მუდმივად მიეღო სხვადასხვა ზომები და ნასულიყო ზოგიერთ დათმობებზე, რომ შეენარჩუნებინა თავისი გავლენა დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, IV საუკუნის II ნახევრიდან კოლხეთის სანაპირო მიდამოებში უკვე აღარ იდგა რომის სამხედრო ნაწილები, ლაზები აღარ იხდიდნენ გადასახადებს და აღარ მონაწილეობდნენ რომის სამხედრო ლაშქრობებში". (103, გვ.293).

მიუხედავად ახ. წ-ის I–II საუკუნეებში კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებისა, კოლხეთი მაინც ახერხებდა კულტურული ცხოვრების შენარჩუნებას და საზოგადოების წინსვლას. მას „შველოდა დიდი შემოქმედებითი ტრადიციები. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ეგრისში ისევ მაღალ დონეზე იდგა სამეურნეო კულტურა, ხელოსნობის დარგები, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება.....

საქალაქო მშენებლობა მაშინ ხასიათდებოდა უმთავრესად აღდგენითი მუშაობით. განუახლებიათ ქუთაისის, ციხე-გოჯის, შორაპნისა და სხვათა ციხე-გალავნები, ძველ დიოსკურიის ახლოს აშენდა სებასტოპოლისი, აღდგენილი ჩანს ფოთიც.

მონინავე ქვეყნებთან კოლხეთის სააღებმიცემო ურთიერთობა მკაფიოდ არის ასახული იმდროინდელ მონეტებში, პართულ, რომაულ, კოლხურ ოქრო-ვერცხლის ფულებში.

კოლხეთში არსებობდა ელინისტური გიმნასიონები („გიმნაზიები"), სადაც იწრთვნებოდნენ ტანვარჯიშში, ფილოსოფიაში. კონსტანტინოპოლელ ფილოსოფოსსა და რიტორ თემისტიოსს (IV ს.), მისივე მოწმობით, სადღაც ფოთის „ახლოს" ჰქონდა შეთვისებული რიტორიკა. კულტურულად დაწინაურებულ კოლხეთს ის ადარებდა სახელოვან ელადას. ეგრისში გავრცელებული იყო ბერძნული მწიგნობრობა". (7, გვ.86).

II საუკუნის დასაწყისში, შავი ზღვის მთიანეთიდან ჩამოსახლებული ტომებისაგან, ისტორიულ კოლხეთის მიწა-წყალზე, წარმოიქმნა რამდენიმე სამეფო. სამხრეთით ჩამოყალიბდა ჰენიოხებისა და მათთან ერთად გაერთიანებული მაკრონების (მახელონების) „სამეფო"; მის ჩრდილოეთით – ლაზების, აფშილების და აბაზგების „სამეფოები", რომლებიც ცდილობდნენ რომიდან თავის დაღწევას. რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსის (დაახლ. 55–116) გადმოცემით, პონტოში 69 წელს მოხდა რომის წინააღმდეგ აჯანყება. „კოლხი უნდა ყოფილიყო რომაელთაგან „ბარბაროსად" წოდებული ბელადი აჯანყებისა, შერქმეული სახელით – ანიკეტი („უძლეველი"), ერთ დროს მონა, შემდგომ სიმამაცისა და ზღვაოსნურ ხელოვნებისათვის გააზატებული და ფლოტის სარდლად დაწინაურებული.

ანიკეტმა ისარგებლა რომში ამტყდარი სამოქალაქო ომით" (26, წ.1, გვ.92) და მიიმხრო პონტოს მცხოვრებლები. აჯანყებულები ტრაპიზონტში შეიჭრნენ. გაუნადგურებიათ აქ მდგომი რომაული კოჰორტა (ქვეითი ჯარის რაზმი). ხელთ იგდეს ქალაქი, ხომალდები და ზღვაზე დაიწყეს თარეში. რომის იმპერატორმა ტიტუს ვესპასიანემ ამბოხების ჩასახშობად ჯარი და ფლოტი გამოგზავნა, გამოგზავნილ ჯართან შეტაკებისას „ანიკენტი დამარცხდა და გადარჩენილი თანამებრძოლთა თანხლებით კოლხეთს მიაშურა. იგი მიადგა მდინარე ენგურის შესართავს და თავშესაფარი სთხოვა ლაზთა ერთ-ერთი ტომის" (26, წ.I, გვ.93), – **სედოხეზების** მეფეს. რომაელებმა მეფეს მოსთხოვეს ანიკენტის გადაცემა, ომითაც დამუქრებიან და საჩუქარიც აღუთქვიათ. რომმა გამცემლობის შედეგად შეძლო ანიკეტის ხელში ჩაგდება. ანიკენტის აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარის, ტრაპეზუნტის მახლობლად მცხოვრები კოლხები.

მკვლევართა აზრით, **სედოხეზები**, ლაზური ტომი იყო, რომელიც ცხოვრობდა ძველი კოლხეთის სანაპიროზე, მდ. ხობის შესართავთან. „მაგრამ სპეციალური ძიება სხვა მკვლევართ აფიქრებინებს, რომ მასში უფრო დღევანდელი ენგური უნდა იგულისხმებოდეს." „სედოხოზების მეფის საქციელი-

დან ჩანს, რომ კოლხეთის სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს რომაელთადმი საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირათ თავი". (9, ტ.I, გვ.542). მეცნიერები ფიქრობენ, II საუკუნის დასაწყისში ლაზთა სამეფოში შედიოდა.

„II ს. მეორე ნახევარში და III ს. კოლხეთში მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

რომაელებს ძალა არ შესწევდათ კონტროლი გაეწიათ მდგომარეობისათვის კოლხეთის შიგნით, მაგრამ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი დასაყრდენი პუნქტები ამ ქვეყანაში, კერძოდ, ზღვისპირა ციხე-ქალაქები, რაც უზრუნველყოფდა მათ მიმართ ადგილობრივი მმართველების ნომინალურ დამოკიდებულებას მაინც". (9, ტ.I, გვ.552).

III საუკუნის პირველ ნახევარში, თვით რომში დაიწყო სამოქალაქო ომი. ამავე დროს დაიწყო რომის ჩრდილოეთის მხრიდან მომთაბარე ტომთა შემოტევები. ხოლო, შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ მხარეში, სპარსეთისა და კოლხეთის ჩრდილოეთიდან **გოთთა** გერმანული ტომების თავდასხმები. ამის გამო, კოლხეთსა და საერთოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დასრულდა რომის ბატონობა.

III საუკუნის ბოლოს დაიწყო რომის იმპერიის დაშლა და IV საუკუნეში რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფის შედეგად, მის აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, წარმოიქმნა ბიზანტიის იმპერია, რომლის დედაქალაქი გახდა, იმპერატორ კონსტანტინე I-ის (306–337) მიერ ბიზანტიონის ადგილას 324–330 წლებში დაარსებული **კონსტანტინოპოლი**. რომელმაც იარსება XV საუკუნის შუა წლებამდე. 1453 წლის 29 მაისს, ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ II ფათიჰიმ (დამპყრობელი) (1432–1481) აიღო კონსტანტინოპოლი და ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადა.

მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, ბიზანტიის იმპერიის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, ისტორიული კოლხეთის სამხრეთში, ძველი პონტოს სამეფოს ადგილზე, საქართველოს მეფის 1184-დან თამარ მეფის (დაახლ. 1160–1213) დროს, 1204 წელს შეიქმნა **ტრაპიზონის იმპერია** (ტრაპეზუნტის იმპერია). რომლის დედაქალაქი იყო **ტრაპეზონი**. მის მოსახლეობას ძირითადათ წარმოადგენდნენ ქართველები (ლაზები, ჭანები) და ბერძნები. ამ იმპერიის შექმნით, თამარ მეფის სამეფო კარი ცდილობდა, რომ ძველი ქართული მიწა-წყალი ისევ საქართველოს დაბრუნებოდა. 1461 წელს, ომალეთის სულთანმა მეჰმედ II-ემ მთლიანად დაიპყრო ტრაპიზონის იმპერია და ის ოსმალეთის ერთ-ერთი კუთხე გახდა. ამით დასრულდა ბიზანტიის იმპერიის არსებობა, ის გახდა ოსმალთა იმპერიის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი.

საქარველოს საზღვართან წარმოქმნილ ბიზანტიის იმპერიას, ზოგჯერ დაძაბული და ხან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა როგორც ლიხსიქეთ, ისე ლიხსაქეთ საქართველოსთან და შემდგომ გაერთიანებულ სამეფოსთან. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შედეგად, საქართველო აღმოჩნდა მაჰმადიანთა მიერ გარემოცული და საქართველო მოსწყდა გარე სამყაროს, შეწყდა ევროპასთან თავისუფალი პოლიტიკურ-კულტურული კავშირი. ბიზანტია წარმოადგენდა საქართველოსათვის უმოკლეს გზას დასავლეთისაკენ.

2. ლაზიკის სამეფო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახ. წ. I–II საუკუნეებში აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის მიწა-წყალზე, ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური ერთეულები: ჩრდილოეთში, სებასტოპოლისის მიდამოებში – **სანიგების სამეფო**, ეხლანდელ გალის მიდამოებში – **აფშილების** (აფსილების) **სამეფო**, სანიგებსა და აფშილებს შორის, ახლანდელ ოჩამჩირის მიწა-წყალზე – **აბაზგთა სამეფო**, აფშილთაგან აღმოსავლეთით – **სვანეთი**, ხოლო კოლხეთის სამხრეთში, მდ. აფსარის (ჭოროხი) შესართავის სამხრეთით მდ. არქაბისის (ახლანდელ არქაბეესუ) შესართავამდე **ზიდრიტების სამთავრო**, რომელიც იბერიას ემორჩილებოდა; სამხრეთშივე ჩამოყალიბდა ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული **ჰენიოხების სამეფო**; ტრაპეზუნტის მიდამოებსა და მის აღმოსავლეთ მხარეში – **მაკ-**

რონები; „ხოლო აფშილეთ-სვანეთიდან სამხრეთით ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული იყო დიდ ქართველ ტომთა, მეგრელ-ჭანთა და ლაზთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ბერძნები ლაზიკეს უწოდებდნენ, ხოლო მოძმე იბერიელები – ეგრისს.

სწორედ ლაზეთ-ეგრისი შეიქნა ძველთაძველი კოლხეთის სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის მემკვიდრე". (26, ნ.I, გვ.93).

ლაზიკის სამეფო-სამთავრო, მოხსენებული იყო რომაულ წყაროებში.

კოლხეთის მინა-წყალზე ამ ერთეულების ჩამოყალიბება, უცებ არ მომხდარა. ის წარმოიქმნა თანდათან სოციალურ-ფეოდალური წყობილების წარმოქმნით და ამავე დროს რომის იმპერიის ხელშეწყობით.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მთლიანი დასავლეთი საქართველოს მაგიერ 134 წ. ქ. შ. უკვე ქვეყანა ოთხ სამეფოდ დაქუცმაცებული ყოფილა. როგორც ჩანს, რომაელებს თავიანთი საყვარელი პოლიტიკური მცნება divide et impera აქაც განუხორციელებიათ და გაერთიანებული კოლხეთის მაგიერ ოთხი სამეფოს შექმნისათვის ხელი შეუწყვიათ". (2, ტ.I, გვ.174).

გ. მელიქიშვილის თქმით, მომთაბარე ტომების მიერ ამ ახალ ერთეულების ჩამოყალიბების დროს, რომის იმპერიას ზედამხედველობის საშუალება არ ჰქონდა და ამიტომ ის იძულებული იყო ეცნო მხოლოდ მათი თავისუფლება და დაკმაყოფილებულიყო მათი მეფეების ფორმალური ვასალური დამოკიდებულებით.

ლაზები დასახლებულნი იყვნენ ცენტრალურ კოლხეთის შავიზღვისპირა ადგილებში.

მეცნიერთა აზრით, ლაზები „უმთავრესად დასავლურქართული (ჭანური) ტომები იყვნენ", (9, ტ.I, გვ,540), რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანი მხარეებიდან ჩამოსახლდნენ. ლაზიკა წარმოადგენდა ისტორიულ მხარეს „დასავლეთ საქართველოში. ფეოდალური ხანის ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია. მოიცავდა ტერიტორიას მდ. რიონის ქვემო დინებასა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის (გვიანდელი გურია, საჯავახო-საჩინოს ჩათვლით და შავი ზღვის აჭარის სანაპირო მხარე)..... VIII ს-იდან ლაზიკის პროვინციის უდიდესი ნაწილი გურიის სახელით მოიხსენიება". (10, ტ.6, გვ.106).

პლინიუსის გადმოცემით, ლაზები იმყოფებოდნენ ჭოროხის შესართავში ზღვისპირა ზოლში. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ სახელწოდება ლაზეთი, ლაზები, შეიძლება მომდინარეობდეს „ჯერ კიდევ ურარტულ წყაროებში ამ მხარეში მოხსენებული ლუს(ა)// ლოს(ა)-ტომის სახელწოდებიდან". (9, ტ.I, გვ.540).

ზღვისპირეთში ჩამოსახლებული ტომები თანდათან შეერივნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ ენით მონათესავე დასავლურქართულ (კოლხურ) ტომებს და წარმოიქმნა **ლაზიკის სამთავრო**. ჩამოსახლებულ ტომთა წარმოქმნილ სამთავროებს შორის, ცხადია წარმოიქმნებოდა შეტაკებები და ეს შეტაკებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზთა სამთავროს გამარჯვებით დასრულდა. ლაზიკის სამთავრო ისე მომძლავრდა, რომ მან გააერთიანა ძველი კოლხეთის მინა-წყალზე წარმოქმნილი სამთავროები და ახ. წ. I საუკუნეში თანდათან ჩამოყალიბდა **ლაზიკის (ქართულად ეგრისი) სამეფო**. რომლის დედაქალაქი გახდა, ბიზანტიელი წყაროების ცნობით, **არქაიოპოლისი** („ძველი ქალაქი"). „რომელიც იმყოფებოდა დღევანდელი ნოქალაქევის ადგილას... ძველი ქართული წყაროები, როგორც ჩანს, სწორედ მას უწოდებდნენ ციხე-გოჯს და ლეგენდარული ქუჯის (ფარნავაზის თანამედროვე ეგრისის მმართველის) დაარსებულად მიიჩნევენ... დღესაც ჩანს აქ გრანდიოზული გალავნის ნაშთები". ლაზიკის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ციხე-ქალაქი როდოპოლისი (თანამ. ვარდციხე, ქუთაისის სამხრეთით 12-კმ-ზე); ძლიერი ციხე და მოსახლეობანი უნდა ყოფილიყო თვით დღევანდელი ქუთაისის ტერიტორიაზეც. ასეთივე იყო ტელეფისი (დღევ. თოლები რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან); იბერიის საზღვარზე ლაზიკის ძლიერი ციხე-სიმაგრეები იყო სკანდა და სარაბანისი (შორაპანი), სადაც აგრეთვე შემოინახა საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები და სხვ." (9, ტ.I, გვ.558).

ისტორიულ წყაროებში მოხსენებული „ეგართა", „კოლხეთი" და „ლაზიკა"-ს შესახებ, ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „ეგართა" ქვეყანა ქართლის მეზობლად უნდა ვიგულისხმოთ. ამიტომ ასურული მარტვილობის ავტორისაგან დასახელებული „ჰეგართა» ქვეყანა უნდა ეგართა ქვეყანა, ეგრისი, კოლხეთი იყოს, ანუ, როგორც მას ამ დროს უწოდებდნენ, ლაზიკა." (2, ტ.I, გვ.292).

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ ბიზანტიელი ჟამთააღმწერელის, ისტორიკოსის, იურისტის და დიპლომატის პროკოპი კესარიელის (დაახლ. 507–562 შემდგომ) ცნობით, რომელმაც კოლხეთი მოიარა და ვრცელი ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ, წერს, რომ კოლხეთში „მეგრელ ლაზების გარდა სხვებსაც ბევრს ჰქონიათ იქ ბინადრობა. პროკოპი კესარიელი უხსნის თავის მკითხველს, რომ ლაზები და კოლხები ერთნი და იგივენი არიანო. კოლხეთის ან ლაზიკის სამხრეთის საზღვარი ქ. პეტრას მიდამოები იყო, აქედან მოყოლებული მთელი ქვეყანა ლაზიკაა და ლაზიკად იწოდებაო". (2, ტ.I, გვ.426).

პლინიუსის და პტოლემე კლავდიოსიც, კოლხეთის მოსახლეობას მეგრულ-ლაზურ ტომებათ თვლიდნენ. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ პროკოპი კესარიელის შემდგომ, სხვა ისტორიკოსების ცნობებიდან ირკვევა, „რომ კოლხეთში ლაზებს სამხრეთი ნაწილი, ზღვის პირას, ეკავათ და მათი მოსახლეობა რიონის ჩრდილოეთითაც ყოფილა, მაგრამ V–VI სს. ლაზების სოფლები და ქალაქები რიონს სამხრეთით სრულებით ამოვარდნილი ყოფილა და მცხოვრებნი მხოლოდ რიონის პირიქით ბინადრობდნენ. ლაზების აღმოსავლეთით და თვით ლაზთა შორისაც მეგრელები იქნებოდნენ, მათი მოსახლეობა, ალბათ, იბერიის საზღვარს ციხე სკანდა-შორაპანს აღწევდა. კოლხეთის ჩრდილოეთი მაღლობი ადგილები აფშილებსა და აფხაზებს სჭერიათ; პირველთა ქვეყანაში ციხე წიფელდა ყოფილა, ხოლო უკანასკნელებს მთა ადგილებში უცხოვრიათ. აფშილთა და აფხაზთა აღმოსავლეთით მდებარეობდა სვანეთი და სკვიმნია. როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამს შტოს ჰკუთვნებია: ლაზ – მეგრელებს, აფშილ–აფხაზებს და სვანებს. პოლიტიკური ბატონობა ლაზთა ანუ მეგრელთა ხელში ყოფილა და ყველანი მათის მეფეების უზენაესს უფლებას ემორჩილებოდნენ, თუმცა თითოეულს ტომს საკუთარი მთავარიცა ჰყოლია. ძველად, როგორც ეტყობა, უპირატესობა და ძალა კოლხების ხელში იქმნებოდა, – ეს იქიდან ჩანს, რომ მთელ ამ ქვეყანას მათ თავიანთი სატომო სახელი – კოლხეთი – მიანიჭეს; ლაზები მერე გაძლიერებულან." (2, ტ.I, გვ.427).

პ. ინგოროყვაც ლაზების შესახებ წერს, რომ „საშუალო საუკუნეთა დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ქვეყნები გაერთიანებული იყო სახელმწიფოებრივ ერთეულში, რომელსაც ეწოდება ლაზეთის ანუ ეგრისის სამეფო (იგივე კოლხეთი).

ლაზეთის ეს სამეფო ამ დროისათვის საკმაოდ ძლიერსა და მნიშვნელოვან სახელმწიფოს და ამასთან მაღალ-კულტურულ ქვეყანას წარმოადგენდა.....

თუ რამდენად დაწინაურებელი და მაღალ-კულტურული ქვეყანაა ამ დროს ლაზეთი, ეს შეგვიძლია გავითვალისწინოთ ამ ეპოქის ბიზანტიელი ავტორების ცნობებიდან. ერთ-ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსი მე-6 საუკუნისა შემდეგს წერს ლაზების შესახებ:

„ლაზები – ძლიერი და მამაცი ხალხია და სხვა ძლიერ ხალხებსაც ბრძანებლობენ. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ და, უნდა ითქვას, არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ხალხებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფებიან, (პ. ინგოროყვა შენიშნავს, რომ 562–582 წლებში, რა დროსაც ეკუთვნის ეს ცნება, ლაზეთის სამეფო ბიზანტიის სფეროში იყო მოქცეული), მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშემრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზით და სიცქვიტით.... მას შემდეგ, რაც არგოს ნავი მოადგა მათ ნაპირებს [ე. ი. იაზონისა და კოლხეთის მეფის აიეტის ხანის შემდეგ], ისინი (კოლხები – ლაზები) შეუდგნენ ნაოსნობა მეზღვაურობას და ვაჭრობაშიაც დიდ სარგებლობას ნახულობენ. და, საერთოდ, ისინი სრულებითაც არ არიან ბარბაროსნი და არც მათებურ ცხოვრებას ეწევიან. არამედ რომაელებთან ურთი-ერთობის შედეგად ლაზებს შემოღებული აქვთ სახელმწიფოებრივი წყობა და მათი ცხოვრება კანონებზე დამყარებით არის მოწყობილი. ასე რომ, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას.... საკვირველსა და დაუჯერებელ ამბებს, რაც პოეტებმა ასეთის

ხელოვნებით შეთხზეს აიეტის (ძველი კოლხეთის მეფის) შესახებ, შესაძლოა გადაჭრით ითქვას, რომ მათი (ლაზების) ახლანდელი ვითარება კიდევ უფრო უკეთესია, ვიდრე წარსული". (4, გვ.189). პ. ინგოროყვას თქმით, აფხაზეთის მხარის ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქალაქის სახელწოდება **ნიკოფსია**, ახ. წ. V საუკუნიდან გვხვდება, ხოლო, „ანტიკურ ხანაში ნიკოფსიას რქმევია: „ლ ა ზ ი კ ა", („ძ ვ ე ლ ი ლ ა ზ ი კ ა"), ლ ა ზ თ ა ქ ალ ა ქ ი. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პირიპლუსში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, ლაიას კონცხის ჩრდილოეთით, მდებარეობს პუნქტი „ძ ვ ე ლ ი ლ ა ზ ი კ ა"... სადაც ამჟამად არის ეგრეთწოდებული ნ ი კ ო ფ ს ი ს ი ნ"..... ე. ი. იგივე სახელი, რომელიც ერქვა ეგრისის ქვეყანას. (4, გვ.136)

ლაზიკის სამეფო „წარმოიქმნა კოლხეთის სამეფოს დაშლის და მასში შემავალ ტომობრივ-ტერიტორიულ ერთეულთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად..... თავდაპირველად მცირე სამეფო იყო. ეკავა მდ. რიონის ორივე ნაპირი (დაახლოებით ქობულეთიდან მდ. ერსწყლამდე)." (10, ტ.4, გვ.25). ლაზთა სამეფო თანდათან იმდენად გაძლიერდა, რომ მათმა მეფეებმა შეიერთეს იბერიის სამეფოში შემავალი დასავლეთ საქართველოს სამფლობელოები და ლაზეთის საზღვრებში მოექცა კოლხეთის მთელი დასავლეთი საქართველო. ლაზეთის მეფეს დაემორჩილა აფშილები, აბაზგები და სვანური ტომები და მის საზღვარში მოექცა: აღმოსავლეთით – სურამის ქედიდან დაწყებული, სამხრეთით – მდ. ჭოროხის სათავის მიდამოები, ხოლო ჩრდილოეთით – აფხაზეთი და სვანეთის სამთავროები. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ლაზებს აუშენებიათ **შორაპანის** (სარაპანისი) და **სკანდის** ციხე-სიმაგრეები.

„აფშილების ტერიტორია, როგორც ჩანს, უშუალოდ შევიდა ლაზთა სამეფოში – აქ ლაზთა გარნიზონები იდგნენ... აბაზგებს კი საკუთარი მთავრები შერჩათ (VI ს. აქ ორი ასეთი მთავარი იყო – ერთი ქვეყნის აღმოსავლეთ, მეორე – დასავლეთ ნაწილში)... ლაზებმა დაიმორჩილეს აგრეთვე აფშილების მეზობლად (ჩრდილო-აღმოსავლეთით, დღევ. წებელდასთან) არსებული მისიმიანების სვანური გაერთიანებაც. სვანების ყველაზე ძლიერ გაერთიანებას ბიზანტიელთა ნომენკლატურით, ჰეგემონი ანუ არქონტი ედგა სათავეში (მენანდრე). მას ამტკიცებდა სწორედ ლაზთა მეფე..... ლაზებს ემორჩილებოდა, როგორც ჩანს, კიდევ ერთი სვანური გაერთიანება – სკუმია... რომლის სახელი სვანური „ლე" პრეფიქსით შემორჩა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მთიან ოლქს – ლეჩხუმს". (9, ტ.I, გვ.557).

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ლაზიკის (ეგრისის) სამეფო ახ. წ. I საუკუნეში რომის იმპერიას დაემორჩილა. მაგრამ, II ს-ის II ნახევარში და III ს-ში მიუხედავად იმისა, რომ ლაზთა სამეფოში, ძირითადათ ზღვისპირა ქალაქებში, რომაელთა ჯარი იდგა, ის მაინც ფორმალურად იმყოფებოდა რომის გავლენის ქვეშ. რადგან ეს გამაგრებული ადგილები რომის საზღვრებს იცავდნენ ჩრდილოეთიდან „ბარბაროსული" ტომების შემოსევებისაგან და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომი დაინტერესებული იყო ადგილობრივ სამთავროებთან და ლაზეთთან მეგობრული კავშირი დაემყარებინა.

ლ. სანიკიძე ლაზეთის შესახებ წერს:

დაახლოებით 114 წელს, რომის იმპერატორმა 98 წლიდან, მ ა რ კ უ ს ტ რ ა ი ა ნ ე (53–117), „აზიაში ლაშქრობის წინ იბერიელებთან ერთად ლაზებსაც უგზავნის ძღვენს". ხოლო, რომის იმპერატორი 138 წლიდან, ა ნ ტ ო ნ ი ნ უ ს პ ი უ ს ს (86–161) „დიდი მეგობრობა" ჰქონდა ლაზიკის მეფე ბ ა კ ა ურ თ ა ნ". (26, ნ.I, გვ.93). ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ა რ ი ა ნ ე ფ ლ ა ვ ი უ ს ი ს (დაახლ. 95–175) გადმოცემით, II საუკუნის 30-იან წლებში ლაზების მეფეს მ ა ლ ა ს ა ს, რომის იმპერატორის 117 წლიდან პ უ ბ ლ ი უ ს ა დ რ ი ა ნ ე ს ა გ ა ნ (76–138) მიუღია მეფობა. III–IV საუკუნეებში, ლაზიკა მაინც დამოუკიდებელი სამეფოს წარმოადგენდა. II საუკუნის (50–90-იან) წლებში ლაზიკას ჩრდილოეთიდან, შემოესივნენ მსხვემი ტომები: გოთები და სარმატები. ცნობილია, რომ რომის იმპერატორის (284–305) გ ა ი უ ს დ ი ო კ ლ ე ტ ი ა ნ ე ს (243–313/316) დროს, ბოსფორის მხედართმთავარმა ს ა ვ რ ო მ ა ტ მ ა გაილაშქრა „რომაელთა წინააღმდეგ". იგი შეესია ლაზეთს, მდ. ჰალისსამდე (მცირე აზიაში) მიაღწია და რომაელებთან მოლაპარაკებას ლაზიკიდან აწარმოებდა. (9, ტ.I, გვ.554).

გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „III ს. 40-იან წლებში რომაული გარნიზონები გამოიყვანეს ბოსფორის სამეფოდან და აქ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ანტირომაულმა (შეიძლება, ადგილობრივმა „ბარბაროსული“ წრიდან გამოსულმა) ელემენტებმა, რომელთაც გოთებს გადასცეს ბოსფორის ფლოტი შავი ზღვის სანაპიროებზე თავდასხმების სანარმოებლად.

კოლხეთის სანაპიროზე გოთების ასეთი თავდასხმის შესახებ III ს. შუა ხანებში მოგვითხრობს V საუკუნის მეორე ნახევრის აეტორი ზოსიმე თავის „ახალ ისტორიაში“, „სკვითებმა“ (ასე უწოდებს იგი გოთებს), მისი თქმით, დაარბიეს მხარეები ვიდრე კაპადოკიამდე, პიტიუნტამდე და ეფესომდე (I, 28). 252 წ. ბოსფორის ხომალდებით გოთები გადმოსულან კავკასიის სანაპიროზე და თავს დასხმიან პიტიუნტს, რომელიც დიდი გალავნით იყო გარშემორტყმული და კარგი ნავსადგური გააჩნდა. რომაულმა გარნიზონმა..... დაამარცხა გოთები და გაუელიტა ბევრი მათგანი..... გოთები, ბოსფორელთა ხომალდებით, კვლავ თავს დაესხენ კოლხეთის სანაპიროს, გადმოსხდნენ ფაზისის მახლობლად, იქ, სადაც, ისტორიკოსის თქმით, ფასიანელი არტემიდას ტაძარი და აეტის სასახლე ყოფილა. ტაძარი ვერ იგდეს ხელთ და კვლავ პიტიუნდს შეუტიეს, აიღეს იგი, გაუელიტეს მისი გარნიზონი და აქედან ზღვით ტრაპეზუნტს მიადგნენ... გოთებმა საშინლად დაარბიეს ქალაქი და უამრავი ხომალდით ისევ უკან გაბრუნდნენ... საინტერესოა აგრეთვე ფაზისიდან გოთების უკუქცევის ამბავი: გოთებმა აქ ვერ აიღეს ტაძარი (?) და პიტიუნტს გაემართნენ. ჩანს, ისინი აქედან გააქციეს. ზოსიმე არაფერს ამბობს აქ ვისთან ჰქონდათ საქმე გოთებს. ჩვენ ალბათ არ შეეცდებით, თუ ფაზისის რაიონში გოთების წარუმატებლობაში (პიტიუნტსა და ტრაპეზონტში მათი წარმატების ფონზე) დავინახავთ ლაზთა სამეფოს ძლიერების ზრდას, რომელმაც შეძლო (ფაზისის რომაულ გარნიზონთან ერთად ?) გოთების მოგერიება.

ამ მოვლენებს მოჰყვა ალბათ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა ბატონობის ფაქტიური დაცემა, კლავდიუს II-ის დროს (268–270) რომაელებმა გაიმარჯვეს გოთური ტომების კავშირზე და გოთების შემოსევის საფრთხე მოისპო, მაგრამ შემოსევები ჩრდილოეთიდან კვლავ იყო მოსალოდნელი“. (9, ტ.I, გვ.553).

მიუხედავად ჩრდილოეთიდან ამ ლაშქრობებისა, III–IV საუკუნეებში ლაზთა სამეფო თანდათან გაძლიერდა და ლაზებმა გააერთიანეს მთელი დასავლეთ საქართველო. მას დაექვემდებარა აგრეთვე მისი სამხრეთით მდებარე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები სამეფო სამთავროები.

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის მ ე ნ ა ნ დ რ ე პროტექტორისა და ბიზანტიელი პოეტის და ისტორიკოსის ა გ ა თ ი ა ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ო ს ი ს (დაახლ. 536–დაახლ. 582) გადმოცემებით, IV საუკუნეში ლაზთა სამეფო იმდენად გაძლიერებულა, რომ 389–395 წწ. ჩრდილოეთით მცხოვრები სვანებიც დაუმორჩილებია. ლაზებს დაექვემდებარა აგრეთვე დღევანდელი ნებელდის მინა-წყალზე მცხოვრები მისიმიანებისა და სკვიმნიის (ეხლანდელი ლეჩხუმი) სვანური გაერთიანებები. გაერთიანებული სვანეთის მთავარს ლაზთა მეფე ამტკიცებდა. ლაზეთმა დაიმორჩილა აგრეთვე კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები სხვადასხვა ტომები და IV საუკუნის ბოლოს – ჩრდილოეთით მცხოვრები – აფშილების, აბაზგების, სანიგების და სხვა მეზობელი ტომები. სვანები იცავდნენ კავკასიონის გადმოსასვლელებს. ლაზიკაში აღარ იდგა ბიზანტიის ჯარი. ამავე დროს ხდებოდა დაპირისპირება ლაზებსა და იბერიას შორის. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ და ერთმანეთს ავინროებდნენ პირველობისათვის.

ამავე (IV) საუკუნეში, აღმოსავლეთით მდებარე მინა-წყალი, რომელიც ადრე იბერიის სამეფოს ეკუთვნოდა (სკანდა და სარაპანისი), ლაზიკის მფლობელობაში აღმოჩნდა.

„ახ. წ. III–IV სს., მართალია, დასავლეთ საქართველოში მძლავრი ადგილობრივი გაერთიანება – ლაზიკის სამეფო ჩამოყალიბდა, სადაც ეთნიკურად წამყვანი მეგრულ-ენოვანი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი მოიცავდა აქამდე ქართლის სამეფოში შემავალ და ქართულენოვანი მოსახლეობის მქონე რიგ რაიონებს დასავლეთ საქართველოში. ამიტომაც, III–IV სს. ლაზიკა უფრო ქართ-ზანურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელმაც, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებიც (სვანები, აფხაზები) მოიცვა. ამ სამეფოს ფარგლებში კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო ქართებისა და ზანების (მეგრელ-ჭანების) დაახლოებისა და გათქვეფის პროცესი. იბერიის ძლევამოსილების პერიოდიდან მომდინარე კულტურული და პოლიტიკური ერთიანობის მძლავრი

ტრადიციები ამ მხრივ, ეჭვს გარეშეა, ასევე დიდ როლს შეასრულებდნენ, რასაც ქართული ენის პოზიციები კიდევ უფრო მყარი უნდა გაეხადა. ერთობის ეს ტენდეცია კიდევ უფრო გაძლიერდა IV–V საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოში ქართლის გზით ქართულენოვანი ქრისტიანული მღვდელმსახურებისა და განვითარებული ქართული დამწერლობის მძლავრი ნაკადის შემოსვლის შედეგად. ქართული ენა და კულტურა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის მძლავრი იარაღი იყო უცხოელი ასიმილატორების, კერძოდ, ბიზანტიელების, წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ბიზანტიისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტენდენციას, რაც ასე სასიცოცხლო იყო ამ მხარის მოსახლეობისა და მისი მმართველი წრეებისათვის, თან სდევდა ენასა და კულტურაში ბერძნულისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაც; ეს უკანასკნელი კი შეუძლებელი იყო საკმაოდ განვითარებული ენისა და კულტურის დაპირისპირების გარეშე, რაც მხოლოდ ანტიკური ხანის მძლავრი იბერიის ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება ყოფილიყო. მართლაც, თვით დასავლეთ საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ერთეულები წამოიზარდნენ როგორც ქართული ენობრივ-კულტურული ტრადიციების მატარებელი წარმონაქმნები, რომლებიც სხვა ასეთივე ქართული სამეფოების გვერდით (ქართლი, კახეთი, ტაო-კლარჯეთი) ერთიანი საქართველოსა და ერთიანი ქართველი ხალხის შექმნის ბაზად იქცა. საქართველოს მიწა-წყალზე დიდი, თითქმის მთელი ქვეყნის მომცველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების შექმნით შუა საუკუნეებში დასრულდა ერთიანი ქართველი ხალხის (ეროვნების) ჩამოყალიბების მრავალ-საუკუნოვანი პროცესი. „ქართველი" და „საქართველო" ტერმინები ახლა აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად აგრეთვე დასავლეთ საქართველოსა და მისი მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინებადაც იქცა." (9, ტ.I, გვ.33).

V საუკუნის შუა წლებში, ლიხსიქეთ საქართველო, ეტყობა, რომ ისევ ქართლის გამგებლობაში გადასულა. ქართლის ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ (458–461) წლებში, ქართლის მეფემ, ვ ა ხ ტ ა ნ გ I გ ო რ გ ა ს ა ლ მ ა (დაახლ. V ს. 40-იანი წწ.–502), დარიალის ხეობიდან დალაშქრა ოსეთი, შემდეგ, „დასავლეთით გაეშურა, იალბუზის მთის გასწვრივ.

გადაიარა და გადალაშქრა იალბუზი.

იქნებ მაშინვე, მის ლაშქარშივე დაიბადა საოცარი სიმღერა „იალბუზის გმირზე...."

დაამარცხა ყივჩაღები.

დაამარცხა პაჭანიკები.

დაიპყრო ჯიქეთი.

ამრიგად, მთელი ჩრდილოეთ კავკასია უკვე ქართველ ხელმწიფეს ემორჩილებოდა". (26, წ.I, გვ.147). ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „ჩრდილოეთ კავკასიიდგან იყო პიდაპირი გზა აფხაზეთში, რომელსაც რქმევია „გ ზ ა ი ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა ი" (2, ტ.II, გვ.70). ამ გზით ჩამოსულა ჩრდილოეთიდან ვახტან გორგასალი აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს ყველა ციხეები, სადაც კი იდგნენ ბიზანტიელი მეციხოვნენი გაუნთავისუფლებია. ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I (457–474) „ვერაფერს გამხდარა". ბოლოს „კეისარმა შეხვედრა და სამშვიდობო მოლაპარაკება ითხოვა". მის მიერ გაგზავნილი დესპანები „არწმუნებდნენ მეფეს, არ ეგების ქრისტიანი ხელმწიფისაგან ქრისტესმიერ ძმათა აკლება, ტყვევნა და ულეტაო.... წმინდა ნინოს მოაგონებდნენ და მის აულს აფიცებდნენ, ეს შენს მიერ დანთებული ცეცხლი შენვე დაშრიტეო და თანამორწმუნე კეისარს შეურიგდიო.

ვახტანგს ამდენი დარწმუნებაც არ სჭირდებოდა. თვითონაც კარგად იცოდა, რომ ბიზანტიის დაკნინება და სპარსთა აღზევება მის ქვეყანას არაფრად წაადგებოდა. ეს „ბერძნული ლაშქრობა" მას მხოლოდ ბერძენთაგან მიტაცებული ქართული მიწების გასათავისუფლებლად სჭირდებოდა. ხოლო ეს ძველი ქართველთა მამაპაპეული მიწებიც უკვე მთლიანად მის ხელთ იყო.

ახლა შეიძლებოდა და დროც იყო ზავზე ლაპარაკისა.

ვახტანგ მეფე და ლეონ იმპერატორი ერთმანეთს შეხვდნენ.....

იმპერატორი დათანხმდა საქართველოს შეერთებოდა ტაო-კლარჯეთი, ციხე თუხარისი და ტერიტორიები შავი ზღვიდან სამხრეთით არსიანთამდე, ძველი პონტოურ-ქართული სამფლობელოები. კეისარმა მხოლოდ აფხაზეთის საკითხზე სცადა შესწორების შეტანა ვახტანგის მოთხოვნაში. კერძოდ, ეგრისის წყლიდან (ენგურიდან) კლისურამდე (კელასურამდე) აფხაზთა მიწას ჩემი სახელი

ერქვას და, თუ ჩემს ასულს ცოლად შეირთავ, აღნიშნულ მიწებს მზითვად გამოვატანო, ხოლო დანარჩენი აფხაზეთი, კელასურიდან ჯიქეთამდე, ბიზანტიას უნდა დაუბრუნდესო.

შეთანხმდნენ. ზავი დაიდო.

ბიზანტია და საქართველო კვლავ მოკავშირე-მეგობრებად ცხადდებიან და სპარსეთის წინააღმდეგ ერთად იომებენ.

სამოყვრო პირობაც გარიგდა: ვახტანგი ცოლად შეირთავდა ლეონის ასულს.

ქართველები ზეიმით ბრუნდებოდნენ უკან.

ერთ ხანს კლარჯეთში შედგა ვახტანგი.....

აქ, კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ა დ ვახტანგმა დატოვა თავისი ძუძუმტე ა რ ტ ა ვ ა ზ ი“.

ვახტანგ გორგასალის მითითებით, ახალმა „ერისთავმა „არტავაზმა აღასრულა სათაყვანო მეფის ბრძანება: აღაშენა ციხე ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ს ა, მონასტერი ო პ ი ზ ი ს ა და ეკლესიები მ ე რ ი ს ა, შ ი ნ დ ო ბ ი ს ა და ა ხ ი ზ ი ს ა. მან აქვე, ახიზში განაახლა ძველი ციხე, რომელსაც დიდი ქვაბული მიუმატა სადგომად და თავშესაფრად.

ვახტანგ მეფე მცხეთად მობრუნდა“. (26, ნ.I, გვ.153).

წყაროებიდან ჩანს, რომ V საუკუნის 60-70-იან წლებში ლაზიკის (ეგრისი) სამეფოს შემადგენლობაში მყოფი კუთხეები, არგვეთი (მარგვი), თაკვერი და სვანეთიც, ქართლის შემადგენლობაში გადასულა.

ბიზანტიური წყაროებიდან ირკვევა, რომ IV საუკუნის I ნახევარში ლაზიკაში გავრცელებული იყო ქრისტიანობა, წარმართულ სარწმუნეობასთან ერთად და აქვე ყოფილა საეპისკოპოსოები.

„ნიშანდობლივი ცნობა ამის შესახებ ჩვენ 325 წლიდან გვაქვს. ესაა ნიკეის I მსოფლიო კრების აქტები, რომლებშიაც ამ კრების მონაწილეთა შორის დასახელებულია „პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე.

ის ფაქტი, რომ IV ს. პირველი მეთხედის ბოლოს ბიჭვინთაში უკვე საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა და მისი მღვდელმთავარი მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეც გამხდარა, უეჭველი მოწმობაა იმისა, რომ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მყარად ფეხმოკიდებული და საკმაოდ გავრცელებულიც ყოფილა“. (9, ტ.II, გვ.186).

წყაროებიდან ჩანს, რომ „ქრისტიანობის აქ სახელმწიფოებრივ სარწმუნეობად გამოცხადებას, IV ს. უნდა ჰქონოდა ადგილი, ე. ი. დაახლოებით იმავე ხანებში, როცა ეს იბერიაში მოხდა.“ (9, ტ.II, გვ.188). ეგრისი ეკლესიურად კონსტანტინოპოლს დაექვემდებარა.

ლაზთა სამეფო ფორმალურად მაინც დამოკიდებული იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიაზე, ბიზანტიაზე. ლაზთა მეფეებს ამტკიცებდა იმპერატორი. ლაზებს უნდა ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზები შეეკრათ და ამით იმპერია დაეცვათ ალანების, გოთებისა და ჰუნთა შემოსევებისაგან. ბიზანტიელი ჟამთააღმწერელის პროკოპი კესარიელის გადმოცემით, „ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომაელებს“. (9, ტ.II, გვ.165). მაგრამ, ბიზანტიის „საიმპერიო ხელისუფლები ზღვის სანაპიროზე ზღუდავდნენ ლაზების ვაჭრობას. ლაზები დროს უცდიდნენ, რათა იარაღით მიეპოვებინათ დამოუკიდებლობა. ისინი ცდილობდნენ აღმოსავლეთი რომისა და სპარსეთის შეურიგებელი მეტოქეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ.“ (7, გვ.98).

V ს. II ნახევარში ეგრისმა სცადა ბიზანტიისაგან განთავისუფლებულიყო ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან. აქამდე, „ლაზიკის მეფეები კონსტანტინოპოლიდან მხოლოდ ფორმალურ სამეფო ინსიგნიებს და ლოცვა-კურთხევას ღებულობდნენ“ და ეგრისის მეფე გ უ ბ ა ზ I-მ ა (V ს. 50–60-იან წლებში), „ბიზანტიის სასახლის კარს ამნაირ სუვერენიტეტზეც უარი უთხრა“ (26, ნ.I, გვ.202); და იგი აუჯანყდა აღმოსავლეთ რომის იმპერიას. ბიზანტიის იმპერატორის მ ა რ კ ი ა ნ ე ს (450–457) მიერ 456 წელს აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნილი ჯარი სასტიკად დამარცხდა. კეისარი მომდევნო წლისათავის ამზადებდა ეგრისზე შეტევას. ამიტომ გუბაზმა დახმარებისათვის მიმართა სპარსეთს, მაგრამ, ვინაიდან სპარსეთს იმ დროს ჰუნების ერთ-ერთ ტომთან – კიდარიტებთან ჰქონდა ომები, გუბაზს ვერ დაეხმარა. ბიზანტიასა და ეგრისს შორის ბრძოლა გახანგრძლივდა და საბოლოოდ ეს აჯანყება შერიგებით დამთავრდა. გუბაზი იძულებული გახდა ისევ ბიზანტიასთან მშვიდობიანობა დაემყარებინა. „ამ დროს ლაზეთის ტახტზე გუბაზის თანამოსაყდრედ მისი ვაჟი ნათე მჯდარა“. (9,

ტ.II, გვ.168). ისტორიკოსისა და ფილოლოგის სარგის კაკაბაძის (1886–1967) თქმით, გუბაზის შვილი ყოფილა სამანღირი, „რომელიც გუბაზის ზემოთ მოხსენებულ შვილად არის საგულისხმეველი“ და რომელიც „ბერძნების ერთგული იყო. როგორც ჩანს, მას სპარსელების ეშინოდა“. (24, გვ.38).

465 წლის ბოლოს ან 466 წლის დასაწყისში გუბაზი კონსტანტინოპოლში ჩავიდა და იმპერატორ ლეო I-ს (457-475) შეხვდა, „სპარსულად შემოსილი და „მიდიელთა წესისამებრ“ მცველი რაზმის თანხლებით.

იმპერიის ხელისუფლებმა, სხვათა შორის, დაგმეს ის გარემოება, რომ გუბაზის დროს ეგრისში დარღვეული იყო იქ მანამდე არსებული ერთმეფობის ძველი წესი, და მამა-შვილი ერთად მეფობდნენ. ამიტომ გუბაზმა მეფობაზე ხელი აიღო და ტახტი თავის შვილს დაუთმო“. (7, გვ.98). გუბაზ მეფის „დახვეწილმა მჭერმეტყველებამ, თავაზით აღსავსე სიტყვა-პასუხმა, საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო საგანთა ცოდნამ და მომხიბლავმა მიმოხრამ სავსებით დაატყვევა იმპერატორი და მისი სასახლის კარი.

გუბაზ მეფე ბიზანტიელებმა დიდის ძღვენითა და პატივით გამოისტუმრეს ეგრისში“. (26, ნ.I, გვ.204).

ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკე პანიონელის (გ. 472) ცნობით, „გუბაზ მეფეს ბიზანტიელი კარისკაცები მოუხიბლავს „საქრისტიანო ნიშნების ტარებით“. შესაძლოა, გუბაზის მხრიდან ეს უბრალო დიპლომატიური ხერხი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, არც მისთვის, არც ბიზანტიელ კარისკაცთათვის ამაში უჩვეულო არაფერი იყო და ეს ცნობა, შეიძლება, ერთი მცირე მინიშნება იყოს ქრისტიანობის გავრცელებაზე გუბაზის დროს ეგრისში“. (9, ტ.II, გვ.186).

ცნობილია, რომ სპარსელებმა 428 წელს სომხეთში მეფობა გააუქმეს. ხოლო, 510 წელს, სასანიანთა სახელმწიფოს მეფემ კავად I-მა (438–531) მეფობა გააუქმა ალვანეთში (დღევანდელი აზერბაიჯანი) და დარჩა მხოლოდ ქართლის სამეფო. ირანი ცდილობდა კავკასია თავის ერთ-ერთ კუთხედ ექცია. პროკოპი კსარიელის გადმოცემით, კავად I-ეს, იბერიის მეფე გურგენისათვის (VI ს. 20-იანი წლები) უბრძანებია, რომ მოგვობის ყოველი წესი დაეცვათ და როგორც სპარსეთში იყო მიღებული (მიცვალებულები მიწაში დამარხვის მაგიერ, „ყველა მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო“) ასევე მოქცეულიყვნენ. ეს უკვე მეტისმეტი იყო და 523 წელს, „გურგენ მეფეს აჯანყების მეტი აღარაფერი დარჩენოდა და იუსტინე კეისართან (518–527) საიდუმლო მოლაპარაკებას შეუდგა. კეისარმა ქართლის მეფეს დაპირება მისცა, რომ „რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს“. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როცა ირანელთა დიდი ლაშქარი ქართლს შემოესია, ბიზანტიელთა დამხმარე რაზმი იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ გურგენმა ბრძოლა ვეღარ გაუმართა ირანელებს და ამის გამო, მეფე იძულებული შეიქმნა, რომ მთელი ოჯახითა და აჯანყებაში მონაწილე სხვა დიდებულებითურთ ეგრისს შეფარებოდნენ. მართალია, ირანელები მათ უკან დაედევნენ, მაგრამ ეგრისის ვიწროებსა და ძნელად გასასვლელ ადგილებში გაქცეულებს ვერაფერი დააკლეს“. (9, ტ.II, გვ.247). ქართლში მეფობა მოისპო და ირანელთა მმართველობა დამყარდა. ამის შემდეგ, სპარსელებმა ეგრისსაც შეუტიეს. რადგან „შაჰის სამეფო კარზე კარგად ითვალისწინებდნენ ამ ქვეყნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ირანისათვის. ამით ხომ ქართლიც უფრო მტკიცედ ექნებოდათ შემომტკიცებული, „რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ“. (9, ტ.II, გვ.249). და კიდევ ის, რომ ირანელები საქართველოდან ადვილად დაიპყრობდნენ თვითონ ბიზანტიასაც. „მხოლოდ აჯანყების დამარცხების შემდეგ იგრძნეს ბიზანტიელებმა, თუ რა საფრთხე დაემუქრა მათ მფლობელობას ეგრისში ერანელთა მხრიდან“. (9, ტ.II, გვ.250). კეისარმა ჯარი შეიყვანა ეგისში და ქართლის საზღვართან მყოფ შორაპანსა და სკანდის ციხე-სიმაგრაეებიდან, ადგილობრივი დამცველები გამოიყვანა და ბიზანტიელები ჩააყენა. ეგრისელებს, მათი სურსათ-სანოვაგით მომარაგება დაავალეს. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, „ბიზანტიელები, ამ ღონისძიებას იმით ამართლებდნენ თურმე, რომ ლაზებს არ სურთ თავისი ქვეყნის დაცვაში ჩვენთან ერთად მონაწილეობის მიღებაო“. მაგრამ ქვეყნის დაცვის რომელ ერთიან ღონისძიებებზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ბიზანტიელები ხალხს თავისსავე ციხე-სიმეგრეებს აღარ ანდობდნენ და ცალკ-

ერძ მოქმედებდნენ“. (9, ტ.II, გვ.250). ადგილობრივმა ეგრისელებმა ერთ ხანს ითმინეს, შემდეგ კი, სურსათით მომარაგებაზე უარი განაცხადეს და ისინი იძულებულნი გახდნენ, რომ ეს ციხეები დაეცალათ. ირანელებმა უომრად ჩაიგდეს ხელში სკანდა და შორაპანი. „ბიზანტიელებმა მხოლოდ იმით გადაუხადეს მაგიერი, რომ სპარსეთის ბატონობის ქვეშე მყოფ სომხეთს შეესივნენ, ქვეყანა ააოხრეს და მრავალი ტყვე წაასხეს“. (2, ტ.I, გვ.244)

წყაროებიდან ცნობილია, რომ ერთ ხანს ლაზეთის (ეგრისი) მეფე ნ ა თ ე I (VI ს-ის 20-იანი წლები), გუბაზ I-ის ძე, პოლიტიკური ვითარების გამო, სპარსეთთან დაახლოებას შეეცადა და სპარსთა მეფეს კავადს ეახლა. ნათეს მიუტოვებია ქრისტიანობაც და წარმართული სარწმუნეობა მიუღია, ხოლო, შემდეგ, რადგან ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის შაჰი კავად I არ დაეხმარა და ამავე დროს იგი დარწმუნდა, რომ სპარსეთთან მშვიდობიანობას ვერ მიაღწევდა, ნათე I იძულებული გახდა ბიზანტიელებს შერიგებოდა და „523 წელს გურგენ მეფესთან ერთად ნათე პირველიც ბიზანტიაში გაემგზავრა. მან თავისი ვაჟი გუბაზი ეგრისის ტახტზე დატოვა, ხოლო უმცროსი შვილი, თანამოსახელე ნათე მრწემი, თან წაიყვანა კონსტანტინოპოლს.

ბიზანტიის სატახტო დიდის ამბით შეხვდა ქართველ მეფეებს“. (26, წ.I, გვ.209).

ბიზანტიის იმპერატორის (527–565) ი უ ს ტ ი ნ ი ა ნ ე I დ ი დ ი ს (482–565) დროს, მეფე ნათე I ქრისტიანობას დაუბრუნდა და შვილიც მონათლა.

ი. ჯავახიშვილი წერს რომ: „523 წელს ლაზთა მეფე **ნათე** ბიზანტიაში გაემგზავრა და იქ კეისარს იუსტინეს აუწყა, რომ მას გაქრისტიანება ჰსურს და უნდა, რომ ლაზთა მეფედ იყოს დამტკიცებული. იუსტინე კეისარი, რასაკვირველია, ამ ამბავმა მეტად ასიამოვნა და სიხარულით მ ო ნ ა თ ლ ა მ ე ფ ე ნ ა თ ე და შვილად გამოაცხადა. ნათემ ბიზანტიაში თანამეცხედრედ რომაელი დიდებულის ქალი შეირთო, პატრიკიოსისა და აპოკურაპალატის ნომის ასული. სამეფო გვირგვინითა და ძვირფასი სამოსელითა და სამკაულით მორთული, მრავალი საჩუქრებით დატვირთული ნათე სამშობლოში დაბრუნდა.

რაკი დიდიხანია, რაც ლაზიკაში ქრისტიანობა გავრცელებული იყო, ამიტომ ნათეს გაქრისტიანებას პირადული მნიშვნელობა ჰქონდა, და ლ ა ზ ი კ ა შ ი ც ა მ ი ე რ ი დ ა ნ ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა, ვ ი თ ა რ ც ა ს ა ხ ე ლ მ ნ ი ფ ო ს ა რ წ მ უ ნ ე ო ბ ა, ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ი ქ მ ნ ე ბ ო დ ა.“ (2, ტ.I, გვ.242).

ნათეს გაქრისტიანების გამო, კავადმა კეისარს უსაყვედურა, რომ იგი მის ქვეშევრდომებს იმხრობდა და ეგრისის გამო, სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ისევ დაიწყო ომი. კავადმა ნათეს დასასჯელად 528 წელს ეგრისში ლაშქარი გააგზავნა. იუსტინიანე I-მა, ნათეს დასახმარებლად ლეგიონები გამოაგზავნა. ბიზანტიელი სარდლების ერთმანეთთან მტრობისა და შეუთანხმებლობის გამო, ბრძოლა გაგრძელდა. ისტინიანემ სარდლები გადააყენა და მათ მაგიერად პეტრე სტრატეგოსი გამოგზავნა. ეგრისელებისა და ბიზანტიელების შეერთბულმა მხედრობამ სპარსელები უკუაგდეს. არც სპარსეთი და არც ბიზანტია საქართველოს არ თმობდა. როგორც ეტყობა ამ დავის დროს ერთხანს ორივე ციხე-სიმაგრე შორაპანი და სკანდა ირანელების ხელში აღმოჩნდა.

ირანის ტახტი 531 წელს, კავადის სიკვდილის შემდეგ დაიკავა მისმა ძემ ხოსრო I ანუშირვანმა (531–579). წყაროებიდან ცნობილია, რომ ამავე დროს, ლაზეთში მეფობდა ნათე I-ის ძე, გ უ ბ ა ზ II (გ. 554). ლ. სანიკიძე გუბაზ II-ის შესახებ წერს, რომ მას „მშვიდობიანობა სწყუროდა. ქვეყნის შინაგან განმტკიცებისა და კულტურულ აღმშენებლობას მიელტვოდა. ფრთხილი დიპლომატიური წიაღსვლებით ცდილობდა ორივე დიდი მტაცებელი ერთმანეთისათვის შეერიგებინა და წინა აზიაში შექმნილი საერთო მშვიდობით ეგრისის სხეულზე ნაომარი ჭრილობები მოეშუშებინა“. (26, წ.I, გვ.214).

532 წ. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დაიდო „საუკუნო ზავი“, („მარადიული ზავი“), რომლის თანახმად, სპარსელებს ისევ იბერია დარჩათ, ხოლო ლაზიკა კი – ბიზანტიას. ეგრისის აღმოსავლეთ მხარის საზღვარზე მდებარე ციხეებში: შორაპანში და სკანდაში ისევ ბიზანტიელები იყვნენ გამაგრებულნი. სინამდვილეში „უვადო (საუკუნო, მარადიული) ზავი“ მოჩვენებითი იყო, ორივე ცდილობდა თავისი სახელმწიფო საზღვრების გაფართოებას და ომისთვის ემზადებოდნენ.

„ჯერჯერობით, ქართველთათვის სასარგებლო მაინც ის იყო, რომ სპარსელებმა ლაზეთიდან ფეხი ამოიკვეთეს, ხოლო გადახვეწილ იბერიელთაგან ბევრი მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

ბიზანტიაში ლტოლვილი ზოგიერთი ქართველი ბიზანტიის კეისრის სამსახურში დარჩა. მათ შორის, გურგენ მეფის უფროსი ვაჟი ფ ი რ ა ნ ი. სულ მალე დანინაურდა ჯარისკაცური შემმართებლობით და სარდლური გამჭრიახობით, მალე ჯარის მეთაურიც შეიქნა და დიდი ბიზანტიელი მხედართმთავრის – ველისარის ბანაკში პირველ სარდლადაც ითვლებოდა". (26, ნ.I, გვ.215).

ბიზანტიელებმა დაარღვიეს ლაზებთან დადებული საზავო ხელშეკრულება და ლაზეთში ჩააყენეს ჯარი. თავდაცვის მიზნით, დაიწყეს ციხეების გამაგრება. ააშენეს ეგრისის სამხრეთის საზღვარზე შესანიშნავი ციხე-ქალაქი პეტრა (დღევანდელი ციხისძირი), გაამაგრეს ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი (არქეოპოლისი). აფხაზეთშიც დაიწყეს 160 კილომეტრის სიგრძის „ულისურის (ელასურის) ზღუდის", დავდასაცავი კედლის მშენებლობა, ამავე დროს, „ბიზანტიურმა ადმინისტრაციამ ჩერქეზეთის მისადგომებზე გააძლიერა ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრა და აბაზგები გააქრისტიანეს." (7, გვ.100).

თვით ბიზანტიელთა გადმოცემით, ლაზიკაში ჩაყენებული ჯარის მხედართმთავრები გამოდგნენ ანგარნი, ბრიყვნი და თავხედნი. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ჩაგრავდნენ და ყვლეფდნენ, სამეფო საქმეებშიც ერეოდნენ და რაც მთავარი იყო ის, რომ „პეტრა იქცა ადგილობრივი ხალხის საძარცვავ საბაჟოდ. საბაჟოდ დაწესდა ისეთი „მონოპოლია". რომ, თვით ბიზანტიელთა მოწმობით, კვნიტი მარილიც ველარ შეჰქონდათ ლაზიკაში და ვერც რამე იქიდან გამოჰქონდათ. უზომო ბაჟებმა ლაზები საგარეო-საზღვაო ვაჭრობიდან გამოთიშეს". (7, გვ.100). ბიზანტიელი მოხელეების ასეთი თავხედობა ეგრისელებმა ველარ აიტანეს და ლაზიკის (ეგრისის) მეფე გუბაზ II-ეს ბიზანტიელებისაგან, რომ თავი დაეღწია, დაუკავშირდა ხოსრო I-ს, რომ დახმარებოდა ბიზანტიელთა განდევნაში.

540 წელს ხოსრო I-მა დაარღვია „საუკუნო ზავი" და შეიჭრა სირიაში, აიღო ანტიოქია და დაარბია. 542 წელს ხოსრო I დიდძალი ლაშქრით მოულოდნელად შემოვიდა ლაზიკაში და ეგრისელთა დახმარებით ხანმოკლე, მაგრამ დიდი გაჭირვებით ციხე-ქალაქი პეტრა აიღო. ამის შემდეგ, სპარსელებს უომრად დანებდა სებასტოპოლისი (სოხუმი) და პიტიუნდი (ბიჭვინთა), რომლებიც ბიზანტიელებმა მტრის მოახლოებისთანავე თვითონ გადაწვეს და გაიქცნენ. ხოსრომ გაიგო, რომ ბიზანტიელები ირანში შეიჭრნენ და მან სასწრაფოდ ლაზეთი მიატოვა და ირანს მიაშურა. მალე გასაგები გახდა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ ლაზებს არაფერი მოუტანა. პირიქით, ისინი უარეს დღეში ჩააყენა. ხოსრო არ ენდობოდა ლაზებს. სპარსელები ქრისტიანებს დევნიდნენ და რაც მთავარი იყო, გამომჟღავნდა ხოსრო I-ის ფარული განზრახვა – ეგრისის დაპყრობა. ლაზების გადასახლება და აქ სპარსელებისა და სხვა ტომების ჩასახლება. მან 548 წელს გუბაზს მკვლელებიც კი მიუგზავნა, თუმცა ეს განზრახვა გამჟღავნდა და აღშფოთებული ლაზები ისევ ბიზანტიელებს შეურიგდნენ. ეგრისი იქცა სპარსთა და ბიზანტიელთა საომარ ადგილად. ხოსრო I-ის მიერ გამოგზავნილმა სარდალმა ბიზანტიელები რამდენიმეჯერ დაამარცხა. ბიზანტიელი სარდლების უქნარობისა, დაუდევრობისა და გამცემლობის გამო, სპარსელებმა დაიპყრეს ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი თავდაცვითი ციხე-სიმაგრე უქიმერიონი და ქუთაისი. „ამის შემდეგ, ისინი ეგრისს უფრო მტკიცედ დაეპატრონენ და ლეჩხუმიცა და სვანეთიც დაიმორჩილეს. ამრიგად, მუხურისიდან ქართლის საზღვრებამდე მთელი მინა-წყალი ბიზანტიელებსა და გუბაზ მეფეს ხელიდან გამოეცალად". (9, ტ.II, გვ.261). ბიზანტიელები სასტიკად დამარცხდნენ 552 წელს, მათ მიერ ძლიერ გამაგრებულ ციხე ტელეფისთან (ახლანდ. სოფელი ტოლები). ბიზანტიელთა სარდალთა უნიჭობითა, უგუნურობითა და ანგარებით აღშფოთებულმა ეგრისის მეფემ, გუბაზ II-ემ, მათ კეისართან უჩივლა. 554 წ. განაწყენებულმა ბიზანტიელმა სარდლებმა, ვითომდა სათათბიროდ მეფე ხობის წყალთან მიიწვიეს და ვერაგულად მოკლეს. ეგრისელებმა მოიწვიეს კრება სადაც უნდა გადაწყვეტილიყო, ქვეყნის შემდგომი მიმართულება. ლაზიკის წარჩინებული პირებისა და პოლიტიკური მოღვაწეების, ა ი ე ტ ი ს ა და ფ ა რ ტ ა ზ ი ს მიერ კრებაზე წარმოთქმული სიტყვები (იხ. ქვევით), წარმოადგენენ ქართული მჭერმეტველების შესანიშნავ ნიმუშს და ორატორულ ძეგლს, რომელნიც შესულია ქართული მჭერმეტყველების ისტორიაში. აიეტი მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და სპარსეთის მხარეზე გადასვლას; ფარტაზი კი ბიზანტიას ემხრობოდა და მოითხოვდა, რომ კეისარს დაესაჯა მკვლელები და ეგრისის მეფედ, კონსტანტინოპოლში მცხოვრები, გუბაზ II-ის ძმა, წათე

დაემტკიცებინა. საბოლოოდ, ამ მეორე აზრმა გაიმარჯვა და ხალხის ეს მოთხოვნა, დიდებულთა ნარმომადგენლებმა კეისარს გადასცეს. იუსტინიანე I-მა დააკმაყოფილა ეგრისელთა მოთხოვნა და ლაზიკის მეფედ ნათე დაამტკიცა და დიდი პატივით გამოგზავნა სამშობლოში. აგათია სქოლასტიკოსის გადმოცემით, 554 ნელს, როდესაც ეგრისის მეფემ, ნათე I-ის ძემ ნათე II-ემ „სამეფო სამოსელში გამონყობილმა, ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში, მას მიესალმნენ სტრატეგოსები და რომაელთა მთელი ჯარი....

იმდროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ნათე ეგრისის სამეფოს ჩაუდგა სათავეში, იგი ამ ქვეყნის მართვა-გამგეობას შეუდგა, როგორც მას სურდა და როგორც მას მამაპაპური ნესი უკარნახებდაო. ეგრისის მეფის ასეთი დამოკიდებულება ქვეყნის საშინაო საქმეებში მოწმობს, რომ ბიზანტიელები ამ ქვეყნის ძალას ანგარიშს უნევდნენ და მის მოკავშირეობას დიდად აფასებდნენ". (9, ტ.II. გვ.265).

555 ნელს სპარსელები ეგრისში, ჯერ ძველქალაქის, არქეოპოლისთან (ციხე-გოჯი) მახლობლად და შემდეგ ფაზისთან (ფოთი) სასტიკად დამარცხდნენ.

556 ნ. ბიზანტიელებმა დაიმორჩილეს ეგრისის სამხრეთში, მაღალ მთიან მხარეში მობინადრე ჭანები, რომლებიც ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს.

„ბიზანტია-სპარსეთის ომი ეგრის-ლაზეთისათვის ორი ათეული ნელი გაგრძელდა. ბრძოლის სასნორი, ბოლოს და ბოლოს, ბიზანტიისკენ გადაიხარა....

გაცოფებულმა ხოსრო შაჰმა მისი უკანასკნელი ქანარანგი (სარდალი) ნახორაგანი საქართველოდან გაიძახა და მარცხისათვის საშინელი წამებით მოაკვდინა... მერე კეისარ იუსტინიანეს ელჩი გაუგზავნა და საზავო მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა". (26. ნ.I, გვ.256).

მოლაპარაკება გაგრძელდა და ბოლოს, 562 ნ. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ორმოცდაათნლიანი ზავი დაიდო. ლაზეთი სპარსეთისაგან განთავისუფლდა, მაგრამ, ისევ, ბიზანტიის ვასალურ სამეფოდ დარჩა. მხოლოდ სვანეთის საკითხი დარჩა გადაუჭრელი, რადგან სვანეთი ერთის მხრივ ლაზეთს ეკუთვნოდა. ლაზეთის მეფეები ნიშნავდნენ სვანეთის ერისთავებს და ეკონომიურადაც ლაზეთთან იყვნენ დაკავშირებულნი, ხოლო, მეორეს მხრივ, როდესაც გუბაზ მეფესა და ბიზანტიელებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, სვანები ეგრისელებს გადაუდგნენ და სპარსელებს მიემხრნენ. სვანეთი სპარსელებმა დაიკავეს.

ამიტომაც ერთიცა და მეორეც ამტკიცებდა, რომ სვანეთი ჩვენ გვეკუთვნისო.

„საბოლოოდ ირანელებმა და ბიზანტიელებმა ზავი ისე შეკრეს, რომ სვანეთის საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ეს დავა ისევ იარაღით გადაწყდა. 575 ნლის მახლობლად ბიზანტიელები სვანეთში შეიჭრნენ და ირანის მომხრე თავადი ტყვედ წაიყვანეს. ამის შემდეგ ირანელებს დასავლეთ საქართველოს არც ერთ კუთხეში არ ედგათ ფეხი". (9, ტ.II, გვ.268).

571 ნელს სპარსელების წინააღმდეგ აჯანყდა სომხეთი. სომხებს შეუერთდნენ ქართველებიც. ბიზანტიელ მემატიანეს თეოფანე უამთააღმწერელეს (აღმსარებელი) (დაახლ. 752–818) ქართველების წინამძღოლად მოხსენებული ჰყავს გურგენი. ზოგი ისტორიკოსი თვლის, რომ გურგენი, იგივე ქართულ წყაროებში მოხსენებული გუარამია (გვარამი).

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის „ჯუანშერის ცნობით, გუარამი იყო ვახტანგ გორგასალის შვილიშვილი, რომელსაც ქართლის ერისთავების თხოვნით ბიზანტიის კეისარმა კურაპალატობა მიანიჭა და ქართლის მეფედ დანიშნა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით, გუარამი ქართლის ერისთავებმა აირჩიეს ერისმთავრად. სუმბატ დავითის ძე გუარამს თვლის ქართველ ბაგრატიონთა მამამთავრად. გუარამმა საფუძველი ჩაუყარა მცხეთის ჯვრის ტაძარს". (10, ტ.3, გვ.287).

აჯანყებულებმა დახმარება სთხოვეს ბიზანტიის ახალ იმპერატორს იუსტინე II-ს (565–578), რომელმაც დახმარება აღუთქვა და მართლაც ჯარიც გამოგზავნა. აჯანყებულებს ალვანეთიც (კავკასიის ალბანეთი) შეუერთდა. აჯანყებულებმა სპარსელები დაამარცხეს და კავკასიიდან გააძევეს. იუსტინე II-მ აჯანყებულთა დაცვის მიზეზით, ომი გამოუცხადა ხოსრო I-ს, რომელიც თითქმის ოცი ნელი გაგრძელდა და მის დამთავრებას ვერც ერთი ვერ მოესწრო. სპარსეთის შაჰის ხოსრო II ანუშირვანის (591–628) და ბიზანტიის იმპერატორის მავრიკიოსის (539–602) 591 ნლის შეთანხმების თანახმად, ხოსრო II-ემ „იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკი კეისარს

გადასცა.... და ამ დათმობის წყალობით იბერია კვლავ ორად გაიყო, ამასთანავე იბერიის დასავლეთი ნაწილი ქ. თბილისამდე ბიზანტიის კეისრის ხელში გადასულა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ისევ სპარსთა ბატონებს შეჰრჩენიათ.

მეფე ხოსრომ ამას გარდა თავის სამეფოში ქრისტიანობის თავისუფლება გამოაცხადა.

მხოლოდ მაზდიანობის მიმდევართ ნება არ ჰქონდათ ქრისტიანობა მიეღოთ". (2, ტ.I, გვ.260).

წყაროებიდან ჩანს, რომ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ დროს ცვლილებები მოხდა. „სპარსელთაგან ქართლის დათმობა სავსებით ფორმალური აღმოჩნდა. ქართლი სრულიად დამოუკიდებელი შეიქმნა ქტესიფონისგანაც და კონსტანტინოპოლისგანაც.

ქართლის არისტოკრატიამ, რომელიც მარზპანობის დროსაც ქვეყანას თითქმის დამოუკიდებლად განაგებდა, ახალი, სავსებით დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველობა შემოიღო.

ესაა ერისმთავრობა.

ქართლის პირველ ერისმთავრად გამოცხადდა გუარამი, რომელსაც ბიზანტიიდან „კურაპალატის" ტიტული ჰქონდა მიღებული.

გუარამ ერისმთავარი „იყო კაცი მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა". მან დაიწყო ჯვარის დიდი მონასტრის მშენებლობა. მანამდე ჯვარი ღიად იდგა იმ მთაზე, რომელიც აღმოსავლეთიდან დასცქერის მტკვრისა და არაგვის შესართავს.

„ამანვე გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა".

გუარამი შეიქმნა მთავარი გმირი შემდგომში ფართოდ გავრცელებული ლეგენდისა საქართველოს ახალი სამეფო დინასტიის, ბაგრატიონების წარმომავლობის შესახებ" (26, ნ.I, გვ.273).

ამავე ხანებში, ლიხსიქეთ საქართველოშიც პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. ორ იმპერიას (ირანისა და ბიზანტიას) შორის წარმოებულმა, თითქმის 50-იან წლიანმა გამუდმებულმა ომებმა, თავისი გავლენა იქონია, თანდათან ეგრისის (ლაზიკის) სამეფოზე, როგორც ეკონომიურად, ასევე პოლიტიკურად და ის დასუსტდა. რასაც მოჰყვა ეგრისში მეფობის გაუქმება და ის სინამდვილეში სამთავროდ გადაიქცა. VI საუკუნის „80-იანი წლების ბოლოს „კოლხეთის სტრატეგოსი" რომანოზი „კოლხიდაში რომ მოვიდა, რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზიკე გადაარქვა, და შეუთანხმდა იქაურ მმართველებს" სპარსელებთან საბრძოლველად, იმისი მოწმობაა, რომ ამ დროს ეგრისს მეფე აღარ ჰყავს.

VI ს-ის დასაწყისში ბიზანტიელები კიდევ უფრო მეტ წარმატებას აღწევენ დასავლეთ საქართველოში". (8, ტ.II, გვ.110).

VI საუკუნის ბოლოს, ეგრისის ჩრდილოეთ მხარეში, ჩამოყალიბდა, ბიზანტიის ხელშეწყობით, აფხაზთა სამთავრო (ბერძნული წყაროებით აბაზგია), რომლის არქონტები (ერისთაები) ბიზანტიის ხელისუფლებას დაექვემდებარა. (იხ. ქვევით).

უნდა აღინიშნოს, რომ „ყველაფერი ეს, ცხადია, არ გამორიცხავს მჭიდრო კავშირს ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის...

ამ ორი მეზობელი ქვეყნის გამგებელთა შორის, როგორც ჩანს, მჭიდრო ახლობლური ურთიერთობაა.

აფხაზეთისაგან განსხვავებით, აფშილეთი, მისიმიანეთი, სვანეთი და ლეჩხუმი კვლავ ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინციებს წარმოადგენენ...

ზემოთ ჩამოთვლილი პროვინციების გარდა, VII ს-ის 60-იან წლებში ეგრისის ფარგლებში უნდა ყოფილიყო რაჭა-არგვეთი და აჭარაც". (8, ტ.II, გვ.130–131).

ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დაზავება დიდხანს არ გაგრძელებულა.

610 წელს, ბიზანტიის კეისარი გახდა ჰერაკლე (575–641). ჰერაკლემ სამხედრო რეფორმა ჩაატარა და 614 წელს სამეგრელოზე გავლით სომხეთს შეესია. შემდეგ გადავიდა ადარბადაგანში, სადაც ხოსრო II იმყოფებოდა, მან აიღო მრავალი სოფელი და ქალაქი, და ამასობაში ზამთარიც მოახლოვდა და გამოსაზამთრებლად ჯარი გადაიყვანა ალვანეთში.

ირანის მეფის ხოსრო II ფარვიზის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლის დასაწყისში, ჰერაკლეს მხარეს მონაწილეობას ღებულობდნენ ეგრისელები და იბერიის ნაწილი. ცნობილია, რომ 622 წელს

კაპადოკიაში, ირანელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, ჰერაკლეს მიეშველნენ იბერიელები, ლაზები და აფხაზები.

პ. ინგოროყვა წერს, რომ „ლაზეთის მთავრებს-პატრიკიოსებს თავი დამოუკიდებლად უჭირავთ ბიზანტიის მიმართ, ისინი თავს თვლიან ბიზანტიის არა ქვეშევრდომებად, არამედ მოკავშირეებად.

როგორც გადმოგვცემს ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე უამთააღმწერელი, ერეკლე კეისრის ხანაში, მისი ხანგრძლივი ლაშქრობის დროს აღმოსავლეთში (მე-7 საუკუნის 20-იან წლებში) – ლაზები და აფხაზები (ე. ი. აფხაზეთის ქართველები), იბერიელებთან ერთად, ოფიციალურადაც ბიზანტიის მოკავშირეების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სამხედრო თათბირების დროს ისინი თვით კარნახობდნენ სამხედრო გეგმებს. ხოლო როდესაც მათი გეგმა არ იქმნა განხორციელებული, ლაზები და აფხაზები, – როგორც გადმოგვცემს იგივე ისტორიკოსი, – „გამოეთიშნენ რომაელთა მოკავშირეობიდან და საკუთარ ქვეყნებში დაბრუნდნენ“. (4, გვ.195).

ჰერაკლე ამის შემდეგ დაუკავშირდა თურქთა დასავლეთ სახაკანოს, ხაზარებს, რომლებმაც ჯერ ალვანეთი და ადარბადაგანი დალაშქრეს, შემდეგ, სახაკანოს მმართველის ჯიბღუს (ჯაბღუ) (გ. 630) სარდლობით, ქალაქი დარუბანდი მინასთან გაასწორეს, გადავიდნენ ალვანეთში, ააოხრეს და ამის შემდეგ, 627 წელს, შემოდგომაზე, ქართლში შემოიჭრნენ და თბილისისკენ გამოემართნენ. აქ, მათ შეუერთდა ჰერაკლე. ქალაქი ალყაში მოაქციეს, მაგრამ ვერ აიღეს და ბოლოს, დიდი ზარალის შემდეგ, ქალაქს გაეცალნენ. ჰერაკლემ ირანისკენ გაილაშქრა და ნინევიის მახლობლად გადამწყვეტ ბრძოლაში სპარსელები გაანადგურა. აქედან, უძველესი ქალაქის, მდ. ტიგრის სანაპიროზე მდებარე ირანის დედაქალაქ **ქტესიფონისკენ** გაილაშქრა. მაგრამ სანამ ქალაქს მიადგებოდა, ხოსრო II ფარვაზის უფროსმა ძემ კავადმა ძმები და შაჰი მოკლა, თვითონ გამეფდა და სასწრაფოდ 628 წელს ჰერაკლესთან ზავი დადო. წყაროებიდან ჩანს, რომ ამავე წელსვე, ჰერაკლე ისევ ქართლში შემოსულა და ხაზარებთან ერთად, ორი თვის ბრძოლის შემდეგ, შემოდგომაზე, შეძლეს თბილისის აღება. ქალაქი ააოხრეს და გაძარცვეს. ქალაქის დამცველი მთავრები „ჰერაკლე კეისრისთვის მიუგვრიათ, რომელმაც მათ ჯოჯოხეთური სატანჯველი გადაუწყვიტა. უბედურ ტყვეებს ჯერ თვალები დათხარეს, შემდეგ ჩამოახრჩვეს, ამის შემდეგ ტყავი გააძვრეს, თვითონ გატენეს და ქალაქის კედელზე გადმოკიდეს.

კეისარს დიდი სისასტიკე გამოუჩენია აგრეთვე ნარმართებისა და ცეცხლმსახურთა მიმართ“. (9, ტ.II, გვ.282). „ჰერაკლემ ქართლის ერისმთავრის ტახტზე ბიზანტიის ორიენტაციის დამცველი ადარნასე დასვა“ (10, ტ.11, გვ.627). და აქაურობას გაეცალა.

ჰერაკლეს გამარჯვების შემდეგ, საქართველოში და საერთოდ მთელს ამიერკავკასიაში ბიზანტიის მმართველობა დამყარდა და ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები გახდნენ. ამიერიდან, ქართლში ერისთავები, ხოლო, „VII საუკუნის დამლევს „ლაზიკის მეფე“ უკვე აღარ იხსენიება და ქვეყნის მმართველი „პატრიკიოზის“ პატივს ატარებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეგრისის მმართველის უფლებები მეტად შევიწროებულა, ქვეყანას დამოუკიდებლობა დაუკარგავს და ის ბიზანტიის პროვინციის მდგომარეობამდე მისულა“. (7, გვ.114). ხოლო ლიხსაქეთ საქართველოში, „ბიზანტიელების წადილი კი ის იყო, რომ ერთგული და ძლიერი მოკავშირე მმართველი ყოლოდათ ამ შორეულ სასაზღვრო ქვეყანაში. ამიტომ ქართლის ერისმთავარი კეისარს განსაკუთრებულ პატივში ჰყავდა და მის გაძლიერებას ხელს უწყობდა“. (7, გვ.114).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ჰერაკლე მეფემ თავის ლაშქრობას სპარსთა წინააღმდეგ სარწმუნოებრივი ხასიათი მისცა: კეისარი ნარმართთა წინააღმდეგ მებრძოლ ქრისტიან მხედარხელმწიფედ გამოვიდა და ასეც შესაქროდნენ მას ბევრგან სპარსთა ბატონობით შევიწროებული ქრისტიანები.

საქართველოშიც, ჩვენი მატიანის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სიტყვით, კეისარს იძულებითი ღონისძიება უხმარია, რომ საქართველოშიაც ნარმართობა დათრგუნვილი, ხოლო ქრისტიანობა ძლევამოსილი ყოფილიყო.

«ჰერაკლჱ ტფილისს და მცხეთას და უუარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოვლნი ქრისტიანენი ქალაქთა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ ანუ მოისრნენ; ხოლო მათ ნათლისღებაჲ არა ინებეს, ზაკუით თანა

აღერინეს ქრისტიანეთა ვიდრემდის ყოველთაზედანარ ჰმართა მახკლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს; ხოლო ჰერაკლე განწმინდა შჯული ქრისტეისი და წარვიდა»-ო, – მოგვითხრობს „მოქცევაᲘ ქართლისაᲘ“. (2, ტ.I, გვ.266).

ბიზანტიის ხელისუფალთ არ აწყობდათ მის გვერდში მყოფი ეგრისის სამეფოს გაძლიერება და ამიტომაც, მათ ეგრისს ჩამოაცილეს ჩრდილოეთით მდებარე კუთხე, აბაზგია (აფხაზეთი) და დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადეს, რომელიც ამიერიდან უშუალოდ ბიზანტიას ემორჩილებოდა. თუმცა, ბიზანტიის მმართველობა ამიერკავკასიაში დიდხანს არ გასტანა. ჰერაკლე კეისრის მმართველობის ბოლოს, ამიერკავკასიას და ბიზანტიას სამხრეთიდან მოადგა მრისხანე, „მუჰამედის მოძღვრებით აღფრთოვანებული არაბთა ლაშქარი, რომელიც აგრეთვე ძალითა და მახვილით ავრცელებდა ახალს სარწმუნეობას.“ (2, ტ.I, გვ.266). VII საუკუნის პირველ ნახევარში, 633 წლის ბოლოს, როდესაც არაბები შეიჭრნენ ირანსა და ბიზანტიაში, არაბებმა არაერთხელ დაამარცხეს ჰერაკლე კეისრის ლაშქარი. 637 წელს კადიასთან ბრძოლაში არაბებმა გაანადგურეს ირანელთა ლაშქარი, დაიკავეს დედაქალაქი ქტესიფონი და ირანში მეფობა გააუქმეს. ამის შემდეგ არაბებმა დაიწყეს ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა. 640 წელს არაბები გამოჩნდნენ სომხეთში და მისი დედაქალაქი **დვინი** დაიპყრეს. 642–643 წლებში არაბები ქართლსაც მოსდგომიან, მაგრამ ქართლის ერისმთავარს მათთვის საჩუქრები გაუგზავნია და ზავი და მშვიდობა უთხოვნია. ამჯერად ამით დაკმაყოფილებულა არაბთა სარდალი და ქართლის ერისთავს ზავისა და „შეუვალობის წიგნი“ გაუგზავნა. ამის შემდეგ, თვით არაბეთში, დაიწყო შინა აშლილობა და ბრძოლა ტახტისათვის. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ამიერკავკასიის ქვეყნებმა (მათ შორის საქართველომაც) და შეეცადნენ არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებულიყვნენ.

ბიზანტიასა და არაბებს გარდა, ამიერკავკასიის ქვეყნებს კიდევ მესამე საშინელი ამაოხრებელი მტერი ჩრდილოეთიდან დაემატა, მომთაბარე თურქულენოვანი ხალხების ხაზარების სახით. მათ, VII საუკუნის შუა წლებში, დაახლოებით 650 წელს, ქვემო ვოლგისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მინა-წყალზე დაარსეს **ხაზართა სახანო**, რომელმაც იარსება X ს-ის ბოლომდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხაზარები, პირველად საქართველოში 627 წელს გამოჩდნენ როგორც ჰერაკლე კეისრის მოკავშირედ. შემდეგში, ხაზარები არაბებს დაუპირისპირდნენ და საქართველო საომარ ადგილად იქცა. ასე, რომ როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ქართველებს უხდებოდათ „სამი მხრით ხმლის ქნევა“. ბოლოს, არაბებმა იმძლავრეს და VII საუკუნის 70-იან წლებში ქართლი დაიკავეს. ლიხსიქეთ საქართველო კი, ისევ ბიზანტიის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.

როგორც ეტყობა წყაროებიდან, ბიზანტიის ბატონობა ლაზეთში არცთუ ისე მშვიდად მიმდინარეობდა, რადგან ბიზანტიასა და ლაზეთის მთავრებს შორის იმდენად გამწვავებულა მდგომარეობა, რომ VII საუკუნის შუა ხანებში ბიზანტიას ორჯერ გადაუყენებია ლაზთა მთავრები. პ. ინგოროყვა წერს:

„მე-7 საუკუნის დასასრულს, 697 წელს, ლაზეთის სამთავროში მოხდა აჯანყება ბიზანტიის წინააღმდეგ ლაზეთის მთავრის გიორგი ბარნუკის-ძის მოთავეობით... ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი ამ აჯანყების გამო წერს:

„697 წელს აჯანყდა [ბიზამტიის წინააღმდეგ] ლაზეთის პატრიკიოსი გიორგი ბარნუკის-ძე და ეს ქვეყანა [ლაზეთი] არაბებს დაუქვემდებარა“.....

საისტორიო წყაროებში არ შენახულა ცნობები იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში მომზადდა და ჩატარდა აჯანყება, თუ როდის მიმართეს აჯანყებულებმა არაბებს, აჯანყების დასაწყისშივე, თუ შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ აჯანყებულნი საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდებოდნენ ბიზანტიელებს.

ყოველ შემთხვევაში აქ ხაზგასასმელია შემდეგი. ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეთა იდეოლოგიის პირობებში, როდესაც ასეთი გასავალი ჰქონდა სარწმუნეობრივ შეურიგებლობას, აჯანყებულნი დაკავშირებიან „ურწმუნო“ არაბებს ერთმორწმუნე ბიზანტიელების წინააღმდეგ,

გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი ყოფილა უკმაყოფილება ბიზანტიელთა საუკუნე-ნახევრის ბატონობით დასავლეთ საქართველოში.

აჯანყებულებმა, ცხადია, გარკვეული დაპირებანი მიიღეს არაბებისაგან. მაგრამ ეს დაპირებანი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იქმნენ გამართლებულნი.

უახლეს ხანებში გამოირკვა, თუ რამდენად შემცდარი იყო ის გზა, რომელიც აჯანყებულებმა აირჩიეს არაბებთან კავშირის გაბმით.

საქმე საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ არაბებმა გზა გაიხსნეს დასავლეთ საქართველოსაკენ.

არაბებმა ფაქტიურად დაიკავეს დასავლეთ საქართველო თითქმის მთლიანად, გარდა ზოგიერთი ზღვის სანაპირო ქალაქებისა, რომლებიც შეინარჩუნეს ბიზანტიელებმა.

ამრიგად, 697 წლის აჯანყების შემდეგ ქვეყანამ არა თუ თავისუფლება ვერ მოიპოვა, არამედ იგი ბევრად უფრო მძიმე განსაცდელში ჩავარდა. ბიზანტიელების მფლობელობა შეიცვალა ბევრად უფრო მძიმე უღლით, არაბების ბატონობით". (4, გვ.196).

არაბებმა VIII საუკუნის დასაწყისში, 705–711 წლებში, დაიკავეს არათუ ეგრისის დედაქალაქი არქეოპოლისი (ციხე-გოჯი), არამედ „კოდორის ხეობის ზოგიერთი ციხე-სიმაგრეც. კეისარი კი, იმის მაგივრად, რომ ეგრისელთა მიმართ დათმობებითა და დაყვავებით ეს ქვეყანა არაბების წინააღმდეგ ბრძოლის ფორპოსტად გადაექცია, ცდას არ აკლებდა, რომ ჩრდილო კავკასიაში მობინადრე ალანები მოექრთამა, რათა ისინი აფხაზეთს, ეგრისსა და ქართლს შესეოდნენ და ეს ქვეყნები სამაგალითოდ დაესაჯათ. ეგრისი, ჩანს, იმ ხანებში არაბებსა და ბიზანტიელებს შორის ომის ასპარეზად გადაიქცა." (9, ტ.II, გვ.288).

წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა როგორც ბიზანტიელებს, ასევე არაბებს.

VIII საუკუნის დასაწყისიდან ფართო მოძრაობა დაიწყო არაბების წინააღმდეგ, როგორც ლიხსაქეთ, ასევე ლიხსიქეთ საქართველოში, რომელიც თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა.

არაბები სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს. საქართველოში, მათ მიერ შემოღებულ ძველ ხარკს, ახალი გადასახადები დაუმატეს. ამიტომაც აჯანყება აჯანყებას მოსდევდა და არაბებიც სულ ახალ და ახალ ჯარებს აგზავნიდნენ საქართველოში.

მატიანედან ცნობილია, რომ აჯანყებული ქართლის დასასჯელად, 735 წელს არაბთა სახალიფოს (სახელმწიფოს) სასულიერო და საერო მეთაურმა ხალიფამ ჰიშამმა (724–743), ხაზარების წინააღმდეგ საბრძოლველად და საქართველოს საბოლოო დამორჩილების მიზნით, გამოგზავნა 120 000-ნი ლაშქარი, თავისი ბიძაშვილის, მარვან II იბნ მუჰამადის (შემდგომში ხალიფა 744–750) სარდლობით (ქართული წყაროებით მურვან ყრუ) და ეს უზარმაზარი ლაშქარი საქართველოს შემოესია. მურვან ყრუმ ჯერ ქართლი ააოხრა. ამ დროს, ქართლის ერისმთავრად იმყოფებოდა მირი სტეფანოზის ძე. „VIII ს. I ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. ისტორიკოსი ჯუანშერი მას „მეფეს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ მირს საუხუცესოდ ჰქონდა ეგრისი, სვანეთი, არგვეთი და გურია". (10, ტ.7, გვ.11). მირმა და მისმა ძმამ არჩილმა (VIII ს-ის I ნახ,) მოსახლეობა მთებში გახიზნეს. თვითონ კი ლიხსიქეთ საქართველოში გადავიდნენ. ქართლის აოხრების შემდეგ მურვან ყრუ სამცხეში გადავიდა. აქაც გაანადგურა რაც-კი შეხვდა გზაში და აქედან ლიხსიქეთ საქართველოს შეესია. აქაც, დიდი წინააღმდეგობა გაუწია მოსახლეობამ. „დავით და კონსტანტინე, ძველი ქართული წყაროებით არგვეთის (ზემო იმერეთი) მთავრები VIII ს. I ნახევარში, მხეიძეთა ფეოდალური გვარიდან, გმირულად იბრძოდნენ საქართველოში შემოჭრილი არაბი სარდლის მურვან ყრუს წინააღმდეგ. არგვეთის ბრძოლაში არაბებმა შეიპყრეს ისინი და მონამებრივი სიკვდილით დასაჯეს. ქართველებმა მათი გვამები დაკრძალეს მდ. წყალწითელას ნაპირზე, სადაც ახლა მონამეთას მონასტერია. ქართულმა ეკლესიამ დავითი და კონსტანტინე წმინდანთა შორის ჩარიცხა". (10, ტ.3, გვ.339). მურვან ყრუმ, დასავლეთშიც ყველაფერი გაანადგურა, მოაოხრა და გადაწვა. ლაზეთის ყოფილი სამეფოს ძველი დედაქალაქი ციხე-გოჯი (ნაქალაქევი) დაანგრია. ჯუანშერის გადმოცემით, მურვან-ყრუმ „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი".

ლიხსიქეთ საქართველოში, ეგრისისა და არგვეთის აოხრების შემდეგ მურვანი შეიჭრა აფხაზეთში. მურვანის ლაშქარმა „შემუსრა და შეევლო ზღუდე, საზღვარი კლისურუსა... შემუსრა ქა-

ლაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი". არაბთა ლაშქრის ერთი ფრთა (სულეიმან ისამის-ძის სარდლობით) ავიდა მისიმიანეთში, აიღო და გაანადგურა ეგრეთ წოდებული „რკინის-ციხე".

ცხუმის აღების შემდეგ არაბთა ლაშქარი მურვანის მხედართმთავრობით, მოადგა ანაკოფიის ციხეს, აფხაზეთის მხარეთა შუა ნაწილში.

აქ, ანაკოფიის მიდამოებში, შეჩერებულ იქმნა არაბთა ჯარის ეს მსვლელობა". (4, გვ.198).

ანაკოფიის ციხე-სიმაგრე, სადაც გამაგრებულნი იყვნენ, აფხაზეთის ერისთავი ლეონ I (720/730–740) და ბიზანტიის იმპერატორის ვასალი და ქართლიდან გადმოსული ერისმთავარი მირი (რომელიც ამ ბრძოლის დროს დაიჭრა და გარდაიცვალა) და მისი ძმა არჩილი, არაბებმა ვერ აიღეს.

„გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც გაუმართეს არაბებს ანაკოფიის კედლებთან იბერიისა და აფხაზეთის შეერთებულმა ჯარებმა, გამარჯვება ერგო იბერიელ-აფხაზთა შეერთებულ მხედრობას. ამავე დროს არაბთა ჯარში, როგორც ჩანს, ჭირიც გაჩენილა". (4, გვ.198).

ამას დაერთო სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა და სხვა) და დიდი დანაკარგის გამო მურვან ყრუ იძულებული გახდა აფხაზეთიდან უკან დაეხია და სამხრეთ საქართველოში გადავიდა.

„ასე დასრულდა მურვან ყრუს ეს ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში, რომლის შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა პოლიტიკური მდგომარეობა ამ ახალი პოლიტიკური ერთეულისა, – „აფხაზეთის" სამფლობელოსი. არაბები ამის შემდეგაც ფლობენ დასავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილს, მაგრამ ლაზეთის ქვეყნის ეს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი – „აფხაზეთის" სამფლობელო – საბოლოოდ თავისუფლდება არაბთა ბატონობისაგან.

ზემოთ დასახელებული ანაკოფიის ბრძოლა ღირსსახსოვარი იყო კერძოდ იმის გამო, რომ აქ ერთად, ერთი დროშის ქვეშ, იბრძოდნენ იბერიელები და აფხაზები (ე. ი. აფხაზეთის ქართველები). საერთო საქმისათვის ერთად დაღვრილი სისხლი იბერიელებისა და აფხაზებისა იყო საწინდარი საქართველოს ამ ორი მხარის, იბერიისა და ლაზეთ-აფხაზეთის, მომავალი პოლიტიკური ერთობისა". (4, გვ.199).

სამხრეთ საქართველო მურვანმა ხელახლა მოაოხრა და ამის შემდეგ მურვან-ყრუმ „ძლევამოსილად ილაშქრა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში.... ეს იყო არაბების უკანასკნელი დიდი ლაშქრობა კავკასიის მთების გადაღმა.

743–744 წწ. მურვანი კავკასიიდან საბოლოოდ წავიდა სირიაში, სადაც მას სახალიფოს ტახტი ელოდებოდა". (9, ტ.II, გვ.290).

ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ: „მოვლო ყრუმან ყოველი კავკასიაჲ და დაიპყრა კარი დარიალანისაჲ და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა". (5, გვ.235).

სადაც კი მურვან ყრუმ გაიარა, ის ქვეყნები ისე განადგურებულა, რომ იქ, ჯუანშერის თქმით: „იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანაჲ ქართლისა, სომხითისა და რანისაჲ, რამეთუ არღარა იპოებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთაჲ ყოვლადვე~. (5, გვ.239). როგორც ცნობილია არაბები, დასავლეთ საქართველოში ვერ გამაგრდნენ, ხოლო, ლიხსაქეთ საქართველო კი, დიდი ხნის მანძილზე დარჩა არაბების ბატონობის ქვეშ. არაბებმა ქართლში თავისი მოხელე (ამირა) დააყენეს, რომელიც თბილისში იმყოფებოდა. ამის შემდეგ არაბებს ნახევარი საუკუნის განმავლობაში აღარ ულაშქრიათ საქართველოში და კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ხარკის გადახდით.

VII–VIII საუკუნეებში არაბების შემოსევებმა, ისედაც დასუსტებული ლიხსიქეთ საქართველო იმდენად დააუძლურა (რასაც თან დაერთო ფეოდალური დაქუცმაცება და სამთავროებს შორის ურთიერთ დაპირისპირება), რომ „VIII ს. დამდეგს ეგრისში საერთოდ აღარ ჩანს ადგილობრივი ხელისუფალი და მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთის სამთავრომდე ქართლის ერისმთავრების მფლობელობაში იმყოფება". (9, ტ.II, გვ.417).

მიუხედავად საქართველოში არაბთა ლაშქრობებისა და ხალხის აწიოკებისა, ქართველმა ხალხმა მაინც მოიკრიფა ძალა და არაბთა ბატონობას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. ხოლო VIII–IX საუკუნეებში ფეოდალიზაციის მოვლენათა განვითარებათა შედეგად არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ, საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა არაბთა ბატონობას თავი დააღწიეს. მურვან ყრუს ლაშქრობების (735–736) შემდეგ, საქართველომ იწყო ნელ-ნელა მოშენება და ეკონომიკური და

კულტურული განვითარება. ამავე დროს, VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, საქართველოში ჩამოყალიბდა სამეფო-სამთავროები: **კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის** და **აფხაზეთის**.

სამთავროებს შორის ბრძოლაში, თანდათან მძლავრობს აფხაზთა სამთავრო. აფხაზეთი საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით უფრო შორს იმყოფებოდა თბილისიდან, ამიტომ საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით ნაკლებად განიცდიდა არაბთა ძალადობას. მას ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობებიც, მიუვალი ადგილებითა და ძნელად გასასვლელი ტყეებით. ამავე დროს, ეს მხარე კარგად იყო დაცული მიუდგომელი ციხე-სიმაგრეებით. აფხაზთა სამთავრო და ეგრისი, ბიზანტიის ვასალებად ითვლებოდნენ და ამ დროს, შავიზღვისპირეთი ბიზანტიას ეპყრა. ამიტომ, არაბები ამ მხარეში ფეხს ვერ იკიდებდნენ და რამდენიმე წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ ლიხსიქეთ საქართველოს გაეცალნენ. ხოლო, ბიზანტიის ბატონობა საქართველოში გაგრძელდა სანამ თურქ-ოსმალებმა 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლი, ხოლო 1461 წელს ტრაპიზონი არ აიღეს და ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ შეწყვიტა არსებობა და ის ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. საქართველო უშუალოდ თურქ-ოსმალეთს დაუპირისპირდა.

3. კოლხეთის სამეფო (დემოგრაფიული მდგომარეობა).

ისტორიული წყაროების ცნობით, კოლხეთის სამეფოში და ლიხსიქეთ საქართველოს მინა-წყალზე ცხოვრობდნენ (დაახლ. 20-მდე) მრავალი მონათესავე, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებული ქართველური ტომები: **აბაზგები, აფსილები, ზიდრიტები, გელონები, კარდუხები, კორაქსები, ლაზები, მაკროკეფალები, მაკრონები, მაქელონები, მელანხლაენები, მოსინიკები, მოსკები, მოსხები, სანები, ტიბარენები, „ფასიანები, ბასიანები“, ქალდები, „ხალიბები, ხალდები“, ჰენიოხები** და სხვ. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ძველი საბერძნეთის მწერლებს აზრადაც კი არ მოსვლიათ, რომ სხვადასხვა ქართველი ტომები ერთმანეთის მონათესავენი არიან“. (21, გვ.13).

ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხების განხილვისას მეცნიერები ძირითადათ ეყრდნობიან არქეოლოგიურ მასალებს და წერილობით წყაროებს. წერილობითი წყაროებიდან – კი მცირე რიცხოვან ძველაღმოსავლურ წყაროებსა და განსაკუთრებით, ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ წყაროებს.

ანტიკურ წყაროებში, ქართველების, კერძოდ, კოლხების წარმომავლობის შესახებაც, მოთხრობილია თქმულებებისა და ზღაპრების სახით.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის სამეფოს პირველი მეფე ფ ა რ ნ ა ვ ა ზ I, (ძვ. წ, IV ს-ის ბოლო – ძვ. წ, III ს-ის I ნახევარი), ქართლის ტომის ბელადის ს ა მ ა რ ა მ ც ხ ე თ ე ლ ი მამასახლისის ძმისწული იყო. მას ეგრისის მმართველის (ერისთავის) ქუჯის, ლეკების, ოსებისა და ათასი ბერძენი მეომრის დახმარებით დაუმარცხებია მცხეთის დამპყრობელი აზო და „თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. ფარნავაზ I-ის მეფობა სელევკიდებმა აღიარეს.. მან ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა – ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად (მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრიხის, კლარჯეთის, ეგრისის და შიდა ქართლის), რომელთაც სათავეში ერისთავები ჩაუყენა. ფარნავაზ I-მა ქართლის მთაზე აღმართა სამეფოს მთავარი ღვთაების არმაზის კერპი. ძველი ქართული ტრადიცია ფარნავაზ I-ს ქართული დამწერლობის შემოღებას მიაწერს.“ (10, ტ.10, გვ.232).

ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ ფარნავაზმა გააგზავნა „მონაჲ თჳსი ქუჯის თანა და ჰრქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოსისი, მცხეთოსის ძისა და ძმისწული სამარა მამასახლისაისაჲ, და არს ჩემ თანა ხუასტაგი დიდძალი. ან უკუეთუ ინებო, რათა მოვიდე შენ თანა და ვიყენეთ ჩუენ ძმა, და ვიჴმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე, და გამოუჩნდეთ მტერად აზონ ერისთავსა“ და შეერთებული ძალით დავამარცხოთ მტერი. თანხმობის მიღებისთანავე, „ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა... და წარიტანა თანა, და დედაჲცა და დანი მისნი მის თანა, და მივიდა ქუჯის თანა. და ჰრქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათაჲ, და შენ გმართებს უფლებაჲ ჩემი. ან ნუ ჰშურობ ხუასტაგსა შენსა, რაჲთა განმავრავლნეთ სპანი შენნი, და უკუეთუ მოგუეცეს ძლევაჲ,

შენ ხარ უფალი ჩემი, და მე ვარ მონაჲ შენი". (5, გვ.42). ქუჯის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ლეონტი მროველმა გადმოსცა, ჯერ კიდევ მაშინ არსებული საქართველოს გაერთიანების სურვილი.

ერთობლივი (ლიხსაქეთ და ლიხსიქეთ) ქართველებისა და ჩრდილოეთ კავკასიელთა დახმარებით, გამარჯვების შემდეგ, ფარნავაზმა „დაჲ მისი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა [ქუჯის] ქუეყანაჲ ეგრისწყალსა და რიონსა შუა, ზღუთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე გოჯი." (5, გვ.43). ფარნავაზ I-ს ლიხსიქეთ საქართველოში აუგია ციხე-ქალაქი დიმნა. (ბაღდადის მახლობლად).

„მკვლევართა აზრით, „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ეს გადმოცემა უნდა ასახავდეს ავტორის (ლეონტი მროველის) კონცეფციას ძველ ხანაში ეგრისსა (კოლეხეთსა) და ქართლს შორის არსებული პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ." (10. ტ.10, გვ.579).

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ როგორც ძველ ქართულ, ასევე ძველ ანტიკურ და ბიბლიურ წყაროებში მოთხრობილ ამ ზღაპრების გარდა, ასახულია რეალური სინამდვილეც.

ანტიკური წყაროებიდან ჩანს, რომ კოლხური მოსახლეობა ძირითადათ ქართული ტომებისაგან შედგებოდა. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „კოლხური მოსახლეობა ქართველთა სამს შტოს ჰკუთვნებია: ლაზ–მეგრელებს, აფშილ–აფხაზებს და სვანებს." (2, ტ.I, გვ.427).

საქართველოს ერთ-ერთი მხარე **სვანეთი**, დღევანდელ დღეს, მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს და მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ზემოწელს. ადრე, ისტორიულ სვანეთში შედიოდა „მდ. კოდორის ზემონელის ხეობები, ე. წ. აფხაზეთის სვანეთი, სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილი, ლეჩხუმისა და ზემო რაჭის მოსაზღვრე რეგიონი; ჩრდილოეთ კავკასიაში – ყუბანისა და ბაქსანის სათავის ხეობები". (10, ტ.9, გვ.309).

ცნობილია, რომ დღევანდელი სვანები, უწინდელ დროში, წარმოადგენდნენ ქართველების ერთ-ერთ ტომს, მრავალრიცხოვან და ძლიერ ხალხს, რომლებიც ბინადრობდნენ მცირე აზიაში. დროთა განმავლობაში სვანებს მეზობელი ქართველთა ტომების შემოტევების შედეგად ჩრდილოეთისკენ გადმოუნაცვლებიათ. კოლხეთის სამეფოს დროს, სვანეთი მისი შემადგენელი ნაწილი გამხდარა, ხოლო შემდეგში – ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში შედიოდა.

ივანე ჯავახიშვილი „კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე სვანეთის შესახებ", წერდა:

„სვანებს, სტრაბონის სიტყვით, ეპყრათ კავკასიის უღელტეხილი დიოსკურიადიდან მოყოლებული. აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრები ბერძნებისა და რომაელების მწერლებს ნაჩვენები არ აქვთ, მაგრამ უეჭველია ძველად სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ; პლინიუსი, მაგალითად, მოგვითხრობს, მდინარე ხობი კავკასიის მთიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დისო; ამასვე ამტკიცებს საგეოგრაფო სახელების დაკვირვებაც, მაგ., **ლეჩხუმი**, ლებაჩილე და სხვ. შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ, ისინი კი კავკასიის უღელტეხილზე მოუმწყვდევიათ; დაპყრობილ სვანებს მეგრული შეუთვისებიათ; მაშასადამე, მეგრელებსა და სვანებს შორისაც ნარევი ტომი უნდა გაჩენილიყო. ამას პტოლომეს ცნობაც ამტკიცებს; თავის გეოგრაფიაში იგი სვან-კოლხების (სუანნო-კოლხოჲ) ტომს ასახელებს". (2, ტ.I, გვ.429).

„XI–XV სს-ში სვანეთი საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ რამდენიმე ნაწილად დაიყო: სვანეთის სამთავროდ (ზემო სვანეთის დასავლეთი ნაწილი, ენგურის ხეობა, ბალის ქედის ქვემო მხარე – იგივე სადადეშქელიანო სვანეთი), ბალზემო სვანეთად (ზემო სვანეთის აღმოსავლეთის ნაწილი – იგივე გვიანდელი პერიოდის „თავისუფალი სვანეთი"), ქვემო სვანეთად (ცხენისწყლის ხეობა: ლაშხეთის, ჩოლურისა და ლენტეხის თემები). XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლენტეხის თემი დადიანებმა დაიმორჩილეს, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვემო სვანეთის, ანუ „ცხენისწყლის სვანეთს", სადადიანო სვანეთიც ეწოდა". (10, ტ.9, გვ.309).

დღევანდელ დღეს სვანეთი ორი ნაწილისაგან შედგება: ზემო მაზრა (ენგურის ხეობა) და ქვემო ლეჩხუმის მაზრა (ცხენისწყლის, სადადიანო).

ცნობილია, რომ ერთ-ერთ უძველეს სვანთა ტომს ეკუთვნის **მისიმიელები** (იხ. ქვევით), რომლებიც ცხოვრობდნენ დღევანდელ აფხაზეთის მინა-წყალზე. შემდგომში ისინი კოლხეთის მეფეს ემორჩილებოდნენ.

პ. ინგოროყვა სვანებისა და მისიმიელების შესახებ წერს:

„საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში აფხაზეთის მხარეში, სხვა ქართველი ტომების გვერდით, სვანური მოსახლეობაც იყო.

სტრაბონი იმ ხალხთა შორის, რომელნიც ემხრობიან დიოსკურიის (სოხუმის) თემს – მოიხსენიებს სვანებს. სტრაბონის სიტყვით სვანები „არიან პირველნი ძალითა და ძლიერებით (პონტოს მთიელ ტომთა შორის)", ისინი „მბრძანებლობენ ყველა გარემო ტომებზე და უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის ზემოთ"....

კლავდი პტოლომეს პონტოს (შავი ზღვის მხარის) ჩრდილოეთ ტომთა შორის, რომლებიც მოსახლეობდნენ აფხაზეთის მხარეთა ზონაში, ჰენიოხების მეზობლად, დასახელებული ჰყავს ტომი სვან-კოლხები... სვან-კოლხები არის იგივე სვანური მოსახლეობა....

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყველა იმ ცნობას, რომლებიც დაცულია საისტორიო წყაროებში მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ, ირკვევა შემდეგი:

ა. ძველი აბორიგენული მოსახლეობა ამ მხარისა – კოლაელნი, რომლებიც მოიხსენებიან მე-6–4 საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა... – ეკუთვნოდნენ კოლხურ შტოს.

ბ. შემდეგ ხანაში, არა უგვიანეს ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნისა, აქ მომხდარა ჩამოსახლება სვანური ტომისა (სტრაბონი).

გ. უფრო გვიან მომხდარა შერევა ამ ორი ტომისა კოლხებისა და სვანებისა და წარმომდგარა ნარევი ტომი: სვან-კოლხები ანუ ეგერ-სვანები, (მეგრელ-სვანები)". (4, გვ.144).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს ნაწილში მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ". მათ, ერთმანეთისაგან აშორებთ გურულები და იმერლები, რომლებიც „მეგრელ-ლაზების მინა-წყლის შიგ შუაგულში არიან შეჭრილნი." და რომ „თავდაპირველად კოლხეთის ის მინა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა". ი. ჯავახიშვილის თანახმად, დღევანდელი გურულები და იმერლები, ადგილობრივი მკვიდრნი არ არიან. VI–VIII საუკუნეებში, როდესაც იბერია „არაბთა მძლავრ და მკაცრ ბატონობის ქვეშ იყო და ხალხი აუტანელ მოხარკეობას გაურბოდა", გადმოსახლებულან კახეთიდან და ქართლიდან, დასახლებულან „უკაცრიელ ადგილებში" და „ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირერიცხოვანი მკვიდრნი გაუქართებიათ, მაგრამ თითონაც შეუთვისებიათ მათგან ბევრი რამ და ნარევ მოსახლეობას შეუქმნია ახალი ენაკილო". (2, ტ.I, გვ.427-429).

მისივე თქმით: „საქართველო იყოფოდა ორ ნაწილად: ერთს **„ლიხთ იმერეთი"**... ეწოდებოდა, მეორეს, რასაკვირველია, „ლიხთ ამერეთი" ერქმეოდა. მცხოვრებთათვისაც არსებობდა ამგვარივე სახელი „ლიხთიმერი".... და „ლიხთამერი". (2, ტ.II, გვ.49). და „ლიხთამერი"-ს მოსახლეობა განსაცდელის დროს, მტრისაგან თავი, რომ გადაერჩინად „ქართლ-კახეთითგან დასავლეთ საქართველოში, ლაზიკაში, გადადიოდნენ და იქ ეგრისში, თუ აფაბაზეთის მთებში ჰპოულობდნენ თავშესაფარს. მცხოვრებთა გახიზვნა და გადასახლება მეტის მეტად გახშირდა არაბთა ბატონობის დროს, განსაკუთრებით მას შემდგომ, როდესაც სარწმუნოებრივი შევიწროება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო ხარკი წინანდელთან შედარებით გაორკეცებულ და გასამკეცებულ იქმნა. ამ დროსაც ქართველთათვის ჩვეულებრივი თავშესაფარი და კერა დასავლეთი საქართველო ყოფილა.... საგულისხმოა, რომ ერთბაშად მრავალი სული იყრებოდა და მიდიოდა... უეჭველია ყველანი არ ბრუნდებოდნენ უკან; რაკი მათს სამშობლოს დიდხანს დაწყნარება არ ჰლირსებია, ისინი იძულებულნი იყვნენ იქ დარჩენილიყვნენ და მკვიდრობა მოეკიდებინათ. აი რა დროს და საითგან უნდა გაჩენილიყო იმერ-გურულთა ტომები დასავლეთის საქართველოში, იმერეთსა და გურიაში." (2, ტ.II, გვ.88).

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ „VIII ს-ის პირველ ნახევარში, ფაქტობრივად, დასტურდება მერმინდელი იმერეთის, როგორც ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ და ვივარაუდებთ, რომ VIII ს-ის პირველი ნახევარი არის გარკვეული ეტაპი დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ელემენტის დამკვიდრებისა, მაშინ, ეგების არც ის უნდა იყოს უსაფუძვლო, თუ სწორედ ამ დროს „ქართლის ცხოვრებაში", ანონიმის ტექსტში, „გურიის" პირველად ხსენებაც ეთნო-კულტურული განვითარების გარკვეულ საფეხურს დავუკავშირებთ. აღმოსავლური ქართული ეთნიკური ელემენტის დიფუზია დასავლეთისაკენ (ისევე, როგორც აღმოსავლეთისაკენ), როგორც ვიცით, უძველესი დროიდანვე იწყება და ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის მას, ყოველ შემთხვევაში, ათასწლოვანი ისტორია აქვს. მაგრამ მაინც VIII ს-ის პირველი ნახევარი, ჩანს, ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც დასავლეთ საქართველოში საბოლოოდ ყალიბდება ის ეთნოგრაფიული ერთეულები, რომელნიც დღემდე იმერეთისა და გურიის სახელწოდებით არის ცნობილი". (8, ტ.II, გვ.138).

სახელწოდება „**იმერეთი**" ადრე არ არსებობდა. მეცნიერთა აზრით, სახელწოდება „იმერეთი" წარმოსდგა „იბერების" სატომო სახელისაგან და ის პირველად ქართლში წარმოიშვა, როგორც ლიხსიქეთ (დასავლეთი) საქართველოს აღმნიშვნელი სახელწოდება.

„სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან, იმერეთი, ე. ი. ლიხსიქეთა მხარე". (10, ტ.5, გვ.112).

4. აფხაზები და აფხაზეთის სამეფო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელ აფხაზეთის მიწა-წყალზე და მის ჩრილოეთ მხარეში, ანტიკური წყაროების მიხედვით, ცხოვრობდნენ კოლხური, ესე იგი ქართველური ტომები.

პ. ინგოროყვა აფხაზების შესახებ წერს: „როგორც ეს გამოირკვა საისტორიო წყაროების პრეციზული ანალიზიდან, დასავლეთ საქართველოს ქ ა რ თ უ ლ ი სახელმწიფო დაარსებული ყოფილა არა უცხო ტომის მიერ (დაპყრობის შედეგად), არამედ დასავლეთ საქართველოს ქ ა რ თ უ ლ ი სახელმწიფო შექმნილი იყო ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის იყო ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტომი აფხაზები". (4, გვ.294.).

ისტორიკოსის მ ა რ ი კ ა ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს თქმით:

„აფხაზეთი ერთ-ერთი უძველესი ქართული ისტორიული და გეოგრაფიული მხარეა, ისეთივე, როგორც მაგ.: კახეთი, სამეგრელო, სვანეთი... აფხაზად იწოდება აფხაზეთის მცხოვრები. საუკუნეთა მანძილზე საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების შედეგად, აფხაზეთის ფარგლები, შესაბამისად, ცნება აფხაზეთისა და აფხაზის მნიშვნელობა, ხან ფართოვდებოდა, ხან იკვეცებოდა.

ეგრისისა და აფხაზეთის, ამ ორი დასავლურქართული ქვეყნის გაერთიანება და ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფოს წარმოშობა, იმ საერთო-ქართული მასშტაბით მიმდინარე პროცესის შედეგი იყო, რომელსაც VIII ს-ის ბოლოსთვის განაპირობებს სხვა ქართული (კახეთი, ჰერეთი...) სახელმწიფოების წარმოშობა". (8, ტ.II, გვ.188).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ აფხაზეთის მხარეში მოსახლეობდა რამდენიმე ტომი, „რომელთა შორის მე-8–10 საუკუნეებში და, საერთოდ საშუალო საუკუნეებში, მთავარი ადგილი ეჭირა აფხაზთა ტომს, რის გამოც მთელ მხარეს ა ფ ხ ა ზ ე თ ი ეწოდებოდა.

სახელდობრ, აფხაზეთში (აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში) მოსახლეობდა შემდეგი ოთხი ადგილობრივი ტომი: 1. ა ფ ხ ა ზ ე ბ ი; 2. ს ა ნ ი გ ე ბ ი (ს ა ნ ი ხ ე ბ ი) ა ნ უ ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ი; 3. ა ბ ს ი ლ ე ბ ი (ა ფ ს ი ლ ე ბ ი); 4. მ ი ს ი მ ი ა ნ ე ბ ი. გარდა ამ ოთხი ადგილობრივი მკვიდრი ტომისა, აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ სანაპიროზე ჩამოსახლებული ყოფილან ჯიქები (ეს არის აფხაზეთის ჯიქეთი)". (4, გვ.122). მისივე თქმით, „აფახაზეთის მხარეები მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობისა და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით განიყოფებოდა" ძირითადად VI ერთეულებად და კიდევ იყო მე-7-ე ერთეული, რომელიც არ შეადგენდა აფხაზეთის მხარეთა უშუალო ნაწილს, მაგრამ ერთხნად დაკავშირებული ყოფილა აფხაზეთთან.

„I. მთიანი აფხაზეთი ანუ ძირითადი აფხაზეთი.....

რომელიც მოიცავდა შემდეგ სექტორებს: 1. მდინარე ბზიბის (ბზების) ხეობის შუა და ზემო ნაწილი; 2. მდინარე ფსოუს (ფსუს) ხეობის ზემო ნაწილი; 3. მდინარე მძიძთის ხეობის შუა და ზემო ნაწილი. ეს ტერიტორია აფხაზთა ტომს უჭირავს როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში. ადრინდელი ცენტრი ამ ძირითადი აფხაზეთისა (მთიანი აფხაზეთისა), როგორც ირკვევა, იყო მძიმთის ხეობაში... თვით მძიმთის მდინარეს (რომელიც ადლერთან ერთვის შავ ზღვას), ეწოდებოდა მდინარე აბასხი (აბასკი), აფხაზთა მდინარე.

II. ზღვისპირა აფხაზეთი ანუ ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი (სანიხეთი, სანიგეთი). – ზღვისპირა მხარე ისტორიული აფხაზეთისა, სახელდობრ ზონა სუხუმის, ლიხნი-ბიჭვინთის, გაგრის და ადლერის სექტორებისა ანტიკურ ხანაში შედიოდა ჰენიოხების (სანიხების, სანიგების) ტომის ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო, ანტიკური ხანის დასასრულს ეს მხარე მეზობელ აფხაზთა ტომის ტერიტორიის ფარგლებში გადასულა. წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან ირკვევა, რომ ეს მომხდარა მე-3–4 საუკუნეებში ახალი ნელთაღრიცხვისა. ამ დროიდან მოკიდებული, საშუალო საუკუნეთა განმავლობაში, ეს ზონა აფხაზთა სატომო ტერიტორიის ნაწილს შეადგენს. პოლიტიკური ცენტრი ამ მხარისა – ზღვისპირა აფხაზეთისა (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთისა) იყო ცხუმი (თანამედროვე სუხუმი), ხოლო, საეკლესიო ცენტრი – ბიჭვინთა (რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოზთა)....

III. შიდა ჰენიოხეთი (სანიხეთი, სანიგეთი). – აფხაზეთში მოსახლე ოთხი ძირითადი ტომიდან (აფხაზები, ჰენიოხები, აბსილები და მისიმიანები). ანტიკური ხანის დასასრულსა და საშუალო საუკუნეებში მთავარი ადგილი ეჭირა აფხაზების ტომს. ხოლო უფრო ადრე, ანტიკურ ხანაში, აფხაზეთის ამ ტომთა შორის ასევე მთავარი ადგილი სჭერია ჰენიოხებს (იგივე სანიხები, სანიგები). შუაგული იმ ტერიტორიისა, სადაც ძველთაგანვე მოსახლეობდა ჰენიოხთა ტომი, ეს არის სოჭის რაიონი, დაწყებული მდინარე აბასხის (მძიმთის) ხეობის დასავლეთიდან, ვიდრე მდინარემდე ახეუნთა (შახე). ეს შუაგული ნაწილი თავისი ძველი სატომო ტერიტორიისა, რომელიც ჰენიოხებს ეჭირათ ანტიკურ ხანაში, შეუნარჩუნებიათ მათ საშუალო საუკუნეებშიც....

IV. აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი – მოიცავდა ახლანდელ ტუაფსეს რაიონს, დაწყებული ახეუნთას (შახეს) მდინარიდან ვიდრე ნიკოფსიამდე. ეს ტერიტორია, რომელიც, როგორც ირკვევა, ადრე ჰენიოხების მიწა-წყალს შეადგენდა, შემდეგ ჯიქების ხელში გადასულა....

ცენტრი აფხაზეთის ჯიქეთისა (ძველი ჩრდილო ჰენიოხეთისა) იყო ქალაქი ნიკოფსია. აღსანიშნავია, რომ ძველი სახელი ქალაქ ნიკოფსიისა ყოფილა „ლაზეკა“...

ისტორიული აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი შეიცავდა ორ მხარეს: აბსილეთსა და მისიმიანეთს.

V. აბსილეთი. – აფხაზეთის მხარეთა ტომს რომელიც, ატარებდა სახელწოდებას აბსილი ანუ აფსილი (იგივე აფშილი). ეჭირა მდინარე კელასურის (ძველი კორახის მდინარის) ხეობის ზემო ნაწილი და მისი მიმდგომი ზონა გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხებამდე. ჩრდილოეთის მხრით იგი ესაზღვრებოდა კავკასიონის ქედს (მარუხის უღელტეხილის სექტორში). მთავარი პუნქტი აბსილეთის ტერიტორიისა იყო ნიბელი (ნიბელთა, თანამედროვე წებელდა).

VI. მისიმიანეთი. – აფხაზეთის მხარეთა ტომი, რომელიც ატარებდა სახელწოდებას მისიმიანი, მოსახლეობდა კოდორის ხეობაში (წებელდის ზემოთ, ვიდრე კლუხორის უღელტეხილამდე). მთავარი პუნქტი მისიმიანთა ტერიტორიისა იყო ჩხარი, იგივე ჩხალი (თანამედროვე ჩხალი, ჩხალთა, – კოდორის ხეობის ზემო ნაწილში), რომელსაც აგრეთვე „რკინის-ციხე“ რქმევია.

VII. გარდა ზემოთ ჩამოთვლილ ექვსი მხარისა, რომლებიც შედიოდა აფხაზეთის მხარეების (აფხაზეთის საერისთავოს) შემადგენლობაში, აქ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი პროვინცია, რომელიც თუმცა არ შეადგენდა აფხაზეთის მხარეთა უშუალო ნაწილს, მაგრამ ერთხანად დაკავშირებული ყოფილა აფხაზეთთან. ეს არის მხარე, რომელიც მდებარეობდა აფხაზეთსა და შიდა ეგრესს შორის და რომელსაც ძველ-ქართულ მატიანეებში ეწოდებოდა „ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა“.

ტერიტორიული მოცულობა აფხაზეთსა და შიდა-ეგრისს შუა მდებარე ამ ბუფერული მხარესა შემდეგი იყო:

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც გაჰყოფდა ამ მხარეს შიდა ეგრისიდან გასდევდა ბედიის სექტორში. თვით ბედია (ქალაქი ეგრისი) ეკუთვნოდა შიდა ეგრისს, ხოლო ამის ჩრდილო-დასავლეთით იწყებოდა ეს ბუფერული ზონა. მოსაზღვრე მდინარე, რომელიც დასახელებულია საისტორიო წყაროებში – „ეგრის წყალი" – ეს არის მდინარე ღალიძგა. (აღსანიშნავია, რომ თვით სახელწოდება ამ მდინარისა ღალიძგა მეგრულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა).

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ამ ბუფერული ზონისა ყოფილა კელასურის (კორახის) კედელი, „ზღუდე, საზღვარი კლისურისა".

დანარჩენი საზღვრები – ბუნებრივი მიჯნებია: ჩრდილოეთით ფანავის ქედი, სამხრეთ-დასავლეთით – შავი ზღვა.

ამრიგად, ამ ბუფერული ზონის ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე ოჩამჩირის რაიონს და სამხრეთ ნაწილს გულრიფშის რაიონისა....

სახელწოდება „შუა ქუეყანა" არქაული პერიოდის ძველ ქართულში იქმნებოდა „შუა სოფელი". აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება ამ მხარისა, სწორედ ამ უძველესი არქაული ფორმით „შუა სოფელი" შენახული ყოფილა ადგილობრივ ბოლო დრომდე, თვით მე-18–19 საუკუნეებამდე". (4, გვ. 122–128).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ზემოთ ჩამოთვლილ აფხაზეთის მხარეებში, ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში (და კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის" სამეფო)... დასახლებული ყოფილა ქართველი ტომებით:

1. „შუა სოფელ"-ში.... მოსახლეობდნენ ეგრისელნი, – მეგრელ-ლაზნი.

2. მთა აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) დასახლებული ყოფილა ტომით, რომლის ტომობრივი სახელწოდება ყოფილა „მოსხი", იგივე მესხი.... საფიქრებელია, რომ თავდაპირველი ენა ამ ტომისა საკუთრივ ქართული იყო (რასაც გვაფიქრებინებს მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების საკუთრივ ქართული ხასიათი).

3. შიდა ჰენიოხეთი (სოჭის რაიონი), როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, დასახლებული იყო მეგრელ-ლაზთა ტომით....

4. ზღვისპირა აფხაზეთი (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი). ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ჰენიოხთა სატომო ტერიტორიას, ხოლო ანტიკური ხანის დასასრულიდან მოკიდებული ეს ზონა... მესხების (აფხაზების) სატომო ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული.

5. აბსილეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კორახეთი) ნარევი მოსახლეობა იყო. ორი ქართველი ტომებისა: მეგრელ-ლაზებისა და მესხებისა.

6. მისიმიანეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კოლაეთი) ასევე ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლაზებისა და სვანებისა. ამ მხარეში მოსახლე ტომს მიემართებოდა სახელწოდება: „სვან-კოლხები" ანუ „ეგერ-სვანები" (ე. ი. მეგრელ-სვანები).

7. დასასრულ, ისტორიული აფხაზეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მხარე – აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი, (ტუაფსეს რაიონი) – ანტიკურ ხანაში დასახლებული ყოფილა მეგრელ-ლაზთა ტომით ჰენიოხებით, ხოლო, ანტიკური ხანის ბოლო პერიოდსა და საშუალო საუკუნეებში ამ მხარეში შერეული მოსახლეობაა ჰენიოხებისა (სანიხებისა) და ჯიქებისა". (4, გვ.129).

საბოლოოდ პ. ინგოროყვას გამოაქვს დასკვნა, რომ:

„როგორც გამოირკვა, აფხაზეთის მხარეები ძირეული ქართული ქვეყანაა, რომელიც ძველი დროიდანვე ქართველებით იყო დასახლებული. აფხაზთის მხარეების მოსახლეობა ქართული იყო როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში და, კერძოდ, საშუალო საუკუნეთა იმ მონაკვეთზე, მე-8 საუკუნეში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო". (4, გვ.188).

თვით აფხაზების წარმომავლობის საკითხის განხილვას, მეცნიერებმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს. შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ეთნოგენეზის გამორკვევას და დადგენას, მეცნიერები ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე ცდილობენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური წყობილების დროს, საქართველოში შემავალი და დასახლებული მცირე ეროვნებების (დღევანდელი **აფხაზების, ოსების, სომხების, ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების** და სხვ.) წარმოშობის შესახებ წერას (სიმართლის თქმას), თავისებური ტაბუ ჰქონდა დადებული და ამ საკითხების განხილვა არც ისე ადვილი იყო. ხოლო, თუ რომელიმე მეცნიერი სიმართლეს დაწერდა ეროვნებების შესახებ, მას არ გაახარებდნენ.

1980 წელს, უნივერსიტეტში, პ. ინგოროყვას საღამოზე, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე (1928–1999) თავის სიტყვაში, აღნიშნავდა:

„ჩვენ რომ თავის დროზე პ. ინგოროყვას უზარმაზარი წიგნისათვის – „გიორგი მერჩულე" – სათანადო ყურადრება მიგვექცია და ღრმად დავკვირვებოდით, დღეს არ იარსებებდა აფხაზეთის ანეგდოტური პრობლემა. მაგრამ მაშინ იმის აღნუსხვას მოვუნდით, რამდენი შეცდომა აქვს პავლე ინგოროყვას დაშვებული. დღეს აქ არავინ აპირებს, თქვას, ინგოროყვას შეცდომები არ ჰქონდაო. ღმერთმა დაგვიფაროს ისეთი მეცნიერის არსებობისაგან, ვისაც შეცდომა არ ექნება, მაგრამ, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ, როცა საქართველოს ჟამი დარეკავს, ჩვენ ყველანი პავლე ინგოროყვას წიგნს ავიღებთ ხელში და ამით დავადგენთ სამართლიანობას, ხოლო განმაქიქებელ წიგნებს ნაკლები მუშტარი ეყოლება..." (20, გვ.84).

მიუხედავად, ზოგიერთი რუსი და „აფხაზი" ე. წ. ვაი მეცნიერთა წარმომადგენლების (მით უმეტეს დღევანდელი „აფხაზების") ტენდენციური განცხადებებისა, აფხაზთა არა ქართველობის შესახებ, როგორც საზღვარგარეთის, ასევე თვით რუსეთისა და ქართველმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ დღევანდელ აფხაზეთის მიწა-წყალზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველური ტომები და მათი წინაპრები იყვნენ აფსილები და აბაზგები და ეს ტომები „ისეთივე ქართველური ტომები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახლე ეგრები (ლაზები), სვანები და სხვა ტომები, ხოლო თანამედროვე აფხაზები გვიან, XVII და მომდევნო საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან".....

ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუების ნაწილი შეერია ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ამავე დროს, აფხაზების ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, არსებული წყაროები უტყუარად მოწმობენ, რომ „ისინი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოებრივ-კულტურულ სამყაროში იმყოფებოდნენ და ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ". (21, გვ.3).

ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი წერს, რომ „ეთნონიმები საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ, მაგრამ ისტორიის ერთ ეტაპზე ესა თუ ის სახელწოდება თუ ერთ რომელიმე ხალხს აღნიშნავდა, მეორე ეტაპზე – მეორეს და შესაძლებელია, მესამე ეტაპზე მესამე, სრულიად სხვა ხალხი აღინიშნოს. აქედან გამომდინარე, მკვლევარებს დიდი სიფრთხილე მართებთ, როდესაც საისტორიო წყაროებში ამა თუ იმ ეთნონიმს ამოიკითხავენ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურა, რომელშიც ეთნონიმი „აფხაზი" გვხვდება არა აფხაზთა აღსანიშნავად, რომელთა თვითსახელწოდება „აფხუაა", არამედ ის სინონიმია ეთნონიმისა „გურჯი", ე. ი. ქართველისა". (28, გვ.61).

როგორც ცნობილია, ისტორიკოსის ჯემალ გამახარიას თქმით: „ძველქართული მატიანე „ქართლის ცხოვრება" ინყება ცნობით კავკასიელ ხალხთა ეპონიმების შესახებ. ამ მატიანის მიხედვით, ტერიტორია ლიხის (სურამის) მთებიდან შავ ზღვამდე და მდ. მცირე ხაზარეთამდე (ყუბანი) წილად ხვდა ეგროსს – დასავლელი ქართველების (ეგრების) ეპონიმს. ძველი მწერლებისათვის კარგად ცნობილი აფხაზები „ქართლის ცხოვრებაში" წარმოდგენილი არიან არა უცხო ხალხად, არამედ დასავლელ ქართველთა ორგანულ ნაწილად. ზუსტად იგივე შეხედულება ჰქონდა ანტიკური ხანის თუ შუასაუკუნეების უკლებლივ ყველა რომაულ-ბიზანტიურ ავტორს, ვინც მსოფლიოს ხალხთა გენეოლოგიაზე წერდა. ისინი იცნობდნენ I–II საუკუნეებიდან წყაროებში მოხსენებულ აფსილებს და აბაზგებს (რომლებსაც ზოგიერთი ავტორი შეცდომით თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად მი-

იჩნევს), მაგრამ მსოფლიოს ხალხთა ჩამონათვალში მათ ნაცვლად კოლხებს//ლაზებს//ეგ-რებს ანუ დასავლელ ქართველებს უთითებდნენ დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ჩათვლით, არქეოლოგები ერთიან ქართულ (კოლხურ) კულტურას აფიქსირებენ. აფხაზეთში ავტოქტონური ქართული მოსახლეობის მკვიდრობის შესახებ მეტყველებენ ანტროპოლოგიის, ლინგვისტიკისა და ეთნოლოგიის მონაცემები.

სწორედ დასავლელმა ქართველებმა შექმნეს აფხაზეთის სამეფო დედაქალაქით ქუთაისში (VIII ს. დასასრული – X ს.). ამ სამეფოს პოლიტიკური და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ჩვენამდე მოღწეული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა არის მხოლოდ ქართული....

XVI–XVII საუკუნეებში აფხაზეთში დამკვიდრებული აფსუა-აბაზები, (როგორც აფხაზეთში მცხოვრებთ, ქართველები მათ აფხაზებს უწოდებდნენ).... შერვაშიძეების ხელმძღვანელეობით ნამდვილად ესხმოდნენ თავს სამეგრელოს, ცდილობდნენ რა საერისთავოს საზღვრების გაფართოებას და მთავრის ძალაუფლებისაგან განთავისუფლებას, იმავდროულად, აფხაზეთის მფლობელები საკუთარ თავს საქართველოს სახელმწიფოს მიაკუთვნებდნენ და ქართველ მეფეებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ". (76).

რუსი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი ვასილ ტატიშჩევი (1686–1750), „რომლის შრომებს რუსული ისტორიოგრაფია წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს, წერდა, რომ აფხაზეთი (ავხეთი), მისი აზრით, არის „სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები აბხაზოს ეძახდნენ, ჩვენი წინაპრები კი ობოზებს უწოდებდნენ. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი ყუბანელებითაა დასახლებული". ვ. ნ. ტატიშჩევის განმარტებით, ობეზები ჩრდილოეთ სამეგრელოს (აფხაზეთის) უძველესი მაცხოვრებლები ანუ ქართველები არიან. ივერიელი – იგივე ობეზია" – ამბობს რუსული მატიანე. ყუბანელები კი, რომლებიც აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, რუსული მატიანეების მიხედვით, ჩერქეზულ-ადილური ტომების წარმომადგენლები არიან. ისინი ნამდვილად ცხოვრობდნენ ყუბანისპირეთში". (76).

დღევანდელი „აფხაზი და ზოგიერთი რუსი ვაი მეცნიერები" რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელშეწყობით, ცდილობენ ისტორიული სინამდვილე გააყალბონ და ამისთვის ყოველ ღონეს ხმარობენ. „აფხაზი მეცნიერები" სეპარატისტებად გარდაიქმნენ, ხალხს ატყუებენ და თავდაუზოგავად ცდილობენ საქართველოდან გამოყოფას და რუსეთთან შეერთებას და არ უწყიან, თუ სინამდვილეში რა ელის მათ – რუსეთის მიერ დამონებას და ბოლოს აფხაზი ერის საერთოდ გაქრობას. როგორც აღიგავენ პირისაგან მიწისა ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი მცირე ტომები, რომლებიც რუსებმა დაიპყრეს. თუმცა, რუსეთის მოხელეების განცხადებით, რუსეთი ყოველთვის დაჩაგრულ ერზე ზრუნავდა და იცავდა. დღევანდელ დღეს კარგად ჩანს, თუ რაში გამოიხატება ეს დაცვა. (ავღანეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოში და სხვა). (იხ. ქვემოთ).

ა. ბაქრაძე წერს, რომ: „ვისაც სურს აფხაზეთის საკითხის ნამდვილი მოგვარება, აფხაზეთის ისტორია ეტაპობრივად უნდა განიხილოს და მერე გამოიტანოს მართალი დასკვნა.

ერთია აფხაზეთის ისტორია და მდგომარეობა აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე, ე. ი. 1864 წლამდე, მეორეა იგი 1864 წლიდან 1921 წლამდე, ე. ი. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მესამეა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ". (20, გვ.49).

ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რაც ცხადია, უდავოა და მეცნიერების მიერ არის დამტკიცებული, რომ: „აფხაზი სხვაა და აფსუა – სხვა. აფხაზი არის ქართველი ტომი ისე, როგორც კახელი, ქართლელი, გურული, მეგრელი და სხვა. აფსუა კი არის ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ჩერქეზულ-ყაბარდოელი ტომი. ეს ჩამოსახლება ხდება XVII– XVIII საუკუნეებში, როცა საქართველოს უჭირდა და მთელ დასავლეთ კავკასიაში თურქები დაპარპაშებდნენ. დღეს ამ ჩამოსახლებულ, ჩვენს მიწა-წყალზე თავშეფარებულ აფსუებს უნდათ ჩვენი ისტორიული ტერიტორიის მითვისება და უვიცები დაარწმუნონ, რომ თითქოს დღევანდელი აფხაზეთის ასსრ ტერიტორია მათ ყოველთვის ეჭირათ, რაც მტკნარი ტყუილია.

ისტორიულ წყაროებში მოხსენებული აფხაზთა სამეფო არის დასავლეთ საქართველოს სამეფო, დასახლებული ქართველებით და არავითარი კავშირი არა აქვს აფსუებთან. აფსუებს არავითარი

კავშირი არა აქვთ აგრეთვე ძველ კოლხეთთან, არც არგონავტების მითთან და არც ქუთაისთან". (20, გვ.72).

მეცნიერების მიერ, ახლანდელი აფხაზეთის მინა-წყალზე, არქეოლოგიური კვლევაძიებით აღმოჩენილი უძველესი კულტურის ძეგლებით, მტკიცდება, რომ ამ ადგილას მცხოვრებმა ტომებმა გაიარეს უძველესი დროიდან მოყოლებული ყველა დღემდე ცნობილი ადამიანთა განვითარების დროის საფეხურები (ქვედა პალეოლითიდან დაწყებული ბრინჯაოს პერიოდამდე). ხოლო, რკინის ხანის დროს ეს მხარე განეკუთვნება კოლხეთის კულტურის სამყაროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილია, რომ ანტიკური დროის დასაწყისში (ძვ. წ. VI ს.), დასავლეთ საქართველოში იქმნება ძველი კლასობრივი კოლხეთის სამეფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთი. ძვ. წ. VI–V საუკუნეებში შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე იქმნება ადგილობრივ დასახლებულ ადგილებში, ძველი ბერძნული ახალშენები: **ფაზისი** (ფოთის ახლოს), **დიოსკურია** (სოხუმი), **ტრიგლიტი** (გაგრა), **გიენოსი** (ოჩამჩირის ახლოს), **პიტიუნტი** (ბიჭვინთა, ძვ. წ. III–II სს.) და სხვ. „სხვათა შორის, ძვ. წ. VII–VI სს. ბერძნული ახალშენებით მოიფინა შავი ზღვის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროებიც". (9, ტ.I, გვ.404).

როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, წყაროებში ხშირად მოხსენებულ საქართველოში შემავალ მხარეებსა და კუთხეებს, „ფართო და შემკრებელობითი მნიშვნელობა აქვს, ზოგს კიდევ ვიწროდა აქვს შემოფარგლული საზღვრები.....

იგივე შეიძლება ითქვას „ა ფ ხ ა ზ ე თ ი"-ს შესახებ, ხან იგი საკუთრივ აფხაზეთსა ჰნიშნავდა, ხან უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული..... არაბთა ისტორიკოსები ზოგჯერ მთელ საქართველოს სამეფოსაც-კი აფხაზეთად უწოდებდნენ და საქართველოს მეფეს აფხაზთა მეფედ ახსენებდნენ, იმიტომ, რომ საქართველოს გამაერთებელ მეფეთა ღვაწლში აფხაზთა სამეფო გვარეულობასაც დიდი წილი უდევს; თვით ბაგრატ III ხომ დედით აფხაზთა მეფის საგვარეულოს ჩამომავალი იყო.

რასაკვირველია, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლის დროს ამ ტერმინების მარტო ფართო მნიშვნელობის გამორკვევას-კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ საქმე მათი საკუთარის მნიშვნელობის ცოდნაა; ხოლო მათი მნიშვნელობის გაფართოვება ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკურ ისტორიასაც დაგვისურათებს". (2, ტ.II, გვ.50).

პროკოპი კესარიელის გადმოცემით, რიონის ჩრდილოეთ მხარეში „მდებარეობს აფშილეთი („აფსილიონ ხორა" აფსილების ქვეყანა), რომელიც ლაზებს ემორჩილება... აფშილებს ჩრდილოეთით ვიდრე კავკასიონის ქედამდის აფხაზები („აბაზგო") მოსახლეობდნენ. რომელთა ქვეყანა ორ ნაწილად, აღმოსავლეთ და დასავლეთისად იყოფებოდა.

აფხაზეთი მთიანი, მიუვალი ქვეყანაა, კავკასიონიდან კიბურად წამოსული მთები შავ ზღვამდის აღწევენო. ამ მიუვალს ალაგას აფხაზებს ერთი ძლიერი ციხე ჰქონიათ, რომლისაკენაც მიმავალი გზა იმდენად ვიწრო ყოფილა, რომ მარტო ერთს ადამიანს ქვეითი შეეძლო ეარნა. აფხაზებიც აფშილებსავით ლაზთა მეფეებს ემორჩილებოდნენ, თუმცა საკუთარი მთავრებიცა ჰყავდათ". (2, ტ.I, გვ.426).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. I საუკუნეში ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულად დაშლილ კოლხეთის სამეფოს და მათ შორის აფხაზეთსაც იპყრობს მითრიდატე VI ევპატორი. ახ. წ. 63 წელს რომაელები ამარცხებენ მითრიდატე VI-ეს და კოლხეთსაც ეუფლებიან. I საუკუნეში აფხაზეთის მინა-წყალზე ჩამოყალიბებული აფსილების, აბაზგების, სანიგების საერისთავოები იბრძვიან რომაელებისა და IV საუკუნეში წარმოქმნილ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. III–V სს-ში, კოლხეთის მინა-წყალზე, თანდათან იქმნება **ლაზეთის (ეგრისის)** სამეფო, რომელიც აერთიანებს მთელს ლიხსიქეთ საქართველოს და აფხაზეთიც შედის მის სამეფოში.

VI საუკუნის დასაწყისიდან საქართველო გადაიქცა რომის, ბიზანტიისა და ირანის ბრძოლის მოედნად. დღევანდელი აფხაზეთის მინა-წყალზე წარმოქმნილი საერისთავოები და ლაზები (ეგრისელები) ერთად იბრძვიან თავისუფლებისათვის. ვერც ერთმა მტერმა ვერ შეძლო მათი დამორჩილება და ბოლოს ბიზანტია იძულებული გახდა მათ ვასალურ დამოკიდებულებას დასჯერებოდა. თუმცა, ამ ომმა ისე დაასუსტა ლაზეთ-ეგრისი როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად, რომ ის

მთლიანად ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა და მას თანდათან გამოეყო როგორც მსხვილი სამთავროები (**აბაზგია, მისიმინიანეთი, სვანეთი და აფშილეთი**), ასევე შედარებით მცირე პოლიტიკური ერთეულები. VI საუკუნის II ნახევრიდან ლიხსიქეთ საქართველოში ძლიერდება აბაზგიის საერისთავო, რომლის დედაქალაქი ხდება **ანაკოფიის ციხე-ქალაქი** (ახლანდელ ახალი ათონის მახლობლად). აბაზგიის საერისთავოსა და ლაზეთ-ეგრისს შორის თანდათან ხდება დაპირისპირება. VI საუკუნის I ნახევარში აბაზგიის სამთავრო ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებას, ჩამოშორდა ლაზეთს და ბიზანტიის უფლებამოსილება აღიარა. აბაზგიის სამთავრო თანდათან ისე გაძლიერდა, რომ მან VII საუკუნეში შეიერთა მისიმიანეთი და აფშილეთი. ბიზანტიას, რომ უფრო მეტად შემოემტკიცებინა და მორჩილებაში ყოლოდა აბაზგები, იუსტინიანე კეისრის მოთხოვნითა და ძალდატანებით, აბაზგები გაქრისტიანდნენ. VIII საუკუნის 40-ანი წლებიდან აფხაზეთის სამთავრო ისე გაძლიერდა ბიზანტიელთა შემწეობით (ის ამ დროს ბიზანტიის იმპერიის ვასალი იყო), რომ მისი მთავრების ხელმძღვანელობით ხორციელდება არაბების წინააღმდეგ ბრძოლა. როდესაც აბაზგიის სამთავრო ბიზანტიის მორჩილი და მისი ხელქვეითი გახდა, ბიზანტიელებმა **ბიჭვინტაში** (პიტიუნტი) და **ცხუმში** (სებასტოპოლისი) ჯარი ჩააყენეს. თუმცა, არაბთა შემოსევების დროს, ორივე ციხე-სიმაგრე, რომ მტერს არ ჩავარდნოდათ ხელში, მიატოვეს და თანაც მიწასთან გაასწორეს. სპარსელები ცდილობდნენ ლაზეთისგან განდგომილ აბაზგიაში ფეხის მოკიდებას. შემდეგში, ბიზანტიელები ისევ შევიდნენ აბაზგიაში და დაიწყეს ძალად თავიანთი წესწყობილების დამყარება. პროკოპი კესარიელი წერს, რომ: „ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისთვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა". (9, ტ.II, გვ.258). სკეპარნამ, ბიზანტიელთა სანინააღმდეგოდ, მოინდომა ირანთან შეთანხმება და ფარულად ირანში წავიდა. იუსტინიანემ, აბაზგელთა დასასჯელად, ბიზანტიელთა ჯარი გაგზავნა. აბაზგები, ოფსიტეს მეთაურობით, მიუვალ ტრაქეიაში გამაგრდნენ. **ტრაქეა** ითვლებოდა მიუვალ ციხე-სიმაგრედ აბაზგიისა და აფშილეთის საზღვარზე. ფიქრობენ, რომ შემდეგში აქ გაჩნდა **ანაკოფია** (ეხლანდელი ახალი ათონის ადგილზე). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ტრაქეა ძველი გაგრის ციხე-სიმაგრე იყო. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, საბოლოოდ აბაზგები დამარცხდნენ. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, აბაზგიის მთავარს ოფსიტეს, რამდენიმე კაცით, მოუხერხებია გაქცევა, „ხოლო დანარჩენები ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ. რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომავლობით, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს. ასე დაბოლოვდა აბაზგების განდგომა". (9, ტ.II, გვ.258).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლიხსაქეთ საქართველოში პირველად არაბები გამოჩდნენ 642 წელს და თანდათან ქართლი დაიპყრეს. ხოლო, როდესაც 697 წ. ლაზიკის მთავარი გიორგი ბიზანტიელებს აუჯანყდა და არაბები მოიწვია, ეგრისის მთავარი ციხე-გოჯი (არქეოპოლისი) და კოდორის ხეობის ციხე-სიმაგრეები არაბების ხელში აღმოჩნდა და ლაზიკის სამეფო, ბიზანტიისა და არაბების დაპირისპირების მოედანი გახდა. საქართველოს მოსახლეობა არ ურიგდებოდა და წინააღმდეგობას უწევდა როგორც ბიზანტიელებს, ასევე არაბებს. VIII საუკუნის დასაწყისიდან ფართო მოძრაობა დაიწყო არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, როგორც ლიხსაქეთ, ასევე ლიხსიქეთ საქართველოში, რომელიც თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII საუკუნის დასაწყისიდან ეგრისის სამეფო, ბიზანტიის ერთ-ერთი სამთავრო გახდა. VIII საუკუნის 30-იან წლებში აბაზგების მეშვეობით ყალიბდება აფხაზეთის სამთავრო. ამიერიდან, რომ ყოლოდა დასაყრდენი ძალა ლიხსიქეთ საქართველოში, ბიზანტია ცდილობს ხელი შეუწყოს მის გაძლიერებას და პოლიტიკურ სარბიელზე მოქმედებას იწყებს აბაზგიის (აფხაზეთის) სამთავრო. „აფხაზთა მეფეთა დივანში (ქრონიკა)" მოხსენებულია მეფეებად (ერისთავები, მთავრები): ა ნ ო ს ი (დაახლ. 450–490), ღ ო ზ ა რ ი (დაახლ. 490–510), ი უ ს ტ ი ნ ე (იუსტინიანე) (დაახლ. 510–540), ფინიკტოს (ფილიკტოსი) (დაახლ. 540–560), ბ ა რ ნ უ კ (ბარუკი) (დაახლ. 560–580), დ ე მ ე ტ რ ე I (დიმიტრი I) (VII ს-ის ბოლო–VIII ს-ის დასაწყისი) ბარუკის ძე, თ ე ო დ ო ს I (VIII ს-ის I ნახ.) დემეტრე I-ის ძე, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე I (კონსტანტი I) (VIII ს-ის I ნახ.) თეოდოს I-ის

ძე, თეოდორე (VIII ს-ის I ნახ.), კონსტანტინე II (კონსტანტი II) (VIII ს-ის I ნახ.) თეოდორეს ძე, ლეონ I (აფხაზთა სამთავროს მემკვიდროებითი მთავარი) (დაახლ. 720/30–740) და ლეონ II (აფხაზეთის სამთავროს მემკვიდროებითი მთავარი, ლეონ I-ის ძმისნული) (753–798). ლეონ I ლაზებთან და ლიხსიქეთ საქართველოს მეფეებთან ერდათ იბრძვის არაბების წინააღმდეგ. ლეონ ერისთავის დროს, ლიხსიქეთ საქართველო რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც ბიზანტიური წყაროები გადმოქვცემენ, 717 წელს „სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაცა, ლაზიკაც და იბერიაც". ხოლო, შავიზღვისპირეთში იმყოფებოდნენ ბიზანტიელები. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ამ რთულ ვითარებაში აფხაზთა სამთავრო ორმხრივ პოლიტიკას აწარმოებდა სახალიფოსა და ბიზანტიას შორის. არ ჰქონდა რა შესაძლებლობა ერთდროულად ებრძოლა ორივე მტრის წინააღმდეგ, აფხაზთა მთავარმა ლეონმა VIII ს. 30-იან წლებში ბიზანტიის ვასალობა მიიღო და ბიზანტიელთა და ხაზართა დახმარებით გაშალა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ". (9, ტ.II, გვ.376); ლეონ I სინამდვილეში ხდება ლიხსიქეთ საქართველოში არაბების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით ლიხსიქეთ საქართველოში ფართოდ გაიშალა მოძრაობა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ლეონ I-მა მეგობრობის კავშირი შეკრა ქართლის ერისთავ არჩილთან და ეს მშვიდობის კავშირი უფრო განმტკიცდა, როდესაც მან ცოლად შეირთო არჩილის ძმის მირის ასული.

ზემოთ აღნიშნულ, ანაკოფიის ციხესთან, მურვან ყრუს წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, „აფხაზებთან ერთად, ეგრისის ლაშქარიც იცავს, ქართველთა ერისმთავრების (მეფეთა) სახლის წარმომადგენლების მირისა და არჩილის სარდლობით, რომელნიც ამ დროს ეგრისში არიან დამკვიდრებულნი, მურვან ყრუ უკუაგდეს ანაკოფიიდან. მირი ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. მას მხოლოდ ქალიშვილები დარჩნენ. არჩილს ამ დროს შვილი არ ჰყავდა. არჩილმა, მირის ანდერძის თანახმად, მისი ასულები გაათხოვა და ერთ-ერთი ლეონ აფხაზთა ერისთავზე დააქორწინა. ამასთან ლეონი ვასალად შეინყნარა. ამ დინასტიური ქორწინებით გაერთიანდა ორი დასავლურ-ქართული ქვეყანა, აფხაზეთი და ეგრისი და შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომელსაც მთავართა დინასტიის საკუთრივ აფხაზეთიდან წარმომავლობის გამო აფხაზეთი ეწოდა, ხოლო მისი უზენაესი ხელისუფალი უკვე არის არა ერისთავი, არამედ „მთავარი". ასე მოიხსენიებს VIII ს-ის 80-იან წლებში ამ ქვეყანას და მის ხელისუფალს, VIII ს-ის ქართველი მწერალი იოანე საბანის ძე. ამიერიდან „აფხაზეთი" მთელი დასავლეთი საქართველოა. ესაა ცნება „აფხაზეთის" გაფართოების ახალი ეტაპი, ხოლო მისი ხელისუფალი ადმინისტრაციის იერარქიაში ერთი საფეხურით იწევს მაღლა.

მაგრამ ეს გაერთიანებული დასავლურ-ქართული სახელმწიფო ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში რჩება". (8, ტ.II, გვ.189).

ა. ბაქრაძეს მოჰყავს XI ს-ის ისტორიკოსის ჯუანშერის მონათხრობი ლეონ I-ის შესახებ და წერს, რომ:

„იცით, რა უთხრა არჩილს ლეონ პირველმა აფხაზთა ერისთავმა, როცა გურანდუხტ მირის ასულს ირთავდა? მართალია კეისარმა მემკვიდროებით მომცა ტერიტორია **კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე, მაგრამ „არა მინდა ნანილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს". ხოლო „შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირსი ყვენ შვილად და ძმად შენდა"** (ხაზი ჩემია – ა. ბ.) როგორც ხედავთ, ლეონ პირველი აფხაზთა ერისთავი საქართველოს ნანილად თვლის ტერიტორიას კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე თავისთავს კი – საქართველოს სამეფო კარის ქვეშერდომად.....

არსებობს რაიმე ცნობა ჯუანშერის სანინააღმდეგო, დამადასტურებელი იმისა, რომ ქართველი მემატიანე მართალს არ ამბობს? სრულებით არაფერი. ვიმეორებ: სრულებით არაფერი, არც ბიზანტიურ წყაროებში, არც სომხურში, არც სხვაგან სადმე. აფსუა-ხალხს კი მატიანე არა აქვს. მან წერა-კითხვა გუშინ ისწავლა. აფსუა ენაზე პირველი თხზულების დამნერი ჩვენი თანამედროვე იყო. აგერ ახლა, 1960 წელს, გარდაიცვალა. ჩვენ კი ათასი წლის წინანდელ ამბებზე ვსაუბრობთ.....

როცა ლეონ პირველს მეფე მირის ასული გურანდუხტი მიათხოვეს, გვირგვინიც გადასცეს.....

გვირგვინის გადაცემაც იმას ადასტურებს, რომ ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე ქართულია. მისი მმართველიც პოლიტიკურად ქართველია. სხვანაირად, უცხო ქვეყ-

ნის მმართველს არჩილი საქართველოს მეფის გვირგვინს არ გადასცემდა, ის არჩილ მეფე, რომელიც გარდა მეფობისა, ქართული ეკლესიის მიერ წმინდა მოწამედ არის შერაცხული“....(21, გვ.342–344). ...

პ. ინგოროყვა წერს, რომ:

„არაბთა საწინააღმდეგო ამ მოძრაობას ორგანიზებული სახე მისცა და სათავეში ჩაუდგა ლაზეთის მთავარი ლეონ I.

ლეონ I მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ლეონ პირველმა, როგორც არაბთა საწინააღმდეგო მოძრაობის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, დიდი ღვაწლი დასდო თავის ქვეყანას.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა განხილვა და საერთო პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინება გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ლეონ I-ის მოღვაწეობა ხასიათდებოდა დიდი სახელმწიფოებრივი ტაქტით, პოლიტიკური ვითარების სწორი შეფასებით.

ლეონ I, მას შემდეგ, რაც იგი შესდგომია არაბთა საწინააღმდეგო ბრძოლას, გასცლია შიდაეგრისს, სადაც მკვიდრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული არაბებს, გადასულა ლაზეთის ქვეყნების ჩრდილოეთ სანაპიროზე – აფხაზეთში და იქ გამაგრებულა“. (4, გვ.197).

მიუხედავად იმისა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არაბებს დაპყრობილი ჰქონდათ ლაზიკის დედაქალაქი **ციხე-გოჯი**, კოდორის ხეობა და ბიზანტიელი თეოფანე ჟამთააღმწერელის გადმოცემით, „717 წ. „სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაცა, ლაზიკეც და იბერიაც“. მაგრამ აბაზგიასა და ლაზიკაში არაბთა მდგომარეობა ძალიან მერყევი იყო, რადგან შავიზღვისპირეთი ბიზანტიელებს ეპყრათ“. (9, ტ.II, გვ.376).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, არაბთა წინააღმდეგ აფხაზეთი და ქართლი ერთად იბრძვიან. ყოველთვის, „როდესაც ქართველებს ქართლ-კახეთში მეტის-მეტად გაუჭირდებოდათ ხოლმე, დასავლეთ საქართველოში, ეგრისში და აფხაზეთში, გადიხიზნებოდნენ და იქ ეძიებდნენ მყუდრო თავშესაფარს“. (2, ტ.II, გვ.83). მურვანყრუ ანაკოფიის ციხეში მარცხის შემდეგ, გადავიდა სამხრეთ საქართველოში და ის მიწასთან გაასწორა. ლეონ I სარგებლობს ბიზანტიაში არეულობით და თანდათან აფართოებს თავის საზღვრებს: იერთებს სანიგეთს, აფშილეთს, მისიმიანებს და ჯიქეთსაც.

„მატიანე ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, რომ აფხაზთა ერისთავმა ლეონმა „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა“. (5, გვ.254).

არაბებთან ბრძოლის დროს, ვინაიდან ლეონ I მარტო ვერ განდევნიდა არაბებს, იგი იძულებული იყო „პოლიტიკური კავშირი დაემყარებია ბიზანტიასთან და უცვნია ბიზანტიის კეისრის სიუზერენიტეტი. ამავე დროს თვით ბიზანტიასაც გარკვეული ვალდებულებანი აუღია და, კერძოდ, ლეონ I-ის დინასტია უცვნია მ ე მ კ ვ ი დ რ ო ე ბ ი თ მფლობელებად არაბებისაგან განთავისუფლებული აფხაზეთის მხარეებისა, – კეისრის ერისთავის – არქონტის ტიტულით.

ბიზანტიის სიუზერენიტეტის აღიარება ლეონ I-ის მიერ ეს იყო, რასაკვირველია, კომპრომისი, მაგრამ იგი ნაკარნახავი იყო პოლიტიკური მდგომარეობის სწორი შეფასებით. ეს იყო ნაკლები ბოროტება და ამასთან ერთადერთი გამოსავალი შექმნილს პოლიტიკურ ვითარებაში“. (4, გვ.197).

როგორც წყაროებიდან ჩანს, VIII საუკუნის დასაწყისიდან, ლიხსიქეთ საქართველოში, იწყებს აფხაზთა საერისთავო გაძლიერებას და VIII საუკუნის დასასრულს ის უკვე ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი აფხაზთა სამთავრო. ხოლო შემდეგ ლიხსიქეთის (აფხაზთა), ეგრის-აფხაზთა სამეფოდ.

VIII საუკინის 80-იან წლებში, ხდება ეგრისისა და აფხაზთა სამთავროების გაერთიანება. მალე, ეგრის-აფხაზეთის სამთავროში ექცევა მთელი დასავლეთ საქართველო. ლეონ I-ის შემდეგ, ეგრის-აფხაზეთის მთავარმა, ლეონ II-ემ, რომლის მმართველობა გაგრძელებულა 45 წელი (753-დან მთავარი, 758–798 მეფე), დაამყარა ქვეყანაში მშვიდობა და წესრიგი.

ის კავშირი, რომელიც დამყარებული იყო იბერიასა და აფხაზეთს შორის ლევან I-ის დროს, გაგრძელებულა ლევან II-ის დროსაც. „იბერიელებს, რომელთაც ისევ უხდებათ ბრძოლის გაგრძელება არაბთა წინააღმდეგ, ზურგი გამაგრებული აქვთ დასავლეთ საქართველოდან. ქართლის ერისმთავარს ნერსე II-ს, რომელიც მე-8 საიუკუნის 80-იან წლებში განდგომას ამზადებდა არაბთაგან,

როგორც ირკვევა, კავშირი ჰქონდა დამყარებული ლეონ II-სთან. (ნერსე ერისთავმა, განდგომის განცხადებამდე, წინასწარ დახიზნა თავისი ოჯახი დასავლეთ საქართველოში, ლეონ II-ის კარზე. უფრო გვიან, ასევე, დასავლეთ საქართველოში, ლეონ II-ის კარზე პოულობენ თავშესაფარს არაბთაგან ლტოლვილი იბერიელი ემიგრანტები). ეს ახლო კავშირი და თანამშრომლობა ძალაში რჩება შემდეგ ხანაშიც". (4, გვ.201).

ა. ბაქრაძე ეხლანდელ აფხაზეთისა და ლეონ II-ის შესახებ აღნიშნავს:

„ჩიტმა ამბავი მოიტანა: „დამოუკიდებელი" აფხაზეთის ხელისუფლებას ლეონ მეორის ორდენი დაუწესებია. დაუჯილდოებია კიდეც ამ ორდენით ზოგიერთი, ვინც მეტად გულმოდგინედ იბრძოდა საქართველოს დაშლისათვის. ისე კი, დიდი მასხარა ვინმეა ისტორია: იმათ, ვინც საქართველოს დანგრევისათვის თავს არ ზოგავდა, აჯილდოებენ იმ კაცის ორდენით, ვინც არაბთა შემოსევის შედეგად დაქცეული საქართველოს ხელახალ აღორძინება-გაერთიანებას შეალია მთელი ცხოვრება. მაინც ვინ იყო ლეონ მეორე და რა ვიცით მასზე?

ერთადერთი წყარო მისი საქმიანობის გასაცნობად „ქართლის ცხოვრებაა". სხვა მატიანე არ არსებობს." (20, გვ.339).

არაბების წინააღმდეგ, მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში და მით უმეტეს ამიერკავკასიაში აჯანყებები სულ უფრო და უფრო მატულობდა. ქართლის, ალვანეთისა და სომხეთის დასაწყნარებლად არაბ ხალიფებს გამუდმებით უხდებოდათ ჯარის გამოგზავნა, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაც დრო გადიოდა, აჯანყება სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

პ. ინგოროყვას თქმით, ლეონ II-ემ შემოიერთა სამხრეთ კოლხეთის (ჭანეთის) მხარე – ტრაპიზონტი. იგი წერს: „ლეონ II-ის დროს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, მომხდარა ტრაპიზონის მხარის, ამ ძირეული ქართული ქვეყნის, გაერთიანება დასავლეთ საქართველოსთან (დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის" სამფლობელოსთან).

ბიზანტიის იმპერია, როგორც ირკვევა, იძულებული გამხდარა ანგარიში გაეწია პოლიტიკურად უკვე გაძლიერებულ დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის" სამფლობელოს) მოთხოვნისათვის და წასულა ასეთ დათმობაზე, რათა უზრუნველყო ბიზანტიისა და დასავლეთ საქრთველოს შორის არსებული პოლიტიკური კავშირი". (4, გვ.208). ასევე, შეუერთებია მას: „ჭოროხის სამხრეთით მნდებარე რიზეს მხარე, რომელმაც სწორედ ამ დროიდან, მე-7–8 საუკუნეებიდან, დაიმკვიდრა სახელწოდება ლაზიისა". (4, გვ.209).

786–798 წლებში, ბიზანტიის იმპერატორის ვასალმა, აფხაზთა სამთავროს მათავარმა (არქონტმა) ლეონ II-ემ ისარგებლა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით და ხაზართა ხაკანის დახმარებით (რომლის ქალიშვილი მისი დედა იყო და რომელსაც დასავლეთ საქართველოში თავისი საკუთარი მიზნები ჰქონდა), განდევნა ბიზანტიელები და ამიერიდან, ეგრის-აფხაზეთის სამთავრო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ლეონ II-ემ 758-დან თავი მეფედ, ხოლო, დედაქალაქად **ქუთაისი** გამოაცხადა. „მატიანე ქართლისაი" გადმოგვცემს, რომ: „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთაი, სახელით ლეონ, ძმისნული ლეონ ერისთავისაი, რომლისად მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა". (5, გვ.254).

ამ დროს ეგრის აფხაზეთის სამეფოს საზღვრები სწვდებოდა: დასავლეთით – შავ ზღვას, ჩრდილოეთით – ჯიქეთს (ნიკოფსია აფხაზეთს ეკუთვნოდა), აღმოსავლეთით – ლიხის ქედს, სამხრეთით – მდ. ჭოროხის მიდამოებში, შავ ზღვაზე მდებარე რიზეს მხარე (დღევანდელ დღეს ეკუთვნის თურქეთს). „ამიერიდან, ბიზანტიის ყოველგვარი ცდა დასავლეთ საქართველოში თავისი ხელისუფლება აღედგინა, მარცხით მთავრდება და ეგრის-აფხაზეთის სამეფო დამოუკიდებელ ქართულ ადრეფეოდალურ სახელმწიფოდ ყალიბდება". (9, ტ.II, გვ.377).

„VIII საუკუნის მიწურულს ეგრის-აფხაზეთში მომხდარი ეს დიდი მნიშვნელობის აქტი არ ნიშნავდა ძველი ლაზიკის სამეფოს აღდგენას და არც აფხაზური სამეფოს ახლად ნარმოქმნა იყო

ის, იმისდა მიუხედავად, რომ გამეფებული დინასტიის მიხედვით ამიერიდან ქვეყანას „აფხაზთა სამეფო" ეწოდებოდა.

იმ დროისათვის იმ მხარეში მცხოვრები მოსახლეობის შერწყმა-შეკავშირება ისე შორს იყო წასული და ქართულ ენას ისეთი პოზიციები ეჭირა მთელ ამ სივრცეზე კულტურის დარგში, რომ ეს ახალი ფეოდალური სამეფო ნამდვილად ქართულ სამეფოს წარმოადგენდა. ეგრის-აფხაზეთის მეფის ლეონისა და მისი მემკვიდრეების პოლიტიკა ზოგადქართული იყო. ეს „აფხაზთა მეფეები" ხელს უწყობდნენ თავის სამეფოში ბერძნული ენის ნაცვლად ქართული ენის გაბატონებას სახელმწიფო მმართველობისა თუ საეკლესიო სფეროში. იმავე დროს აფხაზთ მეფეები საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ენერგიული მოღვაწენი იყვნენ." (7, გვ.124).

მ. ლორთქიფანიძე წერს:

„ამ სამეფოს შემადგენლობაში შევიდა: ქართველებით (სვანებით) დასახლებული სანიგეთის მინა-წყალი, აფხაზეთ-აფშილეთის მიწა-წყალი, ქართველებით (სვანებით დასახლებული) მისიმიანეთის სამთავრო და ქართველებით (ძირითადად მეგრელებითა და ქართებით) დასახლებული ეგრისის სამთავრო. ასე რომ, ტერიტორიულად ამ სახელმწიფოს უდიდეს ნაწილს ქართული მიწები შეადგენდნენ და ეთნიკურადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველი ტომები წარმოადგენდნენ.

ამ სახელმწიფოს ასეთი შემადგენლობა შესანიშნავად ჩანს ამ სამეფოს ადმინისტრაციულ დაყოფაში საერისთავობად. ვახუშტის თანახმად, ლეონ ერისთავმა „მიიღო საერისთაოსა თუსისა სახელი ეგრისსა ზედა" და მანვე დაყო ეს ქვეყანა რვა საერისთავოდ: აფხაზეთის, ცხომის, ეგრისის, ცენტრით ბედიაში, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის, ცენტრით შორაპანში, ვაკე იმერეთის, ცენტრით ქუთაისში. როგორც ვხედავთ, ეს სამეფო ძირითადათ ქართულ მიწებს მოიცავდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთის საერისთავოც, რომელიც არის აფხაზეთი და ჯიქეთი ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე, საკუთრივ აფხაზეთთან ერთად მოიცავდა ყოფილი სანიგებისა და ჯიქების მიწა-წყალს. ამგვარად, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ქართული მიწები შეადგენდნენ, მოსახლეობის უმრავლესობას – ქართული ტომები.

ეგრის-აფხაზეთის სამეფო ქართული სახელმწიფო იყო. არამხოლოდ თავისი ტერიტორიისა და მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის დიდი უმეტესობით. ამ სახელმწიფოს ქართულმა შინაარსმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ გაერიანებისთანავე ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქად იქცა ქ. ქუთაისი, ძველი ქართული ქალაქი, ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ქუთაისის დედაქალაქობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის მნიშვნელოვან სამიმოსვლო-სავაჭრო გზასაყარზე მდებარეობდა.

ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს სათავეში მდგომმა ხელისუფლებმა იმთავითვე მიიღეს „მეფის" ტიტული და იწოდნენ „მეფე აფხაზთა". აღნიშნულთან დაკავშირებით ისმის ცნებების – „აფხაზეთის" და „აფხაზთა" – მნიშვნელობის საკითხი. ცნება „აფხაზეთი" საკუთრივ აბაზგიიდან, ანუ აფხაზთა საერისთავოდან, მისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებასთან ერთად, თანდათან გავრცელდა აფშილეთზე (კელასურიდან ღალიძგამდე – აფსუებით დასახლებული ქვეყანა), სანიგეთსა (მიწა-წყალი მდ. ბზიფიდან ჯიქეთამდე) და მისიმიანეთზე (სვანური ტომების დასახლება მდინარეების კოდორის და კელასურის ზემო წელზე). ხოლო, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების შემდეგ „აფხაზეთის" ცნების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და ის ეგრისზეც გავრცელდა. როგორც ვხედავთ, აქ დაახლოებით ისეთივე სურათია, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, წანარეთ-კახეთში, სადაც კახთა პოლიტიკური სუვერენიტეტის გავრცელებას „კახეთის" ცნების საკუთრივ კახეთიდან, კახეთ-კუხეთზე, ხოლო შემდეგ ჰერეთზე გავრცელებაც მოჰყვა.

ამდენად, IX–X საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ წყაროებში მოხსენებულ აფხაზთა მეფეების, აფხაზების თუ აფხაზთა სამეფოს ქვეშ იგულისხმებიან დასავლეთ საქართველოს ეგრის-აფხაზეთის მეფენი, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი (მეგრელ-ჭანები, ქართები, სვანები, საკუთრივ აფხაზები) და დასავლეთ საქარველოს, ეგრის-აფხაზეთის სამეფო. რასაკვირველია, არის შემთხვევები, როდესაც „აფხაზი" საკუთრივ „აფხაზი" იგულისხმება, მაგრამ „აფხაზთა სამეფო" და „აფხაზთა მეფე" არ გულისხმობს საკუთრივ აფხაზეთს... სახელწოდება „ეგრის-აფხაზთა სამეფო" უკეთ გამოხატავს ამ სახელმწიფოს როგორც შედგენილობას, ისე არსებით შინაარსსაც.

შინაარსით კი ეს სამეფო იმთავითვე ქართული იყო, რადგან ის ძირითადად ქართულმა ეთნიკურმა ელემენტმა შექმნა (რასაკვირველია, საკუთრივ აფხაზური ელემენტის აქტიური მონაწილეობით). ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეთნიკურმა შემადგენლობამ განსაზღვრა ამ სახელმწიფოს ქართულობა, ქუთაისის დედაქალაქობა და ის ზოგადი ქართული სახელმწიფოებრივი კურსი, რომელსაც ეს სახელმწიფო ატარებდა საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში". (9, ტ.II, გვ.419–421).

სიმონ ჯანაშია აფაზეთის სამეფოს წარმოქმნის შესახებ წერდა: „ჩვენ... იძულებული ვართ ვიფიქროთ, რომ რომელიღაც მომენტში VI–VII სს. სიგრძეზე უნდა მოსპობილიყო, ცხადია, ბიზანტიელების წყალობით მეფობა ეგრისში, ეს უნდა მომხდარიყო VI ს. დამლევს, ან VII ს. ოცდაათიან წლებში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ და შედეგად. სხვაგვარად ძნელი იქნებოდა აგვეხსნა მაგ., ის ფაქტი, რომ VIII ს. დამდეგს აფხაზეთის მთავრებმა ერთი დაკვრიდ გაანადგურეს ეგრისის სამეფო". (9, ტ.II, გვ.17).

წყაროებიდან ცნობილია, რომ VIII საუკუნის დასაწყისში, ქართლში მოქმედებდა ერისთავის ხელისუფლება და მას ემორჩილებოდა კახეთი, ტაო-კლარჯეთი და ეგრის-ლაზეთიც. ქართლის საზღვრები დასავლეთით სწვდებოდა აფხაზეთის სამთავრომდე.

IX საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ხდება გამოსვლები და აჯანყებები მის მიერ დაპყრობილ სხვადასხვა ქვეყნებში. სლავებთან, სომხებთან ერთად, ცდილობენ ბიზანტიისაგან თავის დაღწევას ქართველებიც: იბერები, ლაზები და აფხაზები. ბიზანტია ცდილობდა მათ დამორჩილებას და ამისათვის ყოველ ღონეს ღებულობდა.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ მყოფი დასავლეთ საქართველო წინათაც თავისუფალი იყო და ეხლაც ხომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, რაკი სამეფო საგვარეულო ამ დროს აქ აფხაზური იყო, თვით სამეფოსაც აფხაზთა სამეფოს ეძახდნენ". (2, ტ.III, გვ.304).

„ლეონ მეორე ყველა წესისა და კანონის დაცვით იღებს დასავლეთ საქართველოსაც და სამეფო გვირგვინსაც..... ლეონ პირველი და, მით უფრო, ლეონ მეორე ჭკვიანი და გონიერი სახელმწიფო მოღვაწეები აღმოჩნდნენ. ლეონ მეორემ მძლავრი დასავლურ ქართული სახელმწიფოც ჩამოაყალიბა და მომავალში საქართველოს სამეფოს ხელახალ გაერთიანებასაც ჩაუყარა საფუძველი. დავითისა და თამარის დიდი საქართველო ლეონ მეორის ღვაწლით იკვებება". (20, გვ.345.). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ლეონ II-ის დროს „მტკიცე საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში აღმოსავლეთ საეკლესიო ტრადიციების დამკვიდრებას". (10, ტ.6, გვ,191).

მის დროს ხდება ლიხსიქეთ საქართველოში ეგრისისა და აფხაზთა ეკლესიების გაერთიანება და ლიხსიქეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიის ეკლესიიდან ჩამოშორება, ეგრის-აფხაზეთის ეკლესია უშუალოდ დაუკავშირდა მცხეთის საკათალიკოსოს. ამრიგად მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა – საქართველოს ერთიანი საეკლესიო ხელისუფლების ჩამოყალიბება. საქართველოში ბერძნული კათედრების მაგივრად, დამკვიდრდა ქართული კათედრები. საქართველოს გაერთიანებულ საეკლესიო ენად ბერძნულის მაგივრად ქართული დამკვიდრდა. ამიერიდან მღვდელ-მსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამან ხელი შეუწყო შემდგომში ლიხსაქეთ და ლიხსიქეთ საქართველოს გაერთიანებას. ვინაიდან IX საუკუნის შუა წლებში ბიზანტიამ სამხედრო ძალის გამოყენებით, ვერ შეძლო ლიხსიქეთის საქართველოს დამორჩილება, ამიტომ მან მოქმედება შეცვალა და შეეცადა სხვადასხვა ხერხებითა და ხრიკებით, ტახტის მაძიებელ უფლისწულებისა და მეფისაგან განდგომილ პირების მეშვეობით, შეეჩერებინა ლიხსიქეთის საქართველოს სამეფოს გაძლიერება და საერთოდ საქართველოს გაერთიანება.

IX საუკუნის დასაწყისიდანვე იწყება სამთავროებს შორის ბრძოლა პირველობისათვის და ამ ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობს ეგრის-აფხაზეთის სამეფოც.

„IX ს. დასაწყისში ეგრი-აფხაზეთის სამეფო თანდათან იმტკიცებს თავის მდგომარეობას – ქვეყნის შიგნით გატარდა ღონისძიებანი ხელისუფლების ცენტრალიზაციის მიზნით, განხორციელდა საეკლესიო რეფორმა, მოპოვებულ იქნა სრული პოლიტიკური სუვერენიტეტი... და ამის შემდეგ კი იგი გადადის აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე, რომლის მიზანია სამეფოს საზღვრებისა და ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს გავლენის სფეროების გაფართოება". (9, ტ.II, გვ.440).

ი. ჯავახიშვილის თქმით: „იმ თავითვე აფხაზთა მეფეები გაერთიანების გზას დაადგნენ და თავიანთი სამფლობელოს გაფართოებასა ცდილობდნენ; უკვე პირველმა მეფემ აფხაზეთი არ იკმარა და თავისი საბრძანებლის აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის მთამდე გადასწია". (2, ტ.II, გვ.95). მისივე თქმით: „VIII საუკუნის დასასრულს, მაშასადამე, სქართველოს მიწა-წყალი ოთხ ხვადასხვა მფლობელს ეჭირა: თბილისი მისი მიდამოებით და ქართლის სამხრეთი ნაწილი, ანუ საქართველოს შუაგული, არაბ ამირას ალი შუაბის ძეს ჰქონდა; საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი კახთა მთავარს ეპყრა, რომელსაც „ქორეპისკოპოსი" ეწოდებოდა;..... დასავლეთი ორად იყო გაყოფილი: ჩრდილოეთის მხარე აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა, სამხრეთი აშოტ კურაპალატსა და მის ჩამომავლობას. ამათ გარდა საქართველოს სამხრეთით, მოსაზღვრე სომხეთშიაც აღმოცენდა თანდათან ადგილობრივი სამთავროები.

სნორედ ამ მთავრებს შორის იყო გამწვავებული ბრძოლა უპირატესობისა და ბატონობის გამო; თითოეული მათგანი ყოველ ღონეს ხმარობდა, სულ იმის საგონებელში იყო, თუ როგორ გაეფართოვებინა თვისი სამფლობელო და სხვისი ხელში ჩაეგდო, როგორ შეეერთებინა სხვადასხვა სამთავროები და თითონ ერთადერთ ბატონად გამხდარიყო; თითოეული მათგანი ცდილობდა თავისთვის და სხვის მოქმედებას აფერხებდა; კახეთის ქორეპისკოპოზი, კლარჯეთისა და „ქართველთა მეფეები", აფხაზთა მეფეებიც და სომეხთა მეფეებიც ამისათვის იბრძოდნენ, ზოგჯერ ცალ-ცალკე, ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად შეკავშირებულნი და თანდათანობით, მაგრამ მედგრად ამ მიზნის განხორციელებასა ცდილობდნენ". (2, ტ.II, გვ.94).

IX–X საუკუნეებში არაბთა წინააღმდეგ გამოსვლების დროს იგება ლიხსიქეთის საქართველოში თავდაცვითი ნაგებობები და ციხე-სიმაგრეები: ბზიფისა და კოდორის ხეობებში ციხეები, რომელთა ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი, რინის ციხე და სხვ. ამავე ხანებში ხდება ეგრის-აფხაზეთის საშუალებით ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში და ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბება.

პირველ რიგში, ეგრის-აფხაზეთის სამეფო, იწყებს ბრძოლას ქართლის შემოსაერთებლად. ის ერევა ქართლის შიდა საკითხებში. ლიხსიქეთის სამეფოს მეფე ლეონ II-ის ძე თეოდოს II (798–825), მონანილეობას ღებულობდა, კახეთის პირველი მთავარის გრიგოლსა (787–827), (რომელმაც დაიპყრო შიდა ქართლის დიდი ნაწილი) და ტაო-კლარჯეთის კურაპალატ აშოტ I დიდს (787–826) შორის ქართლის დაპყრობისათვის გამართულ ბრძოლაში. არაბებისაგან დევნილი აშოტ I, ადრე, IX საუკუნის 20-იან წლებამდე, ქართლის ერისთავი იყო და რა თქმა უნდა, იგი შეეცდებოდა ქართლის დაბრუნებას.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ აშოტ I-მა და მისმა სიძემ თეოდოს II-ემ, გაილაშქრეს გრიგოლის წინააღმდეგ, რომელსაც ეხმარებოდნენ «მთიულთა და ნანართა და ამირამან ტფილისისამან».... «შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ, გააქციეს მთავარი კახეთისა და დააყრეინეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთით განვიდრე ქსანამდის»-ო..... შეერთებულმა ძალამ, რომელსაც იგივე განზრახვა ჰქონდა, კახეთის ქორეპისკოპოზი თავის ქერქში ჩააყენა და წინანდებურ, ჩვეულებრივ საზღვრებში შემოზღუდა. გამარჯვებულმა აშოტ კურაპალატმა თავისი საბრძანებელი გააფართოვა და თავისი წინანდელი სამფლობელოს ერთი ნაწილი ქსნის ხეობამდის დაისაკუთრა". (2, ტ.II, გვ.95).

ცნობილია, რომ თეოდოს II-ის მეფობის დროს, (821–823) წლებში, ბიზანტიის იმპერიაში მოხდა დიდი აჯანყება თომა სლავის ხელმძღვანელობით. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ამ აჯანყებაში სლავებთან, სომხებთან და ბიზანტიის მიერ დაპყრობილ სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, იბრძოდნენ ლაზები, აფხაზები და იბერები". (9, ტ.II, გვ.432).

წყაროებიდან ცნობილია, რომ IX საუკუნეში, (852–854) წლებში, ამიერკავკასიაში არაბთა ძალაუფლების გამტკიცებისათვის და განდგომილი თბილისის საამიროს დასამორჩილებლად, ხალიფა მუთავაქილმა (847–861), გამოგზავნა ბუღა თურქის სარდლობით ლაშქარი, რომელსაც მიემხრო ტაო-კლარჯეთის მთავარი ბაგრატ I (826–876) კურაპალატი და კახეთ-ჰერეთის სამთავრო. თბილისის ამირას ისჰაკ იბნ ისმაილ საჰაკს (831–853) მიემხრო ეგრის-აფხაზეთის მეფე თეოდოსი. ბუღა თურქმა თბილისის ამირა დაამარცხა და მოკლა. ხოლო ბაგრატმა არაბთა

ლაშქრით „შებნეს და გააქციენეს აფხაზნი. და მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ. და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა“. (5, გვ.256).

თეოდოსი II-ეს შემდეგ ლიხსიქეთის (აფხაზთა) სამეფოს მეფე ხდება, ლეონ II-ის ძე დემეტრე II (დიმიტრი) (825–861). ისიც ცდილობდა მმართველობის გამტკიცებას, სამეფოს დამოუკიდებლობის დაცვას და მეზობელი სამთავროების დამორჩილებას. იგი ებრძოდა როგორც ბიზანტიელებს, ასევე არაბებს. მან მოიგერია 830 წელს და 40-იან წლებში ორჯერ შემოჭრილი ბიზანტიელთა ლაშქარი. იგი ებრძვის 853 წელს, საქართველოში შემოჭრილ სარდალ ბუღა თურქის არაბულ ლაშქარს.

„დემეტრე II-ის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გავლენის განმტკიცება დასავლეთ საქართველოში. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ხელშეწყობით IX საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში გრიგოლ ხანძთელის მიერ ქართული მონასტრის დაარსება“. (10, ტ.3, გვ.459).

მწერალმა, სასულიერო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ მ ა (759–861) ტაო-კლარჯეთში, „VIII-ის 80-იან წლებში გააჩაღა ფართო სამონასტრო მშენებლობა. ხანძთასა და შატბერდში ააგო მამათა, ხოლო გუნათლესა და მერეში – დედათა სავანები. დასავლეთ საქართველოში დააარსა უბის მონასტერი..... გრიგოლ ხანძთელის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ხანძთა (აქედან მისი ზედწოდება) ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად იქცა. გრიგოლ ხანძთელი იყო მის მიერ დაარსებულ მონასტრებში გაჩაღებული მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სულისჩამდგმელი“. (10, ტ.3, გვ.269).

უნდა აღინიშნოს, რომ „VIII–X საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. უკვე IX საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილო კავკასიაშიც. უპირველეს ყოვლისა, – ჩერქეზებსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულება და ღირსების შეგნება“. (7, გვ.133).

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ:

„როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ დადგენილი ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლითაც მეფობა მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა. საამისო ტენდენცია ჩანს ეგრის-აფხაზეთის მეფეთა საგვარეულოში, მაგრამ არის შემთხვევები ძმიდან ძმაზე ტახტის გადასვლისა, მაგალითად, IX ს. 60-იან წლებში (დაახლოებით 861), როდესაც გარდაიცვალა დემეტრე II, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა ვაჟი ბაგრატი, ტახტი მისმა ძმამ გიორგიმ დაიკავა. რატომ ავიდა ტახტზე გიორგი და არა ბაგრატი, წყაროებიდან არ ჩანს. შეიძლება, ეს ბაგრატის მცირეწლოვანებით იყოს გამოწვეული, ანდა გიორგის მიერ ბაგრატის უფლებების უგულვებელყოფით“. (9, ტ.II, გვ.430).

წყაროთა მონაცემებით, დაახლოებით, გ ი ო რ გ ი I მეფობდა (861–868) წლებში. მისი ზედწოდება ყოფილა **აღნეფელი**, მისი საუფლისწულო მამულის, აღნეფის გამო. წყაროებიდან ჩანს, რომ ისიც ცდილობდა ქართლის დამორჩილებას და მას ერთხანს კიდევაც მოუხერხებია. „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოთხრობილია, რომ „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას, ძე დემეტრესი. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქვა ბაგრატ. რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით.“. (5, გვ.258).

„მატიანე ქართლისაჲ“-ს მიხედვით, გ ი ო რ გ ი I-ის გარდაცვალების შემდეგ, ლიხსიქეთ საქართველოში (აფხაზეთში) უნდა გამეფებულიყო მისი ძმის, დემეტრეს მცირე წლოვანი ვაჟი – ბაგრატი. მაგრამ „მის გამეფებას ნინ აღუდგა გიორგის ქვრივი, რომელიც ტახტის მემკვიდრის მოკვლის მიზნით დაუკავშირდა მთავარს იოანე შავლიანს, მაგრამ ბაგრატი გადარჩა და თავი კონსტანტინოპოლში, იმპერატორის კარს შეაფარა. ტახტი იოანე შავლიანმა დაიკავა. რომლის შემდეგ გამეფდა მისი ვაჟი ადარნასე..... აღნიშნული მეფეები, ჩანს, მკაცრ ცენტრალიზატორულ პოლიტიკას ატარებდნენ ქვეყნის შიგნით“. (10, ტ.10, გვ.674). როგორც ეტყობა, მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს „გამოექცა არგვეთის მფლობელი ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც IX ს. 80-იან წლებში

წამოვიდა თავისი სამკვიდრო მამულიდან არგვეთიდან და კლდეკარს დასახლდა, ტაო-კლარჯეთის სამთავროს ტერიტორიაზე, სადაც ნაკლებად იგრძნობოდა ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების ძალა და მეტი გასაქანი ჰქონდა სამფლობელო ქვეყნების დამოუკიდებლად მართვას მიჩვეულ და მოსურნე ფეოდალთა მისწრაფებებს". (9, ტ.II, გვ.429).

შავლიანების (868–887) მეფობა, რომ მტკიცე ყოფილიყო, იოანემ, ადარნასეს ცოლად შერთო, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, ბაგრატიონთა ტაოს შტოს ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის, გ ვ ა რ ა მ (გ უ ა რ ა მ) მ ა მ ფ ა ლ ი ს (გ. 882) ქალიშვილი.

„როგორც ჩანს, საკმაოდ დამოუკიდებელი იყო შავლიანების საგარეო პოლიტიკაც ბიზანტიის მიმართ. საფიქრებელია, რომ ამის საწინააღმდეგოდ გაუწია იმპერატორმა დახმარება ბაგრატ დემეტრეს ძეს. 887-ის ახლოს ბაგრატი ბიზანტიის დიდი ლაშქრით დაბრუნდა, მოკლა ადარნასე შავლიანი და სამეფო ტახტი თვითონ დაიკავა". (10, ტ.10, გვ.674). ბ ა გ რ ა ტ I-მა (881–893) გამეფების შემდეგ, ცოლად მოიყვანა ქართველ ბაგრატიონთა კლარჯეთის მამამთავარის ა დ ა რ ნ ა ს ე I-ის (გ. დაახლ. 867–869) ქვრივი. ამრიგად, ბაგრატ I იწყებს აფხაზეთის სამხრეთ მხარეში მდებარე ტაო-კლარჯეთის საშინაო საქმეებში ჩარევას. მაგრამ, ბაგრატ I-ის მიზანი ტაო-კლარჯეთის დამორჩილებისა მარცხით დამთავრდა.

ბაგრატ I-ის შემდეგ აფხაზეთის სამეფოს (ლიხსიქეთის) ტახტზე ადის, მისი შვილი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე III (კონსტანტი III) (დაახლ. 893–922). რომელიც განაგრძობს ბრძოლას სამეფო-სამთავროებს შორის პირველობისათვის. კონსტანტინე III-ემ 904 წელს გაილაშქრა ქართლში და მისი დაუფლების შემდეგ, ცდილობს დარიალის გავლით, მის ახლომდებარე ქვეყნების დამორჩილებას და ამით ქართლის საზღვრების გამაგრებას. მაგრამ, მის წინააღმდეგ გამოვიდა სომეხთა (შირაქის) მეფე ს უ მ ბ ა ტ I ბ ა გ რ ა ტ უ ნ ი (891–914). კონსტანტინე დამარცხდა. თუმცა, როგორც წყაროებიდან ჩანს, საბოლოოდ ქართლი მაინც კონსტანტინეს გამგებლობაში დარჩა. მის წინააღმდეგ გაილაშქრეს „ქართველთა მეფემ" ა დ ა რ ნ ა ს ე II-ემ (888–923) და სუმბატმა.

კონსტანტინემ მოახერხა ქართლში თავისი უფლებების გამტკიცება. მაგრამ, 914 წელს არაბების შემოსევის გამო კანსტანტინე III-ეს მოუხდა ცოტა ხნით ქართლის დატოვება. კონსტანტინემ „მხოლოდ უფლისციხის ზღუდის მორღვევა ჩათვალა მიზანშეწონილად, რათა მტერი მასში არ გამაგრებულიყო" (9, ტ.II, გვ.520). და ქართლს გაეცალა.

უფლისციხე, როგორც კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა და ამავე დროს, ის კავკასიაში ერთ-ერთ უძველეს დასახლებულ ადგილად და ქალაქად ითვლებოდა. არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლებით ირკვევა, რომ უფლის ციხეში ცხოვრება მიმდინარეობდა ანტიკურ (ძვ. წ. VI–IV სს.) და ელინისტურ (ძვ. წ. III–I სს.) დროსაც; და ის ამდროსაც-კი ქალაქურ დასახლებას წარმოადგენდა. IV საუკუნიდან თავისი ადგილმდებარეობით, იგი სამხედრო მნიშვნელობის ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა. რადგანაც, ვინც დაიპყრობდა უფლისციხეს, ქართლიც მისი იყო. ქართლისათვის შემდეგშიდაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა უფლისციხე. საქართველოს გაერთიანების დროს ყველა მეფე ცდილობდა მის დაპატრონებასა და გამაგრებას. X საუკუნის 70 წლებიდან საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანების შემდეგ, მან თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ხოლო XIII საუკუნიდან მონღოლთა შემოსევების დროს, ის განადგურდა და როგორც სამხედრო ქალაქი აღარ არსებობდა. მას მხოლოდ მტრის შემოსევების დროს ახლომდებარე მცხოვრებლები თავშესაფრად ხმარობდნენ.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოდან არაბების წასვლის შემდეგ, კონსტანტინე III ქართლში დაბრუნდა და დაქცეული ციხე-სიმაგრე ხელახლა აღადგინა. ამის შემდეგ იგი ცდილობს ჰერეთის დაპყრობას. „მატიანე ქართლისაჲ" გადმოგვცემს, რომ (ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიის მიხედვით 915 წელს) კონსტანტინე III და კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) (892–918) კ ვ ი რ ი კ ე I ერთად ლაშქრობენ ჰერეთის მეფის ა დ ა რ ნ ა ს ე პ ა ტ რ ი კ ი ს (დაახლ. 915–944) წინააღმდეგ.

კონსტანტინე ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელებასაც და იქ მცხოვრები ტომების დამორჩილებას.

კონსტანტინე III-ის შემდეგ, ეტყობა, რომ ერთ ხანს აფხაზეთის სამეფოში მეფობდა ბ ა გ რ ა ტ II (X ს-ის I მესამედი). „ფავნელთა „დაწერილის" მიხედვით", იგი იყო კონსტანტინე III-ის უმცროსი ძე მეორე ცოლისაგან. მამამისთან ერთად მართავდა სამეფოს „და, ამდენად ტახტის ერთ-ერთ მემკვიდრედ ითვლებოდა". „თავის დროზე შედგენილი ყოფილა ბაგრატ II-ის „ცხოვრება", რომელსაც ჩვენამდე არ მოულწევია". (10, ტ.2, გვ.128). „ქართლის ცხოვრებიდან" ცნობილია, რომ ბაგრატ II-ეს, გამეფების შემდეგ, დაუპირისპირდა მისი უფროსი ნახევარძმა გიორგი (შემდეგში აფხაზთა მეფე გიორგი II). ბაგრატ II-ეს ეხმარებოდა მისი სიმამრი, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენელი, გ უ რ გ ე ნ IV დიდი ერისთავთერისთავი (918–941). ძმებს შორის ბრძოლამ გამოიწვია დასავლეთ საქართველოში არეულობა. ბრძოლაში ჩაებნენ გურგენ IV-ის გარდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები.

კონსტანტინე III-ის უფროსმა შვილმა გ ი ო რ გ ი II-ემ (922–957) ეგრის-აფხაზთა სამეფო უფრო გააძლიერა. ცნობილია, რომ მის მიერ ქართლის ერისთავად დანიშნულმა შვილმა კონსტანტინემ (კონსტანტი), ქართლის აზნაურების მხარდაჭერით, გამეფების მიზნით, 925 ნელს მოაწყო აჯანყება, მაგრამ დამარცხდა. გიორგი II-ემ კონსტანტინე სიკვდილით დასაჯა და ქართლის ერისთავად დანიშნა მეორე შვილი ლეონი (შემდეგში მეფე ლეონ III).

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „ყურადღების ღირსია ეს უკანასკნელი გარემოება. დიდებული აზნაურები, უმეტესი ნაწილი მაინც, საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ; თითოეული კუთხის აზნაურები თავიანთი მეფისა და მთავრის დამოუკიდებელი არსებობის მონატრულნი იყვნენ იმიტომ, რომ გაერთიანების შემდეგ მათ კვლავინდებური ძალა და გავლენა დაეკარგებოდათ და მეფეს წინანდებურად თავის ნებაზე ვეღარ ათამაშებდნენ. თუ აქამდის საქართველოს სახემწიფო ცხოვრების უმთავრეს მოვლენად ქართველ მეფეთა ერთმანეთთან ბრძოლა იყო ბატონობისა და მეთაურობის მოსაპოვებლად, ამიერითგან, როცა გამარჯვება აფხაზთა მეფეებს ერგოთ, ამ მეფეთა შორის ბრძოლაში დიდებული აზნაურებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ, განსაკუთრებით უმეფობას მიჩვეული ქ ა რ თ ლ ი ს ა ზ ნ ა ურ ე ბ ი, და უმეტეს შემთხვევაში ა ფ ხ ა ზ თ ა მ ე ფ ე ე ბ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ებ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ე ფ ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა რ ს ებ ობ ი ს დ ა ს ა ც ა ვ ა დ ი რ ჯ ებ ო დ ნ ენ.

კონსტანტინე ბატონიშვილის განდგომილებაშიც მამის წინააღმდეგ „მრავალნი აზნაურნი" ქართლელნი იღებდნენ მონაწილეობას, რასაკვირველია, იმავე მიზნით და განზრახვით, გიორგი აფხაზთა მეფემ «მოიყუანნა ტაოელნი მეფენი და **ფადლა ქორეპისკოპოზი**» და მედგარის ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა. (მტ˜ნე ქ˜ჲ˜*454, გვ. 231).

ამგვარადვე აფხაზთა მეფის საზიანოდ და მისი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მოქმედებდნენ ქართლის აზნაურნი, როცა **კკრიკე ქორეპისკოპოზის** წინააღმდეგ «გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა» და აფხაზთა მეფემ ერთგზობით კახეთის აოხრების შემდეგ, მეორედ თვით კკრიკე შეიპყრა". (2, ტ.II, გვ.106). X საუკუნის 20-იან წლებში გიორგი II ცდილობს კახეთის სამთავროს დამორჩილებას. 957 წელს გიორგი II-ემ, კახეთის ხელახლა დასაპყრობად ლეონი გააგზავნა. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ლეონს, გიორგი II-ის გარდაცვალება შეატყობინეს და იგი სასწრაფოდ დაუბრუნდა კვირიკეს.

წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგი II-ეს ემორჩილებოდა სამხრეთით მდებარე ტაო-კლარჯეთის სამთავრო და ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები: შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯიქეთი და ალანები (ოსები). გიორგი II-ის ასული, გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ ი, გ უ რ გ ე ნ II მ ე ფ ე თ ა მ ე ფ ი ს (994–1008) (მაგისტროსი) მეუღლე, X ს-ის II ნახევრის პოლიტიური მოღვაწე იყო. იგი უფლისციხიდან განაგებდა ქართლს, მისი შვილის, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975–1014) დროსაც, როდესაც იგი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა.

წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგი II მოღვაწეობდა კულტურულ სფეროშიც. „ქართული წყარო მას ეკლესიათა ამშენებელს უწოდებს. გიორგი II-ემ დააარსა **ჭყონდიდის (მარტვილის)** საეპისკოპოსო კათედრა". (10, ტ.3, გვ.159). „მატიანე ქართლისაჲ" გადმოგვცემს, რომ: გიორგი მეფე „იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმჴნითა და ახოვნებითა; ღმრთისმოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა

მაშენებელი ეკლესიათაჲ... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისაჲ, შექმნა საეფისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნანილთა სიმრავლითა წმიდათა მარტჳლთაჲთა". (5, გვ.261).

ეგრის-აფხაზეთის სამეფო წარმოადგენდა ერთ-ერთ ქართული მწერლობის მნიშვნელოვან ადგილს. ცნობილია, რომ გიორგი II მფარველობდა X საუკუნის ჰიმნოგრაფს ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ს, რომელიც შემდგომში ვარაუდით პალესტინაში, **სინის** მთაზე მოღვაწეობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი II ყოველ ღონეს ხმარობდა და ცდილობდა რომ, მამამისის, კონსტანტინე III-ის მიერ დაწყებული საქმე განეგრძო, ჩრდილოეთში გაევრცელებინა ქრისტიანული სარწმუნეობა, რადგან ამით უფრო შემოემტკიცებინა მისდამი დაქვემდებარებული მხარეები. საყურადღებოა, რომ როგორც ლიხსიქეთ საქართველოს სამეფო, ასევე ბიზანტიის იმპერიაც ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელების მეშვეობით მათ დამორჩილებას. წყაროებიდან ჩანს, რომ ალანებში (ოსეთში) ქრისტიანობამ დაიწყო გავრცელება აფხაზეთიდან. „გიორგი II-ის აქტიური ხელშეწყობით X საუკუნის II ნახევარში ალანთა ქვეყანაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა". (10, ტ.3, გვ.159). ამავე დროს, „ბიზანტიისა და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შორის არსებული ოფიციალური ურთიერთობა ფაქტიურად მეგობრობა-მოკავშირეობის ფარგლებს არ სცილდება, რაზედაც აშკარად მეტყველებს პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი გიორგი ეგრის-აფხაზეთის მეფისადმი, სადაც ის მას ფაქტიურად სთხოვს, რათა გიორგიმ დაიცვას ბიზანტიელებთან „მეგობრობის სიწმინდე", შეინახოს „მოკავშირეობის ქველი სული და ერთგულება". (9, ტ.II, გვ.435).

გიორგი II-ის შემდეგ, „აფხაზთა სამეფოს" მეფემ ლ ე ო ნ III-ის (957–967), დროსაც, ლიხსიქეთ საქართველო ისევ მძლავრობდა. მის გავლენას ექვემდებარება სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთიც. იქ ლეონს ერისთავად, თავისი მოხელე ჰყავდა დანიშნული. ხოლო, ჯავახეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გაერთიანებისათვის. „ჯავახეთის მფლობელ აფხაზთა მეფეს ხელი ადვილად მიუწვდებოდა სამხრეთისა და აღმოსავლეთ მხარეს. მის ხელში იყო მთავარი გზები სამხრეთიდან (სომხეთი) თუ სამხრეთ-დასავლეთიდან (ბიზანტიიდან). ჯავახეთზე გამოვლით შედიოდნენ ეს გზები „აფხაზეთში" (სამცხით), შიდა ქართლში (სამცხით, თრიალეთით), მცხეთა-თბილისში (თრიალეთ-მანგლისით) და კახეთში". (9, ტ.II, გვ.523).

წყაროებიდან ჩანს, რომ ლეონ III-ის დროს, ლიხსაქეთ საქართველოს სამხრეთში, ისტორიულ ქვემო ქართლში, ახლანდელ სოფ. სამშვილდის (თეთრი წყაროს რაიონი) მახლობლად მდებარე ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქი **სამშვილდე**, რომლის დასაკუთრებას ცდილობდნენ თბილისის საამიროც და სომხეთის სამეფოებიც, ეკუთვნოდა ლიხსიქეთ (აფხაზეთის) სამეფოს. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „რამდენად ცვალებადი იყო პოლიტიკური მდგომარეობა და თვით სამფლობელოების საზღვრებიც, ქ. სამშვილდის ბედ-იღბალიც მშვენივრად გვისურათებს. როგორც სამშვილდის ტაძრის წარწერითგანა ჩანს, ეს ქალაქი მეათე საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს და იმავ საუკუნის მესამე მეოთხედში აფხაზთა და ქართველთა მეფეთა კონსტანტინესა და ლეონის ხელში ყოფილა. ხოლო ამავე საუკუნის დამლევს იგივე ქალაქი სომეხთა მეფეს დავით გურგენის ძეს ჰკუთვნებია და თავის საჯდომათაც-კი გაუხდია". (2, ტ.II, გვ.116).

ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქი **სამშვილდე**, მდებარეობდა ისტორიულ ქვემოქართლში, სოფ. სამშვილდის მახლობლად, დღევანდელ დღეს „შემორჩენილია ნანგრევების სახით. ქალაქისათვის შერჩეული იყო მდინარეების ჭივჭავისა და ხრამის (ქცია) შესართავში მდებარე ბუნებრივად გამაგრებული კონცხი, რომლის ორ მხარეს კლდოვანი, შვეული ხრამებია, მესამე მხარეს გალავანი შემოუყვებოდა. ქართული ეროვნული ტრადიციის თანახმად ააშენა ქართველთა ეპონიმმა ქართლოსმა. მისი თავდაპირველი სახელწოდებაა „ციხე ორბისა". ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია აგრეთვე მთავარი ციხის ზოგად-ქართული სახელწოდებით – „დედად ციხედ". ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV–III სს.) წარმოადგენდა სამშვილდის საერისთავოს ცენტრს; დროდადრო იგი უფლისწულთა სამყოფელი იყო.... სამშვილდე XVII ს. II ნახევრამდე ქალაქი იყო, შემდეგ მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქცია შერჩა. ნაქალაქარში მრავალი საფორთიფიკაციო, საკულტო და სხვა დანიშნულების შენობათა ნანგრევებია". (10, ტ.9, გვ.46).

ლეონ III-ემ დასავლეთ საქართველოში, ქვეყნის შიგნით ძალაუფლება თანდათან განიმტკიცა, ჩაატარა საეკლესიო რეფორმა, „მოპოვებულ იქნა სრული პოლიტიკური სუვერენიტეტი“ (9, ტ.II, გვ. 440). და დაიწყო ბრძოლა სამეფოს საზღვრების გაფართოებისათვის. პირველ რიგში შეეცადა კახეთის დაუფლებას.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „მისწრაფებათა წინააღმდეგობის გამო შეუძლებელი იყო კახ-აფხაზთა ბატონთა შორის ზავი ხანგრძლივი ყოფილიყო. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა **ლეონ მეფის** ასული, რომელიც კკრიკე ქორეპისკოპოზის შვილს თანამეცხრედრედა ჰყავდა, მაშინ ლეონმა «კუალად ინყო მტერობად კახეთის და ძებნად, გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგვის პირსა, ასწყვდა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი»“. (2, ტ.II გვ.107). მაგრამ, ლეონ III-ემ კახეთის დაპყრობა ვერ შეძლო, რადგან „მატიანე ქართლისაჲ“-ს გადმოცემით: „მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკუდა“. (5, გვ.265).

წყაროებიდან და დღემდე შემორჩენილი ძეგლებიდან ჩანს, რომ ლეონ III-ის დროს ლიხსიქეთ საქართველოში დიდი საალმშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა. როგორც ეტყობა ამ დროს შეიქმნა არა ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი. მდ. მოქვის ნაპირზე (ოჩამჩირის რაიონში) დგას ერთ-ერთი შესანიშნავი ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამნავიანი საკათედრო ტაძარი, **მოქვის ეკლესია**, რომელიც ლეონ III-ეს აუშენებია. ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერები მოწმობენ, რომ ტაძარს მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია. ჯავახეთში ახალქალაქის მახლობლად, შუა სოფელ კუმურდოში შემორჩენილია, ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, **კუმურდოს ტაძარი**. ტაძრის კედლებზე შემორჩენილი წარწერები, ადასტურებს, რომ 964 წელს იოანე ეპისკოპოსის (კუმურდოელის) თაოსნობით ქართველ ხუროთმოძღვარს საკოცარს დაუწყია ტაძრის მშენებლობა. წარწერაში ნათქვამია, რომ: «შენევნითა ღმერთისაჲთა, იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაჲთა, ლეონ მეფისა ზჱ, ადიდენ ღმერთმან, ქორონიკონსა რპდ, თუესა მაისსა, დღესა შაფათსა მთოარიისსა ა, ერისთვობასა ზჯასსა, ესე ბალავარი მან დადვა»…. ტექნიკური თვალსაზრისით კუმურდოს ტაძარი გასაოცარი ოსტატობითაა შესრულებული, ჩუქურთმაც ზედმიწევნით ფაქიზი და ოსტატურია. XI ს. ბაგრატ IV-ის დროს, ტაძარს სამხრეთით კარიბჭე მიაშენეს, ზოგი რამ აქ XVI ს. მიეკუთვნება“. (9, ტ.II, გვ.639). კუმურდოს ტაძრის გარე და შიდა მორთულობა და შიდა მხატვრობა, „ტაძრის ტექნიკური შესრულების ხარისხი… განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს კუმურდოს ტაძარს ქართულ ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

ტაძარი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც იყო. აქ მოღვაწე მწიგნობართაგან აღსანიშნავი არიან იოანე კუმურდოელი (X ს.), რომელიც შემდეგ სინას მთაზე მოღვაწეობდა. ზოსიმე (XI ს.) და სხვ.“ (10, ტ.6, გვ.71). დღევანდელ დღეს ეს შესანიშნავი ძეგლი ძლიერ დაზიანებულია, „გუმბათი და კამარების დიდი ნანილი ჩამოქცეულია, დასავლეთ ნანილს სულ შეცვლილი აქვს სახე“. (9, ტ.II, გვ.639).

ლეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ლიხსიქეთის სამეფოს ტახტზე ავიდა მისი ძმა დ ე მ ე ტ რ ე (დიმიტრი) III (967–975).

დემეტრე III განაგრძობდა ლიხსიქეთის (აფხაზეთის) სამეფოს გაძლიერებას და საზღვრების გაფართოებას. მის გაძლიერებას ეწინააღმდეგებიან როგორც ქართლის აზნაურები, ასევე მესხეთისა და კახეთის მთავრები. რადგანაც ისინი გრძნობდნენ, რომ მომავალში ყოველი მათგანის სამფლობელო, შეიძლება მისი გაელენის ქვეშ მოქცეულიყო. ცნობილია, რომ გიორგი II-ეს ოთხი ვაჟი ჰყოლია (ლეონი, დემეტრე, თეოდოსი და ბაგრატი). მან, ორი ვაჟი, თეოდოსი და ბაგრატი, ბიზანტიაში გააგზავნა რათა „შემდგომად სიკუდილისა მისისა არა იყოს მათ შორის ბრძოლაჲ და ჴდომაჲ“. (5, გვ.265). მაგრამ, დემეტრე III-ის გამეფებისთანავე, ფეოდალებმა „მოუხმეს ბიზანტიაში მყოფ თეოდოს“ და ისიც გამოემართა ლიხსიქეთ საქართველოში და დაიწყო მომხრე ფეოდალების შემწეობით, ძმის წინააღმდეგ ჯარის შეგროვება. მაგრამ, დემეტრე III-ემ დაასწრო და ამ ძმათა შორის გამართულ ომში საბოლოოდ გაიმარჯვა მეფემ.

მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ: „წყაროებიდან არ ჩანს, ბიზანტიის აქტიური მონაწილეობა დემეტრე-თეოდოსის შორის წარმოებულ ბრძოლაში, მაგრამ სავარაუდოა, რომ ბიზანტიიდან წამოსულ

თეოდოსს, რეალური თუ არა, მორალური მხარდაჭერა მაინც ექნებოდა კონსტანტინოპოლისა, რადგან ძმათა შორის ომი, რომელიც დაასუსტებდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს, ხელს აძლევდა ბიზანტიის იმპერიას". (9, ტ.II, გვ.437).

მოულოდნელი თავდასხმის შედეგად ამბოხებულნი დამარცხდნენ და თეოდოსიმ თავი შეაფარა ძამის ციხეს.

„ერთი სიტყვით, აქაც ქართლის აზნაურებმა აფხაზთა მეფის მეტოქესა და მტერს ხელი შეუწყეს და თავშესაფარი მისცეს, რომ ამით თავიანთი ბატონი დაეძლურებინათ, ან არა და თავიანთი მომხრე აეყვანათ სამეფო ტახტზე." (2, ტ.II, გვ.108). დემეტრემ ძამის ციხე-სიმაგრე ალყაში მოაქცია. შუა ქართლში, მდ. ძამის ხევში, კლდეზე აღმართული **ძამის ციხე (ორთუბნის ციხე)** მეთვალყურეობდა ზემო ქართლის ძირითად თრიალეთისკენ მიმავალ გზას. ამ ადგილებში ადრე მდებარეობდა ისტორიული ქალაქი **მძღვრეთი**.

სამი თვის ალყის შემდეგ, დემეტრემ, ფიცის მიცემის შემდეგ, ძმა შეიწყალა. მაგრამ, თეოდოსი ისევ განაგრძობდა ძმის წინააღმდეგ მოქმედებას. ამის გამო „ფიცით მინდობილი თეოდოსი მისმა ძმამ დემეტრემ შეიპყრა და თვალები დასწვა, რომ მეფობა ველარ შეძლებოდა". (2, ტ. II, გვ. 108). აფხაზეთის ტახტის გარშემო ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. „დემეტრე III-ის მოწინააღმდეგე ფეოდალებმა, სცადეს გაემეფებინად მისი მეორე ძმა ბაგრატი. მაგრამ დემეტრემ ეს აჯანყებაც ჩაახშო. (10, ტ.3, გვ.458).

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „მაგრამ რაკი დემეტრე მეფე უძეო იყო და მისი სიკვდილის შემდეგ «აღარა დარჩა მკვიდრი აფხაზეთისა და ქართლისა», „მკვიდრნი ქვეყნისანი" იძულებულნი იყვნენ ისევ **თეოდოსი** III (975–978) დაესვათ მეფედ (მტ˘ნე ქ˘ა˘*460_461, გვ.236). რასაკვირველია, უსინათლო მეფე დიდებულ აზნაურთა სათამაშოდ უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. ქვეყანა აიშალა და წესიერება შეირყა. ეხლა კი საქართველოს მომავალი განსაცდელში იყო და უსინათლო თეოდოსის მეფობა ქვეყანას კეთილს არ უქადდა. კახთა მეფე გამხნევდა, ქართლის წართმევა განიზრახა და ჯარითურთ უფლისციხეს მოადგა (იქვე). ერთი სიტყვით, საქმე ისე დატრიალდა, თითქოს საქართველოს გაერთიანება ხელახლა უნდა დაწყებულიყო". (2, ტ.II, გვ.108).

უსინათლო მეფის, თეოდოს III-ის დროს, „მატიანე ქართლისაჲ" გადმოგვცემს, რომ „და ვითარ გარდაჴდა ამას შინა წელიწადი სამი, და მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე. განირყუნა ქუეყანაჲ იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგებაჲ, პირველთა მეფეთაგან განწესებული. იხილეს რაჲ წარჩინებულთა მის ქუეყანისათა, იყვნეს ყოველნი ერთობით მწუხარებასა შინა დიდსა". (5, გვ.268).

ი. ჯავახიშვილის თქმით: „საქართველოს სამეფოს ამ აშლილობის დროს, რომელიც დამკვიდრდა უსინათლო თეოდოსის მეფობაში, მმართველ მოწინავე წრეში საბედნიეროდ მაინც აღმოჩნდა შეგნებული ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა. ამ წრის საუკეთესო წარმომადგენელი, მისი სულის ჩამდგმელი და წადიერებათა თავგამოდებული განმახორციელებელი იოანე მარუშის ძე ყოფილა. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რამდენად საუბედურო იქნებოდა საქართველოსათვის უსინათლო, უძლური კაცის მეფობა და ამიტომ «ამან წარავლინა მოციქული წინაშე **დავით კურაპალატისა**, აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თჳთ, ანუ უბოძოს ბაგრატს ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე» (მტ˘ნე ქ˘ა˘*461, გვ.236). იოანე მარუშის ძეს საქართველოს გაერთიანების გარკვეული და მტკიცე სურვილი ჰქონდა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო გზაც აირჩია. ტაოს მფლობელს დავით დიდ კურაპალატაზე უკეთესად არავის შეეძლო ეს განეხორციელებინა: იგი სახელგანთქმული იყო ყველგან, როგორც შინ საქართველოში, ისე გარეთ სომხებსა, ბერძნებსა და არაბებს შორის ძლიერებითა და მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით; ამასთანავე მტკიცე და ძლიერი ხასიათის პატრონი იყო და თავის თავს არავის დააჩაგვრინებდა." (2, ტ.II, გვ.123).

ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელის, ტაოს მეფე, დ ა ვ ი თ III დ ი დ ი ს კ ურ ა პ ა ლ ა ტ ი ს (გ. 1001) დროს, **ტაო-კლარჯეთი**, X საუკუნის II ნახევარში საქართველოში ერთ-ერთ მძლავრ სამეფოს წარმოადგენდა. „მოიცავდა ერცელ მინა-წყალს, ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკამდე (ახლანდელი ერზინჯანი). დავითის გავლენა, სამხრეთის თემებს გარდა, საქართველოს ჩრდილო

თემებზედაც ერცელდებოდა." (7, გვ.133). იგი „ფლობდა სამხრეთ ანუ იმიერ ტაოს, ბასიანი და მომიჯნავე სომხურ თემებს". (10, ტ,3, გვ.333).

ქართლის ერისთავი, იოანე მარუშის ძე მოუწოდებს დავითს, რომ ვინაიდან დავითს „შვილი არ ებადა, ამიტომ თავისი მახლობელი ნათესავი «ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თვსად» (იქვე *461, გვ.237); მაშასადამე, იგი არამც თუ ქართველთა მეფეთა სამფლობელოს მემკვიდრე იყო, არამედ ტაოსიც; ხოლო თუ აფხაზთა მეფეების ტახტზე მართლაც ბაგრატს დასვამდნენ, მაშინ იგი გახდებოდა თითქმის მთელი გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფედ, კახეთისა და ჰერეთის ერთ ნაწილს გარდა. სწორედ ამიტომაც იოანე მარუშის ძე «ეძებდა მეფედ ბაგრატს» (იქვე *461, გვ. 236).

დავით დიდ კურაპალატს მოეწონა იოანე მარუშის ძის წინადადება და თავისი ჯარითურთ საჩქაროდ ქართლისაკენ გამოეშურა" (2, ტ.II, გვ.123). მაგრამ, სანამ დავითი შემოვიდა ქართლში, კახეთის ქორეპისკოპოსს უკვე აეღო უფლისციხე. „მატიანე ქართლისაჲ"-ს გადმოცემით, დავითი დაბანაკდა უფლისციხესთან ახლოს „ქვაჯურელთან". კახელებმა გაიგეს თუ არა დავითის მოსვლა, მიატოვეს ციხე-ქალაქი და გაბრუნდნენ უკან. იოანე მარუშის ძე მიეგება დავითს, „აღილო მისგან უფლისციხე და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს". (5, გვ.267). „მაგრამ რაკი ბაგრატი ჯერ სრულწლოვანი არ იყო, ამიტომ „თანაგამგებლად" მამა მისი გურგენი დაუნიშნა". (2, ტ.II, გვ.124). დავითმა შეკრიბა ქართლის აზნაურები და გამოუცხადა: „ესე არს მკვდრი ტაოჲსი, ქართლისა და აფხაზეთისაჲ, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი". და დაყენა დღენი მცირედნი და წარვიდა ტაოს". (5, გვ.267). ისტორიკოსების გამოანგარიშებით ეს მომხდარა 975 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერიდან, მ. ლორთქიფანიძის თქმით, საქართველოს მეფეთა სახელწოდებაში, პირველად ჩნდება მოხსენება „მეფეთა-მეფე", რომლითაც წყაროებში გურგენ მეფეს აღნიშნავენ. სუმბატ დავითის ძე წერს, რომ გიორგის შვილის, „ბაგრატის მეფობითაა განპირობებული („ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს და ამისთჳს გურგენს მეფეთ მეფობა ეწოდა")". (9, ტ.II, გვ.452).

ბაგრატ II-ის ძე გ უ რ გ ე ნ ი (გ. 1008), ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი იყო. (994–1008) წლებში ეწოდებოდა მეფეთა-მეფე. მისი მეუღლე იყო აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ასული გურანდუხტი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იგი წარმოადგენდა X საუკუნის II ნახევრის ცნობილი პოლიტიკურ მოღვაწეს.

წყაროებიდან ჩანს, რომ დავითის წასვლის შემდეგ, იოანე მარუშიძის გეგმის მონინააღმდეგე ქართლის დიდებულები, ტბელების საგვარეულოს წარმომადგენელთა (ყოფილი ერისთავების) ხელმძღვანელობით, სარგებლობენ „თანაგამგებლის" გურგენის სისუსტით, დაუკავშირდნენ კახეთის ქორეპისკოპოსს და „მოიყუანნეს ლაშქარნი კახეთით", გადასცეს უფლის ციხე, დაატყვევეს გურგენი, ბაგრატი და დედოფალი გურანდუხტი და „წარიყუანეს კახეთად". ამ ამბის გაგონებისთანავე, დავით დიდმა სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი, გადმოვიდა ქართლში და დაბანაკდა თრიალეთში „შთასლვად კახეთად".

„რაჟამს ცნეს კახთა, მოუგზავნეს მოციქული და მოუპყრეს პირი ზავისაჲ: განუტევნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქუალის ციხე და გრუი თჳთ დაიჭირეს. მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტ დედოფალსა". (5, გვ.268). ბაგრატმა ქართლის გამგებლად დატოვა დედამისი, დედოფალი გუარანდუხტი, რომელიც უფლისციხეში იმყოფებოდა და თვითონ ქუთაისში გადავიდა.

ამ დროს-კი ლიხსიქეთ საქართველოში კვლავინდებურად არეულ-დარეულობა სუფევდა. ქუთაისში იმყოფებოდა ბაგრატ III-ის ბიძა უსინათლო თეოდოს III. ქართლისა და აფხაზეთის მონინავე, საქართველოს გაერთიანებისათვის მზრუნველ, დიდებულებისათვის ცხადი გახდა, რომ ერთსა და იმავე დროს ორი მეფის ყოფნა ერთ სახელმწიფოში შეუძლებელი იყო. სანამ მეფობდა თეოდოსი მშვიდობა არ დამყარდებოდა და ამისათვის საჭირო იყო, რომ აფხაზეთშიც გამეფებულიყო უკვე დავაუკაცებული, „განსრულებული" „ჰასაკითა" ბაგრატი; და როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, „ამანვე იოვანე მარუშის ძემ „ინება, რაჲთა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზე-

თისა. და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან". (5, გვ.268). ი. ჯავახიშვილის თქმით, 978 წელს, დავითს ჩამოუყვანია ბაგრატი ქუთაისში და აფხაზეთის მეფედ გამოაცხადეს. „დავით კურაპალატი ფრთხილად მოიქცა და ვიდრე მძევლები არ ჩამოართვა, თხოვნა არ აუსრულა. ახალგაზრდა ბაგრატი აფხაზეთში ჩაიყვანეს და «დალოცეს მეფედ»....

ახლად გამეფებული ბაგრატი მაშინვე არ შესდგომია ქვეყნის მოწესრიგებას, ჯერ საქმის მდგომარეობისა და ცხოვრების ვითარების გაგება იყო საჭირო. ამიტომაც არის, რომ მხოლოდ «ვითარ გარდაჯდა ამას შინა წელიწადი ორი, იწყო განგებად»... ესე იგი მხოლოდ 979–980 წ. შესდგომია ბაგრატ III სახელმწიფო საქმეების განმართვას. რასაკვირველია, პირველად მას უნდა იმ ორჭოფი მდგომარეობისათვის მიექცია ყურადღება, რომელმაც სახელმწიფო მართვა-გამგეობა ასე არევ-დარია. შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ორი მეფე ყოფილიყო გამგედ, რომელთაგან ერთი უსინათლო იყო. ვითარცა უსინათლო იგი თვითნება მოხელეთა სათამაშოდ იყო ქცეული და მისი მოქმედება წინ გადაეღობებოდა ბაგრატის გარკვეულს პოლიტიკას. ამიტომ, რომ იგი ქვეყნის ერთადერთი ბატონი ყოფილიყო და «ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილი, გინა თუ შიში უწესობისა თჳს მისა მიმართ აქუნდეს» (იქვე), მეფე ბაგრატმა თავისი უსინათლო ბიძა, მეფე თეოდოსი, ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან და თითონ ქართლისა და აფხაზეთის ერთადერთ ბატონად გახდა. ეს მომხდარა, მაშასადამე, 980 წ. ამიერითგან საქართველოს გაერთიანების საქმე მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელის ნების პატრონს მეფეს ჩაუვარდა ხელში; დაუღალავად მუშაობდა იგი სამეფოს კეთილდღეობისათვის და არას დროს გარკვეულს გზას არ გადაუხვევდა, არც დაბრკოლების წინ შეჩერდებოდა და უკან დაიხევდა. აფხაზეთშიაც და ქართლშიაც ბაგრატი წესრიგის დამყარებას შეუდგა." (2, ტ.II, გვ.124–126).

მ. ლორთქიფანიძე წერს: „ამგვარად, დავით კუაპალატის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით განხორციელდა ბაგრატის გამეფება, რამაც დასაბამი მისცა ეგრის-აფხაზეთ-ქართლისა და ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ გაერთიანებას". (9, ტ.II, გვ.489).

„ამგვარად, საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა, დამთავრდა ამ ბრძოლის ერთი ძირითადი ეტაპი, გაერთიანდა ლიხსიქეთ საქართველო (დასავლეთ საქართველო), სამხრეთ საქართველო და შიდა ქართლი, ხოლო ამ ქვეყნის მეფედ ბაგრატ III გამოცხადდა.

ეს ბაგრატი პირველია, რომელიც უკვე იწოდება „აფხაზთა და ქართველთა", ე. ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ. ორივე საქართველოს დიდი ნაწილის გაერთიანებით X საუკუნის დასასრულს შეიქმნა სახელმწიფო „საქართველო", რომლის ირგვლივ ხდება შემდგომ დანარჩენი ქართული მიწების თანდათანობით შემომტკიცება". (21, ტ.II, გვ.529).

ბაგრატ III-ეს უხდებოდა როგორც გარეშე ძალების წინააღმდეგ, ასევე ქვეყნის შიგნით, ცენტრალური ხელისუფლებისადმი, ბაგრატის მიმართ, მტრულად განწყობილ მთავრებისა და ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ხშირად ამ გარეშე ძალებს იყენებდნენ.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მას გათამამებული დიდებულებისათვის უნდა მოევლო და როდესაც აფხაზეთში მოანესრიგა საქმე, იქაური დიდებულები დაიმორჩილა, იგი იწყებს ქართლის აზნაურების დამორჩილებას, „რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი". რომლებიც დაუპირისპირდნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეს. „ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე იჩინა თავი უთანხმოებამ მეფესა და ქართლის დიდგვარიან აზნაურებს შორის. ქართლის დიდაზნაურებს არ სურდათ, რომ მეფეს სამუდამო ადგილსამყოფელი ქართლში გაეჩინა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართლში გადმოსული მეფე მოიკითხავდა სამეფო ქვეყანას, რომელიც, დიდი ხანია, დიდაზნაურებს დაჩემებული ჰქონდათ. ერთ მათგანს, მაგალითად რატი ბაღვაშს, გარდა „საკუთარი" თრიალეთისა, მიტაცებული ჰქონდა მთელი მიწა-წყალი, რომელიც ქართლში მტკვრის სამხრეთით მდებარეობდა. ასეთივე მიმტაცებლები იყვნენ სხვა აზნაურებიც: ძამელები, კორინთლები, ტბელები, ფხვნელები და სხვანი. ამის გამო, როდესაც ბაგრატ მეფემ საქმეების მოსაწესრიგებლად აფხაზეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა მოინდომა, მას ქართლის საზღვარზე დაუხვდნენ დიდგვარიანი აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და ომი აუტეხეს".

(7, გვ.138). როგორც მატიანე გადმოგვცემს, უფლისციხესაკენ მიმავალ ბაგრატს „მოღრისის თავს“ ქართლის აზნაურები დაუხვდნენ. მეფემ „აღუზახნა სპათა თვისთა“, შეება და დაამარცხა. „მერე უფლისციხეში მივიდა, «აღიღო ციხე დედისაგან თუსისა» და ქართლის და ქართლის გამგეობა ჩამოართვა, რომ იქაური თავგასული აზნაურობა თავის ძლიერ ხელს ქვევით და მორჩილებაში ჰყოლოდა“. (2, ტ.II, გვ.126). ამის შემდეგ, ქართლში რჩებოდა სამხრეთი მხარე, სადაც იმყოფებოდა ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი, ძლიერი ფეოდალი, კლდეკარის ერისთავ-ერისთავი **რატი ლიპარიტის ძე ბაღვაში (რატი I)** (გ. 1021), რომელიც, მართალია, ამჯერად ბაგრატის წინააღმდეგ შეთქმულებაში არ გარეულა, მაგრამ, იგი არ ემორჩილებოდა ბაგრატს. „მატიანე ქართლისაᲘ“ გადმოგვცემს, რომ ბაგრატის მიერ ქართლისა და აფხაზეთის საქმეების მოგვარების შემდგომ, „ამას შინა გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენნიმე. იყო მას ჟამსა ერისთავად კლდეკართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველი, თრიალეთი, მანგლისჴევი და სკჳრეთი არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“. (5, გვ.269). ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად, მეფისათვის ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო მისი მოდრეკა. ახალგაზრდა მეფემ, სიფრთხილე გამოიჩინა, ამჯერად, მან ხელი არ ახლო, დაელოდა ხელსაყრელ დროს და გაბრუნდა ქუთაისში. წყაროებიდან ცნობილია, რომ 988 წელს, რატის დამორჩილების დროს, სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალების მცდელობით განხეთქილება ჩამოვარდა ბაგრატ III-სა და დავით კურაპალატს შორის. თვით ბაგრატმა შეძლო მდგომარეობის განმუხტვა და მისი მხარდაჭერით, 989 წელს ბაგრატმა **კლდეკარის** საერისთავო დაიმორჩილა. ბაღვაშთა სამფლობელო აფხაზეთ-ქართლის სამეფოს შემოუერთდა. რატი I-მა თრიალეთი კლდეკარის ციხით ბაგრატს ჩააბარა, ხოლო თავად, საცხოვრებლად მამაპაპეულ მამულში, არგვეთში, გადავიდა. შემდეგში, წყაროებიდან ჩანს, რომ მას დაუბრონეს თრიალეთის საერისთავო და ისიც მეფის ერთგულებას იცავდა. 1021 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, იგი გიორგი I-ან ერთად იბრძოდა და პალაკაციოს ((ჩილდირის) ტბის ახლოს, სოფ. შირიმთან (ახლა თურქეთშია) „ქართველი ფეოდალები ერთმანეთთან შეკავშირებულნი გამოვიდნენ მტრის წინააღმდეგ. ბრძოლაში დაილუპნენ დიდი ფეოდალები კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტისძე და ხურსი“. (10, ტ.11, გვ.8).

„X საუკუნის დასასრულისათვის ბაგრატ III-ის ხელისუფლება ქართლსა და დასავლეთ საქართველოში უკვე სრულიად რეალური იყო. დამარცხებული კლდეკარის პატრონის სამფლობელო ბაგრატ III თავის ერთგულ ზვიად მარუშიანს გადასცა, როგორც მოხელე ერისთავს“. (9, ტ.III, გვ.158). ამგვარად, მოაგვარა-რა ქართლის საქმეები, გადავიდა ისევ ლიხსიქეთ საქართველოში და როგორც ისტორიკოსები გადმოსცემენ მმართველობის განსამტკიცებლად მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა, ქვეყანაში წესრიგი დაამყარა, თავგასულ და თავნება ფეოდალებს ურჩობის ყოველგვარი ხალისი დააკარგვინა.

994 წელს ქართველთა მეფე ბაგრატ II გარდაიცვალა და ვინაიდან მის შვილს ბაგრატს ეწოდებოდა მეფე, ამიერიდან ბაგრატს III-ეს (975–1014) აღნიშნავდნენ როგორც მეფეთ მეფედ.

ლიხსიქეთ საქართველოში, ბაგრატ III-სათვის რჩებოდა ერთ-ერთი გადაუწყვეტელი საკითხი, საქართველოს სამხრეთი მხარე – ტაოს სამხრეთის ნაწილი, რომლის მფლობელი იყო მისი მამობილი დავით III დიდი კურაპალატი. ხოლო, ტაოს ჩრდილოეთი ეკავა ბაგრატ III-ის მამას გურგენს. საქართველოს სიძლიერისათვის-კი, საჭირო იყო, რომ ბაგრატს დაქვემდებარებოდა მთლიანად ტაო-კლარჯეთი.

1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფე და გურგენის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ III, როგორც მემკვიდრე, გახდა ტაოს ჩრდილოეთ ნაწილის **(ამიერ ტაო), შავშეთის, კლარჯეთის, სამცხის და ჯავახეთის** მფლობელი. წყაროებიდან ცნობილია, რომ ტაოს მინა-წყალი, როგორც ჩრდილოეთი, ასევე სამხრეთი, მუდამ ბიზანტიასა და საქართველოს შორის, დავისა და ომის საგანი ხდებოდა.

ბაგრატ მეფე მკაცრ პოლიტიკას ატარებდა სამეფო ხელისუფლების გამტკიცებისათვის. მიისწრაფოდა ერთმმართველი შეუზღუდველი ხელისუფლებისაკენ და ამისათვის იგი ყოველ ღონესა და ხერხს ხმარობდა თავგასულ ფეოდალების მიმართ. თანამდებობიდან ურჩ დიდ-გვარიან ფეოდალებს ცვლიდა მისთვის სასურველი ერისთავებით. მოურიდებლად აუქმებდა მისთვის მიუღებელ მსხვილ საფეოდალო ერთეულებს და ამავე დროს, ზოგჯერ უკიდურეს ღონისძიებებსაც მიმარ-

თავდა. ცნობილია, რომ დაახლოებით 1010 წელს, მან თავისი ნათესავები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები, სუმბატი და გურგენი, ბაგრატ არტანუჯელის ძენი, სანადიმოდ მიიწვია **ფანასკერტში**, შეიპყრო ისინი და **თმოგვის** ციხეში დაამწყვდია, სადაც 1012 წელს გარდაიცვალნენ. კლარჯეთის ბაგრატიონთა სხვა მემკვიდრეებიც პატიმრობაში დაიხოცნენ. ზოგმა, ფეოდალებმა და აზნაურებმა, ვინც მოასწრო, ბიზანტიას შეაფარეს თავი. რომლებიც შელავათებს და თანამდებობებს ღებულობდნენ. მაგრამ, ძირითადათ ფეოდალთა მეტი ნაწილი ბაგრატს უჭერდა მხარს, რომელთა შემწეობითაც ქვეყანა გადარჩა.

ლიხსიქეთ საქართველოსა და ქართლში საქმეების მოგვარების შემდეგ, ბაგრატ III-ის წინაშე, დღის წესრიგში დადგა კახეთის, ჰერეთისა და თბილისის საამიროს საკითხი. პირველ რიგში იგი შეეცადა კახეთისათვის მოევლო. „მატიანე ქართლისაჲ"-ის გადმოცემით, თრიალეთში მყოფმა ბაგრატ მეფემ ჯერ კახეთის ქორეპისკოპოზს დ ა ვ ი თ ს (976–1010) შეუთვალა, „მარტო ქართლის ციხეები, რაც მიტაცებული გაქვს, დამიბრუნეთო". (2, ტ.II, გვ.131). მაგრამ, დავითს დაცინვით უპასუხნია: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ომი. ხოლო მე წინა მოგეგებო ქსანსა ზედა". (5, გვ.271). ბაგრატმა პასუხის მიღებისთანავ მოიხმო აფხაზეთისა და ქართლის ლაშქარი და თვითონ კი არ დაელოდა ძალების მოსვლას, არამედ „თჳთ წარემართა ზემოჲთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჴიდი მცხეთისაჲ". (5, გვ.271). გზაში შეუერთდა დაბარებული ლაშქარი და თიანეთიდან, დაიწყო კახეთის დაპყრობა. დავითი დამარცხდა ბაგრატთან ბრძოლაში, „რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხჳ". ამ ბრძოლის შემდეგ ბაგრატმა „აღიღო ქვეყანაჲ ჰერეთისაჲ" სადაც თავისი მოხელე დანიშნა მთავრად და „წარმოვიდა შინა". (5, გვ.271). ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „გაემგზავრა თუ არა ბაგრატი შინისაკენ, მაშინვე ჰერეთი გადაუდგა ახალს ბატონს და დავით ქორეპისკოპოზს მიემხრო. ბაგრატი იძულებული იყო კვლავ მოსულიყო კახეთის დასაპყრობლად." (2, ტ.II, გვ.131). ამ დროს **კახეთსა** და **ჰერეთს** მართავდა, 1010 წელს, გარდაცვალებული დავითის შვილი კ ვ ი რ ი კ ე III, მეფე (1010–1037). ბაგრატმა „ხელმეორედ დაიპყრა ჰერეთი, დაიჭირა" მეფის თანამმართველი „დინარ დედოფალი და კახეთის ციხეების აღებას შეუდგა. ორი წლის განმავლობაში ყველა სიმაგრეები ხელში ჩაიგდო, ხოლო ბოჭორმის ციხეში „წლითი წლამდისი" მომწყვდეული კვირიკეც იძულებული იყო ბაგრატს დამორჩილებოდა. მეფემ კახეთითგან «წარმოიყუანა კჳრიკე და (და)იმჭირა თჳსსა კარსა ზედა». ამგვარად, ბაგრატ მეფემ ორი წლის განმავლობაში მთელი კახეთ-ჰერეთი დაიპყრა და თავის სამფლობელოს შემოუერთა... კახეთის შემოერთება, მაშასადამე, დაახლოებით 1010 წ. ახლო ხანებში მომხდარა.

ეხლა-კი თითქმის მთელი საქართველო გაერთიანებული იყო: ქ. თბილისისა და შულავერ-ბოლნისის ხეობათა და ტაშირის გარდა ერთეულს სახელმწიფოს შეადგენდა".(2, ტ.II, გვ.131).

წყაროებიდან ჩანს, რომ მეფობის ბოლო წლეებში, დაახლოებით 1014 წელს, ბაგრატ III იძულებული შეიქმნა დაელაშქრა **რანი** (არანი). რომელიც მოიცავდა მდინარეების მტკვ-რისა და არაქსის შუამდინარეთის ველს (ახლანდელი მილის ველი). ბაგრატის დროს რანს მართავდა, შედადიანების საგვარეულოს ნარმომადგენელი, განძის (განჯა, ახლანდელი კიროვობადი) ამირა ფ ა დ ლ ო ნ ი (ფადლ იბნ მუჰამადი) (985–1031). როგორც ეტყობა, მეზობელი ხელმწიფენი ვერ ურიგდებოდნენ საქართველოს გაძლიერებას და როდესაც ბაგრატმა კახეთ-ჰერეთი შემოიმტკიცა, განძის ამირა ფადლონმა დაიწყო კახეთ-ჰერეთის დალაშქვრა. ბაგრატი დაუკავშირდა ბაგრატუნების საგვარეულოს ნარმომადგენლის, ანისის სამეფოს მეფეს 990 წლიდან გ ა გ ი კ I-ეს (გ. 1020). ი. ჯავახიშვილი წერს, რომ ბაგრატს „თავისი განზრახვა რომ უფრო ადვილად განეხორციელებინა, მოკავშირე იშოვა: «წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შანშა სომეხთა მეფისა, აწვია რათა იძიოს შური ფადლონისა განა»... გაგიკმა რასაკვირველია ამის გაგონებაზე „განიხარა სიხარულითა დიდითა" იმიტომ, რომ ფადლონი მასაც ეცილებოდა და ემტერებოდა ხოლმე, და საჩქაროდ ლაშქარი შეაგროვა. ორნივე მოკავშირე მეფეები ზორაკერტს შეიყარნენ... და ფადლონის საბრძანებელს შეესივნენ. ბაგრატ მეფემ «წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქს შანქორს... და მცირეთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი»... შეშინებულმა ფადლონმა მოციქული მოუგზავნა და «ითხოვა შენდობა, აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა თჳსისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა ფიცითა [სპითა] თჳსითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა»... მეფე ბაგრატმა პასუხის

გაცემამდე «შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი ნინაშე მისსა» და ჰკითხ, როგორ ემჯობინება რომ მოვიქცეთო? დიდებულთა ბჭობამ დაზავება ურჩია და მეფეც დაეთანხმა ამ გადაწვეტილებას, გააბრუნა ფადლონის მოციქული და იმის პირით განძის ამირას «აუწყა ზავისა დასტური».

რაკი ფადლონმა სიტყვიერად დანაპირები საქმით აასრულა, ამიტომ გამარჯვებული ბაგრატ მეფე საქართველოში დაბრუნდა... (2, ტ.I, გვ.132). XI ს-ის I ნახევრის ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის (ბაგრატიონი) თქმით, ბაგრატმა «დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგანამდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფობათა ნებიერად განადებდა, მეფე სძარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳს-თასა, და რამეთუ ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოელადვე»-ო". (2, ტ.II, გვ.132).

ბაგრატ III-ის დროინდელი დრო და საერთოდ VIII–XI საუკუნეები წარმოადგენს საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობის ხანას. ამ დროს იწყებს დანინაურებას როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. ვითარდებოდა ქართული კულტურული დარგები. იგებოდა არქიტექტული ძეგლები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ხუროთმოძღვრული მხატვრული აგებულებით. ბაგრატ III-ის დროინდელი ცნობილი ძეგლებია: ოჩამჩირის რაიონში, სამონასტრო კომპლექსის ცენტრში აგებული **ბედიის მონასტერი**, „დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისაჲ და შექმნა საეპისკოპოსოდ..., განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესიაჲ, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. იკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათჳს დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისაჲ და მისგან გულისხმა-ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა.

ამანვე აკურთხა ეკლესიაჲ ქუთათისაჲ განგებითა დიდითა და მიუწდომელითა." (5, გვ.273). 1003 წელს „უქიმერიონის გორაზე" აგებული **ბაგრატის ტაძარი** (ღვთისმშობლის მიძინების სახელობის იყო), თავისი ხუროთმოძღვრული აგებულებითა და მხატვრული ღირსებებით განსაკუთრებულად გამოირჩევა ქართულ არქიტექტურულ ხელოვნებაში. „მეფემ განსაკუთრებული ზეიმით აკურთხა ახალი ეკლესია, რომელიც თავს დაჰყურებდა მთიდან მაშინდელ დედაქალაქს – ქუთაისს". (9, ტ. III, გვ. 479); (1010–1014) წწ-ში აგებული გუმბათოვანი ტაძარი, – **ნიკორწმინდა** (ნიკოლაოსწმიდის ეკლესია) და სხვა.

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს:

„IX საუკუნიდან აფხაზთა სამეფოში ქართული ეპიგრაფიკა დასტურდება.

ამ დროიდან მოყოლებული აფხაზეთში ეკლესიებზე, ხიდებსა და სხვა სახის ნაგებობებზე, როგორც წესი, ქართული წარნერებია.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ შუასაუკუნოვან ქართულ არქიტექტურაში არსებულ სკოლებს დასავლურქართულს (აფხაზურს), კახურს, ქართლურს, ტაო-კლარჯულს, ჰერულს განმასხვავებელ, ლოკალურ თავისებურებთან ერთად ზოგადქართული ხასიათი აქვთ. ყველა ესენი საერთო ქართული ნიშნებით ხასიათდებიან. ხასგასმულია ის გარემოება, რომ ეს თვისებები საქართველოს ერთიანი შუასუკუნოვანი სახელმწიფოს შექმნამდე ვლინდება პოლიტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ აფხაზთა (დასავლურ ქართულ), ქართველთა (ტაო-კლარჯეთი), კახეთის და სხვა სახელმწიფოებში, რაც სწორედ უძველეს ისტორიულ ძირებზე, მათ საერთო ზოგადქართულ კულტურაზე მიუთითებს.

ამგვარად.... აფხაზთა სამეფოს შექმნით ფართოვდება ცნება «აფხაზების» მნიშვნელობა და ის ახლა უკვე ნიშნავს დასავლეთ საქართველოს დასავლელ – ქართველს და საკუთრივ აფხაზსაც და საკუთრივ აფხაზეთსაც". (22, გვ.16).

მატიანეს გადმოცემით, ბაგრატ III „მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკობილი მჴცითა შუენიერითა ქორონიკონსა ორას ოცდათოთხმატსა, თუესა მაისსა შჳდსა, დღესა პარასკევსა. და იყო დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს და წარმოილო გუამი მისი ზჳადმან ერისთავთერისთავმან და დამარხა ბედიას". (5, გვ.274).

საერთოდ, ბაგრატ III-ის მოქმედება, საქართველოს ისტორიაში შეფასებულია როგორც დადებითი მოვლენა და ბაგრატ III ითვლება როგორც საქართველოს გამთლიანების პირველ მეფედ. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის საქართველოს ჩამოყალიბებისა და გაერთიანებული საქართველოს სამეფოს დამაარსებელი მეფე.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, ვაჯკაცურმა გულადობამ და შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მისს ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა". (2, ტ.II გვ.132).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამიერიდან აფხაზეთს „ფართო და შემკრებელითი მნიშვნელობა" ჰქონდა. „ხან იგი საკუთრივ აფხაზეთსა ჰნიშნავდა, ხან უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული." და ისტორიკოსები „ზოგჯერ მთელ საქართველოს სამეფოსაც-კი აფხაზეთად უწოდებდნენ და საქართველოს მეფეს აფხაზთა მეფედ იხსენიებენ." (2, ტ.II, გვ.50).

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „როგორც ცნობილია ერთიანი საქართველო სხვადასხვა „საქართველოსაგან" შედგა, რომელსაც ერთ ქვეყნად გაერთიანების დროისათვის სახელმწიფოებრივი მმართველობის საკუთარი ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა. თავის მხრივ, კახთა თუ აფხაზთა სამეფოები, ჰერეთი და ქართველთა სამეფო სხვადასხვა ქართული ქვეყნის გაერთიანების შედეგად შეიქმნენ". (9, ტ.III, გვ.230).

5. გაერთიანებული საქართველო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება VIII-დან დაიწყო და ბაგრატ III-მემ დაასრულა. **ბაგრატ III ითვლება პირველ გაერთიანებულ საქართველოს მეფედ.**

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მეფე გახდა (1014) წ. მისი მცირეწლოვანი ძე გიორგი I (998/1002–1027). წყაროებიდან ჩანს, რომ იგი გამეფებულა 12/16 წლის. სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს, რომ „დაჯდა რაჲ ესე გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყანაჲ ჰერეთ-კახეთისაჲ, და ღადრობითა აზნაურთაჲთა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათა კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი". (5, გვ.371). „არც სხვაფრივ ყოფილა ახალგაზრდა მეფე ბედნიერი. თითქმის მთელი თავისი მეფობა და ძალღონე მან ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია". (2, ტ.II, გვ.133). ესე იგი ჰერეთ-კახეთი საქართველოს ჩამოშორდა, ხოლო ტაო-კლარჯეთი, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი. გიორგი I-მა შეეცადა ტაოს დაბრუნებას, მაგრამ ვერ შეძლო და ბიზანტიის იმპერატორთან (976 – 1025) ბასილი II ბულგართმპყრობელთან (958–1025) დიდი ბრძოლების შემდეგ, გიორგი მეფე იძულებული შეიქმნა 1023 წელს დათანხმებულიყო ზავის მძიმე პირობებს. „და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ წელიწდისა სამისაჲ, და ციხენი, რომელ პირველ გაეცნეს აზნაურთა, დაუცალნა და მისცნა; სხუანიცა ციხენი, პირველ მიცემულნი და უკანის, თოთხმეტნი, და ქუეყანაჲ, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოს, ბასიანს, კოლაარტანთა და ჯავახეთს. ხოლო რომელნიმე ამათ ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა. და წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძევლად, ძე გიორგი მეფისა ჩუენისაჲ. აღუთქუა ფიცითა აღთქმაჲ, ვითარმედ: „წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი". და იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კონსტანტინოპოლეს. და წელსა მესამესა გამოგზავნა, ვითარცა აღუთქუა". (5, გვ.276). ბაგრატი ჩამოსულა 1025 წელს. ხოლო 1027 წლის 16 აგვისტოს ჭაბუკი გიორგი I გარდაიცვალა „ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი... წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა". (5, გვ.278). გიორგი I-ის მეფობისას, განუწყვეტელ საომარ მოქმედებებთან ერთად, ხდებოდა მნიშვნელოვანი სამშენებლო ნაგებობების შენება. მის დროს აიგო, დღემდე გადარჩენილი საქართველოში ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა, საპატრიარქოს ტაძარი, **სვეტიცხოველი**. რომელიც წარმოადგენს ქართულ შესანიშნავ ხუროთმოძღვრების ძეგლს.

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტს იკავებს გიორგი I-ის უფროსი ძე, 9 წლის ბაგრატ IV (1018/1020–1072). გამეფებისთანავე, ბაგრატ IV-ეს უღალატეს ტაოს ფეოდალებმა და ბიზანტიის მხარეზე გადავიდნენ. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ „მასვე ჯამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს“. (5, გვ.278). ბიზანტიის იმპერატორმა (1025–1028) ბასილი II-ის ძმამ კონსტანტინე VIII-ემ (960–1028) დაარღვია ბასილი II-ისა და გიორგი I-ის მიერ დადებული ზავი და 1028 წელს გამოგზავნა ბიზანტიელთა „ურიცხჳთა“ ლაშქარი ტაოში, რომელმაც „მოაოჴრნა“ ეს მხარე და მიადგა „თრიალეთს, ციხესა ქუეშე კლდეკართასა“. (5, გვ.278). აქ, კლდეკარის ერისთავმა (XI ს. 30–60-იან წლებში) ლიპარიტ IV ბაღვაშმა ლიპარიტ III-ის ძემ წინააღმდეგობა გაუწია, დაამარცხა ბიზანტიელები და უკან გაბრუნდნენ. „მართალია, კლდეკარი ბიზანტიელებმა ვერ დაიკავეს, მაგრამ სამაგიეროდ ჩანჩახი ფალელმა და არჯევან პოლოლისძემან გარყლობის და წეფთის ციხეები გადასცეს ბერძნებს, თვითონ კი ბიზანტიაში წავიდნენ“. (9, ტ.III, გვ.180).

კონსტანტინეს შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორი (1028–1034) გახდა რომანოზ III არგირუსი რომელიც არაბებს ებრძოდა და საქართველოსთვის არ ეცალა. ამით ისარგებლა საქართველოს ხელისუფლებამ და ბაგრატმა ბიზანტიაში მოსალაპარაკებლად გაგზავნა ელჩობა. 1030 წლიდან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს ელჩობა, რომელსაც ხელმძღვანელეობდა XI საუკუნის პოლიტიკური მოღვაწე გიორგი I-ის მეუღლე და ბაგრატ IV-ის დედა მარიამი. რომლის შემწეობითაც 1031 წელს ბიზანტიასა და საქართველოს შორის მშვიდობიანობა დამყარდა. მატიანე გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის მეფემ, რომანოზ III-ემ „აღუსრულა ყოველი სათხოვნელი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულიათჳს“. მაგრატ IV-ეს კურაპალატის წოდება მიანიჭა და თავისი ძმის ასული „მოსცა ცოლად ბაგრატისთჳს ელენე დედოფალი“. (5, გვ.280).

შემდეგში, ბაგრატ IV-სა და ზოგიერთ დიდებულებს შორის მდგომარეობა გამწვავდა. ბაგრატის გაძლიერებით შეშფოთებული მონინააღმდეგე დიდებულები შეეცადნენ გაემეფებინათ ბაგრატ მეფის ნახევარძმა დემეტრე უფლისწული რომელიც მამის, გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზეთში (ანაკოფიაში) იმყოფებოდა. მაგრამ, დიდებულთა ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ბაგრატმა ვერ შეირიგა ძმა. 1032 წელს დემეტრემ და დედამისმა ალდე დედოფალმა **ანაკოფია** ბიზანტიელებს გადასცეს და ბიზანტიაში გაიქცნენ. მართალია ბიზანტიელებმა ჩრდილოეთშიც ფეხი ჩადგეს, „მაგრამ დემეტრეს გახიზვნა საბერძნეთში ბაგრატისათვის იმ მხრივ იყო მაინც ხელსაყრელი, რომ ამით საქართველოთგან მას გაეცალა საშიშარი მეტოქე. ეხლა მას ცოტადაც არის შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო; მართლაც ბაგრატ მეფე «შემდგომად ამისსა მოირჭუნა და დაეუფლა ზემოსა და ქუემოსა თავისსა მამულსა ზედა». (2, ტ.II, გვ.140). თუმცა, შემდეგში, ბაგრატის მიერ თბილისის დაუფლების დროს კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ IV ბაღვაშსა და ბაგრატს IV-ეს შორის მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ ბრძოლაში გადაიზარდა. ლიპარიტი ბიზანტიაში გადავიდა და იმ დროს, როდესაც ბაგრატ მეფე კახეთის დამორჩილებას ცდილობდა, 1040 წელს, დემეტრეს თანხლებითა და ბიზანტიელთა ლაშქრით ქართლში შემოიჭრა. მას მიემხრნენ ზოგიერთნი ქართლის აზნაურები, კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის სომეხთა მეფეები. მატიანე მოგვითხრობს, რომ მათ „მოვლეს ზემოჲ ქუეყანაჲ და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი“. (5, გვ.282). მაგრამ **ატენის** ციხის აღება ვერ შესძლეს, „რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყენეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისა“ (იქვე) და თანაც ზამთარიც მოახლოებული იყო, ამავე დროს ლიპარიტი და მისი მომხრეები ბაგრატს წინაღმდეგობას ვეღარ გაუწევდნენ, ამიტომ, მატიანეს გადმოცემით, „დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა. უბოძა მეფემან ქართლის ერისთაობაj. წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა“ (5, გვ.282). ბაგრატმა მძევლად დაიტოვა ლიპარიტის ძე – ივანე. დაზავების შემდეგ, 1044 წელს, სომხეთის საზოგადოების ნაწილმა და „ბერებმა გადასწყვიტეს“ ციხესიმაგრე და ქალაქი ანისი (ანი) (ამჟამად თურქეთს ეკუთვნის, ყარსის ვილაეთია), ბაგრატისათვის გადაეცათ. თუმცა, 1045 წელს ანისი ბიზანტიამ დაიმორჩილა. მიუხედავად ბაგრატთან დაზავებისა, ლიპარიტი მაინც განაგრძობდა ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლას.

3 წლის შემდეგ, როდესაც ეტყობა, რომ ბიზანტიის იმპერატორს მიხაელ VI სტრატიო-

ტიკოსს (1056–1057) აღარ აწყობდა ლიპარიტის გაძლიერება, ბაგრატი და ლიპარიტი იმპერატორმა შეარიგა, იმ პირობით, რომ „ბაგრატი იქნებოდა მთელი იბერიისა (ქართლ-მესხეთის) და აფხაზეთის პატრონადა („კირიონ") და მეფედ („არხეგონ"), ხოლო ლიპარიტი სანამ ცოცხალი იყო მესხეთის ნაწილის მთავრად („არხონ") იქნებოდა და ბაგრატს პატრონადა და მეფედ მიიჩნევდა" და საქართველოში გამოუშვა «დიდითა დიდებითა, ნიჭითა განძითა მიუწდომელითა»..... სამშობლოში დაბრუნებული მეფე დიდის ამბით მიიღეს, «მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირსა ხუფთას». იქიდგან ბაგრატი გადავიდა «სახლად თჳსად ქუთათისს»". (2, ტ.II, გვ.149).

ამრიგად, ლიპარიტი მესხეთის ბატონ-პატრონი შეიქმნა და მესხეთი დამოუკიდებელი სამთავრო გახდა. მაგრამ, მალე მდგომარეობა შეიცვალა. 1058 წელს, მესხეთის დიდებულებმა ვეღარ გაუძლეს ლიპარიტის თავხედურ ბატონობას და შეიპყრეს ლიპარიტი და მისი შვილი ივანე, რომელიც ადრე ბაგრატმა გაანთავისუფლა. ხოლო მისი მეორე შვილი ნიანია ანისში გაიქცა. ტყვეები მიჰგვარეს მეფეს. ბაგრატმა ლიპარიტის სამფლობელო შემოიერთა. თვით ლიპარიტი ბერად აღიკვეცა. „ხოლო თავისი შვილი ივანე მეფეს შეავედრა და «დარჩა არგვეთის მამული ივანეს». მონაზონად აღკვეცილი ლიპარიტი საბერძნეთში ნავიდა; იქვე გაიპარა «შემდგომად მცირედისა ჟამისა» ივანეც, მაგრამ მერე მისმა მამამ, ლიპარიტ ყოფილმა, ანტონმა ბაგრატს სთხოვა, რომ ივანესთვის სამშობლოში უვნებლად დაბრუნების ნება მიეცა. ამას თვით მეფეც იყო მონადინებული და რასაკვირველია თანხმობა გამოაცხადა, ბაგრატმა დაბრუნებულ ივანეს «უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა»..... ეს ამბავი, ივანე ლიპარიტის ძის სამშობლოში დაბრუნება, მომხდარა 1059 წ..... საქართველოში დაბრუნებული ივანე ლიპარიტის ძე ბაგრატ მეფეს სპასალარად დაუდგენია". (2, ტ.II, გვ.150). ლიპარიტის მეორე შვილი ნიანია ანისში გარდაიცვალა.

„კონსტანტინოპოლში ლიპარიტ IV ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. შემორჩენილია მისი ზოგიერთი თხზულება. „მატიანე ქართლისაჲ-ს ცნობით, ლიპარიტ IV გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში. საიდანაც საქართველოში ჩამოუსვენებიათ და კაცხში დაუკრძალავთ". (10, ტ.6, გვ.247).

ამის შემდეგ, როგორც წყაროებიდან ჩანს, ბაგრატი უფრო გაძლიერებულა. თურქ-სელჩუკთა შემოსევების გამო, ბიზანტია იძულებული გახდა საქართველოსთან დაახლოების გზას დასდგომოდა. ბაგრატ IV-ემ თავისი ასული მართა (მარიამი) 1065 წელს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059–1067) შვილს მიხეილს მიათხოვა. ებრძოდა თურქ-სელჩუკთა სულთან მუჰამედ იბნ დაუდ ალფ-არსლანს (1029/30–1073) საქართველოში შემოსევებს.

„ბაგრატ IV-მ შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და დიდგვარიან ფეოდალთა წინააღმდეგობის დაძლევა. მის დროს მომზადდა ნიადაგი თბილისის საამიროსა და კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. ბაგრატ IV დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი მონვევით 1060–65 საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ნაყოფიერი მოღვაწეობა გაშალა. არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატ IV-ს ეკუთვნის კანონები, რომლებიც ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელწოდებითაა ცნობილი. ბაგრატ IV გარდაიცვალა ქართლში. ანდერძის თანახმად დაასაფლავეს ჭყონდიდში". (10, ტ.11, გვ.129).

ბაგრატ IV-ემ სიკვდილის მოახლოებისას გაამეფა მისი ძე გიორგი II (1072–1089). რომელსაც მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. გამეფებისთანავე 1073 წელს აუჯანყდნენ დიდგვაროვანი ფეოდალები. მათ შორის ივანე ლიპარიტის ძეც. მიუხედავად იმისა, რომ გიორგიმ შემოირიგა და კლდეკარისა და სამშვილდის ერისთავად იქნა დამტკიცებული, იგი მაინც განაგრძობდა ურჩობას. საქართველოში შემოსეულ თურქებსაც მიემხრო, თუმცა იმათაც აუმხედრდა და 1080 წელს ხელახლა შემოსეულმა თურქებმა იგი ოჯახიანად ტყვედ ჩაიგდეს. მის დროს ბიზანტიაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, 1074 წელს მისი აღმოსავლეთი ნაწილი თურქ-სელჩუკებმა დაიკავს. ამავე წელს განძის გამგებელი, დვინისა და დმანისის ამირები გიორგის წინააღმდეგ გამოემართნენ. გიორგიმ კახელებთან ერთად ფარცხისთან დაამარცხა და განდევნა თავდასხმელები. ამის შემდეგ, გიორგიმ გადაწყვიტა ესარგებლა ბიზანტიის დასუსტებით და დაებრუნებინა იმპერიის მიერ სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მიტაცებული მიწა-წყალი. „მატიანე ქართლისაჲ"-ის გადმოცემით: „შემდგომად ამისსა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთაჲსა წახმულნი ციხენი. წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარ-

ჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისაჲ. და შემდგომად ამისსა ესეცა მომადლა ღმერთმან: აღიღო ქალაქი კარისაჲ, ციხე-ქუეყანაჲ და სიმაგრენი ვანანდისა და კარნი-ფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყნისაგან". (5, გვ.299). მაგრამ მალე საქართველოს ხელახლა შემოესია თურქ-სელჩუკები, აიღეს სამშვილდე, დაარბიეს და მოაოხრეს ქართლი და უკან გაბრუნდნენ. თურქებმა დასავლეთიდანაც შემოუტიეს. თუ ადრე საქართველოს მუსულმანები მხოლოდ აღმოსავლეთიდან უტევდა, ეხლა დასავლეთიდანაც მოადგა. დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა". 1080 წელს, მოულოდნელად, ყველისციხესთან (ახლა თურქეთშია) მყოფ გიორგი II-ეს „შინა-განცემითა ქრისტეანეთაჲთა", თურქები თავს დაესხნენ. „აოტეს გიორგი მეფე და სპაჲ მისი ურიცხჳ". (5, გვ.302). გიორგი II აჭარიდან აფხაზეთში გადავიდა. ამ დროს, ამიერკავკასიაში საქართველო მარტო აღმოჩნდა ყოველი მხრიდან თურქ-სელჩუკებით გარშემორტყმული. მდგომარეობას ართულებდა აგრეთვე, როგორც ყოველთვის, შინაგამცემი, მოღალატე ფეოდალები, რომლებიც თურქებს ემხრობოდნენ. ამას დაერთო სტიქიური უბედურება – საშინელი მიწისძვრა, რომელიც თითქმის მთელ წელინადს გაგრძელებულა და მრავალი ადამიანიც შეინირა. გიორგი II იძულებული გახდა, რომ დაახლობით 1081 წელს თურქებისათვის მორჩილება გამოეცხადებინა. ამრიგად, საქართველო თურქ-სელჩუკთა მოხარკე გახდა. მძიმე პირობების გამო საქართველოს სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა და გამეფდა 16 ნლის გიორგი II-ის ძე დავით IV (1073–1125), შემდგომში აღმაშენებლად ნოდებული. „თუთ მამამან დაადგა გურგენი მეფობისაჲ". (5, გვ.307).

საქართველოს მეფის, დავით IV აღმაშენებელის შესახებ, არაერთი ისტორიული თუ ლიტერატურული ნაწარმოებია შექმნილი. ჩვენ ამ მეფის შესახებ თხრობას არ გავაგრძელებთ. მხოლოდ მოვიყვანთ, ი. ჯავახიშვილის სიტყვებს:

„საზოგადოდ სახელოვანი მეფე, რომელსაც ეგოდენი ღვაწლი მიუძღოდა სამშობლოს წინაშე, თავისი თავის მკაცრი მხაჯული ყოფილა და „გალობან"-ში თავის თავის ყოველგვარს ბრალსა სდებს და მართოდენ ღვთაების განუსაზღვრელ კაცთმოყვარეობის იმედი-ღა აქვს.....

მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და ულმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, და მან დიდიხანია უკვე რაც თავისი პირუთვნელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმშენებლის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებველი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეპხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს". (2, ტ.II, გვ.220) მისივე თქმით:

„დავით აღამაშენებელმა საქართველო იმდენად დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ აქცია, რომ თანდათან საქართველომ მცირე აზიის საერთაშორისო პოლიტიკურს ცხოვრებაში გავლენა მოიპოვა." (2, ტ.II, გვ.295).

დავით IV-ეს მეფობის დაწყებისას ეწოდებოდა „მეფე აფხაზთა და ქართველთა" და ბიზანტიური წოდებით კურაპალატი, ხოლო, XII საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, როდესაც მან რანი, კახეთი და სომხეთი შემოიერთა, მისი წოდება იცვლება და ხდება: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა".

„დავით აღმაშენებლის დროსვე ჩნდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში „მესიის მახვილი". დავითის სპილენძის მონეტაზე არაბულად ამოკვეთილი „მეფეთა მეფე დავით ძე გიორგისა, მესიის მახვილი" დავითის პოლიტიკის შესანიშნავი გამოხატულებაა.....

ნიშანდობლივია, რომ „მესიის მახვილი" დავით აღმაშენებელმა თავის მონეტაზე ამოკვეთა არაბულად, ვინაიდან ეს მონეტა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე გადიოდა და ის ყველაზე უკეთესი საშუალება იყო დავითის ამ ზეწოდების ფართოდ გახმაურებისათვის, ხოლო ამ ფორმულის სწორედ არაბულად ამოკვეთა მაპმადიანებს მათსავე ენაზე ეუბნებოდა, რომ დავითი „მესიის მახვილია", რომ ის ქრისტიანთა მცველი და ქომაგია და ისინი უნდა ძრწოდნენ შიშით მის წინაშე". (9, ტ.III, გვ.257).

ილია ჭავჭავაძე წერდა:

„კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებელის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინის შემკობილი". (1, ტ.IV, გვ.183).

დავით IV აღმაშენებელმა, საქართველოს გაერთიანება, რომელიც ბაგრატ III-მემ საფუძველი ჩაუყარა, საბოლოოდ დაასრულა. 1104 წელს შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, ხოლო 1122 წელს თბილისი და ის გახდა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი. ამით საბოლოოდ დასრულდა ერთიანი ქართული მიწა-წყლის შეერთება და XII საუკუნეში საქართველო მოიცავდა ამიერ და იმიერ კავკასიას, წინა აზიაში ის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

მემატიანის გადმოცემით, დავით აღმაშენებელმა, „სიცოცხლესავე შინა მისსა დასუა მეფედ ძე მისი დემეტრე და დაადგა გურგენი თუთ მისითა ჴელითა". (5, გვ.351). საქართველოს მეფე დ ე მ ე ტ რ ე I (1125–1156) მამასთან ერთად ღებულობდა მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში და ბრძოლებში. მემატიანეს გადმოცემით, იგი მამაცი, გულადი, ღვთის მოყვარე და მამასავით სახელოვანი ყოფილა. მაგრამ, წყაროებიდან ჩანს, რომ მის მეფობის დროს ისევ თავი იჩინა ფეოდალთა წინააღმდეგობამ. 1150 წელს დემეტრე I-ის უფროსმა შვილმა დავითმა იმის შიშით, რომ მამამისს მისი უმცროსი ძმა გიორგი არ გაემეფებინა, დიდებულთა შემწეობით აჯანყებულა. დემეტრეს გაუმარჯვნია. დავითი საპყრობილეში ჩაუმწყვდევია, ხოლო აჯანყებაში მონაწილე დიდებულები ზოგი გაუძევებია და ზოგიც სიკვდილით დაუსჯია. ცნობილია, რომ 1154/55 წელს დავითი ხელახლა აუჯანყდა მამას. დემეტრე მეფე იძულებით ბერად აღიკვეცა და მეფე გახდა დავით V. მან მხოლოდ 6 თვეს იმეფა. მისი გარდაცვალების შემდეგ დემეტრე I ისევ დაუბრუნდა სამეფო ტახტს და თავის სიცოცხლეშივე გიორგი გაამეფა. დემეტრე I ბელტისციხეში (ბებრისციხე) გარდაცვლილა და დაუსაფლავებიად გელათში. „მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა". (13, გვ.352).

ი. ჯავახიშვილი დემეტრეს მოღვაწეობის შესახებ წერს, რომ:

„თუ ჩვენ დემეტრე I შენახულ ცნობებს თავს მოვუყრით და დავაკვირდებით, უნებლიედ შევამჩნევთ, რომ იგი უფრო მტერს იგერიებდა, ვიდრე დავით აღმაშენებელსავით თვით მიჰქონდა მტერზე იერიში, იგი უფრო თავისი მამის ნაანდერძევ სახელმწიფოს დაცვისათვის ზრუნავდა, ვიდრე საქართველოს ზედმეტს გაფართოებისათვის. მაინცდამაინც დემეტრეს მეფობაში საქართველოს დიდი არაფერი შეჰმატებია". (2, ტ.II, გვ.227).

„მნვავე შინაკლასობრივი ბრძოლების გამო დემეტრე I-ის მეფობის დროს საქართველოს პოლიტიკური ზრდა ერთგვარად შეფერხდა.

საყურადღებოა დემეტრე I-ის პოეტური შემოქმედება. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე იამბიკომ. განსაკუთრებით გამოირჩევა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები. დემეტრე I-ის თხზულებათა პოეტური სახეები ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დაფუძნებული. ზოგ მათგანს რითმაც ეტყობა. მისი „შენ ხარ ვენახი" დღესაც ცოცხალი პოეტური საგალობელია". (10, ტ3, გვ458).

დემეტრე I-ის შემდეგ, საქართველოს მეფე (1156–1184) გახდა გ ი ო რ გ ი III. მის შესახებ ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „თუ მის მამას გულადი მეომრის სახელი ჰქონდა. მით უმეტეს მამაცობა მას მიეკუთვნებოდა. როგორც აღნიშნული იყო, დემეტრე I უფრო რომ იცავდა თავისი დიდებული წინამორბედის დავით აღმაშენებლის ნაანდერძევ მემკვიდრეობას, გიორგი III კი კვლავ განაახლა საქართველოს საზღვრების გაფართოება. მისი სამხედრო მოქმედება განსაკუთრებით სამხრეთისაკენ იყო მიმართული და შაჰარმენსა და სხვა ამირებს, რომელთაც წინანდელი სომხეთის სამეფოს მიწები ეჭირათ, აცლიდა ხელითგან სამფლობელოს. თუმცა მაჰმადიანი მმართველნი გიორგი III ერთსულოვნად მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც მისი იყო: იგი კვალდაკვალ მისდევდა მტერს და მათს ქვეყნებს იპყრობდა". (2, ტ.II, გვ.228).

ცნობილია, რომ 1177 წელს მეფის წინააღმდეგ, (როგორც ყოველთვის საქართველოში და სხვა ქეყნებშიც ხშირად ხდებოდა), აჯანყდა დიდგვაროვანი ფეოდალები. რომლებიც დავით V-ის შვილის დემნას (დემეტრე) გამეფებას აპირებდნენ. საბოლოოდ აჯანყებულები დამარცხდნენ. „დანაშაულებისდა მიხედვით თითეული მონაწილეთაგანი შესატყვისი სასჯელით იყვნენ დასჯილნი:

დემნას, ვითარცა განდგომილს უფლისწულს, თვალები დასთხარეს და გამოასაჭურისეს, რომ ჩამომავლობა არა ჰყოლოდა..... როგორც ეტყობა, საბრალო ბატონიშვილს ეს საშინელი სასჯელი ვერ აუტანია... მემატიანე ამბობს: «მოკუდა და მცხეთას დამარხეს»-ო". (2, ტ.II, გვ.242).

გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან სხვა მემკვიდრე მას არ ჰყავდა, გამეფდა მისი ასული თამარი. თამარ მეფის შესახებ მრავალი ისტორიული გამოკვლევა და თხზულება დაინერა. ხალხმა იგი შეიყვარა და მისი სახელით გამოხატავს საქართველოს დიდებას და სიამაყეს. ამიტომ, მის შესახებ ჩვენ მხოლოდ ი. ჯავახიშვილის სიტყვებს გავიხსენებთ:

„თამარ მეფე შესანიშნავი პიროვნება ყოფილა, მაგრამ იმ მხრივ კი არა, როგორც ჩვეულებრივ ჰგონიათ ხოლმე. საქართველოს სამხედრო ძლევამოსილებამ შთამომავლობის ხსოვნაში თამარის ნამდვილი ღვაწლი და თვისებანი დაჩრდილა. მართალია, თამარის დროსაც საქართველომ ბევრი ახალი მიწები შეიძინა და შემოიერთა..... მაგრამ ეს უფრო დავით აღმაშენებლისა და გიორგი III სამხედრო მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგი იყო, ვიდრე თვით თამარ მეფის პირადი ღვაწლი: მუდმივმა ნაყივჩაყართა ჯარმა და საქართველოს მხედრობის განვრთნამ შეაძლებინეს მას და მის მხედართმთავრებს ქართველთა იარაღისათვის უძლეველობის სახელი მოეხვეჭათ.

თამარი პირადად შესანიშნავი იყო უპირველესად ვითარცა პოლიტიკოსი. შინაურისა თუ გარეულის მტრების წინააღმდეგ იგი გასაოცარ ხასიათის სიმტკიცეს და სიდინჯეს იჩენდა. თამარ მეფე ყოველთვის მოწინააღმდეგეთა შეთანხმებას და მშვიდობიანის მოლაპარაკებით დაყოლიებას ცდილობდა. ისტორიკოსიც ამბობს, რომ მისი პირადი ხასიათის გასაოცარი თვისება ის იყო, რომ «კაცთა უნებლობასა შინა უნებლად და მშვიდობით დაჭირვა [და] მოწურთა კაცთა ქედფიცხელობისა და გონებაურჩებისა» იცოდაო". (2, ტ.II, გვ.291). „ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისთვის დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რადა ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზს და სათუთს არსებას, უმშვენიერესს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილად დასჯა ამოჰკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელები მოსპო! ამის შემდგომ ან რა გასაოცარია, თუ რომ საქართველოში «სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს» და «ყრმანი... თამარის ქებათა მელექსეობდიან»; ხოლო უცხოეთშიც მისი სახელი განთქმული და საქებარი იყო: «ერაყს მყოფნი მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან, ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა თამარის ქებათა იტყოდიან»! თუ რომ რუსეთის მეფეს იოანე მრისხანესაც კიდევ ახსოვდა თამარის დიდებული მოღვაწეობა და ბრძოლის ველზე მისის მაგალითით ამხნევებდა თავის ჯარს, განა გასაკვირველია, რომ დიდებული მეფის სახელი იმდროინდელ ფრანგ და ბერძენ მეზღვაურებს შეექოთ და ერაყის მომღერლებს ედიდებინათ?..." (2, ტ.II, გვ.294).

თამარ მეფის დროს საქართველოს მიერ წარმოებულ ომებში ყველაზე უფრო მეტად გამოირჩევა 1203 წლის თავდაცვითი ომი. რომელიც ჩატარდა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მინა-წყალზე **ბასიანში** (ახლა თურქეთს ეკუთვნის. არზრუმის ვილაეთის ერთ-ერთი სანჯაყია). საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა მცირე აზიის, რუმის, სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანი რუქნადინი (რუქნ ალ-დინ სულეიმან-შაჰი) (1188–1204). „რომელი უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა, რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაბადოკიასა ვიდრე პონტოდ ზღუადმდე". მას დიდ ძალებისათვის მოუყრია თავი, „ამან მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპასა მისსა და შეკრბა კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი" (5, გვ.462). „მთასავით მაღალ" საომარ ცხენზე შემჯდარი რუქნადდინი მოკავშირეთა „ვარსკვლავებივით მრავალრიცხოვან" ლაშქარს გაუძღვა წინ და საქართველოს (ტექსტში „აფხაზთა ქვეყანას") შეესია". (2, ტ.II, გვ.278). და დაბანაკებულა **ბასიანში.**

„ამ ლაშქრობის მიზეზი ის იყო, რომ ქართველთა დედოფალი (თამარი) აფხაზეთსა და თბილისს მთლიანად განაგებდა და დაუმორჩილებელი ფადიშაჰი იყო. რუქნ ად-დინი თამარ მეფეს გაძლიერებასა და სხვა ხალხებზე ხარკის დადებას დანაშაულად უთვლიდა". (9, ტ.II, გვ.327). „ისტორიანი

და აზმანი შარავანდედთანი"-ს გადმოცემით, მან „წარმოავლინა მოციქული" (ელჩი), რომელმაც თამარს გადასცა თავხედური და ბრიყვული წერილი.

„და ვითარ მოვიდა მოციქული და შეიყვანეს მეფეს თანა – თამარის წინაშე, წიგნი მისცა და წარდგა, იწყო არასაკადრებელი სიტყუათა თქმად: „მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული და იპყრას სულტანმან ცოლად; და უკუეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!"

ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეთქნა ხელითა პირსა და ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა. ვითარ აზიდნეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარაია: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმეცა – თავისა, კადნიერად კადრებისათჳს. აწ არა არს სიტყუა!" ესე წიგნი მიართუა ნუქრადინს და რქუა: ჩვენ მზა ვართ წყობად და წინამოგებებად, სამართალი ღმრთისა იყავნ!". (5, გვ.463).

თამარ მეფეს საჩქაროდ შეუკრებია ჯარი. „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს". (5, გვ.464).

წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ ომის დროს, ლაშქარს ხელმძღვანელობდა, თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი (გ. დაახლ. 1203/4). ხოლო თვით თამარი სახელმწიფო საქმეებს მართავდა. „ბასილი ეზოსმოძღუარი" მოგვითხრობს:. „ესრეთ ნებიერად მდგომარე იყვნეს, და არაᲘ უდგა დარაჯნი სულტანს. მუნ დააწყუეს რაზმი ქართველთა" და შეუტიეს. „და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, და განგრძელდა მყოვარ ჟამ, და მოსწყდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისროდეს". (5, გვ.502–503). ამ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს სულტანი. ცნობილია, რომ რუქნადინი არზრუმში გაიქცა, ხოლო შემდეგ კონიის (იკონიის) სასულთნოში (მცირე აზიაში სახელმწიფო) გადავიდა, სადაც საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ლაშქრობის მოწყობას აპირებდა, მაგრამ ავად გახდა და 1204 ნ. გარდაიცვალა. „იმ წელსვე, როცა დიდი ძლევამოსილებით მოტანილი სიხარული ჯერ კიდევ არ განელებულიყო, ქართველებმა შეიტყვეს სიკვდილი რუქნ ად-დინისა. ბასიანის ჯავრი სამარეში ჩაჰყვა გულზავიან სულტანს...". (26, ნ.I, გვ.519). ამ ომში ქართველთა გამარჯვების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ საქართველო, მახლობელ აღმოსავლეთში, ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა და „ყველასათვის ცხადი გახდა, რომ კავკასიის სამხრეთის საზღვარზე საქართველოს სახელმწიფოს არც აღმოსავლეთით, არც დასავლეთით საშიშარი მეტოქე აღარა ჰყავდა". (2, ტ.II, გვ.278).

ამის შემდეგ მაჰმადიანებმა კიდევ სცადეს საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრება. მათ, დიდ მარხვაში, „ვითარ ცისკარი მოეახლა", როდესაც ანისის მცხოვრებნი ეკლესიაში ლოცულობდნენ, მოულოდნელად ქალაქი აიღეს და „იწყეს ჴოცად, კლვად, ტყუებად". (5, გვ.468). როდესაც აცნობეს ეს ამბავი თამარს, მან სამაგიეროს გადახდის ბრძანება გასცა და ქართველებმა სპარსეთში გაილაშქრეს. 1208 წელს არდაველი დაიპყრეს. შემდეგ თავრიზიც აიღეს, ხორასანშიც შეიჭრნენ და ავღანეთის ქალაქებიც დალაშქრეს.

„ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე"-ში მოთხრობილია, რომ: ქართველებმა „დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი ამოსწყვდეს და ერანის ქუეყანა. ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა". (5, გვ.354).

ცნობილია, რომ ადრე, სანამ თამარის მეუღლე გახდებოდა დავით სოსლანი, მანამდე, ვინაიდან სახელმწიფოს მაღალი წრის მოხელეებს აწუხებდათ ტახტის უმემკვიდრეობა და ჯარის წინამძღოლსაც თხოულობდნენ, თამარ მეფის დიდი მოხელის (ერისთავთ ერისთავი, ამირთამირა და მეჭურჭლეთუხუცესი) აბულასანის რჩევით, თამარის წინააღმდეგობისდა მიუხედავად, მას ქმრად მოუყვანეს სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის (დაახლ. 1111–1174) შვილი, ყოფილი ნოვგოროდის მთავარი (1172–1175) წლებში იური, რომელიც ბოიარებისაგან გამოძევებული იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. თამარს დიდი ქორწილი გადაუხადეს და მასაც უხვად გაუცია საბოძვარი და წყალობა. შემდგომში მდგომარეობა შეიცვალა და ვინაიდან „გიორგი რუსს" („უბედურ რუს"), აღმოაჩნდა „უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან," სოდომური ქცევა და გამოაშკარავდა, იგი საქართველოდან გააძევეს. მიუხედავად იმისა, რომ მას „სიკუდილსა ემართლებოდა", თამარმა „არავის მისცა სასიკუდინოდ, იგივე სიუხჴთა მზეებრითა

არა მიეშუა გაძრცუასა, და ვინაცა ჩასმული ნავითა ზღუად, მიიწია კონსტანტიპოლედ და იყოფოდა ჟამთა რაოდენთამე მუნ". (5. გვ.416).

ცნობილია, რომ თამარის დროსაც დიდებულებს მოუწყვიათ აჯანყება.

1191 წელს, საქართველოდან გაძევებული თამარ მეფის პირველი ქმარი, „უბედური რუსი", ჩამოსულა კარნუ-ქალაქში (ერზურუმი, არზრუმი, დღევანდელი თურქეთის ვილაეთის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი), რომ ხელახლა გამეფებულიყო. მას მიემხრნენ „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა", „სხუთა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ", სამცხის სპასალარი და სხვა დიდებულები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ვარდან დადიანი, მსახურთ-უხუცესი, ლიხთაქათ პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთიქით ნიკოფსამდის უცილობელად ქონებისა, და თუთ ქუეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა." იგი, „მივიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგვეთი" და დააფიცა „რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათუს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი". (5, გვ.422).

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „უეჭველია, გიორგი რუსს რაიმე პირობები ექმნებოდა დადებული, ალბათ რაიმე ან პოლიტიკური უფლებების დათმობას იქნებოდა დაპირებული და ან კერძოდ სარგებლობას მოელოდნენ, თორემ ისე ტყუილ-უბრალოდ სოდომური ქცევისათვის განდევნილ გიორგი რუსისათვის თავს რად გამოიდებდნენ?". (2, ტ.II, გვ.260). აჯანყებულებმა გეგუთში გიორგი რუსი მეფედ გამოაცხადეს.

საბოლოოდ მეფის მომხრეებმა აჯანყებულები დაამარცხეს. თამარს დანებდნენ მეამბოხეები. ხოლო „ლიხთიმერეთა დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა, ითხოვნეს ცხოველნი ხატნი და თუთ დედოფალი რუსუდან მათ წინაშე საყოფელად, კათალიკოზი, მანდატურთუხუცესი და სხუანი ეპისკოპოზნი შინაურითურთ სახელდებულითა... მისცა დედოფალმან სიმტკიცე პირველად რუსის უვნებლად გაშუებისათუს და მერმე – მის ჟამისა შეცოდებისათუს არას შენანებისა" (5. გვ.427). ამის შემდეგ ისინი დანებდნენ. მეფეს „უბედური რუსი" გაუნთავისუფლებია, „წარვიდა, მასვე მისსა სუეუბედურსა გზასა გაემართა. და შეიქმნა მშვიდობა". (13, გვ.427). ხოლო „მეამბოხენი არ დაუსჯია ისე, როგორც კანონით მეამბოხეთათვის იყო დაწესებული; მაგრამ მეამბოხე ვაზირებისა და მოხელეებისათვის თანამდებობა მაინც ჩამოურთმევია". (2, ტ.II, გვ.262).

1193 წელს გიორგი რუსი ხელახლა ლიხსაქეთ საქართველოს საზღვარს, ხორნაბუჯის სანაპიროს მოადგა, მაგრამ დამარცხდა და „გარდაიხუენა". ამის შემდეგ მის შესახებ წყაროებში ცნობები აღარ ჩანს.

ხორნაბუჯი – წარმოადგენდა „(XVIII ს. წყაროებით ჭოეთი), შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში. ისტორიული ქართლის სამეფოს ერთ-ერთი პროვინციის – კამბეჩოვანის – ცენტრი. ხორნაბუჯის ნანგრევები შემორჩენილია ახლანდელ წითელწყაროს რაიონული ცენტრის მახლობლად. წყაროებში პირველად იხსენიება V ს-ში, როცა აქ მეფე ვახტანგ I გორგასალმა საეპისკოპოსო კათედრალი დააარსა. მანვე, ხორნაბუჯი (ჭერემსა და ნეკრესთან ერთად) საუფლისწულოდ მისცა თავის ძეს – დაჩი I უჯარმელს". (10, ტ.11, გვ.501).

როგორც ცნობილია, თამარ მეფის დროს, საქართველოს მინა-წყალი გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

„თამარის მეფობის დასასრულისათვის საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები იყვნენ:

აღმოსავლეთით – შირვანი და რანი; ჩრდილოეთით – ქაშაგეთი, ოსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი. მოხარკე ქვეყნები იყვნენ: სამხრეთით – ხლათის სასულთნო, ერზინკის სასულთნო, კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, ნახჭევნის საამირო. XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დასაწყისში ფეოდალურმა საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია..... თამარის პიროვნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში. ქართულმა ეკლესიამ თამარი წმინდანად შერაცხა". (10, ტ.4, გვ.579).

როგორც წყაროებიდან ცნობილია, როდესაც ბაგრატ III-ემ ტაო-კლარჯეთი შეუერთა საქართველოს, მისი წოდება იყო „მეფე აფხაზთა და ქართველთა“. ხოლო, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დავით IV აღმაშენებლის მიერ ლორე-ტაშირის, შარვანისა და ანისის შემოერთების შემდეგ, ერთიანი საქართველოს მეფეების წოდება გახდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, და სომეხთა მეფისადა შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“.

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ:

„ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა «მეფე აფხაზთა». რადგან ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატიონთა სამეფო სახლის («ქართველთა მეფის») კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი (მეფე ბაგრატ III, 975–1014), რომელიც დედის ხაზით დასავლეთ საქართველოს სამეფოს ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო 978 წ. აკურთხეს «აფხაზთა მეფედ». ხოლო «ქართველთა მეფის» ტიტული მან მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მიიღო თავისი წინაპარი «ქართველთა მეფის» გარდაცვალების შემდეგ. ის იწოდა «მეფე აფხაზთა, მეფე ქართველთა». კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ბაგრატმა მიიღო «ჰერეთა და კახთა მეფის» ტიტულიც და ერთიანი ქართლი შუასაუკუნოვანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა ამ ეტაპზე ასე გაიმართა: «მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა».

ამ დროიდან ქართულ წერილობით წყაროებში «აფხაზეთი» და «აფხაზი», როგორც წესი, ნიშნავს ზოგად «საქართველოს» და «ქართველს».

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე «მეფე აფხაზთა» რომ დგას, ამის შედეგად უცხოურ წყაროებში «აფხაზი» იხმარება ზოგადად ქართველის და «აფხაზეთი» საქართველოს მნიშვნელობით. ამასთანავე ამ უცხოელებმა, ბერძნებმა, არაბებმა, რუსებმა კარგად იციან, რომ «აფხაზეთი» იგივე «იბერია» – საქართველოა“. (22, გვ.17).

თამარ მეფის დროსვე, 1207 წლიდან თანამოსაყდრედ ითვლებოდა, მისი შვილი გიორგი ლაშა, რომელიც მიუხედავად მისი მცირეწლოვანებისა მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვასა და ლაშქრობაში.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1213 წელს, საქართველოს მეფე გახდა გიორგი IV ლაშა (1192/93–1223). მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ:

„«ისტორიანი და აზმანის» ტექსტის მარიამისებულ ნუსხაში წერია: «... ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა». XIII საუკუნის ისტორიკოსი არ აღნიშნავს, რა ენიდან ითარგმნა, ე. ი. რა ენაზე ნიშნავს ლაშა სოფლის განმანათლებელს. ხოლო XVIII საუკუნის ისტორიკოსი, «ქართლის ცხოვრების» რედაქტორი განმარტავს, რომ «ითარგმნა აფსართა ენითა».

თამარის ისტორიკოსის ეს ცნობა არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მის დროს საქართველოში მცხოვრებ იმ ხალხს ჩვენ რომ აფხაზებს ვუწოდებთ ჰქონდათ თავიანთი სალაპარაკო ენა, აფსარული. მაგრამ იგივე ცნობა არც იმ შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ «აფსართა» ენაზე მოლაპარაკე ხალხი, საიდანაც თამარმა თავისი შვილის მეორე სახელი, ზედწოდება აიღო, მაშინ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობდა. თამარის დროინდელი საქართველოს და მეზობელი ჩრდილოკავკასიური ხალხების ურთიერთობა არ გამორიცხავს ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას. თუ დასაშვებად მივიჩნევთ პირველ შესაძლებლობას, მაშინ უნდა გავიზიაროთ თვალსაზრისი, რომ თანამედროვე აფსუათა წინაპრები (აფსარები?) ამ დროს უკვე მოსახლეობდნენ საქართველოში, რომ მათი სალაპარაკო ენა «აფსარული» ენა იყო. რადგან თანამედროვე აფხაზური (აფსუების) ენა არ განეკუთვნება ქართველურ ენათა ოჯახს, და ის ჩრდილოკავკასიურ-ადიღურ ენათა ოჯახში შედის, ეს იძლევა საფუძველს თვალსაზრისისათვის, რომ უძველესი დროიდან აქ მოსახლე აფსუები ქართველური მოდგმისანი არ იყვნენ და გენეტიკურად ჩრდილოკავკასიურ ტომებს წარმოადგენენ. მაგრამ თუ მეორე შესაძლებლობას დავუშვებთ, მაშინ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აფსართა ენაზე მოლაპარაკე ხალხი გვიან ჩამოვიდა და დასახლდა საქართველოში და მაშინ ჩამოიტანა თან თავისი სალაპარაკო ენა, და «ქართლის ცხოვრების» XVIII საუკუნის რედაკტორმაც ამის შემდეგ ჩაუმატა ცნობა აფსართა ენის შესახებ: აღნიშნულთან დაკავშირებით დგება კიდევ ერთი საკითხი: თუ «აფსარული» «აფხაზურის» იდენტურია, ქართველი ავტორი რატომ ხმარობს ქართუ-

ლისათვის უცხო «აფსართას» და არა «აფხაზთას»? შესაძლებელია იმიტომ, რომ შუასაუკუნოვანი ქართველისათვის «აფხაზთა» იგივე «ქართულია» და სწორედ ამიტომ, რომ გაარჩიოს ძველი და ახალი აფხაზები შეიტანეს განმარტება «აფსართა ენითა»". (22, გვ.29).

ლაშა გიორგის გამეფებისთანავე ყმადნაფიცმა ქვეყნებმა მოინადინეს საქართველოს დამოუკიდებლობისაგან თავის დაღწევა. ამიტომაც იგი და მისი ხელისუფლება იბრძოდა, რომ შეენარჩუნებინა თამარის მიერ დატოვებული, სახელმწიფოს მთლიანობა.

„უამთააღმწერელი" მოგვითხრობს, რომ:

„და იწყეს განძით განდგომა, არღარა მოსცეს მეფესა ხარკი. ამისმან მცნობელმან მეფემან ლაშა მოუწოდა ყოველთა სპათა საქაველოსათა, იმერთა და ამერთა". (5, გვ.523) და განძისაკენ „წარემართნეს თჳთ მეფე სპათა დიდითა. ვერ წინააღუდგეს განძელნი, და მოაოჴრეს განძის ქუეყანა, აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხჳ და მოადგეს ქალაქსა განძისასა, მოადგეს გარე და მრავალ დღე ებრძოდეს, და ყოველთა დღეთა გამოვიდიან ქალაქის კარსა ბრძოლად ჩალიშად, აქათცა და მუნითაც ურჩეულესნი ებრძოდიან". (5, გვ.524). განძის დამორჩილების გარდა, გირგი IV ლაშას დროს ქართველებმა დალაშქრეს სხვა განდგომილი ქვეყნები და ისევ დაიმორჩილეს.

გიორგი IV-ის დროს, 1221 ან 1223 წელს პირველად გამოჩნდნენ საქართველოს საზღვრებთან მონღოლები. მათთან ბრძოლის დროს იგი დაჭრილა, დავადებულა და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 30/31 წლის, 1223 გარდაიცვალა და როგორც „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს „დასნეულდა მეფე ლაშა". სიკვდილის წინ, გამოუცხადებია დიდებულთათვის თავისი ანდერძი, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გამეფებულიყო მისი და რუსუდანი. ხოლო, თავის დას, რუსუდანს დაუბარა: „ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით. რაჟამს ეძლოს მეფობა და მჴედრობა, რომელ დავით მეფე ყოს, და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკჳდრედ მეფობისა ჩემისა. დაღათუ ურმა არს, და ინებოს ღმერთმან აღზრდა მისი, ვჰგონებ, რომე შემძლებელ არს პყრობად მეფობისა, კეთილითა ასაკითა არს და ჰაეროვან"..

ვითარ დაასრულა ბრძანება, შეისუენა, რომლისათჳს არს გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი, რომელ დამან მათმან რუსუდან აღასრულა გოდებანი მრავალ დღე. და წარიყვანეს სამკჳდროსა მათსა გელათს". (5, გვ.534).

ასე, რომ 1223 წელს საქართველოს მეფე გახდა გიორგი IV-ის და რ უ ს უ დ ა ნ ი (დაახლ. 1194–1245). მის დროს, 1225–1229 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთის ნაწილს დაეუფლა ხვარაზმშაჰი (1220–1231) ჯ ა ლ ა ლ ე დ ი ნ ი (გ. 1231). 1225 წელს, ქართველებსა და ხვარაზმშაჰს შორის **გარნისთან** გამართულ ბრძოლაში, რუსუდანის მიერ შეკრებილი „ყრმათა იმერთა და ამერთა" შეერთებული ლაშქარი დამარცხდა. ჯალალედინი თბილისის აღებას აპირებდა, მაგრამ მალე იძულებული შეიქმნა თავრიზში აჯანყების ჩასაქარობად სასწრაფოდ გაბრუნებულიყო, ხოლო მისმიერ დატოვებული ლაშქარი „აღაოჴრებდეს საქართველოსა, არბევდეს და ტყუე ჰყოფდეს და სრულიად უწყალოდ ჴოცდეს, და არავინ იყო ნუგეშინისმცემელი მათი". (5, გვ.537). ამავე წლის ბოლოს ჯალალედინი ხელახლა საქართველოსკენ გამოემართა. მიუხედავად ქართველთა ძლიერი წინააღმდეგობისა, საბოლოოდ გამარჯვება ჯალალედინს დარჩა. ამის შემდეგ 1226 წლის დასაწყისში შინაგამცემლობის წყალობით ჯალალედინმა თბილისიც აიღო. **ისნის** ციხის დამცველები წინააღმდეგობას უწევდნენ ხვარაზმელებს, მაგრამ, რუსუდანის მოთხოვნით ციხე დატოვეს. ხვარაზმელებმა ააოხრეს, გაძარცვეს ქალაქი და გაჟლიტეს მოსახლეობა. რუსუდანი ქუთაისში გაიხიზნა. 1227 წლის თებერვალში ქართველებმა თბილისი დაიბრუნეს. ამ ამბის გაგებისთანავე ჯალალედინი ისევ გამოემართა საქართველოსაკენ. რუსუდანის ბრძანებით ქართველებმა ქალაქი გადაწვეს და გაეცალნენ. ხვარაზმშაჰის წინააღმდეგ ქართველებმა კავშირი შეკრეს მუსლიმანულ სახელმწიფოებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთანაც. 1228 წელს ჯალალედინი ისევ გამოემართა თბილისისაკენ. უამთააღმწერელის თქმით: „ესმა რა ესე მეფესა რუსუდანს, მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა.... შეკრბეს ნაჭარმაგევს სიმრავლე ურიცხჳ, და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა.... ხოლო სულტანი დაბანაკებულ იყო სომხითს, ჴევსა ბოლნისისასა".

ბრძოლის დასაწყისში „სძლევდეს ქართველნი“, ხოლო როდესაც „შენივთდა ბრძოლა, მოსწყდა ორგნითვე ურიცხჴ კაცი“. (5, გვ.544). საბოლოოდ გამარჯვება ხვარაზმელებს დარჩათ. ხვარაზმელები შეესივნენ ციხე-ქალაქებს. ამის შემდეგ ჯალალედინი აზერბაიჯანში გადავიდა. აქ მონღოლ-თათრებმა სასტიკად დაამარცხეს. გაიქცა მესოპოტამიაში და 1231 წელს იგი ქურთებმა მოკლეს.

„ხვარაზმელების თარეში საქართველოში ხუთ წელს გაგრძელდა, ძალიან მძიმე იყო ქვეყნისათვის ამ თარეშის შედეგები. ქალაქები და სოფლები დარბეული და გაძარცული იყო. მოსახლეობის დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა ან გაიფანტა. ხვარაზმელთა შემოსევებმა ერთგვარად გაუადვილეს მონღოლებს ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა“. (10, ტ.11, გვ.475). ჯალალედინის წასვლის შემდეგ რუსუდანი თბილისში დაბრუნდა. 1235 წელს მონღოლები ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. მათი მოახლოებისთანავე რუსუდანმა წინააღმდეგობის გაწევის მაგიერ თბილისის დაცვა ციხისთავს დაავალა და თვითონ-კი ისევ ქუთაისში გაიქცა. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ:

„ხოლო ვითარ ცნა მეფენ რუსუდან მოახლება თათართა, დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთათისს, და ტფილისს მუხას ძე დაუტევა და ამცნო, რომელ უკუეთუ მოვიდენ თათარნი, რომელ მოწუას ტფილისი, თჳნიერ პალატისა და ისანთა, რომელ არღარა იპყრან სახლად ვითარ ხუარაზმელთა.

რა ჟამს ცნა მუხას ძემან მოახლება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი, და თჳთ პალატი და ისანნი, და ესრეთ მოოჴრდა ქალაქი ტფილისისა“. ხოლო მინღოლები „შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოჴრებად და ჴოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქუეყანა“. (5, გვ.547).

მაშინდელ საქართველოს მთავრობაში, რუსუდანის მეფობის დროს, არ აღმოჩნდა ვინმე ისეთი, ვინც შეძლებდა მტრის წინააღმდეგ ძალების გაერთიანებას და წინააღმდეგობის გაწევას. უმეთაუროდ დარჩენილი დიდებულები და სარდლები, ცალ-ცალკე თავიანთ ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტნენ და ისე ებრძოდნენ მტერს. „ჟამთააღმწერელი“-ის თქმით: „ყოველნი ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიათასა და მთიულეთსა“. (5, გვ.548). ზოგი-კი, როგორც ყოველთვის ხდებოდა, თავის გადარჩენისა და პირადი კეთილდღეობის მიზნით, მიემხრო მონღოლებს. პირველი ამათ შორის იყო ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი. რომელმაც, რომ „თათრები როგორმე თავითგან მოეშორებინა და მოეტკბო, ამისათვის მან მონღოლებს თავისი ქალიც კი მისცა, დიდძალი ძღვენიც მიართვა“. (2, ტ.III, გვ.100). ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ: „ამათ წარმოუვლინა ავაგ მოციქული ზავისა თხოვად, და თქუა მათ წინაშე მისვლა, ხილვა, და მსახურება და ხარაჯის მიცემა, დადება ქუეყანისა მისისა, ითხოვა ფიცი და სიმტკიცე. ხოლო მათ გაიხარეს და სიხარულით შეიწყნარეს მოციქული ავაგისი და ფიცთა მიერ მტკიცეთა გულსავსე ყვეს“. (5, გვ.549).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „რაკი ამ გზით ავაგმა თავისი თავი უზრუნველყო, ეხლა კი თითონაც ხანთან გაემგზავრა..... ჟამთააღმწერელი ავაგის ამ მოქმედებას იმდენად აზვიადებს, რომ გაიძახის: «წარვიდა ამირსპასალარი ავაგ დამდები სულისა მისისა ქუეყანისა მისისათვის»-ო. (ჟამთააღ. *767, გვ.597). ამაზე მეტი პოლიტიკური სიბეცე და შეუგნებლობა ძნელი წარმოსადგენელია.....

რაკი საქართველო მტრის ხანგრძლივი ნავარდისაგან მოქანცული იყო, ერთი მაგალითიც კმაროდა, რომ ავაგის გზას სხვებიც გაჰყოლოდნენ. მტრის წინაშე ქედის მოხრა, რაც უნდა იყოს, ადამიანის თავმოყვარეობისათვის სათაკილოა, მაგრამ როდესაც ამგვარ სააუგო საქმეს სხვა ჩაიდენს, მაშინ დანარჩენთ ძნელი ნაბიჯის გადადგმა უადვილდებათ და თვით საქციელსაც მათთვის თითქოს აუგიანობაც კი ეკარგება. ამ შემთხვევაში ასეთი სათაკილო ნაბიჯის გადადგმა საქართველოს სახელმწიფოს მხედრობის თვით მთავარსადალმა ავაგ სპასალარმა იკისრა და სხვებისათვის ხომ მონღოლთა წინაშე დამორჩილება უფრო ადვილი საქმე იქმნებოდა. ავაგს მართლაც მალე მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ“. (2, ტ.III, გვ.101).

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა მონღოლებმა შეძლეს ლიხსაქეთ და სამხრეთ საქართველოს შედარებით ადვილად დამორჩილება.

1243 წელს, საქართველოს ჩრდილოეთში, ვოლგის ქვემო წელზე, მონღოლთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ჩინგის-ყაენის (თემუჩინი) (დაახლოებით 1155–1227) შვილიშვილმა, მონღოლმა ხანმა (ყაენმა) ბათო-ყაენმა (ბათუ, საინ-ხანი) (1208–1255) დააარსა სახელმწიფო „ოქროს ურდო". ხოლო სამხრეთში, 1256 წელს, დღევანდელ აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ ირანის მინა-წყალზე ჩამოყალიბდა ისმაილიტების (ილხანთა) სახელმწიფო. რომელიც ჩამოაყალიბა ასევე ჩინგის-ყაენის შვილიშვილმა, ჰულ-აგუიანების საგვარეულოს წარმომადგენელმა ჰულაგუ ხანმა (ჰულაგუ ყაენი, ულო ყაენი) (1217–1265). 1261 წელს ილხანის (მბრძანებელი) წოდება მიიღო. ამ, მონღოლურ ურდოებს, ერთმანეთთან გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდათ, ორივე ცდილობდა აზერბაიჯანისა და საქართველოს დაპყრობას. ასე რომ საქართველო ორ მონღოლურ, ჩრდილოეთ – ოქროს ურდოსა და სამხრეთ – ილხანთა, სახელმწიფოებს შორის ურთიერთბრძოლის ასპარეზად იქცა. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ 1256 წლამდე „საქართველო პოლიტიკურად ჩრდილოეთის ულუსის ყაენთან იყო დაკავშირებული, შემდეგ-კი ჰულაგუსა და მის მემკვიდრე ერანის ყაენების ურდოს ექვემდებარებოდა ხოლმე. ამისდა გვარად 1256 წლამდის.... საქართველოს საქმეების მოგვარება ჯერ ბათო ყაენთან უხდებოდათ, შემდეგ-კი ასეთი საკითხები უკვე ერანის ილხანის კარზე წყდებოდა." (2, ტ.III, გვ.341).

(1228–1230) წლებში, როდესაც ლიხსაქეთ საქართველოში ხვარაზმელები დათარეშობდნენ და რუსუდანი ქუთაისში იმყოფებოდა, მან თანამოსაყდრეთ 5 წლის თავისი შვილი, დავითი გამოაცხადა. „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს, რომ ვინაიდან, „ამიერ ესე სამეფო უცალო იყო ხვარაზმელთაგან" და ლიხსაქეთ საქართველოს დიდებულები „ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდეს, თვთეულნი მორჩილებასა შინა მეფისა რუსუდანისასა, და უცილოებისა ძალითა ვერ დახუდეს დალოცვასა მეფისა დავითისასა". ამიტომ დავითის გამეფებას დასწრებიან მხოლოდ ლიხსიქეთ საქართველოს წარმომადგენლები. „მოუწოდა ყოველსა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რაჭის ერისთავსა და კათალიკოზსა აფხაზეთისასა, და დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთათისს და დაადგეს თავსა მისსა გკრგკნი. დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისამებრ, და სრულყო კათალიკოზმან წესი კურთხევისა". (5, გვ.543). მისივე გადმოცემით, რუსუდანმა, ლაშა გიორგის შვილი, ტახტის მოცილე, დავითი, 1236 წელს რუმის სულთანთან გააგზავნა. რუსუდანმა „დაივიწყა შიში ღმრთისა და სიყუარული ძმისა, და მოიგონა საქმე ყოველთა მიერ განასკრთომელი, რამეთუ ზემოხსენებული ძმისწული თკსი, დავით, რომელი ძმისა მისისაგან, გიორგისაგან, ანდერძობით შევედრებულ იყო და აღეზარდა, წარუვლინა ფარულად ასულსა მისსა და სიძესა სულტან ყიასდინს თანა საბერძნეთსა, რათა წარწყმიდონ, და იყოს უშფოთველად ძისა მისისა დავითისთვს არა განყოფად მეფობისა" ხოლო მათ „არა ისმინეს ბრძანება მკლველებრივი მეფისა რუსუდანისა და ფრიად პატივსცემდეს დავითს". (5, გვ.543).

„რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ (ახ. წ. IV ს.) სახელწოდება „რუმი" მხოლოდ აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტია) მიმართ იხმარებოდა. მცირე აზიაში სელჩუკთა ბატონობის პერიოდში „რუმი" ეწოდა მცირე აზიას. ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ თურქ-ოსმალებმა ეს სახელწოდება გადაიტანეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე". (10, ტ.8, გვ.469). რუსუდანის დროს რუმის სულთნად (1236–1245) მოხსენებულია ყიას ედ-დინი (ყიასდინი, ყასადინ, ღიასედინი) რუქნადინის ძე.

1242 წელს რუსუდანი იძულებული გახდა ბათო ყაენს დაზავებოდა, რომლის თანახმად საქართველოს ხელისუფლება მონღოლთა ძალაუფლებას ცნობდა. აღმოსავლეთ საქართველოში ქართველებთან ერთად მონღოლთა ჯარი უნდა მდგარიყო, საქართველოს ყოველწლიურად 50 000 პერპერა (ოქროს ფული) უნდა ეხადა და მონღოლთა ლაშქრობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. 1243 წელს, რუსუდანის ძე დავითი, მეფედ დასამტკიცებლად, ბათო ყაენთან, ხოლო აქედან დიდ ყაენთან გააგზავნეს ყარაყორუმში.

1245 წელს შვილის მოლოდინში რუსუდან მეფე გარდაიცვალა და საქართველო დარჩა უმეფოდ. ამ უმეფობის დროს საქართველოში, 1245 წელს, როგორც „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს, დიდებულებს გადაუწყვეტიათ მონღოლებისაგან თავის დაღწევა და ქვეყნის საქმეების მოსაგვარებლად და აჯანყების მოსამზადებლად, ჯავახეთისა და სამცხის საზღვარზე მდებარე ისტორიულ ციხესიმაგრე **კოხტასთავში,** „შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავსა, იმერნი

და ამერნი..... დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცი-ბოთა, და რაჭის ერისთავი წარვიდეს კაზმად" (5, გვ.566). ხოლო შემდგომ, როგორც ხშირად ხდებოდა, ეტყობა გამცემლობის წყალობით, მონღოლებს შეკრების ამბავი გაუგიათ და დარჩე-ნილი დიდებულები შეუპყრიათ. „წარასხნეს ქუეყანასა ანისისასა და ადგილსა, რომელსა ენოდების შირაკავანი." შეკრების მიზეზად შეპყრობილები ასახელებდნენ: „არა განდგომად შევკრბით, არ-ამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განგიჩინოთ, რომელსა-იგი უწოდდეს ხარაჯად". ნოინმა „არა სრულად ირწმუნა" და მათი გამოსატეხად „ბრძანა განძრცვა ყოველთა, მჭართა შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა მუჭლთა ზედა დასხდომა, და ყოველთა დღეთა ჰკითხა-ვიდეს მიზეზსა შეკრებისასა, და უკეთუ არა აღიარონ, სიკუდილსა მისცნენ ყოველნი". (5, გვ.566). „ჟამთააღმწერელი"-ს თქმით, დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილს, იმერთა ლაშქრით მისულ ცოტნე დადიანს „აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად. და შეკრებულთა ყოფა სატანჯველთა შინა ბოროტთა ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ და თჳსად სიკუდილად და სირცხჳლად შერაცხა საქმე იგი, და წარავლინა ლაშქარი თჳსი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად" და „ვითარ იხილნა წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ სიკუდილად განწირულნი, გარდაჴდა ჰუნისაგან და დააბნია სამოსელი თჳსი, განშიშულდა და შეიკრა მჭარი და დაჯდა ნარჩინებულთა თანა". მისი ქცევით გაკვირებულ ნოინს, ცოტნე დადიანმა მუახსენა, რომ შეკრების მიზეზი ხარკის აკრეფა იყო. „ესე იყო შეკრება ჩუენი... უკეთუ მოიკითხო და ღირსი რამე სიკუდილისა უქმნა, მეცა ამათ თანა მოვკუდე, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო". და ვითარ ესმა ესე ცოტნესაგან ნოინთა, განკჳრდეს სათნოებისათჳს და თქუეს: „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან და არა განცრუვდებიან... არა არს სიცრუვე მათ შინა, და ამის ძალითა უბრალო ვპოვებთ და განუტეოთ ყოველნი". რქუეს ცოტნეს: „განდგომილება ვგონეთ თქუენ, ქართველთა, და აწ, ვინათგან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ქართველთა შენ მოგანი-ჭებთ, შენდა მონდობილ ვართ". და განუშუნეს ყოველნი ესე წარჩინებულნი". (5, გვ.567).

„ბორკილები აჰყარეს კოხტასთავის შეთქმულებს.

ერთხანზე მოუძღოდა ცოტნე დადიანი მისი საოცარი გმირობით გადარჩენილ თანამემამულეებს.

მაგრამ სულ მალე ისევ და „განიყვნეს მთავარნი საქართველოსანი და წიმააღმდგომ იქმნეს ურთიერთას".

ხოლო, ცოტნე დადიანის უმშვენიერესი გმირობა პირველ მძლავრ ელვატეხილად დააჩნდა მონ-ღოლური წყვდიადითა და კაეშნით დამძიმებულ ქართულ ცის თავანს". (26, წ.2, გვ.69).

„დადიანი მშობლებთან ერთად გამოსახულია ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზე". (10, ტ.3, გვ.330).

რუსუდანის ძე დავითი, მეფედ დამტკიცებას ყარაყორუმში ელოდებოდა, ხოლო დავით ლა-შას ძე რუმის სასულთნოში იმყოფებოდა. ვინაიდან 3 წელი გავიდა და დავით რუსუდანის ძე არ ჩანდა, ამიტომ საქართველოს მმართველებმა სასულთნოდან დავით ლაშას ძე ჩამოიყვანეს და მეფედ დასამტკიცებლად ისიც მონღოლეთში გააგზავნეს. ასე, რომ ორივე დავითი მონღოლეთში აღმოჩნდა. 1247 წელს, გ უ ი უ ქ ყ ა ე ნ მ ა (1246–1249) თავიანთი წესის თანახმად ორივე გაამეფა, ოღონდ დავით ლაშას ძე როგორც უფრო ხანში შესული, უფროსად დანიშნეს და ორივე საქართ-ველოში გამოუშვეს: საქართველოს მეფე (1247–1270) ლაშას ძე დ ა ვ ი თ VII უ ლ უ (გ. 1270) (მონღ. „ულუ" – უფროსი) და საქართველოს მეფე (1245/47–1293) რუსუდანის ძე დ ა ვ ი თ VI ნ ა რ ი ნ ი (მონღ. „ნარინი" – უმცროსი) (დაახლ. 1225–1293).

„ჟამთააღმწერელი"-ს გადმოცემით, „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა". ორივე მეფე თბილისში იმყ-ოფებოდა და თანხმობით განაგებდნენ სამეფოს. თუმცა, ჟამთააღმწერელს მოჰყავს სხვა ცნობა, რომ „სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელი იტყჳს, ვითარმედ: ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა, გუიუქ ყაენმან ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ, და ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანისა ძე, დავით, მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს". (5, გვ.573). და იქ გამეფდა.

1256 წლიდან საქართველო, „გურჯისტანის ვილაეთის" სახით, მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა და აქ მონღოლებმა თავიანთი წესწყობილება დაამყარეს.

ჰულაგუ-ხანმა საქართველოში შემოიღო უფრო მძიმე გადასახადები ვიდრე ადრე იყო.

სამოქალაქოს გარდა, შემოიღეს კიდევ „ყალანი", სამხედრო ბეგარა, რომელიც წარმოადგენდა „დიდ ჭირს", რომელმაც ქვეყანა „ააოხრა" და „გააღარიბა". (9. ტ.III, გვ.567). ამის გარდა, მონღოლთა ბრძანების თანახმად, ქართველები იძულებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მონღოლთა თითქმის ყველა ლაშქრობაში. ამ გაჭირვების გამო 1259 წელს საქართველოში დაიწყო აჯანყება დავით VI ნარინის ხელმძღვანელეობით. აჯანყების ჩასაქრობად ყაენმა ჯარი გამოგზავნა. სისხლის მღვრელი ბრძოლის შემდეგ ყაენის ჯარი უკუიქცა. მაგრამ შემდეგ, როდესაც ჰულაგუ ყაენმა მეორედ უფრო დიდი ჯარი გამოგზავნა, დავით ნარინი იძულებული გახდა ლიხსიქეთ საქართველოში გადასულიყო და ჩავიდა ქუთაისში. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ: „წარვიდა აფხაზეთს დავით რუსუდანის ძე სამითა ოდენ კაცითა..... ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანმან, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერელთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე ყვეს დავით აფხაზთა, ვიდრე ლიხთადმე.

და აქა შინა შეიქმნა სამეფო ესე ორ სამთავროდ, გარნა ეგრეთცა იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა, დავით და დავით, და დარჩა ლიხთსაქათი ლაშას, ძესა დავითს. და ლიხთიმერი რუსუდანის ძესა. და მოიწყო ყოველი ქუეყანა, და მოიგო სიმდიდრე უზომო და წარმართა სახლი სამეუფო კეთილად, და მონებდა ყაენსა". (5, გვ.575).

აქედან დაიწყო „ლიხსიქეთის სამეფოს" (დასავლეთ საქართველო, იმერეთის სამეფოს) ჩამოყალიბება. რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დავით VI ნარინმა, რუსუდანის ძემ. „ქართლის ცხოვრება", „ლიხსიქეთის სამეფოს" შესახებ აღნიშნავს, რომ: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი". (6, ტ.IV, გვ.742).

1260 წელს, მონღოლთა გადასახადებისა, სამხედრო ბეგარისა და ბასკაკების (მონღოლთა გადასახადების ამკრეფი მოხელე) აღვირახსნილი მოქმედების გამო, ლიხსაქეთ საქართველოში მყოფი დავით VII ულუც აჯანყდა. ისტორიკოსის კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი ს (კირაკოს დანძაკელი) (1200–1271) ცნობით, „მონღოლთა აუტანელი მოხარკეობით შეწუხებულმა და მოთმინებიდან გამოსულმა დავით მეფემ, ლაშას ძემ, მთელ თავის ქონებას თავი დაანება, სატახტო ქალაქი თბილისი მიატოვა და აფხაზეთში გაიქცა, სვანეთის სიმაგრეებში თავი შეაფარაო. თან მონღოლთა ბატონობისაგან ქონებრივად შევიწროებულ-გაღატაკებული ერისთავებიც გაჰყვნენო..... გახიზნულ მეფეს მხოლოდ მისი უფროსი ვაჟიშვილი გიორგი გაჰყოლია თან". (2, ტ.III, გვ.161). ჰულაგუ-ხანის ბრძანების თანახმად დავით ულუს უნდა მიეღო მონაწილეობა ეგვიპტეზე ლაშქრობაში. დავით ულუ ბრძანებას არ დაემორჩილა. აჯანყებულებსა და მონღოლებს შორის გამართულ ბრძოლაში, ზოგიერთი ქართველი მთავართა ღალატის წყალობით, საბოლოოდ გამარჯვება მონღოლებს დარჩათ. 1261 წელს დავით ულუ იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა და დავით VI ნარინთან ქუთაისში გადასულიყო. შემდეგში, დავით VII მონღოლებს შეურიგდა და ყაენმა, პოლიტიკური მდგომარეობის გამო, იგი ისევ ლიხსაქეთ საქართველოში მეფედ გამოუშვა.

XIII საუკუნის 60-იან წლებში, დავით VI-სა და დავით VII-ის დროს, საქართველო სამ პოლიტიკურ ერთეულად დაიყო: ლიხსაქეთის (აღმოსავლეთ საქართველო), ლიხსიქეთის (დასავლეთ საქართველო) და სამცხე, რომელიც 1266 წელს საქართველოს სამეფოს გამოეყო და უშუალოდ ყაენს დაემორჩილა, ის ხასინჯუდ (ილხანების სამფლობელო მიწები) იქცა.

დავით VII ულუ ავადმყოფობის გამო 1270 წელს გარდაიცვალა. მის შემდეგ, ირანის მბრძანებელმა (1265–1282) ა ბ ა ღ ა - ხ ა ნ მ ა (1234–1282) ჰულაგუ-ხანის ძემ, გაამეფა დავით ულუს ძე დ ე მ ე ტ რ ე (დიმიტრი) (დაახლ. 1259–1289). შემდეგში მას ეწოდა დ ი მ ი ტ რ ი II თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი. წყაროებიდან ცნობილია, რომ დემეტრე II მისდა უნებლივ აღმოჩნდა ირანის მმართველთა წრეებში შინაურ ბრძოლებში ჩარეული და იგი იძულებული შეიქმნა, ქვეყნისა და ხალხის გადარჩენისათვის, დამორჩილებოდა ირანის, მონღოლი გამგებლის (1284–1291) ა რ ღ უ ნ - ხ ა ნ ი ს მოთხოვნას, წასულიყო ურდოში. ეს მისი გადაწყვეტილება მან მოახსენა დარბაზს. მიუხედავად დარბაზის წინააღმ-

დეგობისა, მან თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა და გაემგზავრა ყაენთან, რომ დაერწმუნებია თავის ერთგულებაში და ამავე დროს გადაერჩინა თავისი სამეფო.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს:

„დემეტრე II-ის გმირულმა გამბედაობამ ცხადყო, რომ მას ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა კარგად ჰქონდა შეგნებული და ამიტომაა, რომ მისმა ამ ნაბიჯმა თანამედროვეთა შორისაც აღტაცება გამოიწვია და ყველა ის უარყოფითი მხარეებიც აპატიებინა, რომელიც მას ჰქონდა. შთამომავლობამაც და ისტორიამაც საქართველოს მეფეთაგან **თავდადებულის** წოდებულებაც მხოლოდ მას მიაკუთვნა, რადგან საქართველო და ხალხი თავისი სიცოცხლის განწირვით მონღოლთა ყაენის არღუნის მრისხანებისა და აოხრებისაგან მართლაც იხსნა“. (2, ტ.III, გვ.378).

ცნობილია, რომ დემეტრე II დაიღუპა, მონღოლთა ხელშეწყობით დანინაურებული, მედროვე, წარმოშობით ქურთის, ათაბაგ-ამირსპასალარის სადუნ მანკაბერდელის (გ. 1282) შვილის, ხუტლუბულას (გ. 1293) შურისმაძიებლობის გამო. რადგან დემეტრე II-ემ, სადუნის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ ამირსპასალარად დანიშნა, ათაბაგობა კი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეს, ტარსაიჭ ორბელს (გ. 1290) უბოძა. ამის გამო მეფეს გადაემტერა. წყაროებიდან ჩანს, რომ იგი ბუნებით ამაყი, ამპარტავანი, ეჭვიანი და ურჩი პიროვნება ყოფილა. შემდეგში იგი ვახტანგ მეფესაც გადაემტერა.

„უამთააღმწერელი“-ს გადმოცემით, დემეტრეს სიკვდილის შემდეგ, არღუნ ხანმა, ხუტლუბულას დაავალა დავით VI ნარინის შვილის, ვახტანგის მოყვანა.

ი. ჯავახიშვილი დემეტრე II-ის შესახებ აღნიშნავს, რომ „დემეტრე II-ის ზოგადი დახასიათება ადვილი არ არის, რათგან ცნობები მის შესახებ ორნაირი თვისებისა მოგვეპოვება. მისს თავგანწირულებას მონღოლთადროინდელს უამთააღმწერელზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც საეკლესიო წრეებში დემეტრე II-ისადმი მანამდე სუფევდა მისი საეკლესიო უძრავი ქონების გაღარიბებულ ერისკაცთათვის გაცემისა და თავისი სამცოლიანობით ხალხისათვის ცუდი მაგალითის მიცემის გამო, თავის მოთხრობაში მას, როგორც ეტყობა, შერბილებული უნდა ჰქონდეს.

თუ თანამედროვე ისტორიკოსი მის პიროვნებას წარმოადგენს ისევე, როგორც სინამდვილეში და თავის ყოველდღირს საქმიანობა-მოღვაწეობაში მოჩანს, უნდა ითქვას, რომ დემეტრე II-ის დამოკიდებულება ქრისტიანული მოძრაობისადმი ძალზე შერყეული ყოფილა. მის გულში ეკლესიისა და მისი, როგორც მწყემსმთავრისა, ისევე მოძღვართადმი, ოდნავი პატივისცემაც-კი არ ჩანს. ამ მხრივ ის გიორგი-ლაშას მიაგავს“. (2, ტ.III, გვ.227).

დემეტრე II-ის შემდეგ, არღუნ-ხანმა ხუტლუ ბულას რჩევით, საქართველოს მეფედ დანიშნა დავით VI ნარინის ძე ვახტანგი. „უამთააღმწერელი“ გადმოგვცემს, რომ საქართველოს „მესამეოცდაოთხე“ მეფე (1289–1293) ვახტანგ II, „ძე დავით აფხაზთა მეფისა, ძისა რუსუდანისი. ბაგრატიონი“ იყო და როდესაც „მოვიდა მეფე ვახტანგ ქართლს, შემოკრბეს კათალიკოსი და ეპისკოპოსნი, და მთავარნი, და დაადგეს გკრგკნი მეფობისა თავსა მისსა, და დასვეს ტახტსა სამეფოსა, და აღასრულეს წესი კურთხევისა. და დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსით დარუბანდამდე“. (6, ტ.II, გვ.293). თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველო ამ დროს სამ ერთეულად იყო დაშლილი.

ვახტანგ II ძლიერი მმართველი აღმოჩნდა. უამთააღმწერელის გადმოცემით: „მტკიცედ ეპყრა მეფობა ვახტანგს“. (5, გვ.629). მაგრამ, 1293 წ. იგი ავად გახდა და ნაადრევად გარდაიცვალა. იმავე წელს, შვილის გარდაცვალებით გამოწვეული დარდის გამო, დავით VI ნარინიც გარდაიცვალა. მის შემდეგ, იმერეთის სამეფოში, გამეფდა ნარინის უფროსი შვილი კონსტანტინე I (1293–1327). მას აუჯანყდა მისი უმცროსი ძმა მიქელი. რომელმაც დაიპყრო რაჭა-ლეჩხუმი და არგვეთი. ძმებს შორის დაპირისპირებით ისარგებლეს დადიანმა, გურიელმა და შერვაშიძემ და ცალ-ცალკე (სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის) დამოუკიდებელ სამთავროებად ჩამოყალიბდნენ. ლიხთიმერეთი შინაური ბრძოლის ასპარეზად იქცა.

ცნობილია, რომ კონსტანტინეს მეფეს შეუკეთებია და განუახლებია იერუსალიმის ქართული სავანე – **ჯვრის მონასტერი**.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია იმერთა მეფის კონსტანტინე I (გარდაიც. 1327) დიდი დამსახურება ჯვრის მონასტრისადმი. კონსტანტინე მეფის ინიციატივით და სახსრებით ჩატარდა გარკვეული სამხატვრო-საალმშენებლო მუშაობა, რასაც ქართველებისათვის ახლად დაბრუნებული მონასტერი დიდად საჭიროებდა. კონსტანტინესთვის განესებულ აღაპში ვკითხულობთ: აღაპი და პანაშვიდი აფხაზთა მეფეთ მეფისა კონსტანტინესი, ჯვრისა მონასტრისა ახლად შემკაზმავისა". (9, ტ.III, გვ.827).

ჯვრის მონასტერი – XI საუკუნის 30–50-იან წლებში, საქართველოს სამეფო კარის შემწეობით, პალესტინაში (ეხლანდელ ისრაელში) დააარსა ქართველმა მოღვაწემ გიორგი-პროხორე შავშელმა (პროხორე ქართველი) (დაახლ. 985/990–1066). რომელიც მალე გადაიქცა პალესტინაში ქართულ რელიგიურ და კულტურულ ერთ-ერთ მთავარ ადგილად. სელჩუკების მიერ არაერთხელ იქნა დარბეული და მეჩეთად გადაკეთებული. დავით IV აღმაშენებელის, თამარის და დავით VIII-ის დროს საქართველოს დაუბრუნდა და მონასტერი აღადგინეს და განაახლეს. ქართველი მეფე-მთავრები, ცდილობდნენ მის შეკეთებას და აღდგენას. 1855 წელს ბერძნები დაეპატრონენ და სასულიერო სემინარია გახსნენს, რომელიც მოქმედებდა 1908 წლამდე. ბერძნული სამღვდელოება ცდილობდა დაემალა ჯვრის მონასტრის საქართველოსთან კავშირს. მათ წლების განმავლობაში გადარჩენილი ქართული ფრესკები შეათეთრეს. 1948–1958 წლებში მონასტრის მინაწყალზე იდგა ისრაელის ჯარის ნაწილები.

1960 წელს, იერუსალიმის ქართული სავანის – ჯვრის მონასტერში მოეწყო, საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემიის მიერ, ჯვრის მონასტრის სიძველეთა შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიცია ირაკლი აბაშიძის (1909–1992), აკაკი შანიძის (1887– 1987) და გიორგი ნერეთლის (1904–1973) შემადგენლობით. რომლებმაც მიაგნეს ფრესკას, მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოხატული, ძვ. ქართულ წყაროების მიხედვით, შოთა რუსთაველის პორტრეტი. რომელიც დაფარული იყო შავი საღებავით.

დღეანდელ დღეს, საქართველოს საზოგადოება ცდილობს ჯვრის მონასტრის დაბრუნებას და საბერძნეთთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

1327 წელს, კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, გამეფდა მიქელი. მან მხოლოდ ორ წელიწადს იმეფა და 1329 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა მცირე წლოვანი ძე ბაგრატი. ამ მდგომარეობით ისარგებლა ქართლის მეფემ (1314–1346) გიორგი V ბრწყინვალემ, გადავიდა ლიხსიქეთ სამეფოში (იმერეთის სამეფოში, „აფხაზთა სამეფოში"), აილო ქუთაისი და ბაგრატი იძულებული გახდა გიორგისათვის იმერეთი დაეთმო. სამაგიეროდ, გორგი V-მ ბაგრატი გამოაცხადა შორაპნის ერისთავად. ხოლო, 1334 წელს, როდესაც სამცხის (მესხეთის) მთავარი სარგის II ჯაყელი (1306–1334) გარდაიცვალა, გიორგი V-ემ, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგად გამოაცხადა მისი შვილი ყვარყვარე I ჯაყელი (1334–1361) და ჩამოართვა ერთგულების ფიცი. ამრიგად, 1226 წლიდან, ილხანების მონღოლთა სახელმწიფოს მიერ დაქვემდებარებული საქართველოს ეს კუთხე, სამცხე-საათაბაგო, ისევ საქართველოს სახელმწიფოს დაუბრუნდა და საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა. გიორგი V იბრძოდა ხელისუფლების გაძლიერებისათვის. პირველ რიგში საჭირო იყო გახელმწიფებული და მოღალატე ურჩი მთავრების (რომლებიც მონღოლებს ემხრობოდნენ) დამორჩილება და ამისათვის უკიდურეს ზომებსაც მიმართავდა. „უამთააღმწერელი"-ს ჩანართი-შენიშვნა (Dcm)-სში მოთხრობილია, რომ „და რა დრო დაიცა მეფე გიორგიმ, ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთს ცივზედ მოაწვივა და ამოსწყტა, იმერნი და ამერნი გაიერთა, და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო". (6, ტ.II, გვ.325).

გიორგი V-ეს დროს საქართველომ ეკონომიურადაც მომძლავრება დაიწყო. საქართველოში გავრცელებული ფული, „ყაზანური თეთრი", შეცვალა, მის მიერ მოჭრილი ფულით, რომელსაც უწოდებდნენ „გიორგაულს". 1335 წელს გიორგი V-ემ მონღოლებს ხარკიც შეუწყვიტა. 1338 წელს საქართველო დაულაშქრავს აზერბაიჯანის მმართველს ჰასანს. ვახუშტის ცნობის თანახმად, „ადრაბაგანის" მფლობელს დაუკავებია: სომხეთი, რანი და მოვაკანი. განჯას მოსულს მოუნდომებია გიორგი მეფის დამორჩილებაც, მაგრამ ქართველებს სასტიკი ომით უკან გაუძევებიათ". (9, ტ.III, გვ.667).

როგორც ვხედავთ, გიორგი V ბრწყინვალემ შეძლო საქართველოს გამთლიანება და ერთ ხანს, საქართველოს მდგომარეობის, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურადაც გაუმჯობესებაც. მაგრამ, წყაროებიდან ჩანს, რომ ასეთმა ვითარებამ დიდხანს არ გასტანა. აღმავლობის გზაზე შემდგარ საქართველოს, წინ ისევ მუსულმანური სამყარო, ფეოდალთა ურთიერთ დაპირისპირება, ერთმანეთის მიმართ მტრობა-ქიშპობა და ღალატიც გადაეღობა; და საქართველო, თანდათან სამთავროებად დაიშალა და არათუ მისი განაპირა მხარეები, არამედ ზოგიერთი საკუთარი მიწა-წყუალიც სამუდამოდ დაკარგა.

გიორგი V ბრწყინვალეს შემდეგ, საქართველოს მეფე გახდა მისი ძე დავით IX (1346–1360). ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „სამწუხაროდ, ამ დავითის შესახებ თითქმის აღარავითარი ცნობები არ გვაქვს შენახული. ვიცით მხოლოდ, რომ უკვე 1348 წელს საქართველოში ეკონომიურ კრიზისს უჩენია თავი და ამავე დროს დიდი სიკვდილიანობაც ყოფილა. ამ წლის ქვეშ „დიდი სიგლახაკე და ეტრატის სიძვირე" აღნიშნული აქვს ერთ თანამედროვე მწერალს, რომელიც აგრეთვე შფოთისა და უცალოების შესახებაც ჩივის". (2, ტ.III, გვ.406). დავით IX-ის დროს, ჯერ ჩრდილოეთში, 1346 წელს ჯუჩის ულუსში (ოქროს ურდოში) გაჩნდა შავი ჭირი და შემდეგ გავრცელდა სამხრეთში, მცირე აზიაში და განსაკუთრებით მძვინვარებდა 1348 წ. ეგვიპტეში, სადაც მოსახლეობის ნახევარი შეწირა. საქართველოში შავი ჭირი 1348 წელს გავრცელდა და დიდხანს გაგრძელებულა.

ამ გაჭირვების დროს საქართველომ განიცადა აზერბაიჯანის მმართველის მელიქ აშრაფისა (გ. 1358) და ილხანის (მონღოლთა ხანების წოდება ირანში) (1344–1355) ანუშირვანის შემოსევები. წყაროებიდან ირკვევა, რომ „1349–1350 წწ. საქართველომ ანუშირვანს გადაუხადა ხარკი 400 000 დინარის რაოდენობით". (9, ტ.III, გვ.668).

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ: „დავითის მეფობაში სამხრეთიდან მტრის იერიშიც იყო მოტანილი. სახელდობრ 1358 წლის ორი სომხური წარწერიდან ჩანს, რომ ჰასან ჯელაირის ძმა მელიქ-აშრაფი საქართველოს შემოესია, ბიჯნისი აუღია, დაუნგრევია და მოსახლეობაც დაუხოცია". (2, III, გვ.407).

დავით IX 1360 წელს გეგუთში გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ **გელათში**. საქართველს მეფე გახდა დავით IX-ეს ძე, ბაგრატ V დიდი (1360–1393).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ბაგრატ V-ის მოღვაწეობის შესახებ ცნობები, ჩვენ მხოლოდ XV საუკუნის I ნახევრის სომეხი ისტორიკოსის თოვმა მენოფეცის (თომა მეწოფელი) და შუააზიელი მხედართმთავრისა და 1370 წლიდან ემირის (მბრძანებელი) თემურლენგის (1336–1405) ისტორიკოსთა თხზულებებიდან ვიცით და ისიც მხოლოდ ის „რაც თემურლენგის შემოსევასთან არის დაკავშირებული". ხოლო „იმდროინდელი ქართული წყაროები გადარჩენილი არა გვაქვს" და „ამიტომაც მრავალი სხვა საკითხები სრულებით გაუშუქებელი რჩება, ჯერჯერობით მაინც". (2, ტ.III, გვ.408).

ისტორიკოსის ბერი ეგნატაშვილის (გ. დაახ. XVIII საკ-ის 60-იან წ-ში) მიერ შედგენილ ახალ ქართლის ცხოვრებაში, ბაგრატ V-ის შესახებ მოცემულია მხოლოდ, რომ „ჟამსა მას ოდეს განაგებდა ღვთივ-გჯრგჯნოსანი მეფეთ-მეფე ბაგრატ, ეპყრა ყოველი საქართველო საბრძანებელსა თჳსსა ქვეშე" (6, ტ.II. გვ.326). და შემდეგ მოგვითხრობს ლანგ-თემურის შემოსევების შესახებ.

„ქართული საისტორიო მწერლობა ბაგრატ V-ს „დიდის" სახელით იხსენიებს. ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი (XIV ს-ის II ნახევარი–XV ს-ის I მეოთხედი), რომელიც პირადად იცნობდა ბაგრატ V-ს, მას „გამოჩენილ სარდალს" უწოდებს. სომხურ მწერლობაშიც ბაგრატ V „ძლევამოსილისა და ძლიერის" სახელითაა მოხსენებული". (10, ტ.II, გვ.129).

ბაგრატ V-ს დროს საქართველო წარმოადგენდა მძლავრ სახელმწიფოს. მან (1362–1392) წლებში დაიმორჩილა დვალეთი და ჩრდილოეთ ოსეთიც.

წყაროებიდან ცნობილია, რომ ბაგრატ V-ის დროსაც, საქართველოში გრძელდებოდა შავი ჭირი. 1366 წელს ამ სენისაგან გარდაცვლილა მისი მეუღლე ელენე, რომლისაგან მას შეეძინა ორი ძე გიორგი და კონსტანტინე. 1367 წელს მეფე დაქორწინდა ტრაპიზონის მეფის ასულ ანაზე, რომლისაგან შეეძინა დავითი.

ბაგრატის დროს, ამ სენის გარდა, საქართველოს თავს დაატყდა მეორე უბედურება, შუააზიელი მხედართმთავრის, თემურლენგის სახით. რომლის ლაშქრობებმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოს და შეაფერხა მისი განვითარება.

პიველად თემურლენგი 1386 წელს შემოესია საქართველოს სამცხის მხრიდან. საქართველოს მეფემ ბაგრატ V-ემ მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ, ბოლოს დანებდა. იგი იძულებული გახდა მეფობის შენარჩუნების გამო რჯულიც გამოეცვალა და თემურმა 12-ათასიანი ლაშქრით, მოსახლეობის გასათათრებლად საქართველოში გამოაგზავნა. ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, რომ მან, როდესაც საქართველოს საზღვარს მოუახლოვდნენ, „გაგზავნა ჩინებული და სარწმუნო აზნაური რუს ეგნატაანთაგანი, და საიდუმლოდ მიუწერა მეფემან ბაგრატ ძესა თუსსა გიორგის." (6, ტ.II, გვ.330), „რომ ფარულად მივიდნენ მასთან და მიეშველონ მშობელს, რათა მას შეეძლოს გაქცევა თემურლენგის ხელიდან". (10, ტ.III, გვ.683). გიორგიმაც „და ყო ეგრე, ვითარცა მიუწერა მამან მისმან, და შემოიყარნა სპანი საქართველოსანი რჩეულნი, და დაუმზირდა გიორგი ერთსა ვიწროთა გზათა და სიმაგრეთა ზედა. რა მიინივნეს მეფე ბაგრატ და სპანი ლანგ-თემურისანი, მაშინ მიივლტოდა მეფე ბაგრატ მისა თუსისა თანა და განეწყუენეს წინაუკმო, და მიეტევნეს ქართველნი, ვითარცა ლომნი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მოსრეს და ამოსწყუტეს სრულიად თათარნი. და მოკუდა კაცი თორმეტი ათასი თათართაგანი, და არარა ევნო სპათა საქართველოსათა, და იძიეს შური პირველი. და წარვიდა თუსად მეფე ბაგრატ და ძე მისი გამარჯვებული". (6, ტ.II, გვ.330).

ამის გამგონე თემურლენგმა, „შემოიკრიბა სიმრავლე ლანგ-თემურ და წარმოემართა კუალად ქართლად და მიეტივნეს ერთმანეთსა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი". მაგრამ „სპათა სიმრავლისაგან თათართასა მძლე ექმნეს თათარნი". თათრებმა „მოითარეშეს, მოაოჭრეს და დაწვეს წმიდანი ეკლესიანი და აღაოჭრეს ქუეყნები, და ხიზანი ვერა დააჭელეს". (6, ტ.II, გვ.330).

1393 გარდაიცვალა ბაგრატ V და გამეფდა გ ი ო რ გ ი VII (1393–1407). „და დაიპყრა მეფემან გიორგი ყოველი საქართველო, და იმერნი და ამერნი." (6, ტ.II, გვ.331).

თემურლენგი რვაჯერ შემოესია საქართველოს. „სამხედრო მოქმედებას თემური 1401 და 1402 წელშიაც აწარმოებდა. ქვემო ქართლი, მესხეთი, დასავლეთ საქართველო აფხაზეთითურთ უკიდურეს ჩრდილოეთის საზღვრამდის მონღოლთა თარეშისა და სამხედრო მოქმედების ასპარეზად იქცა". (2, ტ.III, გვ.315). და „როგორც კი თემურ ლენგი შუაგულ საქართველოს გაეცალა, გიორგი VII დაბრუნდა აფხაზეთიდან და შეუდგა აოხრებული ქვეყნის მოწესრიგებას". (9, ტ.III, გვ.701).

„და რა ესმა ლანგ-თემურს დაპყრობა საქართველოსი მეფისა გიორგისაგან... წარმოგზავნა სარდალი თუსი ყარალათი სპითა მრავლითა მენინავედ, და თჳთცა უკანა გამოუდგა. და წარმოემართნეს საქართელოსა ზედა სპითა ურიცხვითა". (6, ტ.II, გვ.331). მტრის სიმრავლემ ისევ თავისი გაიტანა და ქართველები დამარცხდნენ „და ივლტოდეს, და წარვიდესა მთათა და სიმაგრეთა". (6, ტ.II, გვ.332).

1403 წელს თემურლენგი მერვედ შემოიჭრა საქართველოში და ისევ მტრის სიმრავლის გამო ქართველები ისევ დამარცხდნენ. გიორგი მეფე იძულებული გახდა ლიხსიქეთში გადასულიყო. ლიხსაქეთ საქართველოს დარბევის შემდეგ, თემურლენგი, გიორგი VII-ეს დაედევნა, გადავიდა დასავლეთ საქართველოში, ბრძოლით მივიდა აფხაზეთამდე და რადგან ქართველთა წინააღმდეგობა ვერ გატეხა და თავის მიზნის, ქართველების გათათრება, მაინც ვერ მიაღწია, „ბოლოს და ბოლოს, ისევ თემურლენგი გახდა იძულებული ეძებნა საქართველოს მეფესთან დაზავების გზა". (9, ტ.III, გვ.711). საქართველოს მეფეც გიორგი VII-ეც იძულებული გახდა, რომ 1403 წელს თემურლენგთან ზავი დაედო. ამ ზავის თანახმად, თემურლენგი „ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება. რომელიც მოპოვებულ იქნა ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლისა და უზარმაზარი მატერიალური ზარალის ფასად". (10, ტ.4, გვ.652). ლ. სანიკიძე აღნიშნავს:

„მიდიოდა თემურლენგი საქართველოდან.
მიდიოდა – უკანასკნელად მოსული და სამუდამოდ ფეხმოკვეთილი.
მიდიოდა მძიმე საფიქრალითა და საჭმუნავით დატვირთული თემური:
მართლა დაიპყრო ის, რაც „დაიპყრო"?!

17 წელიწადი ებრძვის იგი უზარმაზარი ურდოებით საქართველოს, 17 წელი! სხვა რომელ დიდ ქვეყანასთან დასჭირვებია ამოდენი დროისა და საომარ ძალთა მსხვერპლად გაღება, ამ ერთმუჭა ხალხთან ხმალთაკვეთებას რომ შეალია?! ჩვიდმეტი წლის წინ მოვიდა აქ 50 წლის ვაჟკაცი. ახლა აქედან მიდიოდა 67 წლის ბებერი... მიდიოდა და არკი იცოდა, ბოლოს და ბოლოს, მან – ოქროს ურდოს, მავერანაჰრის, ხვარაზმის, ერანის, ინდოეთის, მესოპოტამიისა და თურქეთის დამპყრობელმა – დაიპყრო თუ არა ეს ერთი ციცქნა მარცვალი დედამიწისა საქართველოს რომ ეძახიან!...

. . . . . .

დამცრობილ-დაშრეტილი მიგორავდა უკან ტაიფუნი.

თუმცა მაინც ჰქონდა ნუგეში:

„დიდი ისკანდერის ბედის რაშიც ათასჯერ მუხლებს დაიმსხვრევდა გურჯესტანის მიწაზე!

. . . . . .

მთავარი სანუგეშო მაინც ეს უნდა ყოფილიყო: დაზავებული და „დამშვიდებული“ საქართველოდან საფრთხე აღარ ელოდა“. (26, ნ.II, გვ.246).

თემურლენგის წასვლისთანავე გიორგი VII შეუდგა სახელმწიფოს მოწესრიგებას.

„ახალი ქართლის ცხოვრება“-ის, პირველ ტექსტში მოცემულია, რომ: „და მოვიდა მეფე გიორგი და დაიპყრა სამკჯდრო თჳსი ქართლი და იყო უშიშრად“. (6, ტ.II, გვ.338). ამის შემდეგ, იგი ბრძოლებს აწარმოებდა ქვეყნის გარეთ, წყაროებიდან ცნობილია, რომ იგი მისულა თავრიზამდე. ხოლო მეფობის ბოლო წლეებში, იგი ებრძოდა ამიერკავკასიაში შემოჭრილ შავბატკნიან თურქმენებს. ერთ-ერთ ამ ბრძოლის დროს, 1407 წელს გიორგი VII დაიღუპა.

წყაროებიდან ცნობილია, რომ დავით VI ნარინის შვილიშვილის, მიქელის ძის, იმერეთის ტახტის უფლების მაძიებლის, ბაგრატ I ერისთავის 1372 წ. გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მეფემ ბაგრატ V დიდმა იმერეთის ერისთავად დაამტკიცა ბაგრატ I-ის ძე ალექსანდრე, რომლის ადგილ-სამყოფელი იყო **შორაპანი**. თემურლენგის მიერ ბაგრატ V-ის დატყვევების დროს, ალექსანდრემ თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. იმერეთის მეფეს (1387–1389) ალექსანდრე I-ს არ ცნობდნენ: სვანეთის, გურიის, ოდიშის და ცხუმის ერისთავები. 1389 წ. მისი გარდაცვალების შემდეგ იმერეთის მეფე გახდა (1389–1392) ბაგრატ I ერისთავის ძე გიორგი I (გ. 1392). „ლიხთ-სიქეთის სამეფო“-ს მთავრები მასაც მეფედ არ თვლიდნენ. იგი ებრძოდა განდგომილ მთავრებს და შეძლო მონინააღმდეგეთა ზოგიერთი ციხე-სიმაგრეების დაკავება. „1390 მან აფხაზეთის კათალიკოსად თავისი მომხრე არსენი დასვა და ამით სასულიერო ფეოდალთა წრეშიც დასაყრდენი გაიჩინა.“ (10, ტ.3, გვ.159). 1392 წელს გაილაშქრა ოდიშის ერისთავის (1384–1396) ვამეყ I დადიანის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და თვითონაც ამ ბრძოლის დროს დაიღუპა. იმერეთის სამეფო ისევ საერისთავო გახდა.

გიორგი VII-ის შემდეგ საქართველოს მეფე (1407–1411) გახდა კონსტანტინე I (გ. 1411) ბაგრატ V-ეს ძე. „ახალი ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ:

„და მეფობდა მეფობითა კეთილითა, და არღარა იყო წყენა თათართაგან. მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი, მსახურობდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა. არა სად იყო წყენა ქრისტიანეთა: იყო მოსუენება და დაწყნარება“. (10, ტ.II, გვ.343). არშიაზე აღნიშნულია, რომ კონსტანტინე „გიორგის [მეფის] ძე იყო და არა ბაგრატისი“.

წყაროებიდან ირკვევა, რომ თემურლენგის შემოსევების შედეგად საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირებულა. როდესაც ირანის აზერბაიჯანის მმართველი ყარა იუსუფი (გ. 1420) შირვანს თავს დაესხა, შირვანის მფლობელის თხოვნით, დასახმარებლად ჩასულ კონსტანტინეს მხოლოდ 2 000 მხედარი ახლდა და 1412 წელს **ჩალაღანთან** გამართულ ბრძოლის დროს, „თავგანწირული ბრძოლისა და გამაცვიფრებელი სიმამაცისდა მიუხედავად, რომელიც სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, საქართველოს ჯარსა და თვით კონსტანტინე მეფეს გამოუჩენია, გამარჯვება მაინც ყარა უსუფს ერგო. კონსტანტინე მეფე და სხვა ქართველი გამოჩენილი სარდლები ტყვედ ჩაუვარდნენ. ტყვეობაშიც მათ თავიანთი თავი დამოუკიდებულად და მედიდურად ეჭირათ და ამით განრისხებულმა ყარა-იუსუფმა საქართველოს მეფე პირადად თავისი ხელით მოკლა, ხოლო

დანარჩენი ქართველი სარდლები თავის მახლობელს მოაკვლევინა". (2, ტ.III, გვ.425). ცნობილია, რომ ზოგიერთ საკითხში კონსტანტინე გიორგი VII-ეს არ ეთანხმებოდა. „შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ თემურლენგი ამ შემთხვევით ისარგებლებდა და კონსტანტინე ბატონიშვილს მისი ძმის გიორგი მეფის წინააღმდეგ იარაღად გამოიყენებდა. მაგრამ კონსტანტინე ბატონიშვილს თავისი თავი მტრის იარაღად არ უქცევია და არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ მას, ან გიორგი მეფის, ანდა საქართველოს საწინააღმდეგოდ რაიმე ჩაედინოს". (2, ტ.III, გვ.419). გიორგი VII და კონსტანტინე I ცდილობდნენ თემურლენგის მიერ გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას. მათ დაუწყიათ აგრეთვე, დანგრეული ციხეებისა და ეკლესიების აღდგენა-შეკეთება.

კონსტანტინე I-ის შემდეგ 1412 წელს გამეფდა მისი ძე ალექსანდრე I (1382/90– 1443) დიდი. „ამის მეფობამდე მუდამი ტყუენვა, რბევა და მოოჴრება ჰქონდა ქვეყანასა ჩუენსა, რომელ ქართლი დიდად შემცირებული იყო მრავლის ტყუენვისა და რბევისაგან, და არა სადათ ალუჩნდათ ნუგეშინის მცემელი, ვიდრემდის არა მეფე იქმნა დიდი ალექსანდრე". (6, ტ.II, გვ.473). წყაროებიდან ჩანს, რომ მეფობის დასაწყისშივე, ალექსანდრე I-ეს მოუხდა თურქმანთა შემოტეევების მოგერიება. ხოლო შემეგ შეუდგა ურჩი მთავრების დამორჩილებას, რომლებიც მუდმივად ერთმანეთს მტრობდნენ და დამოუკიდებლობისაკენ მიილტვოდნენ. ალექსანდრემ ზოგი მთავრები დააპატიმრა, ზოგიერთი საქართველოდან გააძევა და ერისთავობაც ჩამოართვა. მათ ადგილას ერთგული ქვეშევრდომები დანიშნა. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს:

„XV საუკ. საქართველოს ცხოვრების უმთავრესს უბედურებას, ამ საუკუნის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში მაინც, იმდენად გარეშე მტერი არა, რამდენადაც შინაური, ძმათაშორისი ბრძოლა შეადგენდა. უეჭველია ამ საუკუნეში ჩვენის სამშობლო ამ შინაურმა ბრძოლამ უფრო დაუძლურა, ვიდრე გარეშე მტრის შემოსევამ, რომელიც ამ დროს შედარებით არც ხშირი ყოფილა და არც წინანდებურად გამანადგურებელი.....

ალექსანდრე I ეს მოძრაობა თუმცა ალაგმა, მაგრამ, როგორც ეტყობა, მხოლოდ ნაწილობრივ. მისი სრული მოსპობისათვის ორი ხელისუფლება იბრძოდა: საერო და სასულიერო მთავრობა. თემური განკერძოების მომხრენიც თავის მხრივ მარტო სახელმწიფოს მთლიანობის დაშლა-დანაწილებისათვის კი არ იღწვოდნენ, არამედ თვით ქართულ ეკლესიასაც კი არ ზოგავდნენ და მისი მთლიანობის დარღვევასაც არ მოჰრიდებიან". (2, ტ.IV, გვ.172).

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ალექსანდრე I „გამეფებისთანავე ჯერ სამეგრელოში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში გადასულა ლაშქრით და ქვეყანა მოუმტკიცებია". (2, ტ.IV, გვ.28). 1414 წელს ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი მამია II დადიანი (1396–1414) თავს დაესხა აფხაზეთის ერისმთავარს შარვაშიძეს. აფხაზებს ოდიშელები სასტიკად დაუმარცხებიათ და ამ ბრძოლის დროს თვითონ მამიაც დაღუპულა. ამ ამბის გაგონებისთანავე ალექსანდრე მეფე გადასულა სამეგრელოში, მას მიგებებია მამიას შვილი ლიპარიტი, რომელსაც მამის შეცდომის შენდობა უთხოვია. ალექსანდრეს შეუნდვია და სამეგრელოს მთავრად დაუნიშნავს. ოდიშის ერისთავი გახდა ლიპარიტ I დადიანი (1414–1470). მის დროს ოდიშის სამთავრო გახდა სინამდვილეში დამოუკიდებელი. შემდგომში, იგი დაეხმარა ბაგრატ VI-ეს ბრძოლაში და ამის სანაცვლოდ მეფემ იგი გაანთავისუფლა ყოველგვარი სამეფო ვალდებულებისაგან, გარდა ლაშქრობა-ნადირობისაგან. მთავრად დანიშვნის შემდეგ, მისივე თანხლებით, ალექსანდრე I გადასულა აფხაზეთში. შარვაშიძესაც მორჩილება გამოუცხადებია.

1415 წელს სამცხის ათაბაგი (1391–1444) ივანე II ჯაყელი გაემართა ალექსანდრე I-ის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ, ადრე, 1401 წელს ივანე ათაბაგმა, გიორგი VII-ეს უღალატა და მიემხრო თემურლენგს. შემდეგ, ცდილობდა, რომ სამცხე ეკლესიურადაც ცალკე გამოყოფოდა საქართველოს საკათალიკოსოს, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. ასპინძასთან, კოხტასთავს, გამართულ ბრძოლაში, ალექსანდრემ ივანე დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. „ათაბაგის შეპყრობის შემდეგ მეფე «შეეიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორიაპყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი». დატუსაღებულმა ათაბაგმა ახლა კი შენდობაპატიების თხოვნა და ერთგულების შეფიცვა იკადრა. ალექსანდრე მეფემ აპატია, «განაგნა და დაამშვიდნა მუნე-

ბურნი სიბრძნე-მეცნიერებითა თვისითა და მოვიდა ტფილისს»". (2, ტ.IV, გვ.28). როგორც ვხედავთ, ალექსანდრე I-მა მოახერხა ურჩი მთავრების დამორჩილება და იგი გახდა გაერთიანებული საქართველოს მეფე.

„ალექსანდრე მეფე სრულიად საქართველოს მბრძანებელი იყო: მას «ორივე სამეფო» ემორჩილებოდა და ეს გარემოება ხაზგასმით აქვს აღნიშნული თავის სიგელებშიაც. «მე... ორისავე სამეფოსა მტკიცედ, შეუჭრეთლად და შეურყევლად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთა მეფემან ალექსანდრე»-მაო, «ჩუენ... ორთავე სამეფოთა ტახტისა მპყრობელმან... მეფეთა მეფემან ალექსანდრე»-ო.

ალექსანდრე მეფე ტყუილად არ სთვლიდა თავის თავს ორისავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელად. აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო გაერთიანებული იყო და გზებიც გახსნილი ყოფილა." (2, ტ.IV, გვ.30).

ამის შემდეგ მან დაიწყო ბრძოლა მტრისაგან დაპყრობილი მიწა-წყლის დასაბრუნებლად. ალექსანდრე I-ს გამეფებისთანავე მოუხდა თურქმანთა ტომების შემოტევების მოგერიება. მხოლოდ 1415 წლიდან შეძლო ქვეყნის შიდა საკითხებისათვის მიეხედა და დაეწყო მტრის მიერ განადგურებული ქვეყნის აღორძინება. მაგრამ, მეფობის ბოლოს, XV ს–ის სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფეცის თქმით, 1440 წელს, აზერბაიჯანისა და ირანის ჩრდილოეთის მიწა-წყალზე ჩამოყალიბებულ ყარა-ყოიუნლუს (შაებატკნიანთა) თურქმანთა სახელმწიფოს გამგებელმა ჯეჰან-შაჰმა, ალექსანდრე I-ს მოსთხოვა დამორჩილება და ხარკის გადახდა. მეფეს უარი შეუთვლია. ჯეჰან-შაჰი მოულოდნელად, აღდგომის დღეს, საქართველოში შემოჭრილა. ხოცვა-ჯლეტით თბილისისაკენ წამოსულა, აუღია კიდეც და საშინლად აუოხრებია. მიუხედავად ამ მარცხისა, ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ:

„ალექსანდრე მეფემ საქართველოს დაუბრუნა ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა. შიგნით ქვეყნის ერთობა და მთლიანობა განამტკიცა. ზოგი მოსაზღვრე ქვეყანანიც, რომელნიც წინათ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა, კვლავ საქართველოსვე შემოუერთა". (2, ტ.IV, გვ.32).

ალექსანდრე I აღმშენებლობით საქმეანობასაც ეწეოდა. მან განაახლა სვეტიცხოველი და დანგრეული ციხეები და ეკლესია-მონასტრები.

მაგრამ, ალექსანდრეს მეფობის ბოლო წლებში ჩანს, რომ ხელისუფლების სიძლიერე შესუსტებულა. წყაროებიდან ირკვევა, რომ მეფეს ჰყავდა ორი მეუღლე და ოთხი ვაჟი: ვახტანგი, დემეტრე, გიორგი და დავითი; ამის გარდა მას ჰყოლია უმცროსი ძმები: ბაგრატი და გიორგი. „და ყველა ისინი – ცოლები, შვილები, ძმები და კიდევ სხვა მოყვარე და ნათესავნი – თავგამოდებით ცდილობდნენ ხელი ეფათურებინათ ერთმფლობელი ხელმწიფის საქმეებში". (26, წ.II, გვ.258). ეტყობა, რომ სამეფო ოჯახში უთანხმოების გამო, ალექსანდრე I-მა 1442 წელს მეფობა გადასცა უფროს ძეს ვახტანგს, „ხოლო თჳთ მეფემან ალექსანდრე სახე მონაზონებისა შეიმოსა, და უწოდეს სახელად ათანასე. და აღაშენნა მისთჳს სენაკნი და სახლნი დიდნი ქვითკირისანი მცხეთას მისგან აღშენებულს მთავარ-ანგელოზის ეკუდერთანა, და მუნ დადგა, ვიდრემდის ცხოვრობდა, სასოებითა და მოლუაწებითა". (6, ტ.II, გვ.475).

საქართველოს მეფის (1442–1446) ვახტანგ IV-ის შესახებ მეტად მცირე ცნობებია მოცემული. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, 1444 წელს მას ბრძოლა მოუხდა, საქართველოში (მესხეთში) მეორედ შემოჭრილ, ჯეშან-შაჰის წინააღმდეგ. ვახტანგ IV-ს, მესხებთან ერთად, ახალციხესთან, მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია. იმავე საღამოს შაჰს ბრძოლის ველი მიუტოვებია და მესხეთიდან გაპარულა.

წყაროებიდან ჩანს, რომ ვახტანგსაც დიდგვაროვანი ფეოდალები ღალატობდნენ და მას ზოგიერთებისათვის მამულებიც კი ჩამოურთმევია.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა, მისი ნახევარძმა გიორგი VIII (1446–1466). „თუმცა გიორგი მეფე თავის თავს ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერის საქართველოს გამაერთიანებლად და ორისავე ტახტის მპყრობლადა სთვლიდა, მაგრამ ნამდვილად არც სამეგრელო-აფხაზეთი, არც გურია და არც სამცხე-საათაბაგო უკვე პირდაპირ მას აღარ ემორჩილებოდნენ. მაშასადამე, მისი სამეფო მხ-

ოლოდ-ღა იმერეთს, ქართლსა და ქიზიყ-კახეთს შეიცავდა. ამგვარად, აშკარა ხდება, რომ შავ ზღვას გიორგი მეფის საბრძანებელი უკვე ჩამოშორებული ყოფილა. თავი წამოყვეს საქართველოს ყმად ნაფიცმა მეზობლებმაც. «უკუდგნენ შირვანელნი და არღარა მისცნეს ხარკნი. ამისათვის შეიკრიბნა (გიორგი) მეფემან სპანი და შევიდა ყაბალას, წარავლინა სპანი და მოსრნა ურჩნი და დაამშვიდნა სხვანი, შეჰკვეთნა ხარკნი და მოვიდა თავისად»-ო". (2, ტ.IV, გვ.59).

გიორგი VIII მეფობის დასაწყისში, საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ალექსანდრე I-ის დროინდელ მდგომარეობას, მაგრამ, მეფობის ბოლოს, წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს ერთხელისუფლება დაირღვა და წარმოიქმნა სამთავროები: **ქართლის, კახეთის, აფხაზეთ-სამეგრელოს, გურიის და სამცხე-მესხეთის სამთავროები. აფხაზეთ-სამეგრელოში შედიოდა აჭარაც.** ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით: „გიორგი მეფე იყო «პირველ მეფობასა ბედნიერი და წარმატებული, არამედ შემდგომად უბრკმა ბრძოლისა სვიანობამან შარავანდედობისამან და განსქდა ჟამსა ამისსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ». აქ, მაშასადამე, ბატონიშვილ ვახუშტს გიორგი მეფისაგან საქართველოს ნებაყოფლობითს გაყოფაზე კი არა აქვს საუბარი, არამედ ისეთ განხეთქაზე, რომელიც მისდა უნებურად და მის ყოველგვარ ცდისდა მიუხედავად მოხდა". (2, ტ.IV, გვ.89). ასე, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინამდვილეში გიორგი VIII-ეს ემორჩილებოდა **ქართლი, იმერეთი** და **კახეთი.**

ხოლო „დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საბედიანოს (ამ დროს აერთიანებდა სამეგრელო-აფხაზეთს), გურიისა და ასევე სამცხე-მესხეთის სამთავროები თავიანთ დამოუკიდებლობას მკვეთრად ამჟღავნებდნენ. მათ ჰყავდათ საკუთარი ჯარი და ანარმოებდნენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. ამგვარად, ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა აშკარად დაწყებული იყო. ყველაზე ადრე და ყველაზე მეტად სრული განკერძოების გზას სამცხის სამთავრო დაადგა". (9, ტ.III, გვ.734).

წყაროებიდან ცნობილია, რომ 1459 წელს გიორგი მეფეს მოუხერხებია მთავრების დამორჩილება და მათთან ხელშეკრულების დადება. რასაც წერილობით ატყობინებდა ბურგუნდიის მთავარს და 1460 წელს კი საქართველოდან გაგზავნილი ევროპაში ელჩები აცხადებდნენ, რომ საქართველოს სამეფო, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებიც, „ოსმალთა საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებდნენ". (2, ტ.IV, გვ.65). ი. ჯავახიშვილის თქმით, გიორგი მეფესა და სამცხე-მესხეთის სამთავროს, იმ დროს შეეძლო 60 000-ის მოლაშქრის, ხოლო სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს, მხოლოდ 10 000-დე მოლაშქრის გამოყვანა.

ისტორიკოსის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის (ბაგრატიონი) (1696–1787) გადმოცემით, 1462 წელს, გიორგი VIII-ს აუჯანყდა სამოქალაქოს (ქუთაისის ოლქის) ერისთავი, იმერეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი ბაგრატი და მათ შორის, **ჩიხორთან**, გაიმართა ბრძოლა. გიორგი VIII დამარცხდა და ქართლში გადავიდა. ხოლო ბაგრატმა „ყვარყვარე ათაბაგის „განზრახვით" იწყო: «ზრახვად იმერთა ერისთავმან ბაგრატ ძემან დიმიტრისამან, რათა ჰყონ იგი მეფედ და აღუთქვა თავისუფლება დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანთა. ესე სთნდათ მთავართა მათ» და «ჰყვეს მეფედ იმერთა»-ო „აღიღო ქუთაისი და ეკურთხა მუნ მეფედ". (2, ტ.IV, გვ.75). ამრიგად, იგი (1463–1466) იმერეთის მეფე გახდა, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში, ბაგრატ II-ის (დაახლ. 1439–1478) წოდებით.

1447 წლიდან სამცხე-მესხეთის სამთავროს ათაბაგი (1451–1498) ყვარყვარე II ჯაყელი (1416–1498) აშკარად დაადგა დამოუკიდებლობის გზას. იგი შეეცადა მესხეთის ეკლესიაც ჩამოეშორებინა საქართველოს საკათალიკოსოსაგან, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლო.

1465 წელს ყვარყვარე II ჯაყელმა ღალატით მოახერხა გიორგი VIII მეფის ხელში ჩაგდება. ამით ისარგებლა, იმერეთის მეფემ ბაგრატ II-ემ, ქართლში გადავიდა და 1466 წელს თავი მეფედ გამოაცხადა (ლიტერატურაში ბაგრატ VI).

ამავე წელსვე, „ყვარყვარემ მეფის დაპატიმრებით რომ ვერაფერი სარგებლობა ნახა, გაანთავისუფლა იგი, ეგებ ბაგრატსა და მეფე გიორგის ერთმანეთთან ბრძოლით მოვითბო ხელიო". (10, ტ.3, გვ.740). მაგრამ, გიორგი VIII ბაგრატის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა და იგი 1466 წელს იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო და იქ გამეფებულიყო (1466–1476) გიორგი I-ის წოდებით. ამის შემდეგ კახეთი ცალკე სამეფო გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბერი ეგნატაშვილი“ მოგვითხრობს: „ესე მეფე ბაგრატ იყო მორჭმული სახელოვანი. ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი, და ჰმონებდენ პიტიახშნი ლორისა, კახეთისა, შირვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიელნი კავკასიანნი“. (6, ტ.II, გვ.342); და ქართლ-იმერეთის მეფე (1466–1478) ბ ა გ რ ა ტ VI თავის თავს უწოდებდა სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფედ, მის ერთ-ერთ სიგელში აღნიშნულია: „ჩ ვ ე ნ ო რ ი ს ა ვ ე ტ ა ხ ტ ი ს ა დ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ლ ი ხ თ ი მ ე რ ი ს ა დ ა ლ ი ხ თ ა მ ე რ ი ს ა ღ ̄თ ი ვ გ ვ ი რ გ ვ ი ნ ო ს ა ნ მ ა ნ მ ე ფ ე თ - მ ე ფ ე მ ა ნ ბ ა გ რ ა ტ დ ა ძ მ ა მ ა ნ ჩ ვ ე ნ მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ნ ებითა მღ ̄თისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფის, შანშა და შარვანშა და ყოველთა აღმოსავლეთისა დასავლეთამდის თვითმფლობით ჴელმწიფედ მპყრობელისა....“ (2, ტ.IV, გვ.94)], სინამდვილეში იგი მხოლოდ ქართლსა და დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე წარმოქმნილ საბედიანოს ფლობდა, „რომელსაც სამეგრელოს მთავარი „ბედიანი“, იგივე „დადიან-გურიელი“ მართავდა. ამ სამთავროს საკუთარი მართვა-გამგეობა, საკუთარი ჯარი და საზღვრები ჰქონდა. აქ შედიოდა გურია, სამეგრელო, აფხაზეთი ქალაქებით: ცხუმი (სოხუმი), ფოთი, ქაჯთა ციხე (ახლანდელი ციხისძირი) და ბათუმი.“ (9, ტ.III, გვ.740).

ცნობილია, რომ სიტყვა „**საბედიანო**“ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ი. ჯავახიშვილმა XV ს-ის II ნახევრის ოდიშის (სამეგრელოს) აღსანიშნავად. იგი აღნიშნავს, რომ „XV საუკუნის პირველ წლებში“, „საქართველო უკვე მკვეთრად იყო სამთავროებად დაყოფილი, თუმცა მთლიანობა ჯერ დარღვეული არ იყო: აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროს წარმოადგენდა. ამ სამთავროს სათავეში ბ ე დ ი ა ნ ი იდგა“. „აფხაზეთი და სამეგრელო ცალ-ცალკე საგამგეო ერთეულებს წარმოადგენდნენ. აფხაზეთის მთავარ ქალაქად მაშინ ცხუმი ითვლებოდა, სამეგრელოს მთავარი ქალაქი კი ბ ა თ უ მ ი იყო და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარს მაშინ გურია და აჭარაც სჭერია. მას შემდგომ ცვლილება მომხდარა: 1459 წლისათვის გურია სამეგრელოს ჩამოჰშორებია. ის ცალკე სამთავროს წარმოადგენდა. აფხაზეთი და სამეგრელო კი ერთ სამთავროდ ქცეულა და მისი მართვა-გამგეობა ბედიანს ჩაუგდია ხელში.

აფხაზეთ-სამეგრელოს მთავარი, ასეთი გაძლიერებისდა მიუხედავად, მაინც საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში დაეტია და ჩამოშორების მიზანი ამ ხანაში მაინც მას დასახული არ ჰქონდა.....

ამრიგად, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა, მართალია ჯერ დარღვეული არ იყო, მაგრამ რღვევის პროცესის დასაწყისი უკვე საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს. ყველაზე ძლიერად ეს მესხეთის მთავართა პოლიტიკაში იყო გამოხატული“. (2, III, გვ.435).

ბაგრატ VI-ის დროს, საბედიანომ მეფის ხელისუფლებისაგან განთავისუფლება მოიწადინა. „ახალი ქართლის ცხოვრება“-ში პირველ ტექსტში, აღნიშნულია, რომ:

„ამას შინა უკუდგნეს დადიანი, გურიელი, და უკუიტანნეს ოდიშარნი და აფხაზნი. შეიყარნეს ერთად და არღარა მსახურებდეს ბაგრატ მეფესა. იწყინა მეფემან და შეიყარა და მივიდა და დადგა ცხენისწყალზედა; იქით ისინი მოდგეს რაზმითა და შეიბნეს. იპრიანა ღმერთმან და გაიქცნენ დადიანი, ოდიშარნი, დაჴოცეს და დაატყუეევს და ამოსწყჴტნეს ქართველთა, მიჰყვნეს თანა, ჩაუდგნენ შინა, დაწვეს და დააქცივეს ციხენი, სიმაგრენი. მობრუნდეს გამარჯუებულნი და წარმოიყვანეს თანა ტყუე, მძევალი. ამაზედ არღარა ჰქონდა თავი ჴელთა მეფესა“. (6, ტ.II, გვ.342).

გიორგი მეფისა და ბაგრატს შორის დაპირისპირების დროს, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი ყვარყვარე II ჯაყელი აღარ ემორჩილებოდა მეფეს. როდესაც გიორგი მეფემ უბრძანა მას ჯარით მიშველებოდა, „იგი თურმე სამცხიდან არ დაიძრა და გარეშე მაყურებლობა ირჩია: «მჭვრეტელი საქმისა თუ რაჲ იქნების». მისი წაბაძულობით სხვებიც განზე გადგნენ და «არცალა უშველეს ბაგრატს დადიანმა, გურიელმან, აფხაზთა და სვანთა»“, (2, ტ.IV, გვ.75).

„ბედიანის საგამგეოში, ან სამთავროში აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და აჭარა შედიოდა. ჩრდილოეთით მას კავკასიონის ქედი საზღვრავდა, სამხრეთით მდინარე ჭოროხი. ჭოროხს იქით უკვე ოსმალეთი იყო გაბატონებული. მას ჰქონდა ჩაგდებული საქართველოს ამაზე უფრო სამხრეთით მდებარე ყველა თემები.

ბ ა თ უ მ ი, იმ დროს პატარა ციხე-ქალაქი, საბედიანოს ეკუთვნოდა. ამგვარად, ბაგრატ მეფის უშუალო მფლობელობაში მყოფი მიწაწყლის დასავლეთის საზღვარი ცხენისწყლიდან იწყებოდა,

მთელი დანარჩენი ლიხთ-იმერეთი შედიოდა და აღმოსავლეთ საქართველოში კახთა მეფის საზღვრამდე აღწევდა." (2, ტ.III, გვ.445).

ი. ჯავახიშვილის თქმით, ბაგრატი საერთოდ, „სრულ პოლიტიკურ სიბეცეს ამჟღავნებდა", სანამ იგი საქართველოს მეფე გახდებოდა, მან მოინდომა „საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა". „იმერეთის, გურია-ოდიშის, აფხაზეთის, აჭარის, შავშეთის და კლარჯეთის ყველა ეკლესიების" გამოყოფა და აფხაზეთის კათალიკოსისათვის დაქვემდებარება. ერთ ხანს ამას მიაღწია კიდეეაც. (2, ტ.III, გვ.447). (იხილეთ ქვევით).

1447 წელს, როდესაც აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს (ირანის) გამგებელი (1453–1478) უზუნჰასანი (დაახლ. 1423–1475) მოულოდნელად საქართველოს თავს დაესხა, „ბაგრატ მეფემ მტრის შემოსევის ამბავი მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა უზუნ-ჰასანის მეწინავე ათასეულები უკვე ტფილისის სანახებში ამოინწვართნენ.

მეფის ყველაზე დიდი „გმირობა" ესღა იყო, რომ მოსახლეობა სასწრაფოდ გახიზნა სატახტოდან და ახლომახლო სოფლებიდან". (26, ნ.II, გვ.280).

უზუნ-ჰასანმა უბრძოლველად თბილისი და გორი აიღო, სამცხეც მოაოხრა და აწყურის საკათედრო ტაძარიც გაძარცვა. „ბაგრატს არც გამბედაობა, არც საჭირო თაოსნობა არ აღმოაჩნდა, რომ მას შემდგომ მაინც, რაც მტერი შემოესია, ძალა მოეკრიფა და უზუნ-ჰასანის ლაშქრისათვის სადმე წინააღმდეგობა გაეწია. პირიქით, ბაგრატს მალე სურვილი აღეძრა უზუნ-ჰასანს დაზავებოდა." (2, ტ.III, გვ.450). ირანის მბრძანებელმა 16 ათასი დუკატი მიიღო და საქართველომ ყოველწლიური ხარკიც იკისრა. დაზავების შემდეგ, უზუნ-ჰასანი საქართველოს გაეცალა. თუმცა, „სპარსეთის ბატონს სომხითისა და ლორის ველის გარდა საქართველოს დედაქალაქი თბილისიც შეუნარჩუნებია.... 5000-მდე მარტო ტყვე წაუყვანია უზუნ-ჰასანს საქართველოთგან". (2, ტ.IV, გვ.122) და „აწყურის განთქმული ხატი თან წაუღია". (9, ტ.III, გვ.743). ი. ჯავახიშვილის თქმით: „საქართველოს ჯერ კიდევ გიორგი მეფის დროს 70 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო, უზუნ-ჰასანს-კი 40 ათასზე მეტი მოლაშქრე არ მოუყვანია თან, როდესაც საქართველოს შემოესია. საქართველოში რომ თანხმობა ყოფილიყო, ცხადია, საქართველოს არამც თუ მტრის მოგერიება შეეძლო, არამედ თვითონაც სამაგიეროს გადახდის საშუალება ექნებოდა და უზუნ-ჰასანის დამარცხებასაც შესძლებდა, მაგრამ შინაური ბრძოლით და ქვეყნის აოხრებით განამებული ხალხი და პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველო მტრის თარეშის ასპარეზად უნდა ქცეულიყო" (2, ტ.III, გვ.450).

„მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭას, იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა. აღიღეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან". (6, ტ.II, გვ.342).

„ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ (1478 ნ.) მისი შვილი ალექსანდრე შეეცადა ტახტის დაჭერას, მაგრამ ვერ შეძლო და რაჭა-ლეჩხუმში დასადგურდა". (9, ტ.III. გვ.748).

რა თქმა უნდა, XV საუკუნის ბოლოს, საქართველო უკვე აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან შეკრულ ქვეყანას. საქართველო მტრების, განსაკუთრებით თემურლენგის, შემოსევების შემდეგ ქვეყანა საშინელ დღეში იმყოფებოდა. როგორც პოლიტიკურად, ასევე კულტურულადაც და ზნეობრივობითაც. მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებული და დაბეჩავებული იყო. მთავარი მიზეზი ამ უბედურებისა მაინც შინა-აშლილობა, ძმათაშორის დაუნდობელი ბრძოლა, სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა და თანდათან საქართველოს ეკლესიის, ამ სულიერ-კულტურის ერთობის შემაერთებელი ძალის დაკარგვა იყო.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ყველაფერმა ამან გამოიწვია მეურნეობის, ეკონომიური მდგომარეობის და რაც მთავარი იყო ზნეობრივადაც დაცემა. ამ დროს გავრცელებული ყოფილა მეკობრიობა, განსაკუთრებით აფხაზეთში.

„XV ს. უკვე ორმოციან-ორმოცდაათიან წლებიდან მოყოლებული შინაურობაში მეფე-მთავართა შორის ამტყდარმა ბრძოლამ არამცთუ საქართველოს გამოკეთება შეაჩერა, არამედ თანდათანობით მას პოლიტიკური მთლიანობაც-კი მოუსპო და სამ სამეფოდა და სამთავროებად აქცია. საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ენებაც მთავრებისა და დიდგვარიან აზნაურების თავგასულობამ, უგნურმა ქცევამა და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა. ყოველი დიდი თემის მმართველი გამთავრების დაუშრეტელი პატივმოყვარების სენითა და ბორგნეულობით

(მანიით) აღმოჩნდა შეპყრობილი. თითოეულს მათგანს საქართველოში გაბატონების იმედი ჰქონდა და დაუცხრომელი ნადილი უღვიოდა გულში". (2. ტ.III, გვ. 458).

„ქართველ ხალხს სამი სამეფო და ამდენივე კარ-დარბაზი მრავალრიცხოვან მოხელეებითურთ უნდა შეენახა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა მას მთავრებისა და დიდებულ-აზნაურების ქვეყნის დამღუპველი ეს პოლიტიკა". (2, ტ.III, გვ.459) და ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ ი. ჯავახიშვილის თქმით: „იტალიელ დესპანთა სიტყვითაცა და ქართული სიგელებიდგანაც ჩანს, რომ საბედიანოში, განსაკუთრებით აფხაზეთ-სამეგრელოში ხალხი კულტურულად დაქვეითებული ყოფილა, სასოფლო მეურნეობაცა და მრეწველობა-აღებმიცემობაც იმდენად დაცემულა, რომ ხალხი გაღარიბებული და გონებრივად ჩამორჩენილი ყოფილა, ცოდნაც ჰკლებია. ხოლო მუშაობის უნარი და შრომის ნაყოფიერება იმდენად მოდუნებული ჰქონია, რომ ამ ბუნებით უხვად დაჯილდოებულსა და კურთხეულს კუთხეში მკვიდრთ არამც თუ უცხოეთში ცოტა რამის გატანა შეეძლოთ, თავიანთ თავის გამოკვება და რჩენაც-კი უძნელდებოდათ თურმე". (2, ტ.IV, გვ.105).

1478 წელს ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, შეტაკება მოხდა ბაგრატის ძის ალექსანდრესა და ალექსანდრე I დიდის ძის, დემეტრეს (დიმიტრის) შვილის, კონსტანტინეს, შორის. რომელსაც ემხრობოდნენ: შარვაშიძე, დადიანი, გურიელი და სხვა მთავრები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე დამარცხდა და რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა.

ქართლ-იმერეთში გამეფდა კონსტანტინე II (1478–1505). მართალია, „ახალი ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ კონსტანტინე მეფე „მეფობდა მეფობითა კეთილითა, და არღარა იყო წყენა თათართაგან. მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა. არა სადა იყო წყენა ქრისტიანეთა: იყო მისუენება და დაწყნარება". (6, ტ.II, გვ.343). მაგრამ, სინამდვილეში, ეს სიმართლეს არ შეეფერება. 1483 წელს კონსტანტინე II-ს დაუპირისპირდა ყვარყვარე II ჯაყელი და მათ შორის გამართულ ბრძოლაში კონსტანტინე დამარცხდა. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ და 1484 წელს თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. ალექსანდრე II-ემ (1484–1510) მხოლოდ მცირე ხნით შეძლო იმერეთის ტახტის დაუფლება. ქართლის მეფე კონსტანტინე II იმერეთს არ თმობდა და მან 1487 წელს ქუთაისიდან ალექსანდრე გააძევა. მხოლოდ, 1489 წელს ალექსანდრე II საბოლოოდ დაეუფლა იმერეთის სამეფოს, დადიან-გურიელიც დაიმორჩილა და თვითონ დაიწყო ბრძოლა ქართლის შემოსაერთებლად. 1509 წელს, ალექსანდრე II-მ მცირე ხნით შეძლო კიდევაც ქართლის ჩრდილო-დასავლეთი მხარის დაპყრობა. ოსმალთა იმერეთში შემოსევების გამო, იგი იძულებული იყო ქართლი დაეტოვებინა. სპარსელების შემოსევებისა და მთავრების ურთიერთ მტრობის გამო, 1490 წლების დასაწყისში კონსტანტინე II იძულებული გახდა ეღიარებინა და ეცნო საქართველოს სამეფოს დაშლა, ქართლის, კახეთის და იმერეთის, ცალკეულ სამეფოებად.

„ტფილისში სადარბაზოდ შეიყარნენ:

ქართლის მეფე კონსტანტინე II

კახეთის მეფე ალექსანდრე I გიორგის ძე

სამცხის მთავარი ყვარყვარე ათაბაგი

და ხელი მოაწერეს ზავს, რომლითაც გამოცხადდა საზღვრები ერთ დროს ერთიანი საქართველოს ნიაღიდან ახალ, სუსტ ყლორტებად აღმოცენებულ „საქართველოებისა". (26, ნ.2, გვ. 289).

„აღარ არსებობს „იმპერია" საქართველოსი „ნიკოფსით დარუბადამდის".

საქართველოს ნანგრევებზე წარმოქმნილან „საქართველოები":

ქართლის სამეფო

კახეთის სამეფო

იმერეთის სამეფო

სამცხის სამეფო.

იმერთა სამეფოდან ცალკე იქაჩება: საბედიანო-სამეგრელო, აფხაზეთი, გურია.

განცალკევებისაკენ მიისწრაფვიან XV საუკუნის პირმშონი – სათავადოები. ახალი მიკრომონარქიანი". (26, ნ.2, გვ. 296).

ასე, რომ XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწყისში, გარე ძალების შემწეობით, მთავართა ურთიერთ დაპირისპირებისა და ერთმანეთთან შეუთანხმოებლის გამო, საქართველო დაიშალა ცალკეულ: **ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ**. რასაც მოჰყვა, თვითეულ სამეფოში, ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების: **გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების ჩამოყალიბება**. გარდა ამისა, თვითეულ სამეფოებში ჩამოყალიბდა ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული: ქართლის სამეფოში – **ქსნის და არაგვის საერისთავოები**, იმერეთის სამეფოში – **რაჭის საერისთავო** და სხვ. ამან კი მთლიანად მოშალა საქართველოს ერთიანობა და ასე გაგრძელდა საუკუნეების განმავლობაში.

ი. ჯავახიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთლიანობა დაირღვა და სამთავროებად დაიშალა და „შექმნილი ქართული სამეფოები და სამთავროები მართალია ურთიერთს ხშირად ებრძოდნენ და რაკი თითოეული თავის საბრძანებლის საზღვრის გაფართოებასა ცდილობდა. ამ სამეფო-სამთავროების მოხაზულობა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ მაინც ყველა ამ ერთეულებს უეჭველია თავიანთი ჩვეულებრივი და ასე თუ ისე უდავო საზღვრებიც ექნებოდათ. ეს ჯერ ერთი იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ თითოეული ამ ერთეულთაგანი ამა თუ იმ წინანდელს თემს წარმოადგენდა, როგორც მაგალითად გურია, სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი, ქართლი, იმერეთი, კახეთი და სხვა, რომელთაც წინათაც ვითარცა საერისთავთ-ერისთავებს თავიანთი საგამგეო და სათემო საზღვრები ჰქონდათ. მეორეც იმიტომ, რომ მას შემდგომ, რაც კონსტანტინესა და დანარჩენ მეფე-მთავართა შორის შეთანხმება მომხდარა და მოპირდაპირენი დაზავებულან, მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად თავიანთ სამფლობელოების საზღვრების შესახებაც უნდა ავად თუ კარგად შეთანხმებულიყვნენ. ამას ვახტანგის მიერ შეყრილი სწავლული კაცნიც გრძნობდნენ და მათ თავიანთ შრომაში მოყვანილი აქვთ კიდეც დაწვრილებითი ცნობები ახალი დაარსებული სამეფო-სამთავროების მოხაზულობის შესახებ.“ (2, ტ.IV, გვ.148).

ამ ცნობების თანახმად, იმ დროს „ბედიანს ანუ სამეგრელოს «ეპყრა ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმის ქვემოთი, სვანეთის მთის გადმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი»... აფხაზეთის მთავრის სამფლობელოს შეადგენდა მთელი «აფხაზეთი ჯიქეთამდის». აფხაზეთის გარდა სამეგრელოს მთავარსვე ეკუთვნოდა «ზღვას ჩამოღმართი და რიონის გაღმართი».“ (2, ტ.IV, გვ.150).

ალექსანდრე II-ის 1510 წელს გარდაცვალების შემდეგ, იმერეთში გამეფდა მისი ძე ბაგრატ III (1510–1565). იგი „იძულებული იყო ერთდროულად ორ ფრონტზე ებრძოლა – ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის, რომელსაც მთავრები და მსხვილი თავადები ეწინააღმდეგებოდნენ და გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ. თავადური რეაქცია ხშირად უცხო დამპყრობლების მეშვეობით მოქმედებდა, რაც საგრძნობლად ასუსტებდა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას“. (9, ტ.IV, გვ.103).

წყაროებიდან ირკვევა, რომ ბაგრატ III ცდილობდა გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ ირანისა და ოსმალეთის ურთიერთ დაპირისპირება და ამისათვის მორჩილებასაც უცხადებდა შაჰს, თუმცა მისი ასეთი მოქმედება საზიანო იყო ქართლისათვის. ასევე ბაგრატ III ცდილობდა ყოველგვარი ხერხით, შეეჩერებინა მთავრების დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. მის დროს, იმერეთის სამეფოს გამოეყო **სამეგრელოსა** და **გურიის** სამთავროები.

ცნობილია, რომ 1543 წელს, სამცხე-საათაბაგოში, რომელიც 1535 წლიდან იმერეთის სამეფოში შედიოდა, იმერეთისა და გურიის ლაშქარმა, ჯერ ოლთისის ციხესთან, ხოლო შემდეგ ქარაღაქთან დაამარცხა ოსმალთა 22-ათასიანი ლაშქარი. „ლევან I-მა დადიანმა (1533–1572) განაწყენებულმა იმით, რომ მეფემ 1535 წ. ჭანეთი და აჭარა გურიელს დაუთმო, ომში მონაწილეობა არ მიიღო“. (9, ტ.IV, გვ.106).

1545 წელს, **სოხოისტასთან**, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართლ-იმერეთის შეერთებული ლაშქარი და სულთანის დიდძალი ჯარი, თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად ქართველები დამარცხდნენ. ცნობილია, რომ ომის დაწყებისას, უთანხმოების გამო სამცხე-საათაბაგოს ჯარი ბრძოლას გამოეთიშა. დიდგვაროვანი ფეოდალის ოთარ შალიკაშვილის დახმარებით ოსმალებმა დაიპყრეს სამცხე-საათაბაგო და ათაბაგად (მთავრად) დასვეს ქაიხოსრო II ჯაყელი (1522–1573). მალე ჭანეთიც ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა.

ბაგრატ III-ის დროს, (1553–1554) წლებში, ირანსა და ოსმალეთს შორის „ზავი დაიდო, რომლის მიხედვით, «ხოთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს» ისე რომ «სამცხე და ქართლი და კახეთი ყაენს» დაეთმო, «იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა ხონთქარს» უნდა ჰკუთვნებოდა ტრაპიზონისა ტირიბოლამდე.

ეს, რასაკვირველია, სპარსთ-ოსმალეთის მხრით თავიანთი პოლიტიკური მოქმედებისა და გავლენის ასპარეზის გამიჯვნა იყო მტრობისა და მეტოქეობის მოსასპობად. საყურადღებოა, რომ ეს საქართველოს შესახებ დადებული შეთანხმება საქართველოს დაუკითხავად მოხდა და დაზავებულმა მონინააღმდეგეებმა ერთიმეორეს მიანიჭეს ის, რაც მათ ჯერ რეალურად მაინც არ ეკუთვნოდათ..... ეს ზავის პირობები თუმცა სპარსეთისთვისაც ურიგო არ იყო, რომ ოსმალეთის მხრით მაინც ზურგი უზრუნველყოფილი ექმნებოდა და მათი თავდასხმის შიში აღარ უნდა ჰქონოდა, რაც მას საშუალებას მისცემდა საქართველოს მისადმი მიკუთვნილი ნაწილი მართლაც საფუძვლიანად ჩაეგდო ხელში, მაგრამ დადებული ხელშეკრულება მაინც უფრო ოსმალეთისათვის იყო ხელსაყრელი." (2, ტ.IV, გვ.248).

1565 წელს ბაგრატ III-ს გარდაცვალების შემდეგ, იმერეთში გამეფდა გიორგი II (1565–1583) ბაგრატ III-ის ძე. მეფობის დასაწყისში მან შეძლო მთავრებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება, განსაკუთრებით დადიანსა და გურიელს შორის. მაგრამ შემდეგ გამწვავდა მათ შორის ურთიერთობა. რომელმაც გამოიწვია დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთ დაპირისპირება და ერთმანეთის გასანადგურებლად მეზობელ ოსმალების გამოყენება.

მეფე გიორგი II-ემ 1566 წელს როსტომ I-ის გარდაცვალების შემდეგ, გურიის მთავრად დასვა გიორგი II გურიელი (გ. 1600) როსტომ I-ის ძე. ხოლო 1572 წელს ლევან I-ის დაღუპვის შემდეგ, სამეგრელოს მთავრის ადგილი დაიკავა (1572–1573, 1578–1582) გიორგი III დადიანმა (გ. 1582) ლევან I-ის ძემ. (1573–1578) წლებში, იმერეთის სამეფოსა, გურიის და სამეგრელოს სამთავროების დაპირისპირების შემდეგ, იმერეთში მშვიდობიანობა დამყარდა. მაგრამ ეს იყო დროებითი. მალე, იმერეთის სამეფოსა და სამთავროებს შორის ურთიერთობა ისევ დაიძაბა. და ხელახლა განახლდა შინაფეოდალური ომი.

არეულობით ისარგებლა ქართლის მეფემ სიმონ I-მა (1556–1599) ლუარსაბ I-ის ძემ, რომელსაც მხარს უჭერდნენ ზემო იმერეთის თავადები და 1588 წელს გაილაშქრა იმერეთში, რომ ან შემოერთებინა, ან იქ თავისი მომხრე მეფე ყოლოდა. მაგრამ იმერეთის შემოერთება მან ვერ მოახერხა და ისევ ქართლში დაბრუნდა. ლიხსიქეთ საქართველოში, ოდიშის მთავრის (1590–1611) ლევან I დადიანის ძის, მანუჩარ I-ის (გ. 1611) დროს სამეგრელოს სამთავრომ დაიწყო მომძლავრება. მაგრამ, „თუ აქამდე დადიანი ფორმალურად მაინც რამდენადმე დამოკიდებული იყო იმერეთის სამეფო კართან იმით, რომ იგი სამეფოს მანდატურთუხუცესის ტიტულს ატარებდა, ახლა მას ასეთი პატივი აღარ აკმაყოფილებდა. მანუჩარ დადიანი უკვე „ხელმწიფედ" იწოდებოდა. მიუხედავად დადიანის „გახელმწიფებისა", ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს შიგნით ფეოდალური განკერძოებისადმი მისწრაფება იზრდებოდა. აფხაზეთში, რომელიც მთელი XVI საუკუნის მანძილზე სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, თანდათან ძლიერდებოდა შარვაშიძეების ფეოდალური საგვარეულო. შარვაშიძეები XVII საუკუნეში გამოეყვნენ სამეგრელოს და აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავრო ჩამოაყალიბეს" (9, ტ.IV, გვ.143).

6. აფხაზეთის სამთავრო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთი წარმოადგენდა ერთ-ერთ საქართველოს კუთხეს, რომელიც ძირითადათ ქართველი ტომებით იყო დასახლებული და ის მთელ ქართველ ხალხთან ერთად იბრძოდა ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ასე გრძელდებოდა XV ს-ის II ნახევრამდე, როდესაც დაიწყო საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა, რაც განპირობებული იყო სოციალური, ეკონომიკური და განსაკუთრებით საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობით.

XV–XVI საუკუნეებში საქართველოში ჩამოყალიბდნენ მსხვილი ფეოდალური სამფლობელოები (სათავადოები), რომლებიც იმის მაგივრად, რომ გარეშე ძალას ერთიანი ძალით შებრძოლებოდნენ, თვითეული ფეოდალი ცდილობდა თავისი სამფლობელო გაეზარდა მეზობელი მინა-წყლის ხარჯზე, რაც ხშირად ზოგიერთი დაპყრობილი და განადგურებული ფეოდალური გვარის ამოწყვეტით მთავრდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. ასეთი მდგომარეობით კი საქართველოს მტრები, სპარსეთი და ოსმალეთი, სარგებლობდნენ და თანდათან ადვილად იპყრობდნენ საქართველოს. მით უმეტესს, რომ სწორედ ოსმალეთმა თავის ძლიერებას მიაღწია სწორედ XVI საუკუნეში და შეიქმნა საქართველოს მოსაზღვრედ უზარმაზარი იმპერია, რომლის საზღვრებში მოქცეული იყო ევროპის, აზიის და აფრიკის რიგი სახელმწიფოები, და რომელიც წალეკვით ემუქრებოდა საქართველოს. ხოლო, საქართველოს აღმოსავლეთით, ირანსა და აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა ძლიერი სეფიანთა სახელმწიფო, რომელმაც დაიწყო ბრძოლა როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთ კავკასიის დასაპყრობად და დაუპირისპირდა ოსმალეთს. ორივე ცდილობდა საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას.

„ქართულ ისტორიოგრაფიაში ტერმინები „ოსმალობა" და „ყიზილბაშობა" პირველად განსვენებულმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა იხმარა. მანვე ნათელყო ამ მოვლენების როლი საქართველოს ისტორიაში, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ უცხოელი დამპყრობლები, ამ შემთხვევაში ოსმალები და ირანელები (ყიზილბაშები), თავიანთი წესებით ბატონობდნენ დაპყრობილ ქვეყანაში". (9, ტ.IV, გვ.434).

„XVII საუკუნის დასაწყისში ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა აფხაზეთიც, რომელიც მანამდე წვრილ ერთეულებად დაქუცმაცებული ოდიშის სამთავროში შედიოდა. XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში დაწინაურდა შერვაშიძეთა საგვარეულო, რომელმაც შეძლო აფხაზ ფეოდალთა შეკავშირება და აფხაზეთის გამოყოფა ოდიშის სამთავროსაგან. ამიერიდან შერვაშიძეები აფხაზეთის მთავრები გახდნენ და ცენტრად ზუფუ (ლიხნი) აქციეს, ხოლო საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის, აღნიშნული საუკუნის 90-იან წლებამდე, მდინარე კოდორზე გადიოდა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნის დასაწყისიდან იმერეთის სამეფოს, ოდიშისა და გურიის სამთავროებს გვერდით არსებობს აფხაზეთის სამთავროც. თითოეული სამთავრო ცდილობდა მეორის ხარჯზე გაფართოებას და პოლიტიკური გავლენის და ძლიერების მოპოვებას.

მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას ანარმოებდნენ და იმერთა მეფეს მაინცდამაინც თავს არ უდებდნენ. ხოლო იგი იურიდიულად თუმცა მთავრებს ვასალებად თვლიდა, მაგრამ ფაქტიურად ცნობდა სამთავროების დამოუკიდებლობას, მიუხედავად ყოველივე ამისა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები XVII საუკუნის 20-იან წლებამდე ერთიანი ძალით გამოდიოდნენ თურქების წინააღმდეგ". (32, გვ.8).

აფხაზთა მთავრები ცდილობდნენ, რომ თავიანთი სამფლობელო ძირითადათ გაეზარდათ, მეზობელი, სამეგრელოს მიწა-წყლის დაპყრობით. აფხაზეთის სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთით, საზღვარი აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრე მდ. კოდორზე გადიოდა, ხოლო XVII საუკუნის 80-იან წლებიდან კი, მისი საზღვარი გადაინია მდ. ენგურამდე. აფხაზეთს, ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებოდა ყოფილი საქართველოს შემადგენლობაში შესული მხარე ჯიქეთი, რომელიც ამ დროს, თურქეთის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.

აფხაზეთის სამთავროს მთავართა შარვაშიძეების (შერვაშიძე, აფხაზურად ჩაჩბა, მეგრულად შარაშია) საგვარეულოს წარმოშობას, ლეგენდის სახით, ისტორიული წყაროები უკავშირებენ შირვანშაჰებს. გადმოცემით, აფხაზეთის სამთავროს მმართველები იყვნენ, ჩაჩბა. აქედან წარმომდგარა გვარსახელი აჩბა (ანჩაბაძე).

ქართულ წყაროებში, პირველად, შარვაშიძე, მოხსენებულია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ში, თამარ მეფის დროინდელ ერისთავებს შორის „ოთაღო შარვაშეს ძე – ცხუმის ერისთავად...." (5, გვ.408). „უამთააღმწერელი"-ს გადმოცემით რუმსა და მონღოლებს შორის გამართულ ბრძოლაში, მონაწილეობას ღებულობა „მჴედართა თავად შარვაშის ძე აფხაზი, სახელით დარდინ." (5, გვ.550).

ახალი ქართლის ცხოვრების პირველ ტექსტში, გადმოცემულია, რომ დავით X-ის (1505–1526) მეფობის დროს „აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილებდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა." (6, ტ.II, გვ.349). ხოლო, ლევან დადიანის დროს „მორჩილებდენ სრულად აფხაზნი და შარვაშიძენი ყმობდენ და ულაშქრებდენ დადიანსა." (6, ტ.II, გვ.421).

XVI საუკუნიდან ოსმალეთი ცდილობდა აფხაზეთის გამუსულმანებას და თანდათან ავრცელებდა ისლამს. გამუსულმანებული ფეოდალების ნაწილის შემწეობით და ხელშეწყობით, აფხაზეთში გავრცელდა „ტყვეის სყიდვა", რის გამოც ჭაბუკები და ქალწულები იყიდებოდა სოხუმსა და სკურჩაში.

XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მთავარი პუტო შარვაშიძე რომლის ადგილსამყოფელი იყო „ძველ სოხუმში" (მდ. გუმისთის შესართავი), ებრძოდა სამეგრელოს მთავარს. იგი აღიარებდა ქრისტიანობას. აფხაზეთი და იმერეთის სამეფოც, ამ დროს ოსმალეთის მოხარკე იყვნენ. ხოლო 1615 წელს სამეგრელოს მთავარმა (1614–1657) ლევან II დადიანმა (გ. 1657) „მოაწერა ხელი ხონთქარის წინაშე მოხარკეობას. ყოველწლიურად სამეგრელოდან თურქეთს უნდა წასულიყო რვაასი არშინი ტილოს ქსოვილი და ოცდაათი-ორმოცი ტყვე.

აფხაზეთი თავიდანვე თურქეთის ყმობას აღიარებდა და არც იმჟამად უცდია „შეჩვეული უღლისაგან" თავის გამოხსნა". (26, წ.3, გვ.362).

მაგრამ, მიუხედავად ამ ვალდებულებისა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები მაინც დამოუკიდებლები იყვნენ, საგარეო პოლიტიკას თავიანთ ნებაზე აწარმოებდნენ და თურქეთის ჯარებსაც თავიანთ მიწა-წყალზე არ ატარებდნენ. „თვით თურქული წყაროს მოწმობით, ოსმალეთის ბატონობა დასავლეთი საქართველოს მხოლოდ ბარის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდა, მთის ადგილებში კი მათ ხელი არ მიუწვდებოდათ". (32, გვ.31).

აფხაზეთის მთავარი (XVII ს-ის I ნახევარში) სეტემან შარვაშიძე, ადრე, ლევან II დადიანს დაუმოყვრდა. 1621 წელს ლევან II დადიანმა ცოლად მოიყვანა სეტემანის ქალიშვილი. ხოლო ამავე წელსვე, მამია II-ის შვილმა სიმონმა, შეირთო მანუჩარ I დადიანის ასული, რაც პოლიტიკურ კავშირს მოასწავებდა. ამიერიდან, აფხაზები, მეგრელები და გურულები თავს ესხმოდნენ იმერეთს. ლიხსიქეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთ მტრულად განწყობილი ბანაკი: ერთ მხარეს იყვნენ იმერეთის მეფე (1605–1639) გიორგი III (გ. 1639) და ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I (1589–1663); ხოლო მეორე მხარეს კი სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის მთავრები. მაგრამ, ეს სამთა კავშირიც მალე დაირღვა.

1623 წლის შემდეგ, დადიანის გამო, აფხაზეთსა და ოდიშს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც ომში გადაიზარდა. ლევან II დადიანმა, ცოლს ღალატი შესწამა და თავს დაესხა აფხაზეთს, ზუფუ აიღო და გაძარცვა, მთელი აფხაზეთი მოაოხრა და დაბრუნდა ზუგდიდში, ცხვირ მოჭრილი მეუღლე-კი აფხაზეთში დატოვა. ამის შემდეგ აფხაზები და მეგრელები ერთმანეთს მტრობდნენ და არბევდნენ. ლევან II დადიანი ცდილობდა, რომ დაეპყრო იმერეთის სამეფო და გურიის სამთავროც.

1625 წელს, მამია II გურიელის ძემ სიმონმა, მოკლა მამა და გურიის მთავარი გახდა. იმავე წელსვე გურიის მთავარს სიმონ II გურიელს (1606–1672) თავს დაესხა ლევან II დადიანი, სოფ. ლანჩხუთთან დაამარცხა, ტყვედ შეპყრობილი სიმონი დააბრმავა და მისი ცოლ-შვილიც ოდიშში წაიყვანა. ხოლო გურიის მთავრად მამიას ძმა აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია დასვა. რაც ნიშნავდა აფახაზეთისა და გურიის სამთავროს დამორჩილებას.

მ ა ლ ა ქ ი ა II-ემ (1625–1639) „სახელი გაითქვა როგორც უნარიანმა სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწემ: მოანესრიგა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეები, ააგო და შეამკო მრავალი ეკლესია-მონასტერი, მფარველობას უწევდა კათოლიკე მისიონერებსა და ქართველ კულტურის მოღვაწეებს. მისი ინიციატივით შედგა აფხაზთა საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. ეხმარებოდა ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ქართლისა და კახეთის მეფეებს, აგრეთვე გიორგი სააკაძეს." (10, ტ.6, გვ.384).

როგორც ზევით არვნიშნეთ, ლევან II დადიანთან ბრძოლაში სეტემან შარვაშიძე დამარცხდა. აფხაზები ლევანს დაემორჩილნენ და ხარკიც იტვირთეს. თუმცა ეს იყო დროებით. ლევან II-ემ ვერ შეძლო აფხაზეთის სამეფოს საბოლოოდ დამორჩილება. 40-იან წლებში, შარვაშიძეები მომძლავრდენ და აფხაზებმა უფრო მედგრად შეუტიეს ოდიშის სამთავროს. როგორც კი გაიგულებდნენ ლევანს ოდიშიდან იმერეთს სალაშქროდ წასულს, თავს ესხმოდნენ სამეგრელოს, აოხრებდნენ ახლომახლო სოფლებს, ძარცვავდნენ, ტყვეებს იტაცებდნენ და შემდეგ ჰყიდნენ. ასე ანადგურებდნენ მთავრები ერთმანეთს, ძარცვავდნენ და ტყვედ ჰყიდნენ ისევ თავიანთ მოძმე ქართველებს. იტალიელი მისიონერი ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, რომელიც (1633–1649) წლებში მოღვაწეობდა საქართველოში, გადმოგვცემს, რომ „იმ დროს, როცა დადიანი (ლევან II-ე) გართული იყო თავისი ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, აფხაზები სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გაათახსირეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს". (32, გვ.93). ლევან II დადიანი იძულებული გახდა, რომ დაეცვა სადადიანო და ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმა აფხაზთა გამოუსვლელობისათვის"....

ასეთი ღონისძიებით ლევან II დადიანმა შეძლო შეეჩერებინა აფხაზთა შემოსევა ოდიშზე, მაგრამ ეს იყო დროებით. ლევანის სიკვდილის შემდეგ დასავლეთ საქართველოში ანარქიის დამკვიდრების პერიოდში, აფხაზებსაც ხელ-ფეხი გაეხსნათ და მათ უკვე გამუდმებით იწყეს თარეში ოდიშსა და შავი ზღვის სანაპიროებზე.

აფხაზთა თავდასხმები ოდიშზე განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნის ბოლოს". (32, გვ.94).

უნდა აღინიშნოს, რომ ლევან II დადიანმა შეეცადა სამეგრელოში ტყვეთა სყიდვა აეკრძალა, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა და ფართო ხასიათი მიიღო. ტყვეთა სყიდვის, ამ „ღვთის მგმობელთა" სენის წინააღმდეგ გამოდიოდნენ თითო ოროლად შერჩენილი მოწინავე მამულიშვილები როგოც ლიხსიქეთ საქართველოში, ასევე სამეგრელოშიც და „მათ შორის იყვნენ მისიონერები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში.....

მისიონერთა ცნობით, თვით ლევან დადიანმაც კი მიატოვა ტყვეთა სყიდვა, რის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მან კათოლიკური სარწმუნეობა მიიღო". (32, გვ.117–119).

ლიხსიქეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვამ (ტყვეებით ვაჭრობამ) განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო XVII საუკუნიდან. ამ დროს მეფე-მთავრებს დამპყრობელთათვის (ირანი, თურქეთი) სხვა გადასახადებთან ერთად უნდა გადაეხადათ ქალ-ვაჟთა განსაზღვრული რაოდენობით. მთავრებისა და დიდებულებისათვის ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ფრანგი მოგზაური და ვაჭარი ჟ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ ტ ა ვ ე რ ნ ი ე (1605–1689) საქართველოს აღწერის დროს წერს, რომ დასავლეთ საქართველოში ბრძოლების დროს მეფე-მთავრები „როგორც კი ამ ომებში ტყვეებს იშოვნიან, იმ თავითვე გზავნიან ოსმალეთში გასასყიდად. ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა ამ ქვეყანაში იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ცოლს ან ქმარს ფული დასჭირდება, თავის ერთ-ერთ შვილს გზავნის გასასყიდად. ან მეწვრილმანესთან ბაფთებსა, ტილოს ნაჭრებს თუ სხვა ამგვარ ნივთებზე გადასაცვლელად". მოგზაური, იუველირი და ვაჭარი ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი (1643–1713) გადმოგვცემს, რომ „ტყვეთა სყიდვამ" სამეგრელოს 40,000-იანი მოსახლეობა 1640-იანი წლებიდან მოყოლებული სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში 20,000-მდე შეამცირა".....

ტყვეების გაყიდვა და უცხო ვაჭართა მიერ მოტანილ საქონელზე გადაცვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო". (32, გვ.110).

XVII საუკუნის 50–60-იან წლებში, აფხაზეთის მთავრის სუსტარ შარვაშიძის დროს, ოდიშის საგარეო მდგომარეობა გართულდა, მას დაემატა შინააშლილობაც და ამით ისარგებლეს აფხაზებმა და შეუტიეს სამეგრელოს და შავი ზღვის სანაპიროს. თანდათან იწყეს დამკვიდრება მდ. კოდორსა და მდ. ეგრისწყალს (ღალიძგას) შორის. ხოლო XVII საუკუნის 70–80-იან წლებში, სუსტარის შვილმა სარეხ (სორეხ) შარვაშიძემ, საბოლოოდ შეძლო დაპყრობა მდ. კოდორსა და მდ. ეგრისწყლის შორის მიწები. ამის შემდეგ გადავიდა მდინარის მარცხენა სანაპიროზე, დაიპყრო სამეგრელოს დიდი ნაწილი და თავი სამეგრელოს მთავრად გამოაცხადა.

ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „სორეხ შარვაშიძემ და მისმა სახლიკაცმა ყვაბუმ მათი მომხრე აფხაზი ფეოდალების დახმარებით რამდენჯერმე სცადეს ენგურის დასავლეთით გადასვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ, მტკიცედ დამკვიდრდნენ ოდიშის ჩრდილო ნაწილში ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე შეიქმნა XVII ს. ბოლოს მდ. ენგური აგხაზეთსა და ოდიშის სამთავროს საზღვრად“. (9, ტ.IV, გვ.354).

სორეხ შარვაშიძის დროს იმდენად გაძლიერდა აფხაზების თავდასხმა ოდიშის სამთავროზე, რომ იტალიელი მისიონერი, თეატინელთა მისიის პრეფექტი სამეგრელოში, რომელიც სწორედ ამ დროს იმყოფებოდა ოდიშში, ჯუზეპე მარია ძამპი წერს, რომ: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია“. (9, ტ.IV, გვ.353).

XVII საუკუნის ბოლოს, ამ შინაფეოდალური აშლილობის დროს, დრო იხელთა ოსმალეთმა და დაიკავა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს თითქმის ყველა ციხე-სიმაგრეები და იქ თავისი საჯარისო ნაწილები ჩააყენა.

XVII საუკუნის დასასრულს აფხაზეთის სამთავრო რამდენიმე მცირე სამთავროებად დაიშალა. აფხაზეთის მთავრის ზეგნაყ შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილებმა აფხაზეთის სამთავრო საუფლისწულოებად დაიყვეს და ის მცირე ფეოდალურ სამთავროებად დაიშალა:

აფხაზეთის ჩრდილოეთის მხარის (მდ. ბზიფსა და მდ. კოდორს შორის მიწა-წყალი), ბზიფის სამთავროს მთავარი გახდა ზეგნაყის უფროსი შვილი – როსტომი; ზეგნაყის შუათანა შვილმა – ჯიქეშიამ მიიღო – შუა სოფელი (აბჟუა), (მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის მიწები); ხოლო უმცროსს – ყვაპუს – ერგო მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის ადგილები. (შემდეგში – **სამურზაყანო**).

ბძიფის სამთავროს მთავარმა, როსტომ შარვაშიძემ (XVII საუკუნის დასასრული), „მამის სიკვდილის შემდეგ საუფლისწულოდ განიმტკიცა საკუთრივ აფხაზეთი ჯიქეთიდან მდ. კოდორამდე. მისგან ნომინალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ძმები: ჯიქეშია – აბჟუას, და ყვაპუ – მერმინდელი სამურზაყანოს მმართველი“. (10, ტ.10, გვ.689).

ცნობილია, რომ XVII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთში, მდინარეების კოდორსა და ენგურს შორის ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუები გამაჰმადიანდნენ. თურქები ადგილობრივ ფეოდალებს აიძულებდნენ, რომ მიეტოვებინათ მამულები, „რომელსაც გამაჰმადიანებული „აფხაზი“ ფეოდალები იკავებდნენ“. (9, ტ.IV, გვ.484). ცნობილია, რომ მაჰმადიანობის გავრცელებას და ტყვის ყიდვას ენერგიულად ებრძოდა გრიგოლ კათალიკოსი (1696–1742). იგი მთიანეთის კავკასიაშიც ცდილობდა ქრისტიანობის აღდგენას.

ამრიგად, XVIII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი შედგებოდა რამდენიმე სამფლობელოებისაგან: **ბზიფის, აბჟუა, სამურზაყანო, გუმა, საძენი და ნამალდალი**. ეს სამთავროები კიდევ უფრო მცირე ერთეულ-სათავადოებად იყოფოდა. რის გამოც მისი სიძლიერე შესუსტდა. ამით ისარგებლა თურქეთმა და აფხაზები და ჯიქებიც დაიპყრეს. ოსმალეთმა საჯარისო ნაწილები ჩააყენა სოხუმის ციხეში და აფხაზეთს ხარკიც დაადო. ამავე დროს ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანება. თუმცა, XVIII საუკუნის I ნახევარში ძირითადათ მხოლოდ ფეოდალთა ნაწილი გამაჰმადიანდა. ამ დროს საქართველოში ოსმალეთის სამხედრო ნაწილები მხოლოდ ქუთაისისა და სოხუმის ციხე-სიმაგრეებში იდგნენ და ისინი ქვეყნისათვის მანდამაინც საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. ხოლო XVIII საუკუნის II ნახევრიდან თურქებმა უფრო მეტად შეუტიეს აფხაზეთს

და ის მის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. თანდათან ოსმალეთმა უფრო მეტად დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება და ხარკის (ტყვიის სყიდვა) მომატება. აფხაზეთის სამთავრო ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას და არაერთხელ აჯანყდა, მაგრამ უშედეგოდ. ოსმალეთმა შეძლო დიდიხნით მისი დამორჩილება.

აფხაზეთის სამთავრო იმერეთის სამეფოში შედიოდა. სინამდვილეში-კი მთავრები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.

1701 წელს თავადებმა მოკლეს იმერეთის მეფე სიმონი (1699–1701), ალექსანდრე IV-ის ძე და გაამეფეს, გიორგი III გურიელის ძე, მამია III გურიელი (1689–1711), რომელიც წყაროებში მოხსენებულია როგორც „დიდი", („დიდი შავი გურიელი"). იგი იმერეთისა და ოდიშის მსხვილი ფეოდალების მხარდაჭერით მართავდა სამეფოს. 1702 წელს მან მიატოვა იმერეთის ტახტი და დაბრუნდა გურიაში. ხოლო იმერეთის სამეფოს მმართველი (1701–1707) გახდა გიორგი-მალაქია აბაშიძე (გ. 1722), ყოფილი ბერი. მან დროებით შეძლო აფხაზეთის სამთავროს დამორჩილება და ძალაუფლების გამტკიცების შემდეგ, თურქეთსაც აღარ ემორჩილებოდა. „ასევე მოიქცნენ დადიანი და გურიელიც. ოსმალთა მორჩილებიდან გამოვიდნენ აფხაზებიც, რომლებიც თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ თურქ ვაჭრებს". (9, ტ.IV, გვ.456).

1703 წელს ლიხსიქეთ საქართველოს, თურქთა დიდი ლაშქარი ორჯერ შემოესია, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა. ამ შემოსევების შედეგად მრავალი სოფელი გაჩანაგდა, ციხე-სიმაგრეები და მონასტრები დაინგრა. თუმცა, თურქებმა **ბათუმის, ფოთის, ანაკლიისა და თხმელის** (ბაღდადი) ციხეები შეინარჩუნეს და იქ მეციხოვნეები ჩააყენეს.

ცნობილია, რომ სამურზაყანოს მთავარმა ყვაპუ შარვაშიძემ (XVII საუკუნის დასასრული – 1705), „თავის სამფლობელოში ბზიფის ხეობიდან გადმოყვანილი აფხაზები ჩამოასახლა. აფხაზეთის მთიანი თემები, მაგ. ნებელდა (წიბილი, დალის ხეობა), მთავრის ხელისუფლებისაგან ადრეევე თითქმის დამოუკიდებელნი იყვნენ". (9, ტ.IV, გვ.468). ცნობილია ისიც, რომ მან „ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ის გლეხებიც, რომლებიც დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ეკუთვნოდა, შარვაშიძემ ტყვეებად გაყიდა. კათალიკოსი დავითი (ნემსაძე) მოითხოვდა, რომ მას შეეწყვიტა ეს საქმიანობა. შერვაშიძე ცდილობდა დაუფლებოდა მდ. ენგურის მარცხენა მხარეს. მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისში შეძლო სამეგრელოს მმართველმა, გიორგი ლიპარტელიანმა, იმერეთის მმართველ გიორგი აბაშიძის დახმარებით აფხაზი ფეოდალის შეტევის შეჩერება". (10, ტ.10, გვ.689).

1705 წელს, ყვაპუს გარდაცვალების შემდეგ, მთავარი გახდა მისი ძე მურზაყან შარვაშიძე. რომლის სახელის გამო, მის სამფლობელოს დაერქვა **„სამურზაყანო"**.

ა. ბაქრაძე წერს, რომ: „დღევანდელი გალის რაიონს ისტორიულად ერქვა სამურზაყანო. ეს ტოპონიმი მომდინარეობს მურზაყან შარვაშიძის სახელისაგან.... აი, ამ მურზაყანის სახელის მიხედვით, ამ ტერიტორიას სამურზაყანო ეწოდა. ქართულად გაფორმებული ტოპონიმი სა-მურზაყან-ო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომელი ენა იყო აფხაზეთში სახელმწიფოს და კულტურის ენა". (20, გვ.197).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში თურქთა გავლენა მძლავრობდა, XVIII საუკუნის I ნახევარში ძირითადათ მხოლოდ ფეოდალთა ნაწილი გამაჰმადიანდა. აფხაზი ხალხი არ ურიგდებოდა ამ მდგომარეობას და ისინი არაერთხელ აჯანყებულან დამპყრობლების წინააღმდეგ.

1711 წლიდან დასავლეთ საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. იმერეთის მეფეს (1703–1720), ალექსანდრე IV-ის ძეს, გიორგი VI-ეს (გ. 1720) რომელსაც მხარში ედგა ქართლის მეფე ვახტანგ VI (1675–1737), ებრძოდა ფეოდალთა ნაწილი, რადგა ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით იგი იყო „ცუნდრუკი, მომხვეჭელი, ანგაარი, ვერცხლის მოყვარული". (9, ტ.IV, გვ.460) და ამავე დროს იმერეთის ტახტის დაუფლებისათვის იბრძოდნენ სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთვროები. თვითონ სამთავროებში, გურიასა და სამეგრელოში ძალის გამოყენებით ხდებოდა ხშირად მთავრების გამოცვლა. აფხაზეთშიც მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. რა თქმა უნდა, ამით სარგებლობდა თურქეთის მთავრობა, რომელიც სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ეხმარებოდა და თანდათან ქართულ მიწა-წყალს იპყრობდა. განსაკუთრებით

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ლიხსიქეთ საქართველოში 1723 წლიდან. ამ დროიდან ქართულ სამთავროებს სინამდვილეში განაგებდა ახალციხის ფაშა. ხოლო შავი ზღვის სანაპიროები თურქებმა დაიკავეს და როგორც ზევით აღვნიშნეთ, ციხე-სიმაგრეებში და ქუთაისშიც სამხედრო ნაწილები ჩააყენეს.

თურქების მიერ შავი ზღვის სანაპიროების დაკავებამ, აფხაზთა სამთავროს მდგომარეობა გაუარესა, რადგან ის მოწყვეტილი აღმოჩნდა ზღვიდან და ამის გამო მას შემოსავლის ერთ-ერთი წყარო მოაკლდა. ისინი თავს ესხმოდნენ გურია-სამეგრელო-იმერთის სამთავროებს და შავი ზღვის სანაპიროზე ბარის მცხოვრებლებს ძარცვავდნენ, არბევდნენ, ამით ნადავლს შოულობდნენ, ატყვევებდნენ მოსახლეობას და ყიდნენ.

1725 და 1728 წლებში, აფხაზებმა სცადეს სოხუმის ციხიდან თურქთა განდევნა, მაგრამ ვერ შეძლეს და ეს აჯანყებები დამარცხდა. „1726 წ. თურქეთის მთავრობა აფხაზთა აჯანყების წამქეზებლად რუსეთის მთავრობას თვლიდა. საფიქრებელია, რომ თურქეთს სათანადო საბუთები გააჩნდა". (9, ტ.IV, გვ.469).

1730 წელს ხელახლა აჯანყდა აფხაზეთი. „აფხაზეთის ლაშქარი თურქებს თავს დაესხა, დამარცხებული მტრის ბანაკი ხელთ იგდო და მოძალადეთა მეტი ნაწილი გაჟლიტა. თურქთა განდევნის შემდეგ აფხაზები კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდნენ". (9, ტ.IV, გვ.469).

1733 წელს ლიხსიქეთ საქართველოს შემოესია ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი. რომელმაც ააოხრა აფხაზეთი და სამეგრელოც.

თურქეთის თავდასხმები განსაკუთრებით გაძლიერდა იმერეთის მეფის (1720–1751) ალექსანდრე V-ის (1703–1752), გიორგი VI-ის ძის დროს. ალექსანდრე V-ის მეფობისას სამეფოში ისევ არეულობა სუფევდა. 1741 წელს მონინააღმდეგე ფეოდალებმა, რაჭის ერისთავმა, აფხაზეთის მთავარმა და ახალციხის ფაშამ, ალექსანდრე V-ეს ტახტი დაატოვებინეს და გაამეფეს მისი ძმა გიორგი VII. თუმცა იმავე წელსვე ალექსანდრე V-ემ დაიბრუნა ტახტი.

ცნობილია, რომ „ალექსანდრე V-მ ააგო ჩხარის წმინდა გიორგის მონასტერი და ვარციხის სამეფო სასახლე". (10, ტ.1, გვ.293).

ალექსანდრე V-ის შემდეგ, (1752–1784) იმერეთის მეფე გახდა ალექსანდრე V-ის ძე, სოლომონ I (1735–1784). იგი, ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, ებრძოდა მის მონინააღმდეგე თავადებს. ცნობილია, რომ მან 1759 წელს მოიწვია საქართველოს საეკლესიო კრება, რომელზედაც ესწრებოდნენ სასულიერო წარმომადგენლების გარდა საეროს ფეოდალები, აფხაზეთის წარმომადგენლები, გურიის მათავარი (1726–1756, 1758–1765, 1771–1776) მამია IV გურიელი (გ. 1784) და სამეგრელოს მთავარი (1755–1788) კაცია II დადიანი. კრების გადაწყვეტილებით ხელახლა აღსდგა ქუთაისის კათედრა და ყველა ეკლესიას გადაეცა ყმა-მამულები. აგრეთვე ეკლესია თავისუფლდებოდა „ყველა სახელმწიფო გამოსაღებისაგან და სამსახურისაგან, გარდა ლაშქარ-ნადირობისა და „ქვეყნის მოსავალი" საქმისა. საგანგებო დადგენილებით კრებამ დაადასტურა „აფხაზ-იმერთა" კათალიკოსის უფლებები მის კუთვნილ ყმა-მამულზე და დაავალდებულა ყველა ფეოდალი, რომ მათ უზრუნველყოთ ამ უფლების განხორციელება". (9, ტ.IV, გვ.640). მეორე დღეს კრებამ განაგრძო მუშაობა, რომელსაც ესწრებოდნენ მსხვილი ფეოდალები, გარდა აფხაზეთის წარმომადგენლებისა. ამ სხდომაზე იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვის სყიდვის" აკრძალვის პირობა დადეს. საეკლესიო კრებამ ტყვის მყიდველნი შეაჩვენა, საერო ხელისუფლება კი მათ სიკვდილით დასჯით დაემუქრა". (9, ტ.IV, გვ.641). სოლომონმა გლეხობის ნაწილი გაანთავისუფლა გადასახადებისაგან. ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის გამო, მას დაუპირისპირდნენ თავადების ნაწილი და ოსმალეთი, რომელმაც კავშირი დაამყარა სოლომონის მონინააღმდეგე თავადებთან და გაილაშქრა იმერეთის წინააღმდეგ. ბრძოლა გაიმართა **ხრესილთან** 1757 წელს. სამურზაყანოს მთავარი ხუტუნია შარვაშიძე (XVIII საუკნის შუა წლები), მონაწილეობას ღებულობდა ხრესილის ბრძოლაში, სოლომონ I-ის მხარეზე. სოლომონ I-ის წინააღმდეგ ოსმალეთის ჯარი იმერეთში შემოიყვანა მოღალატე თავადმა ლევან აბაშიძემ (მისი ქალიშვილი იყო სოლომონ I-ის დედა). ბრძოლისას, „22 წლის მეფემ ხმლით მოკლა თურქთა სარდალი, რომლის ადგილი მოღალატე ლევან აბაშიძემ დაიკავა". (9, ტ.IV, გვ.638). რომელმაც,

ჯერ კიდევ ადრე, 1728 წელს თურქებს ჩააბარა შორაპნის ციხე. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალები. ბრძოლის დროს დაიღუპნენ ლევან აბაშიძე და ხუტუნია შარვაშიძეც. სოლომონმა ლევან აბაშიძის მამული სამეფო საკუთრებად გამოაცხადა.

XVIII საუკუნეში აფხაზეთის სამთავრო, სანამ რუსეთი მას დაიპყრობდა და დაიმონებდა, წარმოადგენდა მაინც ძლიერ სამთავროს. მართალია, მას თურქეთი განაგებდა, მაგრამ, ისიც კი, ზოგჯერ იძულებული იყო ანგარიში გაეწია მისთვის, ვინაიდან მას ზურგს უმაგრებდა და ეხმარებოდნენ მთიელთა ადიღეელთა ტომები. აფხაზეთის სამთავროს (თურქები მას საფაშოს უწოდებდნენ) მთავრის შარვაშიძის განკარგულებაში იმყოფებოდა **ანაკლია, სოხუმი და ფოთიც**, რომელსაც მისივე სახლიკაცები განაგებდნენ.

XVIII საუკუნის შუა წლებში, თურქებმა, ჯიქეშია შარვაშიძის მემკვიდრე, აბჟუას მთავარი მანუჩარ შარვაშიძე შეიპყრეს და მის ძმებთან, ზურაბთან და შერვანთან ერთად ოსმალეთში გააგზავნეს და ძალით მიაღებინეს მაჰმადიანობა.

„აფხაზეთის გამგებლობა სოხუმის კომენდანტად დანიშნული ჯიქის – ასლან-ბეი გეჩისა და შარვაშიძეთა მეტოქეების თავად ძიაპშიპების ხელში გადავიდა. შარვაშიძეებმა მალე მოახერხეს თურქებთან შეთანხმება. უკვე 1744 წელს მანუჩარ შარვაშიძე ბათუმის ბეგად იჯდა, ზურაბი – სოხუმისა, ხოლო შერვანი ფაშის ტიტულით განაგებდა რიონის (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიზეს „ამოღმა“. მართალია, შარვაშიძეების ეს შტო თურქთა სამსახურში ჩადგა, მაგრამ თურქთა საბოლოო მორჩილებას არ აპირებდა. შარვაშიძეებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს იმერეთის მეფესთან და სამეგრელო-გურიის მთავრებთან. მათ შორის მოყვრული კავშირი გაიბა, რასაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა... სამწუხაროდ ამას რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. ოსმალთა აფხაზეთიდან განდევნა ვერ მოხერხდა“. (9, ტ.IV, გვ.469).

თურქებმა, მანუჩარ შარვაშიძე საქართველოში კი გამოაგზავნეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ბოლომდე მას არ ენდობოდნენ, რადგან მისი შვილი ქეილაში მძევლად დაიტოვეს და გაამაჰმადიანეს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლიხსიქეთ საქართველოში მეტად რთული ვითარება შეიქმნა თურქეთის შემოტევის გამო, რომელიც ცდილობდა საბოლოოდ მის დაპყრობას. გურია-სამეგრელოს და იმერეთის მხარეს გამუდმებით უხდებოდათ თურქეთის მოგერიება. ხოლო აფხაზეთის მხარე ამ ბრძოლაში არ მონაწილეობდა.

XVIII საუკუნის II ნახევარში, მანუჩარის მაგივრად, თურქებმა, ბზიფის მთავრად დაამტკიცეს ზურაბ შარვაშიძე. 1771 წელს ზურაბი და სამურზაყანოს მთავარი ლევან შარვაშიძე აუჯანყდნენ ოსმალებს და შეძლეს სოხუმის განთავისუფლება. თუმცა, მალე სოხუმი ისევ თურქებმა დაიკავეს. წყაროებიდან ჩანს, რომ შემდეგში ზურაბი და თურქები ერთად მოქმედებდნენ. 1780 წელს ზურაბმა, აფხაზეთის მთავარმა, მანუჩარის შვილმა ქეილაშ აჰმედ-ბეგმა (ქელეშ-ბეი, ქელაიშ-აჰმედ ბეგი) შარვაშიძემ (1780-ანი–1808) და ლევანმა გაილაშქრეს სამეგრელოს წინააღმდეგ, რომ დაეკავებინად მდ. ენგურის მარცხენა მხარე. „აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვნენ“. „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შერვაშიძეები, ჯიქი, ალანი და ჩერქეზი, სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო... ცხენოსანი და ქვეითი... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით“ და მოულოდნელად სამეგრელოს შემოესია.... თურქთა მიერ მოწყობილ ამ ლაშქრობაში ექვს ენაზე მოლაპარაკე მოლაშქრეები ყოფილან. მათ შორის ყირიმელი თათრები და ყივჩაყები (ბალყარელები)“. (9, ტ.IV, გვ.665). თურქეთი შეეცადა, იმერეთისათვის ჩამოეცილებინა ოდიშის სამთავრო. ოდიშის მთავარმა (1758–1788) კაცია II დადიანმა დახმარება სთხოვა იმერეთის მეფეს სოლომონ I-ეს. ბრძოლა გაიმართა ლევან II დადიანის მიერ აგებულ რუხის ციხესთან. ზურაბი, თურქები და მათი მოკავშირეები სასტიკად დამარცხდნენ. იმერეთ-გურიის-სამეგრელოს ლაშქარს დარჩათ მრავალი ტყვე და ალაფი. ამის შემდეგ, არ გასულა დიდი დრო და თურქების დახმარებით, ზურაბის ძმის შვილმა, ქეილაშ აჰმედ-ბეგმა ზურაბი ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გახდა ბზიფის სამთავროს მთავარი. მმართველობის დასაწყისში იგი თურქებს მაინცდამაინც ყურს არ უგდებდა, მაგრამ როდესაც იმერეთში, სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ 1784 წელს გაამეფეს მისივე ბიძაშვილი დავით II გიორგი VII-ის ძე (მეფე 1784–1789), ქეილაშ აჰმედ-ბეგი თურქების მხარეზე გადავიდა. თურქებმა იგი სოხუმის ფაშადაც (უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელის წოდება ოსმა-

ლეთში) დანიშნეს და ყოველწლიური ხელფასიც დაუნიშნეს. ქეილაშ-ბეგი იბრძოდა ხელისუფლების გაძლიერებისათვის. მან შექმნა ძლიერი მხედრობა და შეძლო ზოგიერთი ფეოდალის მოთოკვა. მან თითქმის მთლიანად დაიმორჩილა აფხაზეთი. მის დროს, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, აფახეზეთში და ჯიგეთში თურქები იმყოფებოდნენ. 1781–1783 წლებში თურქებმა დაიწყეს საქართველოს ზღვისპირეთში ახალი ციხე-სიმაგრეების აგება. გაამაგრეს **კინტრიშის** (ქობულეთის) ციხე და იქ თურქები და ქურთები ჩაასახლეს. ის გადაიქცა გურიისა და ოდიშის სამთავროებზე თავდასხმების ერთ-ერთ ძირითად ადგილად. ქეილაშ აპმედ-ბეგი ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს დამორჩილებას. ცნობილია, რომ გამაჰმადიანებული მთავარი მისდევდა „ტყვეთა სყიდვა"-საც. „ქელეშ-ბეის იმდროინდელი პოლიტიკური კურსისათვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მან საკუთარი სახსრებით ააგო და სულთანს ძღვნად მიართვა კარგად აღჭურვილი სამხედრო ხომალდი". (9, ტ.IV, გვ.753).

როდესაც, 1803 წელს, ოდიშის მთავარმა (1788–1804) გ რ ი გ ო ლ დ ა დ ი ა ნ მ ა (1770–1804), რუსეთის მთავრობის მიერ ნაკარნახევ სამფარველო ხელშეკრულებას ხელი მოანერა და ერთგულების ფიცი დადო, ქეილაშ-ბეგმაც მოინდომა აფხაზეთის სამთავროს შეყვანა რუსეთის მფარველობაში და იგი ფარულად დაუკავშირდა საქართველოს მთავარმართებელსა და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორს (1802–1806), გარუსებულ პ ა ვ ლ ე ც ი ც ი ა ნ ო ვ ს (ციციშვილი) (1754–1806). რომელიც ყოველი ხერხებით ცდილობდა კავკასიის დამორჩილებას რუსეთისათვის. მას „მრისხანე თავადს" უწოდებდნენ კავკასიელები. მაგრამ, ამ დროს, რუსეთს არ შეეძლო რაიმე ღონისძიებების ჩატარება აფხაზეთის დასაპყრობად. ვინაიდან რუსეთს, 1803 წელს ოსმალეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. აფხაზეთი კი ოსმალეთს ემორჩილებოდა და იქ თურქეთის ჯარი იდგა. რუსეთისათვის აფხაზეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან, „აფხაზეთის დამორჩილების გზით ფიქრობდა რუსეთი, რომ თავის გავლენას ჩერქეზულ ტომებზედაც გაავრცელებდა და სამხრეთით მდებარე საზღვრებთან მშვიდობიანობას დაამყარებდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის „შეძენას" რუსეთის მთავრობა „ურთულესი საკითხის" გადაჭრად თვლიდა და მისი შემოერთებით იმდენად დაინტერესებული იყო, რომ გაოსმალებულ მთავარ ქელეშ-ბეგ შარვაშიძეს ტყვე ადამიანებით (მაჰმადიანებით და არა ქრისტიანებით) ვაჭრობის უფლებასაც კი უტოვებდა, ოლონდ იგი რუსეთის მორჩილი გამხდარიყო". (9, ტ.IV, გვ.872). ქეილაშ-ბეგმა 1806 წელს სულთნის მონინააღმდეგე ტრაპიზონის ფაშას თავშესაფარი მისცა, ამ მოქმედებით იგი დაუპირისპირდა სულთანს. სულთანმაც ამავე წელსვე „ქეილაშ-ბეგის დასასჯელად ტრაპიზონიდან თურქეთის ფლოტი და დამსჯელი გარნიზონი გამოგზავნა, ამ ამბავს აფხაზეთის მთავარი მომზადებული შეხვდა. გარდა საკუთარი ლაშქრისა, მან მოიშველია ადიღეელთა სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი მხედრობა და ოსმალებს თითქმის 25 000 ჯარით დახვდა. ეს ძალა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თურქებს უარი ეთქვათ თავის განზრახვაზე და უკან გაბრუნებულიყვნენ. საგულისხოა, რომ ქეილაშ-ბეგის შემწე ადიღეელები ეტყობა, აგრეთვე, თურქეთის სულთნის პოლიტიკის უკმაყოფილო წრიდან უნდა ყოფილიყვნენ, თორემ თურქეთის მოქიშპე შარვაშიძის საშველად ასე აშკარად ვერ გამოვიდოდნენ". (34, გვ.51). სულთანმაც არ დააყოვნა და დაუკავშირდა ქეილაშ-ბეგის, თურქეთის მომხრე, უფროს შვილს, ასლან-ბეგს. 1808 წელს, მან მოაწყო აჯანყება, მოკლა მამა და მისი ორი უმცროსი ძმა, დაიპყრო სოხუმი, რომელიც მისი ადგილსამყოფელი გახდა.

აფხაზეთის მთავარი (1808–1810) ა ს ლ ა ნ ბ ე ი (ასლან-ბეგი) შ ა რ ვ ა შ ი ძ ე და იმერეთის მეფე (1789–1810) ს ო ლ ო მ ო ნ II (სოლომონ I-ის ძმის, არჩილის ძე) (1772–1815), ორივე ებრძოდნენ რუსეთის ხელისუფლებას.

ჯერ კიდევ ადრე, ქართლ-კახეთის, ხოლო შემდეგ, იმერეთის სამეფოსა და აფხაზეთის სამთავროს დაპყრობა, რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა ისევ და ისევ ქართველთა (მათ შორის ე. წ. „რუსოფილების" შემწეობით, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლების წინაშე თავი გამოეჩინათ). ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს, საქართველოში იყო ხალხის ნაწილი, რომელიც მომხრე იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და თვლიდა, რომ მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთი გადაარჩენდა საქართველოს, რომ „ოსმალეთ-ირანის ძალმომრეობის პირობებში საქართველოს ძლიერი „მფარველობის" უშუალო ბატონობა ესაჭიროებოდა,

რომ ცარიზმის ბატონობის პირობებში ქართული მიწა-წყალი ერთი სახლმწიფოს ფარგლებში გაერთიანდებოდა, ქვეყანა ეკონომიურად მოლონიერდებოდა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის მოემზადებოდა. ამიტომ ეს ჯგუფი, რომლის მიმდევართა რაოდენობა 1801 წლიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ცარიზმს მხარში ამოუდგა და მის ჯარებთან ერთად მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ომებში. ეს იყო „თავისუფლებისათვის" ბრძოლის თავადაზნაურულ-პატრიოტული გზა, რომელიც არსებითად ხელს უწყობდა მეფის რუსეთის ბატონობის განმტკიცება-გაფართოებას საქართველოში". (9, ტ.IV, გვ.874).

უნდა აღინიშნოს, რომ ლიხსიქეთ საქართველოში რუსეთის ხელისუფლება, დასწყისში, ერთხანს ურიგდებოდა მთავართა ხელისუფლებას, რადგან ძალაუფლების განმტკიცებისათვის მას ირან-ოსმალეთთან ბრძოლის დროს ეს მთავრები ხელს უწყობდნენ. ამავე დროს რუსები ცდილობდნენ მთავრები ერთმანეთისათვის წაეკიდებინათ, რომ თვითეული მთავარი მათზე ყოფილიყო დამოკიდებული, აეცდინა მოსალოდნელი აჯანყება და მათი განდგომა.

რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის იყენებდა მთავართა და თავადებს შორის ერთმანეთთან მტრულ დამოკიდებულებას, რომლებიც მხოლოდ პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდნენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთის ხელისუფალნი იყენებდნენ რომაელი დამპყრობლების ცნობილ ხერხს: „Divide et impera"-ს, „გათიშე და იბატონე"-ეს. ამას-კი მთავრებმა ალღო ვერ აუღეს და მალე, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი ხელისუფლებაც და სამთავროებიც დაკარგეს.

საქართველოს მთავარსარდალი (1808–1811) ალექსანდრე ტორმასოვი (1752– 1819) დასაელეთ საქართველოს შესახებ „1810 წ. რუსეთის იმპერატორს მოახსენებდა: „ამ საკმაოდ ვრცელი მხარის გაყოფით ოთხ სამფლობელოდ, როგორც მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი, რომელთაგან 3 უკანასკნელს მართავენ განსაკუთრებული მფლობელები თავიანთი უფლებებით, კანონებითა და ქვეყნის ჩვეულებებით, ადვილია მისი შენარჩუნება... იმ ჯარების რაოდენობით, რომლებიც ახლა იქ იმყოფებიან – მით უფრო მაშინ, როცა საშუალება გვექნება, აუცილებელ შემთხვევაში, ერთი მთავრის ძალა მეორეს დაუპირისპიროთ". მართლაც, სამთავროთა ავტონომიური არსებობის ისტორიამ ნათელყო, რომ აღნიშნული პოლიტიკა ხორციელდებოდა, ცარიზმი დადიან-გურიელს, ისევე როგორც შარვაშიძესა და დადეშქელიანს, კარგად იყენებდა არა მარტო საგარეო ომებში, არამედ ერთიმეორის წინააღმდეგაც". (9, ტ.IV, გვ.867).

აფხაზეთის სამთავროს დაპყრობა რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა სამეგრელოს სამთავროს დამორჩილების შემდეგ. ჯერ კიდევ ადრე, სამურზაყანოს სამთავრო, „1805 წელს შევიდა რუსეთის მფარველობაში. 1813–40 ლევან V დადიანს ექვემდებარებოდა. 1840 რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს სუვერენიტეტისაგან გამოისყიდა და სამურზაყანოს საბოქაულო დააარსა. 1857 სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, სამეგრელოს მმართველს დაუქვემდებარეს. 1864-იდან სოხუმის (აფხაზეთის) სამხედრო განყოფილების შემადგენლობაში იყო. 1865-იდან სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში შევიდა სამურზაყანოს უბნის სახელწოდებით". (10, ტ.9, გვ.37). მთლიანად აფხაზეთის სამთავროს დაპყრობა რუსეთმა შეძლო სამეგრელოს დრობითი მთავრის ნინო დადიანის (1804–1847) დახმარებით, რომლის ასული ცოლად ჰყავდა ქეილაშ აჰმედ-ბეგის ძეს საფარ ალი-ბეგ (გიორგი) შარვაშიძეს (გ. 1821). აფხაზეთში, მამის-მკვლელ ასლან-ბეის მიერ მოწყობილ აჯანყების დროს, გიორგი სამეგრელოში იმყოფებოდა. რუსეთის ხელისუფლება და ნინო დადიანი ცდილობდნენ, რომ როგორმე გიორგი აფხაზეთში გაემთავრებინად, მაგრამ, ასლან-ბეი ვერ გადააყენეს. ამიტომ, 1810 წელს, როდესაც ასლან-ბეი სოხუმიდან გასული იყო, იგი ემზადებოდა სამეგრელოში შესაჭრელად, რომ აეძულებინა ნინო დადიანი უარი ეთქვა იმერეთის მეფის სოლომონ II წინააღმდეგ ბრძოლაზე, მოულოდნელად, რუსეთის საჯარისო ნაწილი, ზღვიდან, თავს დაესხა სოხუმს და ძლიერი ბრძოლით აიღო ქალაქი და სოხუმის ციხე. ცნობილია, რომ „არსლან-ბეი შერვაშიძის მხარეზე სოხუმის ციხეში იბრძოდა 300 ადიღეელი მხედარი". (34, გვ.51). ამ ამბის გაგებისთანავე უკან მობრუნებულ ასლან-ბეის ქალაქი აღებული დახვდა. იგი ჯერ მთებში გამაგრდა, შემდეგ ოსმალეთს შეაფარა თავი. რამდენიმე ხნის

შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდა და შეებრძოლა რუსეთის ხელისუფლებას, მაგრამ დამარცხდა, ისევ ოსმალეთში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა.

„1810 წ. ოქტომბერში გიორგი შარვაშიძე სოხუმში ჩავიდა. რუსთა რაზმებისა და ხალხის თანდასწრებით მან რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. შარვაშიძე, ისე როგორც დადიანი და გურიელი, ამიერიდან რუსეთის მთავრობის ხელდებული და მისი პოლიტიკის გამტარებელი მმართველი ხდებოდა; იგი მხოლოდ საშინაო თვითმმართველობას ინარჩუნებდა.

აფხაზეთის სამთავროს შემოერთების შემდეგ დასავლეთ საქართველოში მარტო სვანეთის სამთავროლა რჩებოდა რუსეთის მფლობელობის გარეთ. სვანეთის სამთავროს შემოერთება უფრო გვიან, 1833 წ. მოხდა“. (9, ტ.IV, გვ.873).

ცნობილია, რომ გიორგი შარვაშიძემ, ჯერ კიდევ 1809 წელს რუსეთის ხელმძღვანელობას სთხოვა, რომ აფხაზეთის სამთავროსათვის მფარველობა გაეწიათ და მთავრად ის დაემტკიცებინათ. ესე იგი, თვითონვე, გიორგი შარვაშიძე, გამოთქვამდა სურვილს, რომ რუსეთის მეფის ქვეშერდომი გამხდარიყო. 1810 წლის 17 თებერვალში, რუსეთის იმპერატორმა (1810–1825) ალექსანდრე I-მა (1777–1825), აფხაზეთის მთავრად დაამტკიცა გიორგი შარვაშიძე უმაღლესი ძალაუფლების აღიარებით და შინაგანი ავტონომიის ცნობით. ამიერიდან აფხაზეთის სამთავრო რუსეთს დაექვემდებარა.

XVIII საუკუნის ბოლოს, ლიხსიქეთ საქართველოს მდგომარეობა, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად მეტად მძიმე იყო. აფხაზთა და თურქთა თავდასხმების გამო, გურიის და სამეგრელოს მხარე გაჩანაგდა, არც იმერეთის სამეფოს ადგა კარგი დღე. თვითონ აფხაზეთიც განიცდიდა ჩრდილოეთის მხრიდან მცხოვრები ტომების შემოტევებს. აფხაზთა სამთავროს ჩრდილოეთის მხარეში, მდ. ბზიბის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი, ჯიქების (საძების) შემოსევების წყალობით თითქმის გაუკაცრიელდა.

XVIII საუკუნეში ლიხსიქეთ საქართველო დაშლილი იყო ცალკეულ სამთავროებად. მისი საზღვრები წინა საუკუნეებთან შედარებით ძალზე შემცირებული იყო. სამხრეთში, სამცხე-ჯავახეთში, ოსმალეთი იმყოფებოდა; აღმოსავლეთით, ლიხის მთა წარმოადგენდა; ჩრდილოეთით, „გაგრიდან მოყოლებული მდ. მზიმთამდე მიწები აფხაზეთის სამთავროს გარეთ იყო. ჩრდილოეთის საზღვარი მიიმართებოდა კავკასიონის გაყოლებით, მზიმთას სათავეებიდან ლიხის მთის განშტოებამდე. არცთუ ისე ვრცელი ეს ქვეყანა დანაწილებული იყო მეფემთავრებს შორის.

იმერეთის სამეფო საკუთრივ იმერეთის ფარგლებში მდებარეობდა..... ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. კოდორიდან გადმონაცვლებული იყო მდ. ენგურზე, ხოლო ინგურსა და მდ. ღალიძგას შუა მდებარე სამურზაყანო აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის საცილობელ რაიონს წარმოადგენდა. მდ. ღალიძგადან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა აფხაზეთის სამთავრო, რომელიც ამ დროს მთლიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. მის შიგნით ფაქტიურად ცალკე იდგა წებელდის სათავადო“. (9, ტ. IV, გვ.844). იმ დროინდელი ცნობებით მოსახლეობის რაოდენობა აფხაზეთში, ამ გაუთავებელი ომების გამო, შემცირებული იყო და დაახლოებით 70 ათასს წარმოადგენდა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფეოდალები ერთმანეთსაც ებრძოდნენ და იმერეთის სამეფოსაც. ტახტის დასაკავებლად საქართველოს მტრებსაც უკავშირდებოდნენ.

„XVIII ს. მეორე ნახევრის აფხაზეთი სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით (მთიანი კუთხეების გამოკლებით) დაბალ დონეზე იდგა. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ აფხაზეთისა და საქართველოს ბარის მხარეების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარე (სახელმწიფო მმართველობის სისტემა, სამართლის წარმოება, სოციალური ურთიერთობანი, რელიგიური წარმოდგენების სისტემა, სამხედრო საქმის ორგანიზაცია და სხვ.), რომ აშკარა გახდეს მათ შორის არსებული სხვაობა“. (9, ტ.IV, გვ.595). რუსი მოხელე, სენაკისა და თელავის მაზრის უფროსი, კარლ ბოროზდინი (1828–1896), თავის მოგონებებში აფხაზების შესახებ წერდა: „მთელ შუასაუკინეების მანძილზე, თვით XIX საუკუნემდე აფხაზებს შენარჩუნებული ჰქონდა პატრიარქალურ-გვაროვნულ ურთიერთობათა მრავალრიცხოვანი და მყარი გადმონაშთები“. (9, ტ.IV, გვ.595).

XIX საუკუნეში ევროპასა და აზიაში განვითარებული სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენების გამო, რუსეთმა შეძლო მის მიწა-წყალზე და საზღვარგარეთაც მიმდინარე ომებში წარმატების მიღწევა. ომების დამთავრების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ უფრო მეტად გაამკაცრა თავისი კოლონიური წყობილება საქართველოში. რასაც მოჰყვა აჯანყებები. მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობა იმდენად გათავხედდა, რომ „იმერეთის თავადაზნაურობას სთხოვდა, რომ თავისი დეპუტატები იმპერატორთან გაეგზავნა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებისათვის „მადლობის მოსახდელად". თავადაზნაურობამ ამ მოთხოვნას უარით უპასუხა და მეფის ხელისუფლების აღდგენა მოითხოვა. ამავე დროს ქვეყანას უდიდესი სტიქიური უბედურებაც თავს დაატყდა. ეს იყო შიმშილობა და შავი ჭირი 1811–1812 წწ., რამაც ათიათასობით ადამიანი იმსხვერპლა. ერთი წლის განმავლობაში მარტო იმერეთში 30 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა. მოსახლეობა განახევრდა აფხაზეთშიც. შავი ჭირი მოედო აღმოსავლეთ საქართველოსაც, სადაც 1812 წ. იანვრამდე 4 255 სული ამოწყდა". (9, ტ.IV, გვ.877).

მიუხედავად საქართველოში ასეთი მდგომარეობისა, აჯანყებები რუსეთის წინააღმდეგ არ ცხრებოდა როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე მთელს საქართველოში. აფხაზეთში აჯანყებები მოხდა 1821, 1824, 1830, 1840, 1841 წლებში და დიდი სახალხო აჯანყება 1866 წელს, რომელიც დაკავშირებული იყო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებასთან. ყველა ეს გამოსვლები სასტიკად იქნა ჩახშობილი. განსაკუთრებული სისატიკით გამოირჩეოდა (1816–1827) წლებში საქართველო-ამიერკავკასიის მთავარსარდალი ალექსი ერმოლოვი (1777–1861). რომლის აზრით „ხალხის დასამორჩილებლად ერთადერთი გზა ძალმომრეობა და შიშის დანერგვა იყო." იგი წვავდა და ანადგურებდა აჯანყებულთა სოფლებს, მიწასთან ასწორებდა და ანგრევდა ციხე-სიმაგრეებს, ტყვედ აყვანილებს, ნანილს ადგილზევე აღრჩობდნენ, ზოგს ციხეში ამწყვევდნენ, ზოგს კი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებსა და ციმბირში ასახლებდნენ. ხოლო, ვინც ეხმარებოდა, აჯანყების მოღალატეებს, ასაჩუქრებდნენ. დასაჩუქრებულებს შორის იყვნენ ოდიშის მთავარი (1805–1840) ლევან V დადიანი (1791–1846) (იგი თავის თავს უწოდებდა რუსეთის ერთგულ „ჯარისკაცს". მან თავისი ძმა – გრიგოლიც კი, რომელიც ხელმძღვანელეობდა აჯანყებას სამეგრელოში, არ დაინდო, შეიპყრო და ჩააბარა რუსებს) და გურიის უკანასკნელი მთავარი (1809–1826) მამია V გურიელი (1789–1826), რომელიც (1819–1820) იმერეთის აჯენყების დროს იძულებული შეიქმნა რუსეთის მხარეზე დამდგარიყო. თვითონ ა. ერმოლოვი იკვეხნიდა: „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას". (9, ტ.IV, გვ.936).

თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე, აჯანყებების გაღვივებას ხელს უწყობდნენ ოსმალეთი და ირანიც. ისინი ცდილობდნენ, რომ აღედგინათ დაკარგული მდგომარეობა.

1821 წელს საფარ ალი-ბეგ, (გიორგი) შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზეთის მთავრად (1821–1822) წლებში ითვლებოდა დიმიტრი (ომარბეი) შარვაშიძე (გ. 1822), რომელიც, „როგორც მძევალი, პეტერბურგში ცხოვრობდა. სწავლობდა პაჟთა კორპუსში". (10, ტ.10, გვ.688).

დიმიტრის შემდეგ აფხაზეთის მთავარი (1822–1864) გახდა მიხეილ (ჰამუთ-ბეგი) შარვაშიძე (1811–1865), გიორგის ძე. იგი იყო აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი მთავარი. „თავისი მმართველობის პირველ წლებში, აფხაზეთში შექმნილი რთული ვითარების გამო, ცხოვრობდა სამეგრელოსა და იმერეთში, შემდეგ თბილისში. აქ დაეუფლა რუსულ ენას, ხოლო ქართული ენა ოჯახში შეისწავლა. იზრდებოდა უბიხების ერთ-ერთ წინამძღოლ ჰაჯი ბარზეგ-დაგუმოყვასთან. სამთავროს მართავდა რუსების ხელისუფლებასთან სრული თანხმობით, რისთვისაც მიიღო გენერალ-ადიუტანტის წოდება. მას, მუდმივი უთანხმოება ჰქონდა სამეგრელოს მთავართან". (10, ტ.10, გვ.689).

რუსეთის ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა მიხეილ შარვაშიძესა და ლევან V დადიანს შორის სამურზაყანოს სამთავროსათვის ატეხილი დავა და „1834–1837 წლებში დადიანისა და შარვაშიძის დახმარებით რუსეთის მთავრობამ ნებელდის დამორჩილება შეძლო. ნებელდას უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა და მისი დამორჩილება ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ერთგვარი კონტროლი გაეწია აფხაზეთის მთავრის მოქმედებისათვის. ნებელდის დაპყ-

რობას აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის მდებარე სამურზაყანოს ტერიტორიის შემოერთებაც მოჰყვა. ცარიზმმა ოსტატურად გამოიყენა სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის სამურზაყანოსთვის ატეხილი დავა და 1840 წ. იქ რუსული მმართველობა დაამყარა. იმავე ხანებში რუსეთის მთავრობამ დადიანს ზღვის სანაპირო ზოლიც ჩამოართვა. ყოველივე ეს აფხაზეთსა და სამეგრელოს მთავრების უფლებების შეზღუდვას ნიშნავდა. მათი ავტონომიური უფლებების საბოლოო გაუქმებას კი ცარიზმი მომავლისათვის სდებდა". (9, ტ.V, გვ.219).

წყაროებიდან ჩანს, რომ ყირიმის ომის დროს, 1854 წელს, რუსეთი იძულებული შეიქმნა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან ჯარები გამოეყვანა. მიხეილ შარვაშიძემ, აფხაზეთიდან, თავისი ოჯახიც და რუსული საჯარისო ნაწილები უდანაკარგოდ გამოიყვანა სამეგრელოში. შემდეგ კი, 1855 წელს დაბრუნდა აფხაზეთში. სულთანმა მას ფირმანი („მეფეთა საბოძვრის წიგნი") გამოუგზავნა, სადაც მას შავი ზღვის მთელი სანაპიროს (ნატანებიდან ანაპამდე) ფაშად (მბრძანებლად) და აზიასა და კავკასიაში ოსმალეთის ჯარების მთავარსარდლად ნიშნავდა. მან ეს ფირმანი არ მიიღო და საჯაროდ, ყველას თვალწინ, დახია და ფეხქვეშ გათელა. თუმცა იგი ელოდებოდა პოლიტიკურ ვითარებას, როგორ განვითარდებოდა აფხაზეთის მდგომარეობა, თუ რუსეთი აფხაზეთს თურქეთს გადასცემდა, იგი სულთანს მიემხრობოდა. როდესაც ცხადი გახდა, რომ კავკასიაში თურქეთი მარცხდებოდა, მაშინ, მიხეილ შარვაშიძე ცხადად დაუკავშირდა რუსეთს და თანამშრომლობდა მთავარსარდლობასთან. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლებას, არ გამოეპარა მიხეილის ეს ორჭოფობა, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში ომის დამთავრებამდე, რუსეთს სჭირდებოდა აფხაზეთის სამთავრო. რადგან მასზე გადადიოდა ერთადერთი გზა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლიდანაც ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩერქეზებისა და სხვა დასავლეთ ადიღური და მთიელი აფხაზური (ჯიქური) ტომების დამორჩილება. მიხეილ შარვაშიძეს კი დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომებში: უბიხებს, ჯიქებს, პსხუილებს და ახჩიპსხუილებს შორის; ამიტომ ჯერჯერობით აფხაზეთის სამთავროსა და მიხეილ შარვაშიძეს ხელი არ ახლეს. ხოლო როდესაც რუსეთმა დაიპყრო თუ არა მთიელი ტომები, (1859 წელს აიღეს შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ღუნიბი; 1863 წელს დაიმორჩილეს ყუბანელები; 1864 წელს უბიხები და იმავე წელს ახჩიპუს ცენტრში, სოფელ კბაადაში რუსეთის ხელისუფლებამ აღნიშნა კავკასიის ომის დამთავრება), 1864 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და იქ რუსული ადმინისტრაცია შემოიღო. „მიხეილ შარვაშიძეს, ისევე როგორც თავის დროზე ეკატერინე დადიანს, შესთავაზეს ნებაყოფლობით ეთქვა უარი მთავრის ხელისუფლებაზე. მიხეილი ხედავდა, რომ მისი ხელისუფლება განწირული იყო, ურჩობით მას არაფერი გაუვიდოდა და მთავრობის წინადადებაზე იმ პირობით თანხმდებოდა, თუკი მას აფხაზეთიდან არ გადაასახლებდნენ და აქ მუდმივად ცხოვრების ნებას დართავდნენ". (9, V, გვ.226). იმ მიზნით, რომ აფხაზეთში არეულობა არ მომხდარიყო, მან, თვითონვე, ხალხს გამოუცხადა **აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება**. ასე და ამგვარად, ყოველგვარი არეულობის გარეშე **აფხაზეთში დამყარდა რუსული წესწყობილება**. ხოლო ვინაიდან მიხეილი აფხაზეთიდან წასვლაზე არ თანხმდებოდა, მას „სახელმწიფო ღალატი" (თურქეთთან ურთიერთობა) დასწამეს და 1864 წ-ის ნოემბერში ავადმყოფი მთავარი სტავროპოლში, ხოლო შემდეგ ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა 1865 წელს". (9, ტ.V, გვ.226). გადმოასვენეს **მოქვის** ეკლესიაში. მოქვის საკათედრო ტაძარი ააგო აფხაზეთის მეფემ (957–967) ლ ე ო ნ III-ემ და წარმოადგენს ერთ-ერთ ხუროთმოძღვრების ძეგლს საქართველოში.

ცნობილია, რომ „აფხაზი მოღვაწე მიხეილ შარვაშიძე ქართული კულტურის მოღვაწეც იყო. იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში". (9, ტ.V, გვ.835).

6.1. აფხაზეთი და რუსეთი

რუსეთის მიერ აფხაზეთის სამთავროს დაპყრობის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ დაიწყო აფხაზეთში თავისი მმართველობის დამყარება და ამავე დროს მოინდომა როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, აქაც ადგილობრივი მცხოვრებლების აყრა და თურქეთში გადასახლება, რაც ცნობილია მუჰჯირობის სახელით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, აფხაზეთის მოსახლეობა არ ურიგდებოდა ამ მდგომარეობას და აჯანყებებით პასუხობდა. დიდი აჯანყება მოხდა აფხაზეთში 1866 წელს, რომელიც რუსეთის მთავრობამ სასტიკად ჩაახშო. 1867 წელს დაახლოებით 20 ათიასი აფხაზი გადასახლდა თურქეთში. ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877–1878) წლებში, რუსეთის მთავრობამ აფხაზები გამოაცხადა როგორც „არა საიმედო ხალხი", დასწამეს სახელმწიფო ღალატი და 32 ათასი აფხაზი იძულებული გახდა გადასახლებულიყო თურქეთში.

ჯერ კიდევ ადრე, კავკასიის ომის დამთავრებამდე, 1864 წლის 27 მარტს, კავკასიის მეფისნაცვალი (1862–1881), ალექსანდრე II-ის ძმა, მიხეილი (1832–1909) (რუსულ წყაროებში მოხსენებულია, როგორც „დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი"), რუსეთის იმპერატორს (1853–1881) ალექსანდრე II-ეს (1818–1881), 1864 წლის 27 მარტს, პირად წერილში წერდა: „მადლიერი მოკავშირის ნაცვლად რუსეთმა მიიღო აფხაზეთში ურჩი და ვერაგი მონა, რომელიც მზადაა მეტად გულთბილად დახვდეს მის ნაპირებთან გამოჩენილ ჩვენს ნებისმიერ მტერს, ასე მოიქცა იგი გასულ ომში (1853–1856 წწ. – ავტ.)... ამჟამადაც ვერც ერთი ჯარისკაცი ვერ გაბედავს სოხუმიდან ორ კილომეტრში გასვლას ისე, რომ მოკვლის საფრთხის ქვეშ არ აღმოჩნდეს, ვერც ერთი უფროსი ვერ გაბედავს ამ მხარეში მოგზაურობას დაცვის ძლიერი რაზმის თანხმლების გარეშე...

ასეთ მდგომარეობაში მხარის ყოფნის გამო არის თუ არა რუსეთისათვის მომგებიანი და შეესაბამება კი სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის გრძნობას მხარის დატოვება მისი ამჟამინდელი მმართველი მთავრის ხელში.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს სრულიად საზიანო იქნებოდა. ამ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში აფხაზეთი ყოველთვის წარმოადგენდეს გამზადებულ პლაცდარმს და საფუძველს ზღვის მხრიდან ამიერკავკასიის წინააღმდეგ მტრის მოქმედებისათვის." (107). მეფის ნაცვალი, დიდი თავადი, მოითხოვდა:

„1. მისი მფლობელი და მემკვიდრე, დავითანხმოდ, რომ უარი თქვას სამფლობელოს უფლებებზე.

2. დაენიშნოს მფლობელსა და მის შთამომავლებს მათ სარჩო უზრუნველსაყოფად.

3. შეიქმნას აფხაზეთის სამხედრო ოლქი, რომელიც ნებელდასთან ერთად დაექვემდებარება განსაკუთრებულ სამხედრო უფროსს, ოლქის განყოფილების უფროსის უფლებებით, ქუთაისის გენარალ-გუბერნატორის დაქვემდებარებაში.

4. თუ თავისუფალი მიწების რაოდენობა საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ სანაპიროს გასწვრივ ენგურის შესართავამდე კაზაკური დასახლებები. რომლებიც მდ. ბზიფის დასახლებულებთან ერთად, შეძლებენ ჩამოყალიბებას აფხაზურ კაზაკური ჯარის, აფხაზეთის სამხედრო ოლქის მმართველობაში.

5. ყუბანსა და აფხაზეთის ჯარებს შორის საზღვარი დაწესდეს ქედი, რომელიც გაგრის ვიწროებს კეტავს და ეხლა გამოყოფს აფხაზებს ჯიქების მიწებიდან". (107).

1864 წ. აპრილში იმპერატორმა მოიწონა მეფისნაცვლის წინადადებები.

„რუსეთის იმპერიის მმართველი წრეები მალე სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ..... მაგრამ ამ გეგმის შესასრულებლად საჭირო იყო თავისუფალი მიწები და, მაშასადამე, დასახლებული ადგილების განთავისუფლება ნამდვილი მეპატრონეებისაგან.

მეფის რუსეთის უშუალო ხელშეწყობითა და მონაწილეობით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ათასობით აფხაზი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა მშობლიური მხარე და თურქეთში გადასახლებულიყო. უფრო ტრაგიკული ბედი ერგოთ აფხაზებისა და ადიღეელების მეზობლად მცხოვრებ ხალხს

– უბიხებს, რომლებიც მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მირსკი ამის შესახებ აღნიშნავდა: თუ აფხაზების ნაწილი მოისურვებს ოსმალეთში გადასახლებას ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ. ჩვენ უნდა შევიძინოთ აფხაზეთის მამულები, რომლებიც მეტად ვრცელია და შევუდგეთ აფხაზეთის კოლონიზაციას ყაზახ-რუსების საშუალებითო.

აფხაზეთში საკოლონიზაციოდ გამოყოფილ მიწებზე ინტენსიურად ასახლებენ რუსებს, ხოლო ყველა სხვა მსურველს უარს ეუბნებიან, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობის ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, გერმანელებსა და მოლდაველებსაც აძლევენ დასახლების უფლებას..... უარს აქ დასახლებაზე მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეზობელი მაზრების უმინაწყლო ქართველ გლეხებს ეუბნებიან. ცნობილია, მაგალითად, რომ გასული საუკუნის ბოლოს ასმა ქართველი გლეხის ოჯახმა თხოვნით მიმართა მთავრობას აფხაზეთში დასახლებაზე, მაგრამ მათ უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ „სოხუმის ოლქში ყველა თავისუფალი მიწა საბოლოოდ განკუთვნილია რუს კოლონიზატორთა დასაბინავებლადო". (21, გვ.70).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთის მესვეურები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, აფხაზეთი გაეწმინდათ ადგილობრივ მოსახლეობისაგან, იმისათვის, რომ ჩაესახლებინად ძირითადათ რუსები და მათი მომხრე სხვა ერის წარმომადგენელები (სომხები, ბერძნები და სხვ.). ამის დამადასტურებული უამრავი საბუთებია გამოაშკარავებული.

ისტორიკოსი ავთანდილ სონღულაშვილი აღნიშნავს, რომ „მდინარე ფსოუს მარცხენა სანაპიროზე, ზედ ნაპირთან დასახლდა კოლონისტთა ჯგუფი. მათ დასახლებას დაერქვა ერმოლოვსკი. ამ პუნქტის სამხრეთაღმოსავლეთით 6 კილომეტრზე, მდინარე მახადირის ნაპირზე, გაჩნდა მეორე დასახლება, რომელსაც დაერქვა პილენკოვო. ამ რაიონში წარმოქმნილმა ხუტორებმა და მცირე დასახლებებმა ასეთი სახელწოდებები მიიღეს: კოველევსკოე, ტროიცკოე, ხრისტოფოროვო, როგოჟინო, ტურინოვკა, ბარანოვო, კაზარმა და ა. შ.

თურქეთიდან გადმოსახლებული პირველი ბერძენი კოლონისტები 1869 წლის თებერვალ-მაისში აფხაზეთის სამ სოფელში – ალექსანდროვსკოე, გეორგიევსკოე, ოლინგცკოე – ჩაასახლეს. იმავე წლის ივნისში სოხუმში ჩამოვიდა XIX საუკუნის დასაწყისიდან ტირაპოლის გუბერნიაში მცხოვრები ბულგარელების 62 ოჯახი, რომლებიც ანასტასიევსკოესა და ნიკოლაევსკოეში ჩაასახლეს". (23, გვ.63).

საბუთებიდან ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლება „ყოველნაირად ცდილობდა, არ დაეშვა ქართველთა მასობრივი დასახლება აფხაზეთში და ხელი შეეშალა მხარის ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში მოქცევისათვის". (77).

1895 წელს, სოხუმის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ვ. ა. ბრაკერი იძლეოდა მითითებას, რომ საჭირო იყო „ადრე დაშვებული სოხუმის მხარეში უცხოელი ელემენტების ჩასახლება, ეხლავე შეწყდეს, განსაკუთრებით მეგრელების ჩასახლება. სასურველია შეძლებისამებრ თავისუფალი მიწების დიდი ფონდის დაზოგვა, ძირითადათ რუსი ხალხის დასასახლებლად". (77). ხოლო საიდუმლო მოხსენებაში, (1898–1901) ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალმაიორი თ ე ო დ ო რ ე გ ერ შ ლ ე მ ა ნ ი (1853–1917), კავკასიის კოლონიურ ხელმძღვანელობას წერდა: „ოლქის რუსულ კოლონიზაციას სახელმწიფოს პოლიტიკური ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აფხაზები აქამდე წარმოადგენენ თავის თავად ძალიან ნაკლებ კულტურულ ხალხს, ნაკლებ განვითარებულს როგორც გონებრივად, ასევე ზნეობრივად მოქცევის მხრივ, მერყეენი არიან სარწმუნეობის რწმენის მხრივ და არა ერთხელ გამოუმჟღავნებიათ თავისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედობა. ყველაფერი ეს იწვევს საჭიროებას განსაკუთრებულ ყურადღებას მათ მიმართ. ამ საქმის გამოსწორება შეიძლება ამ მხარეში რუსული მოქალაქეობრიობის შეტანა. ყველაზე უფრო კარგი საშუალება არის განხორციელდეს უსათუოდ აღიარება ამ მხარის რუსი მოსახლეობის კოლონიზაციით." (77).

„1892 წელს რუსი მოხელე აფხაზეთში რუსების ჩასახლებაზე აღნიშნავდა: „ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით მხოლოდ, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარ-

შოს მთელი აქაური სხვადასხვა ტომობრივი და სხვადასხვა ეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს".

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმი უკვე აშკარად მოქმედებდა, ცდილობდა საქართველოსათვის მოეწყვიტა აფხაზეთი. სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც კი ამ საქმეში უშლიდა ხელს". (23, გვ.63).

ამავე დროს ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მთელი კავკასიის რუსიფიკაცია მომხდარიყო. თავისი მიზნების განსახორციელებლად ის ცდილობდა კავკასიაში (მით უმეტეს საქართველოში) მცხოვრები სახვადასხვა ხალხის და ტომების გათიშვას, ერთმანეთთან დაპირისპირებას, წაკიდებას და ამას-კი ახერხებდა კიდევაც.

ა. ბაქრაძე 1978 წელს წერდა:

„რუსეთს, საერთოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ერთი მიზანი ჰქონდა – მოსახლეობის მთლიანი გარუსება. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაქუცმაცება, ერთიანი ეროვნული შეგნების მოშლა. ბუნებრივია, ნაჭერ-ნაჭერ დაყოფილი საქართველოს გარუსება უფრო იოლი იყო. ამ მიზნის განხორციელებას რუსეთი იქ შეუდგა, სადაც ყველაზე სუსტი ადგილი იპოვა. წარსული ისტორიული პირობების გამო ეს სუსტი ადგილი სწორედ აფხაზეთი აღმოჩნდა... საქართველოს სამეფო-სამთავროების სისუსტის გამო XVII–XVIII საუკუნეებში აფხაზეთში საკმაოდ მძლავრად მოიკიდა ფეხი მაჰმადიანობამ. აფხაზეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აღიარა ისლამი. ისლამის წყალობით აფხაზეთსა და დედა-საქართველოს შორის უკვე გაჩნდა ბზარი. ეს ბზარი ოსტატურად გამოიყენა რუსეთმა, თანდათანობით გაზარდა და გააღრმავა იგი." (20, გვ.51). მაგრამ იმ დროს, სხვადასხვა პირობების გამო რუსეთმა მთლიანად აფხაზების გარუსება მაინც ვერ მოახერხა და „რაც ცარიზმმა ვერ მოახერხა, მოახერხა საბჭოთა ხელისუფლებამ". (20, გვ.54).

გარუსების ერთ-ერთი მთავარი ხერხი იყო ქართული ენის მოსპობა საქართველოში. ამისთვის ყოველ ღონეს ხმარობდნენ. ამ საქმეში კი ხელს უწყობდნენ რუსიფიკატორებიც. რუსეთის ხელისუფლება უქადაგებდა განსაკუთრებით მეგრელებს და აფხაზებს, რომ ისინი ქართველები არ არიან და მათ საკუთარ ანბანსაც კი უქმნიდა. მათ მოახერხეს ქართული ენის განდევნა სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში. „ქართული ენა თითქმის საბოლოოდ განდევნეს დაწყებითი სკოლებიდანაც. სკოლებში რუსული ენის სწავლების ეგრეთ წოდებული ნატურალური (მუნჯური) მეთოდის ფართოდ დანერგვა იწყეს, რითაც ცარიზმი ორი კურდღლის დაჭერას ლამობდა: ქართველი მასწავლებლების შეცვლას დიდმპყრობელი რუსი შოვინისტებით და სწავლა-აღზრდის სრული რუსიფიკაციის განხორციელებას. ათწლიანი ბრძოლის შემდეგ მთავრობამ თბილისის თვითმმართველობას ჩამოართვა საქალაქო სკოლების ხელმძღვანელობა და ისინი რუსულ სკოლებად გადააქცია. უფრო დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა სკოლისათვის სამეგრელოში, სადაც თვითმპყრობელობა მეგრული ანბანის შექმნით და მუნჯური მეთოდის გამოყენებით ქართული ენის და კულტურის აღმოფხვრას ცდილობდა. ამგვარ პოლიტიკას ახორციელებდა ცარიზმი აფხაზეთშიც, სადაც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ქართული ენა საეკლესიო სამრევლო სკოლებსღა აფარებდა თავს. მოსახლეობაც ამიტომ აძლევდა უპირატესობას ამგვარ სკოლებს სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით, სადაც სწავლა ბავშვებისათვის გაუგებარ ენაზე მიმდინარეობდა. 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქართული ენა განდევნეს აფხაზეთ-სამურზაყანოს სკოლებიდან და წირეა-ლოცვის ქართულად შესრულებაც". (9, ტ.VI, გვ.710). უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში, იგივე მეორდებოდა მთლიანად საქართველოში, საბჭოთა წყობილების დროსაც, ოღონდ შეფარვით, იხსნებოდა რუსული სკოლები და წარმოება-დაწესებულებებში მიმოწერა ხდებოდა ძირითადათ რუსულ ენაზე, წარმოებებში დანინაურება ხდებოდა უმეტესად იმ პარტიული მუშაკებისა რომლებიც რუსულ ენას ფლობდნენ და სხვა ერისა, ან შერეული ეროვნების წარმოშობისა იყვნენ.

1900 წელს თ. გერშელმანი წერდა: „სოხუმის ოლქის მოსახლეობა განსაკუთრებული სიჭრელით გამოირჩევა. საერთო ჯამში იგი 96 377 კაცს შეადგენს, რომელთა შორის აფხაზები სჭარბობენ, კერძოდ, მათი რაოდენობაა 71%. მათთან ერთად ითვლება სამურზაყანოს მოსახლეობა (აფხაზები – 33,5%, სამურზაყანოელები – 37,5%), სხვა ერებიდან – რუსები მთელი მოსახლეობის 6%-ს შეად-

გენენ, მეგრელები, იმერლები, გურულები და ქართველები ყველა ერთად – 13%-ს, დანარჩენი 10% სხვადასხვა ეროვნებების წილად მოდის.

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსი ჩინოვნიკები აფხაზეთში მცხოვრები ქართველების აღწერისას სხვადასხვა „ერებად" აღრიცხავენ „მეგრელებს, გურულებს და ქართველებს", ხოლო 2003 წლის აფხაზეთის მოსახლეობის აღწერისას –„მეგრელებს, სვანებს და ქართველებს" – როგორც იტყვიან, ძველი გეგმიდან არაფერი შეცვლილა". (97).

აფხაზთა გარუსებას, ქართველისაგან გაუცხოებასა და საქართველოსაგან ჩამოშორებას ემსახურებოდა, აფხაზური დამწერლობისათვის კირილიცას (რუსული) გრაფიკის შემოღება. კავკასიოლოგი თეიმურაზ გვანცელაძე წერს, რომ 1862 წელს, რუსმა ენათმეცნიერმა, კავკასიოლოგმა და ლინგვისტმა, გენერალმა პეტრე უსლარმა (1816–1875) გამოსცა რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანი. სადაც გამოყენებული იყო მხოლოდ 3 ქართული ასო. პ. უსლარის სიკვდილის შემდეგ, მეორე გამოცემაში ეს ასოებიც ამოიღეს. მიუხედავად იმისა, რომ თვით პ. უსლარი ქართული ანბანის შესახებ წერდა:

„ეს არის ლამის ყველაზე სრულყოფილი არსებულ ანბანთა შორის. ყოველი ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით და ყოველი ასო მუდამ გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენას აქვს დაბრკოლება – ესაა მართლწერა; ქართველებისათვის მათი ანბანის სრულყოფილების გამო ეს სირთულე თითქმის არ არსებობს. აქედან ჩანს, რომ ქართულ საანბანო სისტემა შეიძლება აღებულ იქნეს საფუძვლად აქამდე დამწერლობის არმქონე ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანისა. მაგრამ თუ ჩვენ ვიხსენებთ ქართველებისაგან არა მარტო საანბანო სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, ამით სრულიად თვითნებურად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც მეტად გავრცელდება კავკასიაში რუსული განათლება".

პ. უსლარის ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ იგი კავკასიის ენებისათვის გრაფიკული საფუძვლის არჩევის დროს პოლიტიკურ მოტივებს უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა". (78). პ. უსლარი აღნიშნავდა: „ადგილობრივი დამწერლობა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ მას, რომ მათ (აფხაზებს – ა. ბ.) გაუადვილოს რუსული ენის შესწავლა". (20, გვ.54).

ა. ბაქრაძეს მოჰყავს კავკასიოლოგის და ბუნებისმეტყველის ევგენი ვეიდენბაუმის (1845–1918) სიტყვები:

„აფხაზური ენა, რომელსაც არ აქვს დამწერლობა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა განწირულია ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში. საკითხავია ის: რომელი ენა შეცვლის მას? ცხადია, რომ მოსახლეობაში კულტურული იდეების და ცნებების გამტარებლის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა ენამ, არამედ რუსულმა. ამიტომ მე მგონია, აფხაზური დამწერლობის შექმნა თავისთავად კი არ უნდა იყოს მიზანი, არამედ უნდა გახდეს ქართული ენის მოთხოვნილების შესუსტების საშუალებად ეკლესიისა და სკოლის გზით. იგი (ქართული) თანდათანობით შეიცვალოს სახელმწიფო ენით (ე. ი. რუსულით – ა. ბ.).

უმაგალითო გულწრფელობით არის განმარტებული აფხაზური დამწერლობის შექმნის ამოცანა და მიზანი. რუსმა მოღვაწეებმა ეს ამოცანა სრულიად გადაჭრეს და მიზანსაც სრულად მიაღწიეს. ის რაც ორი საუკუნის მანძილზე ვერ მოახერხა უკულტურო თურქეთმა, სრულიად ადვილად შესძლო კულტურულმა რუსეთმა რაღაც 50 წლის მანძილზე". (20, გვ.54). ხოლო „რაც ცარიზმმა ვერ მოახერხა, მოახერხა საბჭოთა ხელისუფლებამ". (იქვე).

ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი და ისტორიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) მარი (1864–1934) ქართული ენის შესახებ წერდა:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას.

... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა". (44, გვ.3). „ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოგვცეს განყენებული აზროვნების ცნებები. ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც აზიური, ისე ევროპული

კულტურული საზოგადოების მთელი პროდუქცია. მას საკმაოდ მდიდარი საშუალებები მოეპოვება გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ნაციონალიზაციისათვის. ამასთანავე, იგი უდიდესი შრომით მოპოვებული ინტერნაციონალიზმის ჩანასახსაც შეიცავს. ქართული ადვილად უნათესავდება ან უახლოვდება უცხო წარმოშობის ენას, ადვილად ითვისებს მეზობელი და უცხო ხალხების აზროვნების და მეტყველების მიღწევებს". ქართული ენა არის „მსოვლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი სამწერლობო ენა". (44, გვ.6). მიუხედავად ამისა, აფხაზებს, „სამხრეთ ოსებს" და ჩრდილოეთ კავკასიელებს, მაინც რუსული (კირილიცა) დამწერლობა მიაღებინეს.

„ანბანური დამწერლობა მით უფრო იდეალურად ითვლება, რამდენადაც თითეული ასო (გრაფემა) ზუსტად შეესატყვისება სათანადო ფონემას. ამ მხრივ არსებულ ანბანთა შორის ყველაზე სრულყოფილია ქართული ანბანი: აქ თითეული ფონემა სათანადო გრაფემით აღინიშნება. ქართულ ანბანში არ არის შემთხვევა, რომ რამდენიმე ნიშანი ერთ და იგივე გრაფემა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფონემას აღნიშნავდეს, ან კიდევ – გამოყენებული იყოს ფონემათა ჯგუფის აღსანიშნავად (როგორც ამას ადგილი აქვს სხვა ენათა ანბანში; მაგ., ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში, ნაწილობრივ რუსულში, ბერძნულში, სომხურში)". (10, ტ.1, გვ.434).

1865 წელს არქეოლოგმა და ნუმიზმატმა, გენერალ-ლეიტენანტმა, 1856 წლიდან პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ივანე ბართოლომეიმ (1813–1870) თბილისში პირველი აფხაზური საანბანო წიგნი გამოსცა. 1892 წელს თბილისში აფხაზი მწერლის დიმიტრი გულიასა (1874–1960) და მისი ქართული ენის მასწავლებლის კონსტანტინე მაჭავარიანის მიერ გამოიცა ახალი აფხაზური ანბანი რუსული გრაფიკის მიხედვით. 1937 წელს აფხაზეთში შემოიღეს ქართული ანბანი. მაგრამ, 1954 წლიდან ისევ რუსულ ანბანს დაუბრუნდნენ. მწერალი მუშნი ჰაშბა აღნიშნავდა: „აფხაზური ენისათვის ქართული ანბანი მთლიანად უნდა გამოყენებულიყო".

„აფხაზური ენისათვის ყველაზე მეტად შესაფერისი სწორედ ქართული საანბანო სისტემაა, ვინაიდან აფხაზური და ქართული ენები ერთმანეთის მონათესავე ენებია და ბგერითი შემადგენლობაც მსგავსი აქვთ, თუმცა ბგერათა რაოდენობაში საკმაოდ დიდი სხვაობაა (აფხაზურ სამწიგნობრო ენაში 64 ბგერაა, ქართულში კი – 33). მაგრამ ქართული გრაფიკის არჩევისას ეს სხვაობა ადვილად დაიძლია". (78).

„1938–1954 წლები აფხაზური ენის ეკოლოგიური იერსახის შენარჩუნების პერიოდი იყო. ამ 16 წლიანმა პერიოდმა აფხაზური ენა გადაარჩინა რუსული ენის წამლეკავი ზეგავლენისაგან და დროებით შეაჩერა რუსიფიკაციის პროცესი, რასაც ვერ ვიტყვით 1954 წლის მომდევნო პერიოდის შესახებ, როცა რუსიფიკაციის მასშტაბი აფხაზი ხალხის მომავალს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა და სამწუხაროდ დღესაც უქმნის". (78)

ა. ბაქრაძე წერდა:

„რუსეთი ყველა ღონით ებრძოდა საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობასაც და სულიერ ერთიანობასაც. ამას აკეთებდა იმისათვის, რომ როცა დასჭირდებოდა, ის ეთქვა, რაც საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარის სარდალს, გენერალ იაკუშევს ათქმევინეს: „წარსული საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთი, იმყოფებოდა რუსეთის შემადგენლობაში, და მხოლოდ შედარებით მოკლე ისტორიულ მონაკვეთში – სოციალისტურ საქართველოს შემადგენლობაში". („პრავდა", 21 ოქტომბერი, 1994 წ.).

როცა რუსეთის შორს გამიზნულ პოლიტიკაზე ლაპარაკობს ვინმე, ბრიყვი ქართველისაგან პასუხად ისმის – რუსებს სად შეუძლიათ ასე შორს გათვლა. შეუძლიათ და ძალიან კარგადაც. სხვაგვარად ისინი ვერ შექმნიდნენ თვალუწვდენელ იმპერიას და ამდენ ნაირ-ნაირ ხალხს ვერ დაიმონებდნენ. ამიტომ რუსეთის პოლიტიკას ღრმად შესწავლა სჭირდება და არა ზედაპირული დამოკიდებულება.

გენერალ იაკუშევის სიტყვები ცხადად ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება რუსეთს აზრადაც არ მოსვლია და, მით უმეტეს, ეს არ გაუკეთებია. ამის სურვილი რომ ჰქონდეს რუსეთს, მაშინ ის აფხაზეთს რუსეთის ნაწილად არ ჩათვლიდა და შიდა ქართლის მინა-წყალს „სამხრეთ ოსეთს" არ დაარქმევდა. პოლიტკურად „კეთილშობილი" რუსეთი ქართველი რუსეთუმეების გამოგონილია". (20, გვ.314).

აფხაზების დამორჩილებას და გარუსებას და საერთოდ, არა მარტო აფხაზეთის, არამედ საქართველოს გადაგვარებას, რუსეთის ხელისუფლება აპირებდა სომხების მეშვეობითაც. ამიტომაც ის ხელს უწყობდა სომხების ჩასახლებას საქართველოში და შავიზღვისპირეთში. ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, (1915–1916) წლებში, თურქეთიდან ლტოლვილი 300 000-მდე სომეხი ჩაასახლა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადათ საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთის მინა-წყალზე და მთელ შავიზღვისპირეთში.

„აფხაზეთის რუსებით და სომხებით დასახლების პროცესი აქტიურად გრძელდებოდა საბჭოთა ეპოქაშიც, რაზეც ნათლად მიუთითებს 30-50-იანი წლების აღწერილობის მონაცემები. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული მკვიდრი მოსახლეობის, ქართველების და აფხაზების წინააღმდეგ". (22, გვ.31).

„აფხაზთა სამეფოში ქართული ეთნოსი დიდ უმრავლესობას შეადგენდა, ხოლო აფხაზები და აფშილები – თუ არ ჩავთვლით არაქართულ ეთნოსს – წარმოადგენდნენ ამ მოსახლეობის უმრავლესობას. ჩრდილო-კავკასიური ტომების არსებობა, კერძოდ ჯიქების ნაწილის, შესაძლოა ვივარაუდოთ აფხაზთა სამეფოში. ეს სიტუაცია, როგორც ჩანს, ძირითადად არსებობდა შუა საუკუნეების განმავლობაში, გარდა მოგვიანებით ჩრდილო კავკასიიდან, აფსუების ტალღის იმიგრაციისა. ამას ადასტურებს XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მონაცემები.

1800 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობდა 52 000 აფხაზი; 1832 წელს – 56 600 აფხაზი; 1865 წელს – 60 000 აფხაზი;

1886 წელს მოსახლეობის აღწერის მიხედვით აფხაზეთში (იმდროინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სოხუმის ოლქში) ცხოვრობდა 68 773 კაცი, მათ შორის იყო 34 806 ქართველი და 28 320 – აფხაზი; (98).

„1886 წელს შედგა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. მოსახლეობის ამ აღწერის თანახმად აფხაზეთის მოსახლეობა 64 ათას 676 კაცს შეადგენდა: აფხაზი – 28 320, ქართველი – 34 078, რუსი – 1 241, სომეხი – 1 037 იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა – 1 ქალი და 2 მამაკაცი.

1897 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი აღწერის მიხედვით, აფხაზეთში 106 179 კაცი ცხოვრობდა: აფხაზი - 36,6; ქართველი - 44,8; რუსი – 6,0; სომეხი - 6,5; ბერძენი - 5,4 და სხვა.

1 მსოფლიო ომის წლებში (1914–1918) მრავალმა ათასმა დევნილმა სომეხმა და ბერძენმა აფხაზეთში ჰპოვა თავშესაფარი. 1920 წელს სამშობლოში დაბრუნდნენ ლტოლვილი ბერძნები. მათი დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც გაგრძელდა". (79).

ცნობილია, რომ აფხაზეთში მუჰაჯირობის შედეგები უფრო სავალალო იქნებოდა, რომ იმ დროს არ ყოფილიყვნენ აფხაზეთის ეპარქიის მმართველები ქართველი ეპისკოპოსები: ალექსანდრე და გაბრიელი, რომლებმაც არა ერთი აფხაზი გააქრისტიანეს და ამით გადაარჩინეს ამოწყდომისაგან, ისე როგორც გადაშენდნენ ზოგიერთი ჩრდილოეთ-კავკასიის ზოგირთი მთის ტომები, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მდ. ფსოუდან აზოვის ზღვამდე.

ალექსანდრე (ალექსი) ოქროპირიძე (1824–1907), იყო ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე. 1850 წლის შემდეგ აფხაზეთის არქიმანდრიტი, ხოლო (1862–1869) წლებში აფხაზეთის ეპისკოპოსი. 1903 წელს სინოდმა გადააყენა თანამდებობიდან. ამის შემდეგ მოღვაწეობდა მისივე აღდგენილ შიო მღვიმის მონასტერში და იქვე გარდაიცვალა. დასაფლავებულია შიო მღვიმის მთავარ ტაძარში.

გაბრიელ ეპისკოპოსი (გერასიმე ქიქოძე) (1826–1896), ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ეპარქიას (1869–1886) წლებში. სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი. ცნობილია როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი და განმანათლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ცნობილია აგრეთვე, რომ მან აფხაზეთში ყოფნის დროს 18 000 აფხაზი გააქრისტიანა. დასაფლავებულია გელათის მონასტერში.

აფხაზ მუჰაჯირთა შორის საკმარისად ბევრი ეთნიკურად ქართველი იყო.

მ. ლორთქიფანიძე წერს:

„აფხაზთა ქართველთაგან სოციალ-კულტურული გათიშვასთან ერთად მიმდინარეობდა პოლიტიკური გათიშვა XVII–XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში. აფხაზთა ქართველთაგან გათიშვის პროცესს დამპყრობ თურქ-ოსმალთა ხელისუფლება ახორციელებდა, რომელიც ისლამის დამკვიდრებით ადგილობრივ მოსახლეობაში ურთიერთ საწინააღმდეგო ძალების შექმნას ცდილობდა. XIX საუკუნეში ამ გათიშვას ყოველნაირად უწყობდა ხელს რუსეთის ხელისუფლება". (22, გვ.31). ხოლო ქართველი ბოლშევიკები, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება უჭერდა მხარს, რომლებიც მხოლოდ რუსეთისკენ იყურებოდნენ და რუს ბოლშევიკებს ეტრფოდნენ და შეჰხაროდნენ, და იმისათვის, რომ სახელმწიფოს მთავრობაში თვითონ მოსულიყვნენ, ცდილობდნენ თავისუფალი საქართველოს დამხობას და დაპყრობას. როდესაც რუსეთში, 1917 წლის 25 ოქტომბერს, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ქართველი ბოლშევიკები დაირაზმნენ და ამოქმედნენ. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, აწყობდნენ გამოსვლებსა და კრებებს. 1917 წლის 7 ნოემბერს აფხაზეთში გაიმართა გლეხთა I ყრილობა, სადაც ბოლშევიკები მოითხოვდნენ ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაეცათ. ამ ყრილობაზე, ზოგიერთმა ე. წ. „ინტელიგენციის" წარმომადგენელმა, აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება მოითხოვა. მაგრამ, ყრილობამ ამ მოთხოვნებს მხარი არ დაუჭირა. 1918 წლის თებერვალში, ბოლშევიკების მეთაურობით, საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის აფხაზეთშიც, თითქმის ერთდროულად მოხდა გლეხთა გამოსვლები. მაშინდელმა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ შეძლო ამ აჯანყებების დამარცხება. მაგრამ, ბოლშევიკები იატაკქვეშეთში გადავიდნენ და ისე განაგრძობდნენ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებას.

აფხაზეთში, 1918 წ. 8 აპრილს, ბოლშევიკებმა მოახდინეს აჯანყება. მათ შეძლეს სოხუმის დაკავება და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ ჯარი შეიყვანა აფხაზეთში. საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილმა გენერლებმა: გ ი ო რ გ ი მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ მ ა (1870–1937), ი ო ს ებ გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა (1873–1939) და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე კ ო ნ ი ა შ ვ ი ლ მ ა შეძლეს აფხაზეთის განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან. გადარჩენილი წითელი რაზმები, 1918 წლის სექტემბერში, შეუერთდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ რუსეთის წითელ არმიას.

ა. ბაქრაძის თქმით: „აფხაზი პროპაგანდისტები ტყუილად სწამებენ ცილს დემოკრატიულ საქაველოს მთავრობას ამ აჯანყების ჩაქრობაში. ამბოხება არსებითად 1918 წლის 17 მაისს დამთავრდა, როცა სოხუმი ამიერკავკავკასიის სეიმის ჯარებმა დაიკავეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა. მაგრამ აფხაზ პროპაგანტისტებს რას ვერჩით, როცა ქართველი ისტორიკოსებიც ამტკიცებდნენ – ამიერკავკასიის სეიმმა აჯანყების ჩასახშობად ჯარი ქართველი მენშევიკების ნაქეზებით წარგზავნაო." (20, გვ.102).

გირგი მაზნიაშვილი „მოგონებანი"-ში აღნიშნავს, რომ პირველად 1918 წლის აპრილის შუა რიცხვებში, „როდესაც რაზმის შტაბი კიდევ ნატანებში იყო", მასთან მისულან „დეპუტაცია სოხუმიდან: დეპუტაციაში შედიოდა ქალაქის მოურავი და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სამი წევრი.

დეპუტაციამ მომმართა თხოვნით გამეწმინდა ბოლშევიკებისაგან როგორც სოხუმი ისე აფხაზეთი." მან მთხოვნელები გააგზავნა თბილისში. „ერთი დღის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარისაგან მივიღე ბრძანება, გამომეყო ჩემი ჯარებიდან ცალკე რაზმი და გამეგზავნა იგი აფხაზეთში ბოლშევიკებთან საბრძოლველად". (35, გვ.57). ხოლო მეორეჯერ, 1918 წლის 16 ივნისს, კვლავ მისულა მასთან აფხაზეთის ეროვნული საბჭოს დელეგაცია თხოვნით, რომ „მეშველა რამე მათთვის, რადგან ბოლშევიკები მეორედ შემოიჭრნენ აფხაზეთში.

დელეგატები კვლავ მთავრობასთან გავგზავნე.

ორი დღის შემდეგ 18 ივნისს სამხედრო მინისტრისაგან მივიღე დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მე ვინიშნები აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის ნაპირების ჯარების უფროსად". (35, გვ.59).

ცნობილია, რომ 1919 წელს, როდესაც აფხაზეთს მოუახლოვდა რუსეთის თეთრგვარდიელი გენერალი ა ნ ტ ო ნ დ ე ნ ი კ ი ნ ი (1872–1947), „აფხაზეთის" წარმომადგენლებმა „აფხაზი ხალხის სახელით" დენიკინს მიმართეს საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ.... მოითხოვდნენ აფხაზეთში დენიკინის ჯარების შეყვანას. (9, ტ.VI, გვ.626). როდესაც, 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის დაიდო

სამშვიდობო ხელშეკრულება, მაშინ ბოლშევიკებმა მთელი ყურადღება საქართველოს განაპირა მხარეებისაკენ მიმართეს და იქ შეეცადნენ ხალხის აღელვებას.

6.2. საბჭოთა აფხაზეთი და შემდეგი დრო.

ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალში აფხაზეთში ხელახლა მოაწყვეს აჯანყება და აჯანყებულებმა საბჭოთა მე-9 არმიის ნაწილების დახმარებით 4 მარტს დაიკავეს სოხუმი, 5 მარტს – კოდორი, 7 მარტს – ოჩამჩირე და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. აფხაზეთის ხელისუფლება გახდა რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). „აფხაზეთის რევკომმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა განთავისუფლებული აფხაზეთის მშრომელებს, საქართველოს რევკომს მიმართა მისალოცი დეპეშით:

„მუშურ-გლეხური აფხაზეთი ზეიმობს ბურჟუაზიის ლაქიების ჩაგვრისაგან განთავისუფლებას. საქართველოს სოციალ-გამყიდველები, ხალხის ჯალათები ვერ იხსნეს მათმა მბრძანებლებმა... მამაცი წითელი არმიის მიერ, მთელ აფხაზეთზე აღმართულია საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აფხაზეთის ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო რევოლუციას!

გაუმარჯოს ყოვლისმძლე საბჭოთა ხელისუფლებას“. (9, ტ.VI, გვ.697).

29 მარტს-კი, შედგა ამიერკავკასიის ხელმძღვანელთა თათბირი, სადაც აფხაზი ბოლშევიკები მოითხოვდნენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის სახელით, რომ ვითომდა აეცილებინათ ეროვნებათა ურთიერთ დაპირისპირება. ამ მოთხოვნით, ისინი სრულებით არ ითვალისწინებდნენ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველი მოსახლეობის მოთხოვნებს, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ „ამ დამოუკიდებლობას ისინი მოითხოვდნენ, „როგორც აბრას“ (как вывеску) და დროებით ღონისძიებად თვლიდნენ. რაზედაც ქართველმა ბოლშევიკებმა უპასუხეს, რომ „თუ ეს დამოუკიდებლობა აფხაზეთს ესაჭიროება ჭეშმარიტად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, მაშინ მიიღეთ ის არა მხოლოდ როგორც აბრა, არამედ როგორც ნამდვილი დამოუკიდებლობა“.....

ქართველი ბოლშევიკების ლიდერებს არ აინტერესებდათ და არც აწუხებდათ ის გარემოება, რომ ამ დათმობით ისინი ხელყოფდნენ საქართველოს ერთიანობას, მის ისტორიულ საზღვრებს, რომლის დასაცავად ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა. მათ არ აინტერესებდათ, ანგარიშს არ უწევდნენ ქართველი ხალხის კანონიერ უფლებებს, განსაკუთრებით ქართველი ხალხის იმ ნაწილისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა საკუთარ მიწაწყალზე და საკუთარ სამშობლოში, საქართველოში, ამიერიდან უნდა ეცხოვრა სხვა სახელმწიფოში. ისინი ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ იმ პირობებში და ახალ სახელმწიფოს აყალიბებდნენ იმ საზღვრებში, რომელიც ისტორიულად საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, სადაც, როგორც მანამდე, საუკუნეთა მანძილზე, ისე მაშინაც, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპობლიკის შექმნის დროსაც, მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ამ ქართველების ინტერესები არ აინტერესებდათ და მათი ბედი არ აწუხებდათ არც აფხაზ ბოლშევიკებს და რაც ნიშანდობლივია, არც ქართველ ბოლშევიკებს, რომელთათვის მთავარი საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება იყო“. (22, გვ.33–34).

21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დადგენილება აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ. ხოლო, 16 დეკემბერს, თბილისში, დაიდო „საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ-ს შორის სამოკავშირო ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზეც, აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში. 1931 წლის თებერვალში, გამოცხადდა დადგენილება, რომლითაც აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით. ა. ბაქრაძე წერდა:

„რა მოხდა 1916–1978 წლებში ისეთი, რომ ასე ძირფესვიანად შეიცვალა აფხაზთა გუნება-განწყობილება, შეგნება? რატომ გახდა ცარიზმის პოლიტიკა დღეს აფხაზთა ერთი ჯგუფისათვის მოქმედების პროგრამად?

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და რუსმა კომუნისტებმა ქართველი აგენტების დახმარებით, აფხაზეთი საქართველოდან გამოყვეს და მას „დამოუკიდებელი" მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭეს. თუ ცარიზმის დროს აფხაზთა გარუსების პროცესს აფხაზთა და ქართველთა ინტელიგენცია ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ვეღარაფერი მოახერხეს. რუსმა კომუნისტებმა დაასრულეს აფხაზთა გარუსების პროცესი და ამით სულიერად საქართველოს მოსწყვიტეს." (20, გვ.56).

„საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობის აფხაზების ხვედრითი წილის გაზრდის მიზნით, უხეში ადმინისტრაციული ზეწოლით, ქართველებს აიძულებდნენ აფხაზებად ჩაწერილიყვნენ". (79).

„ამის შემდგომ 1926 წელს აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 201 016. მათ შორის ქართველები – 67 494; აფხაზები – 55 918; სომხები – 25 677; რუსები – 12 553; ბერძნები – 14 045 და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

1939 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ქართველთა და აფხაზთა რაოდენობა შედარებით გაიზარდა. ამ დროისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა 311 900. მათ შორის ქართველები – 91 900; აფხაზები – 56 200; რუსები – 60 200; სომხები – 49 700.

1959 წლის მოსახლეობის აღწერის შესაბამისად აფხაზეთში სულ ცხოვრობდა 404 700 კაცი, მათ შორის ქართველები – 158 200; აფხაზები – 61 200; რუსები – 86 700; სომხები – 64 400 და სხვ.

1970 წლის აღწერამ აჩვენა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა იყო 487 040. მათ შორის ქართველები – 199 600; აფხაზი – 77 300; რუსი – 92 900; სომეხი – 74 900. ამათ გარდა აფხაზეთში ამ დროს ცხოვრობდნენ: 13 000 – ბერძნები, 12 000 – უკრაინელები, 4 000 – ებრაელი და სხვები;

1989 წლის მოსახლეობის აღწერით აფხაზეთში ცხოვრობდა 239 900 ქართველი და 93 300 აფხაზი; რუსი – 74 900; სომეხი – 76 500.

2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის აღწერას აფხაზეთის შიგნით მცხოვრებთა მონაცემები არ გააჩნია, თუმცა მან აჩვენა, რომ აფხაზეთის გარეთ საქართველოში (კოდორის ხეობის ჩათვლით) ცხოვრობდა 3 527 აფხაზი". (98).

„1979 აღწერით აქ მუდმივად ცხოვრობდა 486,0 ათასი კაცი. აქედან – 213,0 ათასი (43,9%) – ქართველი, 83,0 ათასი (17,1%) – აფხაზი, 80,0 თასი (16,4%) – რუსი, 73,0 ათასი (15,1%) – სომეხი. ცხოვრობენ აგრეთვე უკრაინელები, ბერძნები, ესტონელები და სხვ. (11, გვ.312).

ა. ბაქრაძე აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ აღნიშნავს, რომ:

1965 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული წიგნი „ნასელენიე ზემნოგო შარა" ასეთ ცნობებს გვაწვდის: აფხაზეთის ასსრ-ში ცხოვრობს: ქართველი – 158,2 ათასი, რუსი – 64,7 ათასი, სომეხი – 64,4 ათასი, აფხაზი – 61,2 ათასი.

როგორც მკაფიოდ ხედავთ, აფხაზეთის ასსრ-ში აფხაზებს მოსახლეობის საერთო რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილი უჭირავთ.

როგორ არის საქმე აფხაზეთის ასსრ-ში შემავალ თითოეულ რაიონში?

ამჟამად აფხაზეთის ასსრ-ში ხუთი რაიონია – გალის, გუდაუთის, გულრიფშის და სოხუმის. ჩავიხედოთ 1974 წელს გამოცემულ საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარებისა და ადმინისტრაციული რაიონების ცნობარში:

1. გალის რაიონში ცხოვრობს 73,2 ათასი კაცი. აქედან ქართველია 88,2%, რუსი – 7,0%, სომეხი – 1%. აფხაზები გალის რაიონში 1%-ზე ნაკლები არიან.

2. გულრიფშის რაიონში ცხოვრობს 51,7 ათასი კაცი. აქედან ქართველია 52,%, აფხაზია 2,5%, (დანარჩენი რუსი, სომეხი, ბერძენი და ა. შ.).

3. სოხუმის რაიონში ცხოვრობს 36,5 ათასი კაცი. აქედან ქართველია 43,4%, აფხაზი 2,5%, (დანარჩენი რუსი, სომეხი, ბერძენი და ა. შ.).

მაშასადამე, ხუთიდან სამ რაიონში აფხაზთა რაოდენობა მინიმალურია.

4. ოჩამჩირის რაიონში ცხოვრობს 70,2 ათასი კაცი. აქედან ქართველია 42,9%, აფხაზი 38,4% მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონში აფხაზთა რაოდენობა შედარებით დიდია, ქართველთა რაოდენობას მაინც არ აღემატება. ერთი რაიონი, სადაც აფხაზთა რაოდენობა ქართველთა რაოდენობას სჭარბობს, გუდაუთის რაიონია.

5. გუდაუთის რაიონში ცხოვრობს 61,1 ათასი კაცი. აქედან აფხაზია 47,1%, ქართველები 11,6% (დანარჩენი რუსი, სომეხი, ბერძენი და ა. შ.).

თავად სოხუმში, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია, სულ 101,2 ათასი კაცი ცხოვრობს, აქედან ქართველია 34,8%, აფხაზი 7,2%, დანარჩენი სხვა ეროვნებანია. სოხუმშიაც აფხაზობა სრული უმცირესობაა.

ამრიგად, ეროვნულობის (რაც საბჭოთა ავტონომიურობის ძირითადი პრინციპია) თვალსაზრისით, აფხაზეთს ავტონომიური რესპობლიკის სტატუსი არ ეკუთვნის". (20, გვ.58).

ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლება, საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში და საქართველოს სამხრეთ ნაწილში, ასახლებდა სომხებს. ცნობილია ისიც, რომ სრულიად სომეხთა კათალიკოსი (1955–1994) ვ ა ზ გ ე ნ I (1908–1994) ცდილობდა აფხაზეთში ჩაესახლებინა სომხები. „1500 რუბლს აძლევდა ყველა იმ სომხურ ოჯახს, რომელიც აფხაზეთის ზღვისპირეთში დასახლდებოდა. დასახელებული თანხა იმ დროისათვის სოლიდურ ფინანსურ დახმარებას წარმოადგენდა". (80).

სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ „1886 წლიდან 1989 წლამდე რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა, არც მეტი, არც ნაკლები, 70-ჯერ (!); (დაახლოებით ამდენჯერვე გაიზარდა სომხური მოსახლეობაც)". (77).

რ. თოფჩიშვილიც აღნიშნავს, რომ:

„1886 წლიდან 1989 წლამდე აფხაზეთში რუსული მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 70-ჯერ გაიზარდა (1.216-დან 74.914-მდე), 73-ჯერ – სომხური მოსახლეობა (1.000-იდან 76.541-მდე)". (29, გვ.196).

„1937–1953 წწ. აფხაზეთში, საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით, დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან მოსახლეობის ჩასახლება მიმდინარეობდა, თუმცა მას არ ჰქონია ინფილტრაციის ხასიათი. ქართველების ჩასახლება გამოუყენებელ მიწის მასივებზე მოხდა. იმავდროულად, მიმდინარეობდა რუსების, უკრაინელების, სომხების და სხვათა შემოდინების პროცესი". (79). საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, „აფხაზეთში 2003 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, სომხური მოსახლეობის რაოდენობამ საკუთრივ აფხაზური მოსახლეობის რაოდენობას გადააჭარბა. აღწერის მონაცემებით, 2003 წელს აფხაზეთში 65 000 სომეხი ეროვნების და 55 000 აფხაზი ეროვნების მოქალაქე დაფიქსირდა. აფხაზეთში, უკანასკნელ წელს არსებული სტაბილურობით სწორედ სომხებმა ისარგებლეს. სხვადასხვა მონაცემებით, 2005 წელს კრასნოდარის მხრიდან აფხაზეთში, არალეგალურად 5 ათას სომეხზე მეტი ჩასახლდა.... ხელისუფლებამ უშედეგოდ დაიწყო აფხაზეთში, კერძოდ გაგრისა და ბიჭვინთის ზონაში არალეგალურად ჩასახლებული სომხების გამოვლენა და მათი აფხაზეთიდან გაძევება-დეპორტირება. დაზუსტებული იმფორმაციით, აფხაზური ხელისუფლების უშიშროების საბჭოზე, დახურულ კარს მიღმა ხშირად განიხილება სომხური სათვისტომოს საკითხი". (102).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, კრემლის წინასწარ დაგეგმილი გეგმით, კომუნისტური მთავრობის ხელშეწყობით, გამძაფრდა აფხაზეთის მიწა-წყალზე ჩასახლებულთა და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეთა, ქართველ ხალხთა შორის დამოკიდებულება. თანდათან, აფხაზეთის პარტიულ ხელისუფლებაში მოქცეულნი პირები, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, სულ უფრო და უფრო მეტ ახალ მოთხოვნებს უყენებდნენ და ისინიც უსრულებდნენ. „ეჭვსგარეშეა, რომ აფხაზეთში სწორედ კრემლმა ერთი ხელით მოახდინა 1957, 1967 და 1977 წლების ანტიქართული გამოსვლების პროვოცირება, თუმცა საბაბად ერთ შემთხვევაში გამოიყენეს სეპარატისტებისთვის მიუღებელი ისტორიული შრომების გამოცემა თბილისში (1957 და 1967 წწ.)... სხვა შემთხვევაში – საქართველოსა და აფხაზეთის ახალი კონსტიტუციების მიღება (1977 წ.); მეორე ხელით კრემლი ყოველთვის ცდილობდა კონფლიქტების ისეთნაირად „მოგვარებას" (განსაკუთრებით სეპარატისტთა სასარგებლო საკადრო გადაადგილებების განხორციელებით), რათა შექმნილიყო უფრო ხელსაყრელი ნიადაგი შემდგომში საჭირო დროს ახალი მასშტაბური გამოსვლებისათვის.

ასეთი დრო XX ს. 80-იანი წლების ბოლოს დადგა, როცა ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობებმა ძირფესვიანად შეარყიეს საბჭოთა იმპერია, თავისუფლებისთვის ბრძოლის ავანგარდში, სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოც გამოდიოდა". (76).

1989 წელს, ა. ბაქრაძე ასე ახასიათებდა აფხაზეთის გასაბჭოების შემდეგ მომხდარ ამბებს, ზოგიერთი აფხაზი მოსახლეობის ცნობიერების შეცვლის შესახებ, რომლებიც ქართველებს განუდგნენ:

„საინტერესოა, როგორ შეიცვალა ცნობიერება მათი სულ უმოკლეს ვადაში და არსებითად ამ ცნობიერების შეცვლა მოხდა სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს. რადიკალური შეცვლა. თუ ადრე ამისათვის იბრძოდნენ მხოლოდ ოფიციალური ჩინოვნიკები მეფის რუსეთისა, ახლა თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი იბრძვის ამისათვის. მაშასადამე, უკვე მოხდა თვითონ შიგნით, მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების შეცვლა. ისე თანმიმდევრობით და ისე დაბეჯითებით უმუშავია უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს იმ მეფის პოლიტიკის განმხორციელებლებს, რომ უკვე ამ ცნობიერების შეცვლა მოსახლეობაშიც მოხდა..... მე პირადად მიმაჩნია, რომ მოძრაობა რომელიც ამჟამად აფხაზეთში მიმდინარეობს, არ არის ადგილობრივი მოსახლეობის მოძრაობა. ეს არის გარედან ინსპირირებული მოძრაობა, რომელიც ადგილობრივი ბიუროკრატია და ამ ბიუროკრატიის მიერ გაბრიყვებული მოსახლეობის გარკეული ნაწილი უჭერს მხარს... აფხაზეთში მიმდინარეობს და გრძელდება სწორედ ის მზაკვრული პოლიტიკა, რა პოლიტიკასაც თავის დროზე მეფის ხელისუფლება აწარმოებდა აფხაზეთში, მას თავისი გამგრძელებლები ჰყავს დღეს საბჭოთა ხელისუფალთა შორისაც. ეს პირდაპირ და აშკარად უნდა ითქვას". (20, გვ.89). .....

ხოლო, დღევანდელ დღესაც, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მეორედ მოიპოვა, ისევ რუსეთის მესვეურთა და ადგილობრივი ყოფილი პარტიულ ხელისუფალთა მეოხებითა და ხელშეწყობით, აფხაზეთში გაბატონდნენ სეპარატისტები, რომლებიც თხოულობენ ამ უძველესი ქართული კუთხის, **აფხაზეთის,** საქართველოდან გამოყოფას, დამოუკიდებლობის აღიარებას (რუსეთმა კიდევაც ეს მოთხოვნა შეუსრულა) და რუსეთთან შეერთებას და არ უწყიან იმას, რომ ამ შემთხვევაში აფხაზეთში მცირე რაოდენობით შემორჩენილი აფხაზები საერთოდ მოისპობა. როგორც განადგურდა და აღიგავა პირისაგან მიწისა ჩრდილო კავკასიის არა ერთი ტომი, რუსეთის იმპერიის შემოსვლის შემდეგ. დღევანდელ დღეს, ჩრდილოეთ კავკასიელთა ზოგიერთ ტომთა, მხოლოდ მცირე ნაშთებიღაა შემორჩენილი (**ხეგაკები, ჩოფსინები, ჟანელები, ნატუხაელები, უბიხები** და სხვ.). აფხაზი სეპარატისტები „უპირველეს ყოვლისა თამაშობდნენ ეროვნულ გრძნობებზე, რაც ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ხერხია. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ერი, აფხაზები განსაკუთრებული ხალხია, აფხაზურ ენას ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში, ატყუებენ თავიანთ თვისტომთ, რომ ქართველები ავიწროვებენ მათ ენასა და ლიტერატურას, თითქოს აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად მხოლოდ ისინი ცხოვრობდნენ.....

აფხაზეთი უნდა დაუბრუნდეს კავკასიის ფედერაციას, ხოლო კავკასიის ფედერაციას ასევე უნდა დაუბრუნდეს მისი დედაქალაქი სოხუმი". (გაზეთი „კავკაზი", 1990, №1). აფხაზ სეპარატისტებს ავიწყდებათ, რომ სოხუმი არასოდეს ყოფილა კავკასიის ფედერაციის დედაქალაქი და რომ იგი უძველესი დროიდან დასახლებული იყო მხოლოდ ქართველებით და სახელწოდებაც მას ქართველებმა მისცეს. აფხაზი სეპარატისტები არაფერს ამბობენ იმის შესახებაც, თუ რას წარმოადგენს ეს არარსებული თვითმარქვია კავკასიის ფედერაცია.

ქართველი ხალხის პოზიცია ამ საკითხში გარკვეულია. იგი არასოდეს დაუშვებს თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

ისტორიის დამახინჯება, მისი ფალსიფიცირება არ ემსახურება არც ქართველი და არც აფხაზი ხალხების ინტერესებს. იგი ხელს არ უწყობს ერებს შორის ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობების განვითარებას, აღვივებს მავნე, ფსევდოპატრიოტულ გრძნობებს, თესავს უნდობლობასა და მტრობას ერებს შორის, რასაც სიკეთე არასოდეს და არავისათვის მოუტანია". (21, გვ.108).

დღევანდელ საქართველოს შავიზღვისპირეთში, აფხაზეთის მინა-წყალზე მცხოვრები, ეგრეთწოდებული „აფხაზები", მიუხედავად სეპარატისტების „ისტორიკოსებისა" და რუსეთის ხელისუფალთა ხელშეწყობით, აფხაზეთის მმართველობაში მოქცეული პირების მტკიცებისა, რომ ისინი

არიან ადგილობრივი მცხოვრებლები და არასდროს არ ეკუთვნოდნენ ქართველებს, ამის საპირისპიროდ, XVIII–XX საუკუნის, როგორც ქართველი, ისე რუსი და საზღვარგარეთის მეცნიერები (**ვ. ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, ვ. ტატიშჩევი, ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, პ. პალასი, იული კლაპროტი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, ედმუნდ სპენსერი და სხვ.**) აღნიშნავდნენ და აღნიშნავენ, რომ დღევანდელ აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ხალხი, ძირითადათ არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ტომები, ხოლო ადრინდელი და დღევანდელ დღეს შემორჩენილი აფხაზები, იყვნენ ქართველთა ერთ-ერთი ტომი და განეკუთვნებოდნენ კოლხებს.

ჯერ კიდევ ადრე, 1839 წელს, შვეიცარიელი ფრანგი, არქეოლოგი, გეოლოგი და ბუნებისმკვლევარი ფ რ ე დ ე რ ი კ დ ი უ ბ უ ა დ ე მ ო ნ პ ე რ ე (1708–1850) წერდა:

„აფხაზეთი წარმოადგენს კოლხეთის ნაწილს...

აფხაზეთი ყვაოდა მანამდე, ვიდრე გრძელდებოდა ძლიერება მათი მეფეებისა, სანამ იყვნენ საქართველოს მეფეები... ეს ქვეყანა, გახდა მეგრელი დადიანების მსხვერპლი, რომელთა სამფლობელო გავრცელდა ზღვის სანაპიროზე პირველად ზიხამდე (ჯიქეთი – შემდგენ.), ტანჯავდნენ მტრების გამუდმებული თავდასხმები, ამ ლამაზ სანაპიროებზე, სისხლიანი ხელებით ნავარდობისას როგორც ჩერქეზების, ასევე თურქების. დადიანების მთავრები, იძულებულნი გახდნენ თავიანთი საზღვრები გადაეტანათ ორი საუკუნის წინ ანაკოპიაში (ახალი ათონი – შემდგ.), ეხლა დაიხიეს მდ. ღალიძგამდე, და აფხაზეთი, ეს უბედური ქვეყანა, გახდა ისეთივე ველური, როგორც ამერიკის ტყეები: ყველაფერი გადაიქცა ნანგრევებად, ყველა ეკლესიები ჩამოიქცნენ, ყოველნაირი ცივილიზაციის კვალი გაქრა, მდ. ენგურამდე არ დარჩა არც ერთი ეპისკოპოსი“. (108).

1905 წელს, სამხედრო ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ფილოლოგი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ი ა ჩ კ ო ვ-ტ ა რ ა ს ო ვ ი (1867–1943) წერდა:

„აფხაზები ყოველთვის როდი მოსახლეობდნენ აქ, მათი გადმოცემები, წეს-ჩვეულებები და მრავალი ისტორიული მონაცემები ადასტურებენ, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და შეავიწროეს ქართული ტომები, სანამ ენგურთან არ შეჩერდნენ“. აფსუა-აფხაზების ჩრდილოეთიდან ჩამოსახლების შესახებ ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1903 წელსაც წერდა, (აგრეთვე 1909–1910 წლებშიც), თანაც აღნიშნავდა, რომ ეს ჩამოსახლება „მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, შესაძლოა XVI–XVII საუკუნეებში.“ (79).

ხოლო ინგლისელი მოგზაური ე დ მ უ ნ დ ს პ ე ნ ს ე რ ი, რომელმაც (1836–1838) წლებში იმოგზაურა კავკასიაში, ისიც 1851 წელს აღნიშნავდა, რომ დღევანდელ აფხაზეთის მიწა-წყალზე და სოხუმში მცხოვრები „აფხაზები“, „ისინი ნაწილობრივ წარმოადგენენ ყირიმისა და ყუბანის ხანებისა და სულთნების ჩამომავლებს, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“. ასე „შეიცვალა ეთნიკური ვითარება აფხაზეთში XVI– XIX სს.“ (109).

ზემოთ მოყვანილი მეცნიერთა მიერ გამონათქვამებითაც, მტკიცდება, „რომ აფსუა-აფხაზები, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, არიან ქართველთა მიერ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქრისტიანული ცივილიზაციის არა შემოქმედნი; არამედ გამანადგურებლები. აფსუა-აფხაზები ამ ცივილიზაციის შემქმნელები რომ არ არიან, მტკიცდება მათ ენაში ქრისტიანული ტერმინოლოგიის (მათ შორის ისეთი ძირითადი ტერმინები, როგორიცაა ქრისტე, ქრისტიანი, ეკლესია, მღვდელი, ჯვარი, შობა, აღდგომა, ნათლობა და ა.შ.) არარსებობითაც. აფხაზურ ენაში მთელი ქრისტიანული ტერმინოლოგია ლიტერატურული ქართულიდან ან მისი მეგრული დიალექტიდანაა ნასესხები“. (76).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ დღევანდელ დღეს, აფხაზეთში მცხოვრებნი ეგრეთ წოდებული „აფხაზები“ არიან, (უმეტესი ნაწილი), ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები, ადიღეელთა ერთ-ერთი მთიელი ტომი აფსუები. (მათი წინაპრებია – აბაზები).

დემოგრაფი ა ნ ზ ო რ თ ო თ ა ძ ე წერს, რომ „აფხაზების ეთნოგენეზის პირველად კომპლექსური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნემდე მხოლოდ ქართველური, ძირითადად მეგრულ-ჭანური და სვანური ტომები ცხოვრობდნენ..... ძველი აფხაზები ქართველურ ტომებს მიეკუთვნებოდნენ, ხოლო თანამედროვე აფხაზები ახალი ეთნიკური ერთეულია, რომელიც წარმოიშ-

ვა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და ძირითადად XVI–XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ერთ-ერთი ადიღეურ-ჩერქეზული ტომის – აფსუების შერევის შედეგად, რომლებმაც მიიღეს ადგილობრივი ძირძველი ეთნიკური ტომის სახელწოდება – „აფხაზი". (21, გვ.2).

ისტორიკოსი გერონტი გასვიანიც აფხაზების შესახებ აღნიშნავს, რომ:

„აფსუა არის თანამედროვე აფხაზეთში მოსახლე ხალხის ერთი ნაწილის თვითსახელი. ამ ნაწილის უშუალო წინაპრები არიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მობინადრე (მომთაბარე) აბაზები, სახელდობრ, მათი ერთ-ერთი განაყოფი აშხარელები, რომლებსაც ლიტერატურაში შკარაულებსაც უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ყუბანის სათავეში ამჟამად მცხოვრებ აბაზებსა და აფხაზეთში მცხოვრებ აფსუებს ერთიმეორის ენა ესმით, ერთმანეთის მსგავსი ადათ-წესები აქვთ და დღემდე ერთმანეთის ნათესავებად ითელებიან. ისინი არც ანთროპოლოგიურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან....

აფხაზეთში ჩამოსახლებული აფსუა-აბაზების გაქართველება ეტაპობრივად მიმდინარეობდა მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს ჯერ თურქეთი აბრკოლებდა, შემდეგ კი რუსეთი, რომელმაც 1810 წელს აფხაზეთი დაიპყრო და თვითონ შეუდგა ძველი მკვიდრი აფხაზებისა და აფსუა-აფხაზების ძალდატანებით გარუსებას.

აფსუებმა თავის მოძმე და ერთმორწმუნე ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან ერთად წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს (ისინი ფარულად მონაწილეობდნენ კავკასიის მაჰმადიანთა საღვთო ომში), როცა აფსუებმა 1866 წელს რუსეთის სამხედრო რაზმი დახოცეს. რუსებმა 20 ათასამდე მაჰმადიანი აფსუა გააქციეს 1867 წელს თურქეთში (ეს მოვლენა მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი).

ამის შემდეგ აფხაზეთში დარჩენილი რამდენიმე ათასი აფსუას მხრივ რუსეთს არავითარი წინააღმდეგობა არ ელობებოდა. ამიტომ ჯერი ქართველებზე მიდგა, რადგან ახლა ისინი აბრკოლებდნენ რუსული აფხაზეთის შექმნას....

რუსმა მოხელეებმა აფხაზეთში სასტიკად შეავიწროვეს და შეზღუდეს ქართველობა....

XX საუკუნის დამდეგს, როცა რუსეთის იმპერიამ საბოლოოდ დაძლია აფსუების წინააღმდეგობა, ახლა მათი „ინტერესების დამცველად" მოგვევლინა (სამეფო კარმა მათ, „დამნაშავე ხალხის" ბრალდება მოუხსნა) და აფსუები ქართველებს დაუპირისპირა. ეს იყო რუსული იმპერიული „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკა....

1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, როცა ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო რუსეთის იმპერიას გამოეყო, საბჭოთა რუსეთმა, პირველ რიგში, აფხაზეთის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა, რადგან ის ერთ-ერთი ფორპოსტი იყო შავ ზღვაზე და საერთოდ სამხრეთში.... საბჭოთა რუსეთი ათასგვარ პროვოკაციას იყენებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ: აფხაზეთს ხან შავიზღვისპირეთის ოლქს უერთებდა, ხან ყუბანის რესპუბლიკას, ხან უშუალოდ რსფსრ-ში შეყვანა მოინდინა. გარდა ამისა, რუსეთმა აფსუა-აფხაზების დროშით აფხაზეთში შექმნა აფსუური სახალხო საბჭო და კომისარიატი, რითაც აფხაზეთის ცალკე გამოყოფას ანუ სეპარატიზმს ჩაუყარა საფუძველი...

რა თქმა უნდა რუსეთმა შემდეგაც არ აიღო ხელი აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს რუსიფიკაციაზე. გარემოებამ განსაკუთრებით მახინჯი და ძალდატანებითი სახე მიიღო 1990-იან წლებიდან, როცა აფხაზეთის ქართველობას ყოველმხრივ დევნიდნენ და ავიწროვებდნენ, როცა 1993 წელს აფხაზეთის ეთნოწმენდითა და ქართველთა გენოციდით დამთავრდა". (53). (იხ. ქვემოთ).

6.3. ქართველების (აფხაზების) სარწმუნეობა და რუსეთი.

არქეოლოგიური მასალების, მწერლობითი წყაროების, ეთნოგრაფიული, თქმულებებისა და ჩვენს დრომდე შემორჩენილი წარმართობის-დროინდელი ზნე-ჩვეულებების შესწავლის შედეგად, დადასტურებულია, რომ ისევე როგორც სხვადასხვა ქვეყნებში, მოსახლე ტომებში გავრცელებული იყო ბუნების ძალებისა და მოვლენებისადმი თაყვანისცემა და გაღმერთება (კერპთაყვანისცემა). ასევე ხდებოდა, უძველეს დროიდანვე, მთელს საქართველოში. ქართველ ტომებს, „გამორკვეულია, რომ თავისი ღმერთები ჰყოლიათ ცალკე თემებსა და საგვარეულებს, მთებს, ხევს, მინდორ-ადგილს, ხეებს, სახლს, ფუძეს და ა. შ." (8, ტ.I, გვ.236). ასევე დადასტურებულია, რომ ქართველ ტომებს, „ჰყოლიათ **საერთო**, დიდი (უფროსი) **ღმერთებიცა და სატომო ან სატომთაშორისო ღვთაებებიც**". (8, ტ.I, გვ.237). ქართულ ვარსკვლავურ (ასტრალურ) გამოსახულებებში, **უზენაეს** (მთავარ) ღმერთად ითვლებოდა **მთვარე** (მამაკაცი ღმერთი), შემდეგ – ქალღმერთი **მზე** (მზექალა), ხოლო მესამე იყო – **კვირია**. „უზენაესი ღმერთი ანუ **მორიგე ღმერთი** პანთეონსაც ედგა სათავეში და ცხადია – სამეულსაც". (8, ტ.I, გვ.237).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს:

„ყველგან, მაშასადამე, **სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო მთვარის ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომების უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს**". (2. ტ.I, გვ.59).

„კვირია ითვლებოდა ერთადერთ ღვთაებად, რომელსაც ღმერთთან მისვლა შეეძლო და ეკისრებოდა შუამავლობა დანარჩენ ღვთისშვილთა და უზენაეს ღვთაებას შორის. იმავე წარმოდგენებით, კვირია უშუალოდ მართავდა ქვეყნიერებას უზენაესის-მორიგე ღმერთის დადგენილი წესის მიხედვით. მისი ეპითეტებია: „ხმელი მოურავი", „კარავიანი", „დიდი", „ღვთის კარზე მოარული", „ძალი ღვთისა" და ა. შ." (10, ტ.5, გვ.499).

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებს გამორკვეული და დადგენილი აქვთ, რომ საქართველოში, ცალკეული ტომები, საკუთარი ღვთაებების გარდა, თაყვანს სცემდნენ საერთო ქართულ ღმერთებსაც და ამავე დროს, მათ აღმნიშვნელ სიტყვებს ქართულად წარმოთქვამდნენ. ი. ჯავახიშვილი წერს: „აღსანიშნავი და ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ახალწლის დღესასწაულის ჩვეულების თანახმად მეგრელი მეკვლეც თავის წარმოსათქმელ სიტყვებს მეგრულად კი არა, არამედ ქართულად ამბობს ხოლმე. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ აფხაზებსაც კი დედამიწის ღვთაების სახელად წმინდა ქართული „ადგილ-დედულ"-ი აქვთ შეთვისებული, მაშინ ცხადი გახდება, რომ არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქარული ჰქონია." (2, ტ.I, გვ.116).

საქართველოს თითქმის ყველა მხარეში (აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, ხევსურეთში და სხვ.) დღემდეა შემორჩენილი სხვადასხვა სახით წარმათობის გადმონაშთები.

თანდათან, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისას, სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამოყალიბებისას და შემდგომში მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების დროს, საქართველოში ხდებოდა ამ სახელმწიფოებიდან მათი რელიგიის შემოჭრა და გავრცელებაც.

ძვ. წ. VI საუკუნიდან, მშვიდობიანი ურთიერთობის გზით, საქართველოში დაიწყო გავრცელება, ახლო და შუა აღმოსავლეთში, ირანში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში გავრცელებულმა რელიგიამ – ცეცხლთაყვანისმცემლობამ (ზოროასტრიზმი, მაზდიანობა). მართალია, ცეცხლმსახურება ქართველისათვის არასდროს არ ყოფილა დამახასიათებელი, მაგრამ, „ამ უძველესი პერიოდის ირანულ-ზოროასტრიული მძლავრი გავლენის კვალი დღემდე შემორჩა ქართულ ენაში (ტაძარი, კერპი, ზვარაკი, ეშმა, ჯოჯოხეთი, მართალი, წარმართი, ბაგინი, დროშა, ანდერძი, დასტური და სხვ.).... მცხეთაში ძველთაგანვე არსებობდა ცეცხლთაყვანისმცემელთა – მოგვთა ცალკე უბანი და ცხოვრობდა ზოროასტრიზმის მიმდევართა თემი". (10, ტ.4, გვ.537).

ახ. წ. III საუკუნიდან, საქართველოში (განსაკუთრებით ლიხსაქეთ მხარეში), ირანის მმართველები შეეცადნენ ძალის გამოყენებით, ცეცხლთაყვანისმცემლობის დამკვიდრებას.

ახ. წ. (III–VII) საუკუნეებში საქართველოში ზოროასტრიზმი დაუპირისპირდა, ბიზანტიიდან გავრცელებულ ქრისტიანულ რელიგიას. განსაკუთრებით გამწვავებულა მათი დაპირისპირება V საუკუნეში. ამ დროს, როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ლიხსიქეთ საქართველოშიც მაზდეიანობა ყოფილა გავრცელებული.

მიუხედავად ქართველების დიდი წინააღმდეგობისა, „საქართველოს ქალაქებსა და ზოგან სოფლადაც არსებობდა ზოროასტრიზმის მიმდევარი მოსახლეობა." (10, ტ.4, გვ.537).

ი. ჯავახიშვილი წერს: „ცეცხლთაყვანისმცემლობა არამცთუ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში იყო გავრცელებული, არამედ დასავლეთშიც....

V საუკუნეში იბერიაში ისეთი გამწვავებული ბრძოლა იყო ქრისტიანობასა და ცეცხლთაყვანისმცემლობას შორის, რომ ოჯახში განხეთქილება სუფევდა და ერთი ნილი მაზდეიანობას ემხრობოდა, მეორე ქრისტიანობას იცავდა.

რამდენად ძლიერი და ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა მაზდეიანობას ქართველ ხალხზე, იქიდან ჩანს, რომ ჩვენ დრომდისაც კი მისი კვალი ჩვენი ერის რწმენასა და ძნე-ჩვეულებებს ნათლად ატყვია... რასაკვირველია, რაკი ქართველების ეროვნულ სარწმუნეობად მნათობთა თაყვანისცემა იყო, საქართველოში შემდეგ შემოხიზნულ მაზდეიანობას, სპარსულ მაზდეიანობასთან შედარებით, თავისი ელფერი ექნებოდა. ამის გარდა მაზდეიანობას იბერიაში უფრო მეტი ექნებოდა ფეხი მოკიდებული, ვიდრე ლაზიკაში." (2, ტ.I, გვ.283–284).

როგორც ცნობილია IX საუკუნიდან, არაბთა მძლავრობის შემდეგ, დაიწყო ისლამის გავრცელება და ზოროასტრიზმის მიმდევრებს მოუწიათ როგორც დევნილებს, ზოგს ინდოეთში (ფარსები) გადასახლება, ზოგს-კი საქართველოშიც ჩამოსახლება.

ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანულ რელიგიას ქართველები ეზიარნენ დასავლეთ საქართველოში, ჯერ კიდევ I საუკუნეში, პირველი მქადაგებელ-გამავრცელებლების, ა ნ დ რ ი ა მ ო ც ი ქ უ ლ ი ს, პ ი რ ვ ე ლ წ ო დ ებ უ ლ ი ს და ს ვ ი მ ო ნ კ ა ნ ა ნ ე ლ ი ს მიერ.

გადმოცემის თანახმად, „წმ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა. ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მონაფე გახდა.... ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეებიც გახდნენ.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა" საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად. მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით... წმიდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია. შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა. „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების"

სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემორჩენილი ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია....

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნეობად". იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, „ფრიად შუენიერი და დიდი" წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ ნარმართს გაუნათა გონება და შეუდგნენ ქრისტეს მაცხოვნებელ სნავლებას.... წმიდა ანდრიამ აწყურში მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყსოს განეშორა... იერუსალიმში წავიდა.... ამის შემდგომ „ანდრია სვიმონ კანანელთან და მატიანესთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და „დაპყვნენ დასავლეთით... სვიმონი და ანდრია აფხაზეთში ნაეიდნენ... და უქადაგეს სიტყუაი იგი ღვთის-მეცნიერებისა... და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრია სვიმონ კანანელი სხვათა თანა მონაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავიდა". (57).

არქეოლოგიური და წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ქრისტიანული სარწმუნეობის სახელმწიფოებრივ სარწმუნეობად გამოცხადება, ლიხსიქეთ (ლაზიკაში) და ლიხსაქეთ (იბერიაში) საქართველოში, ერთდროულად უნდა მომხდარიყო. ამ ახალმა სარწმუნეობამ ქვეყნის მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება ძირფესვიანად შეცვალა.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ:

„საზოგადოდ ქრისტიანობამ ძირიანად შესცვალა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა: შემდეგ საუკუნეებში ბევრჯერ ყოფილა საქართველოს თავგადასავალი ამ ახალ სარწმუნეობაზე დამოკიდებული. რადგან ქრისტიანობაზე უწინ მთელ საქართველოში, მნათობთა-თაყვანისმცემის შემდგომ, სპარსეთის მეზობლობისა და გავლენის წყალობით, ცეცხლთაყვანისმცემლობა გავრცელდა, ამიტომ მას უფრო მეტი მიდრეკილება ექნებოდა ერთმორწმუნე სპარსეთისადმი. საქართველოს გაქრისტიანების შემდგომ კი მდგომარეობა შეიცვალა და სპარსეთი თანდათან მტრად იქცა.“ (2, ტ.I, გვ.233).

საქართველოს მეფეები და მთავრები, ხელისუფლების გამტკიცებისათვის, ერის შეკავშირებისათვის, გარშემორტყმული მტერთაგან თავდაცვიასათვის, ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი ქრისტიანული სარწმუნეობა და ეკლესიები, რადგან იმ დროს, ეკლესია წარმოადგენდა ერთერთ მთავარ შემაკავშირებელ ძალას. ამავე დროს ეკლესია იცავდა სახელმწიფოებრივ წყობილებას. ცხადია, რომ ამ სარწმუნეობის მიღებით, საქართველოს მესვეურებმა შეძლეს თავისი ხელისუფლების გამტკიცება და ქართველი ერის გაერთიანება, რაც ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გამოიხატა. ადრე, ქართული ეკლესია იერარქიულად საბერძნეთის ეკლესიას ექვემდებარებოდა.

წყაროებიდან ცნობილია, რომ „I–III საუკუნეებში რომის იმპერიიდან აფხაზეთში, როგორც მასზე დაქვემდებარებულ მხარეში მრავალი ქრისტიანი გაასახლეს. 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მინვეული იყო ბიჭვინთელი ეპისკოპოსი სტრატოფილე. ეს ფაქტი საქართველოს ზღვისპირეთში ადრიდანვე მტკიცე ქრისტიანული თემების არსებობის მანიშნებელია. IV ს-ში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ეს მხარე გაქრისტიანდა და აქტიური ქრისტიანული ცხოვრება დაიწყო.“ (54).

ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა შეძლო საქართველოს გაერთიანება და ლიხსიქეთ საქართველოდან ბიზანტიელი ჯარების გაყვანა. მან, (466–468) წლებში შეცვალა ეკლესიის მმართველობა. შემოიღო საკათალიკოსო, დააარსა საეპისკოპოსოები და რაც მთავარი იყო საქართველოს კათალიკოსი ჩამოსცილდა ბერძნულ ეკლესიას და დამოუკიდებელი გახდა.

ვახტანგ მეფის ხელშეწყობით, მცხეთაში, ძველი ეკლესიის ადგილზე საკათალიკოსო კათედრა აშენდა ახალი ეკლესია „მოციქულთა“ სახელობისა – „**სვეტიცხოველი**“.

თუმცა, შემდეგში, მდგომარეობა შეიცვალა და ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაექვემდებარა.

„პოლიტიკურად დამორჩილებულ მხარეში რელიგიური ექსპანსიაც განახორციელეს და VI–VII ს. ს-დან საქართველოს დასავლეთი პროვინციები ბერძნულენოვან მსხვილ სამღვდელმთავროებში – ლაზიკის სამიტროპოლიტოსა და აბაზგიის საარქიეპისკოპოსოში გააერთიანეს. ბერძნული სამღვდელმთავროები ე. წ. სკანდა-შორაპნის ხაზს იქეთ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა. ლაზიკის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსო კათედრა – საისი (ცაიში), როდოპოლისი (ვარციხე), პეტრა (ციხისძირი), ძიღანები (გუდაყვა, ილორთან) ექვემდებარებოდა და შესაბამისად აღნიშნულ კათედრათა ვრცელ შემოგარენს მოიცავდა. აბაზგიის საარქიეპისკოპოსოს იურისდიქცია მდინარე კლისურას მიმდებარე ტერიტორიაზე, ანუ საკუთრივ აფხაზეთზე ვრცელდებოდა. კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებულ სამღვდელმთავროების აქტიური მოღვაწეობის მიმანიშნებელია ამ მხარეში მათ მიერ ეკლესიათა ინტენსიური აღმშენებლობა და ადგილობრივი მოსახლეობის სრული გაქრისტიანება.“ (54).

ბერძნული წყაროებიდან ჩანს, რომ VII საუკუნის შუა წლებში ლაზიკაში და აფხაზეთში ყოფილა ფაზისის ანუ ფოთის სამიტროპოლიტო. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „VII ს. ლ ა ზ ი კ ი ს ს ა მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ო ფ ა ზ ი ს ი ნ დ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა ვ ტ ო - კ ე ფ ა ლ ი ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ი ს ს ა პ ა ტ რ ი ა რ ქ ო ს ა მ წ ყ ე ს ო ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ნ ე ნ“. (2, ტ.II, გვ.122).

დაახლოებით VIII საუკუნიდან ჩამოყალიბდა ლიხსიქეთ საქართველოს საკათალიკოსო – აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელიც „განასახიერებდა ქართულ ეროვნულ და ცენტრალიზებულ ეკლესიას, რომლის პოლიტიკურ საფუძველს ქართული სახელმწიფო – „აფხაზეთის სამეფო“ ანუ ლიხსიქეთის სამეფო წარმოადგენდა. „აფხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყდრად ინოდებოდა, ბიჭვინთაში იყო. აფხაზეთის კათალიკოსს „ბიჭვინთის კათალიკოსსაც“ უწოდებდნენ. იერარქიულად იგი საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარებოდა“. (10, ტ2, გვ.31).

წყაროებიდან ჩანს, რომ VIII საუკუნეში, პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებების გამო, ხდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, რომელსაც ხელმძღვანელობს აფხაზთა კათალიკოსი და იგი კონსტანტინოპოლის სამწყსოს ექვემდებარებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „როგორც ცნობილია, ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იმთავითვე შევიდა არგვეთი, მცხეთის სამწყსოს მოზრდილი ნაწილი, რასაც დიდად უნდა შეეწყო ხელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანებისათვის. გარკვეული ტენდენცია ეგრის-ქართლის ეკლესიების დაახლოება-გაერთიანებისა VIII–IX საუკუნეებში მეღავნდება. მისი საფუძველი VIII ს. ეგრისზე ქართლის ერისმთავრების ხელისუფლების გავრცელებით უნდა შექმნილიყო“. (9, ტ.II, გვ.425) და მართლაც, მალე, IX საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლს და შეუერთდა მცხეთის ეკლესიას, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი დაექვემდებარა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს. X საუკუნის დასაწყისში ლაზეთის, აფხაზეთის, ჯიქეთის და ნიკოფსიის საპატრიარქო აღარ ემორჩილება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ამრიგად წარმოიქმნა ერთიანი სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ სანამ მოხდებოდა საქართველოს ეკლესიურად გაერთიანება და „დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, ოფიციალური, ეკლესიისა და სახელმწიფო კანცელიარიის ენის როლს ბერძნული ასრულებდა.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ქართული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ერთ-ერთი მიზანი იყო სახელმწიფო ეკლესიის ენად ბერძნულის ნაცვლად ქართულის დამკვიდრება. ვინაიდან იგი დიდად გააადვილებდა სახელმწიფო ღონისძიების გატარებას. ბერძნული კათედრების მოშლა და მათ ადგილას ქართული კათედრების შექმნა ამ ახალ საეკლესიო ცენტრებში მღვდელმსახურების ქართულ ენაზე წარმოებას გულისხმობდა. სწორედ ამ მოვლენას ასახავს X საუკუნის ქართველი ისტორიკოსის გიორგი მერჩულეს ზემომოტანილი ფორმულა „ქართლის“ ცნების მნიშვნელობის შესახებ, ამ ფორმულის მიხედვით, ქართლია იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულად წარმოებს; ქართლია იქ, სადაც მცხეთას ნაკურთხი მირონი იხმარება, ამდენად, დასავლეთ საქართველოც ქართლია. ქართული ენის მიერ ასეთი გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებას, საერთოდ, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, კერძოდ კი, საკუთრივ აფხაზეთშიც, ისიც ადასტურებს, რომ უკვე IX–X საუკუნეებიდან ოფიციალურ წარწერებში, ბერძნული ენის ადგილს ქართული იკავებს“. (9, ტ.II, გვ.428).

XII საუკუნეში საქართველოს გამაერთიანებელმა მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოს ეკლესია სრულიად სახელმწიფოს დაუქვემდებარა. მეფე ეკლესიის საქმეებში ერეოდა. საეკლესიო საქმეების მეთვალყურედ სამეფო კარიდან დანიშნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. შენდებოდა ეკლესიები და მონასტრები.

ი. ჯავახიშვილი წერს:

„დავით აღმაშენებელის პირველ დიდ ღვაწლად საქართველოს სოციალური წარმატების წინაშე უნდა საეკლესიო წესწყობილების ის დიადი ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მეფის თაოსნობით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა. ხანგრძლივმა გამოცდილებამ მეფე დაარწმუნა, რომ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ნაკლად იმდროინდელი საეკლესიო წესწყობილება იყო, რომლის წყალობითაც საქმე ისე დატრიალდა, რომ «უფროსნი საეპისკოპოსონი», სამღვდელმთავროთა მომეტებული ნაწილი უღირს მამათ მთავრებს ჩაუვარდათ ხელში..... ამ წესის ამოკვეთა

იყო საჭირო იმიტომ, რომ იგი ეკლესიისათვისაც და სახელმწიფოსათვისაც მეტად მავნებელი იყო". (2, ტ.II, გვ.212). როგორც ცნობილია, დავითმა 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე გადააყენა ყველა უღირსი ეპისკოპოსები, «მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით» და მათ ადგილას დაინიშნა ის პირები რომლებიც ღირსნი იყვნენ „ჭესმარიტნი მწემსნი და სათნონი ღმერთისანი" (9, ტ.III, გვ.216) და რაც მთავარი იყო, ესენი იყვნენ მეფის ხელისუფლების მომხრე და მისი პოლიტიკის გამტარებლები. ამის შემდეგ საქართველოს ეკლესია ყოველთვის მეფესთან ერთად იბრძოდა როგორც შინაური მტრების, ასევე გარეშე მტრების დასამარცხებლად.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დავით IV აღმაშენებელმა ეკლესიის საქმეების მეთვალყურედ შემოიღო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა. მან გააერთიანა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები.

„მწიგნობართუხუცესის, როგორც მეფის ხელშინაური მოხელის არსებობა, წყაროებით XI საუკუნიდანაა დადასტურებული, თუმც გამორიცხული არ არის მისი უფრო ადრე არსებობის შესაძლებლობაც.

მწიგნობართუხუცესად, როგორც ჩანს, თავიდანვე ბერი ინიშნებოდა. ამავე დროს მეფის ეს „ხელშინაური" მოხელენი იმთავითვე მეფის ერთგულებით იყვნენ ცნობილნი.....

მეფის პოლიტიკის მომხრეობით ხასიათდება თავისი მდგომარეობით ჭყონდიდის ეპისკოპოსი.

ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა X ს. პირველ ნახევარში დაარსა ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგიმ. **ჭყონდიდის საეპისკოპოსო**, ისევე როგორც აფხაზთა მეფეების მიერ დაარსებული რიგი სხვა ქართული კათედრები დასავლეთ საქართველოში, ბერძნული ეკლესიის გავლენის საპირისპიროდ იყვნენ აღზევებულნი და ამდენად სრულიად კანონზომიერია ჭყონდიდის ეპისკოპოსის ერთგულება მეფის ხელისუფლებისადმი. ჭყონდიდის ეპისკოპოსი ამავე დროს ყველაზე წარჩინებული იყო დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის და „მას ახასიათებდა მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულების ორსაუკუნოვანი ტრადიცია". მწიგნობართუხუცესს, როგორც ბერს, ხოლო ჭყონდიდელს, როგორც ეპისკოპოსს, ხელი მიუწვდებოდათ საეკლესიო საქმეებზე. სნორედ ამიტომ რუის-ურბნისის კრების შემდეგ, 1103–1110 წლებს შუა ან უფრო უშუალოდ კრების შემდეგ, 1103–1104 წწ. დავით აღმაშენებელმა ეს ორი „ჴელი" გააერთიანა და შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტი. ამიერიდან კიდევ უფრო გაიზარდა ჭყონდიდელის როლი ეკლესიაში და თუ მწიგნობართუხუცესი, როგორც მეფის სამდივან-მწიგნობროს მეთაური, მეფის შემდეგ პირველი პირი იყო სახელმწიფოში, ეკლესიაში კათალიკოსის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენით ჭყონდიდელი სარგებლობდა. ამ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მეშვეობით მეფე უშუალოდ ერეოდა ეკლესიის საშინაო საქმეებში და კარნახობდა ეკლესიას თავის ნებას". (9. ტ.II, გვ.217).

XV საუკუნეში, როგორც ცნობილია, საქართველო დაიშალა ცალკეულ სამთავროებად და საქართველოს ეკლესიაც ორ ნაწილად გაიყო: მცხეთის და ბიჭვინთის საკათალიკოსოდ.

ა. ბაქრაძე წერს, რომ: „ქართლის კათალიკოსსა და აფხაზეთის კათალიკოსს ფუნქციები განაწილებული ჰქონდათ. მაგალითად, მეფედ კურთხევის დროს „მარჯუენა ხელი (მეფისა – ა. ბ.) კათალიკოზს (ქართლის – ა. ბ.) ეჭიროს, ხოლო მარცხენა ხელი აფხაზეთის კათალიკოზსა, ანუ ჭყონდიდელსა, ანუ იშხნელსა და ეგრეთ შეჰყვნენ პალატასა შინა" („ქართული სამართლის ძეგლები" ტ.2, 1965 წ., გვ.53). მაგრამ XV საუკუნიდან საქართველოს ორ საეკლესიოდ გაყოფამ რეალური შინაარსი შეიძინა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო თავკაცი აფხაზეთის კათალიკოსი გახდა. იგი დასავლეთ საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლოც არის და შეუვალი ავტორიტეტიც. აფხაზეთის კათალიკოსს და ბიჭვინთას თანაბრად მორჩილებს, თაყვანისცემს და სულიერ მეთაურად სცნობს იმერეთის მეფეც, აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს მთავრებიც. მიუხედავად იმისა, რომ მეფესა და მთავრებს შორის მტრობა-ქიშპი, მიხტომა-მოხტომა, რბევა-აწიოკობა ხშირია, აფხაზეთის კათალიკოსისადმი და ბიჭვინთისადმი დამოკიდებლობა ურყევი და უცვლელია. ორგულობას ვერავინ ბედავს. ყველა – დასავლეთ საქართველოს მეფეცა და მთავრებიც – ერთიანად ცდილობენ ბიჭვინთისა და აფხაზეთის კათალიკოსის კეთილგანწყობილება და ყურადღება დაიმსახურონ.

ბიჭვინთა, როგორც საეკლესიო ცენტრი, მიწა-მამულისა და ყმების მფლობელია მთელ დასავლეთ საქართველოში. მას მეფე-მთავრები ყველგან აძლევენ შენირულებას". (20, გვ.79).

„XV საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ, აფხაზეთის საპატრიარქო დამოუკიდებელი გახდა და მისი მეთაური „აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად" იწოდებოდა. მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა იმერეთის სამეფოზე, გურიის, ოდიშის, აფხაზეთის სამთავროებზე. დასავლეთით და ჩრდილოეთით კი ბევრად სცილდებოდა ქართულ პოლიტიკურ საზღვრებს. XVI საუკუნის II ნახევარში, კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558–1578) დროს, აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს, რაც გამონვეული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებით (სამეფო-სამთავროებს შორის შინაომები და ოსმალო აგრესიის გაძლიერება აფხაზეთში). ბიჭვინთას ამის შემდეგაც არ დაუკარგავს საკათალიკოსო საყდრის სახელი და მნიშვნელობა". (10, ტ.2, გვ.31).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაერთიანებული საქართველოს დროს, საქართველოს ეკლესიას ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები მართავდნენ და აფხაზეთის კათალიკოსი ემორჩილებოდა ქართლის კათალიკოსს.

საქართველოს ეკლესიიდან აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფა მოხდა 1470–1474 წლებში, ბაგრატ VI-ისა და ოდიშის ერისთავის შამადავლე დადიან-გურიელის (1470–1474) ხელშეწყობით. ამ ხანებში, საქართველოში ჩამოსულა, შესაწირავისა და ფულის შესაგროვებლად, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი. ამით ისარგებლა ბაგრატ VI-ემ და ი. ჯავახიშვილის თქმით, გადადგა „ისეთი ნაბიჯი, რომელიც მის სრულ პოლიტიკურ სიბეცეს ამჟღავნებდა." მისი ხელშეწყობითა და მოთხოვნით, ანტიოქელმა პატრიარქმა მიხეილმა, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა უკანონო და „შეშლილ" წესად გამოაცხადა. ვინაიდან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა ანტიოქიელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული. რადგან „წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებულნი და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა". (2, ტ.III, გვ.447). მიხეილმა ქართული ეკლესიის უმაღლესი მმართველობა აიღო ხელთ და თვითონვე აკურთხა აფხაზეთის კათალიკოსად „ცაიშელ-ბედიელ მთავარ-ეპისკოპოსი იოვაკიმე". რა თქმა უნდა, მან ამით ახალი შემოსავლის წყარო გაიჩინა.

ანტიოქელმა მიხეილმა „აფხაზეთის კათალიკოსს მთელი იმერეთის, გურია-ოდიშის, აფხაზეთის, აჭარის, შავშეთის და კლარჯეთის ყველა ეკლესიები დაუქვემდებარა. ამგვარად, ქართული ეკლესია სამ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. მხოლოდ საქართველოს დაუძინებელ, მტერს შეეძლო ამისთანა საქციელი ჩაედინა და ესეც საკმაოდ ცხადჰყოფს, თუ რამდენად პოლიტიკურად ბეცი და საშუალებათა გაურჩეველი იყო ბაგრატ მეფე, შემდეგში მეფეთ-მეფედ წოდებული." (2, ტ.III, გვ.448). ამრიგად, ერთიანი ქართული ეკლესია დაიყო ნაწილებად: **მცხეთის, აფხაზეთის და მესხეთის საეპისკოპოსებად.**

მეორე ადგილას, ი. ჯავახიშვილი ლიხთსიქეთის ეკლესიის, მცხეთის ეკლესიიდან გამოყოფის შესახებ აღნიშნავს, რომ:

„ამით აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყსობის უფლება შეილახა, დამოუკიდებლობა მოისპო და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელთქვეშეთი შეიქმნა. ამიტომაც არის, რომ მიხეილმა აფხაზეთის კათალიკოსს თავის „მცნება"-ში უწოდა „მარჯვენა» იერუსალიმისა". ამგვარად და ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლსიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს! მარტო ეს გარემოებაც კმარა მაშინდელ საქართველოს და ბაგრატ მეფის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშემეცნების დაქვეითებისა და დაცემის საბუთად!.....

ცხადია, თუ რაოდენად საზარალო და მავნებელი უნდა ყოფილიყო ეს ქართველი ერის მთლიანობისა და ერთობის თვითშემეცნებისათვის: პოლიტიკურს დაქსაქსვასა და დანაწილებას საეკლესიო მთლიანობისა და განუყოფელობის ჩაშლაც დაედვა მტკიცე

საფუძვლად, აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო საეკლესიო მართვაგამგეობის მხრივაც ერთიმეორეს უნდა დაეშორებოდა!". (2, ტ.IV, გვ.113–114).

„ანდრია მოციქულიცა და წმინდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის ცალკე და განსაკუთრებული მქადაგებლის არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილიც არა ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხორცებულს შემეცნებას სპობდა. გასაოცარია, რომ ამაში მონაწილეობას იღებდა და ასეთი რამის ქადაგების ნებას აძლევდა ის ბაგრატ მეფე, რომელსაც თავისი თავი მეფეთ-მეფედ და ლიხთიმერისა და ლიხთამერის საქართველოს გამაერთებლად და მფლობელად მიაჩნდა. როგორ შეეძლო მას ქართველთა ერთობის ერთ-ერთი გამოხატულების ფსიქიური საფუძვლის ნიადაგის გამოცლისათვის თუნდაც ხელი შეეწყო?". (2, ტ.IV, გვ.115).

ანტიოქიელი პატრიარქები არაერთხელ ცდილობდნენ გაერთიანებული ქართული ეკლესიის დაშლას და მათ დამორჩილებას.

ი ჯავახიშვილი წერს, რომ „მაჰმადიანთა მიერ აღმოსავლეთის დაპყრობისა და განსაკუთრებით ბიზანტიის სახელმწიფოს დაუძლურებისა და თურქთაგან დაპყრობის შემდგომ, ანტიოქიის და იერუსალიმის მღვდელ-მთავარნი, თვით პატრიარქიც კი ხშირად თავიანთ სამწყსოს ჰშორდებოდნენ და უცხოეთის საქრისტიანო სახელმწიფოებს ეწვეოდნენ ხოლმე ფულის და სხვა ყოველგვარი დახმარების სათხოვნელად და შესაგროვებლად. მათხოვრობის გზაზე მდგომთ მათ უცხოეთის გულუბყვრილო ქრისტიანების წინაშე თავიანთი სახელის გატეხა არ სურდათ და თავიანთი თავი „უსჯულოების" აღმომფხვრელად და ძველი საეკლესიო კანონებისა და უფლებრივი მდგომარეობის აღმდგენელად მოჰქონდათ. ჩვეულებრივ ამგვარ პირებს, რასაკვირველია, ცბიერება და ცრუმორწმუნე ხალხის მიზიდვა საშუალებას აძლევდა თავიანთი პირადი საქმე, ფულის შეგროვება, ვითომც „უსჯულოთა" ხელითგან წმინდა ადგილებისა და ტანჯულ ქრისტიანთა განთავისუფლებლად მოწყობილი, ფართოდ და ბრწყინვალედ მოეხერხებინათ". (2, ტ.IV, გვ.52).

წყაროებიდან ირკვევა, რომ XV საუკუნის II ნახევარში „აფხაზეთში უკვე ქრისტიანობა, როგორც ეტყობა, კვლავ წარმართობას უთმობდა ასპარეზს: «აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად განდრეკილ იყვნეს. ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს»-ო, ამბობს მიხეილ პატრიარქი". (2, ტ.IV, გვ.111).

წყაროებიდან ცნობილია, რომ XVI საუკუნის დასაწყისში, მესხეთს სწვევია ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი. სამცხე-საათაბაქოს ათაბაგმა (1500–1515) მზეჭაბუკ ჯაყელმა, თავისი სამფლობელოს გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, შეეცადა სამცხე-საათაბაგოს ეკლესია ჩამოეშორებინა საქართველოს, რომელიც მცხეთის საკათალიკოსო საყდარს ექვემდებარეობდა და ამით სამცხე-საათაბაგო საეკლესიო სფეროშიც დამოუკიდებელი გაეხადა და ეს დოროთეუსის დახმარებით, მზეჭაბუკს მოუხერხებია კიდევაც. ქართლის მეფე, კათალიკოს-პატრიარქი და ხალხი „უსჯულო"-დ გამოაცხადეს და მესხეთის მღვდელმთავრად, დოროთეოსის კურთხევით, დანიშნეს ჯაყელთა ოჯახში აღზრდილი, ტრაპიზონელი ბერძენი, სიმონ მანწყუერელი. „ამ გზით მზეჭაბუკმა მესხეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ის კავშირიც გასწყვიტა, რომელიც ამ დაქსაქსულობისა და განკერძოების ჟამს ჩვენი ქვეყნის ერთობის გრძნობასა და ხსოვნას არ აქრობდა. პირადი პატივმოყვარეობითა და მტრული გრძნობით დაბრმავებულს მზეჭაბუკს ავიწყდებოდა, რომ ამით ქართველი ერის ისედაც მცირე ძალას უფრო ასუსტებდა და მტრის გაბატონებას საუკეთესო ნიადაგს უმზადებდა. იმ ზნეობრივ-სარწმუნეობრივი ძალის განმტკიცების მაგიერ, რომელსაც საქართველოს ეკლესიის მთლიანობა ჰქმნიდა და გარეშე უცხო-თესლი და უცხოსჯული მტერთან ბრძოლას აადვილებდა. ქ-ლ ეკლესიას სახელი გაუტეხა და დაქუცმაცებით მოზღვავებულ ოსმალებთან და მაჰმადიანობასთან ბრძოლის უნარი მოაკლო." (2, ტ.IV, გვ.168).

„ქართლის სასულიერო და სამეფო ხელისუფლებამ ენერგიული ზომები მიიღო: კათალიკოსმა შეაჩვენა საათაბაგოს განდგომილი ეპისკოპოსები და სანყმსო, რაც იმ დროს ყველაზე უფრო მძიმე სასჯელად ითვლებოდა. საბოლოოდ მზეჭაბუკის ცდები მარცხით დასრულდა და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიური მთლიანობა შენარჩუნებულ იქნა". (9, ტ.IV, გვ.93). მზეჭაბუკი 1515 წელს ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს და იაკობის სახელით ბერად აღიკვეცა. იგი გარდაიცვალა 1516 წელს.

საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ეკლესიას, ორი უმაღლესი მეთაური ჰყავდა: ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსი. ორივე კათალიკოსს დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა სამეფოში. ოღონდ, ქართლის კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა აფხაზეთის კათალიკოსი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული ეკლესიის, ხელშეწყობით ხდებოდა ქართველთა ტომების შეკავშირება და გაერთიანება. ამავე დროს ხდებოდა, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს გარეთაც. წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდებოდა. XIII საუკუნიდან – XX საუკუნემდე, ქართული ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და სიძლიერე თანდათან დაეცა. რაც გამოწვეული იყო გარეშე მტრების (მონღოლები, ირანელები, თურქ-ოსმალები. ხოლო შემდეგ, ერთმორწმუნე რუსეთის დროს) ხანგრძლივი ბატონობისა, მთავართა დამოუკიდებლობისაკენ და განდიდებისაკენ მისწრაფებისა და დაქსაქსულობის შედეგად. განსაკუთრებით გაძლიერდა ერთიან ქართულ ეკლესიაზე შემოტევა, როდესაც საქართველოში დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიიდან, მთის მოსახლეობის (განსაკუთრებით აფსუა და აბაზა ტომების), დიდი რაოდენობით ჩამოსახლება. რომლებმაც ჩამოიტანეს თავიანთი წარმართული და ისლამური სარწმუნოებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთში ჩამოსახლებულ და დამკვიდრებულ მთიელებს შემდგომში „აფხაზები" ეწოდათ.

„ძველი საეპარქიო კათედრები – მოქვი, ბედია, დრანდა, ბიჭვინთის საკათალიკოსო საყდარი XVII–XVIII ს-თვის ადილე-ჩერქეზული ტომების აბაზებისა და აბსარების შემოსევების შემდეგ, გაუქმდა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დაცლილი საეპისკოპოსები მღვდლის ამარა დარჩა. დრანდის ბოლო ეპისკოპოსი გაბრიელი XVII ს-ში, მთიელთა შემოსევების გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა კათედრა და იერუსალიმში წასულიყო. აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრების მწყემსმთავრებმა თავი სამეგრელოსა და იმერეთს შეაფარეს." (54).

საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთთან 1801 წელს შეერთების შემდეგ, რუსეთის ეკლესიის სინოდის ბრძანებით, 1811 წელს ლიხსაქეთ საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში, ამდენ ჭირ-ვარამს გამოვლილი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, გაუქმდა. ხოლო „1814 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებულებით დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო უშუალოდ შეუერთდა რუსულ ეკლესიას, ხოლო ადგილობრივ მმართველად დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსი, რომელსაც „საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი" ეწოდა". (10, ტ.2, გვ.31). ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიას შეუერთდა და ის გადაიქცა რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ. მღვდლებს დაენიშნათ ჯამაგირები. ეკლესიის მიწები და გლეხები გადაეცა ეგრეთ წოდებულ „საეკლესიო უწყებას". ხოლო მთელი საეკლესიო ქონება (1852–1869) წლებში გადაეცა ხაზინას. საქართველოს ეგზარქოსად ინიშნებოდა რუსი მღვდელმთავრები, რომლებიც კოლონიურ პოლიტიკას ატარებდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დამონებას და გარუსებას.

1851 წელს აფხაზეთში გაიხსნა ეპარქია, „აფხაზეთის" ეპარქიის სახელწოდებით, რომელიც ქართულ საერგაქოსოს შემადგენლობაში შევიდა. ხოლო 1885 წელს „აფხაზეთის" ეპარქია გადაკეთდა „სოხუმის" ეპარქიად და მის მმართველობას განაგებდა სინოდი და რუსი ეპისკოპოსები.

მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ:

„რუსეთის მეფის ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ.) ცდილობდა აფხაზეთის ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულიდან სლავურზე გადაყვანას, რაც ქვეყნის რუსიფიკაციას ისახავდა მიზნად". (22, გვ.30).

1898 წლის 17 მარტს საქართველოს ეგზარქოსის ფლაბიანეს ბრძანებულებით აფხაზეთისა და სამურზაყანოს სასულიერო სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება. ისტორიკოსი ზურაბ პაპასკირი წერს, რომ კავკასიის მთავარმმართებელი (1896–1906) თავადი გრიგორ გოლიცინი (1838–1907) და საქრთველოს ეგზარქოსი ალექსი I (1837–1914), უწმინდესი სინოდის ოპერ-

პროკურორს წერდნენ: „«სოხუმის ეპარქია უნდა მოვწყვიტოთ არასასურველი ქართული გავლენისაგან. ამ მოსაზრებით კარგი იქნებოდა, თუ სოხუმის ეპარქიას ყუბანის ეპარქიას შევუერთებთ. ამ ეპარქიაში 2 მილიონამდე წმინდა რუსული მოსახლეობა ცხოვრობს. ამ ხალხში კი ადვილად შეერევა შავიზღვისპირეთის 100 000-იანი, მრავალენოვანი მოსახლეობა». ეს მზაკვრული გეგმა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ არსებობდა, მაგრამ მაშინ აფხაზები ვერ მოექცნენ რუსული პროპაგანდის ზეგავლენაში და შეინარჩუნეს ქართულ-აფხაზური ერთობა.

თავისი გეგმა რუსეთს არც მეოცე და არც XXI საუკუნეში დავიწყებია. რუსეთის ხელისუფლების ანტიქართულმა პროპაგანდამ დიდი გასაქანი პოვა ე. წ. ხალხის წიაღიდან გამოსულ ინტელიგენციაში. ეს ის ხალხია, რომელთაც სწორედ რუსული განათლება ჰქონდა მიღებული“. (77).

1901 წელს სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა, ხოლო შემდეგ (1904–1905) ეპისკოპოსმა სერაფიმ ჩიგაგოვმაც სინოდის წინაშე დააყენეს საკითხი, საქართველოს საერზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის შესახებ. მაგრამ, ქართველი და აფხაზი მოსახლეობის მონინავე საზოგადოებისა და საღად მოაზროვნე სამღვდელოების ნაწილის წინააღმდეგობის გამო, რუსეთის ხელისუფლებამ მაშინ ამის განხორციელება ვერ შეძლო. ცხადია, რომ რუსეთის ხელისუფლებას და რუსეთის სამღვდელოებას, ამ მოქმედებით უნდოდათ ქართველი და აფხაზი ხალხის გათიშვა და ერთმანეთის გადაკიდება.

„XX ს. დასაწყისიდან უკვე ჰქონდა ადგილი საქართველოს საეგზარქოსოსგან აფხაზეთის გამოყოფის წარუმატებელ მცდელობას. აკადემიურ წრეებში მუშავდებოდა იდეოლოგია „აფხაზეთი-საქართველო არ არის“ რომელიც აქტიურად ინერგებოდა აფხაზი ხალხის ცნობიერებაში. ცარიზმის ყველა მცდელობის, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების რამდენადმე გამწვავების მიუხედავად, ამ ხალხებმა 1916–1917 წლებში ერთობლივად დაიცვეს საქართველოს საეგზარქოსო და სოხუმის ეპარქიის ერთიანობა. ჩაშალეს რა საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის, ამ უკანასკნელისაგან კი სამურზაყანოს სამრევლოების გამოყოფის სინოდისეული გეგმის განხორციელება“. (76).

1916 წელს სინოდმა სოხუმის ეპარქია ისევ საქართველოს საერზაქოსოს შემადგენლობაში დატოვა. 1917 წლის 24-27 მაისს, აფხაზეთის სამღვდელოების მცირე ნაწილმა მოიწვია საეკლესიო კრება და აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაგრამ, ამით არაფერი არ შეცვლილა, 1919 წლის მარტამდე აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა სინოდის მიერ 1914 წელს დანიშნული ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი).

მონინავე ქართველი საზოგადოებისა და განსაკუთრებით ეპისკოპოსის კირიონ II-ის დიდი ბრძოლის შედეგად, აღსდგა **ქართული ეკლესიის ავტოკეფალია** და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად, აღსდგა **კათალიკოსის თანამდებობაც**. 1917 წლის 9 სექტემბერს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და სრულიად საქართველოს კათილოკოს-პატრიარქად აკურთხეს კირიონ II (1855–1918) (ერისკაცობაში გიორგი იერონომის ძე საძაგლიშვილი). კირიონ II, ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო, ქართული საზოგადოების ერთ-ერთი შესანიშნავი თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი იყო როგორც საეკლესიო, ასევე საერო მოღვაწე. მის მიერ გამოქვეყნებული მრავალმხრივი სამეცნიერო გამოკვლევები და წერილები, ეხება როგორც საეკლესიო ისტორიას, ასევე ქართულ ლიტერატურას, ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. მან მიაკვლია ძველი ქართულ თარგმნათა უნიკალურ ძეგლებს. აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, ძველ ქართულ მონეტებს. 1911 წელს მან ეს თავისი მდიდარი არქივი გადასცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოებას.

როგორც ისტორიკოსი ელდარ ბაბულაშვილი აღნიშნავს, „კირიონ II როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და ბიბლიის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, მტკიცედ იცავდა ქართული ენის სიწმინდეს, რომ იგი არ დანაგვიანებულიყო უცხო სიტყვებით. დღესაც, როცა უცხო სიტყვათა მოძალებით მახინჯდება ქართული ენა, აქტუალურად ჟღერს კირიონის სიტყვები: „დედა-ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი. დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა – ფრიად ძნელი. მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზე ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას“. ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნებისათვის კირიონ

II მოითხოვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული სალექსიკონო მასალის მოძიებას, განსაკუთრებით ისეთი სიტყვების შეკრებას, რომელიც არცერთ ლექსიკონში არ იყო დაფიქსირებული. ამ მხრივ მან თვითონ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საეკლესიო მსახურების დროს შეკრიბა დიდძალი ლექსიკური მასალა, რომელიც შემდგომ ექვთიმე თაყაიშვილმა „ძველი საქართველოს" მეორე ტომში გამოაქვეყნა". (55). „აღსანიშნავია, რომ წმიდა კირიონის ლექსიკონში ისეთი სიტყვებია თავმოყრილი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს და დავით ჩუბინაშვილს ნახსენებიც არ აქვთ. დღემდე წმიდა მღვდელმოწამე კირიონის აღნიშნული შრომა ლექსიკოლოგთა მიერ სათანადოთ შესწავლილი არაა". (55).

კირიონ II-ემ, პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დააარსა აღმოსავლეთ ეკლესიათა ისტორიის კათედრა, სადაც ისწავლებოდა ქართული ეკლესიის ისტორია. იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი შემწეობით უამრავი ახალგაზრდობა იგზავნებოდა სასწავლებლად რუსეთსა და საზღვარგარეთ. ცდილობდა ქართულ კულტურას გასცნობოდნენ საზღვარგარეთ. „როგორც ქართველმა, კარგად მცოდნემ თავისი ერისა და ხალხის სულიერის საჭიროებისა, დაარსა 19 სამრევლო სკოლა. ააშენებინა სკოლები აწერისხევში, ვანათში, თიანეთში; ყველა სკოლას შეუქმნა წიგნთსაცავები და ბიბლიოთეკები. ამავე პერიოდში ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში იგი აქვეყნებდა წერილებს, გამოკვლევებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე, ივერიელის, საძაგელოვის, ლიახველის ფსევდონიმებით.

კირიონი II იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და აღწერა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები. ეს აღწერილობა გამოაქვეყნა კიდეც 1898 წელს. ამ აღწერილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მომდევნო ხანებში ბევრი ისტორიული ძეგლი მოსული ხალხის (ოსები) მიერ განადგურებული იქნა". (83).

ცნობილია, რომ „ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ეახლა და ოფიციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. მეფის მთავრობა იძულებული შეიქმნა ფორმალურად მაინც დაენიშნა პეტერბურგში სპეციალური სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენის საკითხი.

ეპისკოპოსმა კირიონმა სხდომაზე წაიკითხა ორი მოხსენება:

1). რა აიძულებს ქართველებს იმეცადინონ თავისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე.

2). ეროვნული პრინციპი ეკლესიაში.

კირიონი ასაბუთებდა, რომ ეკლესიური მონობა ყველა მონობაზე უარესიაო. ფორმალურად დანიშნულმა კომისიამ, სადაც უმრავლესობას წარმოადგენდნენ დეკანოზ ვოსტორგოვის მიმდევრები, უარყვეს ქართველი სამღვდელოების სამართლიანი მოთხოვნები, და ამის შემდეგ დაიწყეს კირიონის დევნა-შევიწროება". (61). კირიონი განაგრძობდა ბრძოლას ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, ამიტომ, 1902 წლიდან საერთოდ ჩამოაშორეს საქართველოს და „კამენეცპოდოლის ეპარქიაში გზავნიან, აქედან 1903 წელს ხერსონში, 1904 წელს ორიოლის ეპარქიაში". (61). ცნობილია, რომ „1906 წელს, კირიონი სოხუმის ეპარქიაში გადმოიყვანეს, სადაც მან დიდი მუშაობა გასწია ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და მოღონიერების საქმეში. მღვდელმთავრის საქმიანობამ რუს მოხელეებში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, რის შედეგადაც კირიონი 1907 წლის 27 იანვარს სოხუმიდან კოვნოს ეპარქიაში გადაიყვანეს, აფხაზების გაქართველების მცდელობის ბრალდებით." (61). ხოლო 1908 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ეპისკოპოსის წოდებაც ჩამოართვა და დააპატიმრა კიდევაც. „რუსეთის მთავრობამ 1915 წელს შეწყვიტა კირიონის დევნა შევიწროება. მას ეპისკოპოსის წოდება დაუბრუნეს და პოლოცკისა ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლის ნება არ დართეს". (61). 1917 წლის ზაფხულში კირიონმა შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. (61).

XX საუკუნის I ნახევარში, შინა პოლიტიკური არეულობის გამო, „რუსეთს საქართველოსათვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ

გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯი დარჩა". (68).

კირიონ II აღფრთოვანებული შეეგება 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მან „1918 წლის 27 მაისს თავისუფლების მოედანზე საზეიმო პარაკლისი გადაიხადა და შეკრებილ საზოგადოებას მგზნებარე სიტყვით მიმართა". (61). მის წინააღმდეგ არ შეწყვეტილა ბრძოლა. მას ებრძოდნენ როგორც გარეშე მტრები, ასევე ქართველი „რუსოფილები" და საეკლესიო მოღვაწენიც. 1918 წლის 27 ივნისს იგი მოკლული ნახეს მის სანოლ ოთახში. დასაფლავებულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

მისი სიტყვებია:

„ყველაფერი მობეზრდება მამულიშვილს გარდა მამულიშვილობისა" და კიდევ: „მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდია". (81).

კირიონ II 1910 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში" წერდა:

„რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღევანდელ დროს რუსები უმეტესად იცნობენ თითქმის ნახევრად ველურ ლოპარებს და ვოკულებს, ვიდრე ერთმორწმუნე ქართველებს და მის ისტორიას. მაშინ როდესაც იმ ხანად ქართველებს თავისი მნიშვნელოვანი დამსახურება ჰქონდათ ქრისტიანობის წინაშე, თავისი მაღალი ნაციონალური კულტურით, ის ღირსია უფრო მეტი დაკვირვებული და გულდასმით ყურადღებით შესწავლისა. სამწუხაროდ გვიხდება კიდევაც დადასტურება სინამდვილისა, რომ რუსულ ენაზე არ არსებობს საერთოდ კეთილსინდისიერი და საფუძვლიანი ნაშრომები ქართული ისტორიის შესახებ და ამის გამო ასეთი შეუწყნარებელი არაფრად ჩაგდება და აბუჩად აგდებაა ქართული ისტორიისა რუსებისათვის – (terra incognita), ჯერ კიდევ ა. ს. გრიბოედოვი უსაყვედურებდა თავის თანამემამულეებს, რომ საქართველოს არ იცნობდნენ...

როდესაც ცხრა ნახევარი საუკუნის წინ ტავრიკიის რუსებმა მიიღეს მართლმადიდებლური ქრისტიანობა და როდესაც რუსეთში გაჩნდა სუსტი ნიშნები მოქალაქეობისა და ეს-ეს არის დაიწყო ბულგარეთიდან შეღწევა მზა სლავური საეკლესიო დამწერლობამ, როგორც თითქმის ყველა რუსი მეცნიერები ერთხმად ამტკიცებენ, ახალგანათლებული ქვეყანა იმყოფებოდა, რომელიც, ბიზანტიის კულტურის ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა, და მათი აზრით, გამუდმებით შველოდა აყვავებული პონტოს ევქსინიის სანაპიროზე მდებარე ბერძნული იმპორიები. ამავე დროს ყურადღების მიღმა რჩებოდათ, ან განზრახ ხუჭავდნენ თვალს და არ უნდოთათ შეემჩნიათ, რომ აღნიშნულ დროს, ბიზანტიის იმპერიის გარდა, წმ. მიწის მიჯნაზე არსებობდა მეორე ძლიერი და ვრცელი მართლმადიდებლური საქართველოს სახელმწიფო, რომელიც თავისი საზღვრებით უფრო ახლოს იმყოფებოდა მაშინდელ რუსეთთან ვიდრე ბიზანტია." (104, გვ.1).

ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე ამ წიგნის შესახებ წერს:

„1910 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა ეპისკოპოსის კირიონის პოლემიკური წიგნი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში". შეიძლება მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონიდან გამომდინარე დროის მიერ წამოყენებული ზოგიერთი დებულებები მოძველებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ დროს თვით რუს სწავლულებსაც უკვირდათ სად მიაკვლია კირიონმა ამდენ დოკუმენტებს, საარქივო მასალებსო". (45, გვ.20).

კირიონ II-ე „როცა სამშობლოში დაბრუნდა და ანჩისხატის ეკლესიაში ერთ-ერთი პირველი წირვა გადაიხადა, თავის მრევლს, ქართველ ერს, დაუფარავად, სიტყვებით მიმართა: „თითქმის 15-20 წელი თქვენგან დაშორებული ვიყავი და ვფიქრობდი, რომ ამ 20 წლის მანძილზე უფრო შეიგნებდით საქვეყნო, ეროვნულ პრობლემებს და მათი გადაჭრისას უფრო ჰარმონიული და შეთანხმებული იქნებოდით. მაგრამ, როგორ ვწუხვარ, რომ არა თუ უკეთესობისაკენ წასულხართ, არამედ, უფრო დაქსაქსულხართ, გათითო-კაცებულხართ. ხელახლა თუ დაიბადებით, თორემ, თქვენი გამოსწორება არ იქნება". (83). როგორც ეტყობა, დღევანდელ დღესაც არაფერი შეცვლილა და იგივე ვითარებაა საქრთველოში.

მისი სიკვდილის შემდეგ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ლ ე ო ნ ი დ ე (ლონგინოზ ოქროპირიძე) (1860–1921) რომელიც საპატრიარქოს მართავდა (1918–1921) წწ-ში. იგი ცდილობდა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რომ 1917 წლის მარტში, აღსდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და შემოღებულ იქნა, რუსეთის სინოდის მიერ გაუქმებული საპატრიარქოს მმართველობა.

„1917 წლის სექტემბერში, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მონვეულ საქრთველოს პირველ საეკლესიო კრებაზე, აღადგინეს აფხაზეთის ეპარქია, რომლის მწყემსმთავარს ცხუმელ-ბედიელი ეწოდა. რუსეთის ეკლესიის სინოდი ცდილობდა უგულებელყო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია და სოხუმის ოლქში დაეტოვებინა რუსი ეპისკოპოსი სერგი, რომელსაც დაემორჩილებოდა რუსული და ბერძნული სამღვდელოება". (63).

1919 წლის 7 ოქტომბერს, აფხაზეთში შემდგარი სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ეპარქია, როგორც ადრე, ისტორიულად განუყოფადი ნაწილი, ისევ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში დარჩა და (1914–1918) წლებში აფხაზეთის ეპარქიას, შავიზღვის და ნოვოროსიის არქიეპისკოპოსი სერგი I (1864–1935) განაგებდა. მის შემდეგ, აფახაზეთში (1919–1938) აფხაზეთის („ცხუმ-ბედიის") ეპარქიას განაგებდნენ მღვდელმთავრები:

1. ა მ ბ რ ო ს ი ხ ე ლ ა ი ა (მიტროპოლიტი) (1919–1921);
2. ი ო ა ნ ე მ ა რ გ ი შ ვ ი ლ ი (ეპისკოპოსი) (1921–1926);
3. ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი (1926–1927);
4. ე ფ რ ე მ ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე (1927);
5. მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ფ ხ ა ლ ა ძ ე (1927–1928);
6. პ ა ვ ლ ე ჯ ა ფ ა რ ი ძ ე (ეპისკოპოსი) (1928);
7. ვ ა რ ლ ა მ მ ა ხ ა რ ა ძ ე (მიტროპოლიტი) (1929–1934);
8. მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ფ ხ ა ლ ა ძ ე (მიტროპოლიტი) (1935–1943);

ლეონიდეს სიკვდილის შემდეგ, 1921 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ა მ ბ რ ო ს ი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია) (1861–1927), რომელიც საპატრიარქოს მართავდა (1921–1927) წლებში.

(1887–1897) წლებში, ამბროსი, მღვდლად იმყოფებოდა სოჭში, ახალ ათონში და სოხუმში. ამავე დროს, იყო სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი, სადაც ქართულ ენასაც ასწავლიდა. აფხაზეთში ყოფნის დროს, ებრძოდა რუსეთის ხელისუფლებისა და საეკლესიო წარმომადგენლებს, რომლებიც აფხაზეთში დევნიდნენ ქართულ ენას და ცდილობდნენ აფხაზები ქართველების წინააღმდეგ აემხედრებინად. 1897 წელს ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა. აღიკვეცა ბერად და 1901 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად. ხოლო 1904 წლიდან გაამწესეს თბილისის სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. თბილისში ყოფნის დროს, მონანილეობას ღებულობდა და იბრძოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, ავტოკეფალიის აღდგენისათვის. რის გამოც 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ უფლება მისცეს, რომ დაბრუნებულიყო საქართველოში. 1907 წელს, საეკლესიო კრებამ, სადაც მონანილეობას ღებულობდა ამბროსი, დაადგინა, რომ სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლა, ქართულ ენაზე მომხდარიყო. ეს კრება, წმინდა სინოდის მუდმივმა წევრმა, (1906–1908) ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსმა და საქართველოს ექზარქოსმა ნ ი კ ო ნ მ ა (სოფიისკი) (1861–1908), კაზაკების შემწეობით დაარბია. ცნობილია, რომ ნიკონის საქრთველოში ჩამოსვლისას, შეხვედრის დროს, მას საქართველოს საზოგადოებისა და სამღვდელოების წარმომადგენლებმა სთხოვეს, რომ დახმარება გაეწია, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის. მაგრამ მან ეს უარყო. პირიქით, იგი ყოველმხრივ ცდილობდა ქართველების შევიწროებას და ქართული ეკლესიის სინოდისადმი დაქვემდებარებას. საქართველოში მოღვაწეობის დროს, მისი დახმარებითა და ძალისხმევით, გამოიცა ბიბლია და საღმრთო ნიგნები აფხაზურ და ოსურ ენებზე.

1908 წლის მაისში, ქართულ-იმერეთის სინოდში კიბეზე ასვლის დროს, ნიკონი მოკლეს. ამ-ბროსი ხელაიას ბრალდება წაუყენეს თითქოს მას მონაწილეობა მიეღო ნიკონის მკვლელობაში და ისევ რუსეთში გადაასახლეს. შემდეგში დადგინდა, რომ ნიკონის მოკვლა მოაწყვეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რადგან იცოდნენ, რომ ნიკონის მკვლელობას მოჰყვებოდა ავტოკეფალ-ისტთა დევნა. ავტოკეფალისტები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომხრეები იბრძოდნენ რუსეთის იმპერიიდან თავის დაღწევისათვის, ეს კი ქართველი სოციალ-დემოკრატები-სათვის დაუშვებელი იყო. ამიტომ ისინი ებრძოდნენ პირდაპირი, თუ ფარული ხერხებით ყველას, ვინც-კი ფიქრობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე. 1910 წელს ამბროსი გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. მან მხოლოდ 1917 წელს შეძლო საქართველოში დაბრუნება და ჭყონდიდის ეპარქიაში მიტროპოლიტად გაამწესეს, რამდენიმე ხნის შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აკურთხეს. ამავე წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. ხოლო 16 მარტს თბილისში მოწვეულმა სასულიერო პირთა კრების მიერ დადგინდა, რომ ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო.

საქართველოს გასაბჭოებას და იმ აღვირახსნილობას რასაც ბოლშევიკები საქართველოს დაპყ-რობისთანავე სჩადიოდნენ იგი ვერ ურიგდებოდა. ბოლშევიკებმა როგორც მთელს საქართველო-ში, აფხაზეთშიც, თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი დახურეს და საწყობებად გამოიყენეს, ან დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს, საეკლესიო განძი და სიწმინდეები სახელმწიფო ქონებად გამოაცხადეს. მათ აღწერეს მთელი ქართული ეკლესიების განძეულობა და 1923 წლის საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო დადგენილებით, მთელი საეკლესიო ნივთები, ვითომდა უნდა გადაედნოთ და დამშეულთათვის პური ეყიდნათ, ეკლესიებს ჩამოართვეს და დაიტა-ცეს. ასე განადგურდა და მოისპო, მთელი ჩვენი საეკლესიო ძეგლები, სიწმინდეები და საეკლესიო ქონება. ისიც კი, რაც ნოე ჟორდანიის მთავრობამ ემიგრაციაში თან ვერ წაიღო და დარჩა საქარ-თველოში, განადგურდა. ამიტომაც, „საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის საკითხში ამბროსი ანტისაბჭოთა თვალსაზრისზე იდგა". (10, ტ.1, გვ.354). მან კარგად იცოდა და გრძნობდა, თუ რას წარმოადგენდნენ ეგრეთ წოდებული „ბოლშევიკები".

ს. ვარდოსანიძე გადმოგვცემს, რომ 1922 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობა დღეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ აღსაყდრებისას ასეთი რამ ბრძანა – „მე ავდივარ გოლგოთაზე". ამით მგონი ყველაფერია ნათქვამი". (83).

საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლისთანავე, ამბროსის მიერ მოწვეულმა გელათის საეკლე-სიო კრებამ, მთავრობას მოსთხოვა, რომ ქართული ეკლესია არ გამოეცხადებინად კანონგარეშე. ამ მოთხოვნას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ამბროსიმ, გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონ-ფერენციაში, 1922 წლის 7 თებერვალს გააგზავნა მიმართვა, სადაც თხოულობდა საქართველოს კანონიერი უფლებების აღდგენას. ამავე დროს, იგი მონაწილეობას ღებულობდა ეროვნულ-გან-მათავისუფლებელ მოძრაობაში. რისთვისაც ბოლშევიკებმა ამბროსი ხელაია და მთელი საეკლესიო საბჭოს შემადგენლობა დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩაამწყვდიეს.

ს. ვარდოსანიძე აღნიშნავს, რომ „1921 წლის თებერვალში, როცა ბოლშევიკები მოვიდნენ, პირველი რაც გააკეთეს, იყო ის, რომ 1921 წლის 15 აპრილს, ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოაცხადეს. ბოლშევიკებმა დაიწყეს დარჩენილი საეკლესიო ქონების ძარცვა, ამ სიტყვის პირდა-პირი მნიშვნელობით და სასულიერო პირების მიმართ ტერორი. ძალიან ბევრი სასულიერო პირი დახვრიტეს. 1 450 მოქმედი ეკლესია იყო და 1 600 სასულიერო პირი და 1945 წელს, სასულიერო პირთა რაოდენობა 30-ს შეადგენდა, ხოლო მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა – 15-ს". „ბოლშევი-კურ გაზეთებში („მუშა", „კომუნისტი") პირველ გვერდებზე აქვეყნებდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიასა და დაპატიმრებული საკათალიკოსო საბჭოს წევრების კარიკატურებს.

ბოლშევიკურ გაზეთებში, შრომით კოლექტივების საერთო კრებებზე მიღებული ასეთი შინაარ-სის რეზოლუციები იბეჭდებოდა: „ჩვენ, მთავარი სახელოსნოს მუშები, მოვითხოვთ რათა შავი

ყორნები კონტრევოლუციისა, დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით და ის მენშევიკ-სოციალისტები, რომლებიც მათ იცავენ, მოთავსებულ იქნან საბრალდებულო სკამზე".

იმჟამინდელი ხელისუფლებისათვის და მათი მხარდამჭერებისათვის, საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლი სასულიერო პირები, „სამშობლოს მოღალატეები" იყვნენ. 1924 წელს, ამბროსი ხელაიასა და საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქიის წარმომადგენელთა სასამართლო პროცესი, ასეთი ფრაზების სკანდირების ფონზე წარიმართა: „ძირს კონტრევოლუცია, სამშობლოს მოღალატეები, ანაფორიანი აგენტები". (83).

ს. ვარდოსანიძის გადმოცემით; „პირველად ბოლშევიკებმა წმიდა დავით აღმაშენებელის სახელობის ეკლესია დაანგრიეს ქუთაისში, რომელიც იდგა იქ, სადაც ახლა დავით აღმაშენებლის ძეგლია. დაანგრიეს ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია, რომელიც დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილას იდგა; იმ ხანად მთელ საქართველოში უამრავი ეკლესია-მონასტერი გაანადგურეს. დანგრევის საფრთხე ემუქრებოდა ქაშუეთის ეკლესიასაც.... ქაშუეთის ეკლესიის ადგილას აბანო უნდა აეშენებინათ.... (მისსივე გადმოცემით, ქაშუეთის ეკლესია ნგრევას გადაურჩა, კალისტრატე ცინცაძის და ბერიას დედის – მართა ჯაყელის შემწეობით).

40-იან წლებში ომი რომ არ დაწყებულიყო, უნდა დაეხურათ სიონი და სვეტიცხოველი, გადასახადებს ვერ იხდიანო....

ხელისუფლების პოლიტიკის მიზანი იყო ეკლესიის დასუსტება, მისი საზოგადოებაში დისკრედიტება და ამისათვის ისინი ყველაფერს აკეთებდნენ. კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაში ეკლესიის ადგილი არ უნდა ყოფილიყო და მოსკოვის წინაშე ხშირად იკვეხნიდა ჩვენი ხელისუფლება, რომ საქართველოს მასობრივი ათეიზმის ქვეყნად ვაქცევთო....

ამ დოზით რბევა და დევნა, რაც საქართველოს ეკლესიამ განიცადა, არც რუსეთის და არც სომხეთის ეკლესიებს განუცდია. პირიქით, სომხეთის ეკლესია გაძლიერდა, როდესაც იქ ყოველთა სომეხთა უმაღლესი კათალიკოსი ვარზგენ პირველი გახდა და მან ბევრი გააკეთა სომხური ეკლესიისათვის". (84).

ამბროსი ხელაია და სასულიერო პირები 1924 წლის 10 მარტს გაასამართლეს, როგორც „სახელმწიფოს მოღალატეები" და „რეაქციული სამღვდელოება". „მათ ნაუყენეს 4 ბრალდება:

1. მემორანდუმის გაგზავნა გენუის კონფერენციისადმი.
2. საეკლესიო განძეულობის გადამალვა, რომელიც ბოლშევიკურ მთავრობას დამშეულთა დასახმარებლად უნდა გამოეყენებინა.
3. საეკლესიო ქონების სააღრიცხვო წიგნების არასწორი წარმოება.
4. სამხედრო ტაძრის კომკავშირისადმი გადაცემისა და სატრაპეზოს დაშლის პროცედურაში, საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა....
5. ამბროსი აღმსარებელს, ნაუყენეს დამატებითი ბრალდება: „უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობის დაჭერა, მის დასაყოლიებლად რესპუბლიკის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევისათვის". არცერთმა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო". ცნობილია მისი სასამართლოზე წარმოთქმული ბოლო სიტყვები: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული – სამშობლოს, გვამი კი თქვენთვის მომინდვია. ასულნო იერუსალემისანო, ნუ სტირით ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა (ლკ. 234. 28). 19 მარტს საღამოს 8 საათზე გამოუტანეს განაჩენი: „კათალიკოს ამბროსის, იგივე ბესარიონ ხელაიას მიესაჯა პატიმრობა: 7 წლით, 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით". (100).

ამბროსი და მასთან ერთად სასულიერო პირები, გამოცხადებულნი იყვნენ როგორც სამშობლოს მოღალატეები და მტრები. მათი ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი კი რუსეთში გადაასახლეს. უმრავლესობა იქვე, ციმბირის საპატიმრო ბანაკებში დაიღუპა.

1924 წელს ამბროსი ამნისტიით გაანთავისუფლეს, თუმცა ეკლესიას ჩამოაცილეს.

„1926 წლის დეკემბერში, კათალიკოს-პატრიარქის გვერდით ავლით, საეკლესიო კრება მოიწვიეს და კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი გადაყენებულად გამოაცხადეს. ნერვიულობის ნიადაგზე

კათალიკოს-პატრიარქი სულ მალე გარდაიცვალა და შემდეგ ეკლესიის სათავეში ისინი მოვიდნენ", ეგრეთ წოდებული „რეფორმატორები". (83).

ამბროსი ხელაია 1927 წლის 29 მარტს დილის 3 საათზე გარდაიცვალა. დასაფლავებულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

„ამბროსი იკვლევდა ქართულ ისტორიულ ძეგლებს. პეტერბურგის „უწყებაში" და ქართულ პერიოდულ პრესაში „ამბერის" ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ და საეკლესიო წარსულის და მიმდინარე ვითარების შესახებ; საყურადღებოა მისი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალებში „განთიადი" და „ცხოვრება" (1915–17). აღმოაჩინა „მოქცევაი ქართლისაის" ჭელიშური ვარიანტი, რომლის შესახებ 1907 მოხსენება წაიკითხა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე". (10, ტ.1, გვ.354).

„1995 წლის სექტემბერში მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ჩატარებულ საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით ერისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ამბროსი ხელაია შერაცხილ იქნა წმინდათა დასში, ამბროსი აღმსარებლის სახელით და დაწესდა მისი ხსენების დღედ 16 (29) მარტი. უწმინდესი ამბროსი ქართველი ხალხის ისტორიაში შევიდა, როგორც ბრწყინვალე მწყემს-მთავარი, რომელმაც შეასრულა თავისი ვალი ღვთისა და ერის წინაშე. სწორედ წმიდა ამბროსის და მისი თანამებრძოლი სასულიერო პირების დამსახურება იყო დიდი განსაცდელის, დევნა-შევიწროვების მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რომ გადარჩა და შეინარჩუნა ქართველი ხალხის სულიერი მესაჭის ფუნქცია". (45, გვ.97).

ზევით აღვნიშნეთ, რომ 1921 წლის 15 ოქტომბრიდან – 1926 წლამდე, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა ი ო ა ნ ე (მარგიშვილი). ცნობილია, რომ მან ბათუმის შემოქმედის ეპარქიის შექმნის შემდეგ, 1920-იან წლებში წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში წირვა-ლოცვა აღავლინა.

(1926–1927) წლებში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა მიტროპოლიტი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე, რომელიც შემდგომში 1927 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა. ქრისტეფორე III (ქრისტეფორე ციცქიშვილი) (1873–1932), თბილისის სასულიერო სემინარიის, 1895 წელს, დამთავრების შემდეგ, მღვდლად მუშაობდა ჯერ იმიერ-კავკასიის ოლქში, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვადასხვა სოფლებში და თბილისის **ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.** (1904–1905) წლებში იმყოფებოდა გორის მაზრის სამრევლო სკოლის მეთვალყურედ. შემდეგში მუშაობდა თბილისის V გიმნაზიაში სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლად. აქვე, 1905–1906 წლებში, იგი თავმჯდომარეობდა არალეგალურ კრებას, რომელიც მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას და შეიმუშავა მოთხოვნა ავტოკეფალიის აღსადგენად.

ცნობილია, რომ 1917 წლიდან მიტროპოლიტმა ს ე რ გ ი მ (სტრაგოროდსკი) (1867– 1944), შემდგომში, 1943 წლიდან, სრულიად რუსეთის პატრიარქი, 1927 წლის 29 ივლისს, გამოსცა სპეციალური დეკლარაცია (უსტარი), სადაც მოუწოდებდა მღვდლებსა და მორწმუნეებს ყოფილიყვნენ „საბჭოთა კავშირის ერთგული მოქალაქენი".

ფილოსოფოსი ს ე რ გ ო რ ა ტ ი ა ნ ი წერს, რომ დეკლარაციაში ეწერა: „ჩვენ გვსურს ვიყოთ მართლმადიდებლები და ამასთან აღვიქვათ საბჭოთა კავშირი ჩვენს სამოქალაქო სამშობლოდ, ვისი სიხარულიცა და წარმატებებიც – ჩვენი სიხარული და წარმატებებიცაა, ხოლო წარუმატებლობები – ჩვენი წარუმატებლობაცაა. ყოველი დარტყმა მიმართული საბჭოეთის წინააღმდეგ, იქნება ეს ომი, ბოიკოტი, საზოგადოებრივი მღელვარება, მკვლელობა, მსგავსი იმისა რაც მოხდა ვარშავაში, აღიქმება ჩვენი მხრიდან, ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ დარტყმად"....

საბჭოთა მთავრობის წარმატება ჩვენი წარმატებაცაა – საინტერესოა ახსოვს თუ არა კაცობრიობას ქრისტიანების მიმართ უფრო წარმატებული დევნა, ვიდრე ეს ოცდაათიანი წლების საბჭოეთში იყო". (85). ამ მოწოდებით მან სინამდვილეში რუსული ეკლესია სახელმწიფოს ქვეშერდომი გახადა და შეიქმნა „საბჭოთა ეკლესია" – მოსკოვის საპატრიარქო. ამ დროიდან დაწყებული, თანდათან მოსკოვის საპატრიარქოს ყველა ეპისკოპოსი ემორჩილებოდა სახელმწიფოს უშიშროებას და ყველა ის პიროვნემა, ვინც წარდგენილი იყო ეპისკოპოსობაზე, ვალდებული იყო სახელმწიფო

უშიშროების ორგანოებისათვის მიეცა ხელწერილი რომელიც ავალდებულებდა მას საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და ამავე დროს ერთგული ყოფილიყო მისი. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ მიტროპოლიტი სერგი იძულებული გახადეს, რომ ასე მოქცეულიყო, რომ გადაერჩინა სამღვდელოება.

მანამადე-კი, 1922 წელს რუსეთში დაიწყო ბოლშევიკების მიერ, სამღვდელოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლები. ვითომდა დამშეული ხალხი, რომ გამოეკვებათ, ეკლესიებს თუ რაიმე ფასეულობა ებადათ დაიწყეს ჩამორთმევა, ამან კი გამოიწვია მორწმუნეებსა და ეგრეთ წოდებულ „შიმშილის დახმარების რაზმეულებს" შორის დაპირისპირება და სისხლიანი შეხლა-შემოხლა.

მკვლევარი გერდტ შტრიკკერი წერს, რომ: „1922 წლის 19. 3. მკაცრად დაცულ საიდუმლო წერილში ლენინი მოლოტოვს წერდა: „რაც უფრო მეტი რაოდენობით მოვახერხებთ რეაქციული ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელთა ჩვენ ამ საბაბით დახვრეტას, მით უფრო უმჯობესია. საჭიროა სწორედ ეხლა მორჯულება ამ საზოგადოებისა ისე, რომ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში არ შეეძლოთ ფიქრიც კი წინააღმდეგობის განევისა". (105, წიგნი I, გვ.156).

ლენინის მოწოდება მაშინდელმა ხელისუფლებამ აიტაცა და რუსეთში ჩატარდა სამღვდელოების წინააღმდეგ საშინელი რეპრესიები. ამავე წელსვე დაიწყო საეკლესიო მოძრაობა, რომელიც ისტორიაში „განმაახლებელთა" სახელწოდებითაა ცნობილი.

ს. ვარდოსანიძის თქმით: „საბჭოთა მთავრობის რელიგიისადმი დამოკიდებულება გულახდილად გამოხატა ი. სტალინმა ამერიკელ მუშათა დელეგაციის წევრებთან შეხვედრაზე, „პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიური ცრურწმენათა გამტარებლების მიმართ, – აღნიშნა მან – რეაქციული სამღვდელოება, რომელიც წამლავს მშრომელი მასების შეგნებას დავთრგუნეთ თუ არა რექციული სამღვდელოება? დიახ, დავთრგუნეთ, ოღონდ უბედურება ის არის, რომ ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოსპობილი. ანტირელიგიური პროპაგანდა არის ის საშუალება, რომელშიც ბოლომდე უნდა მიიყვანოს რეაქციული სამღვდელოების ლიკვიდაციის საქმე". რეაქციულ სამღვდელოებაში ის სასულიერო პირები იგულისხმებოდნენ, რომელნიც არ სცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. დაიწყო ახალი დევნაშევიწროება, გადასახლებები და ფიზიკური ლიკვიდაცია". (45, გვ.150).

ხოლო რაც რუსეთში ხდებოდა, ის ვრცელდებოდა და კანონი იყო მთელ საბჭოთა კავშირისათვის; და რა თქმა უნდა, ამას, ვერც საქართველოს საპატრიარქოც გადაურჩებოდა. ამიტომ იყო, რომ 1927 წლის ივლისში, ახლად არჩეული კათალიკოსი ქრისტეფორე III-ემ (1873–1932) ეტყობა, რომ იძულებული იყო, ამავე თვის ბოლოს გამოეცა, რუსული დეკლარაციის მსგავსი მოწოდება, სადაც ურჩევდა მორწმუნეებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყოფილიყვნენ მორჩილნი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს გასაბჭოებისთანავე, ბოლშევიკებმა საქართველოში ეკლესია კანონგარეშე გამოაცხადეს და სამღვდელოებაც ორ ნაწილად გაჰყვეს: „რეაქციულ სამღვდელოებად" და „პროგრესულ ნაწილად". „რეაქციულ სამღვდელოებას" მიაკუთვნეს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია და მთელი საკათალიკოსო საბჭოს შემადგენლობა, ხოლო „პროგრესულ სამღვდელოებას" წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას აღიარებდნენ და მრევლს მორჩილებისკენ მოუწოდებდნენ.

„ცნობილია, რომ ოკუპაციის შემდეგ ქართული ეკლესია, პატრიარქი ამბროსი ხელაიას თაოსნობით დაუპირისპირდა კომუნისტურ რეჟიმს. ყოველგვარი გადაუჭარბების გარეშე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში ღირსეული ფურცლები თუ არსებობს, ისინი დაკავშირებულია ამბროსი ხელაიას სახელთან. მიუხედავად მის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებისა, ის ვერ გატეხეს. მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს პატრიარქის მიმართ განხორციელებულ ტერორში საბჭოთა ხელისუფლება არ იყო მარტო. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში წარმოიშვა ახალი მოძრაობა, რომელიც ე. წ. განახლების და რეფორმატორების სახელითაა ცნობილი და რომლის ლიდერები, გაგიკვირდებათ და, სწორედ ქუთათელ-გაენეთელი ეპისკოპოსი, შემდგომში მიტროპოლიტი დავით კაჭახიძე და ურბნელი ეპისკოპოსი, 1922–1925 წ.წ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობის შემსრულებელი, 1927–1932

ნ.ნ. საქართველოს პატრიარქი ქრისტეფორე III, ქრისტეფორე ციცქიშვილი იყვნენ. მოძრაობის სულისკვეთების მთავარი ნიშანი იყო თანამშრომლობა კომუნისტურ რეჟიმთან და შესაბამისად შეურიგებელ სასულიერო პირთა დევნა იყო". (85).

ს. ვარდოსანიძე აღნიშნავს: „პროგრესულ ნაწილში" შემავალი სასულიერო პირები: კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე ციცქიშვილი, ქუთათელი ეპისკოპოსი, შემდეგ მიტროპოლიტი დავით კაჭახიძე. ესენი აცხადებდნენ: „მოძველდა ის დოგმები, ის მართვის სტილი, რაც საუკუნეების მანძილზე ჩვენს ხალხს დღემდე ასე შეუბღალავად მოუტანია". „განახლების და რეფორმის ჯგუფის" წარმომადგენლები ამბობდნენ, ეს ყველაფერი უნდა შევცვალოთო". (83). მისივე გადმოცემით, „საკათალიკოსო საბჭოს რეპრესიებს გადარჩენილმა ნაწილმა ეპისკოპოს ქრისტეფორეს ხელმძღვანელობით 1924 წლის 20 ოქტომბერს მიმართა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, წერილში პირველად ოფიციალურად დაფიქსირდა, რომ საქართველოს ეკლესია აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, მის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ და ეროვნულ აღორძინებაში". (45, გვ. 94)

ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ქრისტეფორეს სახელით საბჭოთა ხელისუფლებას მიმართა განცხადებით: „ვაცხადებთ, რომ ვართ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქენი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები, რომელნიც ვაღიარებთ მუშურ-გლეხურ კომინისტურ ხელისუფლებას, ვემორჩილებით მას, არ ვანარმოებთ მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას". (45, გვ.105).

1927 წლის 28 თებერვალს ქრისტეფორე III-ემ ხელისუფლებას შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

„მივესალმები სრულიად საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას და ვუსურვებ მას ნაყოფიერ მოქმედებას ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ წარმატებაში იმ ზომამდე, რომ არსებული დიდი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებისა უფრო განმტკიცებულიყოს და თავის შემოქმედებითს მუშაობით, ერთა შორის სამართლიანობის დამყარებით, კიდევ უფრო მეტი მიმზიდველი ყოფილიყოს კავშირის გარეშე მყოფ ერთათვის". (85).

„1927 წლის 21–27 ივნისში, მე-4 საეკლესიო კრებამ დაგმო საბჭოთა ხელისუფლებასთან კონფრონტაციის კურსი და განაცხადა, რომ იგი აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებას". (45, გვ.141) ს. ვარდოსანიძე ქრისტეფორე ციცქიშვილის შესახებ წერს, რომ თუ ადრე, ქრისტეფორე ციცქიშვილის „აზრით სოციალიზმი შესაძლოა მართლაც წარმოადგენდეს დიდ მოძღვრებას, მაგრამ მისი საქართველოში გავრცელებისათვის არავითარი პირობები არ არსებობდა. სამწუხაროდ ქრისტეფორე ციცქიშვილი ბოლომდე ვერ დარჩა თავისი პრინციპების ერთგული და ქვეყანაში „სოციალიზმის მშენებლობის" პირობებში აქტიურად დაუჭირა მხარი ბოლშევიკებს და ქართველი სამღვდელოების ის ნაწილი ვინც ბოლშევიკური ბოდვითი იდეები არ გაიზიარა ისტორიიდან გარიყულად გამოაცხადა". (45, გვ.233).

მისივე თქმით: „მიტროპოლიტი დავით კაჭახიძე კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-თან ერთად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ე. წ. „განახლებისა და რეფორმების" მომხრეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ. ისინი მზად იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ინტერესებისათვის უარი ეთქვათ მრავალსაუკუნოვან მართლმადიდებლურ დოგმებზე და ქრისტიანულ ტრადიციებზე. რა თქმა უნდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარი იმხანად შეუძლებელი იყო, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მომხდარი დაპირისპირებანი მკვეთრად უარყოფითად უნდა შეფასდეს". (45, გვ.152).

„იმ დღიდან როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსი გამოაცხადა, საზღვარგარეთის ქართველობამ ევქრისტული კავშირი გაწყვიტა საქართველოს ეკლესიასთან". (45, გვ.153)).

ცნობილია ქრისტეფორეს გამონათქვამი კირიონ II-ზე: „ძაღლი იყო და ძაღლური სიკვდილი მოიმკო". (45, გვ.138).

ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) გარდაიცვალა 1932 წელს. დაკრძალულია სიონის ტაძარში. მას გამოქვეყნებული აქვს ისტორიული და ლიტერატურული წერილები და გამოკვლევები.

ს. ვარდოსანიძე მიტროპოლიტ დავითის შესახებ წერს, რომ მას, 1928 წლის 11 იანვარს დაუწერია: „ერთ დროს იქნება ვინმემ დაიწყოს ქექვა სინოდის საქმეებში და გადაფურცლოს ჩემი ნაწერებიც და ვიქნე მის თვალში გაშავებული". როგორც ჩანს მას სერიოზულად აწუხებდა ფიქრი როგორ შეაფასებდა ისტორია მის საქმიანობას, და ეს არც იყო გასაკვირი. XX საუკუნის I ნახევრის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენა შეუძლებელია მიტროპოლიტ დავითის (კაჭახიძე) პიროვნების პირუთვნელად შეფასების გარეშე". (45, გვ.128).

„გვიმძიმს ამისი თქმა, მაგრამ მოგვიტოვოს მისმა სულმა. ფრიად სამწუხარო იყო, რომ მან სერიოზული შეცდომები დაუშვა... მისი საქმიანობის დაწვრილებით აღნუსხვა და გამომზიურობა ერთ მიზანს ემსახურება, ვისწავლოთ წარსულით მომავლის წინასწარმეტყველება, არასოდეს გავიმეოროთ წინაპართა შეცდომები და შევძლოთ ვიწრო პიროვნულ ამბიციებზე ამაღლება, პირნათლად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს და მშობელ ეკლესიას". (45, გვ.140).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1927 წლის ოქტომბერში, აფხაზეთის ეპარქიაში გაამწესეს ეფრემი (სიდამონიძე). აფხაზეთში მან დაპყო მცირე ხანს.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1960–1972) წლებში ეფრემ II-ემ (გრიგოლ სიდამონიძე) (1896–1972), 1918 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1923 წელს თბილისის სახელმინო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1922 წელს აღიკვეცა ბერად. 1927 წელს იგი **ნიკორწმინდის** ეპისკოპოსი გახდა. აქედან იგი აფხაზეთის ეპარქიაში გადავიდა. აფხაზეთის ეპარქიის შემდეგ ეფრემი, **შიომღვიმის** მონასტერში იმყოფებოდა ზედამხედველად. მაგრამ მალე მონასტერი ხელისუფლებამ დახურა. მღვდელთა უმრავლესობა აღმოჩნდა საპატიმროებში და გადასახლებაში. ეფრემიც განიცდიდა შევინროებას. მას საერთოდ აუკრძალეს ეკლესიაში მოღვაწეობა და წირვაც. 1937 წლის 10 დეკემბერს ეფრემი, როგორც ხელისუფლებისათვის მიუღებელი პირი და ხალხის მტერი დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში, სადაც მან გადაიტანა ყოველი ის დამცირებები და წამება, რომელიც-კი მოქმედებდა ციმბირის ბანაკებში. „მეუფეს გადასახლებაში იმდენად მძიმე ცხოვრება ჰქონდა, ისე შიმშილობდა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაღად დაეტყო ჯამრთელობას – გათავისუფლების შემდეგ კარგა ხანს პურის მიღებაც კი აღარ შეეძლო". (99). II მსოფლიო ომის დროს, 1944 წელს გაანთავისუფლეს და იგი საშინელ მდგომარეობაში მყოფი, ნოვოსიბირსკის ეპისკოპოსმა ვარფოლომემ (გოროდცევი) (1866–1956) შეიკედლა და უმკურნალა. (1932–1952) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის დახმარებით, იგი სამშობლოში ჩამოვიდა და მას ჩააბარეს **ქუთაისის-გელათის** კათედრა. 1946 წელს მიტროპოლიტი გახდა და განაგებდა იმერეთის ეპარქიას. ხოლო (1952–1960) წლებში – **ბათუმშემოქმედისა** და **ჭყონდიდის** ეპარქიას. 1960 წელს იგი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს, ეფრემ II-ის სახელწოდებით. 1960 წელს, მთავრობისა და ზოგიერთი სამღვდელო პირის მოთხოვნითა და ზეწოლით, ეფრემ II იძულებული გახდა, რომ საქართველოს ეკლესია მსოფლიო ეკლესიის საბჭოში გაწევრიანებულიყო. მხოლოდ 1997 წლიდან შეძლო საქართველოს ეკლესიას დაეტოვებინა ეს საბჭო.

(1953–1964) სკკპ ცკ-ის პირველი მდივანი და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა ხრუშჩოვის (1894–1971) დროს, კიდევ ერთხელ, ანტირელიგიური ბრძოლა განახლდა. მან საჯაროდ განაცხადა: „უკანასკნელ მღვდელს ეკრანიდან გაჩვენებთ, ის იქნება ბოლო სასულიერო პირი ჩვენს ცხოვრებაშიო. ისიც დასძინა, წინასწარ ვიცი ან ქართველი, ან უკრაინელი იქნება ის მღვდელიო". (100). „1963 წელს, ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, როცა რუსეთში ხუთი სემინარია, მრავალი ტაძარი და მონასტერი დაიხურა, უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემ II საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა მოახერხა, რომელსაც, მეტი სიფრთხილისათვის, „საღვთისმეტყველო კურსები" დაარქვეს. სწორედ ამ „საღვთისმეტყველო კურსების პირველ დირექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი ილია". (86). სადაც 2 წლის მანძილზე, მხოლოდ ღვთისმსახურთა მოსამზადებელი კურსები არსებობდა. გ. შტრიკკერი სსრკ-ის დროინდელ ეკლესიის შესახებ წერს:

„რა თქმა უნდა, სტალინის დროს არ შეიძლებოდა ლაპარაკი „თავისუფალ" ეკლესიაზე და თავისუფალ სარწმუნეობაზე. 1943 წელს შექმნილ ზედამხედველობით დაწესებულებას РПЦ-ს (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ა. ფ.) საქმეთა საბჭოს – მაგრათ ეჭირა ეკლესია თავის კლანჭებში.

ხრუშჩოვის დროს დევნა.

ნიკიტა ხრუშჩოვი... კომუნიზმის მშენებლობაში ხედავდა საშიშროებას სარწმუნეობის აღორძინებაში, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 80-იან წლებში. მან დაიწყო რელიგიის საწინააღმდეგოდ გადამჭრელი ზომების მიღება, ვინაიდან კომუნიზმის მშენებლობა თეორიულად განპირობებული იყო ყოველგვარი რელიგიის მოსპობით. ამას წინ უძღოდა გარდაქმნა და „მანქანების-ამუშავება" ანტირელიგიური პროპაგანდა „მეცნიერულ-ათეისტური" საქმიანობის საბაბით. გარდა ამისა, როგორც ჩანს ხრუსჩოვისათვის, მოსკოვის საპატრიარქო თავისი მომძლავრებულიმდგომარეობით, წარმოადგენდა სტალინიზმის გადმონაშთებს. ამიტომ დესტაბილინიზაციის მსვლელობისას, ის უნდა მოსპობილიყო.

ეკლესიის დევნა დაიწყო 1959 წელს. საბოლოო ანგარიშით თითქმის ეკლესიების დანესებულებების ნახევარი იყო სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული: 22 000 სამწყოსოდან 1959 წელს დარჩა დაახლოებით 12 000, მაგრამ ეს რიცხვიც ბრეჟნევის დროს შემცირდა 7 000-მდე." (105).

ეფრემ II-ის დროს საქართველოშიც, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, „იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, აკადემიები, სემინარიები. რეგიონებში თითო ან ორი ტაძარი მოქმედებდა. თბილისში ასეთი იყო წმინდა ბარბარეს ტაძარი, დიდუბის ღვთისმშობლის, ალექსანდრე ნეველი, ქაშვეთის, სიონისა და მთაწმინდის ტაძრები (სულ 7 ტაძარი), ერთ-ერთი უნდა დაეხურა საბჭოთა მთავრობას. არჩევანი მთაწმინდაზე შეაჩერეს. ადრე მამა დავითის ტაძარი არასოდეს დახურულა. მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატმა პირდაპირ მოსთხოვა უწმინდეს ეფრემს მისი დახურვა." ეფრემ II-ემ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს პირდაპირ განუცხადა: „თუ მთაწმინდის ტაძარს დახურავთ, აიღეთ და მეც თავი მომკვეთეთ, თუ თქვენ არ მომკვეთთ, თავს თავად მოვიკლავ და მთელი მსოფლიო გაიგებს, რატომ მოვიკალი თავიო.

დაიბნენ. შეეშინდათ, უწმინდეს ეფრემს მართლა არ შეესრულებინა დანაპირები. კი გამოცხადდა, მთაწმინდის ტაძარი დაიხურაო, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეჩერებულა წირვა-ლოცვა. ასე გადარჩა ერი კიდევ ერთ განსაცდელს.

ცნობილია ასეთი ფაქტიც, სომხეთის პატრიარქი ვაზგენი სოხუმში ყიდულობდა მიწებს სომხებისათვის. უწმინდესმა ეფრემმა წერილი მისწერა: – ძალიან კარგია, რომ ზრუნავ სომხებზე, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა მათთვის მიწები სომხეთში გამოგეყოთ, იქ ხომ ბევრი დაუსახლებელი ადგილიაო. ერთ კვირაში დაიბარეს რწმუნებულის აპარატში და მკაცრად უთხრეს: შენ ვინ გეკითხება, ვინ ვის სად უყიდის მიწასო(?!).

აფხაზეთში სხვა ეროვნების ხალხის ჩასახლების პოლიტიკა კარგა ხანია დღის წესრიგში იყო. ამას აღწერდა ქართველი მოღვაწე თედო სახოკია თავის „მოგზაურობაში". შედეგი ჩვენ უკვე ვნახეთ". ეფრემს „უყვარდა თქმა: – ადამიანს ორი ყური იმიტომ აქვს, ერთით ისმინოს, მეორეთი – აისხლიტოსო. ყურებს შორის კი ღმერთმა ტვინი ჩაგვიდო, რომ გავარჩიოთ, რა უნდა შევუშვათ და დავიტოვოთ გონებაშიო". (100).

ეფრემ II-ეს მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იკვლევდა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას. დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

1927 წელს ეფრემის შემდეგ, აფხაზეთის ეპარქიას მართავდა მელქისედეკი.

მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ III (მიხეილ ფხალაძე) (1872–1960), (1952–1960) წლებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარი ეპისკოპოსი იყო. მან 1900 წელს დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. მასწავლებლობდა (1900–1915) წლებში ქუთაისის და რუსეთის სასულიერო სემინარიებში. მღვდელ-ზედამხედველად იმყოფებოდა (1909–1915) წლებში ტივროვის, ხოლო (1917–1920) წლებში გორის სასულიერო სასწავლებლებში. (1922–24) წლებში მღვდლად იმყოფებოდა თბილისის **სიონისა** და სხვადასხვა ეკლესიებში. (1924–1927) წლებში **ანჩისხატისა** და **ალავერდში** იყო ეპისკოპოსად. ხოლო (1927–1928) წლებში – ცხუმის (სოხუმის) მთავარეპისკოპოსი. (1928–1935) წლებში მოღვაწეობდა წინამძღვრად თბილისში, **ფერისცვალების** ეკლესიაში. აქედან იგი ისევ გადავიდა აფხაზეთში და (1935–1938) წლებში – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის

მოვალეობას ასრულებდა. შემდეგ ისევ დაბრუნდა თბილისში და (1944–1952) წლებში იმყოფებოდა **დილმის** ეკლესიის წინამძღვრად.

როგორც გადმოგვცემენ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ყოფნის დროს, მელქისედეკ III-ის წინააღმდეგ მოქმედებდა მღვდლების ჯგუფი, მაგრამ მან ზოგიერთი მოწინააღმდეგე მღვდლები დაითხოვა, ხოლო დანარჩენმა თვითონ დატოვა სამღვდელოება. მისი მოღვაწეობიდან ჩანს, რომ იგი, გარეგნულად, მთავრობას ემხრობოდა. მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა სამშვიდობო კონფერენციებზე, სადაც გამოდიოდა სიტყვით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ, ბოლშევიკები მიმართავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ სასტიკ რეპრესიებს. არ ინდობდნენ არც ხალხს, არც ეკლესია-მონასტრებს და არც წმინდანებს. ს. ვარდოსანიძე გადმოგვცემს, რომ: „იმაზე მეტი ვანდალიზმი რა უნდა ყოფილიყო, როდესაც ქუთაისში 20-იან წლებში მოაწყვეს წმინდანების დავითისა და კონსტანტინე მხეიძეების სასამართლო პროცესი, რომელთა ნეშტები ამოიღეს მოწამეთადან და ორი კვირის განმავლობაში დაჰყვიროდნენ: თუ წმინდანები ხართ თავი იმართლეთო. სასამართლოს გამოატანინეს განაჩენი, რომ ისინი უნდა გადაეყარათ ადიდებულ რიონში, მაგრამ პეტრე ჭაბუკიანმა (იმ დროს ქუთაისის მუზეუმის დირექტორი იყო. ა. ფ.), როგორღაც მოახერხა და დაარწმუნა ეს გიჟები, რადგან ესენი მერვე საუკუნის დროინდელი ქართველი მიცვალებულების ნეშტებია, ასე შევინახავ მუზეუმშიო. მხოლოდ 1956 წელს კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის დროს მოხერხდა მათი დაბრუნება მოწამეთაში“. (84).

მელქისედეკი დასაფლავებულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

1943 წელს რუსეთის ეკლესიას გამოეყო ქართული ეკლესია. ქართულმა ეკლესიამ ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც აღიარა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან ურთიერთ კავშირი. ამის შემდეგ, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას მართავდნენ:

1. ანტონი (გიგინეიშვილი) მიტროპოლიტი (1952–1956);
2. ლეონიდე (ჟვანია); ეპისკოპოსი (1957–1064);
3. რომანოზი (პეტრიაშვილი) ეპისკოპოსი (1965–1967);
4. ილია (შიოლაშვილი) მიტროპოლიტი (1967–1977);
5. ნიკოლოზი (მახარაძე) მთავარეპისკოპოსი (1978–1981);
6. დავითი (ჭკადუა) მიტროპოლიტი (1981–1992);
7. დანიელი (დათუაშვილი). მიტროპოლიტი 1992 წელს.

რომანოზის შემდეგ, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი ილია, 1977 წელს არჩეულ იქნა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II (ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი) 1956 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია. 1959 წელს ბერად აღიკვეცა თბილისში და ამავე წლიდან გახდა იეროდიაკონი და მღვდელმონაზონი ზაგორსკის მონასტერში. 1960 წელს დაამთავრა სასულიერო აკადემია. ამავე წელს გახდა ილუმენი. ხოლო 1963 წლიდან – **შემოქმედის** ეპისკოპოსი და (1972–1977) წლებში სრულიად საქართველის კათალიკოს-პატრიარქის დავით V-ეს (ხარიტონ დევდარიანი) (1905–1977) ქორეპისკოპოსი. 1967 წლიდან გახდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, ხოლო 1969 წლიდან – მიტროპოლიტი. (1963–1972) წლებში ხელმძღვანელობდა მცხეთის სასულიერო სემინარიას, როგორც რექტორი. 1960 წელს ღვთის მეტყველების ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია. 1979 წელს აირჩიეს მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად. მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიოს მშვიდობის დაცვის კრებებში (ფორუმებში).

1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები იყვნენ:

1. წმ. კირიონ II (საძაგლიშვილი) (1917–1918);
2. ლეონიდე (ოქროპირიძე) (1918–1921);
3. წმ. ამბროსი (ხელაია) (1921–1927);
4. ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) (1927–1932);

5. კალისტრატე (ცინცაძე) (1932–1952);
6. მელქისედეკ III (ფხალაძე) (1952–1960);
7. ეფრემ II (სიდამონიძე) (1960–1972);
8. დავით V (დევდარიანი) (1972–1977);
9. ილია II (ლუდუშაურ-შიოლაშვილი) (1977–დღემდე).

კალისტრატე (ცინცაძე) (1866–1952) საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და მკვლევარი, 1893 წელს მღვდლად ეკურთხა. 1909 წელს გახდა დეკანოზი. 1925 წელს – მიტროპოლიტი. 1932 წელს აირჩიეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. ამავე წელსვე – **ნიკორწმინდის** ეპისკოპოსად. ხოლო 1927 წელს – **მანგლისის** ეპისკოპოსად. იგი იბრძოდა საქართველოს ავტოკეფალიის აღსადგენად. აქვს ისტორიული და ლიტერატურული ნაშრომები.

ისტორიკოსი დურმიშხან ცინცაძე წერს, რომ „როგორც ცნობილია, 1945 წელს გარდაიცვალა მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი (1925–1945). დღის წესრიგში დადგა ახალი პატრიარქის კურთხევა. რუსეთის სინოდმა ასეთ კანდიდატად შეარჩია ალექსი I. დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის მიერ და სად მოხდებოდა ახალი პატრიარქის ტახტზე აყვანის ცერემონია. ამ დროს მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. საბჭოთა კავშირის მთავრობას ბევრ ქვეყანასთან არ ჰქონდა მოგვარებული საქმე სათანადო დონეზე. ამის გამო ალექსი I-ის ინტრონიზაცია საზღვარგარეთ, რომელიმე მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის მიერ კატეგორიულად გამოირიცხა. როგორც ისტორიული ჩანანერებიდან და გადმოცემიდან ჩანს, ასეთ სანდო პიროვნებად რუსეთის სინოდმა მიიჩნია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. მაშინ საბჭოთა კავშირში კი არა, მთელ მსოფლიოში სტალინის ავტორიტეტი განუზომელი იყო. ამიტომ მე ვთვლი, რომ ეს იდეა იოსებ სტალინს ეკუთვნის. იოსებ სტალინი და კალისტრატე ცინცაძე ერთმანეთს კარგად იცნობდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროიდან. მათი ურთიერთობა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. დიდი სამამულო ომის დროს ქართულმა ეკლესიამ საკმაოდ ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა სახელმწიფოს. სამაგიეროდ, ომის დამთავრების შემდეგ იოსებ სტალინმა კალისტრატე ცინცაძეს საჩუქრად გამოუგზავნა ძვირფასი ავტომანქანა „ზიმ“-ი“. (87).

მისი განცხადებიდან ჩანს, თუ როგორ აფასებდა კალისტრატე საბჭოთა წყობილებას:

„რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას ის სარწმუნეობის საკითხში არ ერევა, ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება“. (45, გვ.193).

საარქივო მასალებში დაცულია კალისტრატე ცინცაძის მიერ სტალინისადმი გაგზავნილი ხოტბით აღსავსე წერილები. 1939 წელს, სტალინის დაბადების დღესთან დაკავშირებით, მისალოც წერილში იგი წერს: „თქვენ სიჭაბუკითგანვე არა ცანით ძილი თვალთა, რული წამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ცრემლითა მოსასპობად. ამისათვის მადლიერმა ერმა დაგსვათ ძლიერთა შორის და შეგმოსათ დაუჭკნობელი დიდებით“. (45, გვ.186).

მას შემდეგ, რაც სტალინი ცკ-ის გენერალურ მდივნად აირჩიეს და იგი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს მმართველი (1922–1953) წლებში, საბჭოთა კავშირში, როგორც სამოქალაქო, ასევე სამღვდელოებაც სტალინზე წერდნენ და მიმართავდნენ აღფრთოვანებული სიტყვებით. 1946 წლის №1 ჟურნალ „მოსკოვის საპატრიარქო“-ში ეწერა:

„ადამიანის იდეალია – სტალინი... მღვდელმსახურები ლოცავენ თავის მრევლს მიაშურონ ტაძრებიდან, რომ მისცენ თავისი ხმები კომუნისტ ბლოკებსა და უპარტიო კანდიდატებს, რადგან ეკლესიის მსახურნი და მათი ყველა წევრები განუყოფელნი არიან თავიანთ ხალხთან... სსრკ-აში სახკომსაბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო განასახიერებს ჩვენს ქვეყანაში ურთიერთდამოკიდებულებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ამაზე უკეთესი, უფრო შესაბამისი დამოკიდებულება სულიერი და ქრისტიანული აზრისა არ არსებობს დედამიწაზე და არც შეიძლება რომ იყოს.“

ს. რატიანი წერს, რომ 1948 წლის ივლისს, კალისტრატეც მიმართავდა „მაშვრალთა წინამძღვარს“:

„კაცთა შორის რჩეულო! ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება, ალბათ ამისი ღირსი არ ვარ. მიიღეთ ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა, მშობელი ეკლესიის საბჭოთა კავშირში არსებულ სარწმუნოებრივ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი მამაშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგართვათ წინაპართა მიერ შექმნილი და ნაანდერძევი ქართული კულა ნარწერით: იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს, მადლობით გულსავსე საქართველოს მართლმადიდებელთა მწყემსის კალისტრატე კათალიკოზ-პატრიარქისაგან". (85). გასაოცარია, მადლობას უხდიან „ხალხის სიამაყე"-ს, „იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს" – სტალინს – ბოროტმოქმედს, კაცობრიობის წინაშე დამნაშავეს, რომლის საბჭოთა კავშირის მმართველობის დროს, გაიჟლიტა მილიონობით ხალხი და მათ შორის ათასობით საქართველოს მოქალაქეები. საარქივო მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ:

„1937 წლის 25 ივლისს ეჟოვმა მოაწერა ხელი № 00439 ბრძანებას, რომლის თანახმადაც დააპატიმრეს და გაასამართლეს 30 608 გერმანელი მოქალაქე და პოლიტიკური ემიგრანტი, მათგან **24 858 ადამიანი დახვრიტეს**.

1937 წლის 11 აგვისტოს ეჟოვმა მოაწერა ხელი № 00485 ბრძანებას, რომელიც ავალებდა შესაბამის ორგანოს 20 აგვისტოს დაეწყო პოლონური ორგანიზაციების სრული ლიკვიდაციის ოპერაცია. ამ ბრძანების შედეგად დააპატიმრეს და გაასამართლეს 103 489 ადამიანი, მათგან **84 471 ადამიანს დახვრეტა მიესაჯა**.....

1937 წლის 14 დეკემბერი – შსსკ-ის დირექტივა ესტონელების, ლიტველების, ფინელებისა და ბულგარელების მიმართ რეპრესიების გატარების შესახებ. ესტონური მიმართულებით დააპატიმრეს და გაასამართლეს 9 735 ადამიანი, ამათგან 7 998 დახვრიტეს. ფინეთის მიმართულებით დააპატიმრეს და გაასამართლეს 11 066 ადამიანი, მათგან **9 078 დახვრიტეს**.....

1937 წელს სიკვდილი მიესაჯა 353 074 ადამიანს. 1938 წელს 328 618. 1939 – 2 601. რიჩარდ პაიპსის ვერსიით შსსკ-მ 1937 – 39 წლებში დააკავა 1, 5 მილიონი ადამიანი, საიდანაც 700 ათასი დაიხვრიტა. **ანუ საშუალოდ ამ წლებში ხვრეტდნენ დღეში 1 000 ადამიანს**....

საქართველოდან გაასახლეს – **თურქი მესხები, ქურთები, მაჰმადიანი სომხები, ბერძნები და სხვები** (1944 წ.) – 204 698 ადამიანი.

ირანელები (1950 წ.) – 4 707 ადამიანი.

მოლდოვეთიდან, ბალტიისპირეთიდან (1940–1941 წწ.), საქართველოდან (1951–1952 წწ.) გაასახლეს გლეხები (ეგრეთ წოდებული კულაკები) – 35 879 ადამიანი.

დასავლეთ უკრაინიდან და ბელორუსიიდან – **გერმანელები** – 4 834 ადამიანი.

ჩრდილო კავკასიიდან გაასახლეს **ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები და სხვები** (1943–1944 წწ.) – 498 452 ადამიანი, **ყაბარდოელები** – 1 717 ადამიანი.

ჩეჩნეთში, მარტო მაღალმთიან აულ ჰაიბაღში 750 ადამიანი ცოცხლად დაწვეს.

კრასნოდარის მხარედან და როსტოვის ოლქიდან გაასახლეს **ყირიმელი თათრები, ბერძნები, რუმინელები და სხვაბი** (1942 წ.) – 5 592 ადამიანი....

სომხეთიდან – **აზერბაიჯანელები** – 100 000 მეტი ადამიანი

უკრაინიდან უკრაინელი ნაციონალისტები ოუნელები (1944–1952 წწ.) – 175 063 ადამიანი. (85). და სხვა. რა თქმა უნდა, ეს მცირე ჩამონათვალია რაც ხდებოდა იმ დროს მთელს საბჭოთა კავშირში. თუმცა, არ არის გასაკვირი მღვდელ-მსახურთა ასეთი ქცევა სტალინის დროს. ვინაიდან ეს იყო თავის გადარჩენის ერთადერთი გზა. ხოლო, ვინც უნევდა წინააღმდეგობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი განადგურებულნი იქმნენ. იმ დროს, მთელ საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც, სტალინი იყო გაღმერთებული და რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ გაბედავდა, ხელისუფლებისა და მით უმეტეს მის წინააღმდეგ რაიმეს თქმას. გ, შტრიკკერი აღნიშნავს:

„ეკლესიის მორჩილი დამოკიდებულება სტალინის მიმართ კარგად ჩანს 1945 წელს მასთან შეხვედრისას ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლების ანგარიშში:

„ჩვენ ვიყავით მიწვეულნი მისაღებ დარბაზში და როგორც კი დავინახეთ იოსებ ბესარიონის ძე, უბრალო და გულწრფელი მოღიმარი სახით მიგებებისას, როგორც პირველი მიღებისას ჩვენს დიდ ბელადთან, მაშინვე ვიგრძენით ჩვენ ამ მიმზიდველი ძალისა და უბრალო თბილი თავაზიანი მიმართვისას, რომლის იქით იმალება ნამდვილი სიდიადის მქონე ეს გარეგანი უბრალოება... დიდი ბედნიერებაა დანახვა პირისპირ მისი, რომლის ერთი სახელიც კი სიყვარულით და მოკრძალებულად წარმოითქმება არა თუ ყველა ჩვენს ქვეყნის კუთხეში, არამედ ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებში... საუბარი იყო სრულიად ბუნებრივი როგორც მამა შვილებთან... ეს შეხვედრა, ეს საუბარი, რა თქმა უნდა დაუვიწყარია. ისინი გვშთაგონებს ნებისმიერ გარჯასა და მსხვერპლზე ჩვენი ხალხისათვის, მით უმეტეს ჩვენი სამშობლოსათვის რომლის სათავეში დგას, რომელიც ჭედავს ბედნიერებას, რომლის დიდებას მაღლა სწევს მთელ ქვეყნიერებაზე ჩვენი მშობელი, ჩვენი დიდი სტალინი." (მოხ. 144). (105).

ცნობილია, რომ ნ. ხრუშჩოვის დროს, 1956 წელს, როდესაც ეგრეთ წოდებულ „სტალინის კულტთან" დაკავშირებით, საქართველოში დაიწყო ახალგაზრდების გამოსვლები, 9 მარტს საბჭოთა კავშირის ჯარის ნაწილებმა სამხედრო ტექნიკის გამოყენებით, ეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და მიტინგი უმოწყალოდ დაარბია, რომელთა დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხვი დღემდე დაუდგენელია, ამავე დროს დაღუპულთა ოჯახის წევრებს მიცვალებულების დატირების უფლებაც კი არ მისცეს. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა ნ. ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, ქართველი ხალხის დასჯა და რუსეთის იმპერია ამოქმედდა საქართველოს წინააღმდეგ, მოინდომა საქართველოს დაქსაქსვა და დანაწევრება, ქართველების აყრა და გადასახლება. გაიხსენა ძველი მოწოდება „საქართველო ქართველების გარეშე".

საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი მედიცინის დარგში, (1950–1973) აფხაზეთის ასსრ-ის ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი შოთა გოგოხია (1920–2009) მოგვითხრობს, რომ: ქართველებსა და ახლანდელი ე. წ. „აფხაზების" ერთმანეთთან გადაკიდება „დიდიხნის წინ დაიწყო. სტალინის პერიოდში ხმის ამოღების ეშინოდათ და სეპარატისტული გამოვლინებები გამორიცხული იყო. ამიტომ „აფხაზები", ფორმალურად თუ არაფორმალურად, ჩვენთან ძალიან კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი ხრუშჩოვმა და სუსლოვმა მისცეს ბიძგი და სიტუაციაც აირია.

დაიწყო ნაციონალისტური მოძრაობა. მაშინ ასე ეძახდნენ სეპარატისტულ მოძრაობას. ნაციონალისტების ეს მცირე ჯგუფი იყო და იმ დროს მაგათ ყველა არ ემხრობოდა. უმეტესობა ქართველებთან მეგობრობდა და კარგი ურთიერთობა გვქონდა.... იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობდნენ". (88). მისივე გადმოცემით, ნ. ხრუშჩოვმა, მაშინდელი აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს თემურ ბღაჯბას პირადად უთხრა: „დაწერეთ განცხადება, რომ აფხაზებს საქართველოდან გამოსვლა და რუსეთის შემადგენლობაში გინდათო შესვლა". (88). მაშინ (1953–1972) საქართველოს ცკ-ის პირველი მდივნის, გენერალ-ლეიტენანტის, ვასილ მჟავანაძის (1902–1988) შემწეობით ეს ამბავი ჩაიშალა. მაგრამ, მეფის რუსეთის მიერ დაწყებული ქართველი ხალხის გარუსება და გადაგვარება, საბჭოთა კომუნისტურმა პარტიამ, საქართველოს გასაბჭოებისთანავე განაგრძო ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოქმედება და რუსეთის ხელმძღვანელობა დღემდე ცდილობს ამ გეგმის განხორციელებას.

ნ. ხრუშჩოვის დროს, მთავრობა არა ერთხელ ითხოვდა სოხუმის კათედრალური ტაძრის დახურვას, ეპისკოპოსი ლეონიდე თავგამოდებით იბრძოდა ამ მოთხოვნის წინააღმდეგ და მისი დამსახურებაა, რომ როდესაც რუსეთში მძვინვარებდა სამღვდელეობის წინააღმდეგ გამოსვლები და ტაძრების დახურვა, ფაქტიურად საქართველოს ეს არ შეხებია. მის დროს საქართველოში არც ერთი ეკლესია არ დახურულა.

რუსეთის (საბჭოთა) მთავრობის ხელშეწყობით, აფხაზეთში მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა, ეგრეთ წოდებული „აფხაზი" სეპარატისტების მიერ, ხდებოდა ქართველების წინააღმდეგ აფხაზი ხალხის ამხედრება; და რაც ადრე, მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, ის გაკეთდა ჩვენს დროს, XX საუკუნის ბოლოს, რუსეთის მესვეურთა ხელის შეწყობითა და წაქეზებით, ამ ორი

ხალხის, აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირება, რაც 1992 წელს შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა.

(1981–1992) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტ **დავით ჭკადუას** (1926–1992) დროს, აფხაზეთის ეკლესიებში ნირვა-ლოცვა მიმდინარეობდა ქართულ, ბერძნულ, აფხაზურ და საეკლესიო-სლავურ ენებზე. მისი მოღვაწეობისას აფხაზეთში გაიხსნა რამდენიმე ტაძარი. აფხაზეთში მისი მოღვაწეობისას, მღვდლად აკურთხეს აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები. 1990 წელს, დავითმა აკურთხა მღვდლად ბესარიონ აპლია, რომელიც მანამდე, 1989 წელს, დიაკვნად აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ. მანამდე, ბესარიონი იმყოფებოდა წინამძღვრად ახალ ათონში, ხოლო შემდეგ სოხუმის საკათედრო ტაძარში მსახურობდა. აფხაზეთში დავითის მოღვაწეობის დროს დაიწყო აფხაზეთში სისხლის ღვრა, რაც გამონვეული იყო „აფხაზი" სეპარატისტების მოქმედებით. 1992 წელს ქართული მოხალისეთა საჯარისო ნაწილების შესვლას სოხუმში მიესალმა მიტროპოლიტი დავითი და სამღვდელოება. დავითი მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისში.

1992 წლიდან, დავითის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს საპატრიარქომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გააგზავნა მიტროპოლიტი **დანიელი** (დავით დათუაშვილი). დანიელი 1983 წ-ეს გახდა დიაკონი, 1985 წ-ს – მღვდელი, ხოლო 1991 წ-ს ბერად აღიკვეცა. 1992 წ-ს გახდა **ბოდბელი** ეპისკოპოსი და ამავე წელსვე – მთავარეპისკოპოსი. (2000–2002) წწ-ში – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. 2002 წელს – ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი. (1997–2002) წლებში – მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარე. აფხაზეთში მომხდარი ომის დროს, იგი და მასთან მყოფი სამღვდელოება შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ქართველ მებრძოლებს. ხოლო როდესაც რუსეთის საჯარისო ნაწილებმა და სეპარატისტების დამხმარე ჩრდილოეთიდან გადმოხვენილმა ბარბაროსთა ბანდფორმირებებმა დაიკავეს სოხუმი, დანიელმა და მღვდლებმა, ლტოლვილებთან ერთად დატოვეს აფხაზეთი. თბილისში, იგი დღესაც ითვლება ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად და მონაწილეობას ღებულობს, საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოებს შორის გამართულ ყველა ღონისძიებებში.

აფხაზეთიდან დანიელის წამოსვლის შემდეგ, იქ დარჩა მხოლოდ 4 მღვდელი: 3 რუსი და აფხაზი – ბესარიონ აპლია, რომელიც აფხაზეთში ომის დროს, ავტომატით ხელში, იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. „ბესარიონ აპლია არის ის პიროვნება, რომელიც 1992–1994 წლებში სეპარატისტებს აქეზებდა და აცხადებდა, რომ გმირი იქნებოდა ის აფხაზი რომელიც ყველაზე მეტ ქართველს მოკლავდა". (89). 1993 წლის ბოლოს, ამ სამმა მღვდელმსახურმა, სოხუმის საკათედრო ტაძრისა და აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენლად დაასახელეს ბესარიონ აპლია, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთისა და სხვა ქვეყნების ეკლესიათა მართლმადიდებელთა შეხვედრებში. 1998 წელს, აფხაზეთში დარჩენილმა მღვდლებმა, ყრილობაზე, აირჩიეს ბესარიონი სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად. ბესარიონმა აღიარა და თავხედურად განაცხადა, რომ იგი, ომის დროს, „აფხაზეთში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან შეუთანხმებლად მოქმედებდა და მართლმადიდებლური კანონების თანახმად, მისთვის ღვთისმსახურების აკრძალვა შეიძლებოდა. „მაგრამ, რადგან უწმინდესმა და უნეტარესმა ეკლესიიდან არ განმკვეთა, სჩანს, კვლავაც ვუყვარვარ და ესმის, რომ კონფლიქტის პირობებში სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი". (98).

2009 წლის 15 სექტემბერს, ბესარიონმა და მასთან მყოფმა მღვდლებმა, ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

„აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის მტკიცებით, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია 1943 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარეობდა და აფხაზეთის ტერიტორია ქართულ ეკლესიას ძალადობრივად ჰქონდა მიტაცებული. აპლია აცხადებს, რომ აფხაზურმა ეკლესიამ საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფით ისტორიული სამართლიანობა აღადგინა. აპლიას თქმით, ეპარქიამ სახელიც გადაირქვა და ამჟამად მას „აფხაზური მართლმადიდებელი ეკლესია" ეწოდება". (89). აფხაზეთის ეპარქიის დამოუკიდებლობას საქართველოს ეპარქია არ სცნობს. ს. ვარდოსანიძის თქმით: „ილია მეორის შეფასებით, აფხაზეთის სასულიერო პირების გადანვეტილება არასერიოზული განცხადებაა. „ეს განცხადება ჩვენ სერიოზულად არ უნდა მივიღოთ. არავის არ აქვს უფლება გამოაცხადოს დამოუკიდებლობა დედა ეკლესიის გარეშე" – ბრძანა მისმა უწმინდესობამ". (89).

„საეკლესიო კანონიკის თვალსაზრისით, 15 მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს ერთმანეთის კანონიკურ საზღვრებს და მათ შორის რუსეთის ეკლესიაც აღიარებს საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ კანონიკურ საზღვრებს....

არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან დაწყებული, ამერიკისა და კანადის ეკლესიით დამთავრებული, აპლიას განცხადებას სერიოზულად არ აღიქვამს. ისინი თვლიან, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედის აფხაზეთი....

რუსეთის ეკლესია არც ერთ შემთხვევაში არ აღიარებს აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას, გამორიცხულია, რომ ეს ოფიციალური ფორმით გააკეთოს.... შესაძლებელია, რომ აქ რუსული ინტერესები იყოს, მაგრამ ხმამაღლა ამას ვერ გააკეთებს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მას სხვა პრობლემები შეექმნება. ვგულისხმობ უკრაინას და კიდევ სხვაგან შეიძლება წარმოიშვას მსგავსი სურვილები“. (89).

მსოფლიოში მართლმადიდებელი ეკლესიებია:

1. კონსტანტინოპოლის, 2. ანტიოქიის, 3. ალექსანდრიის, 4. იერუსალიმის, 5. საქართველოს, 6. სერბეთის, 7. რუსეთის, 8. რუმინეთის, 9. ბულგარეთის, 10. კიპრის, 11, ელადის (საბერძნეთის), 12. ალბანეთის, 13. პოლონეთის, 14. ჩეხებისა და სლოვაკიის, 15. ამერიკის.

ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნიან:

1. კანადის,
2. ალიასკის,
3. დასავლეთ ამერიკის,
4. სამხრეთ ამერიკის,
5. ჩიკაგოსა და შუადასავლეთის,
6. აღმოსავლეთ პენსილვანიის,
7. რუმინეთის,
8. ვაშინგტონისა და ნიუორკის,
9. ახალი ინგლისის ეკლესიები.

პარლამენტის წევრის, პაატა დავითაიას განცხადებით, „ბესარიონ აპლია რუსეთის სპეც სამსახურებს წარმოადგენს და მის განცხადებას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. აფხაზეთის ეპარქიას ჰყავს თავისი წინამძღოლი – მეუფე დანიელი, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს შემადგენელი ნაწილია. აპლიას განცხადება და მისი მიმართვა მსოფლიო ეკლესიისადმი, „რომ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა აღიარონ, სრული აბსურდია“. (89). რუსეთის სინოდმაც აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას მხარი არ დაუჭირა და აფხაზეთის ეპარქიის დამოუკიდებლობა ოფიციალურად არ აღიარა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბესარიონს კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთის ეკლესიის, მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლებთან. ს. ვარდოსანიძის გადმოცემით: „ბესარიონ აპლია ხშირად ჩნდება რუსეთის ეკლესიის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში და როდესაც მოსკოვის საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის ნაწილად აღიარებს აფხაზეთის ეკლესიას, საქართველოს პატრიარქის კურთხევის გარეშე, აპლია არ უნდა მიიღოს“. (89). „განა ნორმალური ადამიანი დაიჯერებს, რომ მღვდელმა ბესარიონ აპლიამ და აფხაზეთში მყოფმა სამღვდელოებამ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის ეკლესიის ნაკურთხი და გაგზავნილია, „ავტოკეფალია“ მოსკოვის მითითების გარეშე გამოაცხადეს? აფხაზეთი და ცხინვალი ოცი წელია ისევე აქვს დაპყრობილი მოსკოვის საპატრიარქოს, როგორც კრემლს....

ბესარიონ აპლიას ყოველთვის დიდი პატივით იღებენ მოსკოვში და იგი ყოველთვის რუსეთის პატრიარქთან ერთად წირავს. მოსკოვის პატრიარქმა ის წმ. სერაფიმე საროველის ორდენით დააჯილდოვა“. (90). ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში, მას საზეიმო გარემოებაში გადასცეს კაზაკთა ღირსების ორდენი და 1812 წელს დამზადებული ხმალი.

საერთოდ, რომელიმე ეკლესიის განდგომა დედა ეკლესიისაგან, თუ მღვდელთა თორმეტმა საკრებულოს წევრმა არ ცნო და მხარი არ დაუჭირა, საღვთო კანონით აკრძალულია. ასე, რომ დღევანდელ დღეისათვის აფხაზეთის თვით აღიარებული ეპარქია ისევ საქართველოს ეპარქიის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ, სინამდვილეში, რუსეთისა და აფხაზეთის ეკლესიის

ხემძღვანელები, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს არაფერს ეკითხებიან. უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, რუსეთის საპატრიარქომ აბხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკების და ეკლესიის, ჯერჯერობით, „დამოუკიდებლობა“ არ აღიარა, მაგრამ, 2010 წელს-კი, 2009 წლიდან სრულიად რუსეთის ეპარქიის და მოსკოვის პატრიარქმა და მღვდელმთავარმა კირილემ (ვლადიმერ გუნდიევი), მისალოცი წერილი გამოუგზავნა „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს“, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტების მიერ გამოცხადებულ „დამოუკიდებლობის“ დღესთან დაკავშირებით ზეიმის დროს, რაც საქართველოს საპატრიარქომ დაგმო. ცნობილია, რომ როგორც რუსეთის მთავრობა, ასევე საპატრიარქოც თავის ხალხს აგზავნის და ნიშნავს ძირითად საკვანძო ადგილებზე აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“. ასე, რომ მოსკოვის დაუკითხავად, ამ ორი მხარის „ხელმძღვანელები“ ხელსაც ვერ გაანძრევენ და ვერაფერს ვერ გადაწყვეტენ. რუსეთის ხელისუფლებისა და მოსკოვის საპატრიარქოს ქართველების მიმართ საამებელი ფარისევლური განცხადებები, რომ მას უყვარს ქართველი ხალხი და ზრუნავს მასზე, ეს აშკარად ტყუილია და ამის დაჯერება შეუძლებელია.

აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა:

„აფხაზეთი ღვიძლი ქართული მიწა-წყალია, აფხაზი ქართული ტომის სახელია. იგი ქართველი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია.....

გულისყურით დააკვირდით იმერეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს მეფეები თავის-თავს იხსენიებენ ტიტულით: „ჩვენ_ლიხთ=იმერისა_და_ლიხთ=ამერისა,_ოსეთისა,_დასავლეთისა და_ყაბარდოსა,_ჯიქეთისა_და_აფხაზეთისა,_დიდი_ოდიშისა_და_გურიისა_და_სრულიად_საქართველოს_მპყრობელ=მქონებელმან“. (თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, ტ.2, გვ.484)....ასე მარტო მეფეები არ იწოდებიან, არამედ მთავრებიც.....

რა არისე ეს? ტიტულში ჩამოთვლილი მიწა-წყლის, ქვეყნისა და მხარის მფლობელი რეალურად იმერეთის მეფე არ არის, მით უმეტეს სამეგრელოს მთავარი. ფაქტობრივ სინამდვილეს ტიტული არ ასახავს? მაშინ რატომ იხსენიებენ დიკუმენტებში ასე თავისთავს? იკვეხნიან? კი, მაგრამ ვის ატყუებენ? არც არავის ატყუებენ, ფაქტობრივი სინამდვილე კარგად იციან და არც რეალობის გრძნობა ღალატობთ. ეს ტიტული დაჟინებით იმიტომ მეორდება დოკუმენტიდან დოკუმენტში, სიგელიდან სიგელში, რომ ქართველთა ცნობიერებაში მუდამ ცოცხლობდეს, არ იქნეს დავიწყებული – რა არის საქართველო, რა ტერიტორია უჭირავს მას, რა არის ქართველ მეფეთა სამფლობელო. მთავარია ერთიანობის ცნობიერება არ მოიშალოს. თუ ერთიანობის ცნობიერება არ მოიშლება, არ მოიშლება ცოდნა იმისა, რა არის საქართველო, მაშინ მომავალში აღდგება ის, რაც დღეს დაქცეულია, ისტორიული უსამართლობის გამო. რაკი ჯერ-ჯერობით რეალურად და ფაქტობრივად არ შეუძლიათ საქართველოს ერთიანობა-მთლიანობის აღდგენა, ქართველი მეფე-მთავრები ყოველგვარად უწყობენ ხელს ერის ცნობიერებაში ამ ერთიანობა-მთლიანობის შეგნების შენარჩუნებას. ამას მტკიცედ უჭერს მხარს ეკლესია, კერძოდ ბიჭვინთა, როგორც აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია და დასავლეთ საქართველოს სულიერი ცხოვრების ცენტრი.....

ერთიანობა-მთლიანობის შეგნების რღვევა მას შემდეგ იწყება, რაც რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ და ეკლესიამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მოშალა და გააუქმა, რუსული მმართველობა დაამკვიდრა. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების დაწყებული საქმე კომუნისტურმა რეჟიმმა დაამთავრა. კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს მოწყვიტა აფხაზეთი პოლიტიკურადაც, ეთნიკურადაც და ცნობიერადაც. თუ ქართველი კაცის ცნობიერებაში არ აღსდგა შეგნება – აფხაზეთი_საქართველოს_ღვიძლი_ტერიტორიაა,_აფხაზი_ქართველია (აფსუა აფხაზი არ არის, აფხაზია ის ორასი ათასზე მეტი ქართველი, რომელიც მამა-პაპის მიწა-წყლიდან არის განდევნილი) – ჩვენ ამ ქართულ პროვინციას ვერ დავიბრუნებთ. აფხაზეთი ისევე დარჩება სამუდამოდ რუსეთის ხელში, როგორც ტაო-კლარჯეთი დარჩათ თურქებს. ამ შეგნების აღდგენაში ქართულ ეკლესიას განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია“. (20, გვ.81–83).

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ უნდა დაიწეროს თავიდან არა თუ აფხაზეთის ისტორია, არამედ მთლიანად საქართველოს ისტორიაც. უნდა გაანალიზდეს წყაროებში მოთხრობილი თვითეული მოვლენა და ისე აისახოს სრული სიმართლე, როგორც არის მოცემული ისტორიულ წყაროებში და არა ისე როგორც იწერებოდა საბჭოთა კავშირის დროს.

მეცნიერი, მწერალი და ჟურნალისტი ზურაბ რატიანი საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და აფხაზეთის ისტრიის შესახებ, წერს:

„ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყუელება არს, და არა თუალახმა ვისთვისმე“,

ეს სიტყვები ეკუთვნის XIV საუკუნის ქართველ ისტორიკოსს და ისინი მთელი ძველი ქართული ისტორიოგრაფიის არსს გამოხატავენ. დიახ, უძველესი დროიდან დაწყებული, საუკუნეების განმავლობაში, ქართული ჟამთააღმწერლების ძირითადი მიზანი ჭეშმარიტის მეტყველება – მიუკერძოებელი, მართალი ისტორიის დაწერა იყო, მაგრამ საბჭოთა იმპერიის პირობებში ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველებიდან თანდათან თუალ-ახმად-ისტორიის გაყალბებად იქცა და ბოროტების იმპერიის ყურმოჭრილი მონა გახდა. მის გამო საქართველოს ისტორიის ყველა ძირითადი საკითხი, დამუშავებული ოფიციოზის ლოცვა-კურთხევით, როგორც წესი, ქართველი ერის ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბებას ისახავდა მიზნად. მაგრამ ამ წესსაც ჰქონდა გამონაკლისი, დიდი ქართული კულტურის და, კერძოდ, ისტორიოგრაფიის მთლიანად წაბილწვა ბოლომდე მაინც ვერ შეძლო ბოროტების იმპერიამ, ოღონდ ის მეცნიერები, რომლებიც ოფიციოზის საწინააღმდეგოდ არ ღალატობდნენ ჭეშმარიტის მეტყველებას, თვითონ ხდებოდნენ ღალატის, გაუტანლობის მსხვერპლი.....

საბჭოთა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა ისტორიული სიმართლე და წამოატივტივა ყოვლად უხამსი სიყალბე – თითქოს აფშილ-აფხაზი ქართველი კი არა აფსუა იყოს, თითქოს აფსუა უხსოვარი დროიდან იყოს აფხაზეთის მკვიდრი და თითქოს აფხაზეთი საქართველოს ნაწილი კი არა, უცხო ქვეყანა იყოს.

ოფიციოზი ათეული წლების განმავლობაში თავში უჭედავდა მათ, აფსუებს ამ უსინდისო სიყალბეს და სიძულვილით აღავსებდა მათ, აფსუბისადმი კეთილგანწყობილი ქართული ერის წინააღმდეგ. რისთვის დასჭირდა ბოროტების იმპერიის ასეთი დიდი ბოროტების ჩადენა, დღეს უკვე ყველასათვის ცხადია.

წინანდელი აფხაზეთისა და მისი მიმდებარე მხარეების უძველესი ისტორიის შესწავლა ძირითადად უცხოელი ავტორების: ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, სკილაკს კარიანდელის, სტრაბონის და სხვათა ცნობების საფუძველზე ხდებოდა. მართალია ამ ავტორთა თხზულებებში არის სარწმუნო წერილობითი სარწმუნო ცნობები, დაწყებული ძვ. წ. VI საუკუნით, მაგრამ მათ მიერ მოხსენებული ტომთა სახელწოდებანი ხშირად ისეა გადასხვაფერებული ბერძნული ენის შესაბამისად, რომ ზოგჯერ ძნელდება იმ ტომთა ვინაობის გარკვევა. ეს გარემოება დაიხვიეს ხელზე „წითელმა პროფესორებმა“ და არა თუ სადავო, უდავოც სადავო გახადეს და აშკარა სიყალბე ხალხს ჭეშმარიტებად გაასაღეს. ამგვარი ბოროტმოქმედება არ მოხდებოდა მკვლევარებს, რომ კეთილსინდისიერად ესარგებლად ქართული და ჩერქეზული წყაროებით“. (91).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელ დღეს აფხაზეთში მცირე რაოდენობით შემორჩენილ აფსუა-აფხაზებს, სანამ რუსეთის იმპერიამ ისინი მთლიანად არ ჩაყლაპა, თუ მათ გადარჩენა უნდათ და წადიათ, ისევ საქართველოს უნდა დაუბრუნდნენ. მათი ხსნა მხოლოდ ქართველებთან თანაცხოვრებაა.

მ. ლორთქიფანიძე წერს: „დღეს ისინი, ვინც თავის თავს აფსუებს უწოდებენ და ვისაც ჩვენ აფხაზებს ვუწოდებთ... ქმნიან ერს, რომელსაც საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არა აქვს.

აფხაზები (აფსუები) და ქართველები დასავლეთ საქართველოს ერთნაირად მკვიდრი მოსახლეობაა, ერთნაირი უფლებებით ამ მიწაწყალზე, დამპყრობელი არც ქართველია და არც აფხაზი. ესაა დღევანდელობა. რაც ითქვა, ეს არის ისტორია. ქართველები აქ უძველესი დროიდან ცხოვრობენ, აფხაზები ან უძველესი დროიდან ან XVII საუკუნიდან, ან უძველესი დროიდანაც და XVII საუკუნიდანაც.

ამგვარად, აფხაზი არაერთმნიშვნელოვანი კრებით სახელია. აბაზგ-აფხაზიდან ის ფართოვდება დასავლელქართველის ცნებამდე (VIII ს.) დასავლელქართველიდან ზოგადად ქართველამდე (X ს.) აფხაზთა სამთავროს შექმნის შემდეგ (XVII ს.), როდესაც «აფხაზეთი» უკვე საკუთრივ აფხაზეთის სამთავროა...

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ «აფხაზეთი» ამ ავტონომიურ წარმონაქმნს ეწოდება. ხოლო «აფხაზი» მასში მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელიც თავის თავს «აფსუას» უწოდებს". (22, გვ.37).

ბაქრაძეც 1994 წელს ამბობდა:

„სამწუხაროდ ქართველმა თავისი სამშობლოს ისტორია არ იცის, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის საქართველოსი. კომუნისტური რეჟიმი კრძალავდა ამ პერიოდის შესახებ სიმართლის ლაპარაკს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, როგორი გაბედული იყო ქართული ისტორიული მეცნიერება, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველმა არ იცის მე-19 საუკუნის საქართველოს მართალი ისტორია. ამიტომ რუსეთუმე ქართველები, ზოგი შეგნებულად და ზოგი შეუგნებლად, აგრძელებენ ძველ ტრადიციას. არ იშლიან რუსეთის „დადებითი" როლის პროპაგანდას საქართველოს ისტორიაში". (20, გვ.313).

„პოლიტიკურად „კეთილშობილი" რუსეთი ქართველ რუსეთუმეების გამოგონილია". (20, გვ.315). მისივე თქმით: „ქართველთა სულიერი დაშლის ცარისტული პოლიტიკა კომუნისტებმა გააგრძელეს". (20, გვ.133).

„აფხაზეთის საკითხი მოგვარდება ან მაშინ, როცა საქართველო დამოუკიდებელი იქნება, ან მაშინ, როცა საქართველო გარუსდება". (20, გვ.45).

„საქართველოსათვის აფხაზეთის წართმევა რუსეთს XX საუკუნის დასაწყისშიაც უნდოდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის კოლონია იყო. საქართველო მთლიანად და ნაწილ-ნაწილ რუსეთს ეკუთვნოდა. თითქოს არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა წართმევისა და მაინც ართმევდა. ართმევდა იმიტომ, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აფხაზეთი ეწოდება, რუსი მოსახლეობა უნდა ცხოვრობდეს. სამხედრო თვალსაზრისით, ეს მოსახლეობა უნდა აკონტროლებდეს კავკასიას – როგორც იმიერს, ასე ამიერს". (20, გვ.321).

ჩვენ აფხაზეთის შესახებ მსჯელობას დავამთავრებთ ისევ ა. ბაქრაძის სიტყვებით:

„აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს,"
ეს კაცია, ალბათ, რუსის თემისა..."

მურმან ლებანიძე.

მოვტყუვდი, არ გამართლდა ჩემი იმედი. მართალია, იმის შიში, რომ რუსეთი აფხაზეთს წაგვართმევდა 1978 წელსაც რეალურად არსებობდა, მაგრამ თუ ქართულ მოსახლეობას გამორეკავდა პირწმინდად, ეს არ გვეგონა. 1978 წელს მეგონა, თუ რუსეთი აფხაზეთს წაგვართმევდა, ამ მიწა-წყლიდან ქართველ მოსახლეობას მაინც ვერ აყრიდა და დევნილად ვერ გადააქცევდა. ქართველი მოსახლეობა დარჩებოდა მის მამა-პაპეულ ტერიტორიაზე. მაგრამ სხვაგვარად მოხდა: რუსეთმა აფხაზეთიც წაგვართვა (ჯერჯერობით მაინც) და ქართველი მოსახლეობაც პირწმინდად აჰყარა და გამორეკა.

.....

ამჯერად საქართველო დამარცხდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი ხალხი შეეგუება ამას და არ გააგრძელებს ბრძოლას აფხაზეთის დასაბრუნებლად. ქართველი ხალხი ამ საგრობას გააგრძელებს მანამ, სანამ გამარჯვებით არ დააგვირგვინებს." (20, გვ.10).

როგორც ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა ქართველებს, რომ მტრის დამარცხებისათვის საჭირო იყო ერთად დგომა და ერთად მოქმედება, ა. ბაქრაძეც იმეორებს:

„თუ ხალხი ერთ მუშტად არის შეკრული, ყველაზე მცირერიცხოვანი ერიც კი მოახერხებს უძლიერესი მტრის დამარცხებას. მისი მაგალითი კაცობრიობის ისტორიაში რამდენიც გნებავთ იმდენია.....

ვინც დღეს პარტიულ-პოლიტიკური კინკლაობისაკენ მოუწოდებს, განხეთქილებას და შუღლს თესავს, უბრალო ბრიყვი არ არის. იგი ნებით თუ უნებლიეთ, ქვეყნის ძლიერებას უთხრის ძირს და ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ამას ომის კანონი მოითხოვს.....

თუ ჩვენ გავარგძელეთ ჩვეული ლაზღანდარობა, ჩიკირეკიაობა, შარახვეტიაობა, სუფრულ-თამადური ბლოყინსიტყვაობა, მაშინ ქართველი ხალხის არსებობის დღეები დათვლილია.

მხოლოდ გამარჯვება!" (20, გვ.178–181).

7. ოსები (ე. წ. „სამხრეთ ოსეთი").

ოსები წარმოადგენენ ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ძირითად მოსახლეობას. ჩრდილოეთ ოსეთიდან XIII საუკუნიდან დაიწყეს ჩასახლება ოსებმა საქართველოში, ხოლო XVIII საუკუნეში დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ დღევანდელ ე. წ. „სამხრეთ ოსეთში", ხოლო აქედან თანდათან გავრცელდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი ხელოვნურად შეიქმნა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკების მიერ 1922 წლის 20 აპრილს. რაც, ისტორიულად და იურიდიულად სრულიად გაუმართლებელი იყო. (ოსების შესახებ იხ. ა. ფარჯანაძე, ჩრდილოეთ კავკასია, საქართველო, რუსეთი და მათი ურთიერთდამოკიდებულება, წიგნი I, თბ., 2014).

თავი მეორე. დაკარგული მიწები.
(საქართველოს საზღვრები).

ცნობილია, რომ ერთ დროს, როდესაც საქართველომ თავის ძლიერების მწვერვალს მიაღწია (XII–XIV) საუკუნეებში, საქართველოს საზღვრები იყო ჩრდილოეთით „ნიკოფსითგან დარუბანდამდე" და სამხრეთით „სინოპიდან არდაველამდის". ძირითადათ, მასში გაერთიანებული იყო ქართული და მათი მონათესავე ტომები.

საქართველოს საზღვრებისა და მასში შემავალი მხარეებისა და ოლქების შესახებ, დანვრილებით გადმოცემული და აღწერილი აქვთ ი. ჯავახიშვილსა და პ. ინგოროყვას.

პ. ინგოროყვა საქართველოს საზღვრების შესახებ წერს, რომ: „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს – ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული, სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით.

საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკალ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა – შემოფარგლული ბუნებრივის საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია". (92). მისივე თქმით, გაერთიანებული საქართველოს სამეფოს მეფის წოდება იყო:

„მე 12–13 საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი კავკასია (და აგრეთვე შემოერთებულ იქმნა კავკასიის მოსაზღვრე სანაპიროები ანატოლიისა და ირანისა), სრული ტიტულატურა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა, როგორც ცნობილია, შემდეგი იყო:

„მეფე აფხაზთა და ქართველთა (=ქართლელთა), რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა (=შარვან-შაჰი) და შაჰანშა (=შაჰან-შაჰი), და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი". (4, გვ. 114).

მაგრამ, მტერთა შემოსევებისა, ქართველთა შორის ერთიანობის შეგრძნების დაკარგვისა და ურთიერთ მტრობის გამო, საქართველოს საზღვრები თანდათან შემცირდა. XIX საუკუნეში საქართველოს რაც შერჩა ის მიწა-წყალი, ისიც, მეფის რუსეთის იმპერიის, ბოლშევიკ-კომუნისტების და შემდგომ, რუსეთის რესპუბლიკის ხელისუფალთა წყალობით უფრო შემცირდა. პ. ინგოროყვა 1918 წელს აღნიშნავდა:

„ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ეთნოგრაფიული მთლიანობა თავისი ქვეყნისა იმ მრავალი განსაცდელის მიუხედავად რომელიც მას ისტორიამ არგუნა. და ამ მხრივ ხომ განსაკუთრებით საფრთხეს განუმზადებდა საქართველოს მთლიანობას წარსული საუკუნე რუსთა მფლობელობისა, როდესაც რუსეთის მმართველობა ყოველნაირად ხელს უწყობდა საქართველოს კოლონიზაციას უცხო ელემენტების მიერ, რათა ამით დაესუსტებია ქართველობა – როგორც ყველაზე კულტურული ერი კავკასიაში, და ამასთან ერთად-ერთი ერი ამ მხარეში, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოებრივი წარსული". (92).

ი. ჯავახიშვილი 1919 წლის გამოცემულ წიგნში „საქართველოს საზღვრები" აღნიშნავს:

„საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სამზღვრები ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს არა ერთხელ დასცილებია და ძლიერების ხანაში XI–XIII საუკუნემდე, განსაკუთრებით მე-XII საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს საქართველოს, მთელი ამიერი კავკასიაც-კი ეკუთვნოდა. ქვემომოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისთვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით-კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალ, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარე-

მოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არაერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავის სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ.

წინამდებარე მონოგრაფია სწორედ საქართველოს სამზღვრებს არკვევს ისტორიულადაც, – თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში, – და თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელი პირობებისდა მიხედვით, – თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამ ჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას". (3, გვ.5).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა დროს, მტერთა შემოსევების გამო, საქართველოს საზღვრები განიცდიდა ცვლილებებს. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნეში ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის დროსაც, საზღვრებმა განიცადა ცვლილებები, ხოლო საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს საზღვრებმა საგრძნობლად სახე იცვალა და ისედაც შემცირებული საქართველო, კიდევ უფრო შემცირდა.

დღევანდელ დღეს, ჯერჯერობით, საქართველოს საზღვრები ასეთია:

„სახმელეთო საზღვარი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაბა ლესელიძესთან იწყება. შემდგომ იგი მიუყვება ფსოუს, რომელიც სათავეს მთა აგეფსთასთან ილებს. საქართველოს ჩრდილო საზღვარი ძირითადად ემთხვევა კავკასიონის_მთავარ_წყალგამყოფ-ქედს. მთა ვაციკფარ-სიდან_მთა შავიკლდემდე საქართველოს საზღვარი გადის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მთა მყინვარწვერზე და გვერდით_ქედზე. აღმოსავლეთ საზღვარი იწყება მთა ტინთორსოდან, ეშვება ალაზნის_ველზე, მიუყვება მდინარე ალაზანს, ვიდრე 1 კმ არ დარჩება მინგეჩაურის_წყალსაცავთან მდინარის შეერთებამდე. საქართველოს სამხრეთი საზღვარი იწყება შავ_ზღვასთან, სოფელ სარფის მიდამოებში. იგი ჯერ მიუყვება, შემდეგ კი კვეთს ლაზისტანის_ქედის ჩრდილო დაბლობს, მიუყვება შავშეთის და კვლავ კვეთს არსიანის_ქედს, ჯავახეთ-სომხეთის ვულკანურ მთიანეთს, ლოქის_ქედს, მდინარე მტკვარს და ივრის_ზეგანს.

ტერიტორია:

ქვეყნის ფართობი შეადგენს 69 700 კვ კმ-ს, საზღვრების სიგრძე – 1771 კმ-ს, მათ შორის სახმელეთო – 1 461 კმ. (სომხეთი – 164, აზერბაიჯანი – 322, რუსეთი – 252) და საზღვაო – 310 კმ." (62).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა დაწვრილებით განიხილავს 1918 წლისათვის საქართველოს საზღვრებს. იგი ჩრდილოეთის საზღვრის შესახებ აღნიშნავს:

„საზღვრები საქართველოს სახელმწიფოსი (ეს ამავე დროს საქართველოს ისტორიული საზღვრებია) – შემდეგი არის:

ჩრდილოეთით: კავკასიონის მთავარი ქედი და მისი შტო კავკასიონის პირიქითელი ქედი. საზღვარი დაიწყება მდინარე მაკოფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან, – საცა კავკასიონის მთავარი ქედი უახლოვდება შავ ზღვას. და რომლის ჩრდილოეთით ეს ქედი ჰკარგავს ველურ ხასიათს.

საზღვრის ხაზი გასდევს ჯერ მდინარე მაკოფსეს – შესართავიდან დაწყებული ვიდრე სათავეებამდე, გაივლის დიდი ფსეუშხოს მწვერვალს, მიჰყვება წყალთაგამყოფ ხაზს მდინარეების ტუაფსესა და აშეს შუა, და მიადგება კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს – გოითხის 20 კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკიდებული ამ პუნქტიდან საქართველოს საზღვარი მიჰყვება კავკასიონის ქედებს: ვიდრე ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე – კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს, ვაინქ-ფარსის მწვერვალიდან ვიდრე შავი-კლდის მწვერვალამდე – ყაზბეგის მთის სისტემას, ეგრეთ წოდებულ კავკასიონის პირიქითელ ქედს (რუსულად ბოკოვოი კავკაზსკაი ხრებეტ), რომელიც ერთი უმთავრესი მთაგრეხილთაგანია კავკასიონის ქედზე; შავი კლდის მწვერვალიდან მოკიდებული – ხელახლა კავკასიონის მთავარ (წყალთგამყოფ) ქედს ვიდრე მწვერვალამდე 11 389

ფუტის სიმაღლისა, რომელიც მდებარეობს ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ მიჯნაზე.... საქართველოს საზღვრებში შემოდის სოფ. ლარსის რაიონი (=მდინ. თერგის ხეობა – ვიდრე პუნქტამდე სოფ. ლარსიდან ორ კილომეტროზე ჩრდილოეთით), რაც შეადგენს საქართველოს მხარის ხევის ნაწილს; ხოლო ტფილისის გუბერნიიდან გადადის საჩეჩნოს საზღვრებში სოფ. სახანოს რაიონი (=მდ. არღუნის ხეობის ნაწილი – დანყებული პუნქტიდან, რომელიც მდებარეობს მდ. ბლუხას შესართავის და მდ. მეშეხის შესართავის შუა მანძილზე)". (92).

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა ყოველთვის გართულებული იყო, მაგრამ, მას შემდეგ, როდესაც 1991 წელს საქართველომ ხელახლა დამოუკიდებლობა მოიპოვა და საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. მით უმეტეს რუსეთ-საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრების გამო, რომელმაც, სასაზღვრო უთანხმოებამ არაერთხელ შეიარაღებული შეტაკებებიც გამოიწვია ორ ქვეყანას შორის. საზღვრების უთანხმოება დღესაც გრძელდება.

რუსეთის იმპერია ცდილობს და ყოველგვარ ხერხს მიმართავს, რომ საქართველოს რაც შეიძლება მეტი მიწები ჩამოაჭრას და მიიტაცოს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერიამ აშკარად და დაუფარავად განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე, რუსეთის დახმარებით, თვითაღიარებულმა აფხაზეთმა, ე. წ. „ზემო აფხაზეთი" – კოდორის ხეობა მიიტაცა. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს როგორმე თავიდან აიცილოს ქართველ და რუს მესაზღვრეებს შორის დაძაბულობა, რომ რუსეთს არ მიეცეს სამხედრო ძალის გამოყენების საბაბი, ხოლო ამით რუსეთის ხელისუფლება სარგებლობს და ის ახორციელებს საქართველოს საზღვრების გადმოწევას – ე. წ. „მცოცავ ანექსიას".

ექსპერტი, კავკასიის საკითხებში მ ა მ უ კ ა ა რ ე შ ი ძ ე, რომელმაც შეისწავლა საქართველოს საზღვრების მდგომარეობა, გადმოგვცემს, რომ:

„დღეს საქართველო-რუსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული 44 გადასასვლელიდან 20-ს რუსეთი აკონტროლებს. მის ხელშია კავკასიის ქედზე არსებული ყველა სტრატეგიული სიმაღლე.

1989 წლის მონაცემებით, ამ მონაკვეთზე 260 სოფელი იყო. არსებობდა განსახლების 9 უბანი. დღეს 5 უბანს მთლიანად რუსეთის ფედერაცია აკონტროლებს, რამაც დემოგრაფიული სურათის ცვლილება გამოიწვია.

საქართველოს კონტროლირებად მთის სოფლებშიც, ხიფათის თუ სოციალურეკონომიკური სიდუხჭირის გამო, შეიმჩნევა მოსახლეობის მიგრაცია ბარისაკენ, რაც უფრო ასუსტებს საქართველოს საზღვრის დაცვის სისტემას". (93).

საქართველო-რუსეთს შორის, მიმდინარეობს სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო-სადემირკაციო კომისიის მუშაობა, მაგრამ ის წლების მანძილზე რუსეთის მთავრობის სხვადასხვა მიზეზის გამო, ჭიანურდება.

§1. ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი.

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი ინყებოდა აფხაზეთის მხარეში მდებარე, უკიდურესი ჩრდილოეთი ადგილიდან **ნიკოფსიიდან**. ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს წერდა, რომ:

„სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე აბხაზეთი იყო და ეხლაც იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას. ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე საუკუნეში ეს მოსაზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას სადაც კავკასიონის მთავარი ქედი ინყებოდა. მოსაზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიონის ქედის წვერი ითვლებოდა... ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი ნაწეული, რომ მაშინ ჯიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა. თუ ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას, ალანთა შესახებ ამის თქმა არ შეიძლება....

მდ. ბზიბი მთლად თავის შემდინარეებით აფხაზეთის სამზღვრებში იყო, ამიტომ მოსაზღვრე ხაზი უეჭველია ამ მდინარის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდებარე გამყოფელი ქედის-ქედ უნდა ყოფილიყო გავლებული. ამ ადგილიდან მოყოლებული აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადახრილი სამზღვრის ხაზი კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედ-ქედ მიდიოდა და ეხლაც მიდის სვანეთამდის". (3, გვ.6).

პ. ინგოროყვა, 1919 ნლის მონაცემებით, საქართველოს ჩრდილო დასავლეთის მხარის, „სამურზაყანო-აფხაზეთ-ჯიქეთის მხარე (სოხუმის და სოჭის ოლქები)"-ის მოსახლეობის შესახებ აღნიშნავდა, რომ:

„აქედან ჯიქეთი (= სოჭის ოლქი) თითქმის დაუსახლებელია.

სამურზაყანო-აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს ქართველები;

შემდეგი ადგილი უჭირავს ქართველების ძმურად მონათესავე ტომს აფხაზებს, სხვები – მცირერიცხოვანი უმნიშვნელო ჯგუფებია. სულ სოხუმის ოლქში 1916 ნლისათვის ითვლება – ქ. სოხუმის გარდა – 126.000 სული მკვიდრი მცხოვრები, აქედან ქართველი 70,000 სული, აფხაზი – 42.000 სული. რაც შეეხება ქ. სოხუმს, იგი ეროვნული შემადგენლობით ქართულ ქალაქს წარმოადგენს (ქართველობა ითვლება აქ 25.000 სული, აფხაზები 400 სულამდე). ამნაირად, აფხაზეთ-სამურზაყანოში, რომ არ მივიღოთ მხედველობაში ქ. სოხუმი, რომელსაც სპეციფიური ქართული ხასიათი აქვს, და რომ ავიღოთ მარტოოდენ სოხუმის ოლქის სოფლების მკვიდრი მოსახლეობა, აქ ქართველობა არის – 55,6%; აფხაზები – 33,3%; სხვა და სხვა პატარა ეროვნული ერთეულები – 11,1%; ხოლო ერთად მთელი ქართული ჯგუფი (ქართველები და აფხაზები) – 88,9%". (92).

გ. გასვიანი XIX საუკუნის 30–70-იანი ნლების სვანეთის საზღვრების შესახებ აღნიშნავს, რომ: „XIX საუკუნის სვანეთს, ადრინდელთან შედარებით, მცირე ტერიტორია ეკავა. იგი დაახლოებით თანამედროვე სვანეთის ფარგლებში იყო მოქცეული....

სვანეთის საზღვრებმა 30-იან ნლებშიც ერთგვარი ცვლილება განიცადა. მეფის მთავრობის კომისიამ (შახოვსკის მეთაურობით) სვანეთს ჩრდილოეთ კავკასიაში (ქედს იქით) სხვადასხვა ხეობაში მდებარე ტერიტორია ჩამოართვა – მისი საზღვარი კავკასიის მთავარი ქედით შემოიფარგლა. სვანეთს სამეგრელოს მხრიდანაც გარკვეული ფართობის ტყეები და საძოვრები ჩამოაჭრეს". (33, გვ.16).

საქართველო-რუსეთს შორის, ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, 2009 ნლის გაზაფხულში, რუსების მოქმედების გამო, მამისონის უღელტეხილზე მდებარე მეტეოსადგურის შენობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ქართველების მიერ იყო აშენებული და იმყოფებოდნენ ქართველი მესაზღვრეები, იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ ეს სათვალთვალო ადგილი და თითქმის 20 კმ-ით უკან დაეხიათ. რუსებმა მდ. **ჭანჭახზე** ე. ნ. **ნიკოლოზის ხიდი** ააფეთქეს, რომლითაც ახლო მდებარე ადგილობრივი მოსახლეობა მამისონის უღელტეხილს უკავშირდებოდა.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობს მამისონის უღელტეხილის მიმდებარე მიწები ხელში ჩაიგდოს და ამისათვის ყოველივე ხერხს ხმარობს. გაჰყავს ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, მარუხის უღელტეხილის გავლით, აფხაზეთისაკენ მიმავალი 270 კმ-ნი გზა. გაყვანილია კალაკი-მამისონის 18 კმ-ნი გზა, რომელიც ჯავას უნდა შეუერთდეს. ასევე ახორციელებს რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრის ხელში ჩაგდებას.

მ. არეშიძის აზრით, რუსეთის ხელისუფლება რუსეთ-საქართველოს საზღვრების ხელში ჩაქდებას ცდილობს იმიტომ, რომ:

„2004 წლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებისათვის ნათელი შეიქმნა, რომ საქართველოს ნატოსაკენ სწრაფვამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, და ამან განაპირობა მისი გააქტიურება. არსებობს გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა და მას მიზანმიმართულად, საოცარი სიჯიუტით ახორციელებს რუსეთი. ეს არის ეგრეთ წოდებული თავდაცვითი გეგმა ნატოსთან სავარაუდო ომის შემთხვევისათვის.

საბჭოთა კავშირის დროს სამხრეთ მიმართულებიდან საბჭოთა კავშირზე შეტევის პლაცდარმად განიხილებოდა ნატოს წევრი ქვეყანა – თურქეთი. ამიტომ ამ მიმართულების დასაცავად შეიქმნა გეგმა, რომელიც მოიცავდა 3 თავდაცვით ზღუდეს: სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრს (დღევანდელი საქართველო-თურქეთის საზღვარი), კავკასიის ქედის გასწვრივ და ქვეყნის სიღრმეში ტერიტორიას, როსტოვის ოლქისა და სტავროპოლის მხარის ტერიტორიას. საქართველოს ნატოზე ორიენტირების შემდეგ, რუსეთის გენერალური შტაბის სავარაუდო გადაწყვეტილებით, მეორე თავდაცვითი ზღუდე ავტომატურად იქცა ძირითად ზღუდედ. შესაბამისად, მან განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა. ამ ზღუდის გასამაგრებლად საჭიროა სამხრეთის მიმართულებით დაახლოებით 40 კმ-იანი ზოლის გაკონტროლება. რომლისგანაც 20 კმ ქედიდან სამხრეთით განეკუთვნება აქტიური დაცვის სივრცეს, შემდგომი 20 კმ კი პასიური დაცვისაა. სწორედ აქედან გამომდინარეობს რუსეთის აქტიურობა კავკასიის ქედის მიმდებარე საქართველოს ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად“. (93).

1. ნიკოფსი, ტუაფსე. სოჭი.

ნიკოფსი (ნიკოფსია) XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისშიც წარმოადგენდა საქართველოს უკიდურესს ჩრდილოეთ მხარეში მდებარე ქალაქს. ქალაქი მდებარეობდა ქ. ტუაფსესთან (კრასნოდარის მხარე) ახლოს. დღევანდელ დღეს შემორჩენილია ნანგრევები. ისტორიულ წყაროებიდან ირკვევა, რომ ადრინდელ დროს ამ ადგილას იყო ქ. **ლაზიკა**.

ცნობილია, რომ VII–VIII საუკუნეებში აქ ყოფილა საეპისკოპოსო კათედრალი. VIII საუკუნის ბოლოს ქალაქი ეგრის-აფხაზეთის სამეფოში შედიოდა. XVI საუკუნიდან დაწყებული, მტრის შემოსევებისა და საქართველოს სამთავროებად დაშლის შემდეგ, ნიკოფსია თანდათან საქართველოს პოლიტიკურ გავლენას გამოეთიშა და შემდეგში ის თანდათან ნაქალაქებად გადიქცა და მისი ხსენება საერთოდ გაქრა.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქ. **ტუაფსე** (დოაბზუ) (კრასნოდარის მხარე) ადრინდელ დროში საქართველოს ეკუთვნოდა. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „მაინდამაინც ცხადია, რომ დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფო სახელი სწორედ ამასა ჰნიშნავს“. (3, გვ.6).

რუსეთის მიერ იმიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ, ამ ადგილას სამხედრო დასახლება ე. წ. ველიამინოვსკი გაჩნდა. 1871 წელს ეწოდა ველიამინოვსკის რაბათი, ხოლო 1896 წლიდან, მდ. ტუაფსეს მიხედვით დაერქვა ტუაფსე. 1917 წლის 3 (16) ნოემბერს ტუაფსეში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მაგრამ მალე თეთრგვარდიელებმა დაიკავეს. 1920 წლის მარტში საბჭოთა ჯარი შევიდა და ამის შემდეგ რუსეთის მფლობელობაში გადავიდა და რუსეთს ეკუთვნის.

საბჭოთა ენციკლოპედიებში და საერთოდ საბჭოურ ლიტერატურაში, ქ. **სოჭისა** და მისი მიდამოების დახასიათებისას, ერთი სიტყვაც კი არ არის ნახსენები, იმის შესახებ, რომ დღევენდელი

სოჭისა და ტუაფსეს (დოაბზუ) მიმდებარე მიდამოები, წარსულში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს წარმოადგენდა და აფხაზეთს ეკუთვნოდა.

საქართველოს საზღვრების შესახებ, პ. ინგოროყვა აღნიშნავდა:

„საქართველოში – გარდა ახალციხე–ახალქალაქის, ბათუმის და არტაანის მხარეებისა საქართველოში შემდეგი ორი ბუნებრივი, გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიური რაიონია:

1. აღმოსავლეთი საქართველო (ანუ ტფილისის გუბერნია),
2. დასავლეთი საქართველო (ანუ ქუთაისის გუბერნია).

დანარჩენი ადმინისტრაციული ერთეულები, პატარა სანაპირო მხარეები საქართველოსი, – წარმოადგენენ უშუალო გეოგრაფიულ გაგრძელებას ამ მთავარი პროვინციებისას და სამეურნეო პირობებით გამოუყოფელი არიან მათგან. ეს მხარეებია:

სამურზაყანო–აფხაზეთ-ჯიქეთის მხარე (= სოხუმის და სოჭის ოლქები), რომელიც დასავლეთ საქართველოსთან ერთად შეადგენს ერთ ეკონომიკურ ოლქს; და აღმოსავლეთ საქართველოს სანაპიროები: ქვემო ყარაიას ველი, ბამბაკი, ყაზახ-მამშადილი და ზაქათალა, – რაც ტფილისის პროვინციის განუყოფელ ჰინტერლანდს წარმოადგენს“. (92).

წყაროებიდან ცნობილია, რომ დღევანდელი სოჭის მიმდებარე მხარე, VI–XV საუკუნეებში საქართველოს ეკუთვნოდა. სოჭის მხარეში შემორჩენილია ქართული ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევები. XV საუკუნიდან სოჭი თურქეთის ხელში იმყოფებოდა. ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1829 წელს, სოჭის მხარე რუსეთმა დაიპყრო.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1838 წელს რუსეთის იმპერიამ დღევანდელი სოჭის ადგილას დააარსა დასახლება ალექსანდრია. შემდეგში აქ ააგო ნავაგინსკის სიმაგრე, სადაც იდგა რუსეთის სასაზღვრო ჯარის ნაწილი. ყირიმის ომის დროს (1853–1856) წლებში ციხე-სიმაგრე დაიკავეს თურქებმა. შემდეგში რუსეთმა დაიბრუნა და 1864 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ხელახლა გააშენა, უწოდა პოსტ-დახოვსკი და შეიქმნა შავი ზღვის ოკრუგი. 1896 წლის მაისში რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის (1894–1917) ნიკოლოზ II-ის (1868–1917) ბრძანებით ჩამოყალიბდა შავი ზღვის გუბერნია სადაც შევიდა პოს-დახოვსკის, ტუაფსეს და ნოვოროსიისკის ოლქები. გუბერნიის მთავარი ქალაქი გახდა ნოვოროსიისკი. საზღვარი ნოვოროსიისკის ოლქსა და სოხუმის ოკრუგს შორის მდ. მზიმთაზე გახდა. ამავე წელსვე პოს-დახოვსკის ეწოდა სოჩი.

პ. ინგოროყვა „სოჭის“ სახელწოდების შესახებ აღნიშნავს, რომ:

„თემი სოჭი. სახელწოდება ამ თემისა მომდინარეობს მისი ცენტრის სახელიდან, რომელიც დღემდე ატარებს ამ სახელს – სოჭი.

სახელწოდება ქალაქისა სოჭი დაკავშირებულია ხის სახელთან სოჭი.

ამ სახელწოდებაში სოჭი ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის სახელი, როგორიცაა ცალკეული კუთხისათვის დამახასიათებელ მცენარეულობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდებანი აფხაზეთისა: ბიჭვინთა (დაკავშირებული ფიჭვის სახელთან), ბზიბი resp. ბზები (– ბზის სახელთან), წიბელი ანუ წიბელთა (= წიფელთა), დაკავშირებული წიფელის სახელთან“. (4, გვ.160).

ზ. რატიანი სახელწოდების „სოჩის“ შესახებ წერს:

„ქ. სოჩიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე ადიღეური ტოპონიმები ადასტურებენ, რომ ჩერქეზებზე უწინ იმ ტერიტორიაზე ქართული ტომები – სვანები და მეგრელები ცხოვრობდნენ. ამიტომ მცდარია აზრი, თითქოს სოჩი, მდინარის და ქალაქის სახელი ჩერქეზული ტომის შაჩადან მოდის, როგორც ვნახეთ, მათზე ადრე აქ ქართული, კერძოდ, სვანური ტომი ცხოვრობდა. ამის გამო სოჩი ჩანს ისევე სვანებს უკავშირდება, როგორც მის მახლობლად მდებარე ტოპონიმები სონჩითხ და სონჩ. ეტყობა ჩერქეზებმა პირველად მასაც სონჩ – სვანების უწოდეს და შემდგომ თურქული ან რუსული ენის გავლენით მივიღეთ ფორმა სოჩი – მდინარისა და ქალაქის სახელწოდება“. (91).

1904 წლის 25 თებერვალს რუსეთის ხელისუფლების მიერ, სოხუმის ოკრუგის ნაწილი, გაგრის კლიმატური სადგურის მიწები 150 000-მდე დესეტინა, შეუერთდა შავი ზღვის გუბერნიას. რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წელს (9, III–15, XI) თბილისში, ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი“), რომლის თავმჯდომარე იყო ცნობილი სოციალ-დემოკრატი, პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი და პუბლი-

ცისტი აკაკი ჩხენკელი (1874–1959). ოზაკომის ქართველი წევრების თაოსნობით, სოხუმის გლეხთა დეპუტატების აღმასკომის, ადგილობრივი გლეხთა დეპუტატების და მეტყევეების, შუამდგომლობის საფუძველზე, აგრეთვე ძველი გაგრისა და სოფელ ალახაძის მცხოვრებთა მოთხოვნით, აღსდგა ძველი 1904 წლის შავი ზღვის გუბერნიისა და საქართველოს (აფხაზეთის) საზღვარი მდ. ბზიმთაზეზე.

როგორც ვიცით, ქ. სოჭი და მისი მიდამოები ცნობილია როგორც შავიზღვისპირეთში როგორც საკურორტო ადგილი. 1906 წლის ზაფხულში დაიწყო საკურორტო კომპლექსიის მშენებლობა. 1913 წელს, შავიზღვისპირეთში უდიდესი სასტუმრო კომპლექსის „კავკასიის რივიერა"-ს მშენებლობა დასრულდა.

XX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში ახალ მაცესტასთან ახლოს, მთის ფერდობზე გაიხსნა სახელმწიფო აგარაკი M1, მას უწოდებენ „სტალინის სახლს", სადაც ისვენებდა სტალინი. აქ გახსნილია სტალინის მუზეუმი. სოჭის ტყისპარკში „მიხაილოვსკში" 1937 დამთავრდა დასასვენებელი აგარაკების „მნვანე ნარაფები"-ის („ზელიონაია როშჩა") მშენებლობა.

1916–1917 წლებში ქ. სოჭის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 10 000 კაცს.

აქედან: რუსები – 6 000 კაცს, ქართველები – 2 000 კაცს. ამათ გარდა იყვნენ: ესტონელები, ბერძნები, ებრაელები, სომხები და სხვ. მთლიანად ოლქის მოსახლეობა იყო 35 000. აქედან 4 000 ქართველები იყვნენ. ქ. სოჭის ახლოს მდებარეობდა უმეტესად ქართველებით დასახლებული სოფლები. (პლასტუნკა და სხვ.).

1918 წლის იანვარში წითელმა არმიამ სოჭი დაიკავა და საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ამავე წლის მარტში ბოლშევიკებმა შესძლეს გუდაუთის მაზრაში, ადგილობრივი გლეხების, ზირითადად აფხაზების, სომხებისა და რუსების აჯანყება და საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მალე, ბოლშევიკებმა ჩრდილოეთ კავკასიელთა ბოლშევიკ-კომუნისტების დახმარებით, შეძლეს სოხუმის დაკავებაც.

ამიერკავკასიის სეიმმა (სახელმწიფო ორგანო) აფხაზეთში ნესრიგის დასამყარებლად სამხედრო ნაწილები გააგზავნა და 18 ივნისს, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავიზღვისპირეთის ფრონტის ჯარების სარდლად დანიშნა გიორგი მაზნიაშვილი. მისი ხელმძღვანელეობით, ქართულმა ჯარმა განმინდა ბოლშევიკებისაგან აფხაზეთი და სოჭში მცხოვრები ქართველების თხოვნით სოჭისაკენ გაემართა. 22 ივნისს **გუდაუთა** აიღო, 28 ივნისს – **გაგრა**, 29 ივნისს – **ადლერი**, 5 ივლისს – **ხოსტა**, 6 ივლისს – **სოჭი**, ხოლო 26 ივლისს – **ტუაფსეც**. დამარცხებული ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიხვეწნენ. თბილისიდან მიღებული ბრძანების თანახმად, გიორგი მაზნიაშვილი მტერს დაედევნა, თუმცა თვითონ ამის წინააღმდეგი იყო და ყუბანში გადავიდა. გადალახა გოითხის უღელტეხილი და უბრძოლველად დაიკავა ხადიჟეენსკი. შემდეგ ქალაქი ბელორეჩენსკი და დაიწყო მზადება მაიკოპის დასაპყრობად.

რუსეთში კი, ამასობაში, 1918 წლის დასაწყისში, ე. წ. თეთრგვარდიელმა გენერლებმა ა. დენიკინმა და მიხეილ ალექსეევმა (1857–1918) ჩამოაყალიბეს მოხალისეთა არმია და დაიწყეს ბრძოლა მონარქიის აღსადგენად, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთისათვის". შეუტიეს ბოლშევიკებს და წითელმა არმიამ დაიწყო უკან დახევა ტუაფსესკენ. 1918 წლის აგვისტოში ქართველებმა წითელ არმიელები ტუაფსედან განდევნეს. მალე, 6 სექტემბერს ტუაფსესთან დენიკინელები გამოჩნდნენ. გ. მაზნიაშვილმა, სისხლის ღვრა რომ აეცდინა უკან დაიხია და ლოოში გამაგრდა. 1918 წლის სექტემრის შუა რიცხვებში, სოჭში, საქართველოსა და ყუბანის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის უნდა გამართულიყო საზღვრების შესახებ მოლაპარაკებები. „18 სექტემბერს სოჭში, გაიმართა ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების საბჭოს სხდომა. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც დაცულია დემოკრატიის პრინციპები და რადგან სოჭის ოლქს ემუქრება დენიკინის სამხედრო დიქტატურა, საბჭო გამოთქვამს სურვილს საქართველოს მთავრობამ სპეციალური დეკრეტით დაუყოვნებლივ გააფორმოს სოჭის ოლქის დროებით მიერთება... (ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები, ტფილისი, 1919, გვ.389). მსგავსი რეზოლუციები მიიღეს აგრეთვე სოჭის მოსახლეობის საერთო კრებაზე 20 სექტემბერს და უფრო

მოგვიანებით, ოლქის გლეხთა ყრილობაზეც". (58). ამასობაში, ყუბანში ძალაუფლება თეთრგვარდიელთა ხელში გადავიდა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებულნი შეიქმნენ დენიკინელებთან განეგრძოთ მოლაპარაკებები 1918 წლის 25 სექტემბერს ეკატერინოდარში, მაგრამ, ვინაიდან ა. დენიკინი მტკიცედ მოითხოვდა სოჭის ოლქის ქართველთა საჯარისო ნაწილებიდან დაცლას და საზღვრის გადატანას მდ. ბზიფზე და არ მიდიოდა დათმობაზე, მოლაპარაკებები ჩაიშალა. ა. დენიკინმა დაიწყო ჯარების თავმოყრა ლაზარევსკაიასა და ლოოს შორის.

ვინაიდან კავკასიაში ამ დროს იმყოფებობდა ანტანტის წარმომადგენლად დიდი ბრიტანეთი, ამიტომ, საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა ინგლისელების ხელმძღვანელობას, რომ დროებით სოჭის ოლქი მათ დაეკავებინათ. ინგლისელებმა სოჭი ისევ ქართველებს დაუტოვეს, სანამ პარიზის სამშვიდობო კონფერენცია სოჭის ოლქის ბედს არ გადაწყვეტდა. თანაც ქართველები დაამშვიდეს, რომ მათ დენეკინისაგან არავითარი საშიშროება არ ელოდათ. დამშვიდებულმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც, სოჭში დატოვეს მხოლოდ ლოო-გოლოვინკის საგუშაგო ჯარის ნაწილი, ხოლო დანარჩენი თურქეთის წინააღმდეგ ახალციხეში გადაიყვანეს.

1919 წლის 29 იანვარს, თეთრგვარდიელებმა დილით, ქართული საგუშაგო ალყაში მოაქციეს, იარაღის დაყრა და სოჭის დატოვება მოსთხოვეს. საქართველოს მთავრობამ, საქმის გასარკვევად, ისევ ბრიტანელებს მიმართა. ამასობაში-კი დენიკინმა მცირე რიცხოვანი ჯარის ნაწილის მიმართ განახორციელა შეტევა, გაანადგურა ჯარი, ტყვეებიც ჩაიგდო ხელში და სოჭი დაიკავა. დაიწყო მოსახლეობის, განსაკუთრებით ქართველების დარბევა. სანამ საქართველოს ხელისუფლება დიდ ბრიტანეთში საპროტესტო ნოტებს აგზავნიდა, თეთრგვარდიელებმა დაიკავეს ქალაქები: ადლერი, პოლინკოვო, გაგრაც და მდ. ბზითამდე მიაღწიეს. დაპყრობილ ქალაქებში დენიკინელები ისევ არბევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას (განსაკუთრებით ქართველებს). ქართულმა ჯარმა განახორციელა შეტევა, გაგრაც დაიბრუნა და მდ. მეხადირიც გადალახა. ეხლა-კი ინგლისელები ამოძრავდნენ და საქართველოს მთავრობას მოსთხოვეს, რომ უკან დაეხიათ, რადგან უნდა განიხილონ სადემარკაციო ხაზის გასავლელი მდ. ბზიმთამდე. შედგა ანტანტის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრები, სადაც განიხილებოდა მეომარ ქვეყნებს შორის საზღვრების დადგენა. საქართველოს წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ საზღვარი უნდა ყოფილიყო ტუაფსედან 14 კმ-ის დაშორებით მდ. მაკოფსეზე. მაგრამ, ეს მოსაზრება სხდომის წევრებმა არ მიიღეს.

სანამდე მიმდინარეობდა საზღვრების შესახებ განხილვები, 1920 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში, ნითელმა ჯარებმა თეთრგვარდიელები გაანადგურეს და, სოჭი და ადლერიც დაიპყრეს. ასე, რომ სოჭი და მისი მიდამოები რუსეთის ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა და რა თქმა უნდა საქართველოს სასაზღვრო ხაზის შესახებ, ანტანტის წევრების წარმომადგენლებთან, განხილვაც შეწყდა. 1920 წლის 7 მაისს, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დადებულ ხელშეკრულების თანახმად, საზაზღვრო ხაზი მდ. ფსოუზე გავიდა. ხოლო შემდეგი საზღვრების განხილვისას, 1920 წლის მაისის შუა რიცხვებში, ბოლშევიკებმა მაინც თავისი გაიტანეს და დადებულ ხელშეკრულებაში ჩაინერა, რომ „სანამ საზღვარი სპეციალური კომისიის მიერ დაზუსტდებოდა, მდინარე მეხადირსა და ფსოუს შორის არსებული ტერიტორია დემარკაციულ ზონად გამოეცხადებინათ". (58). საქართველოს ხელისუფლებამ 1920 წლის 16 ნოემბერს დაადგინა:

„გაგრა და ბიჭვინთა გამოიყოს გუდაუთის მაზრიდან და დაარსდეს გაგრა-ბიჭვინთა-ფსოუს სამხედრო რაიონი, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარება მთავრობას. ამ რაიონში დაინიშნოს მთავრობის საგანგებო კომისარი. გაუქმებულ იქნას მდინარე მეხადირისა და ფსოუს შორის არსებული ნეიტრალური ზონა". (58). ასე, რომ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: 1918–1921 წლებში სოჭის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ეკუთვნოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის თებერვალში სოჭის საოლქო ხელისუფლებამ და რსფსრ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთის აღმასკომმა დაადგინა, რომ პილენკოვოს თემი შეერთებულიყო სოჭის ოლქს. 1922 წლის აპრილის ბოლოს, აფხაზეთის ცენტრალური აღმასკომის კომიტეტის (ცაკ) პრეზიდიუმმა სთხოვა, სრულიად რუსეთის ცაკ-ს, რომ საზაზღვრო ხაზი გასულიყო ისევ მდ. ფსოუზე. 1924 წელს საბჭოთა კავშირის ცაკ-მა შექმნა კომისია, მაგრამ კომისიის წევრები

ვერ შეთანხმდნენ. ამავე წლის 31 ოქტომბერს სსრკ ცაკ-მა დაადგინა, რომ პილენკოვო და მისი მომდებრე მინები გადაცემოდა აფხაზეთს (საქართველოს). მაგრამ, ამ დადგენილების შესრულებას წინ აღუდგა, შავი ზღვის ოლქის ხელმძღვანელების წარმომადგენლების წაქეზებით, ადგილობრივი მცხოვრები რუსები. აფხაზეთის სსრ-ის ხელმძღვანელებმა დახმარებისათვის მიმართეს რსფსრ-ის მთავრობას, მიეღოთ სათანადო ღონისძიებები, რომ დადგენილება შესრულებულიყო. საბოლოოდ, საქართველოს ხელისუფლების დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ, 1929 წლის დასაწყისში პილენკოვოს ოლქი შეუერთდა საქართველოს (აფხაზეთს), (სოჭის ოლქის გარეშე). 1943 წლის 12 ივნისს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ცეკ-ს დადგენილებით პილენკოვოს ეწოდა განთიადი.

ასე დაკარგა ერთ დროს მისი კუთვნილი სოჭის მხარე საქართველომ.

§2. ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი.

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი იწყება ოსეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მდებარე მთა **ვაციკფარსიდან** (მდ-ის თერგის და სბადონის სათავეები). მიჰყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე მდებარე მთას **შავკლდეს**, შემდეგ, წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით გაივლის **მყინვარწვერს** (ყაზბეგი), **გვერდით ქედს** და თავდება მთა **ტინოვროსოსთან.**

ი. ჯავახიშვილი წერს:

„დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედზე მიდის და მხოლოდ დარიალის ხეობასთან იგი ქედს იქით გადადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო ნაწეული. მისაბჯენ ციხედ ჰქონდა „გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული, კოშკებით შემკული სიმაგრე, რომელიც მდ. თერგის სათავის მიდამოებში, მთებში მდებარეობდა". ამ ციხეს „ფრიად მაგარი მდებარეობა" ჰქონდა.... ეხლანდელ რუკებზე ამგვარი საგეოგრაფო სახელი არ არის აღნიშნული, ამის გამო ამ ციხის მდებარეობაც გამოურკვეველი რჩება.

მაგრამ უფრო დაწვრილებით და მკაფიო ცნობები საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტსა აქვს....

სახელოვან ქართველ გეოგრაფის აღწერილობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ თვითეული მის მიერ დასახელებული ადგილის პოვნა ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე ძნელი არ არის....

სამზღვარი მდ. ქისტურის ხეობის გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარ ქედს აღწევდა. ხოლო შემდეგ საქართველოს სამზღვარი მუდამ სწორედ ამ მთავარ უღელტეხილს ქედ-ქედ მიდიოდა იმგვარადვე როგორც – მე-XIX-ე საუკუნეშიც რუსთა მფლობელობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტფილისის გუბერნიის სამზღვარი იყო მოხაზული". (3, გვ.12–14).

საქართველოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ესაზღვრება დაღესტანი. როგორც ადრე, ასევე რუსეთის იმპერიის კავკასიონის დაპყრობის შემდეგ, დაღესტანსა და საქართველოს საზღვრები განიცდიდა ცვლილებებს. მით უმეტეს საბჭოთა კავშირის დროს. რუსეთის ხელისუფლების მიერ ხდებოდა ქართული მინა-წყლის მიტაცებები.

მთათუშეთის მეზობლად მდებარე დაღესტნის რაიონის წუნტის მხარე **ბეჟტას** აულები, წარსულში საქართველოს ეკუთვნოდა. როდესაც ჩამოყალიბდა კახეთის სამეფო, ბეჟტა მის ფარგლებში მოექცა.

ბეჟტა (ქართულად **კაპუჭი**) ისტორიულად ავარიის სახანოს (ხუნძეთი) ერთ-ერთი მხარე იყო. **კაპუჭები** წარმოადგენენ მცირე რიცხოვან ეთნოგრაფიულ ჯგუფს. დღევანდელ დღეს, მისი დასავლეთი ნაწილი დვალეთს ეკუთვნის. ბეჟიტაში გადასვლა შესაძლებელია ღოლოიანის უღელტეხილის გავლით, მაგრამ დღევანდელ დღეს რუსეთის მიერ საზღვარი ჩაკეტილია.

კაპუჭური ენა (ბეჟიტური ენა) განეკუთვნება იბერიულ-ენების დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფის ენას. კაპუჭურ ენაზე საუბრობენ საქართველოშიც, ყვარელის სოფლებში: **ჩანთისყურეში, სარუსოში** და **თხილისწყაროში.**

რუსეთ-საქართველოს შორის საზღვრის ყველაზე უფრო სადაო საკითხი გახდა სოფ. **ფიჭვები,** რომელიც შატილიდან 3 კმ-ში მდებარეობს.

სოფ. ფიჭვებში და მის მიმდებარე ადგილებში, ზამთრობით ადგილობრივი მცხოვრებლები საქონელს აძოვებდნენ.

სოფ. **ფიჭვები** და მისი მიმდებარე მიწები საქართველოს ეკუთვნოდა და აქ ქართველი მესაზღვრეები იდგნენ. როდესაც რუსებმა 2000 წელს ჩაჩნეთ-ინგუშეთში ომი გააჩაღეს, ჩაჩნეთ-ინგუში ლტოლვილები საქართველოში სწორეთ აქედან ჩამოვიდნენ. ამიტომ რუსეთის ხელმძღვანელებმა ქართველი მესაზღვრეები აიძულეს მიეტოვებინად ეს ადგილები და სოფ. ფიჭვები დაიკავეს. რუსების მტკიცებით სოფ. ფიჭვები ადრე მათ ეკუთვნოდა.

საქართველოში, ახლად აღმოჩენილი საბუთებით-კი, რომელიც ხელმოწერილია 1920 წელს: საქართველოს უმაღლესი საბჭოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ორგანოსა და საკავშირო უმაღლესი საბჭოს მიერ, დასტურდება, რომ სოფელი ფიჭვები და მისი მიმდებარე მინა-წყალი საქართველოს ეკუთვნოდა.

იმ დღიდან, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რუსეთის ხელისუფლებათა მოქმედებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ რუსეთი ცდილობს როგორმე მთლიანად ხელში ჩაიგდოს საქართველოს სამხედრო გზა და მისი მიმდებარე მიწები.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამხედრო გზაზე, ე. წ. „ეშმაკის ხიდსა" და ზემო ლარსს შორის, მდებარეობს საკონტროლო გამშვები სადგომი, კანონით აღიარებული სახმელეთო საზაზღვრო ადგილი რუსეთ-საქართველოს შორის „ლარსი" (ვაგაჰი), რომელიც ვლადიკავკაზიდან 38 კმ-ით არის დაშორებული, საქართველოს ეკუთვნის.

90-იანი წლების ბოლოს, რუსეთის მესაზღვრეების მოქმედებამ, ლარსზე გამოიწვია შეხლა-შემოხლა. მდგომარეობის გამწვავების აცილების გამო, საქართველოს ხელისუფლებამ ლარსის გამშვები ადგილი გადმოსწია. მ. არეშიძის გადმოცემით:

„საქართველოს ხელისუფლებამ სასაზღვრო პუნქტი 850 მ-ით უკან გადმოსწია. ეს ღონისძიება დროებითი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სამწუხაროდ ასევე დარჩა. ამ მონაკვეთს დაერქვა ნეიტრალური ტერიტორია, რომელიც ორივე მხარეს ერთობლივად უნდა გაეკონტროლებინა. მაგრამ ამჟამად კონტროლი მთლიანად რუსეთის ხელთაა.

რუსეთის მიზნის უკეთ მისახვედრად საკმარისია ეს სიტუაცია შევაფასოთ. ქართველი მესაზღვრეების დისლოკაციის ყოფილი ადგილი სტრატეგიული თვალსაზრისით, ძალიან მომგებიანი იყო. ის აკონტროლებდა შემოვლით გზებს თერგის აქეთ, გველეთამდე და მყინვარის მიმართულებით მიმავალ გერგეთის შემოვლით გზას. ასევე ხევსურეთისაკენ (არხოტისკენ) მიმავალ გზას, რომელიც ჯერიახოს ხეობის პარალელურად მიემართება. თუ ვივარაუდებთ, რომ ამ მიმართულების ხელში ჩაგდებით რუსეთი მომავალში თავის გავლენის ქვეშ მოაქცევს ჯუთა-არხოტი-შატილი-თუშეთის მიმართულებას, მაშინ გასაგები გახდება მისი მოქმედების მექანიზმები და სტრატეგია". (93).

ვინაიდან საქართველოში დამზადებული სოფლის მეურნეობის სურსათ-სანოვაგის უდიდესი ნაწილი რუსეთში შეზიდვა ამ გზით ხდებოდა, ამიტომ, რომ დაესაჯა საქართველო, 2006 წლის 8 ივლისს, რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა, შეკეთების მომიზეზებით „ლარსის" გამშვები პუნქტი ჩაკეტა. ეს იყო საქართველოს მიმართ ეკონომიკური ბლოკადის ზემოქმედების ნაწილი, რომელიც ვ. პუტინმა ჩაატარა საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოში წარმოებულ ღვინოსა და მინერალური წყლების აკრძალვით. ლარსის ჩაკეტვამ ლახვარი ჩასცა რუსეთის მოკავშირე სომხეთის რესპუბლიკას, რომელიც გარესამყაროსგან ეკონომიურად აღმოჩნდა მოწყვეტილი.

სომხეთის რესპუბლიკის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ერთი მესამედი სამხედრო გზით ლარსზე გადიოდა. ამავე გზით ხდებოდა სომხეთში (გუმრში) განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის მომარაგებაც. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ რუსეთიც დაინტერესებული იყო ლარსის გახნით, მისი „მომხრე" სომხეთის არა ერთ თხოვნას ყურადრებას არ აქცევდა.

ერევანსა და ყაზბეგში, საქართველოს, რუსეთის და შვეიცარიის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შემდეგ მიღებულ იქმნა დადგენილება ლარსის გახსნის შეახებ. ვ. პუტინიც დათანხმდა, თუმცა, საქართველოში წარმოებული ღვინოსა და მინერალური წყლების აკრძალვის შესახებ დადგენილება, ძალაში დატოვა.

რუსეთის წარმომადგენელთა თქმით, ლარსი და მისი მიმდებარე მიდამოები ადრეც რუსეთს ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სსრკ-ის დროს გამოცემულ 1955 წლის რუკაზე, ლარსი საქართველოს საზღვრებშია აღნიშნული.

ახლად აღმოჩენილ საბუთებსა და რუკებში: 1689 წლის რომში გამოცემულ რუკის, პარიზის საარქივო მასალების და ჰარვარდის საბუთების მიხედვით მტკიცდება, რომ, ლარსი და მისი მიდამოები საქართველოს ისტორიულ მხარეს წარმოადგენს. თუმცა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელებისათვის ეს არაფერს არ ნიშნავს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1927 წელს რუსეთს გადაეცა ყოფილი დუშეთის მაზრის ჩრდილოეთი ნაწული, **მელხესტისა** და **ცეკაროს** მიდამოები, 166 კვ. კმ. ფართობით და დაახლოებით 1 600 სული მოსახლით.

1990 წელს რუსეთმა დაიკავა ხევსურეთის ზემო მხარე, სოფ. **ნაძვები** და მისი მიმდებარე მიდამოები. თუშეთში, რუსეთის მესაზღვრეები **დიკლოს მთამდე** გადმოვიდნენ და 24 კვ.კმ. დაიკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მხარს უჭერდნენ საზღვარგარეთის სხვადასხვა სახელმწიფოები და გმობენ რუსეთის ხელისუფლების მოქმედებებს საქართველოს მიმართ და ამის გამო რუსეთს გართულებული ურთიერთობა აქვს ამ სახელმწიფოებთან, ის მაინც მიზანმიმართულად, თანდათან განაგრძობს საქართველოს საზღვრების, ზემოთ ნახსენებ „მცოცავ ანექსიას“.

§3. აღმოსავლეთის საზღვარი.

დღევანდელ დღეს, საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი იწყება კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. **მანიმისწყლის** სათავეში მდებარე **ტინოვროსოვოს** მთიდან. ჩამოდის **ალაზნის ველზე**, გასდევს მდ. **ალაზანს**, შემდეგ **მინგეჩაურის წყალსაცავს** დასავლეთით მიჰყვება დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით და მთავრდება მდ. **იორის** შესართავთან.

პ. ინგოროყვა, 1918 წელს საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრის შესახებ წერდა:

„ბ). აღმოსავლეთით: მდინარეების – ქურმუხისა და ალაზნის აუზების აღმოსავლეთი მიჯნა, მდ. მტკვარი, და მდ. ძეგამი.

საზღვრის ხაზი მიჰყვება ჯერ ქედს, რომელიც ჩამოვარდება ზემოხსენებული მწვერვალიდან 11 389 სიმაღლისა და გაივლის რა გზად მწვერვალებს: ქასაპს, უსახელო მწვერვალს 8 568 ფუტის სიმაღლისა, უსახელო მწვერვალს 3 682 ფუტის სიმაღლისა, – მიადგება მდ. ყაშყაჩაის ამ უკანასკნელი მწვერვალიდან ოთხ კილომეტრზე სამხრეთით. აქედან საზღვრის ხაზი მიჰყვება მდ. ყაშყაჩაის (ცნობილს ქვემოდ ყარაჩაის სახელით) – ვიდრე ეს მდინარე ერთვოდეს მდ. აგრიჩაის. მოკიდებული ამ პუნქტიდან საზღვრის ხაზი გაივლის ჯერ ბოზდ-დაღის მწვერვალს, შემდეგ უსახელო მწვერვალს 1 684 ფუტის სიმაღლისა (– რომელიც მდებარეობს ყონჯიშინის ქედზე), და მიადგება მდ. მტკვარს – მდ. ალაზნის შესართავთან. მოკიდებული აქედან საქართველოს საზღვარია ჯერ მდ. მტკვარი ვიდრე მდ. ძეგამის შესართავამდე, ხოლო შემდეგ – მდ. ძეგამი ვიდრე სათავეებამდე (ალაგელარის მწვერვალამდე – მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედზე)". (92).

მისივე თქმით, საქართველოს აღმოსავლეთ სანაპიროებს წარმოადგენენ: 1) **ქვემო ყარაიას ველი**; 2) **ზაქათალა** და 3) **ბამბაკი და ყაზახ-შამშადილი**, რომლებიც „ტფილისის პროვინციის განუყოფელ პინტერლანდს წარმოადგენენ". ავტორი, ამ მხარეების მოსახლეობის შესახებ გადმოგვცემს, რომ:

ქვემო ყარაიას ველი – დაუასხლებელია;

ზაქათალის ოლქში, 1909 წლისათვის ითვლებოდა – ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებით – 69825 სული მკვიდრი მცხოვრებნი და მოსახლეობა შედგებოდა 4 ხალხისაგან:

ჭარელები, ნეხურელები, მუდალები და ქართველები.

ჭარელები – ენით ავარიელების შორეული ნათესავები არიან და ლეკების ცალკე ტომს წარმოადგენენ. სულ არიან 29 785 სული. 42,6%;

ნეხურელები – ლეკებს ეკუთვნიან, თუმცა ენა განსხვავებული აქვთ. სულ 11 485 სულნი არიან და მოსახლეობის 16,5% შეადგენენ;

მუდალები – წარმოშობით მონღოლებია, დავიწყებული აქვთ საკუთარი ენა და ლაპარაკობენ თურქულ ენაზე. სულ 11 121 სული, 15,9%;

ქართველები – „ითვლება აქ 17 434 სული (=25%), მათ შორის ქრისტიანი ქართველი 4 263 სული, მუსულმანი ქართველი – 13 171 სული. როგორც ქრისტიან, ისე მუსულმან ქართველებს წმინდად შეუნახავთ ქართული დედა-ენა.

ზაქათალის ოლქის ამ ოთხ პატარა ეროვნულ ჯგუფებს შორის ადგილობრივი მკვიდრი ელემენტი ქართველები არიან, ხოლო სხვები ბოლო დროს არის ჩამოსახლებული ამ ძირეულ ქართულ პროვინციაში". (იხ. ქვემოთ – „საინგილო" ა. ფ.).

ბამბაკში და ყაზახ-შამშადილში – „სულ ორსავე კუთხეში ითვლება 1916 წლისათვის 178 000 სული მკვიდრი მცხოვრები, უმთავრესად საქართველოს სომხები და თათრები, ჩამოსახლებულნი საქართველოს ამ ოლქებში სხვადასხვა დროს, ეს ხალხი ხანგრძლივი მეზობლური ურთიერთობისა გამო ქართველობასთან – კულტურულად დაუახლოვდა საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთ. ამიტომაც იყო ეს მხარე, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობის დიდ პროცენტს შეადგენდა მუსულმანობა, ყველაზე ლოიალური პროვინცია იყო საქართველოს სახელმწიფოსი და მისი ჩამოშორება ვერ შესძლო დიდმა მეზობელმა". (92).

1. აზერბაიჯანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს აღმოსავლეთით მდებარეობს აზერბაიჯანი და საზღვარის სიგრძეა, დაახლოებით 322 კმ.

არქეოლოგიური ძეგლებიდან ჩანს, რომ დღევანდელ აზერბაიჯანის მიწა-წყალზე მობინადრე უძველესმა ტომებმა, ჩრდილოეთ მხარეში – **ალვანელებმა** (კავკასიის ალბანელები), აღმოსავლეთში – **კასპიებმა**, სამხრეთში – **მანელებმა, მიდიელებმა** და **ქადუსიმებმა**, გაიარეს ყველა ცნობილი არქეოლოგიური კულტურები.

კასპიები იყვნენ „იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომები, ცხოვრობდნენ აზერბაიჯანის ველებში. პირველად ახსენა ჰეროდოტემ ძვ. წ. V ს-ში. მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. I ს.) შეერივნენ მიდიელებს, ალბანელებს და სხვა ტომებს. მათი სახელი ეწოდა კასპიის ზღვას და ძვ. აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქს – კასპიანეს". (10, ტ.5, გვ.425).

არქეოლოგიური მასალებით მტკიცდება, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ურმის ტბის მიდამოებში არსებობდა რამდენიმე ტომთა გაერთიანება.

ძვ. წ. IX საუკუნეში ურმის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთში წარმოიქმნა სახელმწიფო – **მანა.** ამავე საუკუნეში მანას სამეფოს მიწა-წყალზე ჩამოსახლდნენ მომთაბარე ტომები: **სკვითები** და **კიმერიელები**, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ მანას სამეფოზე, განსაკუთრებით – სკვითები. ძვ. წ. VIII საუკუნეში მანა მძლავრ სახელმწიფოდ იქცა, რომლის მოსახლეობას შეადგენდნენ, აზერბაიჯანის მიწა-წყალზე მცხოვრები სხვადასხვა ტომები და აზერბაიჯანის სამხრეთ მხარეში მყოფი ირანული ტომებიც.

ძვ. წ. VII საუკუნეში მანა ებრძოდა, ახლანდელ ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში მდებარე ასურეთისა და ვანის ტბის მიდამოებში (დღევანდელ თურქეთში) წარმოქმნილ **ურარტუს სამეფოს.** გამუდმებულმა ომებმა, მანას სამეფო დაასუსტა და ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს, მანას სამეფო **მიდიის** სამეფოს შემადგენლობაში მოექცა..

მიდიელები წარმოადგენდნენ ირანულენოვან ტომებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ირანის ჩრდილო-დასავლეთში, დღევანდელი აზერბაიჯანის სამხრეთ მხარეში. მიდია მოიცავდა სამ დიდ რაიონს: ე. წ. **ატროპატენეს მიდიას, ქვემო მიდიას** და **პაროტაკენეს.** მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ისინი, ჩრდილოეთ კასპისპირა კავკასიიდან ჩამოსახლებულან, ხოლო ზოგიერთი ავტორის აზრით მიდიელები გადმოსახლებულან შუა აზიიდან. დროთა განმავლობაში ისინი შეერწყმენ, ამავე მხარეში უძველეს მცხოვრებ არაირანულ ტომებს. პირველად მიდია („მადაი") მოხსენებულია ძვ. წ. IX საუკუნის II ნახევარში ასურულ წყაროებში. ძვ. წ. IX–VII წარმოიქმნა მიდიელ ტომთა გაერთიანება, რომელიც ებრძოდა ასურეთს. ძვ. წ. 673 წელს წარმოიქმნა **მიდიის** სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი გახდა **ეკბატანა** (ახლანდ. ჰამადანი). ძვ. წ. 652–625 წლებში მიდიაში სკვითები გაბატონდნენ. წყაროებში **„მიდიის სამეფო"** პირველად მოხსენებულია ძვ წ. 672 წლიდან. სკვითების ბატონობას ბოლო მოუღო, მიდიის მეფემ (ძვ. წ. 625/624–585/584) კიაქსარიმამ (კოაქსარი), რომლის დროსაც მიდიის სამეფო უძლიერესი სახელმწიფო გახდა. მან დაიპყრო ირანის მიწები და მანის სამეფო.

ძვ. წ. 553 წელს აჯანყდა მიდიის დაქვემდებარებაში მყოფი სპარსეთი და მძიმე ბრძოლების შემდეგ დაეცა ეკბატანი, რომელიც აქემენიდთა სპარსეთის დედაქალაქი გახდა. მიდიის სამეფომ დამოუკიდებლობა დაკარგა.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის სახელმწიფოს დამარცხების შემდეგ, ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს აღსდგა სამხრეთ აზერბაიჯანის მხარეში, ალვანეთის მეზობლად, მიდიის სახელმწიფო. თუმცა, ის მოიცავდა ძველი მიდიის მხოლოდ მცირე ნაწილს. რომელიც წყაროებში მოხსენებულია, როგორც **ატროპატენი,** ზოგჯერ მცირე მედიად. აქედან კი წარმოიშვა სპარსული სახელწოდება „ადარბადაგანი", ხოლო შემდგომში – **აზერბაიჯანი.**

ცნობილია, რომ მიდიელებს თავისი დამწერლობაც ჰქონდათ. „როგორც ფიქრობენ, მიდიური დამწერლობა განვითარდა ურარტული დამწერლობისაგან და შესაძლებელია საფუძვლად დაედო აქემენიდური ლურსმულ დამწერლობას. ვარაუდობენ, რომ მიდიელები და სპარსელები ენობრივად

ენათესავებოდნენ ერთმანეთს. შესაძლებელია, მოგვები იყვნენ მიდიელი „ტომები“, რომლებიც ქურუმის ფუნქციებს ასრულებდნენ“. (10, ტ.6, გვ.678).

ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანის სამხრეთში ჩამოყალიბდა სახელმწიფო **ატროპატენა**.

ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში, აზერბაიჯანის ჩრდილოეთში და დაღესტნის სამხრეთ მხარეში, წარმოიქმნა **ალვანეთის** (კავკასიის ალბანეთი) სახელმწიფო, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილსაც მოიცავდა. (იხ. ქვემოთ).

„ატროპატენისა და ალბანეთის მკვიდრი მოსახლეობა შემდგომ ჩამოყალიბებული აზერბაიჯანის ხალხის ორ ძირითად ეთნიკურ სუბსტრატს წარმოადგენდა. ალბანელები იბერიულ-კავკასიური მოდგმის იყვნენ, ატროპატენელები – ირანულისა.“ (10, ტ.1, გვ.189).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შემდგომ დროსაც აზერბაიჯანელები ხშირად განიცდიდნენ მომთაბარე და მსხვემი ტომების თავდასხმებს, როგორც ჩრდილოეთის მხრიდან, ასევე სამხრეთიდანაც.

ახ. წ. III საუკუნის II ნახევრიდან აზერბაიჯანელები თავს იცავდნენ ირანისა და რომის შემოტევებისაგან და ის გახდა ამ ორი იმპერიის სათარეშო მოედანი.

(IV–VI) საუკუნეებში აზერბაიჯანში დაიწყო თურქულენოვანი ტომების (ბულგარელების, საბირების, ქუშანების, ხაზარების, ჰუნების) თავდასხმები. მათი ნაწილი ჩასახლდა და შემდგომში ადგილობრივ მოსახლეობას შეერია.

VIII საუკუნეში აზერბაიჯანი ჯერ დალაშქრა მურვან ყრუმ, ხოლო ამავე საუკუნის II ნახევარში არაბებმა დაიმორჩილეს აზერბაიჯანი და სწრაფად დაიწყო მუსულმანური სარწმუნეობის გავრცელება. აჯანყებების შედეგად, IX საუკუნეში აზერბაიჯანელებმა შეძლეს განთავისუფლებულიყვნენ არაბთა ბატონობისაგან და დაიწყო დამოუკიდებელი სამთავროების და სახელმწიფოების ჩამოყალიბება: **შირვანის** – დედაქალაქი **შემახა**. მათ მმართველებს ეწოდებოდათ **შირვან-შაჰები, სალარიდების** (მოზაფერიდების) ირანული წარმოშობის საგვარეულოს სახელმწიფო – დედაქალაქი **არდებილი**, განჯის ოლქში ქართული წარმოშობის ფეოდალური საგვარეულოს **შედადინების სახელმწიფო არანში** (ალვანეთის მიწა-წყალზე) – დედაქალაქი **განძა, საჯიდების სახელმწიფო** – დედაქალაქი ფიქრობენ, რომ უნდა ყოფილიყო აზერბაიჯანში და სხვ.

XI საუკუნის შუა ხანებში აზერბაიჯანში დაიწყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები, რომელთა წინააღმდეგ აზერბაიჯანელები ხშირად თავს იცავდნენ ქართველებთან ერთად. დავით აღმაშენებელის დროს, აზერბაიჯანის სამთავროები საქართველოს მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1136 წელს აზერბაიჯანის სამხრეთ და ჩრდილოეთ ირანში ჩამოყალიბდა **ილდეღიზიდთა** (ელდეღიზიდების) საგვარეულოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა არანსა და ნახიჩევანსაც. მათი მმართველები და თურქ-სელჩუკები ხშირად იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. 1225 წელს გაანადგურა ჯალალედინმა.

(XI–XIII) საუკუნეებში აზერბაიჯანში თურქ-სელჩუკთა ტომების ჩასახლებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად, ძირითადათ დამთავრდა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბება და თანდათან თურქული ჯგუფის აზერბაიჯანული ენა ჩამოყალიბდა.

XIII საუკუნის I ნახევრიდან აზერბაიჯანი მონღოლების, თურქმანული ტომებისა და სეფიანთა სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მოექცა. ხოლო XVIII საუკუნის I ნახევარში ამიერკავკასია და მათ შორის აზერბაიჯანიც ოსმალეთმა დაიპყრო. ამავე საუკუნის II ნახევარში აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა სახანოები: **ყუბის, შაქის, ყარაბაღისა** და სხვა. დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლების დროს, სახანოები ამყარებდნენ კავშირს საქართველოსთან და რუსეთთან.

1813 წელს სოფ. გულისტანში (ყარაბაღი) რუსეთსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველო, დაღესტანი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანი რუსეთის შემადგენლობაში მოექცა. ხოლო (1826–1828) რუსეთ-ირანის ომის დასასრულს, სოფ. თურქმანჩაიში (თავრიზის ახლოს) რუსეთსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულებით, რუსეთს გადაეცა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოებიც. ამრიგად რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა კავკასიაში და რუსეთმა დაიწყო კოლონიური მმართველობის დამყარება. აზერბაიჯანში გაუქმდა სახანოები და ჩამოყალიბდა გუბერნიები და მაზრები.

1858 წლის 2 დეკემბერს შემახიის გუბერნიაში მომხდარი საშინელი მიწისძვრის შემდეგ, დედაქალაქი შემახადან ბაქოში გადმოიტანეს.

1883 წელს გაიხსნა თბილისი-ბაქოს რკინიგზის ხაზი. რამდენიმე წლის შემდეგ ბაქო გადაიქცა მსხვილ სარკინიგზო ხაზად და კასპიის ნავსადგურად. ამან კი ხელი შეუწყო აზერბაიჯანში ნავთობ მრეწველობისა და გაზის წარმოების სწრაფ განვითარებას. რასაც მოჰყვა აზერბაიჯანში და ბაქოში, რუსეთის იმპერიიდან, ირანიდან და სხვადასხვა ადგილებიდან მუშათა დიდი რაოდენობით თავმოყრა.

XX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიაში დაიწყო როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კრიზისი. აზერბაიჯანში მუშების სიმრავლემ და მძიმე მდგომარეობამ გამოიწვია გაფიცვები, რევოლუციური განწყობილება, პოლიტიკური პარტიების, ნაციონალური ორგანიზაციებისა და სხვადასხვა კავშირების ჩამოყალიბება (ბოლშევიკების, მენშევიკების, ესერების, ანარქისტების და სხვ.).

1917 წლის 31 ოქტომბერს (13 ნოემბერს) ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭომ, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. „1918 წელს ბაქოს ბოლშევიკებმა დაიწყეს სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბება“ და მალე, რუსეთის მხარდაჭერით, (რუსეთიდან მიიღეს დიდი რაოდენობის იარაღი, საჭურველი და სურსათიც-კი), აზერბაიჯანის სხვადასხვა მხარეებში „ხელთ იგდეს ძალაუფლება და დამყარდა ე. წ. „ბაქოს კომუნა“. ამავე წლის აპრილის ბოლოს, „ბაქოს კომუნის“ ბოლშევიკების გაერთიანებულმა ლაშქარმა, სადაც სჭარბობდნენ ეთნიკური სომხები და სომხეთის ნაციონალური პარტიის „დაშნაკტუცუნი“-ს პარტიის წარმომადგენლები, ბაქოში მოაწყვეს ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ცნობილია როგორც „მარტის მოვლენები“-ს სახელწოდებით, რომლის დროსაც დაიღუპა 12 000-მდე მუსულმანი. ხოცვა-ჯლეტა გაგრძელდა ბაქოს გუბერნიის სხვა დასახლებულ ადგილებში, კერძოდ შუმახაში, ყუბაში და სხვა დასახლებულ ადგილებში.“ (110).

1918 წლის 28 მაისში (9 ივნისი) აზერბაიჯანში დამყარდა დემოკრატიული რესპუბლიკა (ადრ). დედაქალაქი გახდა ქ. განჯა. ამავე წლის 4 ივნისს ბათუმში ადრ-სა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას. 27 ივნისს აზერბაიჯანული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად. ამავე ხანებში, ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა მთავრობის საგანგებო კომისარი კავკასიაში სტეფანე შაუმიანის (1878–1918) ბრძანებით, ბაქოს საბჭოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს შეტევა განჯაზე. სისხლის მღვრელი ბრძოლების შემდეგ, აზერბაიჯანისა და თურქეთის შეერთებულმა ძალებმა დაამარცხეს საბჭოების ძალები და 15 სექტემბერს შევიდნენ ბაქოში, სადაც, ბაქოში მუსულმანების გაწყვეტის გამო, სამაგიეროს გადახდის მიზნით, მოაწყვეს სომხების ხოცვა-ულეტა. ამის შემდეგ, ადრ-ის მთავრობა განჯიდან გადავიდა ბაქოში. 31 სექტემბერს, I მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ, თურქებმა ბაქო დატოვეს. მალე აზერბაიჯანი დაიკავეს ინგლისის ჯარებმა. მათი დახმარებით ადრ-ემ დაიწყო თავისი საჯარისო ნაწილების ჩამოყალიბება. 1920 წელს რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ აზერბაიჯანი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან დენიკინის დამარცხების შემდეგ, XI წითელი არმია აზერბაიჯანის ჩრდილოეთ საზღვრებს მიუახლოვდა. ამავე ხანებში, აზერბაიჯანელებს მოუხდათ შეტაკებები, სომხეთის დაშნაკების ხელისუფლებასთან: ნახიჩევანში, მთიან ყარაბაღში და სხვ. სომხეთის ხელში იმყოფებოდა აზერბაიჯანის დასავლეთი მხარე, ხოლო, აღმოსავლეთში გამუდმებით ხდებოდა კომუნისტების მიერ განხორციელებული აჯანყებები.

28 აპრილს აზერბაიჯანში XI წითელი არმია შეიჭრა. დაიკავა ბაქო და აზერბაიჯანი გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აზერბაიჯანის საბჭოთა ჯარმა სომხეთს შეუტია და დაკარგული მიწები დაიბრუნა. 1920 წლის 10 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თანახმად ყარაბაღი და ნახჭევანი აზერბაიჯანს დარჩა.

მართალია აზერბაიჯანი თითქოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, მაგრამ ის იმართებოდა მოსკოვიდან. 1922 წლის მარტში აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი გაერთიანდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში (ასფსრ). ხოლო ამავე წლის დეკემ-

ბრის 30-ში ასფსრ შევიდა სსრკ-ში. „1936 წელს ასფსრ გაუქმდა და მასში შემავალი სამივე რესპუბლიკა შევიდა სსრკ-ში როგორც მოკავშირე რესპუბლიკები (სინამდვილეში – როგორც კოლონიები ა. ფ.). აზერბაიჯანში მყოფ თურქებს ეწოდათ აზერბაიჯანელები, და მათ ნაციონალურ ენასაც – აზერბაიჯანული ენა. მაშინვე საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებით აზერბაიჯანის დამწერლობა გადავიდა ლათინურიდან კირილიცაზე." (110). აზერბაიჯანული ენის „ლექსიკის ძირითადი ნაწილი საკუთრივ აზერბაიჯანულია. მრავლადაა არაბ-სპარსული, აგრეთვე რუსული ნასესხობანი. შეინიშნება კავკასიელ ხალხთა ენების (ქართ., სომხ., დაღ.) გავლენაც.

აზერბაიჯანული ანბანი 1929-მდე არაბული იყო, 1929–39-ში – ლათინური. 1939-იდან შემოღებულია რუსული გრაფიკა, რასაც ემატება 7 გრაფემა სპეციფიკური ბგერების გადმოსაცემად." (10, ტ.1, გვ.203).

როგორც სხვა რესპუბლიკებში, აზერბაიჯანს შეეხო ყველა ის მოვლენა, რომელიც ჩატარდა სსრკ-ში. 1960 წლიდან აზერბაიჯანში ნავთობის წარმოებასთან დაკავშირებით წარმოიქმნა ეკონომიკური კრიზისი, ვინაიდან ნავთობის ამოღება შემცირდა ზოგიერთი საბადოების გამოფიტვის გამო და სსრკ-ში სხვა ადგილებიდანაც დაიწყეს ნავთობის მიღება. ამავე ხანებში აზერბაიჯანში დაიწყო ეთნიკური დაპირისპირება, ძირითადად სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რომელიც შემდეგ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რომელიც ჯარის მიერ ჩახშობილ იქნა.

1969 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ აზერბაიჯანის კპ-ის პირველ მდივნად ჰ ე ი დ ა რ ა მ ი რ ზ ა ო ღ ლ ი ა ლ ი ე ვ ი (1923–2003) დანიშნა. რომელმაც აზერბაიჯანის ეკონომიკური მდგომარეობა დროებით გააუმჯობესა (სოფლის მეურნეობაში ბამბის დანერგვის ხარჯზე). მის დროს დაიწყო მმართველ ადგილებზე ეთნიკური აზრბაიჯანელების დანიშვნა. სსრკ-ის უკანასკნელი პრეზიდენტის (1990–1991) მ ი ხ ე ი ლ გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი ს მიერ, ჯერ კიდევ 1985 წლიდან მისი სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ყოფნისას, დაწყებული „გარდაქმნის" („პერესტროიკის") წინააღმდეგობის გამო, იგი თანამდებობიდან გადააყენეს.

მ. გორბაჩოვის დროს სსრკ-ში ე. ნ. „გლასნოსტ"-ის („საჯაროობა") დროს ხალხმა საჯაროდ „ხმა ამოიღო", დაიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე ნაშრომების გამოქვეყნება და პოლიტიკურ ორგანიზაციებისა და პარტიების ჩამოყალიბება. ამავე დროს სხვადასხვა ადგილებში გამწვავდა ეთნიკური დაპირისპირებაც. აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა 1988 წელს „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი" (ასფ), „კომუნისტური პარტია" და სხვ.

როდესაც აზერბაიჯანში, სახელმწიფოს მიწა-წყლის მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ დაიწყო გამოსვლები, „1990 წლის 19 იანვარს, გვიან ღამით, საგანგებო მდგომარეობის გამოუცხადებლად, სსრკ-ს ხელმძღვანელობის, პირადად მ. გორბაჩოვის მითითებით, 3 500 საბჭოთა სამხედრო ჯარისკაცი ბაქოში შეიჭრა. ტანკებმა და ჯავშან-ტრანსპორტიორებმა გაჟლიტეს და გაანადგურეს ყველა და ყველაფერი საკუთარ გზაზე. ადამიანებს ესროდნენ ქუჩებში, ტრანსპორტში, საკუთარ სახლშიც კი. ცეცხლს უხსნიდნენ სასწრაფო დახმარების მანქანებს, რომლითაც დაჭრილები გადაჰყავდათ. 137 დაღუპული, 700-მდე დაჭრილი, 800-ზე მეტი უკანონოდ დაპატიმრებული, აგრეთვე უამრავი უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანი — ეს არის 1990 წლის „შავი იანვრის" სტატისტიკა.

ტრაგედიიდან მეორე დღეს აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი სიტყვით გამოვიდა მოსკოვში აზერბაიჯანის მუდმივ წარმომადგენლობაში და ღიად მიუთითა სისხლიანი მოვლენების დამნაშავეებზე მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით.

1990 წლის იანვრის სისხლიანმა ჟლეტამ ვერ ჩაახშო აზერბაიჯანელი ხალხის ნება და სურვილი ებრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. საკუთარი ქვეყნის შვილებმა, რომლებიც იმ ტრაგიკულ ღამეს დაიღუპნენ, ნათელი ფურცელი ჩაწერეს ქვეყნის ისტორიაში და სახელმწიფოს ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დაუდეს სათავე." (65).

1991 წლის 30 აგვისტოს აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ სსრკ-გან გამოსვლა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. პირველი პრეზიდენტი (1991–1992) გახდა „კომუნისტური პარტიის" წარმომადგენელი ა ი ა ზ ნ ი ა ზ ო ღ ლ ი მ უ ტ ა ლ ი ბ ო ვ ი. მაგრამ, მთიან ყარაბაღში მდგომარეობის გართულების გამო, 1992 წლის 6 მარტს ოპოზიციის ძალდატანებით მუტალიბოვი გადადგა. პრეზიდენტი გახდა ი ა გ უ ბ მ ა მ ე დ ო ვ ი. მალე, 14 მაისს მუტალიბოვის მომხრეებმა შეძლეს მისი

პრეზიდენტად აღდგენა. თუმცა ამავე წელსვე დაიწყო ოპოზიციონერების გამოსვლები და როდესაც პრეზიდენტის სასახლეში შეიჭრნენ, აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტმა მოასწრო გაფრენა მოსკოვში. 19 მაისს პრეზიდენტი გახდა ისა გამბარი (აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი). 1992 წლის 16 ივნისს საპრეზიდენტო არჩევნებში, ხმათა უმრავლესობით, აზერბაიჯანის პრეზიდენტი გახდა, „ნაციონალური სახალხო ფრონტი"-ს პარტიის წევრი, დისიდენტი, აბულფაზ ელჩი-ბეი ალიევი (1938–2000). 1993 წელს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, გადადგა და წავიდა საზღვარგარეთ. გარდაიცვალა თურქეთში 2000 წელს ავადმყოფობის გამო. 1993 წლის 3 ოქტომბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტი გახდა ჰეიდარ ალიევი (პარტია „ახალი აზერბაიჯანი"). ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, პრეზიდენტად აირჩიეს (2003 წლის 31 ოქტომბრიდან – დღემდე) ილჰამ ალიევი, ჰეიდარის ძე (დ. 1961) („ახალი აზერბაიჯანი").

1.1. ალვანეთი (კავკასიის ალბანეთი).

ისტორიკოსი, გეოგრაფი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ჩანგაშვილი აღნიშნავს, რომ: „შუა საუკუნეების ისტორიულ წყაროებში ამ სახელმწიფოს სახელწოდება მოხსენებულია როგორც „ალვანეთი", მკვლევართა ერთი ნაწილი დღემდე მას უწოდებს „ალბანეთს", რაც არაა სწორი: მით უმეტეს, რომ სახელმწიფო, ალბანეთი სხვაც არსებობს. (36, გვ.25). ქართულ წყაროებში მოხსენებული არის როგორც **„ალვანეთი"**. სომხურში – „აღვანქ-ი". დღევანდელ დღეს – ალბანეთი (კავკასიის ალბანეთი).

ალვანეთი წარმოადგენდა ადრინდელ სახელმწიფოს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რომელიც მოიცავდა დღევანდელ აზერბაიჯანს და დაღესტნის რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილს. მისი საზღვრები ისტორიული მსვლელობის დროს განიცდიდა ცვლილებებს, მის საზღვრებში ძირითადათ შედიოდა: ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაწყებული, აღმოსავლეთით – კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროები, დასავლეთით – იბერიამდე და სამხრეთით – მდ. არაქსისა და მტკვრის ქვემონელამდე (მუღანის ველებამდე) მხარეები. მდ. მტკვარი მას ორ ნაწილად ყოფდა: მარცხენა და მარჯვენა ნაპირების ალვანეთად. ცნობილია, რომ მდ. **არაქსი** რომელიც დღევანდელ დღეს მტკვარს მარჯვენა მხრიდან ერთვის, ადრე უშუალოდ ერთვოდა კასპიის ზღვას.

ისტორიკოსი თენგიზ პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ: „ანტიკური, ძველი სომხური და ძველი ქართული საისტორიო წყაროების ცნობები ცხადყოფენ, რომ კავკასიის ალბანეთის მოსახლეობა არ ყოფილა ერთგვაროვანი, მის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები მოსახლეობდა. მაშასადამე, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ტერიტორია, რომელზედაც წმინდა ალბანური მოდგმის ტომები მოსახლეობდნენ და ტერიტორია, რომელიც ალბანთაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს ეკავათ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს წყაროებში თვით მცნება: „ალბანელები" და „ალბანეთი" წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და გარკვეულ პერიოდში იგი აღნიშნავდა ალბანელთა მეთაურობით შექმნილ სხვადასხვა ტომთა პოლიტიკურ გაერთიანებას". (30, გვ.56).

ისტორიკოსი ვარლამ დონდუა მიუთითებს, რომ: „ალბანეთი" გეოგრაფიული წარმოდგენით, ძველი მწერლების მიხედვით (სტრაბონი და სხვ.), იკავებდა ტერიტორიას, რომლის დასავლეთი სექტორი, უდავოდ ეკავათ ივერიის მოსაზღვრე ქართველ ტომებს: კახებს (ან კახელების ნაწილს), ერებს (ჰერებს), მერმინდელ ინგილოებს". (30, გვ.88).

ალვანური მოსახლეობა შედგებოდა დასავლეთ კასპიისპირეთის უძველესი ბინადარი ალვანური და არაალვანური მოსახლეობისაგან. სტრაბონის გადმოცემით, ალვანური მოსახლეობა შედგებოდა სხვადასხვა ეთნიკური ტომებისაგან, რომლებსაც საკუთარი ენა ჰქონდათ და საუბრობდნენ 26 ენაზე. ალვანური მოსახლეობიდან ძირითადი ტომები იყვნენ: **ალვანელები, უტიები (უდინები), ჰერები** და ჰერული მოდგმის ტომები **სუჯები, გარგარელები, გელები, ლეგები**; ხოლო უცხო ეთნიკური ტომებიდან იყვნენ: **საკები** (საკასენები). ალვანელი ტომები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიური წყობით განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

ალვანური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ძეგლებიდან ჩანს, რომ ერთ დროს ალვანელებს საკუთარი დამწერლობა ჰქონიათ, რომელიც V საუკუნეში შეიქმნა. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სომხეთის კათალიკოსი სპარსეთში გაგზავნილ ეპისტოლეში სწერდა, რომ „რაც წინათ მოგწერეთ კიდეც ქართველებთან და ალბანელებთან ერთად თითოეულმა თავიანთი საკუთარი დამწერლობითო". (2, ტ.I, გვ.311).

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ალვანური „დამწერლობა უნდა მომდინარეობდეს ბერძნული ანბანის პრინციპზე ორიენტირებული არამეული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობიდან. ტოპოლოგიურად უახლოვდება ქართულ და სომხურ დამწერლობას, ხოლო ანბანის რიგით განსხვავებულია მათგან". (10, ტ.1, გვ.277).

მეცნიერთა აზრით, როდესაც ძვ. წ. III საუკუნეში ყალიბდებოდა ქართლის სამეფო, ამავე დროს თანდათან ხდებოდა დასავლეთ ალბანელების, მონათესავე ტომთა გაერთიანება ქართლის სამეფოსთან, რასაც ხელს უწყობდა შემდგომში ქრისტიანული, ქართული (დიოფიზიტური), სარწმუნეობის გავრცელება ალვანეთში. წყაროებიდან ჩანს, რომ ალვანეთში, ქართული, ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელებასთან ერთად, ვრცელდებოდა ქართული დამწერლობაც. ასევე ხდებოდა ალვანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებ ტომებზე მოსაზღვრე სომხეთიდან ზეგავლენა და სომხური სარწმუნეობის (მონოფიზიტური) გავრცელება. ამან კი გამოიწვია ალვანეთში ქართულ და სომხურ სარწმუნეობათა დაპირისპირება, რომელიც გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში (იხ. ქვემოთ). თანდათან, პოლიტიკური ვითარების გამო, ალბანური, ქართული, დამწერლობა გამოვიდა ხმარებიდან და VII საუკუნიდან ალვანეთში ისლამის გავრცელების გამო, საბოლოოდ კიდევაც მოისპო.

ენათმეცნიერი, ფილოლოგი, არქეოლოგი, ორიენტალისტი და კულტურის ისტორიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) მარი (1864–1934) „აღნიშნავდა: «სომხების ნაციონალურმა გაერთიანებამ ქართულმა ნაციონალურ გაერთიანებასთან ერთად გაინაწილეს ერთმანეთს შორის და ერთმანეთში გათქვიფეს ალბანეთი."

შემდგომში აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში, მონაწილეობას ღებულობდა ძველი ალბანეთის სწორედ ეს მოსახლეობა, რომელმაც განიცადა რა ქართული და სომხური კულტურის ძლიერი გავლენა, მიიღო ისლამი და საურთიერთო ენად გადაიქცა თურქულ-აზერბაიჯანული". (30, გვ.81).

ერთიანი ალვანური ხალხის ჩამოყალიბებაში, ზეგავლენა იქონია ალვანურ ტომებთან შედარებით უფრო განვითარებულმა მეზობლებმა – ქართველებმა და სომხებმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხარეში მყოფი სახელმწიფო და მცხოვრებლები, წყაროებში მოხსენებულია როგორც „ალბანეთი" და „ალბანელები". პირველად ბერძნულ წყაროებში „ალბანეთი" (Albania) მოხსენებულია IV საუკუნეში.

„ზოგი მკვლევარის აზრით კავკასიის და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელწოდებათა დამთხვევა იმით აიხსნება, რომ კავკასია – მცირე აზია – ხმელთაშუაზღვის სამყაროს უძველესი მოსახლეობის ენაზე სიტყვა „ალბ" – „ალპ" მთიანეთს აღნიშნავდა....

ალბანელები პირველად იხსენიებიან გავგამელასთან ბრძოლის დროს აქემენიანთა ლაშქრობის შემადგენლობაში (ძვ. წ. 331). ძვ. წ I ს.". (10, ტ.1, გვ.276).

ცნობილია, რომ ძვ. წ. IX–VII საკუნის შუახანებში, ალვანეთში შეიჭრნენ ირანული მოდგმის ტომები **საკები** (საკასენები), რომლებმაც დაიკავეს სამხრეთში მდ. მტკვრის შუა წელი, განჯისა და შაქის მიდამოები.

ძვ. წ. 550 წელს ალვანეთი დაიპყრო სპარსეთის მეფემ, (ძვ. წ. 558–530) აქემენიდების სახელმწიფოს დამაარსებელმა, კიროს II დიდმა (ძვ. წ. 530).

დღევანდელი აზერბაიჯანის მინა-წყალზე მცხოვრები ტომები, აქემენიდებთან და შემდგომში სელევკიდებთან და მომთაბარე ტომებთან ბრძოლებისას, თანდათან გაერთიანდნენ და ჩამოყალიბდა **ალვანეთის სამეფო.** ცნობილია, რომ ძვ. წ. I საუკუნეში ალვანეთში ხდებოდა პირველყოფილი-თემური წყობილებიდან გადასვლა ადრინდელ კლასობრივ საზოგადოებაზე. ამავე საუკუნეში ჩამოყალიბდა ალვანეთის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი გახდა **კაბალა.**

მტკვრის მარცხენა მხარეში მყოფი ჰერულმა ტომებმა, ძვ. წ. IV საიკუნიდან დაიწყო ალვანური გაერთიანებიდან განცალკევება და შეერთება იბერიასთან. წყაროებიდან ჩანს, რომ ალვანელებსა და იბერიელებს ბევრი რამ საერთი ჰქონდათ და ისინი კიდევაც ენათესავებოდნენ ერთმანეთს. ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთი) მყოფი ტომები: **არაცხისა** (მთიანი ყარაბაღი), **უტიები** (ბარის ყარაბაღი) და **კასპიანა** (ფაიტაკარანი) ძვ. წ. II საუკუნიდან სომხეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ. „ამ ოლქთა ჩამოშორების შემდეგ სასაზღვრო ხაზი ალბანეთსა და სომხეთს შორის გადიოდა მდ. მტკვარზე. უტი, არცახი და ფაიტაკარანი სომხეთის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდნენ ახ. წ. IV საუკუნემდე, რის შემდეგაც ისინი ისევ ალბანეთმა შეიერთა. თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში „დიდი სომხეთის" სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ ყოფნამ დიდი გავლენა მოახდინა ამ ძირძველი ალბანური ოლქების განვითარებაზე. უპირველეს ყოვლისა, ამ ოლქებში ადგილი ჰქონდა გასომხების პროცესს....

IV საუკუნეში ადგილი აქვს უტის, არცახის და ფაიტაკარანის პროვინციების სომხეთისაგან ჩამოშორებას და მათ ისევ ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლას....

ამით დასრულდა მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის ალბანეთის ერთ მთლიან ალბანურ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესი. სასაზღვრო ხაზმა მდ. მტკვრიდან არაქსზე გადაინაცვლა. ამიერიდან სომხურ წყაროებშიც ალბანთა მეფეები გვევლინებიან როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ნაპირის ალბანეთის მფლობელებად". (30, გვ.52).

ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სამხრეთ მხარეში გაძლიერდა **სომხეთის** სახელმწიფო. სომხეთის მეფე ტიგრან II-ემ (ძვ. წ. 95–56) დაიპყრო პართიის ჩრდილო-დასავლეთი მხარეები, ალვანეთის (დღევანდელი აზერბაიჯანის) ჩრდილო და სამხრეთი, დასავლეთი მიდია, ფინიკია და კილიკიის ნაწილი. პონტოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგა რომის იმპერია, რასაც მოჰყვა რომთან დაუნდობელი ბრძოლები.

ბერძენი ისტორიკოსის, ფილოსოფოსის და პროზაიკოსის პლუტარქეს (დაახლ. 46/50–125/127) გადმოცემით ტიგრანაკერტთან ბრძოლაში, რომაელების წინააღმდეგ ღებულობდნენ მონაწილეობას ალვანელების მეფე ორისი (ოროიზე) (ძვ. წ. I ს-ის 60-იანი წლები) და იბერიის მეფე არტაგ II (არტოკი) (95–60). პომპეუსმა ძვ. წ. 66 წელს პონტოს დამარცხების შემდეგ, სომხეთს მიადგა, დაამარცხა ტიგრან II, რომელმაც რომის ძალაუფლება აღიარა და მოკავშირე გახდა. ამის შემდეგ პომპეუსმა ალვანეთი, იბერია და კოლხეთი დალაშქრა. რომაელი ისტორიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის აპიანე ალექსანდრიელისა და რომაელი ისტორიკოსის კასიუს დიონ კოქციანუსის (დიონ კასიუსი) (დაახლ. 153–235) გადმოცემით, ძვ. წ. 66 წლის ზამთარში, ორისი და არტაგი მდ. მტკვართან ჩაუსაფრდნენ პომპეუსს და ღამით მოულოდნელად თავს დაეხსნენ პომპეუსის ბანაკს. მაგრამ, დამარცხდნენ. ამის შემდეგ მოკავშირეებმა ზავი ითხოვეს და რომს მორჩილება გამოუცხადეს. მაგრამ, როდესაც პომპეუსი კოლხეთში იმყოფებოდა, ორისი აჯანყდა. ძვ. წ. 65 წელს პომპეუსმა კოლხეთიდან სომხეთზე გავლით, დაუბრკოლებლად გაიარა კამბეჩანი, მდ. კირნოსი (მტკვარი), მდ. კამბისი (ორი) და მდ. აბატანთან (ალაზანი) სასტიკად დაამარცხა ალვანელები. ორისი ხელახლა დაუზავდა პომპეუსს და რომის ქვეშერდომი გახდა. ასე, რომ პომპეუსის ლაშქრობისას სომხეთი, ალვანეთი, იბერია და კოლხეთი, მოექცნენ რომის გავლენის ქვეშ. მაგრამ, წყაროებიდან ჩანს, რომ სულ მალე, ძვ. წ. 50-30-იან წლებში, იბერიამ და ალვანეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ცნობილია, რომ სომხეთის მეფის (ძვ. წ. 54–34) არტავაზდ II-ის რომის წინააღმდეგ ლაშქრობებში, მონაწილეობას ღებულობდნენ იბერიის მეფე ფარნავაზ II და ალვანეთის მეფე ზობერი.

ძვ. წ. 36 წელს იბერიაში შეიჭრა რომაელთა ლაშქარი პუბლიუს კანიდიუს კრასუსის მეთაურობით, იბერიელები დაამარცხა და ამის შემდეგ, ერთად გაილაშქრეს ალვანელების წინააღმდეგ, დაამარცხეს და ისინიც რომის მოკავშირეები გახდნენ. მას შემდეგ რომაელები იბერიასა და ალვანეთში ახ. წ. I ს-ის შუა ხანებამდე აღარ გამოჩენილან.

წყაროებიდან ჩანს, რომ ახ. წ. I საუკუნის I ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად მძლავრი გახდა, რომ დაიწყო ბრძოლა სომხეთის დასამორჩილებლად, რომლის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ პართიის სამეფო და რომიც. ახ. წ. 35 წელს, იბერიის მეფე ფარსმან I (ახ. წ. I ს-ის 30–60-იანი წლები)

სომხეთიდან პართიის განსადევნად და სომხეთში თავისი ძმის მითრიდატეს გამეფების მიზნით სომხეთში შეიჭრა და აიღო სომხეთის დედაქალაქი არტაქსატა. პართიის მეფემ დიდი ლაშქარი გამოგზავნა სომხეთში. იბერიელებმა დასახმარებლად მოიხმეს ალვანელები და სარმატები. პართიელები დამარცხდნენ და სომხეთში გამეფდა მითრიდატე. მაგრამ, შემდეგში, წყაროებიდან ჩანს, რომ ფარსმან I-ეს მოუწადინებია როგორც სომხეთის, ასევე ალვანეთის დამორჩილებაც და დაინყო იბერიასა და ალვანეთს შორის ომი. ალვანეთი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და ვინაიდან იბერიის მოკავშირე იყო რომაელები, ამიტომ ალვანეთი დაუკავშირდა პართიას. ფარსმან I ცდილობდა ალვანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად რომიც ჩაება, მაგრამ, რომაელებს არ სურდათ იბერიის მეტისმეტად გაძლიერება და ამიტომ ფარსმანისათვის დახმარებაზე თავს იკავებდნენ. მაგრამ, შემდგომში, როგორც ეტყობა, მდგომარეობა შეიცვალა და მეცნიერთა ვარაუდით, 81 ნლიდან რომის იმპერატორის ტიტუს დომიციანეს (51–96) დროს, 80-იან ნლებში იბერიელებთან ერთად ალვანეთზე ლაშქარში რომაელთა რაზმებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ხოლო 98-იდან იმპერატორ მარკუს ტრაიანეს დროს ალვანეთი რომის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ნყაროებში აღნიშნულია, რომ ტრაიანეს ალვანელებისათვის „მეფე მიუცია". „იბერები იმათ შორის მოიხსენებიან, ვინც, ჩანს, ნებაყოფლობით აღიარებდა რომის ხელისუფლებას, ალბანელებისათვის კი, ეტყობა, საჭირო შეიქნა „მეფის მიცემა", ე. ი. რომისათვის სასურველი მმართველის (ძალით?) დაყენება". (9, ტ.I, გვ.524).

ნყაროების თანახმად, II საუკუნის I ნახევარში იბერიის სახელმწიფო იმდენად მომძლავრებულა, რომ მისი საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით შავ ზღვამდე მიაღწია. ქართულ ნყაროებში, იბერიის მეფე ფარსმან II მოხსენებულია როგორც ქველი.

ნყაროებიდან ჩანს, რომ ფარსმან II-ის დროს „ქართლის მმართველები ისეთ მრისხანე ძალასთან კავშირში, როგორც ალანები და სხვა ჩრდილოელი ტომები იყვნენ, ეტყობა, თამამად უპირისპირდებიან რომსა და პართიას ერთდროულად." (9, ტ.I, გვ.529).

დაახლოებით 134 ნელს, ეტყობა ფარსმანის შემნეობით, ალანები შეესივნენ რომისა და პართიის გამგებლობაში მყოფ სახელმწიფოებს: ალვანეთს, მიდიას, სომხეთსა და კაპადოკიას. რომაელი იმპერატორები ცდილობდნენ მეგობრული კავშირი დაემყარებინათ იბერიასთან. რომის იმპერატორის პუბლიუს ადრიანეს (ჰადრიანე) (117–138) ბიოგრაფის, ელიუს სპარტიანეს „ნათქვამი აქვს, რომ ადრიანეს ალბანელებისა და იბერების სახით ერთგული მეგობრები ჰყავდა, მათი მეფეები მან უხვად დაასაჩუქრა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელებმა უარი თქვეს მასთან გამოცხადებაზე.... ბევრს მისცა მან ურიცხვი საჩუქარი, მაგრამ ყველაზე მეტი – იბერთა მეფეს, რომელსაც, ძვირფასი საჩუქრების გარდა, მიუძღვნა კიდეე სპილო და ორმოცდაათკაციანი კოპორტა". (9, ტ.I, გვ.529).

ახ ნ. III-ე საუკუნეში ამიერკავკასიის ქვეყნებს, აღმოსავლეთიდან, გამოუჩნდა ახალი დამპყრობელი, პართიის ადგილას წარმოქმნილი ირანის სასანიდების სახელმწიფო, რომელიც ამიერიდან, საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა მთელი კავკასიის ხელში ჩაგდებას. ირანის მეფის (შაჰინშაჰი) შაპურ I-ის (242–273) დროს, ალვანეთი ხარკს უხდიდა ირანს.

IV საუკუნის II ნახევრიდან სასანიდები ძლიერდებიან და თანდათან ეუფლებიან ბიზანტია-რომის მიერ დაკავებულ აღმოსავლეთის ქვეყნებს და მკვიდრდებიან ამიერკავკასიაში. ირანის შაპი შაპურ II (310–379) რომს ებრძოდა 25 ნლის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში, ნყაროებიდან ჩანს, რომ ალვანელები ირანს ემხრობოდნენ, ხოლო „საფიქრებელია, რომ ქართლი რომაელთა მხარეზე იყო, თუმცა მისი აქტიური მონაწილეობა ბრძოლებში არა ჩასნს". (9, ტ.II, გვ.77). IV საუკუნის ისტორიკოსის ამიანე მარცელინეს (დაახლ. 330–393) გადმოცემით, 359 ნელს ამიდთან რომის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლისას, შაპის ჯარში იმყოფებოდნენ ალვანელები. ხოლო, ქართველები ამ ბრძოლის დროს ირანელთა ჯარში მოხსენებულნი არ არიან. „ქართველების მოუხსენებლობა ირანელთა ჯარში გვიჩვენებს, რომ ქართლზე ირანელებს ხელი არ მიუწვდებოდათ. მეორე მხრივ, ქართველები არც რომაელთა მხარეზე მებრძოლთა რიგებში იხსენიებიან". (9, ტ.II, გვ.77). 387 ნელს, როდესაც სპარსეთმა და ბიზანტიამ სომხეთი გაინაწილეს, ალვანეთმა შეძლო სპარსელების შემწეობით დაკარგული მიწების დაბრუნება. მაგრამ, პართიისა და რომის დაპირი-

სპირების დროს, ალვანეთის დიდი ნაწილი რომის გავლენის ქვეშ მოექცა. ხოლო სამხრეთ მხარეს კი პართია განაგებდა.

V საუკუნის II ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა თავის სამეფოს შემოუერთა კამბეჩანი და ჰერეთი, და ორივეში საერისთავოები დააარსა.

V საუკუნის 40-იანი წლებიდან ირანის შაჰებმა დაიწყეს ბრძოლები ამიერკავკასიის ქვეყნების (ალვანეთის, იბერიის და სომხეთის), საბოლოოდ დასამორჩილებლად და მათი ირანის ერთ-ერთ ოლქად გადაქცევისათვის. პირველ რიგში საჭირო იყო ამ ქვეყნებში ქრისტიანული სარწმუნეობის მოსპობა და თავისი სარწმუნეობის (მაზდეანობის) გავრცელება. ამ მიზნით ირანის შაჰმა იეზდიგერდ II-ემ (438–457) თავისთან დაიბარა ამ ქვეყნის მმართველები და მათ მოსთხოვა სარწმუნეობის გამოცვლა და მაზდეანობის მიღება და თან დაემუქრა, თუ არ დაეთანხმებოდნენ, მაშინ მათ ქვეყნებს ამოწყვეტდა. ასე, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მმართველები, იძულებულნი გახდნენ, შაჰის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინად. თუმცა, ერთმანეთში პირობა დაუდვიათ, რომ დაბრუნებისთანავე ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდებოდნენ და ერთმანეთში კავშირი ჰქონოდათ. შაჰმა მძევლები დაიტოვა, დაასაჩუქრა და დააბრუნა თავიანთ ქვეყნებში, თან მოგვებიც გამოაყოლა, „რომელთაც უნდა დაეხურათ ეკლესიები, სამეფო ხაზინისთვის გადაეცათ ეკლესიების სიმდიდრე, გაერეკათ მთელი ქრისტიანული სამღვდელოება და სამუდამოდ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა ამიერკავკასიაში“ და სხვ. (9, ტ.II, გვ.88).

შაჰისა და მოგვების მოქმედებებმა გამოიწვია აჯანყებები ამიერკავკასიაში. 450 წელს აჯანყება მოედო ალვანეთსაც. 451 წელს, აჯანყებულ სომხებსა და სპარსელებს შორის გამართულ ბრძოლაში, არტაზის ოლქის ავარაირის ველზე (ახლანდ. მაქუს სამხრეთით, ჩრდილოეთ ირანში), მონაწილეობას ღებულობდნენ ალვანელებიც, აჯანყებულები დამარცხდნენ. ამის შემდეგაც, ირანი განაგრძობდა ამიერკავკასიაში ქრისტიანების დევნას და მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) გავრცელებას. რაც იწვევდა ახალ აჯანყებებს. 463 წელს ირანის შაჰმა პეროზ I-მა (459–484) შეძლო ალვანეთის აჯანყების ჩახშობა, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს და ალვანეთში მეფობა გააუქმა. მაგრამ, მალე, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ I გორგასალი 482 წელს აუჯანყდა ირანს, ალვანელებიც და სომხებიც აჯანყდნენ. პეროზისა და ირანელთა ჯარის დაღუპვის შემდეგ, ირანელებსა და აჯანყებულთა შორის მოხდა შეთანხმება. ირანელებმა ალვანეთში 485 წელს მეფობა აღადგინეს. „საინტერესოა, რომ ალბანეთში გამეფებული ვაჩაკანი ისევ დაბრუნებია ქრისტიანობას, რომელიც ადრე ირანელთა ძალდატანებით უარუყვია“. (9, ტ.II, გვ.105).

V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში სასანიდურმა ირანმა შეძლო ისევ აღედგინა ძალა და თანდათან რომაელები განდევნა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. 428 წელს ირანის შაჰმა ბაჰრამ V-ემ (420–438) სომხეთში მეფობა გააუქმა. ხოლო 510 წელს სასანიანთა სახელმწიფოს მეფემ (488-496, 499-531) კავად I-მა (?-531) საბოლოოდ გააუქმა ალვანეთშიც მეფობა.

„VI–VII სს. მიჯნაზე ალბანეთში დაწინაურდა გარდმანის მფლობელთა – მიჰრანიდთა ფეოდალური გვარი, რომელმაც აღადგინა ალბანეთის დამოუკიდებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გარდმანის მთავრის ჯავანშირის მმართველობის პერიოდი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ალბანელებს ეხმარებოდნენ ქართველებიც (ადარნასე ქართლის ერისმთავარი).“ (10, ტ.1, გვ.276).

ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ VII საუკუნის დასაწყისში ჰერაკლე I-მა სამეგრელოს გავლით, „როგორც მოსე კალანკატუელი მოგვითხრობს, 614 წ. პირდაპირ სომხეთს შეესია, აქედან იგი გადავიდა ადარბაგანში, სადაც იმყოფებოდა სპარსთა მეფე, და მრავალი სოფელი და ქალაქი აიღო და ნარტყვევნა.“ ზამთრის მოახლოების გამო. „კეისარმა თავისი მხედრობა საზამთროდ ალბანიაში შემოიყვანა. ალბანეთიდან ჰერაკლემ მოსაზღვრე ქვეყნების მთავრებს წერილები დაუგზავნა, წარმომიდეგით ნებაყოფლობით, მიმიღეთ და ზამთარში მე და ჩემს მხედრობას მემსახურეთ, თორემ ურჩებს ისე მოვეპყრობი, როგორც წარმათებს: ავიღებ მათ ციხეებს და მათს ქვეყანას ჯარს ავაკლებინებო. ზოგი მიემხრო კეისარს, ზოგმა კიდევ, როგორც მაგ. ალბანელებმა, ყურადღება არ მიაქციეს და წინააღმდეგობისათვის სამზადისში იყვნენ.“ (2, ტ.I, გვ.261).

კავკასიაში ჰერაკლეს ლაშქრობისას (627–628) წლებში, როდესაც ჰერაკლეს „მოკავშირე ხაზართა ლაშქარი ალბანეთში შეიჭრა და თბილისსაც ალყა შემოარტყეს (628 წ.), ალბანეთის მმართველმა ნრეებმა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი იმით ჰპოვეს, რომ აღიარეს ბიზანტიის იმპერატორის სუზერენული უფლებანი". (30, გვ.163).

ძვ. წ. VI საუკუნეში, როდესაც ალვანეთი სპარსელების ზეგავლენის ქვეშ მოექცა, დაიწყო ზოროასტრიზმის გავრეცელება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია, ალვანეთში IV საუკუნეში დაიწყო ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელება, მაგრამ, ალვანეთში ზოროასტრიზმი და კერპთაყვანისმცემლობა, კიდევ დიდხანს მოქმედებდა, სანამ ის ისლამმა არ შეცვალა.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ წინათ, იბერიაში, ალვანეთში და სომხეთში გავრცელებული ყოფილა ცეცხლთაყვანისმცემლობა, ისევე როგორც სპარსეთში და ამ მხრივ სპარსელებთან სარწმუნეობრივი კავშირი ჰქონდათ და ამიტომ სპარსეთის შაჰები და „მთავრობა მოწადინებული იყო, რომ კავკასიაში როგორმე მაზდეიანობა სახელმწიფო სარწმუნეობად გაეხადა". (2, ტ.I, გვ.237). 506 წელს სომხეთის კათალიკოსი „სპარსელ მონოფიზიტებს ატყობინებდა, რომ ამავე აღსარების მიმდევრები ვართ ბერძნები, სომხები, ქართველები და ალბანელებიო. აღსანიშნავია, რომ სპარსეთის ნესტორიანნიც თვიანთ მხრივ თურმე თავიანთ ქვეყანაში ხმას ავრცელებდნენ, რომ ბერძნები, სომხები, ქართველები და ალბანელები სწორედ მათი თანამოაზრენი არიან.... ამ ცნობებიდან ჩანს, რომ 506 წ. სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეკლესიებს შორის ძირითად დოგმატურ საკითხში უკვე სრული, წერილობით აღბეჭდილი, თანხმობა არსებობდა". (2, ტ.I, გვ.311).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ალვანეთში, ადრე, იბერიის საზღვრებთან მიმდებარე მხარეებში, ქართველთა მონათესავე ტომებში, იბერიის ზეგავლენით, გავრცელებულა ქრისტიანობა. ცხადია, რომ ალვანეთში მონოფიზიტობის მომხრეებიც იყვნენ.

„ქართველოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ 506 დვინის საეკლესიო კრებიდან VII საუკუნის დამდეგამდე ქართული ეკლესია სომხურთან და ალბანურთან ერთად მონოფიზიტური იყო. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართულ ეკლესიას მონოფიზიტობა თავის ოფიციალურ იდეოლოგიად არასოდეს უცვნია, თუმცა იგი VI ს. საუკუნის განმავლობაში შემრიგებლურ პლატფორმაზე იდგა და თავის სამწყოსში ჰყავდა მონოფიზიტი ეპისკოპოსები და მრევლიც". (10, ტ.7, გვ.101).

წყაროებიდან ჩანს, რომ თანდათან ალვანეთში ქრისტიანობა იმდენად გავრცელებულა, რომ 506 წელს სომხეთში გამართულ საეკლესიო კრებას, საქართველოდან, ალვანეთიდან და სომხეთიდან კათალიკოსები დასწრებია.

VI საუკუნის შუა წლებში, საქართველოში ჩამოვიდნენ ქ. ანტიოქიიდან, ცნობილი სირიელი საეკლესიო მოღვაწის, ი ო ა ნ ე ზ ე დ ა ზ ნ ე ლ ი ს (იოანე შუამდინარელი) ხელმძღვანელობით ასურელი მამები (იოანეს მოწაფეები), რომლებიც ქართლში, კახეთში და ალვანეთში ავრცელებდნენ და ქადაგებდნენ ქრისტიანულ სარწმუნეობას, აარსებდნენ და აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს. მათ დააარსეს მცხეთის მახლობლად, ზედაზნის მთაზე მონასტერი.

როგორც ცნობილია, VII საუკუნის დასაწყისში (608 წ,) მოხდა ქართულ და სომხურ სარწმუნეობებს შორის განხეთქილება, ქართველებმა აღიარეს დიოფიზიტიზმი-ქალკიდონიზმი (ქრისტეში მოცემულია თანაბარი შეურეველი და განუყოფელი ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური), ხოლო სომხებმა – მონოფიზიტიზმი (ძე ღმრთისა მხოლოდ ერთბუნებიანია).

ადრე, ქართველებსა და სომხებს ერთნაირი სარწმუნეობა ჰქონდათ. მაგრამ, შემდგომში, ვინაიდან ქართველები დასავლეთის, ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობისაკენ მიმდევრები ხდებოდნენ და აღმოსავლეთის, სპარსულ საეკლესიო მიმდინარეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამავე დროს, ქართველებსა და სომხებს შორის ამ უთანხმეობის დროს, პოლიტიკურ-ეროვნული (მღვდელმსახურების ენის საკითხიც) წამოიჭრა, განხეთქილება სარწმუნეობებს შორის საბოლოოდ განხორციელდა. როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს სომხეთის კათალიკოსმა 607/8 წელს განრისხებული ეპისტოლე (ბრძანება) გამოსცა, სადაც ნათქვამი იყო, რომ სომხებს ქართველებთან „სრულებით არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდეთ არც ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, რომ მცხეთისა და მანგლისის ჯვრების კარზე სალოცავად აღარ გაემგ-

ზავრნენ ხოლმე და ჩვენ ეკლესიებში არ შემოუშვან, ერთმანეთშორის ჯვარის წერასაც სრულებით თავი დაანებონ. ნებადართულია მათგან მხოლოდ ყიდვა-გაყიდვა, ვითარცა ებრაელთაგან. ამ განკარგულებას ძალა ალბანელების შესახებაც ჰქონდეს"-ო. გასცეს თუ არა ქართველებმა და ალბანელებმა თავის მხრივ პასუხი და თითონაც შეაჩვენეს სომხები, „ეპისტოლეთ ნიგნი"-დან არა ჩანს. რასაკვირველია, ამ სახით ეს განკარგულება არასდროს არ განხორციელებულა, მაგრამ ამიერიდან ქართველთა და სომეხთა შორის ის სარწმუნეობრივი კავშირიც გაქრა, რომელიც წინათ მათ აერთებდათ და ასე თუ ისე აძლიერებდათ. პოლიტიკურ-კულტურული გეზისა და სიმპატიების გაყრასთან ერთად მათი სარწმუნეობრივი სარბიელის გზებიც ერთმანეთს დაშორდნენ". (2, ტ.I, გვ.388).

წყაროებიდან ჩანს, რომ ალვანეთში ქართულ და სომხურ სარწმუნეობებს შორის დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიღო. ჯერ კიდევ ადრე, 574 წელს ქართველებმა და ალვანელებმა, უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ სომხებთან ერთად ქალკედონიტობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო და სომხეთი ყოველთვის ცდილობდნენ ალვანეთის დამორჩილებას სარწმუნეობის საშუალებით და ამ მხარეში გამტკიცებას. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სომხებმა კიდევაც მოახერხეს, მის მიმდებარე მხარეებში, ალვანეთის მარჯვენა მხარეში მცხოვრები ტომების გასომხება.

ჰერაკლე I-ის საქართველოში ლაშქრობის დროს (628 წ.), ალვანეთის „მთავარმა ვარაზ-გრიგოლი მიხრანიდმა.... თავი ვასალად ცნო და ამავე დროს, აღიარა თავისი ახალი სუზერენის რელიგია, ე. ი. დაჰგმო სომხური მონოფიზიტური სარწმუნეობა და ქალკედონიტობაში გადავიდა". (30, გვ.163). ამის შემდეგ, VIII საუკუნის დასაწყისში, ალვანეთში დაიწყო მძლავრად გავრცელება ქალკედონიტობამ. ეს კი იწვევდა სომხეთის სამღვდელოების განრისხებას. როდესაც, VII საუკუნის შუა ხანებში, სომხეთისა და ქართლის დაპყრობის შემდეგ, ალვანეთი დაიპყრო არაბებმა და დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანება. სომხეთის ეკლესიის წარმომადგენლები, არაბების დახმარებით ცდილობდნენ ალვანეთში თავისი სარწმუნეობის აღდგენას.

VIII საუკუნის I ნახევარში ქართლის ერისმთავარმა არჩილმა, დასავლეთ ალვანეთი შეიერთა და არა თუ ამ მხარეში, არამედ მთელ ალვანეთში დაიწყო ქალკედონიტორული სარწმუნეობის გავრცელება. სომხური წყაროების თანახმად, ამ დროს ალვანეთში მოღვაწეობდა სრულიად ალვანეთის კათალიკოსი ქალკედონიტი ნერსეს-ბაკური (684–704), ხოლო ალვანეთის დედოფალი ყოფილა სპრამა და რა თქმა უნდა ამ დროს, მათი შემწეობით ჰერეთ-ალვანეთში ქალკედონიტები ბატონობდნენ. სომხეთის კათალიკოსმა ელია არჭიშელმა (703–717), ალვანეთში, მონოფიზიტური სარწმუნეობისა და თავისი დაკარგული უფლებების აღსადგენად, წერილი გაუგზავნა ხალიფას, სადაც ითხოვდა კათალიკოსისა და დედოფლის დასჯას. ხალიფას დაუჭერია ორივე და ბარდავში ყველას თანდასწრებით უწამებია. „რათა ყველა მეამბოხემ დაინახოს მათი მოქმედების შერცხვენა". იგივე მოსე კალანკატუელი გვიამბობს, რომ ბარდავში ჩამოსული სომეხი კათალიკოსი ელია, მართლაც უშუალოდ მონაწილეობდა ალვანეთის კათალიკოსისა და ალვანეთის დედოფალ სპრამას წამებაში, რომელთაც დიდი სიმტკიცე გამოუჩენიათ ქალკედონიალური რწმენის დაცვისას. იოანე დრასხანაკერტელი მოგვითხრობს: „აი ასე გონივრულად იმათ ხორციელ ვნებათა მეოხებით სიკვდილი სულსა განაგდო დიდმა მამამთავარმა ელიამ და აღმოფხვრა ბოროტი. მერმე სხვა მთავარეპისკოპოსი დაასხა ხელნი მწვალებელ ნერსესის ნაცვლად და დაამტკიცა". ამ ახალ კათალიკოსს „აღმოუფხვრავს ნერსეს მიერ ქვეყანაში აღძრული შფოთი, დაუნერგავს ცთომილ სამწყსოში „ჭეშმარიტი სარწმუნეობის" მრავალი წესი ე. ი. მას ისევ აღუდგენია სომხური მონოფიზიტობა". (30, გვ.165). როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, სომხებს, არაბების შემწეობით, ალვანეთში ისევ აღუდგენიათ თავისი გავლენა, მაგრამ როგორც წყაროებიდან ჩანს, ეს ყოფილა დროებითი მოვლენა და შემდგომ წლებშიც ალვანეთში მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლები ქართულ და სომხურ სარწმუნეობებს შორის. **X საუკუნის 40-იან წლებში ალავანეთში აღსდგა მართლმადიდებლობა და საბოლოოდ ქალკედონიზმის გამარჯვებით დასრულდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც არაბებმა სომხურ ეკლესიას დაუქვემდებარეს ალვანური ეკლესია, სომხეთის ეკლესიის მესვეურებმა დაიწყეს ძველი ალვნური კულტურის აღმოფხვრა და ალვანური ისტორიის განადგურება.

ცნობილია, რომ 764 წელს ალავანეთსა და ქართლს, დარუბანდის გადასასვლელით, შემოესია ხაზარები. წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დროს ალვანეთში შედიოდა ჩრდილოეთით მდებარე შემდეგი ოლქები: „ხეჯარი. ქაღა, ვოსტან-ი-მარზპანიანი, ჰაბანდი, გელავუ, შაქე, ბეხი, ხენი, კაბეხქანი და ხოზმაზი". მათ დაულაშქრავთ ჰერეთში შემავალი ოლქები: შაქი, კამბეჩანი, ნუქეთი და ველისციხე. ხაზარებს დაულაშქრავთ ქართლის ოლქები: შუჩქი, ქვეშკაფორი, ცელთი, წუქეთი, ველისციხე, თიანეთი და (ხ)ერკი, და მრავალი ტყვითა და ალაფით უკან გაბრუნდნენ". (30, გვ.178).

VIII საუკუნის II ნახევრიდან და IX საუკუნის დასაწყისში ალვანეთში წარმოიქმნა ფეოდალური გაერთიანებები: **ჰერეთის, არანშაჰების** (X ს-ის დასასრულს შედადინებმა შეცვალეს), **შირვანის** და **დარუბანდის სამთავროები**.

IX საუკუნის I ნახევარში, გაძლიერებული ჰერეთის ხელმძღვანელები ცდილობენ თავის საზღვრების გაფართოებას. ცნობილია, რომ 822 წელს ჰერეთის მთავარმა, ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა საჰლ იბნ-სუბატმა, თავის შვილთან ერთად, „გაილაშქრეს მარჯვენა ნაპირის ალბანეთის მფლობელთა მიხრანიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლების წინააღმდეგ, ამოხოცეს ისინი და დაიპყრეს მათი სამფლობელო, რის შემდეგ საჰლ იბნ-სუმბატმა მიიღო მიჰრანიდი ვარაზ-თრდატის ტიტული „არან-შაჰი" („რანთა მეფე")". (9, ტ.II, გვ.406). მის დროს ალვანეთში, (816–837) წლებში, იფეთქა არაბების წინააღმდეგ მძლავრმა სახალხო აჯანყებამ ბაბექის ხელმძღვანელობით. (იხ. ქვევით). მართალია აჯანყება არაბებმა ბოლოს და ბოლოს ჩაახშვეს, მაგრამ აჯანყებამ თავისი ზეგავლენა მოახდინა არათუ ალვანეთზე, არამედ თვით არაბულ სახელმწიფოზე, ის დასუსტდა და მალე კიდევაც დაიშალა.

წყაროებიდან ჩანს, რომ ამავე საუკუნის II ნახევარში ჰერეთის სამეფო ისე გაძლიერებულა, რომ საჰლ იბნ-სუმბატის შვილიშვილმა, გრიგოლ ჰამამმა თავის ძალაუფლებას დაუმქვედებარა ალვანეთის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროები. მან გააერთიანა ალვანეთი და აღადგინა ალვანეთის სამეფო. 893 წელს მან მიიღო „მეფის" წოდება. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ჰერეთის სამთავროს ფარგლების ასეთი გაფართოებით უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ „ჰერეთი" X ს. ახლო ხანებში მთელი ალბანეთის მნიშვნელობით იხმარებოდა ქართულ მწერლობაში." (9, ტ.II, გვ.410).

ფილოლოგი, ქართული ენისა და მწერლობის მკვლევარი, პალეოგრაფი და ლექსიკოლოგი ილია აბულაძე (1901–1968) წერდა: „ჰერეთი ჩვენს მწერლობაში მარტო გაქართველებული ალვანეთის სახელწოდება არ ყოფილა ხოლმე, არამედ იგი, როგორც ჩანს, X საუკუნის ახლოს, ალვანეთის ზოგადი სახელწოდება ყოფილა". (30, გვ.193).

როგორც ცნობილია, არაბთა ხალიფა მუთავაქილმა (847–861), ამიერკავკასიაში ხალიფის ძალაუფლების აღსადგენად და თბილისის საამიროს დასამორჩილებლად, გამოგზავნა 200 000-იანი ლაშქრით სარდალი ბუღა თურქი. რომელმაც 853 წელს, სომხეთის აოხრების შემდეგ შემოესია საქართველოს. წყაროებში მოხსენებულია, რომ ბუღა თურქს შეუპყრია ყველა სომეხი და ალვანელი მთავრები.

გრიგოლ ჰამამის გარდაცვალების (897 წ.) შემდეგ, ჰერეთის სამეფოს ჩამოსცილდა ალვანეთის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მხარეები.

IX–X საუკუნეებში წყაროებიდან ირკვევა, რომ ხდება ალვანეთში მდებარე შაქის ოლქის მმართველების თანდათან გაძლიერება. მეცნიერთა აზრით, შაქის (შაკიხის) მმართველები წარმოადგენდნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთ შტოს, რომლებიც VIII საუკუნეში დამკვიდრდნენ ჰერეთში არჩილ მეფის დროს.

X საუკუნის II ნახევარში შაქის (ჰერეთის) ხელისუფლების ქვეშ ექცევა წანარეთისა და მარჯვენა ნაპირის ალვანეთი.

XI საუკუნის შუა ხანებში ამიერკავკასიაში დაიწყო თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელი ლაშქრობები და ალვანეთიც თურქებმა დაიპყრეს.

XIII საუკუნეში ამიერკავკასია მონღოლებმა დაიპყრეს. 1231 წელს ალვანეთიც მონღოლებს დაემორჩილა და ჰულაგუიანების სახელმწიფოს ქვეშ მოექცა. მხოლოდ შირვანმა შეინარჩუნა ნაწილობრივ დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ, როდესაც საქართველო სამთავროებად დაიშალა, თურქემბა ალვანეთი დაიკავეს და დაიწყეს ჩასახლება, რომლებიც თანდათან ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და შეერწყმნენ.

„XI–XIII სს-ში ძირითადათ დამთავრდა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქული მოდგმის ტომების ფართო განსახლების გამო მოსახლეობაში სხვადასხვა ენების ადგილი თანდათან თურქული ჯგუფის ერთიანმა აზერბაიჯანულმა ენამ დაიკავა. თუმცა ლიტერატურასა და მეცნიერებაში კიდევ დიდხანს იყო გაბატონებული არაბული და სპარსული ენები“. (10, ტ.1, გვ.189).

შემდეგში, ალვანელების მოსახლეობის „ერთმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი კახელებს, მთიანი ყარაბაღის სომხებსა და დაღესტნის მოსახლეობას შეერწყა“. (10, ტ.1, გვ.276).

ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიაში დააპირა თავისი მდგომარეობის გამტკიცება, „მან პირველ რიგში მიზნად დაისახა მფარველობაში მიეღო ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შეექმნა ორი ბუფერული სახელმწიფო: აღადგინა სომხეთისა და „ალბანეთის“ (ჩრდილო აზერბაიჯანის) სახელმწიფოები“. (9, ტ.IV, გვ.686). წყაროებში აღნიშნულია, რომ ამავე ხანებში, 1766 წელს, თურქეთმა იმერეთის წინააღმდეგ, „პორტამ ბრძანა შეკრებულიყო ახალციხის, ერზერუმის, ტრაპიზონის, დიარბექირის, ჭანეთის, ალბანეთის, ყარამანიის... ჯარები და აგრეთვე დიდი რაოდენობით მოხალისე მანანნალები“. (9, ტ.IV, გვ.645).

ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია არა ერთი ერი, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ თავის გადასარჩენად, მაგრამ, ჩვენს დრომდე ვერ მოაღწიეს. ისინი ან განადგურდნენ ან სხვა და სხვა ხალხს შეერივნენ და შეერწყმნენ. ასეთი აღმოჩნდა ქართველთა ერთ-ერთი ტომი ალვანელებიც, რომელიც მომძლავრებული მტრებისა და გამუდმებული ომების გამო, საქართველომ ვერ შეძლო მისი დაცვა.

1.2. ჰერეთი.

ჰერები – წარმოადგენდნენ უძველეს ქართულ ტომებს, რომლებიც ბინადრობდნენ მდინარეების იორსა და ალაზნის აუზის მიწა-წყალზე. მათთან ერთად ცხოვრობდნენ ძველი ქართველთა მონათესავე ტომები: **ლბინები, სუჯები** [ანტ. წყაროებში – „სოდები“ (Sodi), სომხურში – „წოდები“] და **ჭილბები** (პლინიუს უმცროსს მოხსენებული ჰყავს როგორც „სილვები“). ვინაიდან ჰერები უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ, ქართულ წყაროებში მთლიანად ამ მხარეს უწოდებდნენ ჰერეთს.

თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ: „ჩვენს ხელთ არსებული, ძირითადად არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული ტომები ჰერეთის ტერიტორიაზე განსახლებულნი ჩანან, უფრო ადრეული პერიოდიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. ა. I ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან მაინც“. (30, გვ.115). მისივე თქმით:

„არსებობს ვარაუდი, რომ ჰერები თავდაპირველად (ანტიკურ ხანაში) ალბანურ ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ“. (10, ტ.11, გვ.628).

მ. ლორთქიფანიძე წერს: „ჰერები ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ძველი ალბანეთის მიწა-წყალზე განსახლებული ერთ-ერთი ტომი იყო, რომლის შერწყმა ქართულ ტომებთან ჩვენ ნელთაღრიცხვამდე დაიწყო.

ჰერების კულტურულ-ეთნიკური შერწყმა ქართველ ტომებთან ქართლის მიერ ჰერეთის ტერიტორიის პოლიტიკურ შემომტკიცებასთან ერთად მიმდინარეობდა. ქართლის სამეფოს მესვეურთა პოლიტიკურ საქმიანობას ჰერეთის მიწა-წყალზე ქართული საისტორიო ტრადიცია ძველი ნ. ა. II–I საუკუნეების მიჯნაზე დებს“. (9, ტ.II, გვ.400).

ცნობილია, რომ V საუკუნეში, ისტორიული მხარე, აღმოსავლეთ საქართველოში – ჰერეთი, დღევანდელი საინგილოს (ქარ-ბელაქანი) მიწა-წყალსაც მოიცავდა.

ისტორიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი (1895–1965) აღნიშნავდა:

„უძველესი დროიდან საინგილო, ისევე როგორც აწინდელი კახეთის დიდი ნაწილი და ჩრდილოდასავლეთი ადერბაიჯანი (ყოფილი შაქის ოლქი, ანუ ნუხის მაზრა), დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით, რომელთა საერთო ქართული სახელი – ჰერეთი უკვე V საუკუნეში არის დამოწმებული“. (30, გვ.88).

„ზოგიერთი წყაროს მიხედვით სახელწოდება „ჰერეთი“ აგრეთვე კავკასიის ალბანეთის ტერიტორიასაც აღნიშნავს. XV საუკუნიდან ტერმინი „ჰერეთი“ აღარ იხმარება და მას ენაცვლება ტერმინი „კახეთი“. (10, ტ.11, გვ.628).

საერთოდ, ამა თუ იმ ერის ეთნიკური წარმოშობის დადგენა, წყაროების სიმცირის გამო რთულია. როგორც თ. პაპუაშვილი წერს: „ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ეთნიკური წარმოშობის საკითხის გარკვევა მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს და ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ წყაროთა სიმცირით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა. მკვლევარის განკარგულებაში ჯერჯერობით, ძირითადად, ისევე ეთნონიმური, ტოპონიმიკური და ონომასტიკური მასალა რჩება, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ), ძველ სომხურსა და ძველ ქართულ წყაროებში“. (30, გვ.81).

ჰერების წარმომავლობის შესახებ, ახალი მონაცემებით, არქეოლოგიური ძეგლებისა და ისტორიული წყაროების, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეპიგრაფიული და სხვა მასალების შესწავლით, მიუხედავად ადრინდელ ზოგიერთ მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებისა, მეცნიერები, თანდათან რწმუნდებიან, რომ „ჰერები“, ქართველთა ერთ-ერთ ტომს წარმოადგენდნენ. ჰერები და იბერები მონათესავე ტომები იყვნენ.

„მოტანილი მონაცემები ჰერებისა და იბერების ახლო ეთნიკური მონათესაობის შესახებ, ჩვენი აზრით, იმას გვიკარნახებს, რომ ვიცნოთ: ჰერებში ჩვენ საქმე გვაქვს არამარტო იბერიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის გავრცელებასთან, არამედ თვით ქართულ სუბსტრატთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰერების ეთნოკულტურული სახის ფორმირებაში ქართული ელემენტი მონაწილეობდა, არა როგორც გარეგანი, უცხო ფაქტორი, არამედ როგორც შინაგანი, ორგანული ფაქტორი, ქართული ელემენტი ჰერეთისათვის ნიადაგქვეშა ფენა იყო. ქართულმა სუბსტრატმა განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად ჰერების ეთნიკური ტიპი. იმ კულტურულ-ისტორიული კავშირებიდან, რომლებიც ძველ ჰერებს დამყარებული ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან (იბერები, ალბანელები, სომხები და სხვ.), ყველაზე უფრო და მჭიდრო იყო მათი ურთიერთობა ქართულ სამყაროსთან. ჰერებისა და იბერების უმჭიდროესი კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია ჰერეთში არსებული ქართული მატერიელური კულტურის ძეგლები, ქართული სოციალური წყობა, ქართული ჩვეულები, ეთიკა, სარწმუნეობა, ენა“. (30, გვ.93).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, წყაროებიდან ირკვევა, რომ უძველეს დროს ჰერები შედიოდნენ ალვანეთში. „ჰერული ტომების პირველი მოხსენიება და მათი გამოჩენა ისტორიულ ასპარეზზე დაკავშირებულია ე. წ. „აქემენიდურ ხანასთან“ (ძვ. წ. VI–IV სს.). (30, გვ.115). ბერძნულ წყაროებში მოცემულია, რომ ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებში, აქემენიდების სპარსულ სახელმწიფოში, დარიოს I-ის (521–483) დროს, მეთერთმეტე სატრაპიაში შედიოდა ალვანეთი, ხოლო მასში კი შედიოდა ჰერეთი.

ცნობილია, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში ლიხსაქეთ საქართველოში წარმოიქმნა ქართლის (იბერიის) სახელმწიფო. ამავე საუკუნეებში ხდებოდა ჰერების ალვანეთიდან გამოსვლა და იბერებიისა და მათი მონათესავე ჰერების შერწყმაშეერთება. იბერის სამეფოს მესვეურები, რა თქმა უნდა ცდილობდნენ მათიეე მონათესავე ტომებზე გავლენის მოპოვებას. წყაროებიდან ცხადი ხდება, რომ ძვ. წ. II საუკუნეში ჰერეთის ჩრდილოეთის მხარე იბერიის სამეფოშია შესული. ხოლო ჰერეთის სამხრეთ მხარის შემოსამტკიცებლად (**კამბეჩანი** და მის მეზობლად მდებარე მხარეები), ქართლის სამეფოს უხდებოდა შეტაეება სომხეთის სამეფოსთან. ანტი-

კური წყაროებიდან ჩანს, რომ ძვ. წ. I საუკუნის 60-იანი წლებიდან კამბეჩანი იბერიის სამეფოშია შესული. ასე, რომ ამ დროს უკვე მთელი ჰერეთი იბერიის სამეფოშია მოქცეული. „ქართლის სამეფოს წინსვლა აღმოსავლეთისაკენ, მართალია, ცვალებადი შედეგებით, მაგრამ საბოლოოდ მყარი უპირატესობით მიიმართება. როგორც ჩანს, ჰერეთი ჯერ ქართლის სამეფოს ვასალური ქვეყანა იყო, ხოლო, როდესაც უკვე განხორციელდა ჰერების ასიმილირება ქართველთა მიერ, ჰერეთი უშუალოდ შეუერთდა ქართლის სამეფოს". (9, ტ.II, გვ.400).

ახ. წ. I–II საუკუნეებში ქართლის (იბეერიის) სამეფოს აყვავებისა და ძლიერების ხანაა და ის ცდილობს, რომ თავის საზღვრებში მოაქციოს აღმოსავლეთ მხარეში მდებარე ალვანეთიც. ახ. წ. III საუკუნეში, იბერიის სამეფოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში, მონაწილეობას ღებულობენ ჰერული ტომებიც.

„ქართლის ცხოვრება" გადმოგვცემს, რომ IV საუკუნის I ნახევარში, მ ი რ ი ა ნ III-ის (მირდატი) დროს ირანის შაპს შ ა პ უ რ II-ეს (310–379) ჰერეთიც დაუპყრია და ჯარი ჩაუყენებია. მალე, რომის იმპერიის დახმარებით ქართლი განთავისუფლებულა და ჰერეთი ისევ ქართლს დაუბრუნდა.

საქართველო, მეტადრე ქართლის სამეფო, მოქცეული იყო ირან-რომისა და შემდგომ, ირან-ბიზანტიის დაპირისპირებაში და ამ ისტორიულ მოვლენებში, ქართლთან ერთად ყოველთვის მონაწილეობას ღებულობდნენ ჰერული ტომები.

ცნობილია, რომ სანამ ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნეობად გამოცხადდებოდა, მანამდე ქართლში დაუწყია ქადაგება ნინოს. „ქართული საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ ნინოს სამისიენერო მოღვაწეობის ობიექტთა შორის ერთ-ერთი ძირითადი რაიონი ჰერეთიც ყოფილა... ზოგიერთი წყარო მას „ჰერეთის განმანათლებლად" თვლის". (30, გვ.123–126). ქართლის სამეფოს, რომ უფრო მტკიცედ შემოერთებინა მონათესავე ჰერეთის ტომები, ამიტომ სახელმწიფოს ხელისუფლება და ქრისტიანული ეკლესია ყოველ ღონეს ხმარობდა და ცდილობდა ჰერეთში გაევრცელებინა ქრისტიანული სარწმუნეობა.

ქართულ წყაროებში მოხსენებულია, რომ V-ე საუკუნის I ნახევარში, ქართლისა და ჰერეთის მთავარეპისკოპოსი ყოფილა ვინმე გ ლ ო ნ ო ქ ო რ, რომელიც ამავე დროს ითვლებოდა ჰერეთის ერისთავად.

წყარობიდან ცხადი ხდება, რომ მირიანის და მის შემდგომ მომდევნო დროს ჰერეთი ქართლის შემადგენლობაშია. „ლეონტი მროველთან დაცული პირდაპირი ცნობებით, ჰერეთი მირიანის დროს, IV საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველთა საკუთრებას შეადგენდა. ამ დროისათვის, ჰერეთი უკვე საბოლოოდ არის მოქცეული ქართლის სამეფოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში.... მირიანის მეფობის მომდევნო ხანაში, მისი მემკვიდრეების დროს, ჰერეთი ყოველთვის ქართლის შემადგენლობაშია". (30, გვ.131) და ქართლის მესვეურები ჰერეთში აღმშენებლობასაც ეწეოდნენ. არსდებოდა ქალაქები, შენდებოდა ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები. ასე, რომ IV–V საუკუნეებში ჰერეთი ქართლის სახელმწიფოში მყარად შედიოდა.

როგორც ცნობილია, III საუკუნის პირველ მეოთხედში ირანის ტახტზე მოექცნენ სასანიდების საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებმაც შეძლეს თანდათან ირანის გაძლიერება, როგორც სოციალურად ასევე პოლიტიკურადაც. გაძლიერებულმა ირანმა შეძლო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა. მათი გავლენის ქვეშ მოექცნენ ამიერკავკასიის ქვეყნებიც და საბოლოოდ დაუპირისპირდა რომის იმპერიას. ამიერკავკასია და მათ შორის საქართველო ხელიდან ხელში გადადიოდა. რომლის დროასაც ქართლში მეფობა გაუქმდა და დაიწყო ახლად წარმოქმნილი ფეოდალების (აზნაურები) გაძლიერება.

ირანმა განსაკუთრებით ძლიერებას მიაღწია V საუკუნის I ნახევარში. ირანის შაჰის ი ე ზ დ ი გ ე რ დ II-ის (438–457) დროს, ამიერკავკასიის ქვეყნები როგორც ეკონომიკურად ასევე პოლიტიკურადაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ, მათ შორის ჰერული ტომებიც. შაჰმა დაპყრობილ მოსახლეობას ახალი გადასახადები შეაწერა. გადასახადები უნდა გაეღოთ ეკლესიებსაც. შაჰმა, რომ ბიზანტიის გავლენისაგან ამიერკავკასიის ხალხები ჩამოეშორებინა, ამიტომ ბრძოლა გამოუცხადა ეკლესიასაც. შეეცადა ქრისტიანულ ქვეყნებში ცეცხლთაყვანისმცემლობის ძალით გავრცელებას. ამ დროს ირანს შემოუტიეს ირანულენოვანმა ტომებმა **ჭუშინებმა**, რომლებთანაც იეზდიგერდ II სასტიკ

ბრძოლებს აწარმოებდა. შაჰის ბრძანებით ამიერკავკასიის ხალხებს გამუდმებით უნდა შეევსოთ ქუშანთან ბრძოლებისას განყვეტილი ლაშქარი. ისტორიულ წყაროებში, ჩამოთვლილ ხალხთა შორის, ვინც შაჰის ბრძანება მიიღო, ვხვდებით ჰერულ ტომებსაც: **სუჯებსა** და **ლბინებს**. შაჰმა საქართველოში თავისი სარწმუნეობის გასავრცელებლად ცეცხლმსახურთა (მოგვები) ჯგუფები გამოაგზავნა. ნაწილი ამ ჯგუფებისა სომხეთის გარდა, ქართლში, ალვანეთში და ჰერულ ტომებში: ლბინებთან (ელარბიელებთან) და სუჯებში შესულან. ასე, რომ ირანის ბატონობის სიმძიმე ქართლთან ერთად ჰერეთსაც გადაუტანია.

სუჯები – ჰერული მოდგმის ტომები იყვნენ, წყაროებიდან ჩანს, რომ „მოსახლეობდნენ მდ. ივრის შუა დინების აუზში. ანტიკური ხანის მწერლების მიერ მოხსენებული „სოდები" (Sodi) და სომხური წყაროების „წოდები" ქართული წყაროების „სოჯები" ანუ „სუჯები" უნდა იყვნენ. სუჯების პოლიტიკურ და კულტურულ-ეთნიკური შერწყმა აღმოსავლურ ქართულ ტომებთან – ქართებთან და კახებთან – ძალზე ადრე დაიწყო. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ეს პროცესი ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან. ამ დროს წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სახელმწიფო, მონათესავე და უშუალოდ მოსაზღვრე ჰერული მოდგმის ტომებს თავისი გავლენის სფეროში აქცევდა. ახ. წ. IV საუკუნისთვის ეს პროცესი ძირითადად დასრულდა. ქართ-კახებთან კულტურულ-ეთნიკური და პოლიტიკური შერწყმა განსაკუთრებით განამტკიცა ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობისა და ქართული ეკლესიის გავლენის გავრცელებამ". (10, ტ.9, გვ.617).

ლბინები – ესენიც ჰერული მოდგმის ტომები იყვნენ. რომლებიც „ანტიკური, ქართული და სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით, ცხოვრობდნენ მდ. ალაზნის ზემო წელის მიდამოებში. დაახლოებით ძვ. წ. III ს. – ახ. წ. IV საუკუნეში ლბინების ტომი შეერწყა აღმოსავლურ ქართულ ტომებს – ქართებს და კახებს". (10, ტ.6, გვ.151).

ზემოთ მოხსენებული ქართველთა მონათესავე ტომი **ჭილბებიც**, იყო „ერთ-ერთი ჰერული ტომი, რომელიც ბინადრობდა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარის ჰერეთის მთიანეთში, მდ. ალაზნის ზემო წელზე. ჭილბები შეესატყვისება პლინიუს უმცროსის მიერ მოხსენებული „სილვები". ჭილბების სახელწოდება შემორჩენილია ჰერეთის ისტორიულ ტოპონიმიკაში (ეთნონიმ „ჭილბისაგან" უნდა მომდინარეობდეს მდ. ჩელთისა და სოფ. შილდის სახელწოდებები). საუკუნეთა მანძილზე ჭილბები ორგანულად შეერწყნენ აღმოსავლურ ქართულ ტომებს. შერწმის პროცესი უნდა დასრულებულიყო IV საუკუნისათვის". (10, ტ.11, გვ.399).

IV საუკუნის დასაწყისიდან, აზიაში და მით უმეტეს ამიერკავკასიაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოვლენები მოხდა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია საქართველოს მომავალზე და ისტორიაზე.

„IV საუკუნის მეორე ნახევარში და V საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს საგარეო ურთიერთობა გართულებულია. ძლიერდება სასანიანთა ირანის შემოტევები. ქართლის მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით, ირანელები აქ ჰქმნიან სპეციალურ დანესებულებას – საპიტიახშოს. ქართლის მეფე ირანის შაჰისაგან ვასალურ დამოკიდებულებაშია. ქართლში სასანიანთა პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრება, რა თქმა უნდა გარკვეულ ზეგავლენას მოახდენდა ჰერეთის ბედზეც". (30, გვ.132).

V საუკუნის შუა ხანებში, ქართლის სამეფოს მდგომარეობა ისევ გართულებული იყო. ირანი ისევ ბატონობდა ქართლში. მიუხედავად ამისა, ნ. ბერძენიშვილის თქმით: „V საუკუნეში ჰერეთი ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა იყო და მის ერთ-ერთ საერისთაოს შეადგენდა". (30, გვ.402).

„ქართლის ცხოვრებიდან" ჩანს, რომ ქართლის მეფის **ა რ ჩ ი ლ** I-ის (422–432) დროს ჰერეთი მის გამგებლობაში ყოფილა. მასში შედიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარე **წუქეთი**, რომელიც მოიცავდა დაღესტნის მთიანეთის ნაწილს ე. წ. **ნახურის** სამფლობელოს. მოგვიანებით, წუქეთი (IX–X სს.) ჰერეთის სამეფოში საერისთაო გახდა. უფრო გვიან, (XVI ს.) კახეთის სამეფოში სამოურაოდ ჩამოყალიბდა, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისში, ის ე. წ. ელისუს სასულთნოდ გადაიქცა.

V საუკუნის II ნახევარში ვახტანგ I გორგასალის დროს ჰერეთი ერთ-ერთ საერისთაოს წარმოადგენდა. წყაროებიდან ჩანს, რომ ვახტანგ გორგასალი დიდ ყურადღებას აქცევდა ჰერეთს და მასში შემავალ წუქეთს. მას იქ თავისი „მთავარნი" ჰყოლია დასმული. ვახტანგს დიდი აღმშენე-

ბლობითი სამუშაოები და კულტურული ღონისძიებები გაუტარებია ჰერეთში. აუშენებია ქალაქები, ეკლესიები, ტაძრები და დაუარსებია საეპისკოპოსო საყდრები. წყაროებში აღნიშნულია, რომ მის დროს ჰერეთში მოქმედებდა **ჭერემის, ხორნაბუჯის** და **ნეკრესის** კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები. ვახტანგის დროს „მმართველი წრეების დიდ საზრუნავს შეადგენდა იორ-ალაზნის მხარეზე საზღვრების გამაგრება, დასახლებული პუნქტების დაარსება, ძველთა გამოცოცხლება და კეთილ მოწყობა. უდიდესი ენერგია და ხარჯი გაილო ხალხმა და სახელმწიფო სალარომ უჯარმის ციხე-ქალაქის მშენებლობაზე ივრის ხეობაში. უჯარმა ერთხანს ვახტანგის რეზიდენციის დანიშნულებასაც ასრულებდა. ქ. უჯარმის მახლობლად, ახლანდელ ნინოწმიდასთან ააგეს დიდი საეპისკოპოსო საყდარი. ივრის ზემო დინებაში ააშენეს საეპისკოპოსო საყდარი ჩელეთს (ფალეთს), გაამაგრეს ქალაქი ჭერემი – ნინოწმიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭერემის წყალზე, და იქაც ააგეს საეპისკოპოსო საყდარი. საეპისკოპოსო საყდარი დაფუძნდა აგრეთვე ქალაქ ხორნაბუჯს – კამბეჩოვანში (იორ-ალაზანს შორის), რუსთავსაც“. (7, გვ.95).

ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ, ჰერეთი, ერთ ხანს, ირანის ხელში გადასულა.

„როცა VI საუკუნეში სპარსელებმა ქართლში მეფობა მოსპეს, მათ სცადეს ჰერეთის ჩამოცილება ქართლისაგან და მისი საკუთრად მიტაცება, მაგრამ ამაოდ. აჯანყებულმა ჰერებმა მოკლეს შაჰის სპარსელი მოხელე, ბეჟან ხორნაბუჯის ერისთავი, და ერისმთავრობის მთელი ხნის განმავლობაში ჰერეთი პოლიტიკურად ისევ ქართლში შემოდიოდა“. (7, გვ.122). ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ „და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისა მიეცა მეფობაჲ ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს და იპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“. (5, გვ.226). როგორც ვხედავთ, სპარსელებს თავისი განზრახვა ვერ შეუსრულებიათ და ჰერეთი ისევ ქართლის ერისმთავარს ემორჩილებოდა, რომელსაც მმართავდნენ ვახტანგ მეფის შთამომავლები.

VI საუკუნის დასაწყისში ჰერეთი, ქართლის მეფის დაჩი (ვახტანგ I-ის ძე) უჯარმელის გამგეობაში იმყოფებოდა. დაჩის პირად მფლობელობაში იმყოფებოდა „ქალაქები: ჭერემი, ხორნაბუჯი, ნეკრესი და ჰერეთის ის ტერიტორია, რომელიც მტკვრის აღმოსავლეთით მდებარეობდა.“ (30, გვ.268). ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ვახტანგიმ „ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა – დაჩის – მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვანისაჲ, რომელ არს ხორნაბუჯისაჲ, და ყოველნი ქუეყანაჲ მტკუარისა აღმოსავალით“. (5, გვ.216). მისივე გადმოცემით, „ამანვე მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთიულთა კახეთისათა, რაჲთა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს და განდგეს, ყოველნი ნოპატელნი“. (5, გვ.222). თ. პაპუაშვილი წერს, რომ: „ამ ცნობიდან აშკარად ჩანს: დაჩი უჯარმელს, და საერთოდ ქართლის მმართველ წრეებს, გარკვეული პოლიტიკური ინტერესები აიძულებს იზრუნონ ჰერეთის მთიანეთში მცხოვრებ „ნოჰპატელებზე“ და გაქრისტიანების გზით, მოაქციოს ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური გავლენის სფეროში, რომ ამით, ეს ჰერული ტომები უფრო მტკიცედ შეიყვანოს ქართლის ეთნო-კულტურულ სამყაროში. პოლიტიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, ამ ცნობიდან ნათლად დასტურდება, რომ VI საუკუნის დასაწყისისათვის ჰერეთის მთიანეთი „ნოჰპატი“ ქართლის სახელმწიფოში შემავალი ქვეყანა იყო“. (30, გვ.149).

წყაროებიდან ჩანს, რომ VI საუკუნის II ნახევარშიც ჰერეთი, დაჩის შთამომავლების ხელქვეით მხარეს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, ქართლში პირველად არაბები VII საუკუნის შუა ხანებში (642– 643) გამოჩდნენ. ქართველებმა ადვილად მოიგერიეს მათი შემოტევა, მაგრამ, VII საუკუნის II ნახევარში საქართველოში არაბები გაბატონდნენ. ისინი ცდილობდნენ ქართლის საერისთაოს დანაწევრებას და დაშლას. „არაბები მათ მიერ სხვადასხვა სახელმწიფოთა დაპყრობის დროს, სამშვიდობო ხელშეკრულებებს დაპყრობილ ქალაქების, ოლქებისა და მხარეების მმართველებთან სდებდნენ, ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს საერთო-სახელმწიფო ხელისუფლებას, რაც სხვასთან ერთად მებრძოლი ქვეყნების ძალების გათიშვას ისახავდა მიზნად. ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება, რომელიც არაბთა შემოსვლის დროისათვის ისედაც შემცირებულ-დასუსტებული იყო, არაბებმა მხოლოდ საკუთრივ ქართლის მიმართ გაატარეს და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეების დაპყრობის

შემდეგ ურთიერთობა ცალკეული კუთხეების ადმინისტრაციულ ხელისუფლებთან დაამყარეს". (9, ტ.II, გვ.403). ასევე მოიქცნენ არაბები დაპყრობილ ჰერეთშიც, ცალკეულ მმართველებთან სხვადასხვა საზავო ხელშეკრულებები დადეს. ცნობილია, რომ VII საუკუნის 40–50-იან წლებში საზავო ხელშეკრულება დადეს ჰერეთში შემავალ „შაკკანისა" („შაქი") და „კამიბარანის" („კამბეჩანი") მმართველებთან და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია არაბებმა ჰერეთის ცალკეულ მმართველებთან კავშირს ამყარებდნენ და ქართლის ხელისუფლებას არცკი ეკითხებოდნენ, მაგრამ მ. ლორთქიფანიძის აზრით, „ეს არ ნიშნავს ჰერეთის სამთავროს ქართლისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით არსებობას....

არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც ჰერეთი პოლიტიკურად არაბთა ხელისუფლების ქვეშ მყოფი ქართლის საერისმთავროს ფარგლებშია მოქცეული, რასაც ადასტურებს არჩილის ფართო საქმიანობა სწორედ ჰერეთის ტერიტორიაზე". (9, ტ.II, გვ.404).

შემდეგში, XI საუკუნის მემატიანეს, ჯუანშერის გადმოცემით, ქართლის ერისმთავრის არჩილის (738–762), სტაფანოზ III-ის ძის დროს, არჩილ მეფეც ცდილობდა ჰერეთის მთიან მხარეში გაევრცელებინა ქრისტიანობა, რათა ისინი უფრო მტკიცედ ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი სამეფო ხელისუფლებასთან. მაგრამ, ჰერეთის მთიანეთში მცხოვრებ წარმართ „ნოჰპატელებს" უარი განუცხადებიათ და აჯანყებულან. „ნუხპატელების" შესახებ ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ისინი იყვნენ: „ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი". შემდეგში. ისინი არჩილს მაინც მოუნათლია. „და იძულებით მონათლნა იგინი". (5, გვ.243).

არჩილის შესახებ თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ, ნ. ბერძენიშვილის „შეხედულებით, არჩილი ქვეყანას მართავდა VIII საუკუნის 40–50-იან წლებში და მეფის სახელსაც კი ატარებდა. VIII საუკუნის 40-იან წლებში არჩილის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულია კახეთ-ჰერეთი, ქართლი, მესხეთი, ლაზიკის ნაწილი და დაღესტნის ნაწილიც კი.

ქართული წყარო არჩილის სახელს უკავშირებს ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობის ნარმოებას ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, წუქეთში". (30, გვ.175).

ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ არჩილი „და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთვარნი, რომელთა მიუბოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი.

და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წარღება წუქეთი, აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხატს, ორთა წყალთა შუა". (5, გვ.243).

ამ ადგილას მოხსენებული „გეოგრაფიული პუნქტი კასრი... ლოკალიზდება თანამედროვე კახის რაიონში. კერძოდ იგი მდებარეობს სოფელ თოფახის სამხრეთ და დასავლეთით. აქ, მაღალ ქედზე, ე. ნ. საყარაულოს მთაზე დღემდე შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კასრის საყდარს უწოდებს". (30, გვ.175). კახის რაიონი დღევანდელ დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეკუთვნის.

ცნობილია, რომ VIII საუკუნის II ნახევარსა და IX საუკუნის I ნახევარში, შეიმჩნეოდა კახეთის სამთავროდან განცალკევების, ჰერეთის სამთავროს ჩამოყალიბების მცდელობა. ამ დროს საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდნენ **კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთის** და **ტაო-კლარჯეთის** სამთავროები და ამ ახლად ჩამოყალიბებულ სამთავროებს შორის, პირველობისათვის, გაიმართა ბრძოლები.

„ნ. ბერძენიშვილის სიტყვით: როცა საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროები ნარმოიშვა (VIII–IX სს.) და პოლიტიკური ჰეგემონობისათვის მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, ჰერეთი ერთი იმ ქართული ერთეულთაგანი იყო, რომელიც ამ პროცესში ორგანულად მონაწილეობდა". (30, გვ.179). წყაროებიდან ჩანს, რომ არაბებთან ბრძოლის დროს, პირველად ქართლის საერისმთავროს გამოეყო კახეთის სამთავრო. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით „ხოლო წელსა ქს. ღპზ, ქრ.ზ. მოკუდა ჯუანშერ ერისთავთ-ერისთავი და შემდგომად მისსა განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი". (30, გვ.180).

წყაროებიდან ჩანს, რომ გრიგოლი ყოფილა კახეთის პირველი მთავარი, რომელიც ვახუშტის გადმოცემით მოღვაწეობდა (787–827) წლებში. იგი მოხსენებულია როგორც ქორეპისკოპოსი.

გრიგოლი იბრძოდა სამთავროთა შორის გამართულ ბრძოლებში პირველობისათვის. მას ეხმარებოდნენ **მთიელები, წანარები** და **თბილისის** ამირა. IX საუკუნის დასაწყისში მას დაუპყრია შიდა ქართლის დიდი ნაწილი. მაგრამ, აფხაზთა მეფისა და ტაო-კლარჯეთის მთავართან გამართულ ბრძოლაში დამარცხდა და მისმიერ დაპყრობილი ქართლის ნაწილი გამარჯვებულებს გადაეცად.

ამავე ხანებში, VIII საუკუნის II ნახევარში, მომხდარა ქართლიდან ჰერეთის გამოყოფაც. ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს (ჯუანშერ ჯუანშერიანი) გარდაცვალების შემდეგ (ვახუშტის ცნობით 787 წ.), ჰერეთში დამკვიდრებულმა „ბაგრატიონებმა დაიპყრეს მთელი ჰერეთი შაკიხიდან (ე. ი. შაქიდან) გულგულამდე (დაახლ. თელავამდე) და საფუძველი ჩაუყარეს ჰერეთის სამთავროს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს მოხდა 787. ახლადშექმნილი ჰერეთის ტერიტორია მოიცავდა გაღმამხარს, საინგილოს, შიგნიკახეთს, კამბეჩანსა და შაქს. ჰერეთის მთავარს ემორჩილებოდა აგრეთვე დაღესტნის მთიანეთის ნაწილი: ხუნძახი და დიდოეთი. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქ. შაქი". (10, ტ.11, გვ.629).

წყაროებში აღნიშნულია, რომ VIII საუკუნის 60-იან წლებში, ხაზარებს დაულაშქრავს ალვანეთი, ჰერეთი (შაქი, კამბეჩანი, წუქეთი და ველისციხე) და ქართლი.

მიუხედავად VIII–X საუკუნის I ნახევრის 20-იან წლებამდე წყაროთა სიმცირისა, სხვადასხვა წყაროთა შეჯერებიდან, ირკვევა, რომ ჰერეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა წარმომადგენელთა შორის, ყველაზე უფრო ცნობილნი არიან საჰლ-იბნ-სუმბატი და მისი ძე ადარნასე (ატერ-ნერსეჰ-ფილიპიან). წყაროებიდან ირკვევა, რომ IX საუკუნეში ჰერეთში იმყოფებოდნენ არაბები. 820 წელს ჰერები (შაქელები) აჯანყებულან, მაგრამ, არაბებს დაუმარცხებიათ, შაქელებს ზავი უთხოვიათ; არაბები დათანხმებულან და ზავი დაიდო „იმ პირობით, რომ შაქელებს ყოველწლიურად ხარკი უნდა გადაეხადათ 500 ათასი დირჰემის რაოდენობით" (30, გვ.189). და მძევლებიც წაუყვანიათ.

822 წელს, სუმბატმა და ადარნასემ, გაილაშქრეს ალვანეთის მარჯვენა ნაპირის მფლობელთა მიხრანიდების საგვარეულოს უკანასკნელ წარმომადგენელთა (ვარაზ-თრდა-ტისა და სტეფანოზის) წინააღმდეგ. დახოცეს ისინი და დაიპყრეს მათი მიწა-წყალი. ამის შემდეგ საჰლ-იბნ-სუმბატს მიულია მიჰრანიდი ვარაზ-თრდატის წოდება „არან-შაჰი" („რანთა მეფე"). წყაროებში იგი მოხსენებულია „პატრიკის" წოდებითაც.

X საუკუნის ისტორიკოსის მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ ვ ა ც ი ს (მოსე კალანკატუელი) გადმოცემით, (822–823) წლებში საჰლ-სუმბატსა და არაბებს შორის მომხდარა ბრძოლები. „ბარდავში გამაგრებულ არაბებს დაუნგრევიათ ალვანეთის ერთ-ერთი ოლქი ამარასი და ტყვედ წაუყვანიათ დაახლოებით 1000 კაცი, როდესაც ეს შეიტყო „მამაცმა და მშვენიერმა მთავარმა" საჰლ-სუმბატმა, იგი უმალვე გაემართა მათ წინააღმდეგ, გაფანტა ისინი და გაანთავისუფლა ტყვეები". (30, გვ.188).

წყაროებში გადმოცემულია აგრეთვე, რომ 825 წელს არაბებს დაუპყრიათ სომხეთი, ქართლი და ჰერეთი. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, საჰლ-სუმბატს კავშირი შეუკრავს სომხეთის მთავართან და ალვანეთში (816–837) წლებში (ხურამიტების მოძღვრების მიმდევრები) აჯანყების ხელმძღვანელთან ბ ა ბ ე ქ თ ა ნ (ფაფაქი, ჰასანი) (დაახლ. 798/800–838). აჯანყება დაიწყეს გლეხებმა და ხელოსნებმა და ის მიმართული იყო ისლამისა და არაბების წინააღმდეგ. მას შეუერთდნენ ფეოდალებიც. გაერთიანებულმა აჯანყებულებმა (819–827) არაერთხელ დაამარცხეს არაბები და მთელი ალავანეთი, ირანის ჩრდილოეთის ზოგიერთი ადგილებიც დაიკავეს. აჯანყებამ სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილიც მოიცვა. არაბთა სახალიფო ამ დროს ებრძოდა ბიზანტიას და ცდილობდა ჩაეხშო ეგვიპტის (830–833) აჯანყება. 833 წელს ბიზანტიასთან დაზავების შემდეგ, არაბებმა მთელი ძალები აჯანყებულების წინააღმდეგ მიმართეს და 834 წელს ქ. **ბაბადანთან** აჯანყებულები დაამარცხეს. ამის შემდეგ აჯანყებულებს უღალატეს ფეოდალებმა, რომლებიც ბრძოლას განაგრძობდნენ როგორც აჯანყებულების, ასევე არაბების წინააღმდეგ. აჯანყებულები თანდათან მარცხდებოდნენ. ბოლოს ბაბექის მომხრეები გამაგრდნენ **ბაძის** ციხეში (ყარაბაღი, თალიშის მთებში), ხოლო ალვანელები და სომხები, ჰერეთის მთავარ საჰლ-იბნ-სუმბატის ხელმძღვანელობით, გოროზის ციხე-სიმაგრეში (ეხლანდელი გორისი, ყარაბაღის ხეობაში).

ბაბექი ბიზანტიასაც შეუთანხმდა. მაგრამ არაბებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ, 837 წლის შემოდგომაზე, შეძლეს ბაძის ციხე-სიმაგრის აღება. ზოგიერთი წყაროს მონაცემით, ბაბეკს მოუს-

წრია გაქცევა და თავი შეუფარებია ყოფილ თავის მოკავშირესთან საჰლ-სუმბატთან. მან კი იგი დაატყვევა და არაბებს გადასცა. არაბებმა ბაბეკს მოსჭრეს ხელები და ჩამოახრჩეს. საჰლ-სუმბატის ასეთი მოქმედება არაბებს დაუფასებიათ და სანაცვლოდ „საჰლმა მიიღო სამეფო კაბა, გვირგვინი და ცხენი. ამავე დროს იგი განთავისუფლ იქნა გადასახადებისაგან". (30, გვ.190).

„მიუხედავად საჰლ-სუმბატის ასეთი პოლიტიკისა, 852 წელს, არაბებმა ისარგებლეს პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით, იგი თავის ვაჟ ადარნასესთან ერთად დააპატიმრეს და ამიერკავკასიის სხვა მთავრებთან ერთად, როგორც მოსე კალანკატუელი მოგვითხრობს ბაღდადში გაამგზავრეს როგორც ტყვე". (30, გვ.190).

საჰლ-იბნ-სუბატის შემდეგ, ისტორიული წყაროების მიხედვით, ჰერეთის მთავართაგან, ცნობილია გ რ ი გ ო ლ ი (ჰამამი). წყაროთა სიმცირის გამო გრიგოლის არც ვინაობაა ცნობილი და არც ის თუ როდის გახდა ჰერეთის მმართველი. ცნობილია მხოლოდ ის, „რომ გრიგოლ ჰამამის მფლობელობის ქვეშ შაქის გარდა, გაერთიანებული ყოფილა მარჯვენა ნაპირის ალბანეთიც. მასვე ექვემდებარებოდა ნანარეთიც. ამდროინდელი „ნანარეთი" (IX ს.), როგორც ცნობილია, პოლიტიკური აზრით კახეთის სამთავროს გულისხმობს. როგორც ჩანს, იმ ბრძოლაში, რომელიც ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარეობდა ამ დროს, ჰერეთმა შეძლო კახეთის სამთავროს ნანილის მითვისება... ჰამამი ერთდროულად ფლობდა, როგორც მტკვრის მარცხენა ნაპირის ალბანეთს, შაქს, ქართულ ჰერეთთან ერთად, ასევე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს (რანის) ნანილსაც, სახელდობრ აწინდელ მთიანი ყარაბახის რაიონებს". (30, გვ.193). მეცნიერთა ვარაუდით, მას მმართველობა მიულია 875 წელს. ცნობილია, რომ ჰამამმა 893 წელს მიიღო „მეფის" წოდება. გრიგოლ ჰამმამი გარდაცვლილა დაახლ. 897 წელს. IX საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისამდე ისტორიულ წყაროებში ჰერეთი მოხსენებულია როგორც ჰერეთის სამეფო.

„IX–X სს-ში ჰერეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერება და მაღალი კულტურა დასტურდება ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლით. შემონახულია შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები: ყუმის ბაზილიკა (VIII ს.), ლექეთის ტეტრანკოთი (VIII–IX სს,), გურჯაანის (კახთუბნის) „ყველაწმინდა" (VIII–IX სს.), ხირსის „სტეფანწმინდა" (IX ს.), ოზაანის „ამაღლება" (IX ს.) და მრავალი სხვ.". (10, ტ.11, გვ.629). უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ წყაროებში, ამ დროის „ჰერეთით", ხშირად აღნიშნავდნენ ზოგადად ალვანეთსაც.

გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, ჰერეთის მეფე ხდება მისი შვილი ა დ ა რ ნ ა ს ე პატრიკი. ვარაუდობენ, რომ ადარნასე მოღვაწეობდა (906–943) წლებში. მის დროს, 915 წელს კახეთის ქორეპისკოპოსმა კ ვ ი რ ი კ ე I-მა (892–918) და „აფხაზთა მეფე" კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე III-ემ (893–923) გაილაშქრეს ჰერეთის წინააღმდეგ. მოკავშირეებმა ჰერეთის მნიშვნელოვანი ადგილები დაიპყრეს და ბოლოს ზავის თანახმად, დაპყრობილი ადგილები გაიყვეს: აფხაზთა მეფემ აიღო **არიში** (ახლანდ. მთისძირი) და **გავაზი** (ახლანდ. ახალსოფელი), ხოლო კვირიკემ – **ორჭოფი** (სად მდებარეობდა ჰერეთში ორჭოფი გაურკვეველია). რამდენიმე ხნის შემდეგ, კახეთის მთავრის ფ ა დ ლ ი II-ის (918–929) დროს, აზერბაიჯანის არაბთა საჯთა ამირებმა მეორედ გამოილაშქრეს საქართველოში, კახეთი დაარბიეს და გადაწვეს მცხეთის ჯვარი. კახეთის გართულებული მდგომარეობით ისარგებლა ადარნასემ და ხელახლა შემოიერთა დაკარგული მიწები.

ადარნასეს შემდეგ ჰერეთის მეფე ხდება მისი ძე ი შ ხ ა ნ ი კ ი, რომლის თანამმართველად გვევლინება დედამისი, დ ი ნ ა რ დ ე დ ო ფ ა ლ ი. „დინარ დედოფალი, წარმოშობით ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა (კლარჯეთის შტო) სახლის ნარმომადგენელი იყო. იგი იყო ასული ადარნასე II (გარდაიცვალა 896 ნ.). მისი ძმა კი იყო ცნობილი გურგენ IV, დიდი ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი (გარდაიცვალა 941 ნ.). ასე, რომ როგორც ვხედავთ, იშხანიკის წარმოშობა დედის მხრივაც საკმაოდ ბრწყინვალე ჩანს". (30, გვ.200).

წყაროების სიმცირის გამო, იშხანიკის მმართველობის წლები დაუდგენელია.

ვარაუდით იშხანიკს უმეფია 943 წლიდან – 960-იან წლებამდე. წყაროებში იშხანიკს მოიხსენიებენ აგრეთვე, როგორც შაქის მმართველად.

იშხანიკის მმართველობის დროს ჰერეთი, როგორც ამიერკავკასიის სხვა მთავრები (სომხეთის, შირვანის, ხაჩენის, ნანარეთის და სხვ.), აზერბაიჯანში დეილემის მთავრების, ირანული წარმოშობის სალარიდების (მოაფერიდები) საგვარეულოს გავლენის ქვეშ ყოფილა მოქცეული და ხარკსაც უხდიდა. მაგრამ, მალე, როდესაც აზერბაიჯანში შინა ფეოდალური ომები გაჩაღდა, X საუკუნის 50-იან წლებში, იშხანიკს ხარკის მიცემა შეუწყვეტია.

ცნობილია, რომ იშხანიკის დროს, დინარ დედოფლის შემწეობით, მოხდა ჰერეთის მოსახლეობის „მოქცევა" დიოფიზიტობაზე. მიუხედავად სომხებისა და სომხეთის კათალიკოსის დიდი მცდელობისა, რომ ჰერეთში და ალვანეთში გაევრცელებინა მონოფიზიტობა და ჰერეთისა და ალვანეთის მოსახლეობა გადაეყვანა სომხურ სარწმუნეობაზე, ჰერეთის მოსახლეობამ მიიღო მართლმადიდებლობა.

სარწმუნეობრივ განხეთქილების შესახებ მსჯელობა, ჩვენ შორს წაგვიყვანს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ სომეხთა არა ერთი „მოღვაწე ისტორიკოსი", როგორც წარსულში, ასევე დღესაც-კი, ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველო და ჰერეთიც სომხეთის კუთვნილება იყო და ქართლსა და ჰერეთში სახლობდა სომხური მოსახლეობა. (იხ. ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი" და ქვევით).

„მარტო დინარი, თავისი შვილის იშხანიკის დახმარებით, ვერ შესძლებდა მთელი ჰერეთის ქალკედონიზმზე მოქცევას. ეს მოვლენა აღმოცენებული იყო მეტად ფართო ნიადაგზე და მისი საფუძვლები თვით ჰერეთის მოსახლეობის წიაღში უნდა ვეძებოთ. ამ ფაქტის ახსნა უნდა ვეძებოთ ჰერეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში, მის შინაურ ყოფა-ცხოვრებაში და სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა შეფარდებაში. სომხურმა სარწმუნეობამ ჰერეთში მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი. ამ ქვეყანაში სომხურ ელემენტს უცხო ტომი დახვდა, რომელიც ეთნიკური წარმოშობით ქართველთა მონათესავე იყო. სომხურმა ელემენტმა ვერ დაჩრდილა ჰერეთის მკვიდრნი. მათ უცვლელად შეინარჩუნეს თავისი ეთნიკური სახე მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით". (30, გვ.210).

ამ მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული მოქმედებით, ჰერეთის მოსახლეობის მიერ მართლმადიდებლობაზე გადასვლით, მოხდა ჰერეთის საბოლოოდ შეერთება ქართლთან და ჰერეთის სამუდამოდ გაერთიანება მცხეთის ეკლესიასთან.

იშხანიკის გარდაცვალების (დაახლ. 960 წ.) შემდეგ ჰერეთის (შაქის) ტახტს იკავებს მისი შვილი ი ო ა ნ ე ს ე ნ ე ქ ე რ ი მ ი. წყაროებში იგი მოხსენებულია როგორც ნანარეთისა და შაქის მეფედ. მას შემოუერთებია კახეთის მიწები და „აგრეთვე მარჯვენა ნაპირის ალბანეთის ზოგიერთი მიწა-წყალიც. როგორც ვხედავთ, იოანე სენექერიმს აღუდგენია შაქის სამეფოს ის ფარგლები, რომელიც მისი წინაპრის გრიგოლ-ჰამამის დროს იყო (დაახ. 886 წ.)". (30, გვ.212).

წყაროებში იოანე სენექერიმს უწოდებენ „ალბანეთის სამეფოს აღმდგენელს". მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ალბანეთის სამეფოს „აღდგენა" აკურთხა ეკლესიამ, ხოლო იოანე სენექერიმს სამეფო გვირგვინი ალბანეთის კათალიკოსმა დაადგა". (30, ტ.II, გვ.411).

იოანე სენექერიბის მეფობა უცვნიათ სალარიდებსაც, მ. კალანკატვაცის გადმოცემით, დელის მთავარს, სალარიანების „მეფემ, უხვად დაასაჩუქრა სენექერიმი, უბოძა მას თავისი მამის გვირგვინი და ცხენი.". (30, გვ.212). მისივე თქმით, იოანე სენექერიმის მეფობა ულიარებია აგრეთვე, ტაოს მეფეს დავით III დიდს, კურაპალატს მან, სენექერიბს გაუგზავნა „სამეფო გვირგვინი და ბრწყინვალე პორფირი პატივისცემის ნიშნად". (30, გვ.212).

მაგრამ, ჰერეთის სამეფოს სიძლიერე და ასეთი წარმატებული მიღწევები დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. თ. პაპუაშვილი წერს, რომ:

„იოანე სენექერიბის, როგორც შაქის მფლობელის შესახებ, ჩვენ სხვა ცნობები არ გაგვაჩნია. მოსე კალანკატუელის „ალვანეთის ისტორია" 999 წელზე წყდება. როგორც ჩანს, მოსე კალანკატუელი თავისი ისტორიის უკანასკნელ ფურცლებს შაქისა და ნანარეთის ამ მეფის სიცოცხლეშივე წერდა. იოანე სენექერიმის შემდეგ, ე. ი. X ს. ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისიდან. არც ქართულ და არც სომხურ წყაროებში ჰერეთის მეფე, აღარ იხსენიება, როგორც ჩანს, ამ დროს, მართლაც შემწყდარა ჰერეთის მფლობელთა დინასტია". (30 გვ.213).

XI საუკუნის დასაწყისიდან წარმოებს ბრძოლა ერთიანი საქართველოს შესაქმნელად, კახეთ-ჰერეთის ერთიან საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევა.

ცნობილია, რომ ჰერეთის სამეფომ დაკარგა მარჯვენა ნაპირის ალვანეთი (მთიანი ყარაბახი). რომელიც 1003 წელს დაიპყრეს განძის ამირამ ფადლ იბნ მუჰამადიმ (შედადინთა სამეფოს მმართველი) (985–1031) და 990-იდან ანისის სამეფოს მეფემ გაგიკ I-მა (გ. 1020) (ბაგრატუნების საგვარეულოს წარმომადგენელი).

„XI ს. დასაწყისში გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III და კახთა ქორეპისკოპოსი დავითი (976–1919) იბრძვიან ჰერეთის დასაპყრობად. XI ს. 20-იან წლებში კახეთის მეფე კვირიკე III (1010–37) დიდმა დაიპყრო ჰერეთის სამეფო. რითაც დასრულდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი. ამიერიდან ჰერეთის სამეფომ შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა და მოექცა ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულის – „რანთა და კახთა" სამეფოს შემადგენლობაში. XII ს. დასაწყისში ჰერეთი კახეთის სამეფოსთან ერთად გახდა გაერთიანებული საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში". (10, ტ.11, გვ.629).

მ. ლორთქიფანიძე ჰერეთის შესახებ წერს:

„ჰერეთის გაერთიანება სხვა ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან იმ ზოგადი პროცესის ერთი მხარე იყო, რომელიც საბოლოოდ საქართველოს გაერთიანებით და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნით დასრულდა". (9, ტ.II, გვ.416).

1.3. საინგილო.

ისტორიული, საარქივო და არქეოლოგიური წყაროებით დამტკიცებულია, რომ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ახლანდელ აზერბაიჯანის დასავლეთ მხარეს, რომელიც მოიცავს ბელაქნის, ზაქათალის და კახის მიწა-წყალს, რომელსაც XX საუკუნის 20-იან წლებამდე ეწოდებოდა **საინგილო**, ეკუთვნოდა საქართველოს, სადაც ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ უძველეს დროიდან, ქართველური ტომები: **ჰერები, სუჯები, ჭილბები, ლბინები და ალვანები** (კავასიის ალბანელები).

გეოგრაფი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ჩანგაშვილი წერს, რომ: „საინგილო ეწოდება მხარეს, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ამჟამად კახის (კაკის – ასე ეწოდებოდა მას XX ს. 20-იან წლებამდე), ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებით აზერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული. საინგილოს წარსულში ელისენს უწოდებდნენ....

იგი ლანდშაფტურად შიგნიკახეთის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. საინგილოს ტერიტორია მოიცავს კახეთის კავკასიონისა და ალაზნის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილებს, დაშიუზის დაბალ ქედსა და აჯინოურის ვაკეს". (36, გვ.3).

„საინგილოს ტერიტორია, რომ ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და იგი მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული, ეს დასტურდება ქართულ, რუსულ, ევროპულ და თვით აზერბაიჯანულ ენაზეც არსებული მრავალი ისტორიული წყაროთი". (36, გვ.19).

საინგილო წინათ შედიოდა ჰერეთში და წარმოადგენდა მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. „ქართული წყაროებით ჰერეთი მოიცავდა გარე კახეთის ნაწილს, ქიზიყს, დიდ ნაწილს შიდა კახეთისას, გალმამხარს, საინგილოს და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანს (ყოფილი შაქის ოლქი ანუ ნუხის მაზრას), ჰერეთშივე, კერძოდ მის მთიანეთში, არის სავარაუდებელი „ჰუნზახი" და „დიდოეთი". (30, გვ.101). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰერები (ქართველთა მონათესავე ტომები) უძველეს დროს შედიოდნენ ალვანეთის სამეფოში.

სიტყვა „საინგილო" შემოღებულ იქნა XIX საუკუნეში, ამ მხარეში მცხოვრები ხალხის („ინგილოების") აღსანიშნავად. ამ სიტყვის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „საინგილო" წარმოსდგა კახის ერთ-ერთი სოფლის „ჰენგიანის" სახელწოდებიდან. სპარსულად „ენგილა" ნიშნავს ამოძირკულს, ამოგდებულს. მეორე მოსაზრების თანახმად, რომელიც უფრო სინამდვილეს შეეფერება, არის ის, რომ ლეკიანობის დროს, ლეკებმა შეძლეს ირანისა და თურქეთის შემწეობით, ადგილობრივი მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილის

გამაჰმადიანება, რომლებსაც თურქები გამაჰმადიანებულ ქართველს ინგილოს ეძახდნენ, რაც ნიშნავდა „ახლად მორჯულებული“ საიდანაც წარმოსდგა სახელწოდება ინგილო, ხოლო ამ მხარეს კი დაერქვა „საინგილო“.

გ. ჩანგაშვილის თქმით: „გამაჰმადიანებულ ქართველებს უწოდებდნენ „იანგილოს“, რაც თურქულად ნიშნავდა „ახალს“ – „ახლად მორჯულებულს“. სახელწოდება „ინგილო“ მიღებული ჩანს ძველი თურქული იანგილი – იანგილო ფორმიდან (ყანგილი – ყანგილო), ხოლო „იანგილოდან“ წარმოსდგა სახელწოდება „საინგილო“. ამგვარად, კახეთის აღმოსავლეთმა ნაწილმა XVIII ს. მიიღო სახელწოდება „საინგილო“. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, „ინგილო“ არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნებაა, ე. ი. „ინგილო“ როგორც ერი არ არსებობს, ინგილოები ქართველები არიან“. (36, გვ.49).

1937 წელს გამოცემულ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც ინგილოების შესახებ წერია:

„ინგილოი (ქართულიდან ინგილო, დამახინჯებული თურქულიდან ენგილავ – «ახალ მოქცეული»), ზაქათალის რაიონის ქართველი-მუსულმანები, კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ საერისთაოს (ვოევოდვსტვო) ჩრდილო-აღმოსავლეთ ჰერეთის (ალბანეთი სტრაბონი) ქართველი მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი. მე-17-ე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის მიერ ჰერეთის დაპყრობიდან, შაჰ აბასის I-ის დროს, ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურებულნი ან გადასახლებულნი იყვნენ სპარსეთში. დარჩენილნი იძულებულნი გახდნენ მიეღოთ ისლამი და გახდნენ ახალმოქცეულნი („ენგილავ ინგილო). რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ინგილოების უმეტესი ნაწილი ხელახლა გაქრისტიანდნენ“. (106, ტ.28, გვ.62).

ცნობილია, რომ ძვ. წ. I საუკუნეში ჰერები (მათთან ერთად, ადრინდელი ინგილოებიც) ალვანეთს გამოეყო და იბერიის გავლენის ქვეშ მოექცა. მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოში მომხდარ თითქმის ყველა კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამავე საუკუნის II ნახევარში, ალვანებთან, იბერებთან და სომხებთან ერთად, იგერიებდა რომის იმპერიის შემოტევებს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XVI საუკუნის ბოლოს, ჩრდილოეთ-კავკასიაში გამოჩნდა ერთმორწმუნე რუსეთი, რომელმაც თვითონვე შესთავაზა კახეთს მფარველობა და მტრების მოსაგიერებლად მცირე ჯარიც გამოგზავნა. რუსეთის ამ მოქმედებამ განარისხა თურქეთი და ირანი. შაჰ-აბას I-მა იცოდა, რომ რუსეთის მიერ კავკასიისა და საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რუსეთს გზა გახსნილი ექნებოდა ირანისა და სამხრეთის ქვეყნების დაპყრობისათვის. ამიტომ შაჰმა გადაწყვიტა საქართველოს საბოლოოდ დამორჩილება, ადგილობრივი მოსახლეობის მოსპობა და გადასახლება და განთავისუფლებულ მიწებზე მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება. კახეთის დაცარიელებულ მიწებზე, შაჰის ხელშეწყობით, ჩრდილოეთიდან დაიწყო ლეკების ჩამოსახლება, რომლებმაც შეჰქმნეს თავიანთი თემები. ლეკები, ირანელებისათვის ერთგვარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა.

„შაჰ-აბასის შემოსევებისას ქართლზე უფრო მეტად კახეთი დაზარალდა; შაჰმა მის მოსასპობად საგანგებო ველური ღონიძიებები ჩაატარა. თვით კახეთში კი ყველაზე უფრო გაპარტახებული მისი აღმოსავლეთი ნაწილი, დღევანდელი საინგილო იყო. ეს იმიტომ მოხდა, რომ აღმოსავლეთი კახეთი უშუალოდ დაღესტანს ესაზღვრებოდა და ყველა სახიზარი, სადაც ამ მხარის თითქმის მთელი მოსახლეობა აფარებდა თავს, ლეკთა ველური ბანდების სათარეშო გამხდარიყო. „კახეთმა ამ შემოსევებისას მთელი თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა“. შაჰის ჯარებმა 100 000-ზე მეტი ქართველი ამოწყვიტეს, 200 000-ზე მეტი ტყვეთ წიყვანეს, მათ შორის უმრავლესობა ქალი, ბავშვი და მოხუცი იყო..... შაჰმა გულადი ტყვე ქართველებით შეავსო თავისი „ყულის“ (მონათა) და „შაჰისევანის“ (შაჰის მეგობრების) ჯარები, ტყვეთა დიდი ნაწილი, როგორც საუკეთესო კულტურული მეურნენი, ირანის სხვადასხვა პროვინციაში – ფერეიდანში, გილანში, მაზანდერანში, ხოროსანში, შირაზში და სხვაგან დაასახლა.“ (36, გვ.45).

„ამ ქვეყნის ამოწყვეტასა აკლება-ანიოკებაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდნენ ავარელი ლეკები. შაჰ-აბასმა, შემოესია თუ არა კახეთს, მაშინვე მოწოდება გაუგზავნა ლეკებს, სთხოვდა – გზები შეეკრათ ქართველთათვის, მთებში არ გაეშვათ გასახიზნად, ამოეწყვიტათ მცხოვრებნი და გადაებუგათ მთელი კახეთი. სამაგიეროდ პირდებოდა დიდს წყალობას და განთავისუფლებული ადგილების ჩუქებას. ნაქეზებულნი შაჰ-აბასის ამ დაპირებით, ლეკები მხნედ შეუდგნენ ბრძანების

ასრულებას. კალამი ვერ აღწერს იმ საშინელებას, რასაც ლეკები სჩადიოდნენ... მთელი დაღესტანი მოსდგომოდა კახეთს და გაღმამხარს და რაც სპარსთა მახვილს გადარჩა, იმას ისინი უღებდნენ ბოლოს. „მთელი კახეთი, – ამბობს შაჰ-აბასის თანამედროვე მწერალი ისკანდერ მუნში, – ისეთ დღეში ჩავარდა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს ქრისტიანობას მას შემდეგ, რაც მუსულმანობა გაჩნდა ქვეყანაზე". (37, გვ.36).

შემდგომ დროს, XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში, ირანი დასუსტდა და ეხლა საქართველოს მოადგა თურქეთი. მისი ნაქეზებით, დაღესტნელი ლეკები იწყებენ თავდასხმებს აღმოსავლეთ კახეთზე, განსაკუთრებით საინგილოზე. ისინი ძარცვავდნენ, ტყვედ მიჰყავდათ და სახლდებოდნენ განთავისუფლებულ მიწებზე. დასუსტებული ქართლ-კახეთი ვეღარ უმკლავდებოდა ამდენ შემოსევებს. თანდათან საინგილოში ხდებოდა ქართველების გამაჰმადიანება. აღმოსავლეთ კახეთის მინა-წყალზე, ძველი ჰერეთის აღმოსავლეთ განაპირა მხარეში, ჩამოყალიბდა ნახურელი ლეკების, **ელისუს სასულთნო** და კახეთის აღმოსავლეთში, ძველი ისტორიული კაკ-ენისელის მიწაზე, ავარიელი ლეკთა **ჭარ-ბელაქნის**, ეგრეთ წოდებული **„უბატონო, თავისუფალი, თემების"** სამფლობელო.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით გახშირდა ლეკების თავდასხმები კახეთზე.

1706 წლის კახეთის მეფის (1703–1722) დ ა ვ ი თ II-ის (იმამყული-ხანის) (გ. 1722) ჭარ-ბელაქანში მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, ლეკებმა მთლიანად დაიპყრეს საინგილო და მათი გამუდმებული თავდასხმის გამო, დავით II იძულებული გახდა თავისი ადგილსამყოფელი ყარაღაჯიდან თელავსა და მანავში გადაეტანა. 1715 წლის შემდეგ, დავით II-ემ ხელახლა გაილაშქრა ქართლელებთან ერთად ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ (ქართველებს) ირანის შაჰიც ეხმარებოდა, ლეკებთან ბრძოლაში კვლავ დამარცხდა. ამის შემდეგ ჰერეთ-საინგილო-კახეთის მინა-წყალზე დაიწყეს მასობრივად ჩამოსახლება დაღესტანიდან (განსაკუთრებით სამხრეთიდან) სხვადასხვა ტომებმა. რომლებიც დამკვიდრდნენ და გაბატონდნენ კახეთის აღმოსავლეთ მხარეში.

„კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი კიდევ უფრო ვიწროვდება. ამიერიდან იგი მდ. ყაფუ-ჩაიდან დასავლეთით, გავაზისწყალზე ინაცვლებს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს მათ მიერ მინატაცები ქვეყანა იმ სამსახურისათვის, რომელიც ჭარელებმა მართლმორწმუნეთა ფადიშაჰს ისლამის გავრცელების საქმეში აჩვენეს.

ასე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) ჭარ-ბელაქნელი აღალარების სახელმწიფო, რომელმაც მალე ელისუს სასულთნოც დაიქვემდებარა და დაღესტნელ ფეოდალ-აბრაგთა თუ ოსმალეთის სულთნის მხარდაჭერით ზურგგამაგრებული, ქართლ-კახეთს მოსვენებას არ აძლევდა....

XIX საუკუნეში ცარიზმმა სცნო „კანონიერება" ოსმალო მტაცებლის ამ აქტისა მის იმ ნაწილში, რომელიც ჭარ-ბელაქნელ დამპყრობთა მემამულეობას ეხებოდა", ასე მიეცა დასტური ინგილოთა მიწების მტაცებლებს და „რაღა გასაკვირია, თუ ოსმალეთის სულთნის მმადლობელი ჭარ-ბელაქნელი აღალარები «თურქეთის მთავრობის ამ სიგელ-გუჯარს.... უფრთხილდებიან როგორც წმინდანს»" (9, ტ.IV, გვ.428).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მდგომარეობა უფრო გართულდა, როდესაც ჩრდილოეთის მხრიდან კავკასიას მოადგა რუსეთის იმპერია, რომელმაც მოინდომა კავკასიაში გაბატონება. რუსეთმა შეძლო კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროების დაკავება, ხოლო დანარჩენი კავკასია დაიპყრო თურქეთმა და დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანება.

გ. ჩანგაშვილი წერს: „გადავფურცლოთ აზერბაიჯანის ისტორიის წიგნი, სადაც ამ მხარის შესახებ ვკითხულობთ – „ავარისტანიდან (დაღესტანში) ჩამოსულები სახლდებოდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში ჯერ კიდევ XV ს. ბოლოს. ამის საბაბი იყო ავარიელების მოწვევა კახელების მიერ, მტრებისაგან თავის საზღვრების დაცვის მიზნით. XVII ს. დასაწყისში ავარიელებმა აბას I-ის დახმარებით დაიმორჩილეს ინგილოები (ქართველები, რომლებმაც ისლამი მიიღეს), მულალები (მუსულმანი მონღოლები) და დანარჩენი ადგილობრივი თურქულენოვანი მოსახლეობა და საბოლოოდ დამკვიდრდნენ ბელაქნის, ჭარის, მუხახის, თალის, ჩარდახლის, კავაჩხელის, კატეხის, კაშკი-ჩაის, სუვაგულის და სხვა სოფლების მიდამოებში" (აქ ჩამოთვლილი ყველა

სოფელი ბელაქან-ზაქათლის რაიონების ფარგლებშია), თვით აზერბაიჯანის ისტორიის წიგნიდანაც აშკარად ჩანს, რომ საინგილოს ტერიტორია საქართველოს ეკუთვნოდა, რომ იქ ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებიც „XVII საუკუნის დასაწყისში აბას I-ის დახმარებით ავარიელებმა დაიპყრეს". (36, გვ.24).

1783 წლის ტრაქტატში, ერეკლე II მოხსენებულია როგორც „მთავარი კაკის"-ა. ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია, ჯერ კიდევ XI საუკუნის დასაწყისში, მნიშვნელოვანი სავაჭრო დაბა **კაკი (კახი)**, რომელიც შემდეგში ჰერეთის მხარე გახდა. დღევანდელ დღეს, ის მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და მოიცავს კახის რაიონს. კაკის მხარე, 1604 წელს შაჰ-აბას I-მა კახეთს ჩამოაჭრა და წახურელ ლეკებს გადასცა. „კაკი იყოფა 3 ნაწილად: კახ-ბაში, კახ-ინგილო და კახ-მუალი. XVIII ს. I მეოთხედში კახში საბოლოოდ ჩამოყალიბდა წახურელ ლეკთა ე. წ. უბატონო თემები (ელისუს, ყარადულაკის, სუვადულაკის და წახური), რომელთაც კახეთის სამეფოს საკმაოდ დიდი ნაწილი თავის გავლენის ქვეს მოაქციეს და დაიმორჩილეს. აქ ჩაეყარა საფუძველი შემდგომი დროის ელისუს სასულთნოს, რომელიც XIX ს. შუა ხანებში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა". (10, ტ.5, გვ.324).

როგორც ზევით აღვნიშნეთ: „კაკი", ანუ „კახი", იყო ძველი ჰერეთის, კახეთის აღმოსავლეთი მხარე. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ტერიტორიაზე დაღესტნური თემების გაბატონებას ბატონყმურ კახეთში გაჩაღებულმა კლასობრივმა ბრძოლამაც შეუნყო ხელი". (9, ტ.IV, გვ.397).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ერეკლე II-ის მიერ და იმ დროინდელ მესვეურთა საქართველოს პოლიტიკური გაფართოების ყოველივე მცდელობისა: საინგილოსა და სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებისა და ლიხსიქეთ საქართველოს გაერთიანებისა, მარცხით დამთავრდა.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ, ვინაიდან ჭარ-ბელაქანი მათ წინააღმდეგ გამოდიოდა, ამიტომ, საქართველოს მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა 1803 წელს ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო დროებით დაიმორჩილა. რუსეთმა მხოლოდ 1830 წელს ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად შეძლო ჭარ-ბელაქნის დაპყრობა და იქ რუსეთის იმპერიის მმართველობა დამყარდა. „1830 ცარიზმმა გააუქმა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნა ჭარ-ბელაქნის ოლქი. მის ბაზაზე კი 1840 – ბელაქნის მაზრა, რომელიც ადმინისტრაციულად საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა; 1842 იგი კვლავ ცალკე ოლქად გამოიყო, ხოლო 1844-იდან ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი გახდა. 1860-იდან იგი ზაქათალის ოკრუგად იწოდებოდა და ექვემდებარებოდა დაღესტნის ოლქს. ამავე დროს ყოფილი ელისუს სასულთნოს მთიანი ნაწილი, ეგრეთ წოდებული მთიანი მაღალი შეუერთდა სამურის ოკრუგს". (10, ტ.8, გვ.663). ცნობილია, რომ დაპყრობილ ქვეყნებში, რუსეთის მთავრობა ხარკსაც აგროვებდა. „რუსეთის ფინანსთა მინისტრის კანკრინის 1824 წ. ცნობით, მოსკოვში იყიდებოდა ის აბრეშუმი, რომელიც ხარკის სახით კრებდნენ საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში (მაგ., საინგილოში)". (9, ტ.IV, გვ.913).

მართალია, მუსულმანთა ბატონობის დროს, XIX საუკუნის დასაწყისში ინგილოები უკვე გამაჰმადიანებულები იყვნენ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სხვათა დასანახავად მაჰმადს ლოცულობდნენ, ჩუმად კი ქრისტიანულ წესებს იცავდნენ, რომ ქართველობა არ დაეკარგად.

საინგილოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, დასაწყისში, ინგილოთა მდგომარეობა ნაწილობრივ გაიოლდა. 1850 წლიდან, (1844–1854) კავკასიის მეფის ნაცვალის და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალ მიხეილ ვორონცოვის (1782–1856) დროს, საინგილოში ქართველობამ ისევ დაიწყო გაქრისტიანება. 1851 წელს კაკში მღვდელიც კი დაინიშნა. დაიწყო ქრისტიანული ძეგლების აღდგენა და ახლებიც აშენდა. გაიხსნა დაწყებითი ქართული სკოლებიც და სხვა.

„ინგილოები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ საქართველოს.

საინგილოში ქრისტიანობის მფარველობით და მუსულმანობის შევიწროებით რუსეთის მეფის მთავრობა საკუთარ მიზნებს ახორციელებდა. მართალია, ასეთმა პოლიტიკამ ქრისტიანი ინგილოების მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სამაგიეროდ საინგილოში მცხოვრებ მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის შუღლი დიდად გაამწვავა. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა ასეთი პოლიტიკით საკუთარი საქმეები მოაგვარეს. კავკასიის მთლიანად დაპყრობის შემდეგ

(1864 წ. მაისი) რუსეთს ამ მხარის მაჰმადიანური ქვეყნების დაკარგვისა აღარ ეშინოდა, რის გამოც მეფის რუსეთმა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან საინგილოს ქრისტიანობის მფარველობაზე ხელი აიღო, ხოლო მუსულმანობას პრივილეგიებიც კი მიანიჭა. ამ დროიდან მოყოლებული რეაქციული მოლების წყალობით, საინგილოში ქართველების, ქართული ენისა და კულტურის მდგომარეობა უაღრესად მძიმე პირობებში მოექცა. კვლავ დაიწყო ინგილოების შევინროება და გამაჰმადიანება, ქართული ენის დაკარგვა.....

გასული საუკუნის 60–70-იან წლებში საინგილოს ქრისტიანულმა მოსახლეობამ კვლავ შემცირება იწყო, მათი მდგომარეობა ისევ გართულდა.... აი რას წერდა ინგილო ჯანაშვილი 1902 წელს: „ჭეშმარიტად, რომ სამწუხაროა და სატირალია ასეთი მოვლენანი, XIX საუკუნემ ბევრი ამისთანა დაღი დაადო ქართველობას. 12 ათასმა ინგილომ დაჰკარგეს ქრისტიანობა და ხალხოსნობა ზაქათალის ოლქში". 1861 წელს 20 ათასი სული ინგილო იყო მონათლული, რამდენიმე წელში მათი რიცხვი 4 000-მდე შემცირდა, ე. ი. 16 000 ინგილო კვლავ გამაჰმადიანეს". (36, გვ.54).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აქამდე ცხრაკლიტულში მოთავსებული წყაროების განხილვიდან ცხადი გახდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დროს, 1921 წელს, საქართველოს კონსტიტუციით, საინგილო, საქართველოს შემადგენლობაში გამოცხადდა როგორც ავტონომიური მხარე, მაგრამ, მაშინდელმა მთავრობამ, საინგილოში ჯარების შეყვანა ვერ მოასწრო. ვინაიდან, როგორც ცნობილია, ამავე წელსვე, რუსეთის წითელმა არმიამ, ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, საქართველო დაიპყრო და საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა. ამიერიდან საქართველოს როგორც საშინაო და საგარეო მდგომარეობას, თავის გუნება-განწყობილებაზე მოსკოვის ხელისუფლება მართავდა. საქართველოს გასაბჭოებისთანავე, ქართველმა ბოლშევიკებმა, საქართველოს მიწა-წყალი ჩამოაჭრეს და მეზობელ რესპუბლიკებს „ძმურად" დაურიგეს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელმა „ერთა ლიგამ", საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარა ართვინ-არტაანთან_ერთად_საინგილოც.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საზღვრების დადგენის მიზნით, რუსეთის კომპარტიის კომიტეტის კავბიუროს (კავკასიის ბიურო) 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომა 25–27 ივნისს გაიმართა თბილისში.

„კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კიროვი (თავმჯდომარე), სვანიძე, თოდრია (საქართველოს სსრ წარმომადგენლები), გუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ ზადე, ომარ ფაკი (აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლები), ბეკზადიანი (სომხეთის სსრ წარმომადგენელი).... კომისიის სხდომათა საოქმო ჩანაწერისა, რომელიც სომხეთის სსრ წარმომადგენლის მდივნის ვ. მურადიანის მიერ არის შედგენილი". (38, გვ.19). ჩანს, რომ სომხეთის წარმომადგენელს ბეკზადიანს ამ სხდომაზე განუცხადებია, რომ ვინაიდან 1921 წლის მარტის, მოსკოვის ხელშეკრულების (მოსკოვსა და თურქეთს შორის) შემდეგ „სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად – უმდიდრესი მარილის და ქვანახშირის მაღაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთის და კაგიზმანის ტყიანსაძოვრებიანი რაიონები.... გარდა ამისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მივუჩინოთ, მიწა უნდა მიეცეთ და მშვიდობიანი შრომა დაეუბრუნოთ. ქვეყნის ასეთი მდგომარეობა უთუოდ მეტად მძიმე მდგომარეობად, ის კი არადა კრიზისულ მდგომარეობადაც კი უნდა მივიჩნიოთ. ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები – სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრად ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგებმა მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებსა და თათრებს გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისათვის, ერთხელ და სამუდამოდ უაღრესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთდამოკიდე-

ბულების დამყარების გულისთვის დაგვთანხმდნენ გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში". (38, გვ.19).

25 ივნისის სხდომა ძირითადათ საქართველოსა და სომხეთის საზღვრების შესახებ გაიმართა. (იხ. ქვევით). ხოლო 26 ივნისს სხდომაზე განიხილავდნენ, აზერბაიჯანის სასაზღვრო საკითხს – საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ზაქათალის ოლქის (საინგილო) და მტკვრის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ყარაიაზის მხარის შესახებ. როგორც სხდომათა საოქმო ჩანაწერიდან ჩანს, აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა საინგილო და ყარაიაზი საქართველოს შემადგენლობაში მყოფად აღიარეს. საქართველოს წარმომადგენელები დათანხმდნენ აღნიშნულ მხარეში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის ავტონომიური უფლებების მინიჭებას. მაგრამ, 27 ივნისის სხდომაზე, რეფერენდუმთან დაკავშირებით, ისეთი აურზაური ატყდა, რომ კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა კიროვი, პასუხისმგებლობა მოიხსნა და საბოლოო საკითხის გადაწყვეტა რკპ(ბ) კავბიუროს გადასცა. აქ კი, მთავარი საბოლოო გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდათ, ი. სტალინსა და ს. ორჯონიკიძეს და როდესაც, 1921 წლის 5 ივლისს საქართველოსა და აზერბაიჯანის კონფერენცია შედგა, როგორც მოსალოდნელი იყო, ზაქათალის ოლქი (საინგილო) და მტკვრის აღმოსავლეთი სანაპირო აზერბაიჯანს გადაეცა. როგორც ცნობილია, ამ საკითხების განხილვის დროს, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ, რომელმაც გადაცემის ხელშეკრულებას პირადად მოაწერა ხელი. ხოლო, 1921 წლის 15 ნოემბერს ეს ხელშეკრულება, ახალმა რევკომის თავმჯდომარეებმა, ბუდუ მდივანმა (1877– 1936) და მუხტარ გაჯიევმა (1876–1938) დაამტკიცეს.

ასე და ამგვარად, ისევ და ისევ ქართველი ბოლშევიკების წყალობით, (უფრო სწორად ღალატით), საბოლოოდ საინგილო აზერბაიჯანს გადაეცა.

ამ მხარეში, აზერბაიჯანმა ჩამოაყალიბა სამი რაიონი: **კახი, ბელაქანი** და **ზაქათალი.**

დღევანდელ დღეს ქრისტიანი ინგილოები ცხოვრობენ მხოლოდ კახის რაიონში. ხოლო მუსულმანი ინგილოები არიან სამივე რაიონში.

„ქრისტიან და მუსულმან ინგილოთა შორის განსხვავება გარდა რელიგიისა, სხვა რამეშიც შეინიშნება; ინგილო ახალგაზრდობა და ინტელიგენტ ინგილოთა, ოჯახები, სადაც ქართულად ლაპარაკობენ, თავიანთ ყოფა-ცხოვრებით, ჩაცმა-დახურვით და ქცევით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ქრისტიან ინგილო-გლეხს ოჯახი, კარ-მიდამო, ჩაცმა-დახურვა, ზნე-ჩვეულება ისეთივე აქვს, როგორც თანამედროვე კახელ გლეხს. მათ ეზოში თუ მის მახლობლად ბაღ-ბოსტანთან ერთად, აუცილებლად ვენახიც არის გაშენებული. მუსულმან ინგილო გლეხის (განსაკუთრებით ხანში შესულთა) ყოფა-ცხოვრებასა და მეურნეობაში კი შეინიშნება რელიგიის გავლენა: მათ საკარმიდამოში ვენახს ვერ ნახავთ; მის მაგივრად ჭარბად არის გაშენებული თხილის პლანტაციები. განსხვავება, ცხადია თავს იჩენს ადათ-წესებსა (ნათლობა, ქორწილი, დასაფლავება, რელიგიური დღესასწაულები) და საჭმელებში (ღორის ხორცი მუსულმან ინგილოთა ულუფიდან ძირითადად გამორიცხულია).....

ინგილოთა სოფლებში ეკლესიები და მეჩეთები გაუქმებულია; ქრისტიანები ქრისტიანული რელიგიის ადათ-წესებს ასრულებენ, მუსულმანები – მუსულმანურს, სკოლები ქართულ. აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზეა". (36, გვ.59).

მიუხედავად საბჭოთა მოამაგეთა განცხადებებისა, რომ საბჭოთა მშრომელები ყველანი კეთილგანწყობილებით და ძმური სიყვარულით არიან ერთმანეთის მიმართ გამსჭვალულნი, საინგილოში გრძელდებოდა ინგილოელი ქართველების შევიწროება და ჩაგვრა. აზერბაიჯანელი ადგილობრივი ხელმძღვანელები და სარწმუნეობის წარმომადგენლები, ყოველ მხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ინგილოების დაახლოვებას ქართველებთან. ასეთი მდგომარეობა საინგილოში დღევანდელ დღესაც, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც ნაწილობრივ გრძელდება.

აზერბაიჯანს გადაეცა აგრეთვე, ძველი საინგილოს ნაწილი, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ჰერეთის მხარე, **ნუქეთი** (ნახური). რომელიც ადრე „ჰერეთის ერთ-ერთ თემს წარმოადგენდა". (30, გვ.46). ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ქართლის სამეფო უკვე IV საუკუნეში მოიცავდა

ჰერეთს, ხოლო, ჰერეთში კი შედიოდა ნუქეთი, რომელიც V საუკუნეში წარმოადგენდა ქართლის სამეფოში შემავალ ფეოდალურ სამთავროს. ვახტანგ გორგასლისა და არჩილის დროსაც, ნუქეთი ქართლის სამეფოს ემორჩილებოდა, წარმოადგენდა საერისთავოს და იქ იჯდა მის მიერ გაგზავნილი ერისთავი. ნუქეთის საერისთავოს მთავარი ქალაქი იყო **გიში**, რომელიც მდებარეობდა გიშის წყალზე (ახლანდელ მდ. ქიშ-ჩაი, აზერნბაიჯანის რესპუბლიკაში). პირველად გიში მოხსენებულია XII საუკუნეში. მეცნიერთა ვარაუდით ის უფრო ადრინდელი დასახლებული ადგილი იყო. ამავე ქალაქში მოქმედებდა საეპისკოპოსთა კათედრალი. გიშსში იჯდა ნუქეთის ეპისკოპოსი. „გიშის საეპისკოპოსო კათედრის დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება. როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან" ჩანს, აქ საეპისკოპოსო ცენტრის არსებობა, უფრო ადრე თუ არა, V საუკუნის II ნახევარში საეჭვო აღარ უნდა იყოს" (30, გვ.343).

წყაროებიდან ჩანს, რომ VII საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის I ნახევარშიც, ნუქეთი ქართლის ერისმთავარს ემორჩილებოდა. VIII საუკუნის 40–50-იან წლებში ქართლის ერისთავს **არჩილ** II-ეს (668 – დახ. 750) „არჩილ მეფეს" ნუქეთის მთავრად დაუნიშნავს ვინმე აბუხუასრო. რომელსაც ემორჩილებოდა ხუნძახი და თუშეთი. „ქართლის ცხოვრება"-ში მოთხრობილია, რომ ტაო-კლარჯეთიდან ლტოლვილები მოსულან კახეთში და ერთ-ერთი პიტიახში (ირანში უმაღლესი სახელმწიფო მოხელე), არჩილს ჩაუსახლებია ნუქეთში. ცოლად მიუცია ნუქეთის მთავრის, აბუხუასრის, დაქვრივებული ნათესავი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩილს ნუქეთში აუშენებია ციხე-ქალაქები და საეკლესიო ნაგებობები. არჩილის დროინდელ ნაგებობათა შორის გამოირჩევა: სოფელ **კახ-ბაშის ბაზილიკა, ყუმის სამ ეკლესიანი ბაზილიკა** და **ლექეთის ტეტრაკონქი**. თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ „ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექეთის ტაძარი, რომელიც წარმოადგენს ე. წ. გუმბათიან კვადრატს – წრეში მოთავსებული ტეტრაკონქი, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით". (30, გვ.300). ხოლო **კასრისა** და **ლაკუასტისას** შესახებ, წერს, რომ: „გეოგრაფიული პუნქტი კასრი.... ლოკალიზდება თანამედროვე კახის რაიონში, კერძოდ, იგი მდებარეობს სოფელ თოფახის სამხრეთ-დასავლეთით. აქ, მაღალ ქედზე, ე. წ. საყარაულოს მთაზე დღემდე შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კასრის საყდარს უწოდებს. არჩილის მიერ ლაკუასტის ხევში აშენებული ციხე უნდა იყოს იგივე ციხე ლაკვათისა, რომელსაც გვიან ლაგოეთი resp. ლაგოდეხი ეწოდა". (30, გვ.175).

წყაროებიდან ირკვევა, რომ VII–IX საუკუნეებში ნუქეთი შედიოდა ჰერეთის ლექეთის საეპისკოპოსოში. **ლექეთი** წარმოადგენდა ჰერეთის უძველეს ადგილს. დღევანდელ დღეს სოფელი ლექეთი მდებარეობს აზერბაიჯანის კახის რაიონში. VIII საუკუნის ბოლოს, როდესაც ქართლს გამოეყო ჰერეთი და ჩამოყალიბდა ჰერეთის სამეფო, ნუქეთის სამთავროც მომძლავრდა და IX–X საუკუნეებში გახდა ჰერეთის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო. მასში მოექცა თუშეთი და ახლანდელი დაღესტნის მხარე ხუნძახი (ისტორიული ავარეთი). მოგვიანებით, როდესაც ჰერეთი კახეთს შეუერთდა და შემდეგ, როდესაც, თვითონ კახეთი გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი კუთხე გახდა, ნუქეთმა საქართველოს ფარგლებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

როგორც ცნობილია, XIII საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული საქართველოს ძლიერება თანდათან შესუსტდა და საქართველოს ერთიანობა დაიშალა. ქართლს გამოეყო კახეთი და ჩამოყალიბდა კახეთის სამეფო. XVI საუკუნეში კახეთის სამეფოში ჩატარებული პოლიტიკური წყობილების ცვლილებების შედეგად ნუქეთი სამოურავოდ გადაკეთდა.

XVI–XVII საუკუნეებში ირანისა და თურქეთს შორის დაპირისპირების დროს, მათ ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დამორჩილება და დაპყრობა. მართალია ქართველი ხალხი გმირულად იბრძოდა და თავს იცავდა, მაგრამ, ნათქვამია: „ძალა აღმართს ხნავსო" და საქართველოს ძალაც ნელ-ნელა იწრიტებოდა. XVI საუკუნის II ნახევარში, 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის შემდეგ, ირანის შაჰმა **თამაზ** I-მა (1513–1578) კახეთს ჩამოაცილა ნუქეთი. 1562 წელს ირანის შაჰი აფრთხილებდა კახეთის მეფე **ლევანს** (1518–1574), „რომ ნახურის ბატონი არავის შეევიწროებინა, რადგან იგი შაჰის უერთგულეს მსახურთა შორის ირიცხებოდა" (9, ტ.IV, გვ.119). არ გასულა დიდი დრო და „1587 წელს შაჰ-აბასმა ამ მხარის მმართველად გამუსულმანებული

მოღალატე ვახვახიშვილი-ალიბეგი დანიშნა. შაჰ-აბასის პირველი მუხანათური ნაბიჯი ის იყო, რომ 1605 წელს კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ეს, კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი, უფრო ზუსტად კაკელისენის აღმოსავლეთი ნაწილი (წუქეთი) ნაგლეჯა და „ირანის მფარველობითი კალთა გადააფარა". სამაგიეროდ კახეთის მეფეს ირანში მრავალი სოფელი მისცა. შაჰმა აქ ელისუს სასულთნო შექმნა; მმართველად ნახურის ალიბეგი დანიშნა და ადგილობრივი მცხოვრებლების გამაჰმადიანობას შეუდგა. ამ სასულთნოს საზღვრები იყო აღმოსავლეთით ყანი-ყობი, დასავლეთით ყაფყჩაი, სამხრეთით ალაზანი, ხოლო ჩრდილოეთით იგი კავკასიონის ქედის წყალგამყოფის მიღმა ერცელდებოდა და მდ. სამურის აუზის ზემოწელს მოიცავდა.... ამ ვერაგული აქტის შედეგად საქართველოს აღმოსავლეთმა საზღვრებმა ორი ათეული კილომეტრით კიდევ დასავლეთით მდ. ყაფუ-ჩაიზე გადმოინაცვლა, თუმცა ქართველი მეფეები ამ საზღვრებს არ ცნობდნენ. ელისუს სასულთნოს შექმნის შემდეგ ნახურელმა ლეკებმა თანდათანობით ქურმუხის ხეობაში ჩამოსახლება და ქართველების მეზობლად დასახლება იწყეს.

ამგვარმა მდგომარეობამ კახეთ-დაღესტნის ურთიერთობა შეარყაია....

ყანი-ყობი (სისხლიანი ღელე) მდებარეობს ქ. კახის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10 კმ. მოშორებით. ყაფუ-ჩაი (კარის მდინარე) მიედინება სოფ. ძაგამსა და სოფ. შოთავარს შორის". (36, გვ.40).

გ. ჩანგაშვილი ნახურის მმართველის ვახვახიშვილ-ალიბეგის შესახებ, წერს:

„შაჰ-აბასს კახეთის წინააღმდეგ ომში განსაკუთრებული ენერგიით ეხმარებოდა ნახურელი ალი სულთანი (გამაჰმადიანებული ვახვახიშვილი), რის გამოც მისთვის წყალობა არ მოუკლიათ როგორც ირანის შაჰს, ისე შემდეგ ოსმალეთის სულთანს. იმ შემოსევებისას და შემდგაც, ეს რჯულზე ხელაღებული გამყიდველი, კახეთის მტრობასა და ქართველების ხოცვა-დატყვევებას დიდი მონდომებით აგრძელებდა, სანამ კახეთის მეფის თეიმურაზის მიერ სარუბაშში (ელისუს სულთნის რეზიდენციაში) გაგზავნილი რაზმი სარუბაშს აიკლებდა, ხოლო ალი სულთანს – მოღალატე ვახვახიშვილს თავს მოჰკვეთთდა". (36, გვ.46).

1605 წ. ნახური და კახის რაიონი ელისუს სასულთნოში მოექცა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1830 წ. რუსეთმა ჭარ-ბელაქანი (საინგილო) შემოიერთა და იქ რუსული მმართველობა შემოიღო. „1844 წლიდან იგი საინგილოსთან ერთად ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის ფარგლებში შედიოდა, მაგრამ 1860 წ. 3 მაისს მეფის ნაცვლის ბარიატინსკის განკარგულებით „ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს" სცილდება ნახურის უბანი, ყოფილი ელისუს სასულთნოს მთიანეთი, რომელიც ადმინისტრაციულად უერთდება სამხრეთ დაღესტნის სამურის ოლქს. ამ დროიდან მოყოლებული (1860 წ.) ნახური აღმოსავლეთ კახეთის ფარგლებში აღარ ყოფილა". (36, გვ. 52).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ, 1921 წლის დეკლარაციით, აზერბაიჯანის სსრ-ს გადასცა საქართველოს სსრ-ის მინა-წყალი **ზაქათალის ოლქი (საინგილო), რომელიც სტატისტიკური მონაცემებით = 1993 კვ. კმ-ს, 92 608 სული მოსახლით.** საინგილოსთან ერთად, გადაეცა ძველი საინგილოს მხარე **წუქეთი** (ნახური), დაღესტნის მიმდებარე მთიანეთითურთ. ასევე აზერბაიჯანს გადაეცა, საინგილოში შემავალი მხარეები: **კაკი (კახი), ფიფინეთი (ჭარი), გარდაბნის ვაკე (ყარაიის ველი, გარეჯის ველი, გარეჯის უდაბნოს სამონასტრო ნაგებობა), ნინოელი ხიდის მიმდებარე მიწები** და სხვ.

1921 წლის ამიერკავკასიის ცაკ-ის დადგენილებით, საქართველოს სსრ-ისა და აზერბაიჯანის სსრ-ის რევკომების შეთანხმებით, საქართველოს კიდევ „ჩამოაჭრეს" თბილისის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრების დაუსახლებელი ადგილები და „ძმურად" გაუნაწილეს მეზობლებს: აზერბაიჯანსა და სომხეთს. აზერბაიჯანს – **ყარაიაზის ველი** და **ელდარის ველი.** აზერბაიჯანის მხარემ, „დიდ სულოვნად" უკან დაგვიბრუნა, 1923 წლის ამიერკავკასიის ცაკ-ის დადგენილებით, დაუსახლებელი ველები: **ალაზნის ველის ნაწილი** (188,44 კვ. კმ.) და 1927 წლის დადგენილებით ყაზახის მაზრის ნაწილი, **ჩაჩთმის ველი** (132.66 კვ. კმ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი უბედობის დროს, ქართლ-კახეთის სამეფო ველარ იცავდა აღმოსავლეთ მხარეს, რის გამოც ნადგურდებოდა მკვიდრი მოსახლეობა და მის ადგილას სახლდებოდნენ ლეკები (საქართველოს მოსაზღვრე მცხოვრები დაღესტნელი ტომები) და მომთაბარე თურქმან-ყიზილბაშური ტომები. ცნობილია, რომ „XVI ს-ში – 1549 წ. დაღესტნელი ლეკების რამ-

დენიმე ოჯახი დაღესტნის მწირი ადგილებიდან კახეთში ჩამოვიდა და, მეფის ყმობის პირობით, ფიფინეთში დასახლდა. ისინი სამეფო ოჯახებს უნდა მომსახურებოდნენ". (36, გვ.38).

ფიფინეთი წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ მხარის ჰერეთის (საინგილოს) ერთ-ერთ დასახლებულ ადგილს. ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენებულია XVI საუკუნის დასაწყისში. შემდეგში მას **ჭარი** ეწოდა. ქართველმა ბოლშევიკებმა, ჭარიც აზერბაიჯანის სსრ-ს უწყალობეს.

საქართველოს ერთ-ერთი დიდებული, რელიგიურ-კულტურული **გარეჯის უდაბნოს სამონასტრო ნაგებობა**, მდებარეობს ისტორიულ კახეთში, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 კმ-ზე, გარეჯის მთებში და წარმოადგენდა საქართველოში ქართული კულტურისა და განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს. საქათველოს გასაბჭოების შემდეგ, გარეჯის სამონასტრო ნაგებობის თითქმის ¾, ცნობილი **ჩიჩხიტურის გოდოლიც**, რომელიც ამჯერად ზედ საზღვარზე დგას, გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ეს და დღევანდელ დღესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეკუთვნის.

ცნობილია, რომ 543 წ. ქ. ანტიოქიიდან, სირიაში სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, თავის სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნებულა ერთ-ერთი ასურელი მამა — დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ე ლ ი, თავის მოწაფეებთან ერთად, დავითს მოწაფეები სამოღვაწეოდ საქართველოს სხვადასხვა ადგილას გაუმწესებია. ხოლო თვითონ, თავის მოწაფე ლ უ კ ი ა ნ ე ს თ ა ნ ერთად, დასახლებულა გარეჯის უდაბნოში, მცირე ზომის ბუნებრივ მღვიმეში. აქ ჩაეყარა საფუძველი იმ მონასტერს, რომელიც თანდათან, შემდგომში, VI–VII საუკუნეებში, გახდა განდეგილების დასახლების ადგილი და საისტორიო წყაროებში მოხსენებულია **დავითის ლავრის** და **„გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი"**-ს სახელით.

თანდათან ამ უდაბნოს მიუვალ ადგილზე გაჩნდა ახალი გამოქვაბულ მონასტრები და სავანეები: **აღდგომისა ნამებული, ბერთუბანი, დიდი ქვაბები, დოდოს რქა, ვერანგარეჯა, თეთრსენაკები, მღვიმე, ნათლისმცემელი, პატარა ქვაბები, პირუკულმარა, უდაბნო, ქოლაგერი, ჩიჩხიტური, და ნამებული.**

განსკუთრებით გაფართოვდა დავით გარეჯის სამონასტრო მშენებლობა და კულტურული მოღვაწეობა XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელის დროს. დავითმა მონასტრები სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა და გაანთავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან. იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდა მის დაწინაურებას.

ისტორიიდან ცნობილია, რომ XIII საუკუნის დამდეგიდან საქართველო და ამიერკავკასია მოექცა ჩრდილოეთით მდებარე, ოქროს ურდოს საყაენოსა და სამხრეთით, ახლად ჩამოყალიბებულ ილხანთა საყაენოს, მონღოლთა ურდოების, ბრძოლების ასპარეზად. მათი შემოსევების შედეგად ამიერკავკასია გაპარტახდა და მალე კიდევაც დაიპყრეს. 1263–1265 წლებში ოქროს ურდოს ბ ერ ქ ა ყ ა ე ნ ი ს (1209–1266) შემოსევების შედეგად, ლიხსაქეთ საქართველო, განსაკუთრებით, ჰერეთი და კახეთი აოხრდა.

როგორც „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს, „ბერქამან მოაოხრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორისპირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე და მრავალი სული ქრისტიანე მოწყჳდეს. (5, გვ.597).

„ბერქა ყაენის უზარმაზარმა ჯარმა მოსპო მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მდინარეების იორისა და ალაზნის ქვემო წელში ბაღ-ვენახებით აყვავებული მრავალი სოფელი. ძალიან დიდხანს ეს ადგილები „ოხერი" და „უშენი" დარჩა. თანამედროვენი XIII ს. 80-იან წლებშიც აღნიშნავენ ლაშქრობის ამ შედეგებს. დიდად დაზარალდა გარეჯის სამონასტრო მეურნეობა. ამ დროიდან სრულიად მოისპო მონასტრებთან ახლო-მახლო, რუსთავ-ყარაიის სანახებში მდებარე სოფლები, ასევე მდ. იორის მარჯვენა მხარეზე სამონასტრო მამულები. სარწყავი სისტემის მოშლასთან ერთად მოისპო აქაური მეურნეობა, განვითარებული მეხილეობა და მესაქონლეობა, რომელიც შემდეგ აღარც აღდგენილა. ეს ადგილები თანდათან უდაბურ სანადირო და საძოვარ ადგილებად იქცა."

(9, ტ.III, გვ.577).

„უამთააღმწერელი"-ს გადმოცემით ბერქა-ყაენი გარეჯაში ავად გამხდარა და გარდაცვლილა. გაუკაცრიელებული საქართველო მონღოლებმა აღნერეს და შემოიღეს გადასახადები. ეს გადასახადები მძიმე ტვირთად აწვებოდა საქართველოს მოსახლეობას, მეფედან დაწყებული გლეხობამდე. ამ გადასახადებისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ მხოლოდ ეკლესიის მსახურნი. რადგან

ერთის მხრივ ეკლესია თვით მონღოლთა დავალებით ქადაგებდა, რომ თითქოს მონღოლები მოვლენილნი იყვნენ ღვთისაგან, ხოლო მეორეს მხრივ, იყო „მონღოლთა ინდიფერენტიზმი უცხო რელიგიისადმი და კულტის მსახურთადმი შემწყნარებლობა. უეჭველია, თვით მონღოლთა ეროვნული რელიგიის განსაკუთრებული ხასიათითაც აიხსნებოდა, რომელიც ამ პერიოდისათვის არ გულისხმობდა სხვა რელიგიებთან დაპირისპირებას: მონღოლთა რელიგია შუა აზიის ხალხთა რწმენების ნარევს წარმოადგენდა, ხოლო ჩინგიზ ყაენის იასაღში კი პირდაპირ ნათქვამი იყო: მონღოლს უნდა ეშინოდეს ყველა ღმერთისა და პატივს სცემდეს მას....

მონღოლები, როგორც იმ დროის დამკვირველები მოგვითხრობენ, აღიარებდნენ სამყაროს შემოქმედად ერთ ღმერთს, რომელიც მათ სულის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ამავე დროს, თაყვანს სცემდნენ უამრავ ღვთაება-კერპებს: მზეს, ცას, მთვარეს, წყალს, ცეცხლს... სწამდათ ჯადოქრობა, გარდაცვლილ ყაენთა სულები, ჰყავდათ შამანები". (9, ტ.III, გვ.591).

გარეჯის უდაბნოები, მხოლოდ საქართველოს მეფის დემეტრე II-ის (დიმიტრი) თავდადებულის დროს განთავისუფლდნენ გადასახადებისაგან.

მონღოლების მიერ გაჩანაგებული გარეჯის მონასტერი, როგორც ჩანს, თანდათან აღსდგა და ის უკვე, როგორც ეტყობა ისტორიული წყაროებიდან, ეკონომიურად და პოლიტიკურადაც მომძლავრებულა. გარეჯის მონასტრის წარმომადგენლები გარკვეულ ადგილს იკავებდნენ სახელმწიფოს მმართველობაში. ცნობილია, რომ საქართველოს მეფის (1314–1346) გიორგი V ბრწყინვალის დროს ისინი მონაწილეობდნენ სახელმწიფო მმართველობის დაწესებულებაში – დარბაზში. „დარბაზს (1289) ესწრებოდნენ ნამდვილი წევრები: ქართლის კათალიკოსი აბრამი, აფხაზეთის კათალიკოსი, ეპისკოპოსები, მონასტრებისა და გარეჯისა უდაბნოების მღვდელ-მონაზონნი და „ყოველნი მთავარნი სამეფოისა". (9, ტ.III, გვ.651). „დარბაზის მუდმივ წევრთა შორის დასახელებულია ძმანი „თორმეტთა უდაბნოთანი", ანუ კლარჯეთის ანჩის საარქიმანდრიტო მონასტერთა წარმომადგენლები და „გარეჯელნი" ანუ გარეჯის უდაბნოთა წარმომადგენლები. გარეჯი ერთ-ერთი მსხვილი სამეფო მონასტერი იყო.... გარეჯის ურთიერთობა მეფის კართან სხვა მხრითაც არის ნორმირებული: მონასტერს ევალება „გარეჯული ძღვენის" სახით სადესერტო ტკბილეულობის მირთმევა და მით მეფის ოჯახის მომარაგება, ამასთან გარკვეული საეკლესიო მომსახურებაც: გარეჯიდან მოვლინებულ ორ ბერს სასახლის ეკლესიაში აღდგომის მარხვის დღეებში ლოცვებზე ფსალმუნის კითხვა". (9, ტ.III, გვ.656). გარეჯის მონასტერს თავისი მეურნეუბაც ჰქონია, რადგან სამეფო კარს ის ხილით ამარაგებდა.

საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის დროს ხდებოდა თემურლენგის მიერ დანგრეული ციხე-სიმაგრეებისა და ტაძრების აღდგენა და აღმშენებლობა. ცნობილია, რომ 1424 წელს, „ჟამთა ვითარებითა აგარიანთ ხელისაგან მოშლილი" გარეჯის უდაბნოები სათანადოდ აღუდგენიათ და შემდეგ მცხეთისათვის გადაუციათ" (9, ტ.III, გვ.726).

ირანის შაჰმა (1587–1629) აბას I-მა (შაჰ-აბას დიდი) (1571–1629), (1616–1617) წლებში საქართველოში ლაშქრობის დროს, დავით გარეჯის მონასტერი დაარბია. მონასტრები გაუქმდა XVII საუკუნის I ნახევრამდე. 1639 წლიდან თეიმურაზ I-ის დროს, აღსდგა დავით გარეჯში სამონასტრო ცხოვრება.

„XVIII ს-ში დავითგარეჯა კვლავ მეფის ხელდებული გახდა. მას ეკუთვნოდა ვრცელი მამულები და სოფლები, იქ მოსახლე გლეხები სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ. დავითგარეჯის მონასტრებმა XIX ს. დასასრულამდე იარსება". (10, ტ.3, გვ.339).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავითგარეჯა წარმოადგენდა კულტურისა და განათლების, სწავლა-აღზრდის, ერთ-ერთ ადგილს. სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მოღვაწეები: ონოფრე გარეჯელი (XII ს.), საქართველოს მეფე დემეტრე I, ონოფრე მაჭუტიძე დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი (1690–1736), სულხან საბა-ორბელიანი (1658–1725), ანტონ I (1720–1788), საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და კალიგრაფი გაბრიელ მცირე (გ. 1802) და სხვ.

დავითგარეჯაში „ხდებოდა ხელნაწერების გამრავლება, კრებულების შედგენა, სასულიერო წიგნების შეჯერება უცხო და ქართულ დედნებთან. ჩამოყალიბდა მთელი დასი, რომელიც ამ მნიშვნელოვან სამუშაოებს ატარებდა" (9, ტ.IV, გვ.501).

დავით გარეჯის მონასტერს საკუთარი წიგნთსაცავი ჰქონდა. აქვე იყო ხელნაწერების ბიბლიოთეკაც. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „1671–1773 წლებში დოდოს მონასტრის წიგნთსაცავში 217 წიგნი ირიცხებოდა“. (9, ტ.IV, გვ.784).

ისტორიკოსის ლ ა დ ო მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს თქმით, როდესაც (1917–1918) წლებში ამიერკავკასიაში დაძაბული ვითარება იყო თურქეთთან ომის გამო, „ჩვენი მეზობლები მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობდნენ და ტერიტორიების მისატაცებლად არაფერს თაკილობდნენ. პირველი მსხვერპლი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი აღმოჩნდა. აზერბაიჯანის ხელისუფალთაგან წაქეზებულმა აზერბაიჯანელმა მწყემსებმა, რომლებიც ცხვარს საქართველოს კუთვნილ ყარაიის ველზე აძოვებდნენ, ააოხრეს უდაბნოს მონასტერი (ერთ-ერთი იმ სამი ძირძველი ქართული მონასტრიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით აზერბაიჯანის კუთვნილ ტერიტორიაზეა). და წმინდა დავითის ლავრა....

აშკარა იყო, თავდასხმელებს არა იმდენად ფული და ღირებული ნივთები, არამედ სამონასტრო ქონების სრული განადგურება სურდათ. ამ ქმედებას კონკრეტული მიზანი ჰქონდა. თუ ბერები მონასტრების განახლებას ვერ შეძლებდნენ, ყარაიის დაუსახლებელი ველი ქართველთა მეთვალყურეობის გარეშე დარჩებოდა და აზერბაიჯანელები ჩვენს საძოვრებს ადვილად დაისაკუთრებდნენ. თავდასხმელები ამას არც მალავდნენ: «მთავრობამ ჩვენ გვაკუთვნა, როგორც გვსურს, ისე მოვიხმართო». ამიერკავკასიის კომისარიატს დავით გარეჯაში მომხდარ ვანდალურ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია. დამნაშავეები არ დაუსჯიათ (!)“. (94).

ცნობილია, რომ 1921 წლის 8 ნოემბერს თბილისში გაიმართა კომისიის სხდომა, სადაც განიხილეს ამ ორ სახელმწიფოებს შორის საზაღვრო საკითხები. მიიღეს დადგენილება:

„ამ დადგენილებით ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები მთლიანად აზერბაიჯანელ გლეხთა ფაქტობრივ მფლობელობაში აღმოჩნდა; მათივე სარგებლობაში გადავიდა ტერიტორია ჩიჩხიტურის იმ ნახევრით, რომელიც უდაბნოს მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. მეორე, ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე განთავსებული ნაწილი კი საქართველოს დარჩა“. (94).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლებამ, ამ ქართული ისტორიული ძეგლის ¾ აზერბაიჯანს გადასცა და დღევანდელ დღესაც მას უკავია.

90-იან წლებში და შემდეგშიც (2004–2005) წლებში, აზერბაიჯანლების წარმომადგენლებთან არაფორმალურად შეთანხმდნენ, რომ ისინი ხელს არ შეუშლიდნენ ქართველ ტურისტებს ევლოთ დავითგარეჯაში და მღვდლებს ელოცათ. დღევანდელ დღეს კი, ჩიჩხიტურის გოდოლზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან. აზერბაიჯანის წარმომადგენლები თვლიან, რომ სომხეთთან გამწვავების შემდეგ, ეს ადგილი სამხედრო მნიშვნელობის სიმაღლეს წარმოადგენს, რადგან ჩიჩხიტურის გოდოლიდან კარგად ჩანს სომხეთის მხარე.

საქართველოს წარმომადგენლები თანახმაა, რომ დავით გარეჯის სანაცვლოდ, აზერბაიჯანს გადასცენ, ჩვენთვის ნაკლებ მნიშვნელობის მქონე მინები, მაგრამ ისინი არ თანხმდებიან. მოგვიანებით ბაქომ გამოთქვა მზადყოფნა კომპლექსის საერთო ტურისტულ ზონად გადაქცევის თაობაზე, თუმცა ამ იდეის გაჟღერებამ ქართულ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ განაცხადა: „მონასტერი ქართული სიწმინდეა და ის მთლიანად ქართულ ნიადაგზე უნდა იდგეს“. (94). ასე რომ დავით გარეჯას საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელია.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარი გადადის ძველ ისტორიულ ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა მიწა-წყალზე – **გარდაბანზე**. ცნობილია, რომ გარდაბანი წარმოადგენდა საერისთავოს, რომლის მთავარი ციხე სიმაგრე იყო **ხუნანი**, („გარდაბნის ციხე“). შემდეგში მას ეწოდა „ყიზ-ყალა“.

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ: „ვახტანგ გორგასლის დროს (და უფრო ადრეც) არსებობდა ხუნანის საერისთავო, ანუ იგივე გარდაბნის პროვინცია. ეს უკანასკნელი შემოსაზღვრული იყო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ქართლის პოლიტიკური საზღვრებით ალვანეთთან და სომხეთთან ე. ი. მდ. ძეგამით და მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი ქედით, ჩრდილოეთიდან – მტკვრით, ხოლო დასავლეთით ვრცელდებოდა „ტფილისამდე და გაჩიანმთამდის“.... რაც შეეხება თბილისს, აქ რო-

გორც ჩანს, უშუალოდ ქალაქი კი არ იგულისხმება, არამედ მისი „შესავალი ქუეყანა". (15, გვ.38). მისივე თქმით: „ასეა თუ ისე, არაბული წყაროების მიხედვით ცხადი უნდა იყოს, რომ უფრო გვიან არსებობს გარდაბნის ციხე და მისი „შემოსავალი ქვეყანა", რომელიც ქართლშია. იმავე წყაროების მონაცემებით... ირკვევა, რომ ეს „გარდაბნის ციხე" ქცია-მტკვრის შესართავში უნდა ყოფილიყო, გვიანდელი „ყიზ-ყალას ადგილზე. რომ ეს სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს და ე. ი. ქცია-მტკვრის შესართავის ზონის ტერიტორიას ოდესღაც, მართლაც გარდაბანი ეწოდებოდა, ამაზე ქართული წყაროები გვარწმუნებენ". (15, გვ.45).

თ. პაპუაშვილი სახელწოდება „**გარდაბანი**"-ს შესახებ აღნიშნავს, რომ:

„ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, სახელი „გარდაბანი" (და აქედან მიღებული სატომო სახელწოდება „გარდაბანელნი") ქართველთა ერთ-ერთი ეპონიმის „გარდაბოსისგან" მომდინარეობს. ხოლო თვით გარდაბოსი (და აქედან გამომდინარე თვით გარდაბანელნიც) ქართველთა საერთო და უშუალო ეთნარქის ქართლოსის შთამომავალია. იმავე ლეონტი მროველთან დაცული ისტორიული ტრადიციით, გარდაბნის ქვეყნის ცენტრი მტუერის ციხე ანუ იგივე ხუნანი უშუალოდ თვით ქართლოსის მიერ არის აშენებული: „ამავე ქართლოს... აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა აწ ჰქვიან ხუნანი"..... ყოველივე ეს კი იმას მოწმობს, რომ „რანთა და კახთა სამეფოს" შემადგენლობაში შემავალ ეთნიკურ ერთეულებს შორის გარდაბანელნი მიეკუთვნებიან „ქართლოსიან" (ე. ი. ძირეულ ქართველურ) ტომთა რიგს. ე. ი. ამ ჩვენებით გამოდის, რომ ქართლოსს აუშენებია გარდაბოსის სამფლობელოს ცენტრი ხუნანი, ისევე როგორც „ქართლი". (31, გვ.16).

ცნობილია, რომ VIII საუკუნის დასასრულს, **გარდაბანი**, გაერთიანებული კახეთის ერთ-ერთ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ხოლო, IX საუკუნის 30-იანი წლებიდან, IX საუკუნის ბოლომდე, კახეთის სამთავროს ეუფლებიან გარდაბნელები და წყაროებში კახეთის სამთავრო მოხსენებულია გარდაბნად. ქართულ წყაროებში მოხსენებულნი „გარდაბანელნი", არაბულ წყაროებში მოხსენებულნი არიან „სანარებად". „853 წ. როდესაც ბუღა თურქი ლაშქრობს საქართველოში, არაბული წყაროს ცნობით, თბილისის ამირას მოკავშირეები სანარნი არიან. ბუღა თურქი მათ ებრძვის და სანარიელები ამარცხებენ მას. ქართული წყაროს ცნობით კი ბუღას ლაშქარს „დაუდგეს წინა გარდაბანელნი ჯუარისგვერდსა და ავნეს დიდად ლაშქარს". (9, ტ.II, გვ.394). 854 წელს, ბუღა თურქი ხელმეორედ შემოესია საქართველოს და გარდაბანი ააოხრა. IX საუკუნის დასასრულიდან, ეტყობა, რომ გარდაბნელები კარგავენ კახეთში ძალაუფლებას და წყაროებში მხოლოდ კახეთია მოხსენებული.

წყაროებში აღნიშნულია ალვანეთის (კავკასიის ალბანეთის) ერთ-ერთი მხარე **გარდმანი**, რომელიც მდებარეობდა მდინარის შამქორჩაის ხეობაში. (აზერბაიჯანის რესპუბლიკაში). სამთავროს დედაქალაქი იყო ციხე-ქალაქი **გარდმანი**, რომლის „ციხის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ხეობის ზემო ნაწილში. ქართულ ისტორიულ წყაროებში ალბანეთის გარდმანის დასახელება, ჩვეულებრივ, ემთხვევა საკუთრივ ქართული პროვინციის გარდაბნის სახელწოდებას. ქართულ და ალბანურ პროვინციების სახელწოდებათა საერთო წარმომავლობა უეჭველია და მოწმობს გარკვეულ პერიოდში მათ პოლიტიკურ და, შესაძლებელია, ეთნიკურ ერთიანობას". (10, ტ.2, გვ.698).

თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ: „არსებობს ორი გარდაბანი: ერთი ეს არის ე. წ. ქართული გარდაბანი, რომელიც, როგორც ვიცით, „რანთა და კახთა სამეფოს" შემადგენლობაშია გარკვეული დროიდან; ხოლო მეორე არის სომხურ წყაროებში მოხსენებული, ალბანური მინა-წყლისაგან შემდგარი ოლქი, გარდმანი... რომლის შესატყვისად ქართულ წყაროებში იხმარება ასევე სახელწოდება „გარდაბანი". ბუნებრივია: აუცილებლად საჭიროა ზუსტი გამიჯვნა ამ ორი, ანალოგიური სახელწოდებების მქონე, მაგრამ ეთნიკურად და გეოგრაფიულად დიამეტრალურად განსხვავებული შინაარსის მატარებელი ოლქებისა. სულ სხვანი იყვნენ „კახნი გარდაბანელნი", სულ სხვა წარმოშობისა იყო მათი დინასტია; ასევე სულ სხვა იყო სომხური „გარდმანი" და სულ სხვა იყო მისი მფლობელი დინასტია მიხრანიდებისა. ამ უკანასკნელთ, რა თქმა უნდა, არავითარი წვლილი არ შეუტანიათ და არავითარი როლი არ უთამაშიათ „რანთა და კახთა სამეფოს" წარმოქმნასა და შექმნაში". (31, გვ.17)

თ. პაპუაშვილი გარდაბნის მთავარ ციხესიმაგრის **ხუნანის** შესახებ წერს, რომ:

„მინა-წყალი, რომელიც შედიოდა ქართულ გარდაბანში, შედგებოდა ხუნანის საერისთავოს კუთვნილი ტერიტორიებისაგან. მის ცენტრს ნარმოადგენდა ციხესიმაგრე ხუნანი, რომელიც, როგორც ეს ვახუშტის მიხედვით არის ცნობილი, მდებარეობდა ქცია (ხრამი) – მტკვრის შესართავში და წარმოადგენდა ქართლის (ე. ი. ქართლოსის ნილის) უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტს. ამჟამად ამ ციხესიმაგრის ნანგრევები მდებარეობს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ობიექტი დღემდე სათანადოთ არ არის შესწავლილი არქეოლოგიურად. ხუნანი, რომელიც თავდაპირველად ცნობილი იყო მტუერის-ციხის სახელწოდებით, უფრო მოგვიანებით მას უწოდებდნენ არაბულ-თურქულ სახელს – ყიზ-ყალა". (31, გვ.18)

ხუნანის შესახებ, ქსე-ში წერია: „1. მხარე ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავდა ტერიტორიას მდინარეების ჰასანსუსა და ძეგამჩაის შორის (ახლანდელი აზერბაიჯანის სსრ ტერიტორია). ქართული ეროვნული ტრადიციით, ძვ. წ. III საუკუნეში არსებობდა ხუნანის საერისთავო, დაარსებული მეფე ფარნავაზ III-ის მიერ. წყაროებში იხსენიება V ს. ხუნანის ერისთავი ნერსარანი. საერისთავო მოიცავდა საკუთრივ ხუნანის ოლქს, ძოროფორს, კოლბოფორსა და გარდაბანს. V ს-ში მეფე ვახტანგ I გორგასალმა ხუნანში საეპისკოპო დააარსა. XII–XIII სს-ში ყოფილი ხუნანის ტერიტორია გაგის საერისთავოში შედიოდა. მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შემდეგ ხუნანი წყაროებში აღარ იხსენიება. 2. ციხე-ქალაქი ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოში, ხუნანის მხარისა და საერისთავოს ცენტრი. მდებარეობდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდ. თაუზჩაის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით თოფრაქვალის მთასთან (აზერბ. თოფრაქყალა – ალიზით ნაგები ციხე)". (10, ტ.11, გვ.515).

„ლეონტი მროველის მიხევით, გარდაბნის ქვეყანა ჩრდილოეთით ისაზღვრებოდა მტკვრითა და თბილისით, სამხრეთით – სომხეთის მთებით, აღმოსავლეთით – მტკვრითა და ბერდუჯით, ხოლო დასავლეთით – ქალაქ გაჩიანით". (31, გვ.19).

IV საუკუნის და კიდევ უფრო ადრეულ წყაროებში, გარდმანი მოიხსენება, როდესაც ხდებოდა ქვეყნის „საერისთავოებად" დაყოფა, გ. მელიქიშვილის თქმით, მათ „ლაშქრის ორგანიზაცია ედო საფუძვლად. ასეთი ერთეულების სათავეში ლაშქრის უფროსნი – „ერისთავები" (ერი – ჯარი) იდგნენ" და „წარმოადგენდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულებს, დახშულ გეოგრაფიულ რაიონებს". (9, ტ.I, გვ.650). ძველ ქართულ წყაროებში საერისთავოებს აღნიშნავდნენ „ჴევით" (ხევი). „ჴევებად" იყოფოდა „ქუეყანა" ანუ „სოფელი". ეს უკანასკნელი ტერმინი გამოიყენებოდა აგრეთვე უცხო ქვეყნების მიმართაც". (9, ტ.I, გვ.650). ქართულ წყაროებში მოხსენებული ქართლის „ხევებად" დაყოფა, შეესატყვისება, „ხევებად" ცნობილ ერთეულებს, (კლარჯეთი, არტანი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა, ტაშირი, გარდმანი)". (9, ტ.I, გვ.651).

ცნობილია, რომ VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში, ირანის სამეფოს საგვარეულოს წარმომადგენელი მიხრანი, ირანის მეფე ხოსრო II-ეს (591– 628) გამოექცა ალვანეთში, მიიმხრო მაშინდელი გარდმანის ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მხარდაჭერით, გააერთიანა ალვანეთი და მოიპოვა დამოუკიდებლობა სპარსელთაგან. VIII–IX სს-ში გარდმანი კახეთის სამთავროში შევიდა. X საუკუნის ბოლოს მას დაეუფლა განძის საამირო. XII საუკუნის ბოლოს გარდმანი ისევ ქართველებს დაექვემდებარა და საქართველოს აღმოსავლეთ სანაპირო გახდა. ის გაგის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა. ამავე დროიდან ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია გარდმანის მეორე სახელწოდებებიც: „ქართამანიკი", „ქოთმანიკი" და „ქრთმანიკი".

თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ:

„VII–IX სს-ში გარდმანის მთავარი ამავე დროს ჩვენ გვეელინება მთელი ალბანეთის მთავრად, მის ხელმწიფედ. საკუთრივ გარდმანი კი წარმოადგენდა მიხრანიდების პირად სამფლობელოს, ალბანეთის სამეფო დინასტიის დომენს, სეფე-სახლის უშუალო საკუთრებას. მიხრანიდები მას განაგებდნენ საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით.

ამრიგად... „რანთა და კახთა სამეფოს" ისტორიის შესწავლისას, მისი ეთნიკური შემადგენლობის საკითხების კვლევისას, ერთმანეთისაგან ზუსტად უნდა გაიმიჯნოს ქართული გარდაბანი და სომხური გარდმანი, ქართველ (კახი) გარდაბნელთა დინასტია და ალბანური მიხრანიდების დინასტია". (31, გვ.25).

ისტორიულ წყაროებში მოხსენებული **გაგი** წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ მხარეს, საგამგებლოს, რომლის დედაქალაქი იყო ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, ის მდებარეობდა მდ. **დებედის** ქვემო ველზე, კლდოვან ბორცვზე და საქართველოსთვის წარმოადგენდა საგუშაგოს, იცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. XV საუკუნიდან გაგის ციხე-სიმაგრე მოხსენებულია როგორც **ალჯაყალა**. გაგი მოიცავდა მდ. დებედიდან ქ. **შამქორამდე** (აზერბაიჯანის სსრ-ს გადასცეს), მდ. მტკვარსა და განჯის მთებს შორის. აქ მოხდა 1235 წელს, პირველი შეტაკება ქართველებსა და მონღოლებს შორის, გარდმანი მონღოლებმა დაიპყრეს.

ცნობილია, რომ გარდაბანი ერთ-ერთ საქართველოს ირანთან დამაკავშირებელ გზას: „ბარდავი-განჯა-შამქორი-ხუნანი-გარდაბანი-თბილისი" წარმოადგენდა. (9, ტ.III, გვ.578).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გარდაბანი შედიოდა ტფილისის გუბერნიის ტფილისის მაზრაში. 1921 წელსაც გარდაბანი ტფილისის მაზრაში დარჩა. ხოლო, 1938 წელს, საქართველოში დარჩენილი გარდაბნის ნაწილი, გამოეყო ტფილისს და ცალკე, **ყარაიას რაიონი** ეწოდა. ხოლო 1947 წლიდან კი ისევ გარდაბნის რაიონია.

ზემოთ მოხსენებული მდ. **ბერდუჯი**, ადრინდელი სახელწოდებაა ახლანდელი მდინარის ზეგამჩაის, რომელიც მდებარეობს აზერბაიჯანის მინა-წყალზე. „ეს მდინარე იყო ქართლის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი ალაბანეთ-არანთან". (10, ტ.2, გვ.315).

ცნობილია, რომ წყაროებში მოხსენებული ქალაქი და მისი მიმდებარე მხარე **გაჩიანი**, მდებარეობდა ქვემო ქართლში. ხოლო თვით ქალაქის, გაჩიანის, ადგილმდებარეობა დღევანდელ დღეს დაუდგენელია. „ვახუშტის (XVIII ს.) მიაჩნდა, რომ იგი მდინარეების მაშავერ-ქციის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით ქართველთა ლეგენდარულმა მამამთავარმა ქართლოსმა თავის ერთ-ერთ ძეს – გაჩიოსს მისცა ქალაქი სამშვილდე და ქვემო ქართლის ნაწილი მდ. ვერიდან მოყოლებული აბოცის მთამდე. გაჩიოსს აუშენებია ქალაქი გაჩიანი, რომელსაც ძველად „სანადირო ქალაქიც" ერქვა. გაჩიანის მხარე ანუ სამშვილდის საერისთავო იყო X საუკუნეში. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ქალაქ გაჩიანს ვრაცდაშთში („ქართველთა ველში") ათავსებდა და იგი ცურტავის მერმინდელ სახელად მიაჩნდა". (10, ტ.3, გვ.23).

ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ცოლმა შვილებს, „ხუთნიენი იგი გმირნი", გადასცა სამფლობელოები. მის ერთერთ შვილს „გაჩიოსს მისცა ორბისციხე და სკკრეთისა მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა. და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადიროჲ ქალაქი". (5, გვ.29). ხოლო ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველმა მეფემ და ფარნავაზიანთა საგვარეულოს დამაარსებელმა ფარნავაზ I-მა ქვეყანა დაპყო 7 საერისთავოდ და „განანესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი...

ერთი გაგზავნა ხუნანისა ერისთავად და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი". (5, გვ.43–44).

„ქართლის ცხოვრებიდან" ჩანს, რომ საქართველოში „ყველა ქალაქის მშენებლობა ქართველთა ნათესავთ-მთავრებისა ან ქართველთა მეფეების სახელთან არის დაკავშირებული; ე. ი. ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქთა მშენებლობა განიხილება როგორც ადგილობრივი, ქვეყნის შინაგანი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენა.

ასეთი თვალსაზრისა არის ძველი ქართული საისტორიო მწერლობა". (9, ტ.I, გვ.709).

წყაროებიდან ჩანს, რომ ახ. წ. VII საუკუნეში გაჩიანი წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს. წყაროებში, V–VI საუკუნეებში, დიდ და მცირე არხებს შორის დასახელებულია გაჩიანის არხიც.

დავით IV აღმაშენებლის დროს გაჩიანის მხარე, ყოფილა „შუენიერთა ადგილი" და მდიდარი ნადირით.

თამარ მეფის დროს „სამეფოდ დაჭერილ არაქართულ ტერიტორიათაგან უკიდურესი თემი სამხრეთით არის ბაგრევანდი და ხაჩენი, ხოლო სივნიეთი სამხრეთ-აღმოსავლეთით". (9, ტ.III, გვ.71).

„სამეფოდ დაჭერილი ტერიტორიის სამხრეთი მიჯნა XIII ს. დასაწყისში მდ. რაჭსს (არეზს) აღწევდა. ამ მდინარეზეა აირარატი (ცენტრი ქ. დვინში), სივნიეთი და ხაჩენი. ეს სამი პროვინცია ბაგრევანთან ერთად წარმოადგენდა საქართველოს სამეფოდ დაჭერილი ქვეყნების სამხრეთ ზღვარს. ამ თემთა სამხრეთით წყაროები ასახელებენ ადარბადაგანს და ნახიჩევენს – საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ მეზობლებს. რაჭსის (არაქსის) გადალახვა ნახიჩევენსა და ჯულასთან (ჯულფასთან) საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გასვლას ნიშნავდა". (9, ტ.III, გვ.72).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს, დამპყრობლებმა საქართველო თავიანთის წესით, დუმნებად დაჰყვეს. მესამე დუმანი „მტკვრის სამხრეთით მდებარე საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის თემებისაგან შედგე-ბოდა და შანქორის სანახებიდან მოყოლებული გაჩიანს, ანუ ხაჩენს, გაგსა და სხვა თემებს შეიცავდა. ეს დუმანი ვარამ გაგელს ჰქონდა ჩაბარებული". (2, ტ.III, გვ.337).

მისივე თქმით, „სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე სანაპირო თემები, რომლებიც წინათ საქართველოს ეკუთვნოდნენ, თემურლენგის შემოსევების დროს საქართველოს ხელიდან გამოეცალა. აღმოსავლეთმა საქართველომ არამც თუ შამქორი დაკარგა, რომელიც წინათ საქართველოს ეკუთვნოდა, არამედ გაჩიანი, ანუ ხაჩენიც-კი; იქ უკვე მაჰმადიანი მმართველი იჯდა. მართალია, საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული ამ თემის მმართველის შთამომავალთ რამდენიმე ხნის შემდგომ შეეძლოთ უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მხოლოდ როგორც კერძო პირებს. საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრის ასე შევიწროებას, რასაკვირველია, საბედისწერო შედეგი უნდა მოჰყოლოდა, მეტადრე მომავალში, რადგან ეს ისედაც ძნელად დასაცავი მხარე ეხლა თითქმის სრულებით მოშიშვლებული აღმოჩნდა". (2, ტ.III, გვ.423).

წყაროებიდან ჩანს, რომ თემურ ლენგის შემოსევებისას და მის შემდეგ, საქართველომ დაკარგა, ზემოთ ნახსენებ მხარეებს გარდა, კიდევ **სივნიეთი** (დღევანდელი ყარაბაღის მხარე) და **ლორეც** (იხ. ქვევით).

შემდგომში, საქართველოს მეფის (1412–1442) ალექსანდრე I დიდის (დაახლ. 1390–1442) დროს, მართალია საქართველოს მდგომარეობა გამოკეთდა და იგი თავისთავს „აფხაზთა და ქართველთა მეფედ-მეფეს" უნოდებდა, მაგრამ საქართველო „უკვე გაცილებით ჩამომცრობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით, როგორც ვიცით, ძველი გაჩიანი, ანუ მერმინდელი ხაჩენი საქართველოს საზღვრებს გარეშე იყო დარჩენილი. საქრთველოს სამხრეთის საზღვრის სანაპიროებიც ძალზე შემცირებული იყო". (2, ტ.III, გვ.426).

1.4. ყაზახის მხარე.

ყაზახი (ყარაიის ველი, ყარაიაზი, მტკვრისპირა ველი, გარდაბნის ვაკე) წარმოადგენდა ისტორიულ ქვემო ქართლის მხარეს, რომელიც მდებარეობდა მდ. აღსთაფის ქვემო წელზე (ახლა აზერბაიჯანს ეკუთვნის).

ყარაიის ველი (გარდაბნის ვაკე) ქვემო ქართლის ვაკის აღმოსავლეთი ნაწილია, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ივრის ზეგანს, მდ. მტკვრის, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარს შორის.

ყარაიის ველი ისტორიულად ცნობილი იყო როგორც საზამთრო საძოვრები. ამავე დროს ითვლებოდა როგორც მეფეთა სანადირო ადგილად.

ყარაიის ველზე, VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუმ, საქართველოში ლაშქრობისას, დააარსა ქალაქი „კასალი" „(ახლანდელი რაიონული ცენტრი ყაზახი მის ადგილზეა. ხოლო სახელწოდება არაბული ტოპონიმის სახენაცვალი ფორმაა). სომხური და ქართული წყაროები რეგიონს და ქალაქს ძორს და ძოროფორს უნოდებენ". (10, ტ.10, გვ.615). XII – XIII საუკუნეებში, მდ. აღსთაფის ზემო, ყაზახის ნაწილი, გაგის საერისთავოში შევიდა, ხოლო მდინარის ქვემო ნაწილი – ლორეს საერისთავოში.

ყარაიის ველზე XV საუკუნის II ნახევარში, უზუნ-ჰასანის მიერ ქართლის აოხრების შემდეგ, 1478 წელს ჩამოსახლდნენ თურქმანთა მესაქონლე ტომები და წარმოიქმნენ ე. წ. „თათრის ელები". შემდეგშიც გრძელდებოდა თურქმანთა ტომების ჩამოსახლება. XVI საუკუნის შუა ხანებში, შაჰ-თამაზ I-მა (1513–1576) ამ ადგილებში დააარსა **ყაზახის სახანო**. რომელიც შემდგომ საუკუნეებში დროდადრო ქართლს უბრუნდებოდა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში, (1744–62 კახეთის მეფე, 1762–98 ქართლ-კახეთის მეფე) ერეკლე II-ემ (1720–1798) ყაზახის სახანო დაიპყრო, სახანო გააუქმა და მმართველად მოურავები (ადგილობრივი მმართველობის მოხელე) დანიშნა.

XIX საუკუნის I ნახევარში, უმრავლესობა თურქმანული ტომებისა, ქვემო ქართლში გადავიდა საცხოვრებლად. შემდგომში ყარაიის ველს, ქართველი მთიელები, უმთავრესად ხევსურები, იყენებდნენ საზამთრო საძოვრებად.

საარქივო საბუთებიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო დავა, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან წარმოებდა. როგორც ვიცით, რუსეთის ხელისუფლება, ხოლო მის შემდეგ, საბჭოთა წყობილებაც ყოველთვის ცდილობდა ერებს შორის დაპირისპირებით, თავიანთი ძალაუფლება გაევრცელებინათ.

ცნობილია, რომ 1918 წლის მაისში, აზერბაიჯან-სომხეთსა და თურქეთთან მოლაპარაკებებზე, განიხილებოდა საკითხი აზერბაჯანსა, სომხეთსა და საქართველოს საზღვრების შესახებ, საქართველოს წარმომადგენელთა გარეშე. ამასთან დაკავშირებით „1918 წ. 4 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაავრცელა საპროტესტო განცხადება", სადაც „ნათქვამი იყო, რომ სადავო საკითხები აზერბაიჯანსა და სომხეთს თურქეთის ჩარევის გარეშე, თბილისში უნდა დაესვათ, ხოლო საქართველოს მონაწილეობის გარეშე თურქეთთან მიღწეული ნებისმიერი შეთანხმება ქართული მხარისთვის მისაღები და სავალდებულო ვერ გახდებოდა.

აზერბაიჯანი თურქეთთან ცალმხრივ მოლაპარაკებას არ დასჯერდა და ტერიტორიული პრეტენზიები უფრო გაამძაფრა. 1918 წლის 14 ივნისს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. გაჯინსკი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავდა: «საქართველოს მთავრობას, მიაჩნია რა, რომ ბორჩალოს მაზრა მისი ტერიტორიაა, იქ ქართული ჯარი და გერმანული რაზმი შეიყვანა, თითქოსდა, გასაწმენდად... იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად მუსლიმებით დასახლებული ბორჩალოს, თბილისისა და სიღნაღის მაზრების წარმომადგენლებმა არაერთხელ გამოთქვეს სურვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, ჩემი მთავრობა პროტესტს გამოთქვამს საქართველოს მთავრობის ზემონახსენები განკარგულების წინააღმდეგ»...

17 ივნისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის (1881-1930) ხელმოწერით გაგზავნილ საპასუხო წერილში ვკითხულობთ: «ბორჩალოს მაზრა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიას და არასდროს გამხდარა კამათისა და ეჭვის საგანი... იმედს გამოვთქვამ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა მომავლში არ დაუშვებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობას»". (95).

ამის შემდეგ კამათი საზღვრების შეხებ ნორმალურ ვითარებაში წარიმართა და საომარ მოქმედებაში არ გადაიზარდა. ისე როგორც სომხეთთან. თუმცა, აზერბაიჯანელმა წარმომადგენლებმა, თავიანთი სწრაფვა ქართული მინების დასაუფლებლად, გასაბჭოების შემდეგაც წამოაყენეს.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1921 წლის 25–27 ივნისს თბილისში გაიმართა, რკპ(ბ)-ის ცკ-ის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმის დადგენილების თანახმად, სპეციალური კომისიის სხდომები. სადაც განიხილებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხები. სხდომაზე, აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს საზღვრების შესახებ „მიიღეს გადაწყვეტილების პროექტი: «პოლიტიკური მოსაზრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს ზაქათალისა და ყაზახის (ანუ ყარაიის ველის მომცველი ტერიტორიული ერთეულის) რაიონების მიერთებაზე. მაგრამ მოითხოვს, საქართველოს მთავრობამ იურიდიულად აღიაროს, რომ აზერბაიჯანელ გლეხებს აქვთ იმ საძოვრებითა და სავარგულებით სარგებლობის უდავო პირობა, რომლითაც მეფისა და მენშევიკების რეჟიმების დროს სარგებლობდნენ. ამასთან, საქართველოს მთავრობამ ნახსენებ ადგილებზე მთელი ძალაუფლება აზერბაიჯანელ მოსახლეობას უნდა გადასცეს და არ

გამოსცეს არავითარი განკარგულება ყაზახის მაზრის აღმასკომის გვერდის ავლით, იმ მინების ზუსტად გამიჯვნისთვის, რომლებითაც აზრბაიჯანელმა გლეხებმა უნდა ისარგებლონ. ინიშნება საგანგებო კომისია». აზერბაიჯანელი გლეხებისთვის «მთელი ძალაუფლების გადაცემის» თაობაზე ქართულმა მხარემ პროტესტი განაცხადა, რის გამოც ზემოთ დამოწმებულ ტექსტში შემდეგი ცვლილება შეიტანეს: «საქართველო პოლიტიკური ძალაუფლების გარდა ყველა სხვა ძალაუფლებას მთლიანად მიანიჭებს ადგილობრივ მოსახლეობას»". (95).

27 ივნისის სხდომამ, სომხეთის სსრ-ის მოთხოვნის შეუთანხმებლობის გამო, ვინაიდან სომხეთის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მოლაპარაკებების გაგრძელებაზე, საზღვრების დამდგენმა კომისიამ საბოლოოდ საზღვრების საკითხების გადაწყვეტა რკპ(ბ) კავბიუროს მიანდო.

ამის შემდეგ, 1921 წლის 5 ივლისს, თბილისში, გაიმართა აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენელთა კონფერენცია, სადაც მიიღეს დადგენილება:

«1. პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის რჩება უცვლელი;

2. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყარაიის ველის საკითხის შესახებ. კონფერენციამ შემდეგი დაადგინა:

ა) ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიის ველისა. დაახლოებით ქვემონახსენებ საზღვრებში, ამასთან, დაცულ იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ-ს შორის....».

შენიშვნაში მითითებული იყო:

«ა) ყაზახის გლეხების მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენა ეევალება განსაკუთრებულ შერეულ კომისიას, რომელიც მუშაობას შეუდგება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში;

ყაზახის მაზრის გლეხები, რომლებიც არიან ფაქტიური მფლობელნი და მოსარგებლენი ამ ველით, ყველა შემთხვევაში იხელმძღვანელებენ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციითა და დაემორჩილებიან ყაზახის მაზრის აღმასკომს»". (95).

საბოლოოდ, ამ სხდომაზე გადაწყდა, რომ ბოლშევიკებს საქართველოს ძირძველი მინა-წყალი ზაქათალის (საინგილო) და მტკვრის აღმოსავლეთი სანაპირო უნდა აზერბაიჯანისთვის გადაეცა. ამ დადგენილებას, საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ, ფილიპე მახარაძემ პირადად ხელი მოაწერა.

ამავე წლის 27 ივლისს, აღსტაფაში გაიმართა შერეული კომისიის სხდომა. სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ „საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მრჩეველი პავლე ინგოროყვა და ვახტანგ მაჩაბელი. პავლე ინგოროყვამ მიუღებლად მიიჩნია კონფერენციის დადგენილების მეორე პუნქტი «ბ» შენიშვნაში მოყვანილი ფორმულირება. რამდენადაც მისი ტექსტი გაცილებით მეტს გულისხმობდა, ვიდრე ყაზახის რაიონის გლეხების ყარაიის ველის საძოვრებზე მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენა იყო. მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. მაგრამ გადაწყდა, რომ ზუსტი საზღვრების დადგენამდე ყაზახის მაზრის გლეხებს უფლება მიეცემოდათ დაბრკოლების გარეშე ესარგებლათ ყარაიის ველის ყველა იმ საძოვრებითა და სავარგულით, რითაც ისინი ადრე სარგებლობდნენ". (95).

1921 წლის 8 ნოემბერს თბილისში გაიმართა შერეული კომისიის სხდომა, სადაც განიხილეს ამ ორ სახელმწიფოებს შორის სასაზღვრო საკითხები და მიიღეს დადგენილება ყარაიის ველზე, ყაზახის მაზრის გლეხებისათვის სარგებლობისა და მფლობელობის საზღვრები.

ხოლო 15 ნოემბერს, საქართველოს სსრ-ს და აზერბაიჯანის სსრ-ს რევკომების თავმჯდომარეებმა, 8 ნოემბერს მიღებული დადგენილება, საბოლოოდ ხელის მოწერით დაამტკიცეს. თუმცა ყარაიის ველზე ზამთრის საძოვრების ფლობის საკითხი ისევ სადავო დარჩა და დღემდე გადაუჭრელია.

საბჭოთა მთავრობამ, ვ. მუავანაძის საქართველოს კპ ცკ-ის I მდივნად ყოფნის დროს, აზერბაიჯანს გადასცა, აღმოსავლეთ საქართველოს მხარის, გარდაბნის მინა-წყალზე, მდ. მტკვრის აუზში მდებარე, ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი, **ჯანდარის ტბის** სამხრეთ-აღმოსავლეთის ნახევარზე მეტი, რომელიც წყალსაცავს წარმოადგენს და გამდინარეა. მის ჩრდილო-დასავლეთით მცირე ზო-

მის ყურეა, ხოლო ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ღრმაა და განიერია. წინათ, მის ადგილას იყო მცირე ზომის წყალსატევი. XIX საუკუნის 70-იან წლებში მდ. მტკვრიდან არხი გაიყვანეს. 1927 წელს ჯანდარის ტბა დააშრეს, ხოლო, შემდეგ, 1928 წელს ხელახლა შეავსეს. ამ ტბით ხდება აზერბაიჯანის (ყაზახისა) და საქართველოს (გარდაბნის) მიწების მორწყვა. ჯანდარის ტბა მდიდარია თევზით და წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თევზრეწვისა და სანადირო ადგილს. სანაპიროები დაფარულია წყლის მცენარეებით. სასმელად უვარგისია.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სადაო მიწები გახდა **ნითელი ხიდის** მიმდებარე ადგილები. საბჭოთა კავშირის დროს საზღვარი გადიოდა ძველ წითელ ხიდზე. შემდეგ, ოდნავ მოშორებით, საქართველოს მხარეს აშენდა ახალი ხიდი და რა თქმა უნდა ახალი ხიდის ორივე მხარის მიმდებარე მიწები საქართველოსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხიდის მეორე მხარეს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დადგნენ და დღესაც იქ დგანან.

ამ ორ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი სადავო საკითხი წამოიჭრა, სოფ. **ერისიმედთან** დაკავშირებით. ის სიღნაღის რაიონში, სიღნაღიდან 65 კმ-ით არის დაშორებული და აშენდა 1989 წელს, მდ. ალაზანის მარჯვენა ნაპირზე, აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს. სარწმუნეობის მხრივ, სოფელი ექვემდებარება საქართველოს საპატრიარქოს – ბოდბის ეპარქიას. ამ სოფელში ჩასახლებულნი იყვნენ ძირითადათ აჭარლები, რომლებიც დაზარალდნენ მეწყერის შედეგად. 2002 წლის აღწერით ერისიმედში 340 კაცი იყო. ვინაიდან მდ. ალაზანი ხშირად იცვლის კალაპოტს და ამის გამო ხდება საზღვრის (საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვარი) ცვლილება, დღემდე აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გამავალი საზღვარი დადგენილი არ არის, ამიტომაც სოფ. ერისიმედის მდებარეობა, ამ ორ სახელმწიფოს შორის დღემდე საკამათო საკითხად რჩება. არადა აზერბაიჯანელების მესაზღვრეებს ზედ სოფელთან ახლოს (რამდენიმე მეტრის დაშორებით) აქვთ საგუშაგო მოწყობილი. აზერბაიჯანელები, როგორც დავით გარეჯის ჩიჩხიტურის კოშკს, ასევე ერისიმედსაც სტრატეგიულ ადგილად თვლიან. მართალია, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, დამოუკიდებლობის მიღების დღიდან, შეიქმნა დემარკაცია-დემილიტარიზაციის სახელმწიფო კომისია, მაგრამ, სხვა რამოდენიმე განხილულ საკითხებს შორის, სოფ. ერისიმედის ბედიც ჰაერშია გამოკიდებული. ასე, რომ ეს საკითხიც დღემდე გადაუჭრელია.

1.5. აზერბაიჯანელები საქართველოში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან დაკავშირებული დაძაბული ურთიერთობებისა, რომელიც დღევანდელ დღემდე გრძელდება, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როგორც საგარეო, ასევე საშინაო მდგომარეობა, მეგობრულ და მშვიდ მდგომარეობაში მიმდინარეობს. 1992 წლის 18 ნოემბერს ამ ორ სახელმწიფოს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ბაქოში გაიხსნა საქართველოს საელჩო, ხოლო თბილისში – აზერბაიჯანის საელჩო. 1997 წლის 10 ოქტომბერს ისინი სუამის (სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია) წევრები გახდნენ. ორივე სახელმწიფოები ევროსაბჭოს, ეუთოს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებია და მონაწილეობენ ნატოს (ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) პროგრამებში. 1990 წლის დეკემბერში, ორივემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კულტურულ, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. დამყარებულია თანამშრომლობა სავაჭრო ურთიერთობაში. ეკონომიკური განვითარებისათვის მიმდინარეობს თანამშრომლობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობაში და სხვ.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოქმედებს წითელი ხიდის (ძირითადი), ლაგოდეხის და დედოფლისწყაროს სასაზღვროგამშვები ადგილები.

აზერბაიჯანელების ჩამოსახლება საქართველოში ვარაუდით, ადრეულ საუკუნეებში ხდებოდა, რადგან ამის შესახებ დამადასტურებელი ცნობები არ მოგვეპოვება. წყაროებიდან ჩანს, რომ თურქულენოვანი ტომების დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში ე. წ. „დიდ თორქობის" (XI საუკუნის 30-იანი წლები), დროს მომხდარა. დავით აღმაშენებლის დროს ჩამოსახლებული თურქულენოვანი ტომების ყივჩაყების, ნაწილი დაბრუნდა უკან, ხოლო ნაწილი აქვე დარჩა და გაქართველთა. მომდევნო საუკუნეებში გრძელდებოდა თურქმანთა ტომების ჩამოსახლება. წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოში (XIV–XV) საუკუნეებში არსებობდა მჭიდროდ დასახლებული თურქული თემები. XVIII საუკუნეში, ერეკლე II-ის დროს, ქართლ-კახეთის მხარეებში, გაუკაცრიელებულ ადგილებში ხდებოდა არაქართველი (მათ შორის თურქულ ენოვანი) მოსახლეობის ჩამოსახლება. „XVIII საუკუნის შუა წლებში ერეკლე II-ს მუღანის ველიდან გადმოუსახლებია სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმენული ოჯახი, მათგან შეიქმნა სოფლები: მუღანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჰაჯილი, რომლებიც დღეს მარნეულის რაიონში მდებარეობენ. ქართლ-კახეთის მეფე მუდმივად აკვირდებოდა მიგრანტებს და არ აძლევდა მათ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას". (66). მეფის რუსეთის დროს, გახშირებული იყო ქართულ მიწებზე სხვადასხვა ტომების ჩამოსახლება. „ქართულ მიწებზე მომთაბარე ელების დამკვიდრებას დიდ ყურადღებას აქცევდა რუსული მმართველობა.... უნდა აღინიშნოს, რომ ცარისტული ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ამ პროცესს.... 1824 წელს შამშადილუში დამკვიდრდნენ წინათ ყარაბაღსა და ერევანში გაქცეული ელები". (66). ცხადია ამავე ხანებში ხდებოდა აზერბაიჯანელების დამკვიდრება საქართველოში.

„1865 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით აქ ცხოვრობდა 51,5 აზერბაიჯანელი; 1886 წელს – 62,6; 1897 წელს – 81,1.

საბჭოთა ოკუპაციის ხანა.

ამის შემდეგ ჩვენ გაგვაჩნია 1926 წლის აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვით საქართველოში იყო 143 951 აზერბაიჯანელი; 1939 წლის აღწერით კი 187 621; 1959 წელს – 153, 6; 1970 წელს – 255,7; 1989 წელს – 307,5." (66).

აზერბაიჯანელები საქართველოში ძირითადათ ცხოვრობენ სოფლებში. ქვემო ქართლში, უმეტესად მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის და დმანისის რაიონებში. „მათი განსახლების მეორე არეალია კახეთი – საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის რაიონების ტერიტორია. აზერბაიჯანული სოფლები არსებობს შიდა ქართლში – კასპის, მცხეთის და ქარელის რაიონებში, აგრეთვე თრიალეთში და თეთრიწყაროს რაიონში. რესპუბლიკის დანარჩენ რეგიონებში აზერბაიჯანელების რაოდენობა შედარებით უმნიშვნელოა.

დამახასიათებელია, რომ საქართველოში ბევრად მეტია მათი რაოდენობა, ვინც დედაენად აზერბაიჯანულს აღიარებს, ვიდრე თვით ამ ეროვნების მოსახლეობა. თურქეთიდან ჩამოსახლებული დაახლოებით 27 ათასი ბერძენი დედაენად თვლის აზერბაიჯანულს. თურქების გარემოცვაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრების შედეგად ბერძნების ამ ნაწილმა, რომლებსაც ურუმებს უწოდებდნენ და ამჟამად თრიალეთში ცხოვრობენ, დაკარგა თავისი ენა და შეითვისა აზერბაიჯანული." (66).

1.6. ქართველები აზერბაიჯანში.

ზემოთ, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ისტორიული მოვლენების გამო, ნებით თუ უნებლიეთ, ქართველები მოხვდნენ აზერბაიჯანში. ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის კულტურულ მემკვიდროებას დიდი ხნის ისტორია აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდებიან როგორც გენეალოგიით, ასევე ტოპონიმიკით, წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ გვერდი-გვერდ ყოფნისას, საუკუნეების განმავლობაში, ამ ორივე ერმა შეინარჩუნა თავისი უძველესი კულტურის იშვიათობა. ამავე დროს, მათ შორის ხდებოდა მიგრაციული პროცესები. თუმცა, აზერბაიჯანში მყოფი ქართველები მცირერიცხოვანნი არიან. 1999 წლის აღწერის მონაცემებით,

აზერბაიჯანში ცხოვრობს 14 877 ქართველი, რომლებიც ძირითადათ იმყოფებიან: ბაქოში (2 340), კახის (7 450), ბელაქანის (1 731), ზაქათალის (3 071) რაიონებში და სხვა ადგილებში – 285.

აზერბაიჯანელებთან ერთად ქართველები ეწევიან კულტურულ, მეცნიერულ და შრომით საქმიანობას. აზერბაიჯანში მოქმედებს ქართული სკოლები, ქართულენოვანი სწავლების სექტორები და ქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებები. არის ქართული კულტურის ცენტრი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული თეატრი (მას 2004 წელს სახელმწიფო აკადემიური თეატრის წოდება მიენიჭა). მოქმედებს ქორეოგრაფიული და სიმღერის ჯგუფები და სხვ. 1992 წელს აზერბაიჯანში დაარსდა ქართველთა სათვისტომო (მოიცავს ქ. ბაქოს, კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონების მცხოვრებლებს) და აგრეთვე კახის რაიონში მისი ფილიალი.

ზოგიერთი აზერბაიჯანელი ქართველებიდან ცნობილნი არიან:

ივანე ბულულაშვილი (ივან-ბაბა), ქართველი მოღვაწე, რომელმაც საინგილოში აღადგინა ქრისტიანობა. განმანათლებელი. XIX საუკუნეში მაჰმადიან ინგილოთაგან პირველი იყო ვინც ქრისტიანობა მიიღო. გადმოცემით მან საინგილოში 16 000 ქართველი გააქრისტიანა. დაკრძალულია, მისი მოთავეობით აგებულ კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში.

მიხეილ ყულოშვილი (1825–1918), ქართველი ინგილო სასულიერო მოღვაწე, მღვდელი, რომელსაც მოსთხოვეს ქრისტეს უარყოფა და ისე მოუსწრაფეს სიცოცხლე, რომ ვერ მოასწრო პირჯვარის გამოსახვა. 2012 წლის 5 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და ეს დღე მისი მოხსენიების დღედ დააწესა.

არსენ ოქროჯანაშვილი (1930–1965) ქართველი გეოგრაფი, რომელიც 1958 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში მაეცნიერ თანამშრომლად. დაიღუპა კარსტული მღვიმეების (მდ. ტობის აუზში, 12 მღვიმეა) ტობის II მღვიმის გამოკვლევის დროს. გარდაცვალების შემდეგ, ამ ღვიმეს ეწოდა არსენ ოქროჯანაშვილის სახელი. კახშიც არის მისი სახელობის ქუჩა. 1977 წელს მას მიენიჭა სსრკ-ს სახელმწიფო პრემია, ახალი ათონის მღვიმის კომპლექსის შექმნისათვის მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფთან ერთად.

1998 წლიდან აზერბაიჯანში მოღვაწეობს და ცხოვრობს, აზერბაიჯანის ცნობილი მომღერალი მანანა ჯაფარიძე, რომელიც ერთ-ერთ წარმატებულ მომღერლად ითვლება. აზერბაიჯანის სახელით გამოდის საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე. აქვს მიღებული ჯილდოები. 2009 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მას მიანიჭა აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტის წოდება.

გარდა ზემოთ მოხსენებული ქართველი აზერბაიჯანელებისა, მოღვაწეობენ და ცნობილნი არიან აზერბაიჯანში, კიდევ სხვა ქართველებიც, რომლებიც ამავე დროს შემოქმედებით ურთიერთობას ამყარებენ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, მეცნიერების, ეკონომიკის, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში.

§4. სამხრეთის საზღვარი.

საქართველოს სამხრეთის საზღვარი იწყება იერის ზეგანიდან და მინგეჩაურის წყალსაცავიდან, ელდარის დაბლობზე (ელდარის ველი) მიჰყვება მდ. იორის მარცხენა ნაპირს, გაივლის მთა ელიარ-ოულუს (595 მ.), მთა ჩობანდალს (892 მ.), მდ. იორიდან გადაკვეთს ჯანდარის ტბას, გაივლის მდ. მტკვარსა და მდ. ქციის (ხრამი) შესართავთან მდებარე წითელ ხიდთან, მიჰყვება მდ. დებედას, გადაკვეთს მდ. ტაშირისწყალს და თბილისი-ერევნის სამანქანო გზას, მიჰყვება ლოქის (სომხითის ქედი) ქედს, გადაკვეთს ჯავახეთის ქედს, აჩქასარის მთასთან (3196 მ.) გადაკვეთს ბათუმი-ახალქალაქის-ერევნის სამანქანო გზას, მიჰყვება ნიალისყურის (ჩრდილის, ჩილდირის) ქედს, მთა უჩთაფალარს (სამთავა, ნიალისყურის ქედზე) (3041 მ.), გადაკვეთს კარწახის (ხოზაფინის) ტბას, მდ. მტკვარს, მიჰყვება ერუშეთის ქედს, გადაკვეთს მდ. ფოცხოვს, არსიანის ქედს, მიჰყვება შავშეთის ქედს, გადაკვეთს მდ. მაჭახელას, მდ. ჭოროხს, ჭანეთის ქედს და სოფ. სარფს (მდ. ტიბაშის ნაპირზე) და თავდება შავ ზღვასთან.

პ. ინგოროყვა 1918 წელს, საქართველოს სამხრეთის საზღვარს შემდეგნაირად აღწერდა:

„გ). სამხრეთით: მტკვარ-არაქსის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი, – ვიდრე ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების საზღვრამდე. საიდანაც იწყება სადაო ოლქები საქართველოს და ოსმალეთს შორის. საზღვარი, მოკიდებული ალაგელარის მწვერვალიდან, მიჰყვება მთავარ წყალთაგამყოფ ქედს, რომელიც გასდევს მდინარეების მტკვარისა და არაქსის აუზების შუა და მიდის სულ ამ ქედზე გაყოლებით ვიდრე უჩთაფალარის მწვერვალამდე – საიდანაც დაიწყება ბრესტის საზღვარი.

ბრესტის ხაზის სამხრეთით მდებარე საქართველოს ორი მხარე: ბათომი და არტაანი – ამჟამად ბრესტის ხელშეკრულების ზონაში შედის*. თანახმად ამ ხელშეკრულებისა – ამ მხარეთა მცხოვრებთ მიენიჭათ ეროვნულ-პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლება: დღეს-დღეობით კი ბათომი და არტაანი, ნინაალმდეგ ბრესტის ხელშეკრულებისა დაჭერილია ოსმალეთის ჯარის მიერ. – ოსმალეთმა ამავე დროს მოახდინა ოკუპაცია ბრესტის სამიჯნო ხაზის ჩრდილოეთითაც – საქართველოს ნაწილის ახალციხე-ახალქალაქის მხარისა ვიდრე აბასთუმნამდე და აწყურამდე.

*სამხრეთი საზღვარი საქართველოს ამ ორი მხარისა – ბათომისა და არტაანისა – შემდეგია: ჯერ ჩილდირის მთების სისტემა, რომელიც სამხრეთის მხრით ზღუდავს ჩილდირის ტბას, შემდეგ მტკვარ-არაქსის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი – ვიდრე მდ. მტკვარის სათავეებამდე; აქედან ჭოროხ-არაქსის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი – ვიდრე ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრამდე 1914 წლისა“. (92).

საქართველოს სამხრეთის საზღვარი წარმოადგენს ორ მხარეს: სამხრეთ-აღმოსავლეთი – ქვემო ქართლი და სამხრეთ-დასავლეთი – ზემო ქართლი.

საქართველოს სამხრეთის საზღვარი მტრის შემოსევების გამო საუკუნეების განმავლობაში მუდამ განიცდიდა ცვალებადობას.

ი. ჯავახიშვილი საქართველოს სამხრეთის საზღვრის შესახებ წერს: „ქვემო ქართლი სამხრეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა სამფლობელოს გამყოფელი საზღვარი იყო ძველ დროითაგანვე მოყოლებული“. (3, გვ.20).

1. სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი.

როგორც ცნობილია, ისტორიულად, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი. სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი, პოლიტიკური ვითარების გამო ხშირად იცვლებოდა.

ი. ჯავახიშვილი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრის შესახებ წერს:

„საქართველოს სახელმწიფოებრივი სამზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს პოლიტიკური სისუსტის დროსაც, თუნდა მე-XVIII-ეშიც, იქ-კი არ თავდებოდა სადაც ქვემოქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. თუნდაც, რომ განჯისა და ერევნის სახანოებს თავი დავანებოთ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს ყმად ნაფიცები იყვნენ და ყოველ წლიურად ნებაყოფლობით ხარკს იხდიდნენ და რომელთა მმართველები ხანებად მეფის მიერ იყვნენ ხოლმე დამტკიცებულნი... ყაზახი, სამშადილი და შამქორი ხომ საქართველოსთან უმჭიდროესათ იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველთა ერთგულებას იჩენდნენ. ამ ორთავე ქვეყნითგან ომიანობის დროს საქართველოს საუკეთესო, 6 000 კაცისაგან შემდგარი, ცხენოსანი ჯარი მოსდიოდა ხოლმე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ ეს მაჰმადიანი ხანები საქართველოსთან უფრო ერთგულნი ყოფილან, ვიდრე თვით ერთმორწმუნე და თანამონათესავე სპარსეთის შაჰებისა...

ქვემო ქართლი სამხრეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა სამფლობელოს გამყოფელი საზღვარი იყო ძველ დროითგანვე მოყოლებული". (3, გვ.19).

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე ყოველთვის განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იქმნებოდა სომხეთის მხრიდან.

1.1. სომხეთი.

სომხეთის რესპუბლიკა მდებარეობს ამიერკავკასიის სამხრეთ მხარეში, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება საქართველო, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – ირანი, დასავლეთით – თურქეთი. მისი ფართობია 29 800 კმ^2. დედაქალაქი ერევანი.

დღევანდელ სომხეთის რესპუბლიკაში **სომხები** წარმოადგენენ ძირითად მოსახლეობის უმრავლესობას. 2014 წლის 1 იანვრის სააღრიცხვო მონაცემებით, სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენს 3 017 800 კაცს. ხოლო თვით სომხები არიან მოსახლეობის 98%. ცნობილია, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის მატება ხდებოდა სომხეთის სსრ-ის შექმნის შემდეგ. ძირითადათ „ბუნებრივი ზრდის გარდა" სომხეთში ხდებოდა „რესპუბლიკათშორისი მიგრაციისა და საზღვარგარეთიდან სომხების რეპატრიაციის შედეგად (საბჭოთა პერიოდში რეპატრირებული იყო დაახლოებით 240 ათასი კაცი)." (10, ტ.9, გვ.463). 2011 წლის 12 ოქტომბერს სომხეთის რესპუბლიკაში მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, იყო 3 018 854 (ამათში შედიოდა 1 წლის განმავლობაში დროებით მყოფი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მყოფნი). თვით რესპუბლიკის მაცხოვრებლები იყვნენ – 2 871 771 კაცი.

„ეროვნული უმცირესობებიდან სომხეთის რესპუბლიკაში 2011 წლის მონაცემებით იყვნენ: სომხები 2 961 801 (98,1%), იეზიდები (ქურთები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სარწმუნეობა) – 35 308 (1,2%), რუსები – 11 911 (0,4%), ასურელები – 2 769 (0,09%), ქურთები – 2 162 (0,07%), უკრაინელები – 1 176 (0,04%), ბერძნები – 900 (0,03%), ქართველები – 617 (0,02%), სპარსელები – 476 (0,02%) და სხვ...

რუსებიდან სომხეთში მოხვდნენ, მეფის ხელისუფლების მიერ გადმოსახლებული მალაკნელები და სამხედრო მოსამსახურეები, ხოლო შემდეგ, საბჭოთა წყობილების დროს. დღევანდელ დღეს რუსები სომხეთში არიან – 14 700 კაცი...

1926 წლის აღწერის მონაცემებით სომხეთში იმყოფებოდნენ აზერბაიჯანელები და მუსულმანი-ქურთები 76 870 (8,8%). (1905–1906) და (1918–1920) სომხეთ-აზერბაიჯანის შეხლა-შემოხლის

დროს, ხოლო შემდეგ 1940 წელს საბჭოთა დეპორტაციის გამო აზერბაიჯანის მოსახლეობა სომხეთში საგრძნობლად შემცირდა. 1947 წლის დეკემბერში, სტალინის ბრძანებით, სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელების თხოვნით, სომხეთიდან გაასახლეს 100 000 აზერბაიჯანელი მტკვარარაქსის დაბლობში". (112).

1980 წლის ბოლოს და შემდეგ წლებშიც, სომხეთ-აზერბაიჯანის ომის გამო, სომხებმა განდევნეს აზერბაიჯანელები და მუსულმანი-ქურთები. 1990 წლის დასაწყისისათვის სომხეთში დარჩენილი 11 000 მუსულმანი-ქურთები გაიქცნენ აზერბაიჯანში და „ამჟამად, სომხეთში აზერბაიჯანელებიდან დარჩენილნი არიან მხოლოდ რამდენიმე ათეული შერეული ოჯახი, ამათ გარდა ავადმყოფები და ღრმათ მოხუცებულები". (112).

სომხების საკუთარი სახელწოდებაა „ჰაი" („ჰაიქ"). ქართველები უწოდებენ „სომხეთს", ხოლო დანარჩენნი ყველა სხვა ხალხები – „არმენებს". ზოგი მეცნიერი სომხების თვითწოდებას „ჰაი"-ს უკავშირებენ ხეთურ წარწერებში მოხსენებულ ქვეყნის სახელს – „ხაიასა"-ს. ხოლო ძვ. წ. VI საუკუნეში აქემენიდურ და ბერძნულ წყაროებში გვხვდება – „არმენია" და „არმინა".

სომხები, დღევანდელ სომხეთის რესპუბლიკაში სარწმუნეობის მხრივ წარმოადგენენ მონოფიზიტ ქრისტიანებს (დაახლ. 98,7%), ხოლო საზღვარგარეთ, მცირე რაოდენობით არიან კათოლიკები და პროტესტანტებიც.

არქეოლოგიური ძეგლებისა და წყაროების გაცნობის შემდეგ, დამტკიცდა, რომ ამიერკავკასიაში მყოფი სომხების წინაპრები ძვ. წ. VIII საუკუნემდე ბინადრობდნენ დასავლეთ ევროპის ისტორიულ ოლქში ბალკანეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგეოსის, შავსა და მარმარილოს ზღვებს შორის მდებარე თრაკიაში, მონათესავე ფრიგიელ ტომებთან ერთად, ჩრდილოეთ შავის ზღვისპირეთში თრაკიამდე მცხოვრებ კიმერიელების მეზობლად. ძვ. წ. VII საუკუნეში ძველირანული მომთაბარე ტომების სკვითების ჩამოწოლის შედეგად, კიმერიელების ნაწილი (დანარჩენები შეერივნენ სკვითებს), ფრიგიელები და ძველ ინდო-ევროპული არიული (სომხური) ტომები გადმოსახლდნენ მცირე აზიაში. ფრიგიელებმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ მცირე აზიაში, შექმნეს ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება. მათ მეზობლად სახლობდნენ სომხური ტომები. დროთა განმავლობაში პოლიტიკური და სხვადასხვა ვითარების გამო, სომხურმა ტომებმა გადაინაცვლეს სომხეთის მთიანეთში, ხოლო აქედან გადავიდნენ ჯერ ვანის ტბის მიდამოებში და საბოლოოდ დამკვიდრდნენ სევანის ტბის მიდამოებში, სადაც ჩამოყალიბდა დღევანდელი სომხეთის სახელმწიფო.

ერთ-ერთი დამადასტურებელი მტკიცებულება სომხური წინაპარი ტომების დასავლეთ ევროპიდან გადმოსახლების შესახებ, აღნიშნულია საბჭოთა დიდ სამედიცინო ენციკლოპედიაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ე. წ. „პერიოდული ავადმყოფობა", ანუ „სომხური ავადმყოფობა" არის „შავი ზღვისპირეთის ოჯახის ციებ-ცხელება – შედარებით იშვიათი გენეტიკური შეპირობებული ავადმყოფობაა... ავადმყოფობა გვხვდება უმთავრესად იმ ეროვნებების წარმომადგენლებს შორის, რომელთა წინაპრები ცხოვრობდნენ ხმელთა შუა ზღვის აუზში, განსაკუთრებით სომხებში, ებრაელებში..." (Б. М. Э. მოსკოვი, 1982, გვ.67).

ძვ. წ. I ათასწლეულში სომხეთის მთიანეთში ჩამოყალიბდა რამდენიმე გაერთიანება: ნაირის, ურარტუს, ჰაიას და სხვ.

ე. წ. „ნაირის ქვეყნები" იწყებოდა მდინარეების დასავლეთ ევფრატისა (ყარასუ) და აღმოსავლეთ ევფრატის (მერადსუ) შესართავთან და ვრცელდებოდა ჩრდილოეთით შუა-მდინარეთისა და შავი ზღვის მიმართულებით.... გვიანდელ ხანაში ძვ. ნაირის ტერიტორია თითქმის მთლიანად ურარტუს სამეფოს ფარგლებში მოექცა და ტერმინი ნაირი უკვე იშვიათად იხსენიება". (10, ტ.7, გვ.300). ასურეთის მმართველთა წარწერებიდან ჩანს, რომ ნაირში გაერთიანებული ყოფილა 23 ქვეყანა.

ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „სიტყვები ნაირი, ბიაინა და ურარტუ მხოლოდ ქვეყნების საკუთარი სახელებია, თითონ ხალხი კი თავის თავს ქალდის ანუ ხალდის უძახდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სახელი ქართველი ტომების საზოგადო სახელი იყო (ქართუ-ელი, კარდუ-ხი); ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ. მართლაც, თითქმის ყველა თანამედროვე მეცნიერებს ურარტელები ან ქართველების წინაპრებად, ან მონათესავე ერად მიაჩნიათ (ლენორმანი, სეისი, მასპერო, ფ. ჰომმელი)." (2, ტ.I, გვ.438).

ძვ. წ. IX საუკუნეში ვანის ტბის მიდამოებში ჩამოყალიბდა ურარტუს სახელმწიფო. რომელიც, VIII საუკუნეში თავისი ძლიერების დროს წარმოადგენდა მახლობელ აღმოსავლეთში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. ამ დროს ის მოიცავდა: სამხრეთით – ჩრდილოეთ მესოპოტამიის ნაწილს, აღმოსავლეთით – ურმის ტბისა და ახლანდელი თავრიზის მხარეს, დასავლეთით – ჩრდილოეთ სირიისა და მცირე აზიის ოლქებს და ჩრდილოეთით – სევანის ტბის მიდამოებს. მეზობელ სახელმწიფოებთან ბრძოლების გამო, ის დასუსტდა და ბაბილონმა და მიდიამ ურარტუ გაანადგურეს. VI საუკუნის ბოლოს წყაროებში ურარტუ აღარ იხსენიება. მისი დაცემის შემდეგ, დასავლეთიდან დაიწყეს სომხურმა ტომებმა მისი მიწების დაკავება და თანდათან ურარტუს სამფლობელოს მთლიანად დაეუფლნენ. ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს სპარსულ წყაროებში ურარტუ მოხსენებულია „არმინა"-ს სახელწოდებით და ამის შემდეგ საზღვარგარეთის წყაროებში სომხებს ამავე სახელწოდებით იხსენიებენ. ურარტუს მოსახლეობის ნაწილი, სომხურ ტომებს შეერივნენ.

ძვ. წ. 220 წელს სირიის სელევკიდების ელინისტური სახელმწიფოს მეფემ ანტიოქე III-ემ (ძვ. წ. 242–ძვ. წ. 187) დაიპყრო აირარატის სამეფო და გააერთიანა სომხური მიწები. ამ სახელმწიფოს, მცირე სომხეთის საპირისპიროდ ეწოდა დიდი სომხეთი.

აირარატის სამეფო, ანუ ერვანდის სომხეთი წარმოადგენდა სომხეთის მთიანეთში, ჩვ. წ-მდე VI და IV–III საუკუნეებში ძველ სომხურ სამეფოს.

მცირე სომხეთი წარმოადგენდა სომხური ტომების გაერთიანებას, მთიანი მხარის მდინარეების ევფრატის, ლიკოსის და ჰალისის ზემო წელზე, რომელსაც ხეთურ წყაროებში ჰაიასის ქვეყანას უწოდებდნენ. ამ ეთნონიმით დღევანდელი სომხები თავის თავს უწოდებენ. ჩვ. წ-მდე აქემენიდების სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ მაკედონელებს ემორჩილებოდა. 322 წელს მცირე სომხეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, რომლის დედაქალაქი გახდა ანიკამახი. ახ. წ. I საუკუნეში რომის ერთ-ერთი კუთხის კაპადოკიის შემადგენლობაში შევიდა. III საუკუნის ბოლოს რომის ცალკე კუთხე გახდა, შემდეგ დროს ის ორ ნაწილად გაიყო.

დიდი სომხეთის მმართველი ძვ. წ. 190 წელს არტაშეს I (გ. დაახლ. ძვ. წ. 160), არტაშესიანთა დინასტიის დამაარსებელი, აუჯანყდა ანტიოქე III-ეს და „დიდი სომხეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მისი სამეფოს ფარგლებში შედიოდა სომხეთის ზეგნის თითქმის მთელი ტერიტორია. დაიპყრო ახალი მიწები (იბერიას ნაართვა პარიადრის მთიანეთი, ქორზენე, და გოგარენე). ააშენა ახალი დედაქალაქი არტაშატი." (10, ტ.1, გვ.587). ძვ. წ. 69 წელს რომის იმპერიასა და სომხეთს შორის დაიწყო ომი. სომხეთი დამარცხდა და რომს დაემორჩილა, ხოლო ახ. წ. 62 წლიდან სომხეთს პართიელი არშაკიდები მმართავდნენ. III საუკუნის II ნახევრიდან სომხეთი სპარსეთის გამგებლობის ქვეშ მოექცა. შემდგომ წლებში, „დიდი სომხეთი" ჯერ რომის და სპარსეთის, ხოლო შემდეგ, სპარსეთისა და ბიზანტიის ბრძოლების ასპარეზად იქცა. 387 წელს სომხეთის სამეფო სპარსეთმა და ბიზანტიამ გაიყვეს: დასავლეთის მხარე ბიზანტიას, ხოლო აღმოსავლეთი – სპარსეთს ერგო. 391 წელს ბიზანტიამ სომხეთში მეფობა გააუქმა, ირანმა – 428 წელს. ამის შემდეგ, „დიდი სომხეთის" სამეფო საერთოდ გაუქმდა და მას მმართავდნენ სპარსი მარზპანები.

VII საუკუნის II ნახევარში სომხეთი დაიპყრო არაბთა სახალიფომ. არაბებმა გაერთიანეს ალვანეთი (კავკასიის ალბანეთი), ქართლი, სომხეთი და უწოდეს „არმინია". IX საუკუნის ბოლოს ბაგრატუნების საგვარეულოს წარმომადგენლებმა შეძლეს დამოუკიდებლობის მოპოვება და შექმნეს ანისის სამეფო, რომლის დედაქალაქი 961 წელს გახდა ქ. ანისი. (დღევანდელ დღეს თურქეთშია). ანისის სამეფოში მოექცა სომხეთის მიწა-წყლის ნაწილი, ვასპურაკანი და ზოგიერთი არაბული საამიროები. მაგრამ მალე დაიწყო ანისის სამეფოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობის გამწვავება და X საუკუნეში ანისის სამეფომ დაიწყო დაცემა. მასში შემავალი ოლქები გამოეყვნენ, რომლებმაც შექმნეს სამეფოები: ვასპურაკანის სამეფო (908 წ.), ყარსის სამეფო (963 წ.), სიუნიქის სამეფო (978 წ.) და ტაშირ-ძორაგეთის სამეფო (978 წ.). ბიზანტიამ თანდათან დაიპყრო სომხების მიწები და 1054 წელს მისი დედაქალაქი ანისიც აიღო. ანისის სამეფომ შეწყვიტა არსებობა.

1080 წელს მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, მთიან კილიკიაში ჩამოყალიბდა კილიკიის სომხეთის სამთავრო, რომელიც 1198 წელს სამეფო გახდა.

„XIII ს. I ნახევარში მონღოლების შემოსევების თავიდან ასაცილებლად კ. ს. ს-ს მმართველებმა დამპყრობლების ვასალობა აღიარეს, რამაც გაამწვავა ეგვიპტის სულთანთან დამოკიდებულება. 1321-60-იან წლებში მამლუქები რამდენჯერმე შეიჭრნენ კილიკიაში და ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიტაცეს. 1375 კილიკიის უკანასკნელი მეფე ლეონ V დაატყვევეს და კაიროში გაგზავნეს. კ. ს. ს-მ არსებობა შეწყვიტა." (10, ტ.5, გვ.515).

XI საუკუნის შუა წლებში სომხეთი სელჩუკებმა დაიპყრეს. XII ს-ში სომხეთი საქარ-თველოს საზღვრებში იმყოფებოდა და ამ ხანებში სომხეთმა დაიწყო მომძლავრება და განვითარება, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, XIII საუკუნის I ნახევარში ამიერკავკასიას და სომხეთსაც მონღოლები შემოესივნენ, რასაც მოჰყვა გაპარტახება და მოსახლეობის ამოწყვეტა. XIV საუკუნის II ნახევარში თემურლენგის შემოსევებმა ამიერკავკასია ააოხრა და გაანადგურა. ამის შემდგომ დაიწყო თურქ-მანთა მომთაბარე ტომების თავდასხმები, მოსახლეობის განადგურება და განთავისუფლებულ მი-წებზე მათი ჩასახლება. ამან გამოიწვია სომეხი მოსახლეობის სხვადასხვა ქვეყნებში გადასახლება.

XVI–XVII საუკუნეებში სომხეთი გადაიქცა ირანსა და ოსმალეთს შორის სათარეშო მოედნად. 1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად დასავლეთ სომხ-ეთი ოსმალეთს გადაეცა, ხოლო აღმოსავლეთი – ირანს.

XVII საუკუნის დასაწყისში ირანის შაჰი აბას I შეეცადა ოსმალების განდევნა სომხეთიდან, მა-გრამ შემდეგ ოსმალთა უპირატეს ძალებთან ბრძოლის თავის აცილების გამო დაიწყო უკან დახევა და თან გზადაგზა ანადგურებდა ყველაფერს რაც კი შეეძლო გამოეყენებინა ოსმალების თავშესაფ-რისა და სარჩოსათვის. შაჰის ბრძანებით მოსახლეობა გადაასახლეს სპარსეთში.

ზევით აღვნიშნეთ რომ, XVIII საუკუნის I ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდა მესამე იმპერია – რუსეთი. რომლის მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა. 1801 წელს ქართლ-კახეთის რუსეთ-თან შეერთების შემდეგ, რუსეთმა მყარად მოიკიდა ფეხი ამიერკავკასიაში და თანდათან შეუდგა თავისი გეგმის (კავკასიის დაპყრობის) განხორციელებას.

XVII საუკუნის II ნახევრიდან სომხებმა, თავის გადარჩენის მიზნით, გეზი აიღეს რუსეთისაკენ და ყოველ მხრივ ცდილობდნენ დახმარებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას კავკასიის დაპყრობის დროს.

1828 წლის თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებით, რუსეთს შეუერთდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოები, ხოლო 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით – დასავლეთ სომხეთი.

რუსეთის ხელისუფლებამ 1828 წლის 21 მარტს, **აღმოსავლეთ სომხეთში ჩამოაყალიბა სომხეთის ოლქი**, რომლის მთავარი ქალაქი გახდა **ერევანი**. 1833 წელს ოლქი დაშალეს და შეიქმნა ერევნის, შარურის, სარდარაპატისა და სურმალინის ოლქები.

1840 წელს საქართველოს გუბერნია, სომხეთი და იმერეთის მხარეები გააერთიანეს და გახდა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელიც 1846 წელს გაიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერ-ნიებად. სომხეთის მხარე დაექვემდებარა თბილისის გუბერნიას. ხოლო 1849 წელს აღმოსავლეთ სომხეთი გარდაიქმნა ერევნის, ნახჭევანის და ალექსანდროპოლის მაზრებად. თბილისის გუბერ-ნიას დაექვემდებარა ერევნის მაზრა.

(1895-1896, 1915) წლებში სომხეთსა და თურქეთს შორის არეულობის გამო, სომხები თურქეთი-დან გადმოსახლდენ რუსეთში. ხოლო სომხების ნაწილი, რუსებმა ჩაასახლეს საქართველოში. (იხ. ქვევით).

1918 წლის 28 მაის ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქის მიწებზე შეიქმნა სომხეთის პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა (სომხეთის რესპუბლიკა, არარატის რესპუბლიკა, ერევნის რესპუბ-ლიკა), რომლის მთავრობა წარმოადგენდა დაშნაკთა ნაციონალურ პარტიას („დაშნაკცუთიუნი"). რომელმაც ამავე წელსვე საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხადებლად დაიწყო ომი. სომხეთი ამ ომში დამარცხდა. (იხ. ქვევით). დამოუკიდებლობის მიღების დროს, სომხეთის დიდი ნაწილი ექვემ-დებარებოდა თურქეთს. მოსკოვში გამართული მოლაპარაკებები, საბჭოთა კავშირსა, თურქეთსა და სომხებს შორის (სომხები თხოულობდნენ სომხეთსა და შავ ზღვას შორის მინა-ნყლის სომხეთი-სათვის მიერთებას) ჩაიშალა.

1920 წლის აგვისტოში მოხდა შეტაკება ნახჭევანში სომხეთსა და საბჭოთა ჯარებს შორის. სომხები დამარცხდნენ. 10 აგვისტოს სომხეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის, რომლის თანახმად ნახჭევანი დარჩა აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ამავე წლის სექტემბერში დაშნაკების მთავრობამ თურქების წინააღმდეგ დაიწყო ომი. სომხები დამარცხდნენ და 18 ნოემბერს სომხეთის მთავრობა იძულებული გახდა ხელი მოეწერა დაზავებას, დასავლეთ სომხეთი ისევ თურქეთის მხარეს დარჩა. ხოლო 1920 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა XI არმია ერევანში შევიდა. დაშნაკური მთავრობა დაემხო და სომხეთის რევოლუციურმა კომიტეტმა, სომხეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. 1922 წლის 12 მარტიდან სომხეთი შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენელობაში. 1936 წლის 5 დეკემბერს სომხეთი შეუერთდა სსრკ-ს როგორც მოკავშირე რესპუბლიკა.

1990 წლის 12 მარტს გამოცხადდა „სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და ქვეყანას ეწოდა „სომხეთის რესპუბლიკა", რომელიც რჩებოდა სსრკ-ის შემადგენლობაში. 1991 წლის 21 სექტემბერს ჩატარდა რეფერენდუმი სსრკ-დან გამოსვლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დამყარების შესახებ. 23 სექტემბერს სომხეთის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა „სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა".

1.1.2. სომხები საქართველოში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქვემო ქართლის სამხრეთით მოსაზღვრე მხარეში, ჩ. წ-მდე ათასწლეულში, სხვადასხვა მდგომარეობისა და ვითარების გამო, ჩამოსახლდნენ მცირე აზიაში, ქართველური ტომების მეზობლად, ინდო-ევროპული არიული (სომხური) ტომები. ქართველების და სომხების ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში, გამუდმებით იცვლებოდა და სხვადასხვა ხასიათს ატარებდა.

სომხურმა ტომებმა დააარსეს მცირე პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც თანდათან მომძლავრდნენ და გააფართოვეს თავისი საზღვრები, მეზობელი სახელმწიფოების მიწების დაპყრობით და შემდგომში ჩამოყალიბდა დიდი სომხეთის სამეფო, რომელმაც იარსება V საუკუნის შუა ხანებამდე.

როგორც ცნობილია, სომხეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საუკუნეების განმავლობაში, მუდამ ხდებოდა მასზე მსხემი ტომებისა და სახელმწიფოების თავდასხმა და ის წარმოადგენდა დაპირისპირებულ მხარეთა სათარეშო მოედანს. ამის გამო უძველესი დროიდან დაწყებული, სომხეთის მოსახლეობა თავს აფარებდა და სახლდებოდა საქართველოში. ზევით აღვნიშნეთ, რომ მას შემდეგ, რაც სომხური სახელმწიფოები წარმოიქმნა და დაიწყეს აღმოსავლეთისაკენ სვლა და თავისი საზღვრების გაფართოება, მათ ქართული მიწები შეიერთეს. აქ მცხოვრები ქართველური ტომების ნაწილი ჩრდილოეთ მხარეში მყოფ მონათესავე ტომებთან გადასახლდნენ, ხოლო დარჩენილი ნაწილი სომხურ ტომებს შეერივნენ.

ივ. ჯავახიშვილი სომხეთის სამეფოს შესახებ წერს:

„ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწაწყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დააარსეს, თვით სომხეთის ვითარცა პოლიტიკურ ერთეულის სამზღვრებიც გაფართოვდა.... ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივი განვითარებისა და გამრავლების შედეგი არა ყოფილა. სტრაბონის ცნობით სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის მაშინ ქართველთა ტომებისათვისაც წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს – კარინი და დერქსინი... ეს ამბავი 191 წ. (ქ. წ.) შემდეგ მომხდარა და სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად. ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით სამუდამოდ და საბოლოოდ არ გადაწყვეტილა". (3, გვ.20).

წყაროებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. VII–V საუკუნეებში სომხურმა ტომებმა (ჰაიკებმა) ურარტუს სახელმწიფოში მყოფი ერთ-ერთი ქართველური ტომები ალაროდები აჰყარეს და მათ მიწა-წყალზე დასახლდნენ.

ცნობილია, რომ ახ. წ. VII საუკუნეში, როდესაც მოხდა სარწმუნეობრივი განხეთქილება ქართველებსა (დიოფიზიტები) და სომხებს (მონოფიზიტები) შორის, სომხების მორწმუნეთა დიოფიზიტების ნაწილი საქართველოში გადმოსახლდა.

XI–XII საუკუნეებშიც ხდებოდა სომხების ჩამოსახლება საქართველოში. წყაროების თანახმად, დავით IV აღმაშენებელს სომხების ნაწილი, გორში ჩაუსახლებია.

საქართველოში სომხების მრავლად გადმოსახლება XV–XVI საუკუნეებშია აღნიშნული. ვინაიდან ამ დროს მათ (XI ს-დან) დაკარგული ჰქონდათ სახელმწიფოება და სომხები, მტრისაგან შევიწროებულებმა, თავის გადარჩენის მიზნით, იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინად საცხოვრებელი.

„საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, – საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნეობრივი დევნა არ ყოფილა, – და თანაც საქართველოში შემოხიზნულს სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქიდგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ, ამიტომ იყო, რომ დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდენ, ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც თავიანთვის თავშესაფარს.

სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდნენ ხოლმე სწორედ ქვემო ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა ე. წ. სომხითში, ლორეში, ტაშირში და სხვაგან. ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ „სომხით"-ში ვახტანგ VI დროს „მოსახლენი არიან სარწმუნეობით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნეობისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა"-ო (გეოგრაფია 146). ტაშირის შესახებაც მას ნათქვამი აქვს, რომ იქ „მსახლობელნი არიან სარწმუნეობით სომეხნი... და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელ-ჩოხიანნი ავფერად-უშვერად, გარნა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უხმარნი"-ო". (3, გვ.35).

მრავალ მტერთაგან შემოსევების შედეგად გაუკაცრიელებულ ადგილებში, საქართველოს მეფე-მთავრებიც ცდილობდნენ მოსახლეობის გამრავლებას. ამის გამო, ხდებოდა არა ქართველი მოსახლეობის, მათ შორის სომხების ჩამოსახლებაც.

„XV–XVI საუკუნის მიჯნაზე ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ვაჟი ბაგრატ მუხრანბატონი ყარაბაღში ჩავიდა, ყმა გლეხები შიძინა და მუხრანში დაასახლა, სადაც მათი შთამომავლობა დღემდე ცხოვრობს." (67).

განსაკუთრებით გახშირდა სომხების ჩამოსახლება XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის ხელისუფლების მიერ. სწორედ ამ დროს ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში სომეხთა დასახლებები ჩნდება. ცნობილია, რომ „1804 წელს გენერალმა ციციანოვმა ქვემო ქართლში ერევნის სახანოდან 2 000 ადამიანი ჩამოასახლა (მანამდე აქ 5 000 სომეხი ცხოვრობდა). 1807–1808 წლებში, თბილისის გუბერნიაში და ავლაბარში – 338 სომხური ოჯახი (1 906 სული) ჩამოასახლეს. ხოლო მთავარმართებელ ტორმასოვის დროს 1809–1811 წლებში ყარაბაღიდან – 428 ოჯახი (2 140 სული) ბოლნისში ჩამოასახლეს.

ცარისტულმა მმართველობამ XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ირანიდან და თურქეთიდან საქართველოში მრავალრიცხოვანი სომხური მიგრაციები განახორციელა. საქართველოში ირანიდან შემოსახლებული სომხები (5 ათასი) ქვემო ქართლში, ბორჩალოს მაზრაში დაასახლეს, თურქეთიდან (ყარსის, ერზრუმის და ბაიაზეთის ვილაიეთები) შემოყვანილნი კი, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში, (ახალქალაქის მაზრაში)... ჩაასახლა.

თურქეთიდან სომხური მიგრაცია საქართველოში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პროცესმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 1877–1890 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. იმ ხანებში საქართველოში უამრავი სომეხი ჩამოვიდა და ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში დამკვიდრდა. 1895–96 წლებში თურქეთში მომხდარმა სომხების

დევნამ ლტოლვილთა ახალი ნაკადი გამოიწვია. მთლიანად ამიერკავკასიაში შემოსული 25 000 ლტოლვილიდან 19 000 ქართულ რაიონებში დასახლდა. თურქეთიდან მრავალი სომეხი შემოვიდა 1915 წლის შემდგომაც, იქ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად." (67).

1918 წელს, თურქეთიდან გამოქცეული სომხური მოსახლება, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ჩასახლდა, „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მძიმე ტვირთად ანვა".

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა: 1926 წელს 307 018 სომეხი, 1970 წელს – 452 300, ხოლო 1989 წელს – 437 200.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში, „უკანასკნელი, 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყანაში სომეხთა რაოდენობა იყო 248 929, რომელთაგან 82 586 თბილისში ცხოვრობდა". (67).

1.1.3. სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ცივილიზაციის უძველესი, მეზობლად მყოფი, ქართველები და სომხები, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეს ურთიერთობები მომდინარეობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რთულსა და ცვალებად საშინაო, თუ საგარეო ვითარებაში, რომელიც ზეგავლენას ახდენდა ამ ურთიერთობაზე. ქართველებისა და სომხების მეგორობა, მრავალსაუკუნოვან წინაისტორიული დროიდან დაწყებული დღემდე მომდინარეობს. ქართველებისა და სომხების მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები ცდილობდნენ კავშირების განმტკიცებას. ეს მეგობრობა ვლინდებოდა როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებშიც.

საქართველოში მყოფი სომხები, ქართველებთან ერთად თანამშრომლობდნენ როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო დარგებში და ამავე დროს გარკვეულ თავისებურ ზეგავლენას ახდენდნენ ქვეყნის ცხოვრებაზე. ბევრი ცნობილი სომეხი მოღვაწეა დაბადებული საქართველოში, რომლებიც მოღვაწეობდნენ და დღესაც მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

მაგრამ, არ შეიძლება, რომ არ აღვნიშნოთ: საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში, საზღვრის პირეთში სომეხთა მოცულობით დიდი რაოდენობით და მჭიდროდ ჩასახლებამ, ამავე დროს ზოგიერთი ე. წ. „ვაი მეცნიერთა" და სომეხთა სარწმუნეობის წარმომადგენელთა არა კეთილმა და აგრესიულმა მოქმედებამ ქართველების მიმართ, უარყოფითი გავლენა იქონია სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. მით უმეტესს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ.

რუსეთის გამოჩენამ ამიერკავკასიაში, სომხეთის საზოგადოება ორად გაპყო: ერთნი, უნდობლად შეხვდნენ რუსეთის გამოჩენას და ქართველებს მიენდნენ, ხოლო მეორენი, იმ იმედით, რომ რუსების მეშვეობით სომხები დაიბრუნებდნენ ძველ დიდებას და აღადგენდნენ სომხეთს ძველ საზღვრებში, სანამ ისინი დამოუკიდებლობას დაკარგავდნენ, ქართველების მიმართ მტრულად განეწყვნენ და რუსეთს მიემხრნენ. რუსეთის ხელისუფლება – კი „გათიშე და იბატონე"-ს გამოყენებით ცდილობდა და დღევანდელ დღესაც განაგრძობს, საქართველოში და მთელს კავკასიაში მყოფი ეროვნებების წაკიდებას და ამ ხერხით თავისი უფლებების გამტკიცებას.

ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები: დ. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. ჯავახიშვილი და სხვ. სომხეთ-რუსეთის ამ მოქმედებას ხვდებოდნენ და კიდევაც აღნიშნავდნენ.

ჭავჭავაძე, ცნობილ ნაწარმოებში „ქვათა ღაღადში", ასეთი „მეცნიერების" შესახებ წერდა:

„ერთი გუნდი სომხებისა, რომელთაც ღმერთმა მოახმაროთ თავიანთ-თავის ქება-დიდება და ჩვენს მოთხრას-კი – ნურას უკაცრავად! – ვერ შევარჩენთ, ვერ დავანებებთ და ამაში, იმედია, ყველა ჭკვათამყოფელი სომეხი დაგვეთანხმება. აი, სწორედ აქ არის თავი და ბოლო, დასაბამი და დასასრული იმ მწვავის გახეთქილებისა, რომელიც ასეთის გულმოდგინებით შთამოსთესეს ჩვენში

უმეცართა მეცნიერთა და ერთმანეთზე აალურსეს ქართველი და სომეხი. ამით, სწორედ ამ პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა გაუფუჭეს გული ქართველებს სომხებზე და სომხებს ქართველებზე. თორემ სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცის წლის წინად ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება! ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნეობისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ, და თუ დღეს ეს ურთიერთობა ასე შერყეულია, სომეხთა მეცნიერთა გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცერქექიაობასა და ოინბაზობას უნდა მიეწეროს.... ღმერთმა მოჰკითხოს ყველას მისნი შეცოდებანი და შეუნდოს, თუ ამისთანა საქციელი შესანდობარია.

თორემ ჩვენ სომხებისა არა გვშურს-რა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანმდელ საქარ-თველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი – ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით....

განა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ საიდანაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხით ნუ ცდილობენ თავიანთის სახელის კეთებას და შემკობას.

ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია", – ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი". (1, ტ.8, გვ.193).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსების შემოსვლამდე საქართველოში, მტრებისგან თავის დაღწევის გამო, სომხები იხიზნებოდნენ და თავს აფარებდნენ საქართველოს. მაგრამ, შემდგომ, თანდათან იმდენად მომრავლდნენ, მომძლავრდნენ და გათავხედდნენ, რომ უკვე შემოხიზნულმა ზოგიერთმა „ვაი მეცნიერმა", სომეხმა, რუსების შემწეობით და ნაქეზებით, პოლიტიკური უფლებების მოპოვებასაც შეეცადა. ზოგიერთნი ღალატობდნენ და მტრადაც ეკიდებოდნენ ქართველებს.

ერეკლე II-ის დროს, როდესაც ა ღ ა - მ ა ჰ მ ა დ - ხ ა ნ ი (1742–1797) 1795 წელს საქართველოსკენ წამოვიდა, მაშინდელმა „სომხეთის კათალიკოსმა ლუკამ", „ალბათ შიშით, „სამხედრო ხარჯების დასაფარავად" 100 000 მ. მისცა". (3, გვ.38). ხოლო, სომხების ნაწილი, „ყარაბაღითგან, ერევნითგან, ნახიჭევანითგან და სხვა ადგილებითგან მაჰმადიან მცხოვრებლებთან ერთად საქართველოში" გამოიქცნენ, „იმ იმედით, რომ აღამაჰმადხანი საქართველოში შესევას ვერ გაბედავდა". ხოლო, აღა-მაჰმად-ხანის საქართველოდან წასვლის შემდეგ, სომხებმა, „ერეკლე მეფეს შეეხვეწნენ და საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვეს... ერეკლე მეფემ... ვედრება შეისმინა, ს. ბოლნისი მისცა და კოლბის გზის დაცვა ვალად დააკისრა". (3, გვ.38). ხოლო სომხების ნაწილმა, „სხვა გზა აირჩიეს: მელიქების... მეთაურობით საქართველოს მეფეს ზურგი აქციეს და პირდაპირ რუსეთის მთავრობასთან დაიჭირეს საქმე. წავიდნენ და... რუსთ ხელმწიფეს იდუმალთ თხოვნა მიართვეს, თქვენ ქვეშერდომებად და მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო. ამასთანავე ისინი თხოულობდნენ, რომ მათ რუსთ ხელმწიფესაგან, ან რუსეთში შეხიზვნის, ან იმავე პირობით საქართველოში დასახლების ნებართვა მისცემოდათ...

უეჭველია ეს უკვე სრულიად შეუწყნარებელი საქციელი იყო. საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის წყალობით სომხები თავიანთვის საქართველოში აუცილებელ განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდენ, მადლობის მაგიერ-კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მინა-წყლის მიღება ჰსურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს.

როგორც ეტყობა სომეხი მელიქები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთ მიზანს მიაღწევდენ". (3, გვ.38).

რუსეთის ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, მათი თხოვნა დააკმაყოფილა და ელჩის მეშვეობით მეფეს თხოვნა გადასცა, რომ „სომეხ მელიქებისა და მათ ყმებისათვის დასასახლებელი მიწები განსაკუთრებით შეღავათიანი პირობით დაეთმებინებინა. მიწერილობაში ნათქვამი იყო, რომ ელჩს

უნდა ჩაეგონებინა მეფისათვის, ვითომცდა რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში თვით საქართველოს საკელთილდღეოდ ცდილობდა...

ყველამ კარგად იცის, რომ დიდ „მფარველ“ სახელმწიფოს თხოვნა პატარისათვის იძულებას უდრის. ამის წყალობით სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ ნადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთ გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს“. (3, გვ.39). ერეკლე მეფეც, პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებული გახდა ისინი ჩაესახლებინა „ზოგი თელავში“, „ზოგი სიღნაღში“ და ბოლნისში.

ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ ერეკლე II თავის მხრივ, ცდილობდა ჩამოესახლებინა და დახმარებოდა სომხებს, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მდიდარი სომხები მას დაეხმარებოდნენ ქვეყნის აღორძინებაში. ამიტომ მათ შეღავათებსაც უწესებდა. 1780 წელს ერეკლემ ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაღიდან 7 000-ზე მეტი სომეხი ჩამოასახლა. ამის შემდეგაც, გიორგი XII-ის დროსაც ხდებოდა სომხების ჩამოსახლება შეღავათიანი პირობებით.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ქვემო ქართლში ე. წ. სომხითში და ლორეში... როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, თითქმის უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827–9 წლებში, როდესაც ოსმალეთიგან 100.000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთითგან 30.000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი ერევნის გუბერნიაში დაეშენა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა“. (3, გვ.39).

წყაროების თანახმად, რუსების საქართველოში შემოსვლის დროს საქართველოს საზღვრები აღწევდა ფამბაკის მთებამდე. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ:

„ერეკლე მეფის დროსაც, თუნდა 1783 წ., როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით სამზღვარი და მთელი ქვენაქართლი, ანუ სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალო საქართველოს უცილობელს საკუთრებას შეადგენდა და კვალინდებურად სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენაც მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერევნის (ფამბაკის) მთები ითვლებოდნენ. ეს შეურყევლად მტკიცდება საქართველოში იმ დროს მყოფ რუსეთის ელჩის ბურნაშევის, როგორც წერილობით აღწერილობითგან... ისევე და უფრო თვალსაჩინოდ მის მიერვე 1784 წ. დახატული საქართველოს საერთო რუკითგან, სადაც სამზღვარი წითლად არის შემოხაზული...

დასასრულ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აღამაჰმადხანის შემოსევის შემდგომაც და აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეგრეთ წოდებული „სომხითი“, ბორჩალო, ფამბაკი, ყაზახი და შამშადილი საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა და შურაველიც მასვე ეკუთვნოდა“. (3, გვ.31).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, ე. წ. გიორგიევის ტრაქტატის (საიდუმლო) დანართში, ერეკლე მეფის წოდება შემდეგნაირად არის აღნიშნული:

„ირაკლი მეორე წყალობითა ღმრთისათა და თქუენის იმპერატორების დიდებულებისა კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შამახისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა“. როგორც ცნობილია, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე II გახდა ქართლ-კახეთის სამეფოს მეფე და ამ დროს, „XVIII ს. შუა წლებისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: ქართლის სამხრეთით ერევნის და ნახჭევნის სახანოები მდებარეობდა, აღმოსავლეთით კი განჯის სახანო. ეს სამივე სახანო ამ დროისათვის ქართლ-კახეთის მოხარკე ქვეყნებად იყვნენ ქცეულნი. კახეთს აღმოსავლეთიდან საზღვრავდა ჭარ-ბელაქნის უბატონო საზოგადოება. ეს იყო ყოფილი კახეთის ტერიტორია, სადაც XVII ს. მანძილზე ლეკები ჩამოსახლდნენ აყრილი ქართველების ადგილზე. აღმოსავლეთითვე კახეთს საზღვრავდა შაქის, ანუ ნუხის სახანო, ხოლო ჩრდილოეთით კახეთს ჩაჩნეთი და დაღესტანი ემიჯნებოდა. დასავლეთით და სამხრეთით ქართლ-კახეთის სამეფოს ლიხთიმერეთი და ახალციხის საფაშო ეკრა. ქართლის ფარგლებში შედიოდა

ყაზახ-შამშადილუს და ბამბაკის ოლქები, თათრის ელებით დასახლებული". (9, ტ.IV, გვ.518). როგორც ვხედავთ, იმ დროს, ერეკლე II-ის მფლობელობაში ითვლებოდა ერევანიც.

ტრაქტატის განსჯისა და ი. ჯავახიშვილის შეფასება ტრაქტატის შესახებ, ჩვენ ზევით გვქონდა აღნიშნული (იხ. შესავალი). აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ:

„რუსული ისტორიოგრაფიის მტკიცებით, გეორგიევსკის ტრაქტატის წყალობით „ქართველი ხალხი გადაურჩა სპარსეთის და ოსმალეთის მხრიდან გარდაუვალ აგრესიასა და სრულ გადაშენებას". ამ აზრს იზიარებდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიაც. თუმცა, აღმოსავლეთმცოდნე რევაზ გაჩეჩილაძე ასეთ შეფასებას „რეალობის თავდაყირა დაყენების მცდელობას" უწოდებს. რადგანაც „სპარსეთს არ ესაჭიროებოდა საქართველოში ლაშქრობა, თუკი შაჰის ნორმალური ვასალი (სპარსეთისათვის ის ერეკლე ხანი იყო) არ განუდგებოდა მას. არც ოსმალეთი გეგმავდა აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობას, რაც სპარსეთთან ომის დაწყების ტოლფასი იყო. ქართლ-კახეთისათვის ბევრად უფრო სახიფათო დაღესტნელი მოთარეშეების... ყაჩაღური თავდასხმების აღსაკვეთად რუსის ჯარი ერეკლე II-ს არც დახმარებია". (64).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს (1918–1921) ნლებში, სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთდამოკიდებულება იმდენად დაიძაბა, რომ სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ, ქვემო ქართლის მიწების ხელში ჩასაგდებად, საქართველოს წინააღმდეგ 1918 ნლის 9 დეკემბერს ომიც-კი ნამოიწყო. მაგრამ, მათ მიერ დაწყებული ომი მარცხით დამთავრდა და რომ არა დიდი ბრიტანეთის ჩარევა ამ ომში, ქართული საჯარისო ნანილები, გ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ერევანსაც-კი აიღებდნენ. მათივე შემწეობით, ძირძველი ქვემო ქართლის ლორე-ტაშირის მხარე, ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. მალე, 1920 ნლის ნოემბერში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო მისი დაბრუნება.

როგორც ცნობილია, 1921 ნლის (11–12) თებერვალს ბოლშევიკებმა ააჯანყეს ბორჩალოს მაზრის სოფლებსა და ლორე-ტაშირში ჩასახლებული სომხები და რუსები. ამ აჯანყებას, საბჭოთა წყობილების დროს უნოდებდნენ „მშრომელთა აჯანყებას". და აჯნყებულთა დაცვის მიზნით და მათივე მოთხოვნით, ბოლშევიკთა XI წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა და საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა გახდა. (იხ. ზემოთ).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბოლშევიკთა ღალატის გამო, საქართველომ დაკარგა, საუკუნეების განმავლობაში შემორჩენილი კუთვნილი მიწები. მათ შორის: სომხეთის სსრ-ს „ძმურად" გადაეცა ლორე-ტაშირის მხარე (ყოფილი ვორონცოვ-ლორეს მხარე). 2 367 კვ. კილომეტრი 37 800 სული მოსახლეობით.

1921 ნლის (25–26) ივნისს თბილისში ჩატარებულ საზღვრების დამდგენი კომისიის სხდომაზე, განიხილებოდა სომხეთის სსრ-ის წარმომადგენლების მოთხოვნა, მათთვის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მიწების გადაცემის შესახებ. კომისიის თავმჯდომარე ს. კიროვიც კი წინააღმდეგი იყო სომხეთისათვის მიწების გადაცემაზე, რომელიც ასახულია საოქმო ჩანაწერებში: „ამხანაგ კიროვსაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური მოსაზრებით ამჟამად კრინტიც კი არ უნდა დავძრათ ტერიტორიების ჩამოჭრაზე, რის გამოც ახალქალაქის მაზრის საკითხი სომხეთის დელეგაციის ამ წინადადებაში სრულიად იხსნება". (38, გვ.21). ამის შემდეგ განიხილებოდა ლორე-ტაშირის საკითხი. შეუთანხმლობის გამო, საზღვრების საკითხები განსახილველად გადაეგზავნა რკ(ბ) კავბიუროს. საბოლოოდ, სტალინის მონაწილეობით ჩატარებულმა კავბიურომ, ლორე-ტაშირის ნეიტრალური ზონა გადასცა სომხეთის სსრ-ს. ამის შემდეგ, ბოლშევიკებმა კიდევ „მოძმე" სომხეთის სსრ-ს გადასცეს ლოკ-ლალვარის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი.

1.2. ბამბაკი.

ბამბაკი წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს და ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ თემს, რომელიც მოიცავდა მდ. დებედის სათავის მთიან ხეობას. ადრინდელ წყაროებში მოხსენებულია როგორც **გოგარენი** და **გუგარქი** (სომხურ წყაროებში). ძვ. ნ. II ს-ში, როგორც ქართლის განაპირა და სომხეთის მოსაზღვრე მხარე, დაეუფლა სომხეთის სამეფო. მალე ისევ ქართლის სამეფოს საზღვრებში მოექცა. ბამბაკი არაერთხელ ექცეოდა ამ ორ სახელმწიფოს საზღვრებში. V საუკუნეში ბამბაკი ვახტანგ გორგასალმა შემოიერთა. ისტორიულ წყაროებში, სხვადასხვა დროს, ბამბაკის სახელწოდებით იხსენიებდნენ ქვემო ქართლსაც.

IX საუკუნეში ბამბაკი მოექცა, ქვემო ქართლში ჩამოყალიბებულ ანისის სამეფოში, ხოლო შემდეგ, X საუკუნის მეორე ნახევარში, ტაშირ-ძორაკეტის სამეფოს შემადგენლობაში. ბამბაკის მხარე, XI საუკუნიდან ისევ საქართველოს დაუბრუნდა. XVII საუკუნის დასაწყისიდან, ბამბაკი მოექცა შაჰ აბას I-ის მიერ ჩამოყალიბებულ ბორჩალოს სახანოში.

XVII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში ცალკე ბამბაკის სამოურავო ჩამოყალიბდა, რომელსაც მართავდა ქართლ-კახეთის მეფის მიერ დანიშნული მოურავი.

ცნობილია, რომ ირანის სარდალი ა ზ ა ტ - ხ ა ნ ი (გ. დაახლ. 1762), როდესაც 1751 წელს ქართლ-კახეთის მოხარკე ერევნის სახანოს თავს დაესხა, ერევნის ხანმა დახმარება სთხოვა ერეკლე II-ეს. ქართველთა ჯარი ბამბაკში შევიდა. მაგრამ სიმცირის გამო მტერს ვერ შეებრძოლა. მალე ერეკლე II გამოჩნდა და შეერთებული ლაშქრით ყარაბულახთან (ერევანთან) აზატ-ხანი დაამარცხა. გადმოცემით, ქართველთა ლაშქარი 4 000 ყოფილა, ხოლო ზატ-ხანისა – 18 000. ერეკლე II-ემ ირანელები ერევნის სახანოდან განდევნა.

ცნობილია, რომ 1795 წელს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი კავკასიისკენ გამოემართა სომხები სხვადასხვა ადგილებიდან საქართველოსკენ გამოიქცნენ და ბამბაკის ხეობაში იხიზნებოდნენ.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ბამბაკი თბილისის გუბერნიის ლორეს მაზრაში გაერთიანდა. ხოლო XIX საუკუნის II ნახევარში ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრაში მოექცა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკებმა, როგორც სხვა ქართული მიწები, ბამბაკიც სომხებს უწყალობეს და დღევანდელ დღესაც მათ ეკუთვნით.

1.3. ლორე

ლორე (ლორი) – საქართველოს ძირძველი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, წარმოადგენდა ქვემო ქართლის განაპირა ოლქს. დღევანდელ დღეს, სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთი მხარეა (სომხეთის სსრ-ის დროს, წარმოადგენდა სტეფანავანისა და კალინინის რაიონების მიწა-წყალს), მთავარი ქალაქია **ვანამორი**.

წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოს მესვეურები გამუდმებით ცდილობდნენ დაეცვათ ლორე და მისი მხარე მტრებისაგან.

XI საუკუნეში, ლორე დააარსა ტაშირ-ძორაგეტის მმართველმა, კვირიკე II-ემ, რომელმაც სამეფოს მთავარი ქალაქი **სამშვილდე**, 1065 ნლიდან, ლორეში გადმოიტანა. ამის შემდეგ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს, ხშირად, წყაროებში, უწოდებდნენ **ლორე-ტაშირის სამეფოს**.

„ქალაქის ნანგრევები შემორჩენილია ქ. სტეფანავანის ახლოს.... მდებარეობდა მაღალ სამკუთხა პლატოზე. ორი მხრით ხეობები იცავდა, მესამე მხრით – ციხესიმაგრეთა კედლების სისტემა“. (10, ტ.6, გვ.292). ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „სომხითის მთებს ეკუთვნოდა ტაშირი და ლორი“. (2, ტ.II, გვ.20).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლის სამხრეთში მდებარე ლორე-ტაშირის მიწა-წყალი, წარმოადგენდა საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო მხარეს.

„ცხოვრებაᲘ მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს გადმოცემით, ლორე დაუპყრია მეფე ბაგრატ IV-ეს, ხოლო შემდგომ ლორე აუღია მეფე დავით IV აღმაშენებელს. 1118 წელს, როდესაც ჯავახეთს

შემოესია თურქები, დავითი „დაესხა თურქთა, რაჴსის პირსა მდგომთა, მოსრა სიმრავლე მათი და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხუ.

ამასვე წელსა აღიღო სომხითს ციხე-ქალაქი ლორი და მაშინვე იელისსა აღიხუნა აგარანი მეორესა დღესა ცისკარს. რამეთუ პირველცა ესე ციხე აელო ბაგრატს, პაპსა მისსა, გარნა სამ თუე ბრძოლითა". (5, გვ.317).

დავით აღმაშენებელის შემდეგ, წყაროებიდან ჩანს, რომ (1156–1184) საქართველოს მეფე გ ი ო რ გ ი III-ემ (გ. 1184) გაილაშქრა სომხეთის მინა-წყალზე წარმოშობილ ხლათის სასულთნოსა და სხვა მაჰმადიანი მმართველების წინააღმდეგ და მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, საბოლოოდ გამარჯვება გიორგი III-ეს დარჩა. ასე, რომ გიორგი III-ემ განაგრძო დავით IV აღმაშენებლის მიერ დაწყებული საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერება.

ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „იმ დროს როდესაც გიორგი მეფე თავის ძლევამოსილებით მეზობლებშიც კი სახელი გაითქვა, შიში და პატივისცემა დაიმსახურა, თვით საქართველოში მას საშინელს განსაცდელს უმზადებდნენ". (2, ტ.II, გვ.239). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ მოეწყო დიდგვაროვანი ფეოდალების აჯანყება, დავით V-ის სიმამრის ივანე ორბელის ხელმძღვანელობით.

აჯანყებულები ლორის ციხეში გამაგრდნენ. ამის შემდეგ თავად გიორგი მეფე „აღვიდა და მოადგა ლორესა" და დავითმა „აიღო ლორე და დაიჭირა თჳსისათჳს." (5, გვ.395). ამის შემდეგ მეფემ დარბაზის გადაწყვეტილებით აჯანყებულები მკაცრად დასაჯა.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ გიორგი III-ემ ერთგული სამსახურისათვის, სპასალარ ყუბასარს, აჯანყებულთათვის ჩამორთმეული მამულების ნაწილი, ივანე ორბელის ნაქონი ქალაქი ლორე გადასცა. წყაროებიდან ცნობილია, რომ 1175 წელს სულთანი არსლან II მაჰმუდის ძე შაჰი თავს დაესხა საქართველოს, მოაოხრა ლორე-დმანისი და გაბრუნდა უკან. (9, ტ.III, გვ.273).

ყუბასარის გარდაცვალების შემდეგ, როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გადმოგვცემს, თამარ მეფემ „განაჩინა ამირსპასალარად სარგის მჴარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა, და უბოძა ლორე, სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა". (5, გვ.407). სარგისის გარდაცვალების შემდეგ, 1187 წელს, თამარ მეფემ „უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირსპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მხარგრძელისა" (5, გვ.408) და რა თქმა უნდა ლორეც მის მფლობელობაში იქნებოდა. ხოლო გამრეკელის გარდაცვალების შემდგომ, ამირსპასალარობა გადაეცა ზ ა ქ ა რ ი ა II მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ს (გ. 212). „და ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგჳსაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჳდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა. მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა". (5, გვ.427). ცნობილია, რომ ზაქარია II მხარგრძელი სარწმუნეობის მხრივ „იყო ერთადერთი მონოფიზიტი მხარგრძელი ამ პერიოდში.... ზაქარია ცდილობდა ზოგიერთი ცვლილების შეტანას სომხურ სარწმუნეობაში, რათა დაეახლოვებინა ის ქართულ სარწმუნეობასთან. ამ მიზნით მხარგრძელის ინიციატივით მოწვეულ იქნა ლორისა (1205) და ანისის (1207) საეკლესიო კრებები". (10, ტ.7, გვ.271). „1186-იდან ლორეს მხარგრძელთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა და საქართველოს სანაპირო საერისთავოს ცენტრი იყო. მხარგრძელთა მმართველობის დროს ქალაქი აყვავდა; აშენდა სასახლეები, ეკლესიები, ხიდები". (10, ტ.6, გვ.292).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, XIII საუკუნიდან დაწყებული საქართველოს მდგომარეობა, მონღოლთა შემოსევების გამო, თანდათან გაუარესდა და საბოლოოდ სამთავროებად დაიშალა. წყაროებიდან ცნობილია, რომ (1225–1230) წლებში, საქართველოს თავს დაატყდა ახალი უბედურება, მონღოლებისაგან ლტოლვილი ხვარაზმ შაჰი (1220–1231) ჯ ა ლ ა ლ ე დ ი ნ ი (გ. 1231) მოადგა საქართველოს და როგორც „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს სულტანმა აოხრა ადარბადაგანი და ნახჭევანი და ამის შემდეგ დაბანაკდა მუღანში.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ იქედან ჯალალედინმა „თავისი ლაშქრის ერთი ნილითურთ საქართველოში გამოისტუმრა. ხვარზმშაჰის მარბიელი ჯარი ლორეს მოადგა, აოხრა მთელი სანახები

და დავლა ჩაიგდო ხელში. ნატყვენავით დატვირთულმა ხვარაზმელთა ლაშქარმა გასათენებლად ერთს ტბასთან დაიბანაკა.... ქართველები მათ თვალყურს ადევნებდნენ და ტბის დასავლეთ ნაპირას დაბანაკებულს რაზმს ღამიანად უეცრად თავს დაესხნენ, ზოგი ამოხოცეს, ზოგი კიდევ ტყვედ ნაიყვანეს". (2, ტ.III, გვ.70). ამით განრისხებული ხვარაზმ-შაჰი საქართველოსაკენ გამოემართა და „ძლევამოსილი ჯალალედინი მაშინვე ც. ლორეს მისდგომია, იქვე დაუბანაკნია და ლორელებისათვის მუქარა შეუთვლია: მისამარ, ის ტყვეები განათავისუფლეთ, რომელნიც თქვენ ტბასთან ჩემს ჯარზე ღამე თავს დასხმის დროს წაასხით, თურემ თქვენს ციხეს ალყას შემოვარტყამო. ლორელებმა ჯალალედინის თხოვნისაებრ ყველა ხვარეზმელი ტყვეები გაანთავისუფლეს". (2, ტ.III, გვ.73).

ჯალალედინის შემდეგ, საქართველო მონღოლების სათარეშო მოედნად გადაიქცა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფე რუსუდანმა მონღოლების მოახლოებისას თბილისი მიატოვა და ქუთაისში გაიხიზნა. „მონღოლთა ლაშქარის მეთაური ჩაღატა ნოინი თავის რაზმითურთ ქალაქ ლორისაკენ გაემგზავრა. ციხე-ქალაქი ლორე როგორც ვიცით „სათავადო და სამთავრო" საქართველოს სამეფოს ამირსპასალარების საჯდომად ითვლებოდა და ჩვეულებრივ მათ ჰქონდათ ხოლმე საჭელოდ.... ამ მეორე შემოსევის დროს... შანშეს ჰქონია ხელთა, იქ ყოფილა მისი სადგომი და საჭურჭლეც.....

შანშე მხარგრძელმა მონღოლთა მოახლოებისთანავე ლორეს თავი მიანება. თავის სახლობითურთ იდუმალ გაიხიზნა და თავი ერთს ხეობაში, გამოქვაბულში შეაფარა. ლორის მტრისაგან დაცვა კი თავის სიმამრის სახლობას მიანდო.

ჩაღატა ნოინი ლორეს მიადგა და გარშემოერტყა. შანშეს მიერ დანიშნული ციხის მცველნი, ზღუდის სიმაგრეზე მინდობილნი, უდარდელად იყვნენ და სმა-ჭამისა და სიამოვნებაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ციხის მაგრებაზე. მონღოლებმა ჯერ ერთგან ციხის კედელი შესთხარეს და ჩამოანგრიეს, მაგრამ შიგ მაინც არ შეიჭრნენ, არამედ იმ ადგილს უდარაჯებდნენ, რომ ლორითგან არავინ გაქცეულიყო. რაკი ლორელები დარწმუნდნენ, რომ ქალაქი უმწეო მდგომარეობაში იყო და თითქმის უკვე მტერს ხელში ჩაუვარდა, იქვე ხევში ჩაცვივდნენ. ეს რომ მონღოლებმა დაინახეს, ქალაქში შეიჭრნენ და ჩვეულებისაებრ მცხოვრებთაგან ბევრი, მათ შორის შანშეს ცოლის მშობლები და ნათესავებიც, დახოცეს. ამასთანავე მთელი ლორე აიკლეს და გაძარცვეს. სხვათა შორის მონღოლებმა შანშეს საჭურჭლეც ხელში ჩაიგდეს.

ლორეს რომ მორჩნენ, მონღოლებმა ეხლა დმანისისაკენ გაილაშქრეს". (2, ტ.III, გვ.96). ლორეს შესახებ ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოს სამხრეთი საზღვარი, ბუნებრივი პიროებების წყალობით, საკმაოდ არის გამაგრებული ფამბაკის ქედით. შემდეგ მდებარეობს მაღალი მთიანი ლორე ციხითურთ. ლორის ციხე, იმ უაღრესი მნიშვნელობის გამო, რომელიც ამ ციხე-ქალაქს საქართველოს თავდაცვისათვის ჰქონდა, ამირსპასალარის საჯდომი იყო.

იმ ხანაში ლორის ციხე მანდატურთ-უხუცესის შანშეს ხელში იყო. შ ა ნ შ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი ც ისეთსავე უმოქმედობას და დაბნეულობას იჩენდა, როგორც დანარჩენი მმართველები. თვითონ ამ ციხის დაცვაზე არ უზრუნვია და ეს უაღრესად პასუხსაგები ამოცანა მხოლოდ თავის სიმამრს მიანდო" და სწორედ, შანშე მხარგრძელის „დაბნეულობისა" და „უმოქმედობის" გამო, ამ „უაღრესად პასუხსსაგები" ციხე-ქალაქი, „მონღოლებმა ამ ძლიერი ციხის ხელში ჩაგდება მოახერხეს". (2, ტ.III, გვ.330).

საქართველოს ხელისუფლებისა და მთავართა მმართველთა მიერ, უპატრონოდ მიტოვებული ლიხსაქეთ საქართველოს, ცალ-ცალკე დაქსაქასული და განცალკევებული სათავადოები და მხარეები, მიუხედავად მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობისა, მონღოლებმა დაიპყრეს და მათ ხელში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრენი და ქალაქები: **თბილისი, დმანისი, ლორე, სამშვილდე, კაენი, ანისი, ხაჩენი, სივნიეთი, ჰერეთის ციხე-ქალაქები** და სხვ. წყაროებიდან ჩანს, რომ მიუხედავად მონღოლთა შემოსევებისა და აოხრებისა, საქართველოს მესვეურები და მეფეები დროდადრო მაინც ახერხებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას. ცნობილია, რომ საქართველოს მეფე (1360–1393) ბ ა გ რ ა ტ V-ის (გ. 1393) დროს, სანამ საქართველოს შემოესეოდა შაუაზიელი მხედართმთავარი თემურლენგი, საქართველოს საზღვრებში შედიოდა ანისი და ლორეც. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს, რომ: „ესე მეფე ბაგრატ იყო მორჭმული სახელოვანი. ამასა ჰქონდა ქართლი,

სომხითი, და ჰმონებდნენ პატიახშნი ლორის, კახეთისა, შირვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიულნი კავკასიანნი". (6, ტ.II, გვ.342).

თემურლენგმა (1386–1403) წლებში, რვაჯერ დალაშქრა საქართველო. მან ამ შემოსევების შედეგად თითქმის მთელი საქართველო იავარყო. (1386–1387) წლებში „თემურ-ლენგის ჯარი საქართველოში შემოიჭრა და დაიწყო ქვემო ქართლის საშინელი გავერანება, მისმა ჯარმა „დაფარა ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ჴევნი, და ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანა....

ცხარე ბრძოლებით დაიპყრეს თემურლენგის ჯარებმა ქვემო ქართლის ციხეები და გამაგრებული ადგილები. სპარსელ ისტორიკოსებს დასახელებული აქვთ 15 ციხე. დაპყრობილ ციხეთა შორის იყო ლორეს ძლიერი ციხესიმაგრეც. მხოლოდ ბირთვისის ციხე გადაურჩა დამპყრობელთა რისხვას თავისი მიუვალობის მეოხებით, რომლის წინააღმდეგ თემურ-ლენგის ჯარმა ვერა გაანყორა". (9, ტ.III, გვ.695). თემურლენგის შემოჭრის დროს, ტაშირ-ლორეს მიდამოებში დაიწყეს თათარ-თურქმანთა ტომებმა ჩასახლება და დამკვიდრება და თითქმის 50 წელინადი ეკავათ ეს ადგილები. ი. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის" IV ტომის შესავალში აღნიშნავს, რომ:

„თემურ-ლენგის შემოსევის შემდგომ საქართველო გამანადგურებელი მინისძვრისა და ბორბალ-ქარისაგან დაზიანებულს ქვეყანას მიაგავდა. ჩვენს ერს და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი მას არასდროს თავს არ დასტყდომია....

მგონი შეცდომა არ უნდა იყოს, თუ ვიტყვით, რომ საქართველოზედაც თემურ-ლენგის შემოსევა-განადგურებამ წარუხოცელი კვალი დასტოვა: წინანდებურად ჩვენმა ერმა და ქვეყანამ აღორძინება ვეღარ შესძლო და მრავალი მაშინ გაოხრებული სოფელი სამუდამოდ უკაცრიელი დარჩა. მაგრამ თემურ-ლენგის უკან გაბრუნების უმალ საქართველოში მაინც განადგურებული ქვეყნის აღსადგენად მუშაობა გაჩაღდა, რომელიც ჯერ კერძო თაოსნობით, შემდეგ კი ფართოდ და თვით სახელმწიფოს მიერ იყო წამონყებული. ამ საქართველოს განახლებისათვის დიადს მუშაობას სათავეში მეფე ალექსანდრე I ჩაუდგა". (2, ტ.IV, გვ.14).

1412 წელს საქართველოს მეფე გახდა ალექსანდრე I. მის შესახებ „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი" მოგვითხრობს:

„ქორონიკონსა რ"ით: მეფემან ალექსანდრე ლორე აიღო, და კუალად ინება აღშენება ყოველთა საქართველოს ციხეთა და საყდართა. აღაშენა და განავრცა. (6, ტ.II, გვ.474).

ჯავახიშვილი წერს, რომ ალექსანდრე I დიდად წოდებული, გამეფებისთანავე საქართველოს საზღვრებიდან „ურჯულოების" განდევნას შეუდგა. „და ამის წყალობით მის მეფობაში მშვიდობა და მყუდროება დამყარდა....

ის თავის თავს სრულებით სამართლიანად „აფხაზთა და ქართველთა მეფეთ-მეფეს" უწოდებდა. მაგრამ სინამდვილეში „ალექსანდრე პირველის დროინდელი სრულიად საქართველო, იმასთან შედარებითაც, რაც ბაგრატ დიდის დროს იყო, უკვე გაცილებით ჩამომცრობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა". საქართველოს საზღვრებში აღარ შედიოდა „ძველი გ ა ჩ ი ა ნ ი, ანუ მერმინდელი ხაჩენი", ანისი და „საქართველოს დაცვის თვალსაზრისით ისეთი აუცილებელი ციხე-ქალაქიც-კი, როგორიც ლ ო რ ე ა, მტერს ჰქონდა ხელში ჩაგდებული". „მხოლოდ 20 წლის მეფობის შემდეგ, 1431 წელს, ალექსანდრე მეფემ, ხანგრძლივი სამზადისის შემდგომ, ამ ლაშქრობის დაწყება გაბედა და ლორის ველი კვლავ საქართველოს შემოუერთა. რასაკვირველია, ამ გამარჯვებას საქართველოსათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ისევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც...

1431 წელს ლორის ველის საქართველოსთან შემოერთების შემდგომ, საქართველომ თავისი საზღვრის ბუნებრივ ზღუდეს მიაღწია". (2, ტ.III, გვ.426–427).

ლორის აღების შემდეგ, ალექსანდრეს შემოუერთებია **სივნიეთიც** (ახლანდელი ყარა-ბაღის მხარე). სივნიეთისა და ლორის შემოერთებაში დიდი წვლილი მიუძღოდა ბეშქენ ორბელიანს და ამიტომაც მეფემ მას ლორის ციხე უნყალობა. მაგრამ, მის შემდეგ, გიორგი VIII-ის დროს საქართველო (1461–1462) წლებში დაულაშქრავს (1453–1476) აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს გამგებ-

ელს უზუნ-ჰასანს (ჰასან-ბეგი) (დაახლ. 1423–1478). ვენეციელი მოგზაურისა და დიპლომატის ამბროჯო კონტარინის (გ. 1489) გადმოცემით „1473–1474 წელს... უზუნ-ჰასანს სომხითი სჭერია და ლორის ციხე და ველიც სპარსეთის საბრძანებელს ჰკუთვნებია.... ამ დროითგან მოყოლებული ლორის ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩაუყენებია“. (2, ტ.IV, გვ.84).

წყაროთა მონაცემებით, ბაგრატ VI-ის მეფობისას უზუნ-ჰასანს ორჯერ (1473–1477) დაულაშქრავს საქართველო. სამხრეთ საქართველო აუოხრებია და თბილისიც დაუპყრია.

როგორც ძევით ავღნიშნეთ ჯავახიშვილი ბაგრატ VI-ეს ახასიათებს, როგორც „უგნურ პოლიტიკოსს“, რომელიც ამჟღავნებდა „პოლიტიკურ სიბეცეს“. მისი თქმით;

„ბაგრატს არც გამბედაობა, არც საჭირო თაოსნობა არ აღმოაჩნდა, რომ მას შემდეგ მაინც, რაც მტერი შემოესია, ძალა მოეკრიფა და უზუნ-ჰასანის ლაშქრისათვის სადმე წინააღმდეგობა გაეწია. პირიქით, ბაგრატს მალე სურვილი აღეძრა უზუნ-ჰასანს დაზავებოდა“. დაზავებაც არ შესდგა და „უზუნ-ჰასანმა მაშინვე განაახლა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და ქართლიდან დასავლეთ საქართველოში-კი არ გადავიდა, არამედ მოქმედების ასპარეზად სამცხე აქცია“. (2, ტ.III, გვ.450). საბოლოოდ დაზავება შედგა. საქართველოს უნდა გადაეხადა ყოველწლიური ხარკი და 16 000 დუკატი. „უზუნ-ჰასანი ამის შემდგომ საქართველოს საზღვრებიდან გავიდა, მაგრამ ლორის ველი მაინც წინანდებურად თავისად დაიჭირა, არც თბილისი დასცალა, 6 ათასი ტყვე წაიყვანა საქართველოდან“. (2, ტ.III, გვ.450).

„ბაგრატ VI-ის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი ლოქის მთის გასწვრივ იყო, ლორის ველი და მთელი მთიანეთი-კი უზუნ-ჰასანს ეჭირა, ე. ი. ერანის მფლობელის ხელში იყო. მას ლორის ციხეში თავისი თურქი მეციხოვნენი ჰყავდა, რომელნიც ამგვარად ამ ძლიერ ციხეს ქართველთა შესაძლებელი თავდასხმისაგან იცავდნენ. ამრიგად, ქვეყნის დასაცავად ესოდენ მნიშვნელოვანი ციხე საქართველოს დაკარგული ჰქონდა“. (2, ტ.III, გვ.446). წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს მეფის (1478–1505) კონსტანტინე II-ის დროსაც ლორეს ციხეში და ლორეს მიდამოებში ისევ თურქმანები იმყოფებოდნენ და თანდათან უფრო მეტად მკვიდრდებოდნენ. ხოლო, კონსტანტინე II-ის შემდეგ, ქართლის მეფეს დავით X-ის დროს ლორე საქართველოს საზღვრებში იმყოფებოდა. ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, რომ: „ხოლო ძესა კონსტანტინესასა, მეფესა დავითს ეპყრა... კარის სოფლის აქათი ერევნის საზღვრამდის, ჩამოყოლით ბანბაკი და ლორე, ვიდრე ყაზახის საზღვრამდე, ეპყრა მეფესა ქართლისასა“. (6, ტ.II, გვ.349).

წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართლის მეფეს (1527–1556) ლუარსაბ I-ეს (გ. 1556), გამეფებისთანავე მოუწია ყიზილბაშებთან შერკინება. მის დროს, საქართველოს ოთხჯერ (1541, 1547, 1551, 1554) შემოესია ირანის შაჰი (1524–1576) შაჰ თამაზ I (1513–1576). შაჰ თამაზი 1551 წელს საქართველოს შემოესია, ირანის მომხრე სამცხის საათაბაგოს ათაბაგის (1522–1573) ქაიხოსრო II-ის თხოვნით. ყიზილბაშებმა სამცხე და ქართლი აიკლეს. ამ დროს განადგურდა მესხეთის განთქმული ძეგლი ციხე-სიმაგრე ვარძია, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ქართველები. დიდი მსხვერპლის ფასად შეძლეს ყიზილბაშებმა მისი აღება. შაჰ-თამაზმა ქაიხოსროს თხოვნით, მისივე თვალწინ, მის მოწინააღმდეგე თავადებს თავები დააყრევინა. სამცხე საათაბაგო, ლორე და ბამბაკიც მას უწყალობა.

1554 წელს ოსმალეთის სულთანმა (1520–1566) სულეიმან I კანუნმა (სულეიმან კანონმდებელი) (1495–1566) ომი გამოუცხადა შაჰ-თამაზს. „ომი სწარმოებდა ნახჭავანის, ერევანის, ყარაბაღისა [და] შურაგულის [მიდამოებში], სადაც ქვეყანა აოხრდა... შაჰი ლორის მთებში იყო შეხიზნული, სადაც გარშემო ყველაფერი ცეცხლითა და მახვილით იყო განადგურებული. სულთანმა უკან დახევა გადასწყვიტა“. (2, ტ.IV, გვ.251).

ირანსა და ოსმალეთს შორის ბრძოლები მიმდინარეობდა კავკასიის ხელში ჩასაგდებად. 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე (ჯავახეთის ქედის სამხრეთი მხარე. დღევანდელ დღეს თურქეთში ნიალისყური) გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალეთსა და ყიზილბაშებს შორის. რომელიც ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ირანელებთან ერთად ქართველებიც. გამარჯვებულ ოსმალებს, სამცხის საათაბაგოს გამგებელმა (1581–1614) მანუჩარ II ჯაყელმა (შემდგომში მუსტაფა ფაშა. გ. 1614) სამცხის საათაბაგოს ციხე-სიმაგრენი ჩააბარა. ოსმალებმა ახალციხის მხარე და თბილისიც დაიპყრეს. ახალციხის საფაშო სანჯანყებად

დაჰყვეს. ოსმალები ლიხსიქეთ საქართველოში მოსახლეობის მხრივ დიდ წინააღმდეგობას ნააწყდნენ. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა როდესაც ირანის შაჰმა (1576– 1578) ისმაილ II-ემ (1533–1577), 1578 წელს ქართლის მეფედ სიმონ ლუარსაბის ძე დაამტკიცა და საქართველოში გამოგზავნა. ჩამოსვლითანავე ქართლის მეფემ (1556–69, 1578–1599) სიმონ I-მა (1537–1611) პარტიზანული ბრძოლები გაუმართა ოსმალებს. ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, რომ:

„სკმონ მოვიდა ქართლსა, ქრისტეს აქათ ჩ˜ფოთ, და აიღო ციხე გორისა და დაიჭირა ქართლი და სომხითი, და ბარათაშვილო, და ლორე და ყოველნი სიმაგრენი, თუნიერ ციხეს გარდა". (6, ტ.II, გვ.372). თბილისის ციხეში იმყოფებოდნენ ოსმალები. წყაროე-ბიდან ჩანს, რომ სიმონს მცირე ხნით მოუხერხებია თბილისისა და სამშვილდის ციხეების დაკავებაც.

1583 წელს სიმონ I-მა „კუალად შეჰყარა სპა თუსი და წარიმართა ლორესა ზედა. რა მივიდა, გამოვიდა ფაშა მუნებური და ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ღუთით გაემარჯუა სკმონს, და მოსწყდა ურუმი მრავალი, კაცი ოთხას სამეოცდაცამეტი, ქრისტეს აქათ ჩ˜ფპვ. და აღიღო ქუაბები ლორისა. დაიპყრა ლორე, და ციხე მათვე ურუმთ ეჭირა.

და გამოვიდა ხანი, მცირედთა ჟამთა შეისუენა და კუალად შეიყარა და წარმოვიდა და მოადგა ციხესა ლორისასა, დაუწყო ბრძოლა და აღიღო ციხე ლორისა აპრილსა ერთსა, და დაიპყრა ლორე და გამობრუნდა მუნითგან, დადგა სახლად თუსად" (6, ტ.II, გვ.373).

ამის შემდეგ, სიმონმა აიღო „ციხე ტფილისისა და ქალაქი დაიპყრა თუთან და მოსრა ყოველივე, რაოდენიცა იყვნეს ციხესა ტფილისისასა ურუმნი". (6, ტ.II, გვ.374).

ძალაუფლების აღსადგენად და თბილისის დასაბრუნებლად, 1583 წლის 14 ივლისს სულთანმა მურად III-ემ (1574–1595) ფერჰარდ-ფაშას სარდლობით დიდძალი ჯარი გამოგზავნა. ოსმალებმა ლორე და დმანისი ხელახლა დაიპყრეს. მაგრამ, ზამთრის სიცივისა, უსურსათობისა და სიმონ მეფისა და მანუჩარ II ჯაყელის გამუდმებული თავდასხმების გამო, ოსმალთა ლაშქარი მძიმე დღეში ჩავარდა და ფერჰარდ-ფაშა იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა. სიმონმა „მოსრნა ყოველნივე დმანისს მყოფნი ურუმნი, და დაიპყრნა ყოველნივე გარემონი. და განასხნა ყოველნივე ურუმნი საქართველოსაგან და თუთ დაიპყრა, თუნიერ გორისა და ლორის მეტი". (6, ტ.II, გვ.375).

ცნობილია, რომ სიმონი შეეცადა იმერეთში თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა, მაგრამ, ზოგი თავადთა ღალატის გამო დამარცხდა და ისევ ქართლში გადავიდა.

ამის შემდეგ, ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, სიმონ I-ეს ხელახლა აუღია ლორის ციხე.

სიმონ I-ის შემდეგ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძო ქართლის მეფემ (1600–1606) გიორგი X-ემ (1560/65–1606) სიმონის ძემ. როგორც ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, მეფობის დასაწყისში მან შეძლო ლორის ციხის აღება. 1603 წელს ირანის შაჰმა აბას I-მა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. სალმასის ოლქში სოფ. სუფიასთან ოსმალები დამარცხდნენ. ამის შემდეგ, აბას I-მა ალყაში მოაქცია ერევნის ციხე, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ოსმალები. შაჰმა მოიხმო კახეთის და ქართლის მეფეები. ერთობლივი მოქმედებით 1604 წელს ერევანი აიღეს.

„შაჰ აბასმა ერევნის ომში მონაწილეობისათვის „უხვად" დააჯილდოვა ქართველი მეფეები. გიორგი მეფეს მან ირანში სოფლები (ფუშთუქუნი, გილიანი, ლაჰიჯანი) უბოძა და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. ეს იყო ქართველი მეფის ირანის მოხელედ გადაქცევის ცდა. სამაგიეროდ, შაჰ აბასმა გიორგი მეფეს ლორის პროვინცია და მდ. დებედას ხეობა გამოსთხოვა. ლორეს პროვინციისაგან მან სახანო შექმნა, რომლის ხანად ადგილობრივი გამუსლიმანებული ფეოდალი დანიშნა. დებედას ხეობაში კი თურქმანული ტომი „ბორჩალუ" ჩამოასახლა და აღჯაყალის ირანულ ციხისთავს დაუმორჩილა. ამით შაჰმა ქართლს სამხრეთის კედელი მოურღვია და მის თავდაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ქართველები საუკუნეთა მანძილზე თავგამოდებით იცავდნენ ამ მნიშვნელოვან ზღუდეს. შაჰ აბასმა კი „მშვიდობიანად" ჩაიგდო ხელში სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის მხარე და ქართლის კედელი მის საწინააღმდეგო პლაცდარმად აქცია". (2, ტ.IV, გვ.247). ამ მხარეს შემდგომში **ბორჩალოს** სახელი ეწოდა.

ირანის შაჰის (1730–1747) ნადირ-შაჰ ავშარის (1688–1747) სიკვდილის შემდეგ ირანში არეულობა დაიწყო. ამით ისარგებლა ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-ემ და ლორეს მმართველები მიიმხრო და ამის შემდეგ, მის ჯარში ლორელებიც მონაწილეობას ღებულობდნენ.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველოში შემოიღო რუსული მმართველობა ე. წ. „საქართველოს მმართველობა", რომლის მმართველი იყო კავკასიის მთავარსარდალი. 1801 წელს ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ერთეული ლორის მაზრა, რომლის მთავარი ქალაქი იყო თბილისი. 1802 წელს ქართლ-კახეთი დაიყო: **გორის, ლორის, დუშეთის, თელავის** და **სიღნაღის მაზრებად**. 1804 წელს ლორის მაზრას ეწოდა თბილისის მაზრა.

როდესაც რუსეთის იმპერიაში შემავალმა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმა: აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა თავი დააღწიეს რუსეთის კოლონიურ წყობილებას და თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ, მოულოდნელად საქართველოს რესპუბლიკის წინაშე დღის წესრიგში დადგა ლორე-ბორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის საკითხი, რომლებიც სომხეთის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობა მიკუთვნებას ცდილობდა. მანამდე, როგორც ცნობილია, 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში გაიმართა სამშვიდობო კონფერენცია, სადაც მონაწილეობდნენ ოსმალეთი და ტრანსკავკასიის (ამიერკავკასიის სეიმი) წარმომადგენლები. შემდგომი შეხვედრების დროს მოლაპარაკებები გაგრძელდა და საბოლოოდ 24 მარტს, ოსმალეთის მოთხოვნათა მიუღებლობის გამო, საზავო მოლაპარაკებები ჩაიშალა. ამის გამო, ოსმალეთმა განაახლა ამიერკავკასიაში შეტევები და დაიკავა ლორეს მხარე და უკვე თბილისზედაც აპირებდა შეტევის დაწყებას. მაგრამ, ამავე ხანებში, 1918 წლის 26 მაისს, საქართველო რესპუბლიკად გამოცხადდა. ხოლო, 1918 წლის 28 მაისს ფოთში გერმანელებმა და საქართველომ ხელი მოაწერეს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ შეთანხმებას. ამით გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და გერმანიის მხრიდან მფარველობაც მიიღო. ქართველებმა, გერმანიის საჯარისო ნაწილების დახმარებით, თურქეთის შემოტევები შეაჩერეს. თურქეთი, I მსოფლიო ომში დამარცხების გამო, იძულებული გახდა, 1918 წლის 30 ოქტომბერს, კუნძულ ლემნოსზე, მუდროსის ნავსადგურში დიდ ბრიტანეთთან ხელი მოეწერა ზავზე. ხელმოწერილი ზავის თანახმად, ოსმალეთი იძულებული შეიქმნა, თავისი საჯარისო ნაწილები გაეყვანა ამიერკავკასიიდან და 1918 წლის 5 დეკემბერს ლორე და ახალქალაქი ისევ საქართველომ დაიკავა. 9 დეკემბერს-კი ომის გამოუცხადებლად, სომხეთის რესპუბლიკის დაშნაკურმა ხელისუფლებამ საქართველოს წინააღმდეგ ომი წამოიწყო.

12 დეკემბერს სომხეთის საჯარისო ნაწილი თავს დაესხა სოფ. სანაინში (დღევანდელ დღეს სომხეთს ეკუთვნის) მდგარ ქართულ სასაზღვრო ნაწილს და მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ ქართულმა ნაწილმა უკან დაიხია.

პირველ ხანებში, საქართველოს ჯარის მოუმზადებლობის გამო, სომხებმა წარმატებას მიაღწიეს. მათ ხელში აღმოჩნდა ლორის მხარე.

საქართველოს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ მოლაპარაკებაში, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში აზერბაიჯანსა და საქართველოს წარმომადგენლებს შორის სადაო საზღვრებთან დაკავშირებით, სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, არა ერთხელ მოინვიეს, მაგრამ ისინი არ ცხადდებოდნენ.

საქართველოს ხელისუფლებას ვერც-კი წარმოედგინათ, რომ სომხეთის დაშნაკები საქართველოს წინააღმდეგ დაიწყებდნენ ომს, მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის ოქტომბერშიც მოხდა შეტაკება, ბორჩალოს ლორის მაზრაში შემოჭრილი სომხეთის საჯარისო ნაწილსა და ქართულ სასაზღვრო ნაწილს შორის. ქართული ნაწილის წინააღმდეგობის შედეგად სომხებმა უკან დაიხიეს. მაშინ სომხეთის მთავრობამ ეს სასაზღვრო შეხლა-შემოხლა „დასანან გაუგებრად" მონათლეს და ქართულ მხარეს ბოდიშიც მოუხადეს.

18 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა და ჯარის ნაწილები, სახალხო გვარდია და მოხალისეთა რაზმები საბრძოლველად გაემართნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მოხალისეთა რაზმებში მონაწილეობა მიიღეს ბორჩალოს აზერბაიჯანელებმაც. მათ მიერ შექმნილი ასეული ქართულ ჯარის ნაწილებთან ერთად იბრძოდა. ქართული ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა ცნობილი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ქართველები შეტევაზე გადავიდნენ და მალე სომხურმა შენაერთებმა უკან დაიხიეს. 27 დეკემბერს შულავერთან დამარცხების შემდეგ, სოფ.

სადახლოსთან გამაგრდნენ. მაგრამ 31 დეკემბერს, მთელი დღის ბრძოლების შემდეგ, ქართულმა ჯარმა გაარღვია სომხეთის თავდაცვა და შეიჭრა სადახლოში. სომხეთის ჯარმა უკან დაიხია.

I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, კავკასიაში გერმანელები შეცვალეს ბრიტანელებმა, რომელთა მოთხოვნითა და შუამდგომლობით 1918 წლის 31 დეკემბერის შუა ღამეს, დაპირისპირებული მხარეები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმდნენ. ეს შეთანხმება, რომ არ ყოფილიყო, ქართული ჯარი ერევანსაც აიღებდა, ვინაიდან სომხეთის ჯარი სინამდვილეში დაშლილი იყო. ადგილობრივი სომხური მოსახლეობა (მათ შორის თბილისელი სომხებიც), რომელიც ადრე ყოველმხრივ ეხმარებოდა დაშნაკების ჯარს, ჯარის ნაწილებს ტოვებდა და უბრუნდებოდა თავის საცხოვრებელ ადგილებს. ხოლო თვით სომხეთში მძვინვარებდა ტიფი და ჯარიც აღარ მარაგდებოდა სურსათით.

1919 წლის 9–17 იანვარს თბილისში გამართულ სომხეთ-ქართულ კონფერენციაზე, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ინგლისელებიც, შეთანხმდნენ, რომ სადავო ბორჩალო მაზრის მხარე, ცხადდებოდა **„ლორეს ნეიტრალურ ზონად"** და დადგინდა დროებითი მისი საზღვრები, სადაც მორიგეობით უნდა მდგარიყვნენ ქართული და სომეხი მესაზღვრეები.

1919 წლის 28 თებერვალსა და 3 მარტს ჩატარდა საქართველოსა და სომხეთის კონფერენციები, რომლებში მონაწილეობას ღებულობდნენ მოკავშირეები. დამყარდა ორივე მხარის დიპლომატიური ურთიერთობები და განიხილეს სხვადასხვა საკითხები. ხოლო საზღვრების დადგენა, პარიზის სამშვიდობო კონფერენციას მიანდეს.

1920 წლის ნოემბერში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო ლორე-ტაშირის ოლქის მცირე ხნით დაბრუნება. როგორც ცნობილია, 1921 წლის 16 თებერვალს XI წითელი არმია აზერბაიჯანის მხრიდან, საქართველოში შემოიჭრა და 25 თებერვალს თბილისი უბრძოლველად დაიკავა გახარებულმა სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვს აცნობა:

„25 თებერვალი 1921 წელი. „ორჯონიკიძე – ლენინს, სტალინს. ტფილისზე წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

საქართველოს გასაბჭოებაში დიდი წვლილი მიუძღვის ლორეს აჯანყებას.

ახლად აღმოჩენილი საარქივო მასალებიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოს გასაბჭოებას და თავისუფალი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის დამხობას, ბოლშევიკური რუსეთი, კერძოდ-კი ქართველი ბოლშევიკები, კარგა ხნით ადრე ამზადებდნენ. პირველ რიგში, საქართველოში აჯანყება უნდა დაწყებულიყო „ლორეს ნეიტრალურ ზონაში", რადგან აქ ამ დროს მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ ჩასახლებული სომხები და რუსები. ამის გარდა აჯანყების მოწყობას აპირებდნენ აფხაზეთში, ოსეთში და სხვა ადგილებშიც. ს. ორჯონიკიძე 1920 წლის შუა რიცხვებში მოსკოვს წერდა:

„ორჯონიკიძე – ლენინს, სტალინს: საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ ჩვენ მას დიდი ძალისხმევის გარეშე მოვუღებთ ბოლოს: ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ აჯანყებები ბორჩალოს მაზრაში, აფხაზეთში, აჭარაში, დუშეთის მაზრაში. კიდევ ერთხელ გაცნობებთ ამას და ველით განკარგულებას. 15 დეკემბერი 1920 წელი". (95).

საარქივო მასალებიდან ცხადი ხდება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ ძირითადათ ბოლშევიკთა ხელმძღვანელები: ლენინი და სტალინი. არ გასულა დიდი დრო და სტალინი 1921 წლის 24 იანვარს ცეკას წევრებს მიმართავს და თხოულობს:

„რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მივცეთ დირექტივა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას იმისთვის, რათა გადაწყვიტოს საკითხი კავკასიაში სამხედრო ჩარევის წესის თაობაზე. ამავე დროს დირექტივა მივცეთ ორჯონიკიძეს, მოამზადოს აჯანყებულთა გამოსვლა საქართველოს ცნობილ რაიონებში".

ხოლო 1921 წლის იანვრის ბოლოს, სტალინი ორჯონიკიძეს აცნობებდა, რომ „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ საჭიროა შეიქმნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა აგრეთვე შეკითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე თუ რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო". (95).

თავის მხრივ, ს. ორჯონიკიძე გამუდმებით მოსკოვს უმტკიცებდა, რომ ვინაიდან „საქართველო საბოლოოდ გადაიქცა კონტრრევოლუციის შტაბად", ამისთვის რაც შეიძლება ჩქარა უნდა მომხდარიყო საქართველოს გასაბჭოება. 1921 წლის 6 თებერვალს ს. ორჯონიკიძე ლენინსა და სტალინს უგზავნის დეპეშას სადაც მოითხოვდა:

„ჩრდილო-კავკასიის მთიელ აჯანყებულთა დასახმარებლად იგზავნება მილიონები.

სასაზღვრო ზოლში ქმნიან ბანდ-ფორმირებებს, რომლებიც თავს ესხმიან ჩვენს სასაზღვრო ნაწილებს. აუცილებლად მიმაჩნია, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმ სასიკვდილო საფრთხეს, რომელსაც უქმნის საქართველო ბაქოს რაიონს. ამ საფრთხის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში აჯანყების დაწყებითა და მისი სწრაფი გასაბჭოებით". (95). ს. ორჯინიკიძის მოთხოვნა რუსეთის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა და ლორეში აჯანყებაც დაიწყო, რასაც მოჰყვა შეტაკებები სასაზღვრო ნაწილებთან. ხოლო 14 თებერვალს XI არმიის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ ლენინის ბრძანებაც მიიღო: „ცეკა თანახმაა, რომ მე-11 არმიამ აქტიურად დაუჭიროს მხარი საქართველოში მომხდარ აჯანყებას და დაიკავოს თბილისი". (95).

ბოლშევიკების მიერ ლორეში დაწყებული აჯანყება მალე მთელ ქართლს მოედო. 15 თებერვალს-კი XI არმიის ხელმძღვანელობამ მიიღო ლენინის დეპეშა:

„ცეკას მიაჩნია, რომ XI არმიის ოპერაცია წარმოადგენს ნეიტრალურ ზონაში მყოფი აჯანყებულების დაცვას, რომელთაც ემუქრებათ განადგურება თეთრგვარდიელების მხრიდან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას. თუ ნეიტრალურ ზონაში მყოფ აჯანყებულთა დასაცავად, სამხედრო თვალსაზრისით, საჭიროა თბილისის აღება, XI არმია არც ამას უნდა მოერიდოს".

ამ დეპეშას ჰქონდა სტალინის ხელით მინაწერი:

„სამი დღის შემდეგ ველი ცნობას თბილისის აღების შესახებ". (95).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1921 წლის 25 თებერვალს XI წითელი არმია, განხორციელებული ბრძოლების შემდეგ, კოჯრის გზით, ჯარის ნაწილებიდან დაცარიელებულ თბილისში უბრძოლველად შევიდა. თბილისში წითელი დროშა აღიმართა. საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა გახდა და ამ დღიდანვე საქართველო მოექცა კომუნისტური წყობილების მარწუხებში.

ბოლშევიკები საქართველოში მოსვლისთანავე შეუდგნენ საქართველოს დანაწევრებას და თუ აქამდე იარაღით წყდებოდა ქართული მიწა-წყლის დაკარგვა, ამიერიდან ბოლშევიკებმა და კომუნისტურმა ხელისუფლებამ „მშვიდობიანი მოლაპარაკებების" გზით გააჩუქეს ქართული მიწები, რომლებიც „მოძმე და ძმურ" რესპუბლიკებს ჩამოურიგეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1921 წლის 2 მაისს, რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კავბიურომ (კავკასიის ბიურო), ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული საკითხების მოსაგვარებლად შექმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომები გაიმართა თბილისში 25–27 ივნისში. სხდომები მიმდინარეობდა დაძაბულ მდგომარეობაში.

ამ სხდომაზე სომხები მოითხოვდნენ, რომ „მეზობელმა საქართველოს რესპუბლიკამ", „ძმურად" უნდა დაუთმოს „სომხებით კომპაქტურად დასახლებული რაიონები": **ახალქალაქის მაზრა, ლორეს ნეიტრალური ზონა, ხრამის აუზი** და **ჯავახეთი**.

რესპუბლიკებს შორის საზღვრების ჩამოყრისა და გასხვისების საკითხების განსჯა-მსჯელობამ მწვავე ხასიათი მიიღო და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა რკპ(ბ) კავბიუროს მიანდო. (38, გვ.19)

1921 წლის 7 ივლისს შედგა რკპ(ბ) კავბიუროს სხდომა სტალინისა და ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით და დადგინდა, რომ ლორეს ნეიტრალური ზონა გადაცემოდა სომხეთის რესპუბლიკას, ხოლო ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საკითხი უნდა განეხილა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და რა თქმა უნდა, ბოლოს, მიუხედავად წინააღმდეგობისა, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ დათანხმებულიყო ლორეს ზონის სომხეთისათვის გადაცემაზე.

1921 წლის 3 აგვისტოს საქართველოს კპ ცკ-ის სხდომამ განიხილა სასაზღვრო საკითხები და დაადგინა:

„ნეიტრალური ზონის შესახებ:

1) დადასტურდეს პოლიტბიუროს დადგენილება... რომელსაც საფუძვლად უდევს კავბიუროს დადგენილება, რომ ნეიტრალური ზონა გადავიდეს სომხეთის შემადგენლობაში....

2) იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავბიუროში არ ჰქონიათ საქართველოს კპ ცკ-ის აზრი, ეთხოვოს კავბიუროს ხელახლა განიხილოს ეს საკითხი. თავის მხრივ ცკ-ს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მონყობა აღნიშნულ ზონაში...

სომხეთისათვის ახალქალაქისა და ხრამის რაიონების მიერთების შესახებ:

დადასტურდეს პოლიტბიუროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ამხ. სომხებს უარი ეთქვათ სომხეთის სსრ-თვის ახალქალაქის და ხრამის რაიონების დათმობის წინადადებაზე". (38, გვ25).

როგორც ვხედავთ, ამ ორი კომუნისტისა და ბოლშევიკის წყალობით, საქართველომ დაკარგა უძველესი ქართული მინა-წყალი ლორე-ტაშირის მხარე – 2 367 კვ. კმ. ფართობით. ხოლო 1925 წელს სომხეთის სსრ-ს გადაეცა კიდევ ბორჩალოს მხარის ნაწილი, 207,94 კვ. კმ. ე. ი. ბოლშევიკებმა სომხეთს უწყალობეს ქვემო ქართლის სულ მთლიანად 2 575,38 კვ. კმ. მინა-წყალი. სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული მატერიალურ-კულტურული ძეგლები: **ახტალა, აქორი, თეჟარიუიქი, კირანცი (გეთაშენი), ლორეს ციხე, ოსკიპარი, ქობერი, შაპნაზირი, ჰნევანქი, ჰუჯაბი** და სხვა.

ახტალის მონასტერი – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალკედონური ტაძარი იყო ანისის შემდეგ. **თეჟარიუიქი** (ძველად ერქვა „თაიო ჩახური". „გიურჯიქილი" – ქართველთა ეკლესია. სომხ. – „პღანძაანქს") – ქალკიდონური ეკლესია. **ოსკიპარი** – შემორჩენილია XIV–XV საუკუნის ქართული წარწერები. **შაპნაზარი** – შემორჩენილია წარწერა, სადაც აღნიშნულია, რომ ეკლესია აუგიათ 4 ძმას ძნელაის ძეებს 1135 წელს. იქვე ახლოს მდებარეობს ნახევრად დანგრეული ეკლესია, სადაც შემორჩენილია ნუსხა-ხუცური წარწერები. **ჰუჯაბი** – XIII საუკუნის 60-იან ნლებში აგებული ეკლესია. ქართული ხუროთმოძღვრული ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი. შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები. ეს ეკლესია, რომ ჩაეგდოთ ხელში, სომხებმა სომხეთის სახელმწიფო საზღვარი 400 მეტრით გადმონიეს. **ქებარი** – შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ადრე, წინა ნლებში, სომხეთის ზოგიერთი „ვაი მეცნიერები" ცდილობდნენ და ასევე დღევანდელ დღესაც ფიქრობენ აღადგინონ დაკარგული „დიდი სომხეთი", ძირითადად საქართველოს მინა-წყლის ხარჯზე.

„აღნიშნული იდეის განხორციელების გზაზე განსაკუთრებულ წარმატებას სომხებმა XIX საუკუნის მთელ მანძილზე და XX საუკუნის პირველ ნახევარში მიაღწიეს.

1990 წლიდან ისევ ახლებურად წამოყო თავი „დიდი სომხეთის"... აღდგენის იდეამ და იცით ვის ხარჯზე? ისევ საქართველოს მინა-წყლის ხარჯზე. ცხადია, პერსპექტივები ისე ფართო არ არის როგორც მე-19 და მე-20 საუკუნეში". (59).

სომხეთში, მიზან მიმართულად ხორციელდება ამდაგვარი მეცნიერების მიერ, შთაგონება სომეხი ხალხისა, რომ საქართველო მათი ყოფილა და მოითხოვენ საქართველოს მინა-წყალზე არსებული „სომხური ეკლესიების" სომხეთის ეპარქიისათვის გადაცემას. 1995 ნელს ერევანში სომხურ ენაზე გამოიცა რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში" სადაც აღნიშნულია, რომ თურმე საქართველოში ყოფილა 650 სომხური ეკლესია? ზემოთ აღნიშნულ ეკლესიების გარდა, რუკა-ცნობარში დასახელებულია საქართველოში ცნობილი ისეთი ქართული ეკლესიები, როგორც არის: **ბოლნისის სიონი, გრემის, მცხეთის ჯვარი, წულრუღაშენი, ბეთლემის, კრწანისის ღვთისმშობლის, ნორაშენის ღვთისმშობლის, ანანურის, დამპალოს (ვაზიანი), თელეთის წმ. გიორგის, დუშეთის წმ. გიორგის, ტანძიას ზუგდიდის** და სხვ. სომეხი „ვაი მეცნიერების" დაჩემება ქართული ეკლესიებისა და ქართული მინა-წყლისა, ძველ დროსაც ხდებოდა და დღესაც გრძელდება და ცხადია, ამ მოქმედებას როგორც ადრე, ასევე დღესაც ხელს უწყობს „ხალხის მზრუნველი" და „დაჩაგრული ხალხის დამცველი", მოძმე რუსეთის ხელისუფლება.

1.4. ტაშირი, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო.

ქართულ და სხვა ისტორიულ წყაროებში ნახსენებია **ტაშირი, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო** და **ლორე**.

ტაშირი („ხეობის კარს" ნიშნავდა) – 1921 წლამდე წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს, ქვემო ქართლის ძირძველ მინა-წყალს. ზევით აღვნიშნეთ, რომ „ლეონტი მროველის" გადმოცემით, ქართლის სამეფოს (იბერიის) პირველმა მეფემ ფარნავაზ I-მა ქართლის სამეფო დაპყო საერისთავოებად და სათავეში ჩაუყენა ერისთავები. IV საერისთავოს წარმოადგენდა **ტაშირი** და **აბოცი**, რომლის მთავარი ქალაქი იყო **სამშვილდე**. „ერთი გაგზავნა სამშვლდისა ერისთავად და მისცა სკკრეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი". (5, გვ.44).

ტაშირი და ტაშირის მხარე იყო „ქვემო ქართლის განაპირა ოლქი (ახლანდელ სომხეთის სსრ სტეფანავისა და კალინინის რაიონის ტერიტორია), მოიცავდა მდ. დებედის მარცხენა შენაკადის – ტაშირისწყლის (ახლანდელი სახელწოდებაა კამენკა) ხეობას. შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის, ყარაღაჯისა და ბამბაკის მთებით. ცენტრი ოძუნი (შემორჩენილია VIII ს. ცენტრალურგუმბათიანი ტაძარი, აგებული იოანე ოძენელის მიერ)..... ტაშირზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები ჯავახეთის ახალქალაქისა და აბოცისაკენ (ყარაღაჯის მთის გადაკვეთით), აგრეთვე სომხეთის ქალაქებისაკენ (ბეზობდალის მთებით)". (10, ტ.9, გვ.669). ტაშირის მინა-წყალს „თანამედროვე ნომენკლატურით ამ ადგილს ლორეს ველი ჰქვია. X–XI სს. სომხურ საისტორიო მწერლობაში კი მას „ერაცდაშტ" ქართველთა ველი – ეწოდება". (9, ტ.III, გვ.66). ტაშირი, ესაზღვრებოდა სომხეთს და ამიტომაც დროდადრო საქართველოსა და სომხეთს შორის მუდამ საცილობელი მინა-წყალი იყო.

ამჟამად, ტაშირი, ბოლშევიკების წყალობით, სომხეთს ეკუთვნის და ლორის ოლქშია მოქცეული.

სამშვილდე წარმოადგენდა ერთ-ერთი უძველეს ციხე-ქალაქს ლიხსაქეთ საქართველოში, ქვემო ქართლში, რომელიც მდებარეობდა, ახლანდელ სოფ. სამშვილდესთან ახლოს (თეთრი წყაროს რაიონი). ლეონტი მროველის გადმოცემით, სამშვილდე აუშენებია ქართველ ხალხთა ეთნარქს ქართლოს. მისი ადრინდელი სახელწოდება იყო **„ციხე ორბისა"**, **„ციხე ორბეთი"**. ვახუშტი ბატონიშვილი თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ში წერს: «ციხე ორბეთი აწ წოდებული სამშვილდე». (6, ტ.II, გვ.676). ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია აგრეთვე როგორც **„დედა ციხე"**.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს:

„გარდაბნის ანუ გაჩიანის ქვეყანას ეკუთვნოდა სამშვილდის საერისთავო, რომელიც შეიცავდა სანახებს „სკორეთისა მდინარითგან ვიდრე მთადმე, რომელს არს ტაშირი და აბოცი" (ლეონტი მროველი)... ვახუშტის სიტყვით აბოცი (სომხები აშოცს უწოდებდნენ) აწ ყაიყულად წოდებული არისო"... მაშასადამე, ეხლანდელი ყაიყული ყაზანჩის მიდამოებში ყოფილა." (2, ტ.II, გვ.32). (ყაიყული – ახლა სომხეთს ეკუთვნის).

გარდა საერისთავოს მთავარი ქალაქისა, სამშვილდე წარმოადგენდა აგრეთვე უფლისწულთა ადგილსამყოფელს. VIII–IX საუკუნეში თბილისის საამიროს გამგებლობაში შედიოდა. ხოლო IX საუკუნის ბოლოს მას შირაქის (ანისის) სამეფო დაეუფლა. X საუკუნის დასაწყისში ტაშირ-ძორაგეტის მმართველი გურგენი ცდილობდა მის დაუფლებას, მაგრამ ვერ შეძლო. ხოლო X საუკუნის ბოლოს ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მთავარი ქალაქი გახდა. 1001 წელს სომხეთმა დაიპყრო. შემდეგში, XI საუკუნის 60-იან წლებში, ბაგრატ IV-ემ „შეიპყრო სომეხთა მეფე კვირიკე და მისი ძმა სუმბატი და ჩამოართვა კვირიკეს საშვილდე და როგორც მემატიანე წერს, „სამშვილდე ოდენ იურვა სახლად თჳსად". (9, ტ.III, გვ.199). მაგრამ, 1072 წელს ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოს მდგომარეობა გაუარესდა. გიორგი II-ეს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. გიორგი II-ის გამეფებიდან, არ გასულა დიდი დრო და 1073 წელს აუჯანყდნენ დიდ გვაროვანი ფეოდალები. მეფემ შეძლო მათი დამარცხება, მაგრამ, მოსალოდნელი საგარეო მდგომარეობის გართულების გამო, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, გიორგი მეფემ დასჯის მაგიერ აჯანყებლი ფეოდალები დაასაჩუქრა, მათ სხვადასხვა ადგილები უბოძა: ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშს სამშ-

ვილდე გადასცა და სხვ. ამავე ხანებში, სულთანი მალიქ შაჰი (1072–1092) საქართველოს შემოესია, აიღო ციხე-ქალაქი სამშვილდე, დაარბია ქართლი და დიდი ნადავლით გაბრუნდა უკან. თურქ-სელჩუკების გამუდმებული თავდასხმის შედეგად, თურქებმა შეძლეს საქართველოს მინა-წყლის დაპყრობა და დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა", დაპყრობილ ადგილებში თურქული მოდგმის ტომების ჩასახლება. როგორც ცნობილია, საქართველოს მდგომარეობა შეიცვალა დავით IV აღმაშენებლის დროს, როდესაც მან შეძლო საქართველოს გაერთიანება და თურ-სელჩუკების საქართველოდან განდევნა. 1104–1105 წწ-ში ჰერეთ-კახეთის შემოერთების შემდეგ, ქვემო ქართლსაც შეუტია. 1110 წ. აიღო თურქთა მთავარი დასაყრდენი და გამაგრებული ციხე-ქალაქი სამშვილდე, „სამშვილდეს დაკარგვით თავზარდაცემულმა თურქებმა „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი". მაშინვე დაუკავებიათ ქართველებს ციხე ძერნაც". (9, ტ.III, გვ.235). „სამშვილდე ძლიერი ციხე იყო და სამხრეთიდან ამაგრებდა თბილისს. ამასთან სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე გადიოდა. საქართველოს ფეოდალური მონარქიის მიერ ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის შეერთებამ სელჩუქებს თავზარი დასცა, ციხეები დატოვეს და გაიქცნენ. სამშვილდესთან ერთად ამავე წელს საქართველოს შეუერთდა სომხეთის ბევრი ციხე". (10, ტ.9, გვ.47).

ზევით აღვნიშნეთ, რომ 1178 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ გამოვიდნენ დიდგვაროვანი ფეოდალები, რომლებიც კოჯორთან იყვნენ გამაგრებულნი. გიორგი III-ემ შეძლო აჯანყებულების დამარცხება, კოჯრიდანაც გააქცია ისინი და სამშვილდის ციხეც დაიკავა. აჯანყებულები მკაცრად დასაჯა. ამის შემდეგ, სამშვილდე უშუალოდ საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა.

როგორც ცნობილია, XIII საუკუნის I ნახევარში საქართველოს მონღოლები მოადგნენ, „ჟამთააღმწერელი" გადმოგვცემს, რომ „ხოლო თათარნი მოინივნეს სამშჳლდემდე და მიერ უკუნ-იქცეს, რომელთა ქმნეს საკჳრველი ესე საქმე: წარვიდეს გზასა დარუბანდისასა". (5, გვ.533). მაგრამ შემდეგ, მისივე გადმოცემით, ირანის ილხანთა მბრძანებელმა (1295–1304) მაჰმუდ ყაზან-ყაენმა (1271–1304), „ჴელთ-უდვა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშჳლდე". (5, გვ.641). ჟამთააღმწერელის გადმოცემით, როდესაც გარდაიცვალა საქართველოს მეფე ვახტანგ III ნახჭევანს „შემკული გჳრგჳნითა მეფობისათა. და წარმოიყვანეს და დამარხეს დმანისს. და დარჩეს შვილნი ორნი: დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი აქუნდა და გიორგის სამშჳლდე". (5, გვ.651).

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ XV საუკუნის 40-იან წლებში, შავბატ-კნიანთა ყარაყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოს მმართველმა ჯეჰან-შაჰმა 1440 და 1444 წლებში გამოილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ. 1440 წელს, ვინაიდან საქართველოს მეფემ ალექსანდრე I-მა ჯეჰან-შაჰის მოთხოვნაზე უარი განაცხადა მორჩილებასა და ხარკის მიცემაზე „და მკვახე პასუხიც შეუთვალა. ამით გაბრაზებული ჯეჰან-შაჰი მთელი თავისი ჯარით უეცრად აღდგომა დღეს საქართველოს შემოესია და რაკი ასეთს დროს თავდასხმას არავინ ელოდა, ტყვე ბევრი ჩაუვარდა ხელში და ხალხიც ბლომად დახოცა. შემდეგ თვით ქ. სამშვილდესაც კი მიადგა და გარშემოერტყა. სულიწმიდის მოფენამდე მტერმა მოტყუებით და მუქარით სამშვილდის აღება მოახერხა. ჯეჰან-შაჰმა ალბათ თავისი გამარჯვების სახსოვარ ძეგლად სამშვილდის კარებნინ 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმეინა. მარტო ტყვეთა რიცხვი ამ ქალაქის დაპყრობის დროს 9400 უდრიდაო, მთელი სანაპირო ქვეყანა ამის შემდგომ მტრისაგან აოხრებული და აკლებული იყო....

რაკი სამშვილდე აღებული იყო, მტერს საქართველოს დედაქალაქამდე დაბრკოლებას ვეღარაფერი გაუწევდა... ქალაქი აუღია კიდეც". (2, ტ.IV, გვ.37).

წყაროებიდან ჩანს, რომ სამშვილდე XV-დან ბარათაშვილთა საგვარეულოს მთავარი ქალაქი იყო. XVI საუკუნეში სამშვილდე არაერთხელ ყიზილბაშებსა და ოსმალებს დაუპყრიათ. 1583 წელს საქართველოს მეფემ სიმონ I-მა მცირე ხნით, ოსმალებს გამოსტაცა ლორე და სამშვილდე. მეორე წელსვე ისევ ოსმალებმა დაიპყრეს. XVIII საუკუნეში, როდესაც ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ II ირანში მიემგზავრებოდა, მან ქართლის გამგებლად დატოვა თავისი ძე ერეკლე II და გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგი, გამაჰმადიანებული ქართლის მეფის (1714–1716, 1724–1727) იესეს (ალი-ყული-ხანი) ძე, რომელიც იბრძოდა ტახტისათვის. „გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგი ქართ-

ლის ტახტისათვის ბრძოლაში საგარეო მტრულ ძალებს დაუკავშირდა. მისი უმთავრესი მომხრეები იყვნენ დაღესტნელი ფეოდალები და მომთაბარე ელები, რომლებიც ხშირად ოსმალეთის დავალებით აჩანაგებდნენ ჩვენს ქვეყანას. სამშვილდის ძლიერი ციხე-სიმაგრე და მისი სანახები აბდულას საბატონიშვილოდ მისცეს. ახლა მან ეს ციხე-სიმაგრე გააფართოვა და გააძლიერა. მოიმხრო სომხით-საბარათიანოს დიდი ნაწილი, გადმოიბირა ბორჩალოს სულთანი და სხვ....

გათამამებული რენეგატი ერეკლესაგან ქართლზე ხელის აღებას მოითხოვდა, ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა კი ერეკლეს მხარეზე იყო.

„ერეკლემ ენერგიული ზომები მიიღო" (9. ტ. IV, გვ. 608).

„ერეკლეს მეთაურობით სასტიკად დაარბიეს აბდულა-ბეგის მომხრე ელები და ჩაკეტეს სამშვილდის მასაზრდოებელი კომუნიკაციები.... გარდა ამისა. ერეკლეს ჯარებმა ლეკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაამარცხეს და სამშვილდის მხარე ულმობლად დაარბიეს, რამაც დიდი გავლენა იქონია საქართველოს მეზობლებზე... „შეშინდა ადრიბეჟანის ქვეყანას... ყველამ დაუწყო (ერეკლეს) ხვეწნა შერიგებისა" (9. ტ. IV, გვ. 609).

„ირანიდან თეიმურაზის დაბრუნებისთანავე რენეგატმა აბდულა-ბეგმა, რომელიც კიდევ უფრო შეავიწროვეს და საკუთარ ფეოდალურ დომენში მოამწყვდიეს, პოლიტიკური ასპარეზი დაცალა". (9, ტ.IV, გვ. 613).

XVI საუკუნიდან დაწყებული, ზოგიერთმა საქართველოს ქალაქებმა (ბათუმი, სოხუმი, ფოთი და სხვ.) სხვადასხვა ისტორიული მოვლენების გამო, თანდათან თავისი მნიშვნელობა დაკარგეს და მცირე ზომის ქალაქებად იქცნენ. ზოგიერთი კი როგორც ქალაქები საერთოდ აღარ იხსენიებიან (დმანისი, სამშვილდე და სხვ.). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, XVII საუკუნის II ნახევრიდან, სამშვილდემ დაკარგა ქალაქის მნიშვნელობა და გადაიქცა ციხე-სიმაგრეთ. ხოლო XVIII საუკუნიდან სამშვილდემ ციხე-სიმაგრის მნიშვნელობაც დაკარგა და დღევანდელ დღეს შემოგერჩა მხოლოდ საფორთიფიკაციო, ხუროთმოძღვრების ძეგლები, საკულტო და სხვა დანიშნულების შენობათა ნანგრევები. არქეოლოგების მიერ ნაქალაქარში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ნაგებობები, სამარხები, აკლდამები და სხვადასხვა ძეგლები.

ისტორიულ წყაროებში **ტაშირი** პირველად მოიხსენია რომაელმა მწერალმა, სწავლულმა და სარდალმა პლინიუს უფროსმა, როგორც ქართლის სამეფოს მხარე.

ძვ. წ. II ს-ის მწერალისა და ისტორიკოსის ა პ ო ლ ო დ ო რ ე ა თ ე ნ ე ლ ი ს ცნობით, იბერებსა და არმენებს ერთმანეთისაგან მდ. არაქსი ჰყოფდა. (9, ტ.I, გვ.457). ხოლო, სტრაბონის გადმოცემით, როდესაც იქმნებოდა სომხური სამეფო მეზობელი სახელმწიფოების მიწების დაპყრობით, მათ იბერებისათვის ჩამოურთმევიათ „პარიადრის მთის კალთები, ხორძენა და გოგარენა". (9, ტ.I, გვ.456).

წყაროებიდან ცნობილია, რომ **გოგარენე** (სომხური წყაროების „გუგარქი"), „ოდითგანვე ქართულ ქვეყნად ითვლებოდა და მისი ძირითადი მოსახლეობა ქართული იყო.

უფრო ადრე თუ არა, უკვე ძვ. წ. III ს-დან, ფარნავაზის დროს, ტაშირი სამშვილდის საერისთავოში შედის და აქედან გამომდინარე იგულისხმება, რომ იგი ქართლის ორგანული ნაწილია. ლეონტი მროველის ცნობით, ფარნავაზმა „მეოთხე გაგზავნა სამშვილდის ერისთავად, და მისცა სკვირეთის მდინარითაგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი". როგორც ცნობილია, ფარნავაზი თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობით ძველიდანვე არსებული ქვეყნების, ე. ი. ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნების, მონათესავე ტომების პოლიტიკური გაერთიანების ფაქტიდან ამოდის.

ძვ. წ. II ს. დასაწყისში, სტრაბონის ცნობით, გოგარენეს პროვინცია ქართლის სამეფოს ჩამოაჭრეს სომხებმა. მაგრამ 387 წელს გოგარენე-გუგარქი საბოლოოდ ისევ ქართლის სამეფოს დაუბრუნდა". (31, გვ.228).

ხორძენა, ისტორიული ქვემო ქართლის „დასავლეთით მდებარეობდა და მოიცავდა ისტორიული ზემო ქართლის (მესხეთის) მნიშვნელოვან ნაწილს. რაც შეეხება პარიადრის მთიანეთს, თითქმის ყველა მკვლევარი მას მოგვიანო პარხალს უკავშირებს – სატალისა და ბაიბურთის ჩრდილოეთით

გადაჭიმულ მთის ქედს, რომელიც ზღვის სანაპიროს პარალელურად მიიმართება შებინ-ყარა-ჰისარიდან მდ. ჭოროხის შესართავისაკენ". (9, ტ.I, გვ.457).

ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ იბერიის მეფე ფარნაჯომსა (დაახლ. ძვ. წ. II საუკუნის II ნახ.) და სომეხთა მეფეს შორის ტაშირთან გაიმართა ბრძოლა. „იქმნა მათ შორის ბრძოლაჲ ძლიერი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, რამეთუ იძლია ფარნაჯომ სომხეთა და ქართველთაგან, და მოიკლა ფარნაჯომ, და მოსრეს სპაჲ მისი". (4, გვ.49). მაგრამ, როგორც ეტყობა წყაროებიდან, იმავე წელსვე ტაშირი ისევ ქართლს დაუბრუნდა.

როგორც ქართული წყაროებიდან, ასევე V საუკუნის II ნახევრის სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის (ფარპელი) ნაშრომებიდან, ჩანს, რომ ამ დროსაც ტაშირის მიწა-წყალი ქართლს ეკუთვნოდა. დ. მუსხელიშვილის თქმით, VIII ს. 40-იანი წლების წყაროებშიც, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი ისევ ქვემო ქართლის (ძველი საპიტიახშოს) შემადგენლობაში მოიხსენება. (15, გვ.70). VII საუკუნის დამდეგიდან, როდესაც თბილისი არაბებმა დაიპყრეს და აქ ამირას (გამგებლის) ადგილსამყოფელი გახდა, ტაშირი ამირას გამგებლობაში მოექცა. ხოლო, VIII საუკუნის I ნახევრიდან ჩანს, რომ ისევ ქართლს დაუბრუნდა. ჯუანშერის გადმოცემით, ქართლის ერისმთავარს არჩილ II-ეს (VIII საუკუნის შუა ხანები) ჩაუტარებია რეფორმა. ქართლის ნახევარი მას თავისთვის დაუტოვებია, ხოლო, მეორე ნახევარი გაუნაწილებია ერისთავებისათვის. „მეორე მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს", (5, გვ.241). „მატიანე ქართლისაჲ"-ს გადმოცემით, IX საუკუნეში ტაო-კლარჯეთის სამთავროს პოლიტიკურმა მოღვაწემ გვარამ (გუარამ) მამფალმა (გ. 882) (ბაგრატიონი), არაბთა ბატონობისაგან გაანთავისუფლა „ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი". (5, გვ.258). ი. ჯავახიშვილი წერს, რომ გვარამის გარდაცვალების შემდეგ, „რაკი მას მემკვიდრე არ ჰყავდა, მთელი მისი სამფლობელო, ანუ ჯავახეთი, არტანი და ტაშირი" დავით კურაპალატის (876–881) „შვილებს უნდა რგებოდა". (2, ტ.II, გვ.102). თუმცა, ვარაუდით, გვარამის შემდეგ, ერთხანს, ტაშირი და აბოცი სომეხ ბაგრატუნიანთა სამფლობელო ხდება.

არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლებისას, ტაშირის მხარეში, 978 წელს ჩამოყალიბდა **ტაშირ-ძორაგეტის სამეფო**. რომელიც დააარსა სომეხი ბაგრატუნების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გურგენმა (კვირიკე) (978–989). ტაშირ-ძორაგეტის სახელმწიფო, წყაროებში მოხსენებულია **კვირიკიანების** სახელწოდებითაც. ტაშირ-ძორაგეტის (ლორე-ტაშირი) სახელმწიფოს კვირიკიანების საგვარეულოს წარმომადგენლები მმართავდნენ (978–1118) წლებში. ტაშირ-ძორაგეთის სახელმწიფო განსაკუთრებით გაძლიერდა გურგენის ძის დავით I „უმინანყლოს" (989–1048) დროს. მან დაიპყრო თბილისისა და განჯის საამიროების ნაწილი და ციხე-სიმაგრე სამშვილდე, რომელიც ტაშირ-ძორაკეთის სახელმწიფოს მთავარ ადგილად იქცა. კვირიკე II-ემ (1048–1090) სამეფის მთავარი ქალაქი სამშვილდიდან ლორეში გადაიტანა და ამის შემდეგ წყაროებში ხშირად ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ლორედ იხსენიებდნენ. კვირიკე II „უკანასკნელი ერთადერთი დამოუკიდებელი მმართველი იყო სომეხ ბაგრატუნთა შორის და მეფის ტიტულსაც კი ატარებდა. მან საკუთარი ფულიც მოჭრა, მაგრამ დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა – საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის მოხარკე გახდა". (10, ტ.5, გვ.499).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, XI ს-ის დასასრულსა და XII ს-ის დასაწყისში, საქართველოს გამაერთიანებელმა მეფემ დავით IV აღმაშენებელმა, ზედიზედ გაანთავისუფლა თურქების მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლები. 1115 წ. თურქებისაგან გაანთავისუფლა ქ. **რუსთავი**. 1117 წ. დავით IV-ემ აიღო ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარის ქ. **გიში**. რომელიც ერთდროს წარმოადგენდა წუქეთის საერისთავოს მთავარ ქალაქს. რომელიც მდებარებდა მდ. გიშზე. (ეხლანდელ მდ. ქიშ-ჩაი, აზერბაიჯანში). „რომელიც, ჩანს, თურქთა მოკავშირეობით ინარჩუნებდა საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობას. ამით დამთავრდა ჰერეთის შემოერთება". (9, ტ.III, გვ.236). „1118 წ. დავით მეფე რაჭის ნაპირებზე დაბანაკებულ თურქებს დაესხა თავს და დაამარცხა. იმავე წელს აიღო მან ციხე-ქალაქები ლორე და აგარანი, რითაც დაამთავრა ქვემო ქართლის შემოერთება". (9, ტ.III, გვ237).

„დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთაგან განთავისუფლებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფო უშუალოდ საქართველოს შემოუერთა (1118–1122) და სომეხ ფეოდალ-მმართველთა საგვარეულო გააუქმა. ისტორიული ქვემო ქართლის ეს მხარე, როგორც საქართველოს განაპირა ნაწილი, სამართავად გადეცათ სრულიად საქართველოს მხედართმთავრებს – ჯერ ორბელებს, ხოლო 1185-დან – მხარგრძელებს". (10, ტ.9, გვ.669).

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეს გადმოცემით, დავით მეფემ: „ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო. ციხეთა და ქალაქთაგან კიდე კაცი არსადა იყო. ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენარტანი და არტანი ამათსა მეფობასა შინა აშენდა და ტაოს ნაპირიცა". (5, გვ.351).

„ქართლის ცხოვრებაში" და სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში არაერთხელ არის მოხსენებული ტაშირი დავით IV აღმაშენებელის შემდეგაც. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ში და სხვა ისტორიულ წყაროებიდანაც ცნობილია, რომ 1177 წელს, საქართველოს მეფის (1156–1184) გიორგი III-ის წინააღმდეგ, დიდგვაროვან ფეოდალებს მოუწყვიათ აჯანყება, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს მეფის (1155) დავით V-ს ძის დემნას (დემეტრე) (გ. 1178) გამეფებით, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. აჯანყების მოთავე იყო მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, ლორე-ტაშირის მფლობელი, უფლისწულის სიმამრი, ივანე ორბელი სუმბატის ძე. გიორგი III-ეს მოუსწრია თბილისში შესვლა და გამაგრება. ამავე დროს მას მოუვიდნენ მისი ერთგულნი ფეოდალები და მეფის მოულოდნელი გეგმის შეპყრობის ჩაშლის შედეგად, აჯანყებულები ლორეში ჩაიკეტნენ. საბოლოოდ, 1178 წელს მეფემ „აიღო ლორე და დაიჭირა თავისა თვსისათვს". (5, გვ.396). ცნობილია, რომ თამარ მეფის მეფობის დროს, ხლათის სასულთნოს ხელში ჩასაგდებად იბრძოდა ეგვიპტის სულთანი (1171–1193) სალადინი (სალაჰ-ალ-დინი, იუსუფ იბნ აიუბ) (1138–1193), მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. ქართველებმა გაილაშქრეს ხლათის სასულთნოს წინააღმდეგ და მათთან ზავი დასდეს. „დასრულდა ქართველთა გამათავისუფლებელი ლაშქრობა სომხეთში, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი მანასკერტამდე და ცანსკანცის მთებამდე გაინმინდა სელჩუკებისაგან. ჩრდილოეთ სომხეთი, კერძოდ ანისის, ტაშირ-ძორაგეთის და სიუნიკის ყოფილი სამეფოები შევიდა საქართველოს შემადგენლობაში". (9, ტ.III, გვ.336).

შემდგომ წლებში, XIII საუკუნის I ნახევარში მონღოლთა შემოსევების შედეგად, „ექვსი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ, ზოგი ომითა და ზოგიც უომრად მტერმა ხელში ჩაიგდო საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები: კახეთი, ჰერეთი, შიდა ქართლი, სომხითი, ტაშირი, თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, კლარჯეთი, ტაო, შავშეთი და სამცხე". (9, ტ.III, გვ.550).

საქართველოს მეფის (1247–1270) დავით VII ულუს დროს, საქართველოში ჩამოსახლებულა ლტოლვილი ოსების დიდი ჯგუფი, რომელიც ირანის ყაენის ჰულაგუ-ხანის ბრძანებით, დავით VII-ემ „მუდმივ საცხოვრებლად და სახარაჯოდ გადასცა ადგილები: ქ. თბილისში, ქ. ჟინვანსა და მის მიდამოებში (არაგვის ხეობაში), ქ. დმანისსა და მის მიდამოებში (ქვემო ქართლში, ტაშირი)". (9, ტ.III, გვ.581).

ქართლ-იმერეთის მეფის (1478–79–1505) კონსტანტინე II-ის (გ. 1505) დროს 1486 წელს, აყყოიუნლუს (თეთრბატკნიანები) თურქმანთა სახელმწიფოს მბრძანებელმა იაყუბ-ყაენმა (იაყუბ ფადიშაჰი) „შეკრბა სიმრავლე ურიცხვ თურქმანთა და მომართეს სამცხეს. მოვიდეს და მოადგეს ტაშირზედა". (6, ტ.II, გვ.343).

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ქალაქმა ტაშირმა თანდათან დაკარგა ქალაქის მნიშვნელობა და ის მხოლოდ ციხე-სიმაგრის მნიშვნელობას ასრულებდა, ხოლო შემდგომ დროს, მან ციხე-სიმაგრის დანიშნულებაც დაკარგა.

როდესაც ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, რუსეთის ხელისუფლებამ, ქართლ-კახეთის და აღმოსავლეთ საქართველოს ის მხარეები, რომლებიც ადრე საქართველოს საზღვრებში შედიოდნენ, მაგრამ საქართველოს აღარ ეკუთვნოდნენ, ჩაატარა მოსახლეობის აღწერა. 1770 წლის და სხვა წლების აღწერის საბუთებიდან ირკვევა, რომ ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში იყო ისეთი კუთხეები, სადაც მოსახლეობა აღარ არსებობდა, ან ძალიან მცირე იყო. „ამიტომ აღწერის ცნობებში არ აისახა. ესენია – თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი, გუჯარეთი,

ივრისპირი და სომხეთ-საბარათიანო. ამ უკანასკნელ ადგილას ასისაგან ერთიღა არისო დარჩენილი, ნათქვამია საბუთში". (9, ტ.IV, გვ.519).

1837 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ, რუსეთიდან გადმოსახლებულნი დაასახლეს ტაშირში და უწოდეს **ვორონცოვკა**. 1918 წელს შედიოდა საქართველოს საზღვრებში. როგოც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა წყობილობის დროს, 1921 წელს, ტაშირის მხარე უწყალობეს სომხეთს. 1937 წელს ეწოდა **კალინინო**. რომელიც 1961 წელს გარდაიქმნა დაბად. 1983 წელს კალინინო გადაიქცა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად. ხოლო 1991 წელს დაუბრუნდა ძველი სახელწოდება – **ტაშირი.**

2. სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკა. საზღვარი მოიცავს სომხეთსა და თურქეთს შორის მდებარე ნიალისყურის ბედს, კვეთს ხოზაფინის (კარწახის) ტბას და მდ. მტკვარს, მიჰყვება ერუშეთის ქედს, კვეთს მდ. ფოცხივს, კვეთს არსიანის ქედს (ქედის ჩრდილოეთი ნაწილი საქართველოშია), მიჰყვება შავშეთის ქედს, გადაკვეთს მდ. მაჭახელას, მდ. ჭოროხს და ჭანეთის ქედს (საქართველოშია მხოლოდ ჭანეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის დაბოლოება, რომელზეც აღმართულია მთა ბოლოკო 1 531 მ.), კვეთს სოფ. სარფს და თავდება შავ ზღვასთან.

პ. ინგოროყვა, სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებში შემავალ ოლქებს, მესხეთის პროვინციას უწოდებს. რომლის შემავალი მხარეებია **ახალციხე-ახალქალაქი** და **ბათომ-არტაანი**. რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველო ოსმალეთს შორის სადაო მხარეებს.

2.1. მესხეთი.

ზემოთ, არაერთხელ ვახსენეთ სამხრე საქართველოს მხარე მესხეთი, რომელიც სამხრეთში უდიდეს მიწა-წყალს მოიცავდა.

მესხეთი ზოგადი სახელწოდებაა, რომელიც მოიცავდა სამხრე ლიხსიქეთ საქართველოს (ზემო ქართლის) მხარეებს.

ი. ჯავახიშვილი მესხეთის ანუ ზემო ქართლის შესახებ წერდა;

„საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადოთ სახელად ზემო ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ-კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენ....

მესხეთი ბევრს, სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა, მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვაყოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო....

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი სამცხე-ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო-ისპარამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთ-ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა". (3, გვ.43).

უნდა აღინიშნოს, რომ პ. ინგოროყვას დაწვრილებით აქვს განხილული „მესხეთის მხარეების (ზემო ქართლის) ტერიტორიული მოცულობა" და მასში შემავალი ისტორიული პოლიტიკური ერთეულები. იგი წერს:

„მ ე ს ხ ე თ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ ი ა ნ უ ზ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი (რომელიც უფრო გვიან ხანაში ს ა მ ც ხ ე ს ა ა თ ა ბ ა გ ო ს სახელით იყო ცნობილი), შეადგენს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

სახელდობრ, მესხეთის მხარეების (ზემო ქართლის) ფარგლებში შედის შემდეგი ტერიტორიები:

1. მტკვრის აუზის ზემო ნილი, დაწყებული სათავეებიდან (კოლას რაიონიდან) – ვიდრე ბორჯომის ხეობამდე;
2. ჭოროხის აუზი – დაწყებული სათავეებიდან (სპერის მხარიდან) – ვიდრე აჭარის-წყალის ხეობამდე.

გარდა მ ტ კ ვ რ ი ს ა და ჭ ო რ ო ხ ი ს აუზის აქ დასახელებული ტერიტორიებისა, მესხეთის ძირეულ ნაწილს შეადგენს აგრეთვე შემდეგი მცირე მოცულობის სექტორები მეზობელი არაქსისა და დასავლეთ ევფრატის ხეობებისა:

ა. არაქსის ხეობის სანაპიროზე – პალაკაციოს (ანუ ჩილდირის, ძვ. ჩრდილის) სექტორი, რომელიც ისტორიულად არტაანის მხარის ნაწილს შეადგენდა;

ბ. დასავლეთ ევფრატის ხეობის სანაპიროზე ქ ა რ თ ლ ი ს ყ ე ლ ი ს ანუ ქ ა რ თ ლ ი ს გ ზ ი ს სექტორი, რომელიც ისტორიულად ტაოს მხარის (თორთუმის რაიონის) ნაწილს შეადგენდა. აქ, ამ სექტორს სამხრეთ მიჯნასთან, მდებარეობს განთქმული ბუნებრივი სიმაგრე, ვიწრობი „ქ ა რ თ ლ ი ს

ყელი“ (თურქების მიერ „გურჯი-ბილაზი“-ს სახელით წოდებული), რომელიც იცავდა სამხრეთიდან საქართველოსაკენ მომავალ გზებს....

გარდა ზემოთ აღნიშნული მესხეთის მხარეთა ძირითადი ტერიტორიისა, გარკვეულ პერიოდში მესხეთთან დაკავშირებული იყო აგრეთვე მეზობელი რაიონები არაქსისა და ევფრატის ხეობებში, მათ შორის ბასიანის მხარეები, საკუთრივ ბასიანი და კარის (ყარსის) მხარე“. (4, გვ296).

თვით მესხეთის სახელწოდება წარმოიქმნა, ამ ადგილებში მცხოვრები უძველესი ქართული ტომის „მესხების“ სახელწოდებიდან. სტრაბონი მოიხსენიებს „მოსხიკეს“ სახელით.

ამ მხარეში მცხოვრებ ტომებს, დროთა განმავლობაში სახვადასხვა ტომთა გაერთიანებები (**ზაბახა, ვიტერონი, დიაოხი**) და პოლიტიკური ერთეულები ჰქონდა ჩამოყალიბებული (**კლარჯეთის, ოძრხის, ნუნდის საერისთავოები, ტაო-კლარჯეთის სამთავრო, სამცხის საათაბაგო** და **ახალციხის საფაშო**).

ცნობილია, რომ ძვ. წ. II საუკუნემდე მესხეთის მხარე იბერიის სახელმწიფოში შედიოდა. ხოლო ძვ. წ. II–I საუკუნეებში სამცხის მხარეები: შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, კოლხეთის სამეფოში შედიოდა. იბაერიას ეკუთვნოდა არტაანი, ჯავახეთი, სამცხე, ხოლო სომხეთს – ტაო, სპერი და კოლა. მოგვიანებით იბერიამ ხელახლა შემოიერთა სპერის გარდა დანარჩენი ოლქები.

მესხეთის ეს უძველესი მხარე XVI საუკუნეში ოსმალეთმა დაიკავა და აქ მაცხოვრებელი მესხები უმძიმეს დღეში ჩააყენა. საბოლოოდ ის სანჯაყად (ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული) დაჰყო და საფაშოდ გარდაქმნა. შემდეგში, რუსეთის იმპერიამ მესხეთის ნანილი, სამცხე-ჯავახეთი შეიერთა. ადგილობრივი მკვიდრი მაჰმადიანი მოსახლეობა გააძევა და მათ ადგილას ოსმალეთიდან, ყარსის და არზრუმის საფაშოებიდან ლტოლვილი სომხები ჩაასახლა. „რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუნია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 ნლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან გაანთავისუფლა. ამის წყალობით 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოანყდა. მათ დასასახლებლად საახლშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან 30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში....

ეროვნული შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 ნ-ლს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ღა ეჭირათ...

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში ქართველ კულტურის ამ ძველის ძველ კერაში“. (3, გვ.49). ხოლო შემდეგ, ვინაიდან ეთნიკური უმრავლესობა ამ მხარეში სომხები აღმოჩნდნენ, სომხებმა მოითხოვეს სამცხე-ჯავახეთი მათთვის გადაეცად და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მოძმე ერთმორწმუნე“ რუსეთის მხარდაჭერით, სომხების მცდელობა ქართული მიწების მიტაცებისა, დღევანდელ დღესაც გრძელდება.

რუსეთის ხელისუფლება ყოველ მხრივ ზლუდავდა მესხეთის ქართველობას.

პ. ინგოროყვა 1919 წელს აღნიშნავდა:

„მთელი მუსულმანი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა აქ ზოგ კუთხეში დავინყებას მიეცა. ასეთ რაიონებში ძველ თაობას დღემდე ახსოვს ქართული, ახალგაზრდობა კი ვეღარ ლაპარაკობს დედა-ენას. ასევეა აგრეთვე არტაანის კუთხეებში – ფოცხოვის და ტაოსკარის რაიონებში....

მთელი ქართველი მუსულმანობისათვის ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე, და მეცხრამეტე საუკუნეშიც, დედა-ენა ქართული იყო. ბოლო დროებში – ნარსული საუკუნის მანძილზე – ქართული ენის ცოდნა ზოგ ადგილას შემცირდა. ამაში დიდი ღვანლი მიუძღვის რუსულ რეჟიმს. რუსეთის მმართველობა, რომლის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველების დასუსტებისაკენ, ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოვებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. ყველაფერი ქართული აქ დიდ დევნას განიცდიდა“. (92).

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოში მყოფ ხალხთა შორის, ის დაპირისპირება რომელიც დღევანდელ დღესაც ხდება, ჯერ კიდევ მეფის დროინდელ რუსეთში

დაიწყო და გაღრმავდა ბოლშევიკური საბჭოთა რუსეთისა და შემდეგ რფრ-ის ხელმძღვანელების მიერ.

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ:

„მესხეთის მხარეთა ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრებში ამჟამად შედის 7.115 კვადრატული კილომეტრი, ხოლო თურქეთის ფარგლებში მოქცეულია 27.115 კვადრატული კილომეტრი.

საქართველოს საზღვრებში შემავალს ისტორიული მესხეთის პროვინციებს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს 7 რაიონი: 1. ახალციხე, 2. ადიგენი, 3. ასპინძა, 4. ახალქალაქი, 5. ბოგდანოვკა, 6. ხულო, 7, ქედა და ამათ გარდა აჭარის წყალის უბანი ბათუმის რაიონისა და ჩრდილო-დასავლეთი სექტორი ბორჯომის რაიონისა (მტკვრის მარცხენა სანაპირო.

თურქეთის საზღვრებში შემავალ ისტორიული მესხეთის პროვინციებს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს შემდეგი 12 რაიონი (კაზა): 1. ფოცხოვი, 2. ჩილდირი, 3. არტაანი, 4. კოლა (მერდენიკი), 5. ბორჩხა, 6. ართვინი, 7. შავშეთი, 8. ოლთისი, 9. თორთუმი, 10. ეგდემი, 11. ისპირი, 12. ბაიბურთი და, ამას გარდა, გურჯი-ბოლაზისუბანი. (დასახელებული ერთეულებიდან – პირველი ოთხი რაიონი მტკვრის ხეობაში მდებარეობს, უკანასკნელი რვა რაიონი – ჭოროხის ხეობაში)". (4, გვ.297).

2.2. აბოცი.

აბოცი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებში შემავალ, ქვემო-ქართლის მხარეს წარმოადგენდა. რომელიც ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა.

წყაროებში აბოცი ხშირად მოხსენებულია როგორც **პალაკაციო** და **ყაიყული**.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „ვახუშტის სიტყვით აბოცი (სომხები აშოცს უწოდებენ) აწ ყაიყულად წოდებული არისო... მაშასადამე, ეხლანდელი ყაიყული ყაზანჩის მიდამოებში ყოფილა." (2, ტ.II, გვ.32). მისივე თქმით: აბოცი, „ვითარცა მესხეთისა და ქვემო-ქართლის შუა მდებარე თემი, ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა, მაგრამ ხშირად მე-XVII–XVIII-ე ს-ში განსაკუთრებით ქვემო-ქართლის საზღვრებში იყო მოქცეული". (3, გვ.44). აბოცის საზღვრების შესახებ ი. ჯავახიშვილი წერს:

„აბოცის სამხრეთის სამზღვარი იწყება იქ, სადაც ირჯანის ანუ ყარაღაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია. აქედგან ხაზი მიდის ბაბას მთების ქედ-ქედ დიდ აღბაბის მწვერვალამდე, შემდეგ უკვე საკუთრივ მესხეთის სამზღვარი იწყება და იმ ძველად ყარსის მთებად წოდებული მთავარი წყალთგამყოფელი მთების ქედს მისდევს, რომელიც მტკვარისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ჰყოფს და რომელნიც ამ ჟამად ჯერ ყარსის გუბერნიის არტაანის ოლქისა და ხოლო მერმე ოლთისის ოლქის სამხრეთ აღმოსავლეთს სამზღვარს ჰქმნის. შემდეგ სამზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთების ქედზე, მერმე ჩრდილო-დასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება". (3, გვ.44).

„ქართლის ცხოვრება"-ში არაერთხელ არის მოხსენებული აბოცი. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ როდესაც მოკვდა ქართლოსი, მისმა ცოლმა ხუთივე შვილს მისცა მიწა-წყალი. ერთ-ერთ შვილს „გაჩიოსს მისცა ორბისციხე და სკკრეთისა მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი". (5, გვ.29). მისივე გადმოცემით, ფარნავაზმა თავისი სამფლობელო დაჰყო საერითავოებად, „ერთი გაგზავნა სამშჯილდისა ერისთავად და მისცა სკკრეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი". (5, გვ.44). ხოლო ქართლის (იბერიის) ორმეფობის დროს, როდესაც მეფენი: არმაზის მეფე **ა რ მ ა ზ ე ლ ი** და შიდა-ქართლის მეფე **ა ზ ო რ კ ი** (ძვ. წ. II ს-ის 80-იანი), ეომებოდნენ სომხეთს. „თკთ მეფენი ქართლისანი მცხეთით გაემართვოდიან სომხეთს, გზასა აბოცისასა, და მარადის ესრეთ ჰკირთებდეს ქართველნი და ოვსნი". (5, გვ.61). მისივე თქმით, იბერიის მეფე **ბ ა ქ ა რ ი**, მირიანის ძე, (ბაკურ II) (ახ. წ. IV ს-ის 30–50-იანი) „ეზრახა სპარსთა მეფესა, მამისძმისწულსა

მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანაჲ და სიძესა მისსა, ფეროზს, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიანისგან და მისცა მის წილ სამშჯლდითგან მიმართ ქუეყანაჲ თავამდე აბოცისა“. (5, გვ.145).

ჯუანშერის გადმოცემით, იბერიის მეფემ არჩილ I-მა (V ს-ის 20–30-ანი) „მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძმისწულნი მისნი:... მეორე მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“. (5, გვ.241).

IX საუკუნეში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს გვარამ (გურამ) მამფალს (გ. 882 წ.) დაუპყრია აბოცი. „გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი. და პბრძოდა სარკინოზთა: ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა. ხოლო გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თჳსთა – ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყო ცოლის ძმასა თჳსსა, სომეხთა მეფესა“. (5, გვ.258).

ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, ბაგრატ V-ის მეფობის დროს, როდესაც საქართველოს შემოესია თემურლენგი, ყარსის აღების შემდეგ დაიზამთრა „და შემდგომად ზამთრისა ნარმოემართა ქართლსა ზედა, რამეთუ ესე იყო წადილი მისი. გარდამოვლო აბოცი და მოაოჴრა და იავარყო ყოველივე, ქრისტეს აქათ ჩტუგ“. (6, ტ.II, გვ.328).

(1534–1555) წლებში ირანისა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ბრძოლებისას, ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, ირანის შაჰი თამაზ I და ოსმალეთის სულტანი შერიგდნენ, მათ საქართველო გაჰყვეს ორ ნაწილად:

„და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა, და კარი საზღვრამდე აბოცისა და ერევანისა, სომხითი, რომელსა აწ ქურთისტანად სახელსდებენ, ვიდრე ბაღდადამდე. ხოლო შაჰ-თამაზს დაუგდო ქართლი, კახეთი, ერევანი და ქურთისტანს აქათი“. (6, ტ.II, გვ.371).

ივ. ჯავახიშვილი, იაყუბ-ყაენის საქართველოში შემოსევის შესახებ აღნიშნავს, რომ: „სახელოვან ქ“ლ ისტორიკოსს თარიღად 1486 წ. აქვს აღნიშნული და შემდეგს მოგვითხრობს: იაყუბ-ყაენმა თურმე სამხრეთითგან შემოუტია საქართველოს და ჯერ «გამოვლო აბოცი» შემდეგ მესხეთში გადმოვიდა და «მოადგა ახალქალაქსა და გარემოთა ჴქვეყანათა»“. (2, ტIV, გვ.142).

ზემოთ მოყვანილი ადგილებიდან ჩანს, რომ აბოცი წარმოადგენდა ქართულ ძირძველ მხარეს, რომელიც დღევანდელ დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

2.3. პალაკაციო.

პალაკაციო წარმოადგენდა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ მხარეს, რომელიც მდებარეობდა **აბოცს, ჯავახეთს, კოლა-არტანსა** და **კარს** (ყარსი) შორის.

ივ. ჯავახიშვილი პალაკაციოს შესახებ აღნიშნავს, რომ:

„თვით „**ქუეყანისა პალაკაციო**“-ს... ანუ „პალაკაციო“-ს საზღვრების გამორკვევა ცნობების უქონლობის გამო ჯერჯერობით არ შეიძლება. ვიცით მხოლოდ, რომ დასავლეთისაკენ „პალაკაციო კოლას საზღვრამდი“ უნევდა; მაშასადამე, მისი მდებარეობა კოლას გასწვრივ უნდა ყოფილიყო და, რასაკვირველია, აღმოსავლეთით.

ვახუშტსაც ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვება ამ ქვეყნის შესახებ; ერთგან იგი მაგ. ამბობს: «პალაკაციოსა და აბოცს შორის არის მთა აღაბაბასი და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა ვიდრე თეთრ ციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა»“. (2, ტ.II, გვ.61). ხოლო, ივ. ჯავახიშვილი თვით „კოლას“ შესახებ წერს, რომ:

„**კოლაჲ**“, ანუ „კოლა“... არტაანის მოსაზღვრე ქვეყანა იყო სამხრეთით. ხეეი კოლაჲსი მტკვრის სათავე იყო. ლეონტი მროველიც ადასტურებს, რომ კოლა შეიცავდა ქვეყანას «თავადმდე მტკურისა»... დასავლეთით კოლას ტაო საზღვრავდა, აღმოსავლეთით —კი ამ ქვეყნის მოსაზღვრედ პალაკაციო ითვლებოდა; „პალაკაციო კოლას სამზღურამდი“-ო, ნათქვამია მაგ. სამცხე-საათაბა-

გოს მღვდელმთავართა სამრევლოების აღწერილობაში. სამხრეთით, ალბათ, კარის სანახები ექნებოდა...

კოლაში მოხსენებულია „სოფელი დიდი ორორტანი, რომელიც, ალბათ, თანამედროვე „ურუტს" უდრის; დადაშო და ხორცევანი, ანუ ხორტევანი; „ლავრა ოთხთა ეკლესიათა"... რომელიც უდრის, ალბათ, თანამედროვე „დორთ კოლისას". (2, ტ.II, გვ.60).

„ქართლის ცხოვრებაში" პალაკაციოს შესახებ ნათქვამია: „ამისგან უწინარეს მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქთანი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლისწევად წოდებულსა" (5, გვ.412). ხოლო XVI საუკუნეებიდან მოხსენებულია როგორც „ჩრდილის" სახელწოდებით (თურქულად „ჩილდირ").

„XII ს. ბოლო პერიოდში ადმინისტრაციულად ჯავახეთის სანაპირო საერისთავოში შედიოდა; მომდევნო საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო.... 1186/87 ჯავახეთის ერისთავთერისთავმა გამრეკელ კახას ძე თორელმა დაამარცხა პალაკაციოში შემოსეული თურქები. XVI ს-ში პალაკაციო, იგივე ჩრდილის-ჩილდირის მხარე, ოსმალებმა დაიპყრეს. 1578 აქ გაიმართა დიდი ბრძოლა ოსმალეთსა და სპარსელთა შორის". (10, ტ.7, გვ.642).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ში მოთხრობილია, რომ თამარ მეფის დროს, პალაკაციო დაუპყრიათ თურქებს. „ლიხთ-იმერეთს შთასრულთა ზღუა პონტოსა მოიურვეს და მოირჭუნეს დიდად და კარგად. ვინათგან ქუეყანა არტანისა, ძაღინის ჭევისა, პალაკაციო ნაელო თურქთა". (5, გვ.448).

დღევანდელ დღეს პალაკაციოს მიწა-წყალი, საბჭოთა რუსეთის და ბოლშევიკების წყალობით, ისევ თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

2.4. ჯავახეთი.

ჯავახეთი წარმოადგენს ზემო ქართლის სამცხე-ჯავახეთში შემავალ ერთ-ერთ უძველეს მხარეს, რომელიც ახლა მოიცავს ასპინძისა და ბორჯომის რაიონების ნაწილს, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს. მას ესაზღვრება რაიონები: დასავლეთის მხრიდან ასპინძის, ჩრდილოეთით – ბორჯომის, აღმოსავლეთით – ქვემო ქართლში შემავალ წალკისა და დმანისის რაიონები, ხოლო სამხრეთით – თურქეთისა და სომხეთის სახელმწიფოები.

წყაროებიდან ცნობილია, რომ წარსულში ჯავახეთი მოიცავდა სამხრეთ საქართველოს ერცელ მიწა-წყალს. რომლის დასავლეთით მისი საზღვარი სწვდებოდა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ხევებს და მდ. მტკვრის პირას IX–X საუკუნეებში აგებულ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრე **მგელციხეს**, (ახლა თურქეთშია, თურქ. კურტ-კალე), რომელიც მეთვალყურეობდა სამხრეთიდან საქართველოში მომავალ მთავარ გზებს. ჩრდილოეთით – ფარავნის ტბასთან მდებარე შარვაშეთის მთას, აღმოსავლეთით – სამსარისა (აბულ-სამსარი) და გულთოვლის ქედებს, სამხრეთით – ჩრდილის ქედზე (ჩილდირის ქედი, ნიალისყურის ქედი) მდებარე უჩთაფალის მთას.

„ისტორიულად ჯავახეთი ზემო და ქვემო ნაწილებად იყოფოდა: ზემო ჯავახეთი მოიცავდა ჯავახეთს, ფარავნის ტბიდან მტკვრის კანიონამდე (საკუთრივ ჯავახეთის ზეგანს), ხოლო ქვემო ჯავახეთი – მტკვრის კანიონს, ნიალისა და ბუზმარეთის ზეგნებს.

ქვემო ჯავახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს განსაზღვრავდა მტკვრის შენაკადი მდინარეები და ხევები, ნიალისა და ბუზმარეთის მთიანი პლატოები, თითოეულ მათგანს თავისი რელიგიური და ადმინისტრაციული ცენტრები გააჩნდათ, მაგრამ ყველა მაინც ემორჩილებოდა წუნდის, შემდგომში კი თმოგვის გამგებელს. ზემო ჯავახეთში კი სადაც გეოგრაფიულად პატარ-პატარა მდინარეების შემკრებ ფუნქციას დიდი და პატარა მთებით შემოსაზღვრული ტბები ასრულებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების განმსაზღვრელად ამ ტბათა (საღამოს, ხანჯალის, კარწახის, ფარავნის, ტაბაწყურის და სხვ.) ქვაბულებში განლაგებული სოფლებით შექმნილი პატარა ქვეყნები გვევლინებოდნენ." (96).

ადრინდელ, ლურსმულ წარწერებში, ჯავახეთი, მოხსენებულია როგორც **„ჯაბახა"**.

ცნობილია, რომ სიტყვა **„ჯავახეთი"** მიღებულია ქართველთა ერთ-ერთი ტომის სახელწოდებიდან. სიტყვის ფუძე – „ჯავახ" და ბოლოსართით – „ეთ". შესაბამისად მიღებულია „ჯაეახეთი" რაც ნიშნავს ჯავახების საცხოვრებელს, სამყოფელს. როგორც სპარსეთი – სპარსთა ქყეყანა, რუსეთი – რუსთა ქვეყანა.

პირველად ნახსენებია ძვ. წ. 785 წელს ურარტუს მეფის არგაშთ I-ის წარწერებში.

ამ დროს ჯავახეთში შედიოდა ჩილდირის ტბის დასავლეთი მიდამოები.

დღევანდელ დღეს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა სხვადასხვა სარწმუნეობისაა. ძირითადათ მოსახლეობა მართლმადიდებელია. რამდენიმე სოფელში შემორჩენილნი არიან კათოლიკები (ქართველ კათოლიკებს ხშირად უწოდებენ „ფრანგებს") და მაჰმადიანები. სელჩუკების მიერ სამცხე-ჯავახეთის დაპყრობის შემდეგ ჩასახლებული მუსულმანები, 1944 წელს, გადაასახლეს შუა აზიაში (მათ შორის გამაჰმადიანებული ქართველებიც, ე.წ. „თურქი მესხები"). (იხ. ქვევით).

ადრინდელ ხანებში ჯავახეთი ქართლის ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა, რომლის მთავარი ქალაქი იყო, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე **წუნდა** (ასპინძის მიდამოებში, სოფ. ნაქალაქევის ახლოს).

ლეონტი მროველის თქმით, ქართლოსის ძეთა შორის **მცხეთოსი** გამრავლებულა და „შვილთა შორის მცხეთოსისთა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა – ოძრჭოს, და მესამესა – ჯავახოს....

ჯავახოსს მისცა ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა. ამან ჯავახოს აღაშენნა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდაი და ქალაქი არტანისაი, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰქვან ჰური". (5, გვ.30).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისივე გადმოცემით, ქართლის პირველ მეფე ფარნავაზ I-ეს ჩაუტარებია სახელმწიფო რეფორმა. ქართლის სამეფო დაუყვია საერისთავოებად და თვითეულში გაუგზავნია ერისთავები:

„ერთი გაგზავნა წუნდისა ერისთავად, და მისცა ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლაი და არტანი". (5, გვ.44).

V საუკუნეში ჯავახეთი წუნდის საერისთავოს ეკუთვნოდა. „წუნდის – როგორც საერისთავოს ცენტრის, დაცემის შემდეგ მისი ფუნქცია გადადის თმოგვის ციხეზე (წყაროებში პირველად X საუკუნეში იხსენიება). იგი გადაიქცა ქვემო ჯავახეთის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ეკონომიკურ და თავდაცვით ცენტრად, რაშიც მას ხელს უწყობდა იშვიათად ხელსაყრელი ბუნებრივი მდებარეობა და მიუდგომელი თავდაცვითი ზღუდეების არსებობა. ჯავახეთის ერისთავი თმოგველად ინოდებოდა. XI–XIV საუკუნეებში ჯავახეთი იმყოფებოდა ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში." (96). შემდეგში, ჯავახეთის მიწა-წყალი ორ ნაწილად გაიყო: ზემო ჯავახეთი – რომლის მთავარი ქალაქი XI სუკუნიდან გახდა **ახალქალაქი** და ქვემო ჯავახეთი – რომლის მთავარი ქალაქი X საუკუნიდან გახდა **თმოგვის ციხე**.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირველი მეფე, ვინც საქართველო ერთიანი გახადა იყო ბაგრატ III. ბაგრატ III-ის მიზანს გამეფებისთანავე წარმოადგენდა ერთიანი საქართველოს შექმნა და ამისათვის ყოველივე ხერხს მიმართავდა. ერთიანი ძალაუფლების შექმნისა და ხელისუფლების განმტკიცებისათვის. როგორც ყოველ დროს, მასაც წინააღმდეგობას უწევდნენ ქვეყნის შიგნით ფეოდალები და მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოები.

975 წელს ქართლში გამეფებისა და ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ბაგრატ III-ის წინაშე, დღის წესრიგში დადგა სამხრეთ საქართველოს შემოერთება.

IX საუკუნიდან დაწყებული, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში სამთავროების მმართველები იყვნენ ტაოს ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები.

ამიერტაოს, შავშეთ-კლარჯეთის და სამცხე-ჯავახეთის მმართველები იყვნენ: ბ ა გ რ ა ტ II „ქართველთა მეფე" (ბაგრატ III-ის პაპა) (958–994) და მისი გარდაცვალების შემდეგ გ უ რ გ ე ნ ი „მეფეთა მეფე" (ბაგრატ III-ის მამა) (გ. 1008). ხოლო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხარის მეორე ნანილს სამხრეთის ანუ იმიერტაოს, ბასიანს და სომხეთის ტომებს ფლობდა ტაოს მეფე დ ა ვ ი თ

III დიდი (გ. 1001) კურაპალატი. მისი მეფობის დროს ტაოს საზღვრები აღწევდა მდ. არქსსა და ვანის ტბას. ზევით აღვნიშნეთ, რომ დავით III-ის აღზრდილი და შვილობილი იყო ბაგრატ III. მისი შემწეობით გამეფდა ბაგრატი ქართლში, ხოლო შემდეგ 978 წელს ლიხსიქეთ საქართველოში.

988 წელს ბაგრატ III-ესა და დავით III-ის შორის მოხდა დაპირისპირება. დავით III თავისი მოკავშირეებით, (ერთ-ერთი მოკავშირე ბაგრატ III-ის პაპაც, ბაგრატ II იყო), გამაგრდა ჯავახეთში, **ლლივსში**. ხოლო ბაგრატ III თრიალეთში, **კარუშეთში** დადგა. მაგრამ, შემდეგში (როდესაც თვით ბაგრატი მივიდა დავითთან) დაპირისპირება ბაგრატსა და დავითს შორის აცილებულ იქმნა.

ზევით ავღნიშნეთ, რომ დავით III-ის 1001 წელს გარდაცვალების შემდეგ, ტაოს სამეფოს ნაწილი ბიზანტიამ დაიკავა და ბიზანტიასა და საქართველოს შორის გამუდმებული ომის მოედანი გახდა. 1008 წელს გურგენ „მეფეთა მეფის" გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრე, ბაგრატ III-ის მფლობელობაში გადავიდა ტაოს ჩრდილოეთი მხარე: **ამიერტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე** და **ჯავახეთი**. ამრიგად, ჯავახეთის მხარე გაერთიანებული საქართველოს საზღვრებში მოექცა. მაგრამ, ბაგრატ III-ის შემდეგ, საქართველოს მეფის (1014–1027) გიორგი I-ის (998/1002–1027) დროს ტაო ბიზანტიას ეპყრა და მისი მთავარი საზრუნავი იყო პირველ რიგში, სამხრეთი მხარის, იმიერტაოს შემოერთება. ამიტომ, გიორგი I-მა, იმ დროს როდესაც ბიზანტიის იმპერატორი (958–1025) ბასილი II, ბულგართმმპყრობელი, ბულგარელებს ეომებოდა (1014–1016) წლებში, დაიკავა იმიერტაოს ციხე-სიმაგრენი.

„მატიანე ქართლისაჲ" მოგვითხრობს, რომ გიორგი I-ის გამეფებიდან „მეშჳდესა წელსა, მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთაჲ, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისაჲთა უცხოთესლითა ურიცხჳთა. ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღდგომად მისსა. და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა. მრავალ დღე და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას". (5, გვ.274). ეტყობა, რომ გიორგი I-მა მრავალრიცხივან მტერთან შებმა ველარ გაბედა და უკან დაიხია. პალაკაციოს (ჩილ-დირის) ტბასთან 1021 წელს, „იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა რქჳან შირიმნი. და მოისრნეს ორკერძოვე მრავლად". (შირიმნი ახლა თურქეთშია). (5, გვ.274–275). ქართველებმა ისევ დაიხიეს უკან. ბოლოს გიორგი და ბასილი დაზავდნენ. ტაოს ბიზანტია დაეუფლა.

წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგი I არ ურიგდებოდა სამხრეთ საქართველოს დაკარგვას და ცდილობდა მის დაბრუნებას. 1021 წელს ბასილი II იმიერტაოში ხელახლა შემოიჭრა. გიორგი ისევ დამარცხდა. საბოლოოდ 1022/23 წლებში გიორგი I იძულებული გახდა ხელი მოენერა ზავისათვის, რომლის თანახმად ტაო ბიზანტიას დარჩა და ტახტის მემკვიდრე ბაგრატი, სამი წლით მძევლად კონსტანტინოპოლში გაიგზავნა.

სამხრეთ საქართველოს მხარის, ჯავახეთის, ტაოს, კლარჯეთის, სამცხის და სხვა მხარეების დაკარგვას, გიორგი I-ის შემდეგაც, ვერ ურიგდებოდნენ საქართველოს მეფეები და მთავრები და კვლავ ცდილობდნენ მის შემოერთებას.

IX–XIII საუკუნეებში სამცხე-ჯავახეთი თანდათან გახდა საქართველოს ერთ-ერთი როგორც პოლიტიკურად ძლიერი მხარე, ამავე დროს როგორც კულტურული ცენტრი.

საქართველოს მეფე (1072–1089) გიორგი II-ე, მიუხედავად საქართველოს შიგნით (ფეოდალების ორგულობისა და განდგომისა) და საგარეო მდგომარეობის რთული ვითარებისა, მეფობის დასაწყისში, მაინც ახერხებს ქვეყნის შიგნით მდგომარეობის გამოსწორებას. წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგი II-ემ, ისარგებლა ბიზანტიის იმპერიისა და სელჩუკებს შორის გამართული ომებით და ბიზანტიას წაართვა **ანაკოფია, კლარჯეთი, შავშეთი, ჯავახეთი** და **არტანის** ციხეები. ასევე შემოიერთა **კარის ციხე-სიმაგრე** და მისი მიდამოები. საქართველოდან განდევნა ბიზანტიელები და სელჩუკებიც. ამ ომების დროს ბიზანტია დასუსტდა. ხოლო სელჩუკები, რა თქმა უნდა ვერ შეეგუებოდნენ საქართველოს მიწების დაკარგვას და მალე, სულთანმა მელიქ-შაჰმა (1072–1092) საქართველოს დასაპყრობად ლაშქარი გამოგზავნა.

როგორც „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი" გადმოგვცემს, „შინა-განცემითა ქრისტიანეთაჲთა"-ს გამო, თურქებმა სწრაფად დაიპყრეს არზრუმი, ოლთისი, კარი და „დაესხნეს უგრძნულად", ჯავახეთში, „ყუელს გარე-მდგომსა" გიორგი მეფეს და „აოტეს გიორგი მეფე და

სპაჲ მისი ურიცხუ". გიორგი II-ემ თავი შეაფარა აფხაზეთს. სელჩუკებმა, სადაც კი მისნვდნენ, ყველაფერი „აიხუნეს იავარად და წარვიდეს".

სელჩუკებმა „იხილეს რაჲ ესოდენი სიმრავლე ოქროჲსა და სიმდიდრისაჲ", „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითრცა მკალნი" და დაინყო საქართველოში ე. წ. „დიდი თურქობა". სელჩუკთა შემოსევების დროს, ყველაზე მეტად დაზარალდა სამხრეთ საქართველოს მხარეები. „მოოსრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი". (5, გვ.302).

„თურქ-სელჩუკთა შემოსევებით შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და გართულდა აქ დასახლების გამო. როგორც უკვე აღნიშნულია სელჩუკები მოედვნენ თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით, სახლდებოდნენ დაპყრობილ მიწა-წყალზე და სამეურნეოდ ვარგის მთელ ფართობს საძოვრებად აქცევდნენ. ნადგურდებოდა საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ინტენსიური სოფლის მეურნეობა. მემინდვრეობა-მებაღეობა-მევენახეობის ადგილს ექსტენსიური მომთაბარულ-მეჯოგური მესაქონლეობა იჭერდა, ადგილობრივი ფეოდალური კლასის ადგილს კი მოსული მომთაბარული არისტოკრატია". (9, ტ.III, გვ.204).

როგორც ცნობილია, თურქთა თარეშს საქართველოში ბოლო მოუღო დავით IV აღმაშენებელმა. მან, სელჩუკების მიერ დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს ოლქებიც შემოიერთა. თურქთა მიერ გაპარტახებული და მოსახლეობისაგან დაცლილ სამხრეთ საქართველოს ოლქებში, დავით IV და შემდეგში დემეტრე I ცდილობდნენ ხალხის ჩასახლებას და ამ მხარის აღორძინებას. „ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო. ციხეთა და ქალაქთაგან კიდე კაცს არსადა იყო. ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენარტანი და არტანი ამათსა მეფობასა შინა აშენდა და ტაოს ნაპირნიცა". (5, გვ.351). მოგვითხრობს „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე".

XII საუკუნეში, ჯავახეთი ქართლის სამეფოს თორელთა ფეოდალური საგვარეულოს პირად მიწა-წყალს წარმოადგენდა.

XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს, გაძლიერებულ საქართველოში, „მონაპირე" სამთავროები წარმოიქმნა. „ბასილი ეზოსმოძღუარი" გადმოგვცემს, რომ „მონაპირე" სამთავროებს ევალებოდათ „მონაპირეთა მონახიან სადმე ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოაჴსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის: უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა". (5, გვ.494).

მინაპირე სამთავროებს შორის იყო ჯავახეთი. „ბასილი ეზოსმოძღუარი" ჯავახეთის შესახებ აღნიშნავს, რომ ის მდებარეობდა „ძორაკერტის და ტაშირის" ზემოთ. „სადა სარგის მჴარგრძელიეე თმოგუელი და შალვა თორელი მონაპირობდეს"....(5, გვ.494).

XIII საუკუნეში ჯავახეთის საზღვრებში მოექცა **პალაკაცო** და სამცხის მხარის ნაწილი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რუსუდანის მეფობისას (1223–1245) წლებში, ამიერკავკასიას მოადგა ხორეზმ შაჰი ჯალალედინი. სომხეთში, სოფ. გარნისთან გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ამის შემდეგ ჯალალედინი გადავიდა აზერბაიჯანში. საქართველოში დატოვა ჯარის ნაწილები, რომლებმაც „ეამთააღმწერელი"-ს გადმოცემით, თბილისის აკლების შემდეგ, „იწყეს რბევად, ტყუენვად, ჴოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანის და იორისპირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა". (5, გვ.541).

ჯალალედინის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და საქართველოს შემოესია მონღოლები. მონღოლთა ნოინები (მთავარი), „შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს, და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოჴრებად და ჴოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქუეყანა". (5, გვ.547). მონღოლებმა დაიპყრეს საქართველო და დაყვეს 8 დუმნად (ათიათასეულად) და თვითეულ დუმანს სათავეში ადგილობრივი მთავრები დაუნიშნეს; და „თითოეული ქართული დუმანი მონღოლთა ნოინებს დაუქვემდებარეს. მართალია, ამ დუმნებმა დიდხანს ვერ იარსებეს, მაგრამ მათ საკმაოდ შეარყიეს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა". (9, ტ.III, გვ.553).

მეხუთე დუმანს წარმოადგენდა ჯავახეთის მხარე და დუმნისთავად გამრეკელი თორელი დანიშნეს.

1266 წელს სამცხის სამთავრო ხასინჯუდ (ილხანების პირადი საკუთრება) გამოცხადდა. ხასინჯუ საქართველოს მთლიანობის რღვევას ხელს უწყობდა. ამ დროს სამცხის საზღვრებში მოქცეული იყო, „ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე (კარინამდე): სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კოლა, არტანი, ჯავახეთის ნაწილი.... საზღვარი მიდიოდა შავ ზღვამდე სპერის ჩათვლით, მას შეუერთდა ჭანეთიც.... სამცხის მთავრების, პოლიტიკური დამოკიდებულება მონღოლებთან ხარკის გადასახადსა და ჯარით შეწევნაში გამოიხატებოდა". (9, ტ.III, გვ.599).

ქართველები არ ურიგდებოდნენ მონღოლების ბატონობას და აჯანყება აჯანყაბას მოსდევდა. მონღოლები აგზავნიდნენ სადამსჯელო რაზმებს, რომლებიც აოხრებდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს ოლქებს. ამის გამო, „აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა ცენტრალური ხელისუფლება. ქვეყანა პოლიტიკურად დაიქსაქსა (ზოგჯერ ერთდროულად ორი-სამი მეფე იყო). იმატა სახელმწიფოებრივის მოშლით გათამამებული ამიერკავკასიელი ტომების ძალადობამ. მონღოლთა დამსჯელი ექსპედიციები ქვემო ქართლის, ჯავახეთისა და შიდა ქართლის გარდა, სისტემატურად არბევდნენ არაგვის ხეობას, მთათუშეთს, ერწოს. შეწყდა ხვნა-თესვა, შემცირდა ნათესები, მოიშალა მეურნეობა". (9, ტ.III, გვ.611).

(1269–1270) წლებში, საქართველო გადაიქცა ირანის მონღოლთა გამგებლის აბაღა-ხანისა (1234–1282) და ჩრდილოეთელი უფლისწულის, თეგუდარს შორის ამტყდარი ომების სარბიელად. ამ ომებმა და „თეგუდარის უზარმაზარი ლაშქრის მოძრაობამ, მისმა ბრძოლებმა დააზარალეს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, ჯავახეთი, თრიალეთი. მათი ძირითადი სადგური ლომისთავი იყო, საიდანაც მოსახლეობის ძარცვასა და ჯოგების წასხმას ეწეოდნენ. აქედან ქართლსაც სწვდებოდა მათი თარეში". (9, ტ.III, გვ.580). მაგრამ, ყველაზე უფრო სავალალო იყო ის, რომ მონღოლები დაპყრობილ ადგილებში სახლდებოდნენ და იკავებდნენ მათ მიწა-წყალს. „მონღოლთა მომთაბარეები ეუფლებიან ნაყოფიერ საძოვრებს ჯავახეთისა და კოლის მთების ტერიტორიებზე". (9, ტ.III, გვ.586).

ზევით აღვნიშნეთ, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო სამეფოებად და სამთავროდ დაიშალა: **ქართლის, კახეთის, იმერეთის** სამეფოებად და **სამცხე-საათაბაგოდ**. ჯავახეთის მხარე სამცხე-საათაბაგოს სამთავროში გაერთიანდა. ხოლო XVI საუკუნეში ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრო და ქართული მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა გადასახლებულიყო ქართლსა და იმერეთში, ხოლო დარჩენილებს ოსმალებმა აიძულეს ისლამი მიეღოთ.

ქართლის მეფემ 1535 წლიდან, ლუარსაბ I-მა (1527–1556) შეძლო ჯავახეთის ოსმალეთისაგან განთავისუფლება.

XVI საუკუნეში ირანი და ოსმალეთი განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დასაპყრობად. ირანის შაჰი (1524–1576) თამაზ I (შაჰ-თამაზი) (1513–1578) წწ-ში, 1547 წლის იანვარში, შირვანიდან მეორედ შემოესია საქართველოს. დაარბია ჯავახეთი და ქართლი. ლუარსაბ I-ის ხელში ჩაგდება ვერ შეძლო. დიდი ნადავლით უკან გაბრუნდა. ლუარსაბ I ვერ ურიგდებოდა სამხრეთ საქართველოს დაკარგვას და 1551 წელს შეძლო სამცხე-ჯავახეთისა და კოლა-არტანის აღება.

XVI–XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის ომის დროს, საქართველოში ერთმანეთს ეცილებოდნენ ძალაუფლებისათვის მეფეები და მთავრები. აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის და სამცხე-საათაბაგოს მთავრები ერთმანეთსაც ებრძოდნენ და მეფესაც. ამით-კი მტერი სარგებლობდა და საქართველოს ადვილად იპყრობდა.

1556 წლის 29 მაისს ირან-თურქეთის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ამიერკავკასია ორად გაიყო: თურქეთის მხარეს აღმოჩნდა იმერეთის სამეფოში შემავალი მხარეები: სამეგრელოს, გურიის და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი და კლარჯეთი. ირანს ერგო: ქართლი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთის აღმოსავლეთი ნაწილი.

ქართველი მებრძოლი ძალები, თავისუფლებისათვის განაგრძობდნენ ბრძოლას.

ირანსა და ოსმალეთს შორის ჩილდირის ველზე (დღევანდელ დღეს თურქეთშია) 1578 წლის 9 აგვისტოს გამართულ ბრძოლისას სპარსელების დამარცხების შემდეგ, ოსმალებმა დაიკავეს მთლიანად ამიერკავკასია და კასპიის სანაპირომდე მივიდნენ.

1579 წელს ფეოდალთა დახმარებით, ოსმალებმა ადვილად ჩაიგდეს ხელში სამცხე-ჯავახეთი. 1590 წლის ირან-ოსმალეთის მეორე ზავის თანახმად, სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის მხარეს დარჩა და აქ **ჩილდირის** (ახალციხის) საფაშო ჩამოაყალიბეს.

ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო 24 სანჯაყებად (სადროშოებად) დაყვეს და თავისი მართვა-გამგეობა შემოიღეს. **ხერთვისის** ხანჯაყში შედიოდა: **ხერთვისის, ჯავახეთის** და **ბუზმარეთის** მიდამოები. ქ. **ახალციხე** მთავარი გამგებლის ადგილსამყოფელი გახდა.

XVI საუკუნეში ქართველი მესვეურების მიერ წარმოებულმა პოლიტიკურმა ბრძოლამ, ირან-ოსმალეთის მოძალებისა და ქართველ ფეოდალთა შეუთანხმლობის გამო, მარცხი განიცადა და სამხრეთ საქართველო (სამცხე-ჯავახეთი და სხვ.) ირან-ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა.

„ქვეყნის პოლიტიკური და სარწმუნეობრივი ექსპანსიის მიზნით დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანება, ჯერ ზედა ფენაში, ხოლო შემდეგ, ხანგრლივი ბრძოლით, ქვედა ფენაშიც. XVII საუკუნის დასაწყისიდან დაწყებული გამაჰმადიანების ეს ინტენსიური პროცესი XVIII საუკუნეშიც გაგრძელდა და XIX საუკუნის დამდეგს დასრულდა. დამპყრობლების მოძალებამ, ცხადია ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია გამოიწვია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგადაც სამცხე-ჯავახეთის ასობით სოფელი მოსახლეობისაგან დაიცალა. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის" შედგენისას ე. ი. 1595 წლისათვის, უკვე 297 სოფელი უმოსახლოდ იყო ქცეული. მიუხედავად სასტიკი ზეწოლისა, ოსმალებმა მაინც ვერ შეძლეს მთელი ჯავახი მოსახლეობის გათათრება და ჯავახეთში ქართულის მთლიანად ამოძირკვა." (96).

XVII საუკუნეში ოსმალეთი მთელ კავკასიაში გაბატონდა. საქართველოს ქალაქებშიც, თბილისში, ქუთაისში, გორში, ლორეში და სხვ. ოსმალეთის საჯარისო ნაწილები იდგა. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა სამხრეთ საქართველოს მხარე სამცხე-საათაბაგო. მდგომარება უფრო გაუარესდა ირანის შაჰის (1587–1629) შაჰ აბასის დროს, რომელიც ცდილობდა ოსმალეთის განდევნას კავკასიიდან და საქართველოს დაპყრობას. ქართველი მეფე-მთავრები ცდილობდნენ ირანის გამოყენებას თურქეთის წინააღმდეგ.

1607 წლის ზაფხულში ქართლის მეფემ (1606–1615) ლუარსაბ II-ემ (1592–1622) ირანის ერთობლივი ძალებით შეძლო სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება. მაგრამ, მცირე ხნით, 1608 წელს ოსმალებმა ისევ დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთის მხარე. 1619 წლის ირან-ოსმალეთის ზავის თანახმად, სამცხე-ჯავახეთი ისევ ოსმალეთს დარჩა.

XVII საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი ჩილდირის (ახალციხის) ფაშას გამგებლობას ექვემდებარებოდა, რომელსაც ემორჩილებოდა ჯავახეთისა და კოლის ფაშები (ქართული წყაროების მიხედვით „გოლა-ფაშა") და შავშეთის, ფოცხოვის, აჭარის, ლივანის და სხვ. სანჯაყბეგები. როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, „ეს მორჩილება იმასში გამოიხატებოდა, რომ ბეგები იყვნენ „მორჩილებასა და ლაშქრობასა ქვეშე ახალციხის ფაშისასა". (9, ტ.IV, გვ.488).

XVII–XVIII საუკუნეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, ოსმალეთისა და ირანის მიერ ნახალისებული დაღესტნელი ტომების თავდასხმების შედეგად. ქართლის მეფის (1723–1732) კონსტანტინე II-ის (გ. 1732) დროს, ქართლ-კახეთზე თავდასხმების შემდეგ, ლეკებმა სამცხე-ჯავახეთზედაც დაიწყეს თავდასხმები და ამ მხარეში ჩასახლებაც. მალე იქ ფეხი იმდენად მოიკიდეს, რომ იქედან ახდენდნენ თარეშებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებზე. ადგილობრივი ფეოდალები და თურქებიც, თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებდნენ ახალციხელ საფაშოს ლეკებს. დროთა განმავლობაში ლეკები ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყმნენ.

წყაროებიდან ცნობილია, რომ 1760 წლის 4 ივნისს ლეკებმა ჯავახეთი დაარბიეს და ტყვეები გაიტაცეს. ყარაიაზე ერეკლე II-ემ ლეკები დაამარცხა და ტყვეები გაათავისუფლა.

აუტანელი პირობების გამო, ჯავახეთიდან ხდებოდა ძირითადათ ქართველი ქრისტიანული მოსახლეობის გადასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ცნობილია, რომ ერეკლე II-ის დროს, ქართლში გადმოსახლებულან ჯავახეთიდან.

„მათთვის ხელის შეწყობის მიზნით ერეკლე ახლად დასახლებულებს შეღავათებს აძლევდა. ათავისუფლებდა რამდენიმე წლის განმავლობაში ბეგარა-გადასახადებისაგან. მოახალშენეებით სო-

ფლების დასახლებას მიმართავდა ზოგიერთი თავადიც. მეფე მათაც დროებით ათავისუფლებდა სახელმწიფო გადასახადებისაგან და ვალდებულებათაგან". (9, ტ.IV, გვ.520).

„XVIII საუკუნეში საქართველოში რუსეთის იმპერიის შემოსვლით და ე. წ. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, კიდევ უფრო გართულდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. ერეკლე II-ეს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დახმარებით შეძლებდა დაებრუნებინა სამცხე-ჯავახეთი, დაემორჩილებინა ჭარ-ბელაქანი და ლეკების თარეშსაც ბოლოს მოუღებდა საქართველოში. მაგრამ, მოტყუვდა, რუსეთს საქართველოს დამორჩილება სურდა. რაშიც, თვით ერეკლე მეფეც ბოლოს დარწმუნდა." (96).

„1788–89 წლებში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ახალციხეში ჩამსხდარი ლეკები, რომელთა თარეშმა ხშირად საფაშოს ლაშქარიც უმაგრებდა ზურგს. საქართველოს ლაშქარიც ზოგჯერ საპასუხო თარეშებს აწყობდა და ხალხსა და ქვეყანას უნადგურებდა მტერს. მაგ.: ერეკლეს დავალებით 1789 წ. ჯავახეთ-ყარსის ქვეყნებში ილაშქრა ერეკლეს შვილიშვილმა დავით გიორგის ძემ. ქართველებმა მტერი იოლად დაამარცხეს. ჯავახეთში აიღეს გაჩიანისა და კულალისის ციხეები და სხვ. გამარჯვებული დავითი დიდი ნადავლით დაბრუნდა უკან.

ასეთივე რეიდები განახორციელა დავით ბატონიშვილმა ყარსის მხარეში. მან ამ ექსპედიციის დროს გადავლო ჯავახეთი და ყარსის საფაშოში აიღო ინჯალარის, ჟომუშლის, ფოლდევანის გამაგრებული ციხეები, დაამარცხა მტრის ნაწილები, ქვეყანას თარეში გაუსია და დიდძალი და 1500 ტყვით უკან დაბრუნდა. დავით ბატონიშვილის აღნიშნული ექსპედიციები ემთხვევა იმ დროს, როცა მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. ქართლ-კახეთის სამეფო, როგორც რუსეთის მოკავშირე ქვეყანა, შესაძლებელია კვლავ ფიქრობდა დაზავების დროს სამხრეთ-საქართველოს რაიმე ნაწილის ამ შემთხვევაში ჯავახეთის შემოერთებას. ისევე როგორც ამ პერიოდში იმერეთის სამეფო იბრძოდა ფოთისა და ბათუმის დაბრუნებისათვის". (39, გვ.99).

ამავე ხანებში, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ მიზანდასახულად, ჯავახეთში, დაიწყო დიდი რაოდენობით, თურქეთიდან დევნილი სომხური მოსახლეობის ჩასახლება.

„ომის პროცესში ოსმალური პროპაგანდისა და თვით მეფის რუსეთის „ქრისტიანული" პოლიტიკის შედეგად აღნიშნულ რაიონებში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი (გამუსლიმანებული) ოსმალეთში გადასახლდა.

სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ახალციხის მაზრაში განთავისუფლებული ადგილები მიეცათ ქართული მოსახლეობისათვის, რომელსაც საკმაო მიწები არ გააჩნდათ.

„1828 წლითგან მოყოლებული, – წერდა ივ. ჯავახიშვილი, – როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთითგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30 000 მცხოვრები ჩაასახლა... მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სომეხნი იქცნენ".

ახლად შექმნილ „ახალციხის ოლქში" 1830 წ. მცხოვრები 38 730 სულიდან 25 545 სომეხი იყო, ქრისტიანი ქართველი – 1 859, ხოლო მაჰმადიანი 10 663. იქვე სახლდებოდნენ ბერძნები და ებრაელებიც". (9, ტ.IV, გვ.884).

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის 80-იან წლებში სომეხი მელიქების თხოვნით, ერეკლე II-ემ „ისინი შეივრდომა" და ირანიდან ჩამოასახლა სამხრეთ საქართველოში: ქვემო ქართლში, ბამბაკში და შორაგელში. „ეს მელიქები ფაქტიურად საქართველოს თავადებად იქცნენ. მათი უფლებრივი მდგომარეობა ამ დროს ერევნის სახანოში არსებული მელიქების უფლებაზე გაცილებით დიდი იყო". შემდგომში, ზოგიერთი ჩამოსახლებული სომხები ისე გაძლიერდნენ, რომ მაგ. „მელიქ აბოვი ხშირად ადგენდა რაზმებს, თავს ესხმოდა ჯავახეთს, მოქონდა იქედან ნადავლი და მოყავდა ხალხი, რომელსაც ასახლებდა თავის სათავადოში. (შესაძლებელია გრიგორიანულ სარწმუნეობაზე გადაყ-

ავდა). სომეხ მელიქთა და მდიდარ ვაჭართა ლოლიავს ერეკლემ ქვემო ქართლი კინაღამ გადააყოლა." (39, გვ.344).

წყაროებიდან ცხადი ხდება, რომ როდესაც ი. პასკევიჩმა 1828 წლის აგვისტოში ქართველთა დახმარებით, ახალციხე აიღო, მადლობის მაგიერ, დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ და რა გზით გაეწმინდა დაპყრობილი და ადრე შემოერთებული ადგილებიდან ადგილობრივი მოსახლეობა და იქ ჩაესახლებინა სომხები.

„1828 წლის 26 ივლისს მთავარმმართველი პასკევიჩი ნესელროდს სწერდა, რომ: „ჯავახეთი – საუკეთესო ადგილია რუსი კოლონისტებისათვის...". დაიწყო თრიალეთიდან და ჯავახეთიდან ქართველების მასიური გასახლება და მათ ადგილზე თურქეთიდან დევნილი სომხების, ბერძნების და სხვა უცხოტომლების ჩამოსახლება. სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი გამაპმადიანებული ქართველების დიდი ნაწილი, რომელიც არ ენდობოდა რუსეთის ხელისუფლებას, რადგან იგი ყველანაირად ავიწროვებდა მათ, აიყარა (უმეტესად, ახალქალაქის მაზრიდან, დაახლოებით, 100 000 კაცი) და თურქეთის სიღრმეში გადაიხვეწა. უკეთესი დღე არ დაადგა არც დარჩენილ ქრისტიან ქართველობას. ამდენი კოლონისტების მოძალებას არ ეყო გამოთავისუფლებული სახლები და დაიწყეს სომხების ძალად შესახლება მარტოხელა მოხუცებთან, ქალებთან და არასრულწლოვანებთან, რომელნიც ველარ ახერხებდნენ თავიანთი საკუთრების – სახლის, კარ-მიდამოს დაცვას, ამიტომ უკანმოუხედავად გარბოდნენ. ქრისტიანი ქართველების დიდმა ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შეაფარა თავი." (96).

1829 წლის 3 აგვისტოს ი. პასკევიჩის მითითებით შედგა გადმოსახლების განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც შეადგინა სპეციალური გეგმა გადასახლებისა და ჩასახლების შესახებ.

სწორედ ამ დროს, 1828–1829 წლებში, თურქეთის ვილაეთებიდან (ადმინისტრაციული ტერიტორიული სამმართველო ერთეული): ყარსიდან, ერარუმიდან და ბაიაზეთიდან, ძირითადათ, სამცხე-ჯავახეთში ჩაასახლეს თითქმის 34 000 სომეხი.

პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი დ ა ვ ი თ მ ა ი ს ურ ა ძ ე წერს:

„გავიხსენოთ ერთი მაგალითი: „1829–1839 წლებში პასკევიჩმა ერზრუმის სომხობა რომ ჩამოასახლა ჯავახეთში, მათ წინ მოუძღოდათ ეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი! როცა მოახალშენეთა პირველმა ნაკადმა ჯავახეთის ქართულ მიწას ფეხი დაადგა, კარაპეტ ეპისკოპოსმა სამჯერ მიწას ჯოხი დაჰკრა და სთქვა – „ჩემი ხალხი სომხური მიწიდან მშობლიურ მიწაზე მოვიდაო"... – რას ნიშნავდა მისი სიტყვები? ის და მისი ხალხი არ იყვნენ სომხები? თუ არ იყვნენ რატომ სომხობდნენ? ამ წინადადებაში ლოგიკური აზრი არ დევს. რაც შეეხება ამ კარაპეტს, მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა ჯავახეთში სომხობის ჩამოსასახლებლად და ქართველების ამოსაძირკვლად. დღეს კი ჯავახეთის სომხებმა ისარგებლეს ქართველთა რბილი, რაინდული კეთილშობილებით და ახალქალაქი კარაპეტის ძეგლით დაამშვენეს". (59).

სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლებული სომხები სახლდებოდნენ დაცარიელებულ სოფლებსა და ქალაქებშიც. და მალე დაიკავეს მთელი ჯავახეთი და ახალციხის მხარე. „იყო შემთხვევები, როცა კოლონისტები თვითნებურად იტაცებდნენ სხვა სოფლის მიწის ნაკვეთებსაც....

რაც დრო გადიოდა, სომეხი კოლონისტები თანდათან ეგუებოდნენ სამცხე-ჯავახეთში ცხოვრებას, მტკიცედ მკვიდრდებოდნენ და მხრებს შლიდნენ". (39, გვ.360).

ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ვ ე რ მ ი შ ე ვ ი და ზ ა გ ურ ს კ ი სომხების შესახებ აღნიშნავდნენ: „ჩამოესახლნენ სომხები თურქეთის მხრიდან, – შენიშნავდა ვერმიშევი, – ახალქალაქის მაზრა თითქოს დაპფარეს მჭიდრო მოსახლეობით, რომელთა შორის აქა-იქ პატარა ოაზისებად დარჩნენ ქართული სოფლებიო" მათში ყოველმხრივ იყო გაღვივებული ნაციონალური შეგნება. ქვეყანა ისეთ სახეს იღებს, – წერდა ზაგურსკი, – თითქოს იგი თავიდანვე სომხებით ყოფილიყო დასახლებული.

ახალმა მშენებლობებმა მოსპო მარჯვენა ნაპირის ჯავახეთის ტყის უკანასკნელი ნარჩენები. რაც მთავარია, ამ მშენებლობების დროს დაიღუპა ბევრი ძველი, დიდებული ქართული ძეგლი. მაგ. სოფ. დილისკის, ხულგუმოს, სულდის, როდიონოვსკის (თამარაშენი) და სხვა სოფლებში ახ-

ალმოსახლეებს ძველი ქართული ეკლესიები დაუნგრევიათ და მისი „მასალა ახალზე გაუხმარიათ". ასეთი ვითარება XIX ს. ბევრი პატრიოტი ქართველის შეშფოთებას იწვევდა". (39, გვ.360).

სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებული სომხების მოქმედებების შესახებ, იწერებოდა აღმაშფოთებელი წერილები. მთავრობასაც მიმართავდნენ, მაგრამ, რუსეთის ხელისუფალნი ამას რა თქმა უნდა არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

„1878 წ. როცა ბერლინის ტრაქტატის ძალით ყარსის ვილაეთი რუსეთს შემოუერთდა, იქ ადრე ჯავახეთიდან გადასახლებული ქართველი მაჰმადიანები ხელახლა გაასახლეს თურქეთის სიღრმეში: მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოში შემოსახლებულ სომხებს მაინც თავიანთ მამაპაპეულ მიწაწყალზე დააბრუნებდნენ, მით უმეტეს, რომ მრავალ სომეხ მოახალშენეს იქით ეწეოდა სამშობლოს სიყვარული.

ცარიზმა ანგარიში არ გაუწია არც ქართველთა და არც სომეხთა სურვილს და ყარსის ოლქის დაცარიელებულ ადგილებში დასასახლებლად მოუწოდა რუს სექტანტებსა და მალაკნებს, აგრეთვე ბერძნებსა და სამსახურგავლილ სალდათებს. ყველა მათ მიწის საკმაოდ ფართი ეძლეოდათ, როგორც სახაზინო გლეხებს". (39, გვ.362).

1919 წელს ი. ჯავახიშვილი წერდა:

„სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველეს დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს... ეს რომ განხორციელებულიყო, მათ ამ მაზრის ტფილისის გუბერნიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს სამზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმმართველი ოლქი შეექმნათ. ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ., როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ალ. ვორანცოვ-დაშკოვი იყო. მათი წადილი რომ უფრო სამართლიანად და ობიექტურ მოსაზრებით ნაკარნახევად სჩვენებოდა ადამიანს, სომხებმა საბუთად ისიც კი წამოაყენეს, ვითომც ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიურად ტფილისის გუბერნიასთან კი არა, არამედ გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული". (3, გვ.49). იმავე წელსვე, ვორონცოვის დავალებით შედგა საბჭო, რომელმაც „ბჭობის შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთმხივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება....

მართლაც-და საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულება ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან)" (3, გვ.50–51).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1918 წლის 26 მაისს საქრთველოს დემოკრატიული რასპუბ-ლიკა გამოცხადდა. სომხეთის რესპუბლიკის დაშნაკურმა მთავრობამ 1918 წლის 9 დეკემბერს დაიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ, სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებად. სომხები ცდილობდნენ სამცხე-ჯავახეთის მიტაცებასაც და აქ თავიანთი უფლებების გამოცხადებას. მათი განცხადებით, სამცხე-ჯავახეთში უძველესი დროიდან სომხები ცხოვრობდნენ და ეს მიწა-წყალი მათი კუთვნილება იყო. ამ ომში სომხები დამარცხდნენ.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ამავე წლის 25–27 ივნისს თბილისში გამართულ სხდომებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული საკითხების შესახებ, სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, ისევ მოითხოვეს, რომ სომხეთს გადაცემოდა ახალქალაქის მაზრა, ჯავახეთის მხარე. კომისიის სხდომის ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ: „ახალქალაქის მაზრა სომხეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს (მოსახლეობის 72% სომხობაა), ამისათვის ამ მაზრაში უნდა ჩაერთოთ ორი სომხური სოფელი მოლიტი და ყიზილ-კილისი, რომლებიც ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთითაა არჯევანის ქედამდე. ამასთან აღნიშნულ რაიონებს უნდა გამოაკლდეს ხიზბავრის ქართული მოსახლეობიანი უბანი". (38, გვ.20). დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, 1921 წლის 16 ივლისის ოქმის №1 დადგენილებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ საქ. კპ. ცეკ-ის პოლიტბიუროს სხდომაზე,

დღის წესრიგში იდგა 2 საკითხი: „ნეიტრალური ზონის საკითხი (იხ. ზევით, ლორე) და ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საკითხი.

მოისმინეს:

1. ნეიტრალური ზონის შესახებ....

2. იმის შესახებ, რომ ახალქალაქის და ხრამის რაიონები გადაეცეს საბჭოთა სომხეთს გადასახლება-დასახლების ფონდისათვის.

დაადგინეს:

1. დადასტურდეს რკპ ცკ-ის კავბიუროს დადგენილება საბჭოთა სომხეთისათვის ამ ზონის გადაცემის შესახებ....

2. პოლიტიკური მოსაზრებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან არის დაკავშირებული, ამხანაგი სომხების წინადადება მიუღებლად ჩაითვალოს". (38, გვ.24). ამავე წლის 3 აგვისტოს საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმის სხდომის (ოქმი №28) დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „დადასტურდეს პოლიტბიუროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ამხ. სომხებს უარი ეთქვათ სომხეთის სსრ-თვის ახალქალაქის და ხრამის რაიონების დათმობის წინადადებაზე". (38, გვ.25). ასე, რომ სამცხე-ჯავახეთი ისევ საქართველოს საზღვრებში დარჩა.

საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც ქართველები, სომხებთან ერთად, „მოძმე და ძმურ" საბჭოთა რესპუბლიკებს, სოციალისტურ და კომუნისტურ სახელმწიფოებს ვაშენებდით, ისევე როგორც აფხაზეთში და ზემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთშიც, საბჭოთა ხელმძღვანელები, შეფარვით ხელს უწყობდნენ ქართველების წინააღმდეგ ეროვნულ უთანხმოების გაღვივებას. რაც კიდევაც საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვებისთანავე (1991 წ.) გამოვლინდა.

თავისუფლების მოპოვებისთანავე, რუსეთის ხელმძღვანელების ხელშეწყობით, სომხეთში და ჯავახეთში, საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილმა „ვაი მეცნიერებმა", ხელახლა დაიწყეს საქართველოს საწინააღმდეგოდ ქადაგება და სომეხი ხალხის დაპირისპირება ქართველების წინააღმდეგ. ეს „მეცნიერები", როგორც უწინ ხდებოდა, დღესაც განაგრძობენ, საქართველოსა და ჯავახეთის ისტორიის გაყალბებას, ქართველი მეცნიერებისა და ხალხის აუგად ხსენებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ადრე, ი. ჭავჭავაძემ წერილში „ქვათა ღაღადში" (იხ. ზემოთ), ხოლო შემდეგ, არაერთმა ცნობილმა პიროვნებებმა, ამხილეს ამდაგვარი სომეხი „მეცნიერები".

დღევანდელ დღესაც, სომხეთში ჩამოყალიბებულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა („ჯავახკი" და სხვ.) ითხოვენ, რომ: შეიქმნას ჯავახეთის ავტონომია, შეუერთდეს სომხეთის რესპუბლიკას და „სომხური ეკლესიები" გადაეცეს სომხეთს.

1919 წლის იანვარში, ჯავახეთში, მოხდა აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელეობდა ახალციხეში მცხოვრები ოსმან სერვერ-ბეგ ათაბაგ-ჯაყელი (სერვერ-ბეი ათაბეკოვ-ქვაბლიანსკი) (1886–1962). მან 1918 წელს ჩამოაყალიბა მესხეთის მუსლიმთა ეროვნული საბჭო და სათავეში ჩაუდგა პანთურქისტულ მოძრაობას. გ. მაზნიაშვილის გადმოცემით, 1 თებერვალს სოფ. **ახალისაში, უდისში** და **ვახნართან** მყოფ ქართულ ჯარს აჯანყებულები თავს დაესხნენ „და ჩვენი ძალები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ". ამის შემდეგ, „ყარსში დაარსდა მუსილმანების ცალკე რესპუბლიკა". (35, გვ.133). ქართული ჯარები მოუმზადებლობისა და შეუთანხმებლობის გამო უკან იხევდნენ და თებერვლის შუა რიცხვებში აჯანყებულებმა დაიკავეს ახალქალაქი და ახალციხეც და გამოაცხადეს ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის" შექმნა. ამავე თვეში, ქართული ჯარების უფროსად დაინიშნა, იმ დროს ბორჯომში მყოფი, ცნობილი გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874–1970).

„გენერალმა კვინიტაძემ მთავრობას ულტიმატური მოთხოვნილება წარუდგინა, სანამ ჩემს განკარგულებაში თავს არ მოიყრის 10 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ბორჯომიდან წინ ფეხს არ გადავდგამო.

მთავრობა იძულებული იყო შეესრულებინა ეს მოთხოვნილება". (35, გვ.144).

გენერალ გ. კვინიტაძის ხელმძღვანელობით 1919 წლის თებერვალშივე ქართულმა ჯარმა გაანადგურა აჯანყებულები. **ახალციხე** და **ახალქალაქიც** აიღო და განაგრძო შეტევა და ამავე წლის

20 აპრილს **არტანიც** აიღო. ამრიგად, საქართველოს შემოუერთდა მთელი **შავშეთი, კლარჯეთი, არტანი** და **ართვინიც**.

სერვერ-ბეგი თურქეთში გადავიდა. როდესაც, 1923 წელს, თურქეთში გვარები შემოიღეს, სერვერ-ბეგმა გვარად ათაბეგი აირჩია. მან პოლიტიკას მიანება თავი და ინჟინრად მუშაობა დაიწყო.

შ. ლომსაძე აღნიშნავს, რომ XVI საუკუნის ბოლოს, დიდ **არტანის** ოლქში, ჩილდირის ტბის მახლობლად მდებარე სოფელმა **ველმა**, მძიმე ბრძოლები გადაიტანა თურქების წინააღმდეგ. „1578 წ. ჩილდირის ციხე, თეთრციხე, ქაჯთაციხე, ველისციხე მებრძოლ მხარეებს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. ბრძოლაში ველის მოსახლეობა შესამჩნევად შემცირდა. 1595 წ. თურქების მიერ დაპყრობილ ველში 30 კომლიღა ცხოვრობდა". მიუხედავად ამდენი ბრძოლებისა, ველის ქართველობამ მაინც შეძლო შეენარჩუნებინა ქართული ენა და ქრისტიანობა. „XVIII ს. დასაწყისში იგი მაჰმადიანური ოკეანეში დარჩენილ კუნძულს ჰგავდა". (39, გვ.363).

1737 წელს ველში კაპუცინების ორდენის წარმომადგენლები გამოჩნდნენ და მათ, თანდათან ნაწილი ველის მცხოვრებლებისა გააკათოლიკეს.

„აღსანიშნავია, რომ ველის ქართულ კათოლიკებს თავიდან ქართული რიტი ჰქონდათ დამტკიცებული რომის კონგრეგაციის მიერ". (39, გვ36). მაგრამ, შემდგომ წლებში ველში ერთმანეთს ეცილებოდნენ ანტიოქიის პატრიარქი, სომხურ კათოლიკური, სომხურ გრიგორიანული და ლათინური ეკლესიები.

მუსულმანურ სამყაროში მოხვედრილი ველის ქართველების ენამაც განიცადა სახეცვლილება. როგორც ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე **მიხეილ თამარაშვილი** (1858–1911) გადმოგვცემს, ველის ქართველები „რასაც ერთი ენით ვერ გაიგებდნენ" ამ სოფლის მკვიდრნი, მის გაგებას ახერხებდნენ „მეორე ენით" და პირიქით, ველელი ქართველები ამ ვითარებას იმას მიაწერდნენ, რომ 70-იანი წლებიდან მათ ქართველი ტიპიკონის ნაცვლად სომხური ტიპიკონი დაუკანონეს. ველელები რომს ევედრებოდნენ – „ჩვენ ქართველი გვარის კათოლიკენი ვართ" და ისეთი მღვდელი მოგვეცით, რომ „ჩვენს სულებს მოუაროს ჩვენს ქართულ რიგზედაო", მაგრამ რომმა მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა, ისინი ბოლომდე სომხურ კათოლიკურ რიტს შერჩნენ. ველში ხშირად დაიარებოდნენ ახალციხის ქართველი კათოლიკენი და მათ ბედზე ისინიც წუხდნენ". (39, გვ.363).

1829 წლის ზაფხულში ველის მცხოვრებლები ჩამოსახლებულან ჯავახეთში, ახალქალაქის ფალავანდიშვილების სოფლებში: **ბავრაში, ხულგუმოში, კარტიკამში** და **ტურცხში**. 1830 წელს ეს სოფლები შეუსყიდია ხაზინას. სწორედ ამ დროს რუსეთის ხელისუფლებამ, სამცხე-ჯავახეთში ჩამოასახლა არზრუმიდან სომხები. ნაწილი სომხებისა ჩასახლებულან ველელთა სოფლებში. მთავრობამ ველელებს ეკლესიებში დაუკანონა სომხური რიტი (წესი). ამავე დროს, სომხური სასულიერო სასწავლებლებიც გახსნეს და ასეთ პირობებში მოქცეულმა ველელებმა თანდათან სახე იცვალეს.

1883 წელს ჯავახეთში ქართველ და სომეხ კათოლიკებს შორის ცხარე კამათი ამტყდარა „ტომობრიობაზე და გვაროვნობაზე". ამ საკითხის შესასწავლად, მთავრობას გამოუყვია კომისია. 1885 წელს საბოლოოდ კომისიის წევრებმა დაადასტურეს, რომ ველელები „წარმოშობით და ყოფაქცევით" მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ. 1841 წლამდე ქართულ ტიპიკონს ხმარობდნენ და ქართულად ლოცულობდნენ. ხოლო ეხლა კი იძულებულნი არიან სომხური ენა ისწავლონ და სომხურ ენაზე ილოცონ. თუმცა, კომისიის „დასკვნებს ჯეროვანი შედეგი არ მოჰყოლია. სოფელ ველის ეს მეტად საგულისხმო თავგადასავალი სხვადასხვა ფორმით ნიშანდობლივია სამცხე-ჯავახეთისა და მთელი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნანილისათვის". (39, გვ.365).

მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, ველელები მაინც ინარჩუნებდნენ ქართულ იერსახეს XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ამავე საუკუნის ბოლოსათვის-კი უკვე მთლიანად გასომხდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის, ამ ისტორიულ მესხეთის შემავალ ნაწილში, ოსმალთა გამაჰმადიანობის მოძალებისას, ქართველებს, რომ შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა, კათოლიკები ხდებოდნენ. ვინაიდან თურქები შეთანხმდნენ კათოლიკურ ეკლესიასთან, რომ არ შეავინროებდნენ მათ მიერ დაპყრობილ მიწებზე მცხოვრებ კათოლიკებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელ დღეს მესხეთ-ჯავახეთში, მცირე რაოდენობით არიან თურქულენოვანი ქართველი კათოლიკეები და მუსულმანები, უფრო მეტნი თურქულენოვანი სომეხი კათოლიკები, ხოლო უმრავლესობას შეადგენენ სომეხი – გრიგორიანელები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური აღრიცხვის დროს ქართველი კათოლიკები მიათვალეს სომეხ კათოლიკებს.

კ. მეტრეველი ველელი ქართველების შესახებ აღნიშნავს:

„ამ კუთხეში ქართული ეთნოსის ამოძირკვის მიზნით, დაიწყეს ქართველთათვის ჯერ უცხო აღმსარებლობის ძალად თავს მოხვევა, ხოლო შემდეგ აღმსარებლობის ეროვნულობასთან გაიგივება. ამ გზით ბევრი ქართველი ჯერ გრიგორიანულ და სომხურ კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადაიყვანეს, შეუცვალეს გვარ-სახელები, ხოლო შემდგომ მოსახლეობის აღწერისას, მათ ეროვნებად – სომეხი, ხოლო გამუსულმანებულ ქართველებს – თათარი, მოგვიანებით კი – აზერბაიჯანელი ჩაუწერეს.“ (96).

კ. მეტრეველი გადმოგვცემს, რომ:

„დღეისათვის, ჯავახეთის დაახლოებით 390 სოფლიდან, 280 ნასოფლარადაა ქცეული, ხოლო დასახლებული 110 სოფლიდან, მხოლოდ 30-შიღა სახლობენ ქართველები (ბევრ მათგანში, სომხებთან ერთად). დანარჩენი სოფლები მთლიანად სომხებით და მცირედით დუხობორებითაა დასახლებული.“ (96).

„1948–49 წლებში ალგეთის ხეობაში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევების დროს პატარა ენაგეთში, ვარდისუბანში, ვაშლოვანსა და სხვა სოფლებში დაფიქსირდა ქართულად მოლაპარაკე მოსახლეობა, რომლებიც აღმსარებლობით არაქალკედონელები იყვნენ. ამ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება დავუშვათ ორი ვარიანტი: ესენი ან ქვემო ქართლში მოსახლე უძველეს ქართველთა შთამომავლები არიან, რომლებმაც ქალკედონური მრწამსი შეიცვალეს, ან შედარებით გვიან მოსული სომხები, რომელთაც მშობლიური ენა დაკარგეს. შერეულ სოფლებში საურთიერთობო ენას ქართული წარმოადგენდა“. (68).

„საბჭოთა ოკუპაციის“ დროს „საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა: 1926 წელს 307,018 სომეხი; 1939 წელს – 414,182; 1959 წელს – 443,9; 1970 წელს – 452,3; 1979 წელს – 448,0; 1989 წელს – 437,2“. ხოლო, საქართველოს ხელახლა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, „საქართველოს მოსახლეობის უკანასკნელი, 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყანაში სომეხთა რაოდენობა იყო 248, 929, რომელთაგან 82,586 თბილისში ცხოვრობდა“. ჩამოსახლებული სომხები, „სხვადასხვა ოდენობით ცხოვრობენ ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით მრავლად არიან თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში“. (68).

დღევანდელ დღესაც, განაგრძობენ რუსეთში და სომხეთში მყოფი, ე. ნ. „ვაი მეცნიერები“ ქართველების საწინააღმდეგო, „ისტორიულ“, „ხელოვნების“ და სხვა. ნაშრომების გამოცემების. სადაც სიყალბით არის ასახული საქართველოს ისტორია, ხელოვნება და სხვა. მათი თქმით ჯავახეთი სომხეთის მიწა-წყალი ყოფილა, ჯავახეთში შემორჩენილი უძველესი ქართული ძეგლები სომხურ ტაძრებად არის გამოცხადებული, ~~ვარძიაც~~ „ვარძუნიკად“ გამოაცხადეს და ის თურმე მართლმადიდებელ სომხებს აუშენებიათ და სხვ. ჯავახეთის სახელწოდებაც „ჯავახქი“-თ არის მოხსენებული. კ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ: „ბუნებაში „ჯავაქ“ და იქ მაცხოვრებელი „ჯავახქი“ არც არსებობდა და არც არსებობს! – ეს „ჯავახეთი“-ს და „ჯავახი“-ს გასაყალბებლად სომეხი პროვოკატორების მიერ მოგონილი ყალბი ტერმინებია და სულაც არ უწყობს ხელს ჯავახეთის ისტორიულად ქართულ მიწა-წყალზე ორი მოძმე ერის წარმომადგენელთა მშვიდობიან თანაცხოვრებას და მეგობრობას.“ (96).

2.5. ბასიანი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკას თუ დავხედავთ, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარის სამხრეთით, აღნიშნულია მხარეები: **არტაანი, კოლა, შავშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი, სპერი** და **ტაო.** ხოლო ამათ ქვემოთ, საქართველოს უკიდურესი სამხრეთით მდებარე მხარე **ბასიანი.**

ადრე, ბასიანი მესხეთის ნაწილს წარმოადგენდა. ის მდებარეობდა მდ. არაქსის (არეზი) სათავის, ბინგოლიის ქედის მიდამოებში (დღევანდელ დღეს თურქეთშია).

პ. ინგოროყვა ბასიანის მხარეთა ტერიტორიულ-გეოგრაფიულ დანაწილების შესახებ წერს: „ბასიანის მხარენი ისტორიულად და გეოგრაფიულად განიყოფება ორ მხარედ:

1. პირველი მხარე – საკუთრივ ბასიანი ანუ ბასიანნი, რომელიც მდებარეობს თვით მდინარე არაქსის ხეობაში. ეს მხარე, საკუთრივ ბასიანი (ბასიანნი) – ესაზღვრება მესხეთის ტაოთა პროვინციას.

2. მეორე მხარეა ზემო-ბასიანი, ანუ ვანანდი, იგივე კარის მხარე. იგი ძირითადში განფენილია არაქსის შემდინარის კარის-წყალის (ყარსის-წყლის) ხეობაში. ეს მეორე მხარე ზემო-ბასიანი ანუ ვანანდი (კარის მხარე), ასევე ესაზღვრება მესხეთს: ტაოთა პროვინციას და კოლასა და პალაციოს კანტონებს.“ (4, გვ.518).

მეცნიერთა მტკიცებით, სახელწოდება „ბასიანი“ წარმოსდგა, კოლხური ერთ-ერთი ტომის „ფასიანი“-ს სახელისაგან. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ:

„ანტიკური ხანის წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ძველი თავდაპირველი ფორმა ბასიანის მხარეთა სახელწოდებისა იყო „ფასიანი“. მხარეს რქმევია „ფასიანი“, ხოლო აქ მოსახლე ქართველ ტომს ეწოდებოდა ფასიანნი ანუ ფასიანელნი....

ირკვევა ამასთან ისიც, რომ ანტიკურ ხანაში მდინარე არაქსს, მისი მდინარების ზემო ნაწილში (ე. ი. ბასიანის ზონაში), რქმევია ფასისი....

სახელწოდება მდინარისა ფასისი ქართული წარმოშობისაა. ძველ ქართულ დიალექტებში სიტყვა „ფასი“... ნიშნავდა წყალს.... ამიტომ არის, რომ ეს სახელწოდება „ფასისი“ მიემართება მთელ რიგ მდინარეებს საქართველოში. ფასისი ერქვა რიონს, ფასისი ერქვა ჭოროხს (აკამ-ფასისი ანუ კაკამ-ფასისი, იგივე კაკამ-მდინარე); ასევე ფასისი რქმევია აგრეთვე მესამე მდინარესაც, არაქსს, მისი მდინარების ზემო ნაწილში, სადაც ქართული მოსახლეობა იყო.

მხარის მთავარი მდინარის ამ სახელწოდებასთან („ფასისი“) ცხადია დაკავშირებულია მხარის სახელწოდება „ფასიანი“ და სატომო სახელწოდება „ფასიანნი“, „ფასიანელნი“.

მეორე სახელწოდება ბასიანის მხარეში მოსახლე ქართველი ტომისა ყოფილა: ბოლხარი, ბოლხი, ბოხაელნი.

ეს სატომო სახელწოდება დაკავშირებულია ბასიანის მხარის ძველი ცენტრის სახელწოდებასთან; ბასიანის მხარის მთავარ ცენტრს, როგორც ცნობილია, ერქვა ბოლი resp. ბოლოჲ“. (4, გვ.519).

უძველესი ქართული ტომებით დასახლებული ეს მხარე, ძველთაგანვე წარმოადგენდა საცილობელ ადგილს სომხეთს, რომს, არაბებს, ბიზანტიას და საქართველოს შორის. ყველა ცდილობდა მის დაუფლებას. სომხეთის სამეფოს ჩამოყალიბების (ძვ. წ. III-II სს-ში) დროს, მისი საზღვრების გაფართოება, რა თქმა უნდა, ხდებოდა მეზობელი სახელმწიფოების მიწების დაპყრობით. ამ დროს უკავშირდება სომხეთ-საქართველოს ომები. ლეონტი მროველის გადმოცემით, ძვ. წ. II საუკუნის 80-იან წლებში, იბერიის მეფეებს აზორკის და არმაზელს, ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებთან: დურძუკებთან, დიდოელებთან, ჯიქებთან, ლეკებთან, ოსებთან და პაჭანიკებთან ერთად, გაულაშქრიათ სომხეთის წინააღმდეგ. „შევიდეს ესენი სომხითს და უგრძნულად წარმოსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანადმდე და ბასიანამდე, და შეიქცეს და ჩატყუენეს დაშტი ვიდრე ნახჭევანამდე, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ, და აღივსნეს ყოვლითაევ ხუასტაგითა და გამოვლეს გზაჲ ფარისოსისაჲ.“ (5, გვ.59). შემდგომ, როდესაც სომხეთის სამეფო მომძლავრდა, ბასიანი სომხეთის სამეფოს გამგებლობაში მოექცა და მის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, ახლო აღმოსავლეთში რომის იმპერიის მიერ წარმოებული ომების დროს, რომაელები ებრძოდნენ სომხეთის სამეფოსაც.

ცნობილია, რომ რომის იმპერატორი 81 წლიდან ტიტუს დომიციანე (51–96) შეიჭრა სომხეთის სამეფოში მყოფი ბასიანის ოლქში. შემდგომში, 384 წელს ბასიანი ირანის საზღვრებში მოექცა.

მცირე აზიაში, არაბთა აღზევებისას, ბასიანის დასაპყრობად მიმდინარეობდა ბრძოლები. VII–VIII საუკუნეებში ბასიანი არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. ხოლო არაბთა სახალიფოს დასუსტების შემდეგ, ბასიანის დაუფლებას ცდილობდა ბიზანტიის იმპერია და ის ბიზანტიასა და საქართველოს შორის ცილობის ადგილი გახდა.

წყაროებიდან ჩანს, რომ X საუკუნის დასაწყისში, ბასიანი მოექცა, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, ჩამოყალიბებული ტაო-კლარჯეთის სამთავროს (საკურაპალატო) საზღვრებში.

X საუკუნის შუა წლებში, მცირე აზიაში, არაბების წინააღმდეგ იბრძოდა ბიზანტია და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ, მალე 70-აინ წლებში, აჯანყებების გამო, ბიზანტიის საშინაო მდგომარეობა გართულდა და მცირე აზია (976–979) წლებში „სამოქალაქო ომის ასპარეზად იქცა, ბრძოლას იმპერატორის წინააღმდეგ სათავეში ედგა მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატიის ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენელი ბარდა სკლიაროსი. საიმპერატორო ხელისუფლებას დიდად გაუძნელდა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლა და დახმარებისათვის ტაოს მეფე დავითს მიმართა“. (9, ტ.II, გვ.477).

ტაოს მეფის, დავით III დიდის დროს, ტაოს საზღვრებში, X საუკუნის 60-იან წლებში მოექცა **ჩრდილო ბასიანი, თორთუმი** და **სპერიც**, ხოლო ბიზანტიასა და ტაოს საზღვარი, მდ. არაქსზე გადიოდა. დავით III მეფის დახმარებით ბიზანტიელებმა აჯანყებულები დაამარცხეს და ბიზანტიის იმპერატორმა 970-იდან ბასილი II ბულგართმმპყრობელმა, გაწეული დახმარებისათვის დავით III-ეს უწყალობა, სიცოცხლის ბოლომდე **„ზემონი ქვეყანანი“**.

პ. ინგოროყვა „ზემონი ქვეყანანი“-ს შესახებ აღნიშნავდა:

„ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში, ვიდრე მეორე – პირველ საუკუნეებამდე ძველი წელთაღრიცხვისა, ქართველი ტომებით დასახლებული იყო არა მხოლოდ მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, არამედ ქართველ ტომებს ეჭირათ აგრეთვე არაქსისა და ევფრატის ხეობათა ზემო-ნაწილი.

სახელდობრ, ქართველ ტომთა ტერიტორიის ფარგლებში დასახელებულ ეპოქაში შედიოდა შემდეგი პროვინციები, მდებარე არაქსისა და ევფრატის ხეობებში:

ა) ი ბ ე რ ი ე ლ თ ა და მ ე ს ხ თ ა ტერიტორიის ფარგლებში: ხორძენი, პარიადრის მთანეთი (მარდალის ზონა), ბასიანის მხარენი, არაქსის სასპერეთი;

ბ) პონტოს ქართული ტომების ხ ა ლ ი ბ ე ბ ი ს ჯგუფის (ხ ა ლ ი ბ ე ბ ი ს, მ ო ს ი ნ ი-კ ე ბ ი ს და ხ ე თ ა ო ნ ე ბ ი ს) ტერიტორიის ფარგლებში: კარინი, დერჭანი, აკილისენი, მუძური (ანტიტავროსის მხარე)....

იბერიელების, მესხების და პონტოს ქართველი ტომების მოხსენებული პროვინციები მდებარე ევფრატისა და არაქსის ხეობებში, შეადგენენ ტერიტორიას, რომელიც ამჟამად შედის თურქეთის სამ ოლქში: ყარსისა, არზრუმისა და ერზინჯანის ვილაეთებში...

როგორც ეს ირკვევა სტრაბონის ცნობათა მიხედვით, უმრავლესობა ამ პროეინციებისა საქართველომ დაპკარგა პოლიტიკურად მეორე-პირველ საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა, როდესაც სომხეთმა გაავრცელა თავისი გავლენა ევფრატისა და არაქსის ხეობათა ამ სექტორებზე.

პირველ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა, როდესაც იბერიამ დიდ პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია, მან შესძლო ისევ დაებრუნებია ეს ქვეყნები...

ეს ტერიტორიები მოქცეულია იბერიის ფარგლებში როგორც პირველ საუკუნეში, ისე მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც იბერია თავისი პოლიტიკური ძლიერების ზენიტს აღწევს.

მომდევნო ხანაში იბერია ისევ ჰკარგავს ამ ქვეყნებს. მას შემდეგ იწყება ამ მხარეთა თანდათან ეთნიკური გადაგვარება...

საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და საშუალო საუკუნეთა მანძილზე ცდილობდა შემოეერთებინა არაქსის და ევფრატის ხეობებში მდებარე ეს ადრინდელი ქართული მხარეები. ეს არის სწორედ ის „ზემონი ქვეყანანი", რომლის შემომტკიცებას ცდილობდა ქართველთა სამეფო მე 10–11 საუკუნეებში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან.

დასახელებული მხარეები საქართველომ დაიბრუნა ნაწილობრივ მე-10 საუკუნეში, ხოლო მთლიანად ამ მხარეთა შემოერთება მოხდა მე-12–13 საუკუნეთა საზღვარზე, თამარ მეფის ეპოქაში. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური დაკავშირება ამ მხარეებისა საქართველოსთან, ხოლო ეთნოგრაფიულად ამ მხარეებს ამ დროისათვის უკვე დაკარგული ჰქონდათ ქართული სახე". (4, გვ.516).

1001 წელს დავითის გარდაცვალების შემდეგ, შეთანხმების თანახმად „ზემონი ქვეყანანი" ბიზანტიამ დაიბრუნა და ბასილი II-ემ „სამხრეთ ტაოსაგან შექმნა იბერიის თემი – საკატაბანო და იქ მმართველად ბერძენი მოხელე კატაბანი დანიშნა". (9, ტ.III, გვ.174).

დავითის შემდგომ, ქართველი მეფეები გამუდმებით ცდილობდნენ იმიერ-ტაოს და მათ შორის ბასიანის შემოერთებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი I-მა შეეცადა დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნებას და შეიჭრა სამხრეთ ტაოში „და დაიკავა ის სიმაგრეები და მხარეები, რომელნიც მისმა ბიძამ, დავით კურაპალატმა დაუთმო მეფე ბასილს". (9, ტ.III, გვ.175). რამდენიმე ხნის შემდეგ, 1021 წელს ბულგარეთიდან დაბრუნებულმა ბასილი II ბულგართმმპყრობელმა „კუალად შემოიქცა ბასილი, მოვიდა ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა და აღუთქმიდა ზავსა და მშვიდობასა". (5, გვ.276). გიორგი მეფის უარის თქმის შემდეგ, „იწყეს ბრძოლად" და რამდენიმე შეხლა-შემოხლის შემდეგ, 1023 წელს, „ყვეს მშვიდობა„ და დაიზავნეს". ზავის თანახმად, გიორგი I-მა დაუთმო „ციხენი, პირველ მიცემულნი... რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოს, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს". (5, გვ.276).

XI საუკუნის შუა წლებიდან, ბასიანისა და იმიერტაოს დასაპყრობად იბრძოდნენ ბიზანტიელები და ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული სელჩუკთა სახელმწიფო. ბრძოლების შედეგად, ბიზანტიელები თანდათან ტოვებდნენ დაპყრობილ მიწებს და საქართველოს მეზობელი გახდა 1077 წელს ჩამოყალიბებული ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელთანაც XI–XIII საუკუნეების მანძილზე საქართველოს ახლო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული.

ბასილი II-ის სიკვდილის შემდეგ, ისევ განახლდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის დაპირისპირება. რომელიც გაგრძელდა XI საუკუნის 60-იან წლებამდე, ვინაიდან ორივე სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოვიდა მომძლავრებული თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო.

1071 წლის 19 აგვისტოს, ვანის ტბის ახლოს, მანცარკერტთან (მანასკერტი) ბიზანტიელების დამარცხების შემდგომ და 1074 წელს საზავო ხელშეკრულების თანახმად, ბიზანტიამ მცირე აზიის დიდი ნაწილი დაკარგა და საქართველო უშუალოდ დაუპირისპირდა თურქ-სელჩუკებს და საქართველოში დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა".

თურქების თარეშს საქართველოში, ბოლო მოუღო საქართველოს მეფეთა-მეფემ დავით IV აღმაშენებელმა. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, როდესაც (1110–1112) წლებში დავით IV-ემ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე გაანთავისუფლა თურქ-სელჩუკებისაგან, მაშინ თურქებმა საქართველოს შემოუტიეს სამხრეთ-დასავლეთიდან. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინაიდგან ზამთრისა სიფიცხლესა და მთათა სიმაგრესა მიენდვეს". დავითმა შეკრიბა ჯარი „და უგრძნულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებით და სასოებით მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისა; მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხუ". (5, გვ.316). ამავე ისტორიკოსის თქმით, დმანისის, შაქის, შირვანისა და რანში ლაშქრობების შემდეგ, 1123 წელს დავით აღმაშენებელს გაულაშქრია სომხეთსა და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში და მიუღწევია სპერამდე. „და მყის აღმოისრბოლა ვითარცა არწივმან და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერუნაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინ-ჯაქარი; და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდინ და რაიცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე-ყო. ჩამოვლო ბულთა ყური და დაწუნა

ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა განმარჯუებითა; და მცირედნი დაყვნა. და ლაშქრი განიყარა თჳსად-თჳსად". (5, გვ.328).

დავითის შემდგომ, „ქართლის ცხოვრებაში" არაერთხელ მოხსენებულია ბასიანის შესახებ. ცნობილია, რომ საქართველოს განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, თამარის მეფობის დროს, საქართველომ მიაღწია უმაღლეს მწვერვალს და საქართველო გახდა კავკასიაში უძლიერესი სახელმწიფო. როდესაც 1206 წელს ქართველებმა ქ. კარი (დღევანდელი ქ. ყარსი თურქეთში) აიღეს და საქართველოს შემოუერთეს, რომელიც „აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა", „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს გადმოცემით, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანმა (1196–1204) რუქნადინმა გამოილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და „დაბანაკეულ იყო ბასიანისა ადგილსა, ბოლოსტიკედ წოდებულსა". (5, გვ.464). ი. ჯავახიშვილის აზრით, ადგილის სახელწოდების „ბოლოსტიკედ", ბოლო ნაწილი დამანხინჯებულია გადამწერის მიერ და უნდა იყოს „ბოლოსციხე". (2, ტ.II, გვ.67).

თამარ მეფის ბრძანებით, საჩქაროდ შეიკრიბა ჯარი „ნიკოფსით დარუბანდამდე" და მიეგება მტერს. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ბასიანის ომის შესახებ წერს, რომ:

„მოვიდა რუქნადინი და თანა ჰყვა ლაშქარი დიმუშკით და ალაბით ამოღმა წაღებად ამის სამეფოსა. მიეგებნეს ბასიანის ქუეყანასა, გაიქციეს, ჴოცეს და ამოსწყჳდეს". (5, გვ.354). წყაროების თანახმად, დამარცხებული რუქნადინი და ემირები არზრუმში გაიქცნენ. ზოგიერთი მეცნიერთა აზრით, ბასიანის ბრძოლა უნდა მომხდარიყო (1201– 1203) წლებში. ხოლო ზოგი მკვლევართა მოსაზრებით ბასიანის ბრძოლა ყოფილა (1204–1206) წლებში.

სამცხის მთავარის (1285–1306) ბ ე ქ ა I ჯ ა ყ ე ლ ი ს (ციხისჯვარელი-ჯაყელი) (1240–1306) დროს, სამცხე საქართველოში ერთ-ერთი მძლავრი, ფაქტიურად მეფისაგან დამოუკიდებელი სამთავრო გახდა და თანდათან უფრო და უფრო ძლიერდებოდა. თუმცა, ბექა საქართველოსთან კავშირს არ წყვეტდა. იგი იყო მეჭურჭლეთუხუცესი და სპასალარი. ბექას I-ის დროს, სამცხის საზღვარი გადაიჭიმა ტაშის კარიდან (ხაშურის მხარე), კარნუ ქალაქამდე (ერზერუმი) და შავ ზღვამდე.

მის დროს მესხეთში დაიწყო შემოსევები რუმის თურქმანთა ტომებმა. შუა აზიელი თურქმანთა მეთაური „საბერძნეთს მყოფნი" აზატ მოსე შემოესია ბასიანსა და ტაოს და ჩვეულებრისამებრ დაიწყეს ძარცვა-გლეჯა და „ოჴრება".

„ჟამთააღმწერი"-ს თქმით, აზატ მოსეს შემოსევის გაგებისთანავე, ბექა ჯაყელს შეუკრებია თავისი ჯარი და სხვა მთავრებსაც „მოუწოდა წარჩინებულთა სამცხისათა, შაეშკლარჯთა, შემოკრიბნა ყოველნი" და როდესაც „მოინია არე ზაფხულისა. იწყეს თურქთა აღმომართ სლვა. და შეერბეს სიმრავლე ვითარ ექუსი ბევრი... და ვითარ ცნა ბექამან მოსლვა თურქთა, მოუწოდა ყოველთ მის ქუეშე დაწესებულთა, ტასისკარითგან ვიდრე ბასიანადმდე.... და მიმართეს თურქთა". ვაშლოვანთან გამართულ ბრძოლაში, მიუხედავად ჯარის სიმცირისა, ბექამ გაიმარჯვა და „ილტვოდეს თურქნი". ბექამ განდევნა თურქები ქ. სპერიდანაც. (5, გვ.643–645).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი IV ლაშას შემდგომ, მაჰმადიანური სახელმწიფოებით გარშემორტყმული საქართველო, სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში საქართველო საბოლოოდ დაიყო ჯერ სამეფოებად, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა დაშლა-რღვევა და საბოლოოდ XVII საუკუნის დასაწყისში, წერილ სამთავრო-სამეფოებად ჩამოყალიბებით დასრულდა.

დაშლის მიმდინარეობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ლიხსიქეთ საქართველოში. დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო, რა თქმა უნდა, მტრის შემოტევებს ვეღარ უძლებდა და ის ყიზილბაშებისა და ოსმალების სათარეშო მოედნად გადაიქცა. ხოლო როგორც ზევით აღვნიშნეთ, კავკასიაში რუსეთის შემოსვლამ, კიდევ უფრო მეტად გაამწვავა საქართველოს მდგომარეობა. მაგრამ, მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა საღად მოაზროვნე მეფე-მთავრები და ხალხი მაინც წინააღმდეგობას უწევდა მოძალადე მტრებს და ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. როგორც ცნობილია, ლიხსაქეთ საქართველოში, XVI საუკუნეში ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას ანარმოებდნენ ქართლის მეფეები: ლ უ ა რ ს ა ბ I (1510–1556) და ს ი მ ო ნ I (1556–1600). ლიხსიქეთ საქართველოში იმერეთის მეფეები: ბ ა გ რ ა ტ III (1510–1565)

და გიორგი II (1565–1583) და ზოგიერთი მთავრები. მაგრამ დასუსტებულმა საქართველომ ვეღარ შეძლო შეენარჩუნებინა სამხრეთი მხარის დიდი ნაწილი და ის საბოლოოდ, XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკების შემწეობით, ოსმალეთის საზღვრებში მოექცა.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში, საქართველოს აღმოსავლეთით, აზერბაიჯანსა და ირანში, ჩამოყალიბდა სეფიანთა ანუ ყიზილბაშთა (წითელ-თავიანები) სახელმწიფო, რომლის მათავარი ქალაქი გახდა თავრიზი. სახელწოდება „ყიზილბაში" ეწოდა მის გამო, რომ თურქული მოდგმის ტომები წითელი ზოლებიან თავსაბურებს ატარებდნენ. ყიზილბაშები და ოსმალები ცდილობდნენ საქართველოს დაპყრობას და საქართველოში გაბატონებას.

წყაროებიდან ცნობილია, რომ სანამ ირანის შაჰი გახდებოდა (1501 წ.) ისმაილ I (1480–1524), მან რამდენჯერმე მოასწრო ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ. 1500 წლის შემოდგომაზე, სულეიმან I-მა ბასიანიდან საქართველოში გააგზავნა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელმაც სამცხე-საათაბაგო დაარბია.

1545 წელს სულტანმა სულეიმან I-მა (1520–1566) დიდძალი ჯარი გამოგზავნა სამცხე-საათაბაგოს დასაპყრობად. იმერეთის მეფემ ბაგრათ III-ემ დახმარება სთხოვა ლუარსაბ I-ეს, როსტომ I გურიელს და ლევან I დადიანს. ლუარსაბი და გურიელი მაშინვე გამოეხმაურნენ ბაგრატის თხოვნას. ხოლო „ბაგრატს არა შემოეყარა დადიანი". ქართლ-იმერეთისა და მესხთა შეერთებული ჯარი გაემართა მტრისაკენ. „ხვანთქრის ჯარიც მოსულიყო ბასიანს და მივიდნენ ესენიცა". ქართველები დამარცხდნენ.

„ხოლო ურუმნი დადგნენ სამცხეს და დაიპყრეს ციხეები სამცხისა". (6, ტ.II, გვ.358). ამის შემდგომ ოსმალნი მტკიცედ დამკვიდრდნენ სამხრეთ საქართველოში და ბასიანის მხარეში.

XVII საუკუნიდან თურქეთის ხელისუფლებამ ბასიანი გახადა არზრუმის ვილაეთის ერთ-ერთ სანჯაყად. დღევანდელ დღესაც ბასიანი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

2.6. არტაანი.

არტაანი წარმოადგენდა ისტორიულ მხარეს სამხრეთ საქართველოში, რომელიც მდებარეობდა არტაანის ზეგანზე, მდ. მტკვრის სათავესთან მისი დინების ორივე მხარეს.

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ:

„არტაანი (არტაან-კოლა) მოიცავდა მტკვრის ხეობაში ზემო ნაწილს და პალაკაციოს სექტორს, ისტორიული არტაანის მხარე ამჟამად მთლიანად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. (სახელდობრ, ისტორიული არტაანის მხარის ტერიტორიას შედგენს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე რაიონები არტაანისა, ჩილდირისა და კოლისა)." (4, გვ.300).

წყაროებში „არტაანთან ერთად იხმარებოდა „არტაპანიც". აქედან თურქული ფორმა არდაჰანი და რუს. არდაგანი. ძვ. ქართულ წყაროებში უმეტესად არტაანი იხმარებოდა". (10, ტ.1, გვ.586).

ზევით აღნიშნეთ, რომ ქართულ წყაროებში დახშულ გეოგრაფიულ რაიონებს იხსენიებდნენ ჴევის (ხევი) სახელწოდებით. „ქართლის ცხოვრება" ეგრისს, კლარჯეთს, კახეთს „ქართლის ხევებს" უწოდებს... „ხევის" სახელით იხსენიება აქვე აგრეთვე არტაანი". (9, ტ.I, გვ.650).

ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში, ქართლის (იბერიის) უძველეს ქალაქებს (მცხეთის, უფლისციხის, სარკინეს და სხვ.) შორის მოხსენებულია არტაანიც.

ლეონტი მროველის თქმით, ქართველ ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქის ქართლოსის ძემ მცხეთოსმა თავის შვილს „ჯავახოსს მისცა ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა. ამან ჯავახოს აღაშენნა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდაჲ და ქალაქი არტანისაჲ, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰქვიან ჰური". (5, გვ.30). მისივე გადმოცემით ფარნავაზ I-მა „განაწესნა ერისთავნი რვანი" და „ერთი გაგზავნა წუნდისა ერისთავად, და მისცა ფანავარითგან ვიდრე თავადმე მტკუარისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლაჲ და არტანი". (5, გვ. 43-44). „ქართლის არმაზელნი მეფენი შეენეო-

დიან სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა". თუმცა, შემდეგში, სომხეთის მეფემ „დაივინყა მან კეთილი ქართველთაჲ, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა", და დაიპყრო „ქალაქი ნუნდაი და არტანი მტკუარადმდე". (5, გვ.57-58). მალე, ქართველები იბრუნებენ ნუნდის საერისთავოს, ჯავახეთსა და არტაანს.

ნყაროებიდან ცნობილია, რომ V საუკუნეში, არტაანი და მისი მიდამოები ვახტანგ I გორგასლის გამგეობაში იყო. აქ ვახტანგმა „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა, ერთი – არტანს". (5, გვ.215). მანვე, არტაანის ჩრდილოეთით, ერუშეთში (ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში. დღევანდელ დღეს თურქეთშია. მოიცავდა არსიანის ქედსა და ნიალის ველის მიდამოებს) საეპისკოპოსო კათედრა დააარსა.

ცნობილია, რომ IV–VII საუკუნეებში ბიზანტია-ირანის დაპირისპირების დროს, 562 წლის ზავის თანახმად, ბიზანტიის მფლობელობაში მოექცა ეგრისი (ლაზიკა), სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის დასავლეთის მხარეები. ხოლო VII საუკუნეში არაბთა დაპყრობითი ომების შედეგად ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოს უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც გადაჭიმული იყო ინდოეთიდან ატლანტიის ოკეანემდე და შუა აზიიდან ცენტრალურ აფრიკამდე. VIII საუკუნის I ნახევარში არაბებმა შეძლეს საბოლოოდ ამიერკავკასიის მთლიანად დაპყრობა. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „პირველად არაბები საქართველოს ეწვივნენ 643 წ. ქ. შ.... (2, ტ.II, გვ.73). არაბი ისტორიკოსის ბ ე ლ ა ძ ო რ ი ს (ბ ე ლ ა ზ ო რ ი) (დაახლ. 820–დაახლ. 892) სიტყვით, არაბებს დაემორჩილნენ საქართველოს კუთხეები: „ხერკი, ქსოვრისი, ქსანი, ხუნანი, სამცხე, გარდაბანი, კსტსჯი (?), შავშეთი, ბაზალეთი, კლარჯეთი, თრიალეთი, კახეთი, კუხეთი, არტაჰანი, დარიალანი, ნანარეთი, და დიდოელნი. როგორც ამ ნუსხითგანა ჩანს, არაბებს დაუპყრიად აღმოსავლეთი საქართველო.

აღმოსავლეთს საქართველოში არაბები ბატონობდნენ 657 წ-დე ქ. შ." (2, ტ.II, გვ.76).

VIII საუკუნის I ნახევარში არაბებმა შეძლეს ლიხსიქეთ საქართველოს დაპყრობა.

ჯუანშერის გადმოცემით, არჩილ მეფესთან მივიდა არაბთაგან შევინროებული მისი „მთავარი ერთი", ადარნასე ბაგრატიონი, ძმისწული ადარნასე ბრმისა და „ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკუეთუ ინებო და მე, ვითარცა მკკდრი შენი, მომეც მე ქუეყანაჲ". და მისცა შულავერი და არტანი". (5, გვ.243). ხოლო, „მატიანე ქართლისაჲ"-ში აღნიშნულია, რომ ქართლის ერისმთავრის „სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოჲსა ტაოჲსაჲ, და ციხეთაგანცა, რომელნი ჰქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა". (5, გვ.255).

როგორც ზევით ავღნიშნეთ ცნობილია, რომ VIII საუკუნის ბოლოს და IX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხრეთ მხარეში მდებარე განაპირა კუთხეებმა, შეძლეს არაბთა ბატონობიდან თავის დაღნევა. ამავე ხანებში საქართველოში ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები: კახეთის და ჰერეთის სამთავროები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართველთა საკურაპალატო, ლიხსიქეთ საქართველოში – დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზთა) სამეფო და ქართლში – თბილისის საამირო (VIII საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი).

ქართველთა საკურაპალატოში „შევიდა ჭოროხის ხეობაში მდებარე პროვინციები – კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, თორთუმი, ოლთისი. ამას გარდა, საკურაპალატოში სხვადასხვა დროს შედიოდა მტკვრის ხეობის პროვინციები – ოლა, არტაანი, ჯავახეთი, სამცხე, აშოცი, ტაშირი". (9, ტ.III, გვ.64).

IX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო. არტაანი შედიოდა აშოტ I დიდის ტაო-კლარჯეთის სამთავროში. მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ „აშოტის დროს სამთავროს ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი". (9, ტ.II, გვ.449).

ნყაროებიდან ჩანს, რომ აშოტ I-ის შემდეგ, სამხრეთ საქართველოს მმართველებს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად უხდებოდათ ბრძოლა როგორც არაბების, ასევე ბიზანტიის წინაღმდეგ. „მატიანე ქართლისაჲ" გადმოგვცემს, რომ აშოტ I კურაპალატის უმცროს ძეს გ ვ ა რ ა მ მ ა მ ფ ა ლ ს (გ. 882) „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი". (5, გვ.258). „სუმბატ და-

ვითის ძე"-ს გადმოცემით, აშოტის შვილიშვილის, გურგენ I კურაპალატის დროს არტაანი საქართველოს საზღვრებში შედიოდა. (5, გვ.367).

როგორც ცნობილია X საუკუნის II ნახევრიდან – XI საუკუნის I ნახევარში საქართველოს მეფის გიორგი I-ის დროს მიმდინარეობდა ბრძოლები საქართველოსა და ბიზანტიას შორის ტაოს დასაუფლებლად. „მატიანე ქართლისაჲ" გადმოგვცემს, რომ გიორგიმ დაიბრუნა ბიზანტიის მიერ წართმეული ტაოს მხარე. ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II ბულაგრთმპყრობელი 1021 წელს საქართველოში შემოიჭრა „ყოვლითა სპითა საბერძნეთისაჲთა და უცხოთესლითა ურიცხჳთა". „იქმნა ბრძოლა დიდი... მოუწია ლაშქარმა არტანს, ტყუე ყვეს და მოაოხრეს არტანი".

„შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკუ-მოიარა ჯავახეთი და არტანი. და კუალად უბოროტესადრე შურისგებით მოაოჴრნა ქუეყანანი იგი". (5, გვ.274). საბოლოოდ გიორგი და ბასილი დაზავდნენ. სადაო მიწები: ტაო, ბასიანი, კოლა-არტანი და ჯავახეთი, ბიზანტიას დარჩა.

როგორც აღვნიშნეთ, XI საუკუნის 30-იან წლებში ამიერკავკასიაში დაიწყო თურქ-სელჩუკთა ტომების შემოსევები. თურქებმა 1048 წელს დაიპყრეს ბიზანტიაში მყოფი სომხეთი. (სომხეთში მეფობა გაუქმებული იყო). 1071 წელს ბიზანტია დაამარცხეს და 1074 წელს ბიზანტიამ ზავის თანახმად თურქებს დაუთმო აღმოსავლეთის მხარეები. 1064 წლიდან დაიწყო სამხრეთ-საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ამ მხარეში თურქმანთა ტომების ჩამოსახლება.

რამდენიმე ხნის შემდეგ, საქრთველოს მეფემ (1072–1089) გ ი ო რ გ ი II (გ. 1089/1112) შეძლო ბიზანტიის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება და იქედან თურქმენთა ტომების განდევნა. „მატიანე ქართლისაჲ" გადმოგვცემს, რომ:

„და შემდგომად ამისსა მომადლა ღმერთმან მძლავრობისაგან ბერძენთაჲსა წახმულნი ციხენი. ნაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისაჲ... და შემდგომად ამისსა... და იოტნა თურქნი მის ქუეყანისაგან". (5. გვ.299).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XI საუკუნეში დავით IV აღმაშენებელმა საქართველოდან თურქები განდევნა და „ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო... ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენარტანი და არტანი ამათსა მეფობასა შინა აშენდა და ტაოს ნაპირნიცა". (5, გვ.351).

ზევით ავღნიშნეთ, რომ XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, შეიქმნა ე. წ. „მონაპირე" საერისთავოები, რომლებიც სამხრეთ საქართველოში საზღვრისპირა მხარეებში არსებობდა. „ბასილი ეზოსმოძღუარი"-ს თქმით, ერთ-ერთი მონაპირე საერისთავოს წარმოადგენდა „ზედა არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს.". (5, გვ.494).

თამარ მეფის შემდგომ, საქართველოში პირველად 1220 წელს მონღოლები, ხოლო 1225 წელს ხვარაზმშაჰი ჯალალედინი შემოესია. ჯალალედინის შემოსევების შესახებ „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს, რომ თბილისის აღების შემდეგ, „იწყეს რბევად, ტყუენვად, ჴოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანის და იორისპირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა". (5, გვ.541). ხუთწლიანი ჯალალედინის თარეშის შემდეგ, რუსუდანის მეფობის დროს, 1235 წელს, „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს, რომ მონღოლები „შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოჴრებად და ჴოცად". (5, გვ.547).

„ამრიგად, ექვსი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ, ზოგი ომითა და ზოგიც უომრად მტერმა ხელში ჩაიგდო საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები: კახეთი, ჰერეთი, შიდა ქართლი, სოხითი, ტაშირი, თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, კლარჯეთი, ტაო, შავშეთი და სამცხე". (9, ტ.III, გვ.550).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მონღოლთა ბატონობის დროს, XIII საუკუნის II ნახევარში 1266 წელს სამცხე ხასინჯად იქცა. „სამთავროს საზღვრებში ერთიანდებოდა საქართველო ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე (კარინამდე): სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კოლა, არტაანი, ჯავახეთის ნაწილი". (9, ტ.III, გვ.599).

არტაანი „XVI საუკუნეში დაიპყრეს თურქებმა, რომლებმაც არტაანი ორ ადმინისტრაციულ ნაწილად გაყვეს: დიდ არტაანად (შედიოდა გურჯისტანის ვილაეთში) და პატარა არტაანად (შედიოდა ყარსის ვილაეთში. ამ დროს დიდი არტაანის მთავარ გამაგრებულ ქალაქს ფ ა რ ა კ ა ნ ი ერქვა. ქალაქის სახელწოდება „ა რ ტ ა ა ნ ი" XVII საუკუნეში უნდა იყოს შერქმეული". (10, ტ.1, გვ.587).

რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1871–1878) რუსეთმა ქართველების დახმარებით დაიპყრო ისტორიული მესხეთის ნაწილი. 1878 წლის 19 თებერვლის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით, რუსეთს გადაეცა ბათუმი, არტაანი, ყარსი, ბაიაზიდი და სხვ. ხოლო ამავე წლის ბერლინის კონგრესის ტრაქტატის თანახმად რუსეთს დაუმტკიცდა ეს მხარეები. რუსეთმა ყარსის ოლქის შემადგენლობაში შექმნა არტაანის ოკრუგი. 1883 წელს არტაანის ოკრუგი დაანაწევრა არტაანის, კოლის, ჩილდირისა და ფოცხოვის უბნებად. 1918 წლის 3 მარტს ბრესტის ზავით არტაანის (არდაჰანი), ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (აბასთუმნისა და ანყურის გარდა) და ბათუმი ოსმალეთს გადაეცა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) დროს საქართველოს დაუბრუნდა მესხეთის უდიდესი ნაწილი. 1919 წლის 20 აპრილს საქართველოს ჯარებმა არტაანიც დაიკავეს.

1921 წელს როდესაც საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა გახდა, ამავე წლის 23 თებერვალს თურქებმა არტაანის ოლქი დაიკავეს. ხოლო 1921 წელს რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად სამხრეთ საქართველოს ისტორიული მესხეთის მხარეები, მათ შორის არტაანის მხარეც თურქეთს გადაეცა.

ჯავახიშვილი თურქეთის საზღვრებში მოხვედრილ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხარეების, კოლა-არტაან, ტაო-თორთუმ-ისპირის მოსახლეობის შესახებ აღნიშნავს, რომ:

„ეხლანდელ ყარსის გუბიის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტანისა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრიდნენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVII ს-ითგან მოყოლებული არტანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ-მაჰმადიანებს ქრთული ენა დავიწყებული აქვთ. მოსახლეობა აქ თხელია და 1889 წ. არტანის ოლქში 65 763 სული იყო და აქეთგან მხოლოდ 1 923 სომეხი ითვლებოდა. ოლთისის ოლქში მთლად 31 519 მცხოვრებთა შორის სომეხი 3 130 იყო.

ამ გვარად ცხადია, რომ არტაანისა და ოლთისის ოლქებში სომხები მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენდნენ. ამას ჯერ კიდევ შარშან, 1918 წ. თვით სომხებიც არ უარჰყოფდნენ... ეს გარემოება სომხებს ეხლა ალბად დაჰვიწყებიათ და სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებში მოქცევა ჰსურთ არტაანისა და ოლთისის ოლქისაც, რომელიც მათ არც ისტორიულად და არც სომეხთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნით.

ხოლო ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილს მესხეთის, ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 1 400 სული მთლად გამაჰმადიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ. ის-პარში-კი, პარხალის, ხევეკის, გუდახევის და ჭირჭიმის ხეობებში ყველგან ქართველი-მაჰმადიანები ცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ". (3, გვ.55).

2.7. კოლა.

კოლა წარმოადგენდა სამხრეთ საქართველოში მდებარე ერთ-ერთ ისტორიულ მხარეს, რომელიც მდებარეობდა მტკვრის სათავეების ქვაბულში. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს „მტკვარი“ რწყავს: მას ძველ დროსაც ჰქონდა სახელი „მდინარისა... დიდისა“... „დიდისა... მდინარისა“ და მართლაც ამიერკავკასიაში იგი უდიდესი მდინარეა. სათავე მას კოლაში აქვს“. (2, ტ.II, გვ.25). მისივე თქმით „**კოლაᲘ**“, ანუ „**კოლა**“... არტაანის მოსაზღვრე ქვეყანა იყო სამხრეთით. ხევი კოლაᲘსი მტკვრის სათავე იყო. ლეონტი მროველიც ადასტურებს, რომ კოლა შეიცავდა ქვეყანას **«თავადმე მტკურისა»**... დასავლეთით კოლა ტაოს საზღვრავდა, აღმოსავლეთით-კი ამ ქვეყნის მოსაზღვრედ პალაკაციო ითვლებოდა... სამხრეთით, ალბათ, კარის სანახები ექნებოდა“. (2, ტ.II, გვ.60).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ძველ ქართულ წყაროებში, „ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულებს, დახშულ გეოგრაფიულ რაიონებში“, მოხსენებულნი არიან „ჭევი“-ს (ხევი) სახელწოდებით. „**ჭევად**“ იხსენიება კოლას ოლქიც“. (9, ტ.I, გვ.650).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ:

„ძველ-ქართული და ძველ-სომხური წყაროების ჩვენებათა შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ მესხეთის მხარეებში არსებულა ორი რაიონი, რომელთაც ეწოდებოდა მსგავსი სახელები: კ ო ლ ა (კოლაᲘ) და კ ო ლ ი.

პირველი ამათგანი კ ო ლ ა (კოლაᲘ) მდებარეობდა მტკვრის სათავეებში; იგი შეადგენდა არტაანის (არტან-კოლას) მხარის ნაწილს და შედიოდა ჯავახეთის (წუნდის) საერისთავოს ფარგლებში.

ხოლო მეორე ამათგანი, კ ო ლ ი (სომხური წყაროების „კ ო ლ“), მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში; იგი შედიოდა ტაოში და შეადგენდა იმიერი ტაოს ნაწილს.

ამ ორი კუთხიდან უფრო ცნობილია პირველი, მტკვრის კოლა, რომელსაც შედარებით ფართო ტერიტორია უჭირავს.

გვიან ხანაში მესხეთის მხარეთა გეოგრაფიის უცოდინარი მწერლები ერთიმეორეში ურევენ ამ ორ კუთხეს, – მტკვრის ხეობის(არტაანის) კოლას და ჭოროხის ხეობის (ტაოს) კოლას.“ (4, გვ.494).

„ქართულ საისტორიო წყაროებში არ არის არც ერთი შემთხვევა, როდესაც მტკვრის ხეობის კ ო ლ ა ტაოს ნაწილად იყოს დასახელებული. მტკვრის-ხეობაში მდებარე კანტონი კ ო ლ ა წყაროებში ყოველთვის მოიხსენება როგორც ნაწილი არა ტაოსი, არამედ არტაანის მხარისა, რომელთანაც იგი ერთ ერთეულს წარმოადგენს შემდეგის საერთო სახელწოდებით: კოლა-არტანი ანუ არტან-კოლა“. (4, გვ.495).

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „კ ო ლ ა“ წარმოდგა კოლხას ერთ-ერთი ტომის სახელისაგან, რომლის მოსახლეობა დასავლურ-ქართული უნდა ყოფილიყო.

ძვ. წ. IV საუკუნეში, ლეონტი მროველის გადმოცემით, იბერიის სამეფოში შემავალ წუნდის საერისთავოში შედიოდა „ჯავახეთი და კოლაᲘ და არტანი“.

ძვ. წ. II-I საუკუნეებში, კოლა მოექცა სომხეთის სამეფოში, ხოლო ახ. წ. I საუკუნეში იბერიის სამეფომ შეძლო მისი დაბრუნება. თუმცა, V საუკუნის I ნახევარში კოლა ხელახლა სომხეთმა დაიპყრო. სომხეთის სამეფოს დაცემისა და ბიზანტიელების მიერ 1045 წელს სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ, კოლა ისევ საქართველოს შემოუერთდა.

X–XI საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს მხარე ტაო-კლარჯეთი (ქართველთა სამეფო) თანდათან ძლიერდება როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ადრეფეოდალური ხანის ქართულ ფეოდალურ სამთავროთა შორის ქართველთა სამეფო ერთ-ერთი მდიდარი და ეკონომიკურად დაწინაურებული მხარეა, სადაც რამდენიმე ქართული პროვინცია შედის – სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ბასიანი, სპერი, თორთუმი“. (9, ტ.II, გვ.468).

ცნობილია, რომ სამხრეთ საქართველოს მინა-წყალზე, უძველესი დროიდანვე გადადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც ამიერკავკასიას აკავშირებდნენ აზიასა და ევროპასთან. „ეს

გარემობა და ადგილობრივი წარმოების მრავალდარგიანობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამ მხარეში ვაჭრობის განვითარებისათვის. ახალციხე და „მცირე ქალაქები" – გოგიკა, ბარალეთი, კოლა, ქედა, ართვენი და ჭანეთის ზღვისპირის პუნქტები (რიზე, ხოფა, ათინა, არქაბი...) მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდნენ". (9, ტ.IV, გვ.494).

IX–X საუკუნეებში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, წარმოქმნილ ქართველთა საკურაპალატოში შედიოდა კოლა.

„ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ 1021 წელს საქართველოს მეფე გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორს ბასილი II ბულგართმპყრობელს შორის კოლას მინა-წყალზე სოფ. შირიმთან გაიმართა ბრძოლა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. „ცხოვრება მეფედ-მეფისა დავითისი"-ში დავით IV აღმაშენებელის შესახებ აღნიშნავს, რომ დავითმა გაილაშქრა სომხეთისაკენ.

„აღიხუნა ციხენი სომხითისანი.... და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდინ და რაჲცა პოვა თუქმანი, მოსრა და ტყუე-ყო". (5, გვ.328). ხოლო თამარ მეფის დროს, კოლა წარმოადგენდა საზაფხულო დასასვენებელ ადგილს. „კოლის მხარეში, სოფ. დადეშში, იყო დადეშის საეპისკოპოსოს კათედრალი". (10, ტ.5, გვ.576).

XII საუკუნიდან დაწყებული კოლის მხარე, მონღოლების მიერ არაერთხელ იყო დარბეული. „ჟამთააღმწერელი" გადმოგვცემს, რომ რუსუდანის დროს „შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოჴრებად და ჴოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქუეყანა". (5, გვ.547).

ცნობილია, რომ XIII–XIV საუკუნეებში საქართველოს სამთავროებს შორის, ყველაზე უფრო მეტად გამოირჩეოდა სამცხის სამთავრო. რომელიც 1266 წელს გახდა ყაენის ხასინჯუ და დაექვემდებარა უშუალოდ ყაენის მმართველობას. ის მომძლავრდა როგორც ეკონომიკურად, ასევე მოსახლეობის სიმრავლითაც. სამცხის მმართველის (1285–1306) ბექა I ჯაყელის (დაახლ.1240–1306) დროს, სამცხის სამთავროს საზღვრები გაფართოვდა. „ჟამთააღმწერელი"-ს გადმოცემით, კოლა შედიოდა მის საზღვრებში. შემდეგში, თურქთა ტომების შემოსევების დროს, კოლა არაერთხელ გაჩანაგდა და აოხრდა. საბოლოოდ თურქებმა 1561 წელს კოლა დაიპყრეს. 1579 წელს სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდგომ, თურქებმა აქ ჩამოაყალიბეს ჩილდირის (ახლციხის) საფაშო.

„სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დიდ, ძირითად ნაწილს ახალციხის (ჩილდირის) ფაშა განაგებდა. მას ემორჩილებოდა ორი ფაშა – ჯავახეთისა და კოლისა (ქართულ წყაროების „გოლა-ფაშა") და რამდენიმე სანჯაყ-ბეგი (შავშეთის, ფოცხოვის, აჭარის, ლიკანის...)...

კოლას ფაშას რეზიდენცია იყო „მცირე ქალაქი" კოლა". (9, ტ.IV, გვ.488–489).

პარიზის ზავის (1856 წ.) თანახმად რუსეთს შეუერთდა აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტანი და ტაოს ნაწილი – ოლთისი. (1918–1921) წლებში კოლა იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა ხელშეკრულებით კოლა გადასცა თურქეთს.

დღევანდელ დღეს ქალაქი კოლა (თურქ. Gole) და რაიონი, თურქეთის არტაანის ადმინისტრაციულ ერთეულშია მოქცეული. კოლა ერთადერთი რაიონია არტანის პროვინციაში სადაც ცხოვრობენ ქურთები.

2.8. ტაო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელ საქართველოს სამხრეთ მხარეში, უხსოვარი დროიდან, ბინადრობდნენ უძველესი ქართული ტომები, რომლებმაც გაიარეს ადამიანთა განვითარების ყველა საფეხური და ამ მხარეებში თანდათან წარმოიქმნა ტომთა გაერთიანებები, რომლებიც წარმოადგენდნენ ადრეკლასობრივ სახელმწიფოებს. მეცნიერთა აზრით, ამგვარი იყო ძვ. წ. II ათასწლეულსა და I ათასწლეულის დასაწყისში წარმოქმნილი სახელმწიფოები: **კოლხა** (კოლხეთი) და **დიაოხი** („დიაუხი", „დაიანე", „დაიაენი", „ტაო").

მეცნიერები თვლიან, რომ ამიერკავკასიის სამხრეთ მხარეში წარმოქმნილ სახელმწიფოს დიაოხის („დიაუხი", „დაიანე") სახელწოდებიდან მომდინარეობს შემდეგ დროს ჩამოყალიბებული საქართველოს ერთ-ერთი ოლქის – ტაოს სახელწოდება. [დიაუ(ხი) > დიაო(ხი) > ტიაო(ხი) > ტაო].

წყაროებიდან ჩანს, რომ დიაოხი წარმოადგენდა დიდ გაერთიანებას, რომლის შესახებ ცნობები აისახა ძვ. წ. XIII – VIII საუკუნეთა ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში. ძვ. წ. XII საუკუნის ბოლოს დიაოხი აერთიანებდა ევფრატის ზემო მხარეში მცხოვრებთა ტომების დიდ გაერთიანებებს, რომლებიც წარმოიქმნენ ასურელების წინააღმდეგ ბრძოლების დროს. ძვ. წ. 1112 წელს პირველად მოხსენებულია „დაიანეს" სახელწოდებით. ძვ. წ. IX საუკუნიდან დიაოხის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას უკვე ურარტუს სახელმწიფო, რომელიც ძვ., წ. VIII საუკუნის დასაწყისში კიდევაც ანადგურებს მას. ძვ. წ. 401 წელს ქსენოფონტე დასავლურ-ქართულ ტომებთან: **ხალიბებთან** და **სკვითინიებთან** ერთად, მოიხსენიებს **„ტაოხებსაც"**.

გ. მელიქიშვილი დიაოხის შესახებ წერს, რომ:

„საკმაოდ მყარ პოლიტიკურ ძალას ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარეში ძვ. წ. XII–XI საუკუნეთა მიჯნაზე (და უფრო ადრეც), წარმოადგენდნენ „ნაირის ქვეყნები" – მდ. ყარა-სუზე (დას. ევფრატი) და ყარა-სუსა და მურად-სუს ორმდინარეთში მდებარე პოლიტიკური ერთეულების კავშირი. ყველაზე გამორჩენილი მათ შორის სწორედ დიაოხი, ანდა, როგორც მას ასურელები ეძახდნენ, დაიაენი იყო. „დიაუხის" ამ ქვეყანას ურარტელები უწოდებდნენ. ეს სახელი ახლო მდგომი ფორმით გვხვდება V საუკუნის ბერძენ ავტორ ქსენოფონტესთან, რომელიც „ტაოხებს" ასახელებს სამხრეთ ამიერკავკასიის მინა-წყალზე გავლის დროს. ეს სახელი შემორჩა ისტორიული საქართველოს ერთ-ერთ ოლქს – ტაოს. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი დიაოხიც სადღაც მერმინდელი ტაოს რაიონში იმყოფებოდა". (9, ტ.I, გვ.364).

ი. ჯავახიშვილი ტაო-ისპირის შესახებ წერს:

„უძველეს დროს ლაზისტანივით ტაო და ისპირი ქართველთა ტომს ლაზებს (ხალიბებს) ეკუთვნოდა. მაგრამ მე-11 ს. ქ. წ. სომხებმა მათ წაართვეს და ამის წყალობით აქ შერეული მოსახლეობა გაჩნდა. გაქრისტიანების დროსაც ეს ქვეყანა თითქოს ისევ სომეხთა ხელში უნდა ყოფილიყო. სპარსეთ-ბიზანტიის შორის მე-VI ს. გამწვავებული და ხანგრძლივი ომიანობისა და ხოლერის მსგავსი საშინელი მოარული მძვინვარების გამო თითქმის მთელს ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, განსაკუთრებით-კი სამცხეთში, შავშეთ-კლარჯეთში და ტაოში, ხალხი თითქმის სრულებით მოისპო... სხვათა შორის ტაოში ყოფილი შერეული მოსახლეობაც ამოწყდა და თითქმის მთელი ტაო უდაბურ ტყით შეიმოსა. მხოლოდ მე-IX ს-ში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება: შიდა ქართლითგან ჯერ მეუდაბნოენი და მონაზონები შემოვიდნენ და დასახლდნენ, ხოლო მათ კვალს მდაბიო ხალხიც გაჰყვა, დაბურული ტყეები გაჩეხა, დასახლდა და ბერებისა და ახალშენთა დაუღალავი შრომის წყალობით ეს ქვეყნები ქართული საეკლესიო და სამოქალაქო კულტურის ნაყოფიერ ასპარეზად იქცა. მე-IX–XIV ს. ს.-ების ქართული ხელოვნების მრავალი საუცხოო ძეგლები, რომელთა ნაშთებმა მთელს მესხეთში მრავლად მოაღწია ჩვენამდისაც კი, ამ გარემოების მჭევრმეტყველი დამამტკიცებელი საბუთია. მესხ მოღვაწეთა და მწერლობის ენაც საუკეთესო ქართულად ითვლებოდა". (3, გვ.45).

ტაოს მდებარეობის შესახებ ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ:

„ძველ ქართულს თხზულებებში ტაოს საზღვრები არსად არის აღნიშნული, ამიტომ ამ ქვეყნის აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის საზღვრები შეიძლება მხოლოდ დაახლოებით იყოს განმარტებული". (2, ტ.II, გვ.65).

პ. ინგოროყვა ტაოს შესახებ წერს:

„ტაონი – ორ ნაწილად განიყოფებოდა: ამიერი და იმიერი ტაო (ანუ ქვემო და ზემო ტაო). ტაოს ორივე ნაწილს ეჭირა: ა. ჭოროხის შემდინარე ოლთისის წყალის ხეობა მთლიანად, აგრეთვე მისი მიმდგომი ქართლის ყელის (გურჯი-ბოლაზის) სექტორი: ბ. მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპირო დაწყებული ორჯნალიდან (ეხლანდელი ოშნაღი) ვიდრე თუხარისამდე (ხერსის წყალის ხეობამდე). ტაოთა ორივე ნაწილი ამჟამად მთლიანად თურქეთის საზღვრებშია (სახელდობრ, ტაოთა მხარეს, თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით, შეადგენს თურქეთის საზღვრებში მდებარე ოლთისის რაიონი, თორთუმის რაიონი, დასავლეთი ნაწილი ეგდემის რაიონისა და გურჯი-ბოლაზის უბანი)". (4, გვ.302).

ოსმალეთის მიერ ტაოს დაპყრობამდე, ტაო წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ერთ-ერთ უდიდეს კერას. აქედან დაიწყეს მოღვაწეობა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებმა. აქ მოღვაწეობდნენ იმ დროინდელი ცნობილი კულტურის მოღვაწეები და მეცნიერები. აქ იყო გაშლილი სამონასტრო მშენებლობა, ამათგან თვითეული გამოირჩეოდა და წარმოადგენდა ქართულ ხუროთმოძღვრულ შესანიშნავ ძეგლებს.

„ტაოში იყო „ტ ა ო ს კ ა რ ი"; ვ ა შ ლ ო ვ ა ნ ი... ციხე ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ი ს ა... ქ ო რ თ ა... რომელიც იქნება ეხლანდელს ქ უ რ თ ს უდრის; ს. ზ ე დ კ ა რ ე კ ი; ხ ე კ რ ე ბ უ ლ თ ა... ქალაქი ო ლ თ ი ს ნ ი... ბ ა ნ ა... განთქმულთა თავისი დიდებული რგვალი საყდრით, რომელიც ააშენა ადარნასემ დავით კურაპალატის ძემ და საეპისკოპოსო საჯდომად გახდა. ტაოშიეე იყო განთქმული ციხე კ ა ლ მ ა ხ ი... თ უ ხ ა რ ი ს ი... ი შ ხ ა ნ ი... დიდებული საეპისკოპოსო ტაძრითურთ... საუცხოვო ძეგლი ხელოვნებისა ო შ კ ი ს მონასტერი და განთქმული ხ ა ხ უ ლ ი ს მონასტერი". (2, ტ.II, გვ.68).

ტაოხების შესახებ ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ „ტაოხები, ანუ ტაოელნი მეტად მაგარ, თითქმის მიუვალ ადგილას ცხოვრობდნენო, სადაც ისინი შიშიანობის დროს შეიხიზნებოდნენ ხოლმე, გარშემო მდინარე დიოდა, ახლო-მახლო ადგილები კი მაღალი ტყით იყო დაბურულიო". (2, ტ.I, გვ.26). მისივე გადმოცემით, ისინი ყოფილან მეომარი ტომები, „მამაცი და თავისუფლების მოყვარე ხალხი, რომელიც ტყვეობასა და მონობას სიკვდილს ამჯობინებს". (9, ტ.I, გვ.379).

ცნობილია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ტაო მოექცა ძველი კოლხეთის სამეფოში. ხოლო შემდეგში, გაერთიანებული ქართლის (იბერიის) სამეფოში შევიდა.

ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში ტაოხები სპარსელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. (ძვ. წ. 558–ძვ. წ. 350) წინა აზიაში ჩამოყალიბდა აქემენიდთა სპარსული სახელმწიფო, რომელიც გადაჭიმული იყო შუა აზიიდან ეთიოპიამდე და ინდის ხეობიდან ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. მის გავლენის ქვეშ მოექცნენ, სამხრეთ საქართველოში მყოფი ქართული ტომები და კოლხეთის ნაწილი. ჰეროდოტეს თქმით, დასავლურ ქართულ კოლხურ ტომებთან (ფასონებთან) ერთად ტაოხებიც შედიოდნენ მე-18 სატრაპიაში (სამხედრო ადმინისტრაციულ ოლქი). ამ „პროვინციის ჩრდილო საზღვარი სადღაც ძველ ქართულ ტაოს ტერიტორიაზე გადიოდა. აქ თავდებოდა „სპარსეთის ქართლი" და „სპარსეთის კოლხეთი" (ფასიანების ქვეყანა). ამაზე ჩრდილოეთით მცხოვრებ დასავლურქართული და აღმოსავლურქართული მოსახლეობა, როგორც ჩანს, თავისუფალი იყო აქემენიდებისადმი ანუ უშუალო დამოკიდებულებისაგან მაინც". (9, ტ.I, გვ.434).

ძვ. წ. IV–III საუკუნეებში ტაო ქართლის ერთ-ერთი მხარე გახდა. ხოლო ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში ტაო სომხეთის სამეფომ დაიპყრო. ამის შემდგომ ტაოს დასამორჩილებლად იბრძოდნენ ქართლი და სომხეთი, ტაო ამ ორი სახელმწიფოს შორის ცილობის მხარე გახდა.

ზევით აღვნიშნეთ, რომ დაახლოებით ძვ. წ. II საუკუნის 60 წლისათვის ქართლის (იბერიის) სამეფო ორ ნაწილად გაიყო (ორ სამეფოდ). ლეონტი მროველის გადმოცემით, აზორკი და არმაზელი რომელთაც, თვითოეულს ემორჩილებოდნენ „ერისთაანი", „აზნაურთაგანი". მეფე აზორკის ემორჩილებოდა კლარჯეთის ერისთავი, რომლის საზღვარი აღნევდა „სამხისითისათა, ქუეყანასა პარხლისასა, რომელ არს ტაო. და ვერვინ შეუვიდოდა მავნე კლარჯეთს, რამეთუ შეუვალი და

მაგარი იყო ტყითა და კლდითა და მკჳდრნი კლარჯეთისანი იყვნეს მკერცხლნი და მჴნენიცა". (5, გვ.61).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზორკისა და არმაზელის დროს, ქართლსა და სომხეთს შორის მიმდინარეობდა ომები. ლეონტი მროველის გადმოცემით, სომეხთა „მეფემან შეკრიბნა სპანი" და თავისი ძის ზარენის მეთაურობით გამოუგზავნია „ქართველთა ზედა და ოვსთა" წინააღმდეგ.

„ხოლო შეკრბეს ქართველნი და ოვსნი, და მიეგებნეს ქუეყანასა ჯავახეთისასა, ეწყვნეს და სძლიეს ქართველთა და ოვსთა და აოტეს ზარენ, ძე სომეხთა მეფისაჲ, და მოსრეს სპაჲ მისი ყოველი, და სდევნეს საზღვრამდე სომხითისა, ქუეყანასა პარხრისასა, რომელ არს ტაო". (5, გვ.62).

ახ. წ. I–II საუკუნეებში ტაო ქართლის სამეფოში შედიოდა. IV საუკუნიდან ისევ სომხეთმა დაიპყრო და ის მამიკონიანთა საგვარეულოს სამფლობელო გახდა და დაიწყო ტაოში სომხური მოსახლეობის ჩასახლება და სომხური კულტურის გავრცელება. თანდათან ქართული მოსახლეობა კარგავდა თავის ეთნიკურ სახეს. როდესაც ქართველებსა და სომხებს შორის მოხდა სარწმუნეობრივი განხეთქილება, ტაოში გაიმარჯვა ქართულმა ეკლესიამ და ტაო ეკლესიურად მცხეთას დაექვემდებარა. ტაო საქართველოში დიოფიზიტობის ერთ-ერთი მძლავრი და ძლიერი კუთხე გახდა და ქართველები ისევ დაუბრუნდნენ ქართულ კულტურას. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ როდესაც V საუკუნეში სომხეთში ირანელთა ხელისუფლება დამყარდა და სომხეთში ქალკიდონობის დევნა დაიწყო, სომხეთის ქალკიდონელები თავს აფარებდნენ საქართველოს და „როგორც ცნობილია, ტაო ქალკედონიტ სომეხთა თავშესაფრად იქცა, სადაც სწრაფად მიმდინარეობდა მცირერიცხოვანი მოსული სომხური ეთნიკური ელემენტის გაქართველება. ტაო, ისევე როგორც ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ანუ „ქართველთა სამეფო", ქართული იყო ენითა და კულტურით". (9, ტ.II, გვ.485).

VII საუკუნეში ქართულმა მოსახლეობამ დაიწყო დაბრუნება თავის პირვანდელ ეთნიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

VIII საუკუნეში ტაო პოლიტიკურადაც საქართველოს სამეფოს დაუკავშირდა და ის გადაიქცა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ერთ-ერთ ადგილად. აქედან დაიწყო საქართველოში ბაგრატიონთა საგვარეულოს მეფობა.

ცნობილია, რომ ქართლის ერისმთავარი აშოტ I ბაგრატიონი, სათავეში ჩაუდგა არაბების წინააღმდეგ ბრძოლას. როგორც პ. ინგოროყვა წერს:

„საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აშოტ I-ს, როგორც ჩანს, უცქერდნენ, როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტიარაბული ფრონტისა კავკასიაში....

აშოტ I, რომელმაც ამრიგად თავისი მფლობელობის ქვეშ გააერთიანა იბერია („ქართლი") მეზობელი სანაპირო თემებით, პირველ ხანებში უმკვლავდება არაბებს და ახალი ხელისუფლების მდგომარეობა მტკიცეა". (4, გვ.42). მაგრამ, შემდგომ მდგომარეობა შეიცვალა და არაბთაგან შევიწროებულმა 813 წელს იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქართლი და სამხრეთ საქართველოში, გადასახლებულიყო. ამ დროს შავშეთი, ტაო-კლარჯეთი და მთლიანად სამხრეთ საქართველო, აოხრებული იყო მურვან ყრუსაგან. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ მე-8 საუკუნის 80-იან წლებში, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე აშოტ I დამკვიდრდებოდა შავშეთ-კლარჯეთში, „კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ"...

კერძოდ „ტაონი" (ე. ი. ამიერ ტაო და იმიერ ტაო) გიორგი მერჩულის ცნობების მიხედვით იმდენად ყოფილა განადგურებული, რომ ზოგჯერ თვით ძველი კულტურული ცენტრების ადგილმდებარეობაც კი დავიწყებული ყოფილა და ადრინდელ დასახლებული და მოშენებული ადგილები „მის ჟამისა კაცთათჳ მიუვალ" ქმნილ იყო...

გარდა შავშეთისა, კლარჯეთისა და ტაოსა, გიორგი მერჩულის ცნობით, აოხრებული ყოფილა აგრეთვე... „ყოველნი მახლობელნი მათნი ქუეყანანი". (4, გვ.44–45).

როგორც ცნობილია, VII საუკუნის შუა წლებიდან იწყება არაბთა ხალიფატისა და ბიზანტიას შორის ბრძოლები საქართველოს დასაუფლებლად. არაბებმა შეძლეს ლიხსაქეთ საქართველოს დაპყრობა და იწყებენ ბრძოლას ლიხსიქეთ საქართველოს დასამორჩილებლად, რომელიც ძირითადათ

ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. VIII ს-ის დასაწყისიდან IX ს-ის ბოლომდე ლიხსაქეთ საქართველოში არაბთა ბატონობის ხანაა და ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.

ამ ბრძოლების დროს, VIII ს-ის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი თბილისის საამირო, ხოლო ამავე საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა კახეთის, ჰერეთის, „ქართველთა სამეფო" (ტაო-კლარჯეთის) ადრეფეოდალური სამთავროები და „აფხაზთა სამეფო".

აშოტ I-ის შემდგომ, მისი შვილების მცირე ასაკის დროს, არაბებს ისევ დაუპყრიათ ქართლის მხარე. თუმცა შემდეგში, ტაო-კლარჯეთის ხელისუფალთ ისევ აღუდგენიათ მდგომარეობა და ტაოს მხარე ისევ საქართველოს დაუბრუნდა.

წყაროებიდან ცხადი ხდება, რომ IX ს-ის დასაწყისიდან აშოტ I-ის მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეული („ტაო-კლარჯეთი", „შავშეთ-ჯავახეთი"), სინამდვილეში წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც მოიცავდა, „მატიანე ქართლისა"-ში არაერთხელ აღნიშნულ სამხრეთ საქართველოს ოლქების გარდა, მის მოსაზღვრე პოლიტიკურ ერთეულებსაც. ამიტომაც მას უწოდებდნენ „ქართველთა სამეფოს".

პ. ინგოროყვა წერდა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში სამხრეთ საქართველოში აშოტ I-ის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს შეცდომით უწოდებენ „ტაო-კლარჯეთს" ან „ტაო-კლარჯეთის სამთავროს". ამ სახელწოდებაში ისინი უშვებენ ორნაირ შეცდომას. რადგან:

„ჯერ ერთი, აშოტ I დიდის დროს შექმნილი სახელმწიფო, როგორც გამოირკვა, იყო არა სამთავრო, არამედ „სამეფო", ე. ი. დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

ხოლო მეორე არანაკლები მძიმე შეცდომა – ეს არის თვით სახელწოდება „ტაო-კლარჯეთი".

აშოტ I-ის დროს მოხდა აღდგენა იბერიის დამოუკიდებლობისა. ამ დროს დაარსებულ იქმნა არა რომელიმე პროვინციული სამფლობელო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო, არამედ აღდგენილ იქმნა, – ძველი მემატიანის გამოთქმა, რომ გავიმეოროთ, – „მეფობა ქართლისა", აღდგენილ იქმნა სახელმწიფო იბერია („ქართლი" ძველი გაგებით), ანუ „ქართველთა სამეფო". ამიტომ არის, რომ ამ სახელმწიფოს მეთაურნი ოფიციალურად ატარებენ ტიტულს: „ქართველთა მეფე", „ქართველთა კურაპალატი" (და არა „ტაო-კლარჯეთი"-ს მეფე ან კურაპალატი).

ამრიგად, ამ სახელწოდებაში „ქართველთა სამეფო" ღრმა პოლიტიკური შინაარსია ჩადებული და შენაცვლება ამ ზოგადი სახელწოდებისა „ქართველთა სამეფო" ვინრო პროვინციული ტერმინით – „ტაო-კლარჯეთი" – საქმის ვითარებას არასწორად წარმოგვიდგენს.

სახელწოდება „ტაო-კლარჯეთი" არაა ამ შემთხვევაში გამართლებული არა მარტო პოლიტიკურად; იგი არაა აგრეთვე გამართლებული ამ ფეოდალური სახელმწიფო ერთეულის ტერიტორიული მოცულობის მიხედვითაც". (4, გვ.111).

„ეს იდეოლოგია, რომ ქართველთა სამეფო არ არის პროვინციული კუთხური სამფლობელო, არამედ არის პოლიტიკური მემკვიდრე ერთი მთლიანი ძველი იბერიის სახელმწიფოსი, მკაფიოდ არის გამოვლინებული, კერძოდ გიორგი მერჩულის ძეგლში.

უნდა აღინიშნოს ამასთანავე ისიც, რომ ამ იდეოლოგიამ მე-9–10 საუკუნეებში გზა გაიკაფა საქართველოს გარეთაც და საერთაშორისო ცნება მიიღო. ყველა თანამედროვე უცხოელი ავტორი მე-9–10 საუკუნეთა (როგორც, მაგალითად, ბიზანტიელი ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტი, ასევე სომეხთა ისტორიკოსები), რომლებიც ეხებიან ამ სახელმწიფოს, მოიხსენებენ მას არა ტაო-კლარჯეთის სახელით, არამედ უწოდებენ მას ი ბ ე რ ი ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს, ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს". (4, გვ.113).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ქართველთა სამეფოში" გაერთიანებული იყო მესხეთის მხარეები: **სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, არტანუჯი, კოლა, აჭარა, ნიგალი, სპერი** და **შიდა და ქვემო ქართლის** მხარები.

წყაროებიდან ჩანს, რომ „ქართველთა სამეფოში" შემავალი მხარეებიდან X ს-ის I ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო, დავით III კურაპალატის დროს. დავით III-ის სამფლობელოს წარმოადგენდა იმიერტაო. ხოლო ამიერტაო, ბაგრატ III-ის მამას, გურგენ II მაგისტროსს ეკუთვნოდა.

„მატიანე ქართლისაჲ“ დავით III-ის შესახებ გადმოგვცემს, რომ „ესე დავით კურაპალატი უმეტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოჲსთა“. (5, გვ.267). 998 წელს არაბთა და სპარსელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი წამოსულან „ტაოს ასაოხრებლად“ მაგრამ ქართველებს დაუმარცხებიათ. მაგრამ, შემდგომში, გართულებული საგარეო მდგომარეობის გამო, დავით III იძულებული გახდა მთელი მისი საბრძანებელი და მათს შორის ტაოც, ანდერძით გადაეცა ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ისათვის.

ზევით ვთქვით, რომ დავით III-ემ 974/5 წელს მცირეწლოვანი ბაგრატ ბაგრატიონი, მისივე აღზრდილი და ნაშვილები, ქართლში გაამეფა და „შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ეს არს მკჳდრი ტაოისი, ქართლისა და აფხაზეთისაჲ, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“. და დაყენა დღენი მცირედნი და წარვიდა ტაოს“. (5, გვ.267).

1001 წელს დავით III-ის გარდაცვალების გაგებისთანავე, ბასილი II იმიერტაოში შევიდა და ტაოს „აზნაურებმა“ ბაგრატს უღალატეს და მაშინვე „ციხენი“ გადასცეს.

1008 წელს გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ III ამიერტაოს მფლობელი გახდა. დაახლოებით 1010 წელს ბაგრატ III-ემ შეძლო კახეთ-ჰერეთის შემოერთება. 1014 წელს რანის მმართველი და ბაგრატი დაეზავნენ. ამგვარად, ბაგრატ III-ემ მხოლოდ „იმიერტაოს, ბასიანისა და ამ მხარის სხვა მიწების შემოერთება ვერ მოახერხა“. (2, ტ.II, გვ.131). ბაგრატ III ტაოში გარდაიცვალა. დაასაფლავეს ბედიის მონასტერში.

ბაგრატ III-ემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას, რომელიც დავით IV აღმაშენებელის დროს დასრულდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატ III-ის შემდეგ, გიორგი I-მა გამეფებისთანავე (1014–016) წლებში იმიერტაოში შეიჭრა და ბიზანტიის მიერ დაკავებული დავით III-ის სამფლობელო დაიბრუნა. მაგრამ, ბულგარეთიდან დაბრუნებულმა ბასილი II-ემ, 1021 წელს გიორგის წინააღმდეგ გამოილაშქრა. საბოლოოდ 1023 წლის ხელშეკრულების თანახმად, იმიერტაო ისევ ბიზანტიელებს დარჩა. მთელი მეფობის განმავლობაში, გიორგი I ცდილობდა იმიერტაოს დაბრუნებას, მაგრამ ვერ შეძლო. მან ჰერეთ-კახეთიც დაკარგა. გიორგი I სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. მის შედგომ, საქართველოს მეფემ ბაგრატ IV-ემ შეძლო სამეფოს აღდგენა.

მაგრამ 1063 წლიდან თურქ-სელჩუკთა სულტანი ალფ-არსლანი მუჰამედ იბნ დაუდი (1029–1072) 1064 წელს „უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი. და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყუელისყურსა. გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე“. ამის შემდეგ ბაგრატი და სულტანი დაზავდნენ.

XI საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები ბიზანტიაზე. საქართველოს მდგომარეობა მით უფრო გართულდა, როდესაც სელჩუკებმა 1048 წელს სომხეთი აიღეს, რომელიც ამის შემდგომ როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა საერთოდ აღარ არსებობდა. ხოლო 1071 წელს სელჩუკებმა ბიზანტია დაამარცხეს და საქართველო აღმოჩნდა მაჰმადიანურ სამყაროს მიერ გარშემორტყმული.

ზევით აღვნიშნეთ, რომ XI საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა“. როგორც ჩანს, თურქებისაგან საქართველოში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ გიორგი II იძულებული გახდა მალიქ-შაჰს იაფაჰანში ხლებოდა, მორჩილება გამოეცხადებინა და „ხარაჯაჲ“-ც ეკისრა, რომ „სამეფოჲ მისი თავისუფალ-ყო ზედა-მარბიელთაგან“. (5, გვ.304).

გოირგი II-ის შემდეგ გამეფდა დავით IV აღმაშენებელი.

როგორც ცნობილია, დავით IV აღმაშენებელი მტკიცე და ძლიერი სახელმწიფო მმართველი იყო და მან შეძლო საქართველოს გაერთიანება, თურქ-სელჩუკების საქართველოდან განდევნა და საქართველო, ახლო აღმოსავლეთში, ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა.

მისი მეფობის დროს, 1116 წელს თურქებმა დასავლეთიდან შემოუტიეს. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი“. დავითმა საქართველოში შემოჭრილი თურქები დაამარცახა, საქართველოდან განდევნა. დავითის დროს ტაო საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1226 წელს, ხვარაზმშაჰის ჯალალედინის შემოსევების დროს „სპარსთა შინაგანცემის“ გამო, თბილისის აღებისა და დარბევის შემდეგ, ხვარაზმელებმა გააჩანაგეს საქართველოს სამხრეთი მხარეები და მათ შორის ტაოც. ხოლო ჯალალედინის 5 წლიანი თარეშის შედეგად, გავერანებული და ანიოკებული ლიხსაქეთ და სამხრეთი საქართველო მონღოლებმა XIII ს-ის I ნახევარში ადვილად დაიპყრეს.

„ჯამთააღმწერელი“ გადმოგვცემს, რომ მონღოლებმა ააოხრეს საქართველო და „მტერი კვლავ აგრძელებდა სისტემატურ რბევას. მდგომარეობის ასე დატოვება ქვეყანას სისხლიდან დაცლას უქადდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც ხომ საფრთხე დაემუქრა: ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი მოწყდა სამეფოს ცენტრს, რომლის ძალაუფლება უკვე ამ ნაწილზე აღარ ვრცელდებოდა, ამის გამო რუსუდან მეფემ მონღოლებს დაზავება სთხოვა, რაც დაახლოვებით 1242 წელს მოხდა“. (9, ტ.III, გვ.550).

რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ, საქართველო ერთ ხანს „უნეგიშინისცემოდ და უმეფოდ“ აღმოჩნდა. „ჟამთააღმწერელი“-ს გადმოცემით, ამით უსარგებლია თურქებს და დაახლოებით 1242–43 წლებში, ჯერ შამის (ასურეთის) თურქები, ხოლო შემდეგ, „საბერძნეთს მყოფნი თურქნი“ შემოესიენ და დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს მიწები. ამ მხარეების: „ტაოსთა და შავშეთ-კლარჯთა და კოლა-არტან-კარნიფორელთა“ მმართველებმა, დახმარება სთხოვეს ივანე I (ყვარვყარე) ჯაყელი-ციხიჯვარელს (XII ს-ის 50-იან –XIII ს-ის 50-იანი წლები). შეკრბა მჴედარი, ვითარ ათი ათასი, და წარმოემართნეს. ხოლო იგინი მოსრულ იყვნეს და ბანას გარე მოსდგომოდეს, რამეთუ ოლთისნი და ბულათაყური ყოველი მათ აქუნდა, და აოჴრებდეს ტაოსა“. ამ „ძლიერ და სასტიკ“ ბრძოლაში, ქართველებმა დაამარცხეს და „იძლივნეს ბერძენნი და თურქნი და ივლტოდეს“. (5, გვ.565). ქართველებმა გაანთავისუფლეს თურქების მიერ დაპყრობილი მიწები.

წყაროებიდან ცნობილია, რომ ამის შემდგომ, საქართველოში ისევ მონღოლები გაბატონდნენ. აჯანყებას აჯანყება მოსდევდა და ამ აჯანყებების ჩახშობისას ქვეყანაც და ხალხიც ნადგურდებოდა.

XIII საუკუნის ბოლოს, „ჟამთააღმწერელი“-ს გადმოცემით, ლიხსაქეთ საქართველო საშინელ დღეში ყოფილა ჩავარდნილი და ამის გამო ხალხი ლიხსიქეთ საქართველოში გარბოდა.

ამ ხანებში, სამცხის მმართველები იყვნენ: (1268–1279) სარგის I ჯაყელი და (1279–1306) ბექა I ჯაყელი (დაახ. 1240–1306).

ბექა I ჯაყელის დროს, სამცხე-ჯავახეთის მხარე უფრო გაფართოვდა. „ჟამთააღმწერელი“ გადმოგვცემს, რომ „დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი დღე განდიდნებოდეს“. (5, გვ.612).

ზევით აღვნიშნეთ, რომ (იხ. ბასიანი) რუმის თურქმანთა ტომის მეთაური აზატ მოსე „სამოცი ათასი“ მხედრით, შემოესია სამხრეთ საქართველოს „იწყო“ ბასიანისა და ტაოს „მძკინვარედ ოხრება“. ტაოს ერისთავს უთხოვია დახმარება ბექასათვის. მას შეუკრებია ლაშქარი და ვაშლოვანთან გამართულ ბრძოლაში თურქმანები დაუმარცხებია. მაგრამ, შემდგომში, წყაროებიდან ირკვევა, რომ ყვარყვარე I-ის (1334–1361) დროს, შავშეთ-კლარჯეთი და ტაოც ოსმალეთს დაუპყრია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მეფე-მთავრები ცდილობდნენ ოსმალების მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწების დაბრუნებას.

XVI საუკუნის შუა ხანებში, ქართლის მეფემ ლუარსაბ I-მა და იმერეთის მეფემ ბაგრატ III-ემ შეძლეს სამხრეთ საქართველოს, ოსმალების მიერ დაპყრობილი მიწების დაბრუნება და სამცხე-ჯავახეთის საქართველოს საზღვრებში მოქცევა.

ირანი და ოსმალეთი ცდილობდნენ სამხრეთ საქართველოს დაპყრობას და მათ არაერთხელ მოუწყვიათ თავდასხმები საქართველოზე.

მიუხედავად ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლებისა, ოსმალეთმა შეძლო XVI საუკუნის I ნახევარში სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი მიწა-წყლის დაპყრობა 1545 წლიდან სამხრეთ საქართ-

ველოს, სამცხე-ჯავახეთისა და ტაოსა და ტაოს მხარის დასაპყრობად, ერთმანეთს ეცილებოდნენ ირანი და ოსმალეთი.

ი. ჯავახიშვილი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გვაუწყებს, რომ:

„1543 წ. «ქ˜კსა სლა აქა ფაშები ამოვიდეს ოცდაორი ათასი, სრულად ტაო ამოსწყვდეს, მოუჭდა ბაგრატ მეფე ქ˜ლქს, გაიმარჯუა, მრავალი ამოსწყვდა».

«სლა, აქა ქარხაქის (sic) ომი, ურუმნი მოვიდეს, ტაო ამოსწყვდეს და ბაგრატ მეფემან გაიმარჯვა და მრავალნი ამოსწყვდნა».

«ქ˜კსა: სლა: აქა ხუანთქრის ფაშები მოვიდეს რიცხვით ოცდაორი ათასი და ს˜დ ტაო ამოსწყვიდეს. მოუჭდა მეფე ქარაღაქს, გაიმარჯვა, ამოსწყვიდნა მრავალნი»“. (2, ტ.IV, გვ.243).

„1550 წ. «ქ˜კსა სლ‰ აქა ტაოს ქვეყანა დაიჭირეს ურუმთა»“. (2, ტ.IV, გ.246).

„ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი“-შიც აღნიშნულია, რომ:

„ქორონიკონსა ს˜ლ‰: ტაოს ქუეყანა დაიჭირეს თათართა ურუმთა“. (6, ტ.II, გვ.500).

ამრიგად, 1550 წლიდან ტაო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი მხარეები ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა.

ქართლის მეფე ლუარსაბ I დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებთან ერთად, თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის გადარჩენისათვის. მას კარგად ესმოდა, თუ რას წარმოადგენდა საქართველოსათვის ტაოსა და სამცხე-ჯავახეთის დაკარგვა და ამავე წელსვე თურქებს წაართვა სამცხე-ჯავახეთი და კოლა-არტაანი. მაგრამ, 1551 წელს ისევ დაკარგა. ირანი და ოსმალეთიც იბრძოდნენ სამხრეთ საქართველოს დასაუფლებლად და ამავე დროს, ამ ბრძოლების გამო, ეს მხარე ნადგურდებოდა.

სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო II (1545–1573) ოსმალებისაგან შევიწროებულმა, ირანს დაუკავშირდა. ირანმა შეძლო სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობა და ათაბაგად ქაიხოსრო II დანიშნა. იგი ირანის ვასალი გახდა. ამ ხანებში ოსმალები, ტაო-კლარჯეთ-შავშეთიდან, გამუდმებით ახორციელებდნენ თავდასხმებს ქაიხოსრო II-ის სამფლობელოზე. ბოლოს ქაიხოსრო იძულებული შეიქმნა დახმარების მისაღებად, ირანში წასულიყო და დახმარების მოლოდინში იქვე გარდაიცვალა კიდევაც.

1579 წლის 25 ივნისს სულტანის მურად III-ის (1574–1595) ბრძანებით, ადრე არსებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ჩილდირის საფაშო ჩამოყალიბდა და ტაოც საფაშოში მოექცა.

ამის შემდგომ, ოსმალები შეეცადნენ მთლიანად საქართველოს დამორჩილებას. სულთანი მრავალრიცხოვანი ჯარით, ტაო-კლარჯეთის გავლით, აგზავნიდა ფაშებს საქართველოში, მაგრამ, საბოლოოდ საქართველოს დამორჩილება მაინც ვერ შეძლო.

ცნობილია, რომ ყვარყვარე IV ჯაყელმა ათაბაგმა, მოახერხა შეენარჩუნებინა ქრისტიანობა. ხოლო მის შემდეგ, მისმა ძმამ მანუჩარმა მიიღო მაჰმადიანობა, სახელად დაირქვა მუსტაფა და გახდა ფაშა. სულტანმა იგი ჩილდირის ფაშად დანიშნა, მაგრამ მანუჩარ II ჯაყელმა (მუსტაფა ფაშამ) (1581–1614) მაინც შეინარჩუნა ქართველობა და საიდუმლოდ ქართლის მეფესაც ეხმარებოდა.

ჩილდირის საფაშოს ჩამოყალიბების შემდგომ, ოსმალები შეუდგნენ ოსმალური წესების გატარებას და მოსახლეობის გამაჰმადიანებას. ოსმალები ცდილობდნენ შეეევიწროებინად ქართული მოსახლეობა, შეესუსტებინად ქრისტიანობის გავლენა, ყოველმხრივ ავიწროებდნენ ქართულ ეკლესიებს, რომლებსაც თანდათანობით მეჩეთებად აქცევდნენ და ამავე დროს ყოფილ სამცხე-საათაბაგოში და მით უმეტეს ტაო-კლარჯეთში, არამაჰმადიან ქართველებს გადასახადებს გაორმაგებულად ახდევინებდნენ და სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, რომ ჩილდირის საფაშო ჩამოსცილებოდა დანარჩენ საქართველოს. მართალია აქაური ქართველები მედგრად იცავდნენ თავს, მაგრამ ოსმალეთი თანდათან იმარჯვებდა და ქართული მიწის ბატონ-პატრონი ხდებოდა.

1628 წელს ოსმალეთმა საბოლოოდ დაიპყრო სამცხე-საათაბაგო და ამიერიდან მას მართავდნენ სულტანის მიერ დანიშნული მუსულმანი ფაშები.

ჯაყელთაგან პირველი ახალციხის ფაშა გახდა ბექა ათაბაგი (1625–1635), რომელმაც 1629 წელს შეიცვალა რჯული, გახდა მუსლიმი, სახელად საფარ-ბეგი დაირქვა და ახალციხის ფაშა გახდა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა ისლამის გავრცელებას თავის სამფლობელოში.

მიუხედავად ოსმალეთის ხელისუფლების და ფაშების მცდელობისა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის გამაჰმადიანებისა, მესხები მაინც დიდი ხნის განმავლობაში მაინც ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. გამაჰმადიანებულნი ქართველები, ქართველებად დარჩნენ და დღევანდელ დღესაც **ქართული ენა** და **ქართული ადათ-წესები** შემორჩენილია მათ ყოფა-ცხოვრებაში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, როდესაც რუსეთი იმიერკავკასიაში შემოიჭრა და შემდეგ კახეთში შემოვიდა, საქართველოს მდგომარეობა ყოველის მხრივ გაუარესდა. ხოლო როდესაც რუსეთმა რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულება დაარღვია და საქართველო დაიპყრო, საქართველო მოექცა რუსეთის მარწუხებში და გახდა რუსეთის კოლონია. რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლის დროს, პასკევიჩმა ქართველების დახმარებით, 1828 წლის 16 აგვისტოს აიღო ახალციხე და იქ დამყარდა რუსული მმართველობა. ახალციხის აღებისთანავე, რუსეთის მოხელეებმა დაიწყეს მაჰმადიანი მოსახლეობის აყრა და გადასახლება. ამავე დროს ხდებოდა განთავისუფლებული მიწა-წყლის ყიდვა-გაყიდვა და იქ სომხების ჩასახლება. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1829 წლის ივლისამდე. ცნობილია, რომ ამ ხანებში რუსეთის მოხელეების ასეთი ქცევის გამო, რუსეთის წარმომადგენლები პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი, მაგრამ პასკევიჩის მხარდაჭერით ისინი გაამართლეს.

1829 წლის 2 სექტემბერს, ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსეთმა მიიღო ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, ხოლო 1878 წლის ბერლინის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებით, რუსეთმა შეიერთა ყარსის და ბათუმის ოლქები.

ცნობილი ემიგრანტი, პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი და რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე მესხეთის შესახებ წერდა: მესხეთი „პირველად 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა და „საქართველოს „შეუერთდა" ძველი მესხეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჯარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი); ანუ ძველი სამცხე-ჯავახეთი, პალაკაციო (აბოცი) და ერუშეთი. შემდეგ, 1877–78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, პარიზის ზავით (მუხ. 58), შემოერთებულ იქმნა მესხეთის მეორე ნაწილიც: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი – ოლთისი". (40, გვ.5).

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საქართველო 1918 წელს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, ზემოთ ნახსენები სამცხე-საათაბაგოს მხარეები, საქართველოს საზღვრებში დარჩა, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმაც დაადასტურა. დამოუკიდებლობის მილების დღიდან, ჯერ თურქეთის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური რუსეთის წყალობით, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის წარმოიშვა საზღვრებთან დაკავშირებით უთანხმოებები.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საზღვრების გამო დავას მოჰყვა სომხეთის მხრიდან თავდასხმა საქართველოზე. დაშნაკური სომხეთი მოითხოვდა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების, მესხეთ-ჯავახეთის მათთვის გადაცემას და ამავე დროს ცდილობდა თბილისის, გორის და ბათუმის აღებასაც. დიდი ბრიტანეთის მთავრობის ჩარევის შემდეგ, სომხეთ-საქართველოს ომი შეწყდა. ხოლო ამის შემდგომ, ბოლშევიკური რუსეთისა და ქართველი ბოლშევიკების მხარდაჭერით, საქართველომ აღმოსავლეთის და ქართლის სამხრეთი მხარეები დაკარგა. ვ. ნოზაძე აღნიშნავდა, რომ „სწორედ ჯავახეთის დავაში იჩინა თავი იმ პოლიტიკამ, რომელიც გაატარა პასკევიჩმა იქ სომხების დასახლებით და რუსის მთავრობის ამ ვერაგულმა პოლიტიკამ შესაფერი ნაყოფიც დასტოვა ერთა ურთიერთ გადაკიდებისათვის". (40, გვ.46).

1920 წელს ბათუმი და სამხრეთ საქართველოს მხარეც (ოლთისიც) საქართველოს დაექვემდებარა. ვ. ნოზაძის თქმით: „1920 წლის დასასრულისათვის ქართული ტერიტორია გაერთიანდა და გამრთელდა. შეიქმნა დიდი საქართველო, თავის ძველ საზღვრებში, თავისი ქართული მიწა-წყლით, რომელიც ჟამთა სიავის სრბოლაში და ისტორიული უკუღმართობით მოწყდა მას. აღსდგა საქართველო!

მაგრამ ახალი საფრთხე უკვე კარებზე იყო მომდგარი: საბჭოთა რუსეთი და ქემალისტური ოსმალეთი! საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიამ ხმამაღლად განაცხადა: ჩვენ გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალიზმი აღმოსავლეთის ბარბაროსობასო. ეს იმას ნიშნავდა, რომ

ნოე ჟორდანია საბჭოთა რუსეთის ორიენტაციას უარყოფდა. მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის დამეგობრებამ დასავლეთის წინააღმდეგ კავკასიის რესპუბლიკებს, და კერძოდ, საქართველოს ბოლო მოუღო". (40, გვ.73).

1921 წლის 16 მარტსა და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით, საქართველოს და სომხეთსაც (ისე, რომ არცერთს არავინ არ ჰკითხა), ორივეს ჩამოაჭრეს მიწები. საქართველოს ჩამოერთვა: **არტანი, აჭარის ნაწილი, კლარჯეთი, ტაო, შავშეთი** და **ჯავახეთის ნაწილი.**

ზევით აღვნიშნეთ, რომ ი. ჯავახიშვილი 1919 წელს „კოლა-არტანი, ტაო-თორთუმისპირი"-ს შესახებ აღნიშნავდა, რომ „ეხლანდელ ყარსის გუბიის არტანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტანისა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრიდენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVII ს-ითგან მოყოლებული არტანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ-მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ....

ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილს მესხეთის, ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 1 400 სული მთლად გამაჰმადიანებული ქართველები არიან. მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ". (3, გვ.55).

წყაროებიდან ცხადი ხდება, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს პოტსდამის კონფერენციაზე, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა კავშირი, აშშ და ინგლისი, საბჭოთა კავშირმა მოითხოვა, თურქეთის მიერ 1921 წელს დაკავებული საქართველოს მიწების დაბრუნება. სტალინმა განაცხადა:" „... აქ საუბარი იყო პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრის აღდგენაზე. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც ომამდე იყო სომხეთის შემადგენლობაში და არდაჰანის რაიონი, რომელიც ომამდე საქართველოს ეკუთვნოდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყარსის და არდაჰანის რაიონში საზღვრები უმართებულოა და თურქებს განვუცხადეთ რომ ჩვენთან კავშირის შემთხვევაში საზღვარი უნდა გასწორდეს. თუ თურქეთს არ სურს საზღვრის შესწორება. კავშირის საკითხი იხსნება". (52, გვ.6-9). შემდგომ, „თვითონ სტალინმა ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა. 1953 წლის 30 მაისს, საბჭოთა სახელმწიფომ ამ მიწების დაბრუნებაზე უარი განაცხადა. თურქეთის მთავრობის მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით საბჭოთა საქართველო და სომხეთი უარს ამბობენ თურქეთისადმი თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე". (52, გვ.14). ასე დაკარგა საქართველომ, საბჭოთა რუსეთის შემწეობით, სამხრეთ საქართველოს ძირძველი ქართული მიწები და მათ შორის ტაოს მხარეც.

2.9. მაკრონები.

ანტიკურ წყაროებში მოხსენებულია, ძველი ქართველი ერთ-ერთი ტომი **მაკრონები** (მახელონები). რომლებიც სახლობდნენ **სამხრეთ კოლხეთში, ტრაპიზონისა** (ტრაბზონი, ტრაპეზუნტი) და მის აღმოსავლეთ მხარეში, **რიზესა** და **ათინას** მიდამოებში.

„სახელწოდება „მაკრონში" თანამედროვე მკლევარები ხედავენ დასავლეთ-ქართველ ტომების აღმნიშვნელ თანამედროვე ტერმინში (მეგრულ//მარგალ) შემავალ არგ (არკ) (<აგრ//აკრ) ძირს, რომელიც გაფორმებულია ჭანურისათვის დამახასიათებელი ონ სუფიქსით". (10, ტ.6, გვ.376).

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მაკრონები იყვნენ ჭანური ერთ-ერთი ტომები, ხოლო ზოგიერთის აზრით, მაკრონები წარმოადგენდნენ მეგრელთა ერთ-ერთ ტომს.

სტრაბონის გადმოცემით, სანები იგივე ჭანები არიან და „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს". (9, ტ.I, გვ.472). ჰეროდოტეს გადმოცემით, „მაკრონები სირიელების მეზობლები არიან, სირიელები კი ცხოვრობენ თერმოდონტთან და პართენიოსთან". (49, ტ.I, გვ.27). ძვ. წ. 401 წელს, როდესაც ბერძენთა სარდალი ქსენოფონტე თავისი ჯარით ბრუნდებოდა, სამხრეთ შავიზღვისპირეთისაკენ, მან გადაიარა სამხრეთ კოლხეთის მიწებზე მცხოვრები სხვადასხვა ტომები და მათ შორის ასახელებს

მაკრონებსაც. (9, ტ.I, გვ.410). ძვ. წ. VI საუკუნეში, სპარსელებმა დაიმორჩილეს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ტომები. ამ მხარეში ჩამოყალიბებული იყო XIX სატრაპია (ადმინისტრაციული ერთეული), რომელში შედიოდნენ ქართველი ტომები და მათ შორის მაკრონებიც. იგი გადმოგვცემს, რომ „მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინოიკებსა და მარებს შენირული ჰქონდათ 300 ტალანტი. ესაა მეცხრამეტე სატრაპია". (50, ტ.I. გვ.226) ამ ტომებსა და მახელონებს მონაწილეობა მიუღიათ სპარსეთის მეფის ქსერქსესის (ძვ. წ. 485–465) ლაშქრობაში საბერძნეთის წინააღმდეგ, „ლაშქრობდნენ ტიბარენები, მაკრონები და მოსინოიკები, რომლებიც მოსხებსავით იყვნენ აღჭურვილნი. მათ მეთაურობდნენ და განაგებდნენ შემდეგი პირები: მოსხებსა და ტიბარენებს – არიომარ-დოსი... მაკრონებსა და მოსინოიკებს განაგებდა არტაიკტესი, რომელიც ჰელესპონტის სესტოსს მეურვეობდა". (50, ტ.II, გვ.435). ლურსმული წარწერებიდან და ანტიკური წყაროებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ხდებოდა მთიელთა ტომების ჩამოსახლება და დამკვიდრება ბარის მიდამოებში. გ. მელიქიშვილის თქმით: „ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარე სანაპიროზე, მაგალითად, ძველიდანვე აქ მცხოვრები მაკრონების (ალბათ აგრეთვე ერთ-ერთი ჭანური ტომი) გვერდით აქტიურად მოქმედებენ „ჰენიოხებიც", რომელთაც აქ აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთიდან უნდა შემოეღწიათ (ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს. ჩილდირის ტბის მიდამოებში ურარტული წყაროებით დამოწმებული იგანიეხიელთა შთამომავლები?) და მაკრონები (ვარიანტი: მახელონები) ერთად, ცალკე გაერთიანებას „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფოს" ქმნიან". (9, ტ.I, გვ.540). ახ. წ. II საუკუნეში, ფლავიუს არიანეს გადმოცემით, ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით, სამხრეთ მხარეში, იყო „მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფო", რომელთაც ჰყავდა „მეფე ანხიალი". (9, ტ.I, გვ.544). როგორც წყაროებიდან ჩანს, „მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფოს" მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული რომაელებთან, რათა თავი დაეცვათ მეზობელი სომხეთის სამეფოსაგან. რომაელი ისტორიკოსი კასიუს დიონ კოქცეიანუსი, აღნიშნავს, რომ „115 წელს იმპერატორმა ტრაიანემ პართიაზე ლაშქრობის დროს სატალაში საჩუქრები უძღვნა „ჰენიოხებისა და მახელონების მეფე ანხიალს". (9, ტ.I, გვ.546). არიანე აღნიშნავს, რომ მდ. პრიტანიდზე გაშენებული ყოფილა „ანქიალეს სასახლე". „მაკრონების (მახელონების) და ჰენიოხების" ეს სამთავრო ჭანური გაერთიანება უნდა ყოფილიყო. „მახელონები" – მაკრონებია, ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრები ჭანური მოსახლეობა, ჰენიოხები კი მთიელი ჭანები ჩანან, რომელნიც, ეტყობა, ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე ბარში ჩამოვიდნენ და სათავეში მოექცნენ ამ გაერთიანებას." (9, ტ.I, გვ.547).

გ. მელიქიშვილი წერს, რომ „მთიელთა ჩამოსახლებამ, რომელთა შორის ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების ტრადიციები, ერთგვარად გააახალგაზრდავა კოლხეთის საზოგადოება, გააძლიერა „ერი" – თავისუფალ მეთემეთა ფენა, თუმცა ამასთანავე ჩამოსახლებული მთიელნიც ადრეკლასობრივი საზოგადოების დონეზე აიყვანა. „მახელონებისა და ჰენიოხების" და ლაზთა სამეფოები მაინც ასეთ ადრეკლასობრივ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს წარმოადგენდნენ". (9, ტ.I, გვ.547). ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ბერძნების მწერლებს შორის ქართველების შესახებ ყველაზე წინათ ჰეროდოტეს (484–425 წ.) მოეპოვება ცნობები... ჰეროდოტეს სიტყვიდან ჩანს, რომ... კოლხების სამხრეთით სასპერები ბინადრობდნენ; კოლხების გვერდითვე უნდა მაკრონებს ანუ მეგრელებს ეცხოვრათ, იმიტომ, რომ ჰეროდოტე მაკრონებს კოლხების მეზობლებადა სთვლის... ჰეროდოტეს აღწერიდან ცხადად ჩანს, რომ V საუკუნეში ქრ. წ. მოსხები, ტიბარენები, კოლხები და დანარჩენი ქართველი ტომები შავი ზღვის ნაპირას და ზღვის მახლობლად ბინადრობდნენ". (2, ტ.I, გვ.414).

2.10. აჭარლები.

აჭარლები წარმოადგენენ ძველ ქართველთა ერთ-ერთ ტომს, ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს. რომლებიც ცხოვრობდნენ და ძირითადათ დღესაც იმყოფებიან დღევანდელ აჭარის მინაწყალზე. მათი ნაწილი ჩასახლებულია გურიაში, ქართლსა და კახეთში.

ცნობილია, რომ „აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციაა. ისტორიულ-გეოგრაფიულად იგი ზემო ქართლის, კერძოდ, მესხეთის ნაწილს შეადგენდა. ისტორიულ წყაროებში

აჭარა მოხსენებულია როგორც „აჭარის ქვეყანა“, „აჭარის ხევი“ ან „აჭარის ხეობა“. ისტორიულად აჭარა, დასახლებულია ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფით – აჭარლებით, მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავამდე. „აჭარის ხევი“ ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: ზემო აჭარად ანუ ზეგნად და ქვემო აჭარად. აჭარის ცენტრალურ ნაწილს შუახევი ერქვა. ზემო აჭარის ცენტრი იყო ძველად დიდ-აჭარა, შუა საუკუნეებში – ხიხანი, მოგვიანებით – ხულა, ქვემო აჭარისა – სოფ. ქედა. ზემო და ქვემო აჭარა მრავალ წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულად – ხევად იყოფოდა. მაგ. ზემო აჭარაში იყო ხულოს, ღორჯომის, ბეღლეთის, სხალთის და სხვ. ხევები.“ (11, გვ.326).

პ. ინგოროყვა აჭარის შესახებ წერს: „4. ა ჭ ა რ ა მოიცავდა თანამედროვე ეთნოგრაფიულ აჭარას (მდინარე აჭარის-წყალის ხეობას; ხულოსა და ქედის რაიონებს და აჭარის-წყალის უბანს ბათუმის რაიონისა).“ (4, გვ.300).

აჭარლები ლაპარაკობენ ქართული ენის აჭარული კილოკავით.

აჭარის მიწა-წყალზე აღმოჩენილი ძეგლებით (თუმცა, არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი), მეცნიერები თვლიან, რომ აქ მოსახლეობა დასახლებული ყოფილა ახალი ქვის დროიდან. აჭარაში აღმოჩენილია ნეოლითური ნამოსახლარები. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ძეგლები, ადასტურებენ, რომ აჭარაში ყოფილა განვითარებული ბრინჯაოს მეტალურგია და ჭოროხის აუზი წარმოადგენდა ლიხსიქეთ საქართველოს კულტურის ერთ-ერთ ძირითად სამთამადნო-მეტალურგიულ ადგილს.

სიტყვა „ა ჭ ა რ ა“-ს წარმოქმნას, მეცნიერები სხვადასხვანაირად ხსნიან, „მაგრამ დღემდე აუხსნელია იგი.

აჭარა ძველ ბერძნულ მითებში იხსენება: „დევკოს“, რაც მაჭარს ნიშნავს ბერძნულად. ეს სასმელი კეთილშობილ სასმელად ითვლებოდა. ზოგიერთნი ამ სახელის წარმოშობას თითქოს აჭარისწყალს უკავშირებდნენ“. (49, გვ.78).

პ. ინგოროყვა წერს:

„სატომო სახელიდან „ჭანი“ ჩვენ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი: ა) ჭან-ეთი და ბ) ა-ჭან-რა, რომლის სახენაცვალი ფორმაა: ა-ჭარა... ა-ჭან-რა იგივეა რაც სა-ჭან-რა, საჭან-ო“. (4, გვ.138).B

ისტორიკოსი ხ ა რ ი ტ ო ნ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი წერს, რომ „ყველა ავტორმა თავისი აზრი გამოთქვა აჭარის ეტიმოლოგიის შესახებ, ყველა თავისებურად აშუქებს ამ საკითხს, იგი არც ისე იოლი საკითხი არის. აქ მკითხაობა არ გამოდგება. ჩვენ ვიცით, რომ უნდა ვეძიოთ ამ მოვლენაში ეკონომიურ-წარმოებითი საფუძვლები. ვფიქრობთ, რომ სიტყვა აჭარა – წარმოიშვა მაჭარიდან, რადგან ამ ხეობის, კერძოდ, ქედის მევენახეობა ძლიერ განვითარებული ყოფილა და მისმა მაჭარმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა თავის დროზე.“ (49, გვ.80).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარლებს საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა ისლამური სამყარო და XVI საუკუნის II ნახევრიდან იძულებული გახდნენ ისლამური სარწმუნეობაც მიეღოთ, მათ მაინც შეძლეს დღემდე შეენარჩუნებინად ქართული ენა, ეროვნული თვითშეგნება, თვითმყოფადი ყოფა-ცხოვრების სახეები და მათმა უმეტესმა ნაწილმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნეობა. აღსანიშნავია, რომ რაც დრო გადის, აჭარაში სწრაფად ვრცელდება მართლმადიდებლობა.

უძველეს დროს, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, ბიჭვინთიდან დაწყებული ტრაპეზუნტამდე, ცხოვრობდა ქართველთა ერთ-ერთი ტომი, რომელიც შემდეგში მოექცა კოლხეთის სამეფოში. ცნობილია, რომ მათთან სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებდნენ ბერძნები და რომაელები. თანდათან, ამ მხარეში დაიწყეს ჩასახლება, ქართველურმა ტომებმა ლაზებმა (ჭანები) და მეგრელებმა. მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად, წარმოიშვა დღევანდელი აჭარლები.

წყაროებიდან ჩანს, რომ ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში აჭარა შედიოდა ქართლის სამეფოში და ის წარმოადგენდა საერისთავოს. ფარნავაზის დროს, აჭარა შედიოდა „ოძრჴის“ საერისთავოში. ლეონტი მროველი გადმოგვცემს: „ერთი გაგზავნა ოძრჴის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანამდის, ნოსტისთავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარაი“. (5, გვ.44).

შემდგომ დროსაც აჭარა ქართლის (იბერიის) ერთ-ერთ კუთხეს წარმოადგენდა. ზევით აღვნიშნეთ, რომ პირველად ლიხსიქეთ საქართველოში, აჭარიდან, დაიწყო ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელება. ისტორიული შეხედულების თანახმად, აქედან დაიწყო ქადაგება I საუკუნეში ანდრია მოციქულმა.

წყაროების თანახმად, VII საუკუნეშიც აჭარა ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა. VIII საუკუნიდან ის ბაგრატიონთა სამფლობელოს წარმოადგენდა. 941 წლიდან ქვემო აჭარა „აფხაზთა სამეფოს", (ლიხსიქეთ საქართველოს) ნაწილი გახდა. XI საუკუნის დასაწყისიდან ქვემო აჭარა ქუთაისის ეპარქიას დაექვემდებარა. ხოლო XI საუკუნის II ნახევრიდან ერთიანი საქართველოს სამეფოში შედიოდა. XI საუკუნის 80-იან წლებში, „დიდი თურქობის" დროს აჭარას არაერთხელ შემოესივნენ თურქ-სელჩუკები. დავითის იტორიკოსი გადმოგვცემს, რომ გიორგი II-ის დროს საქართველოს რამდენიმეჯერ შემოესია სულთანი მალიქ-შაჰი, რომელმაც დაიპყრო „ასისფორი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარაი, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქოი და ჭყონდიდი აღივსო თურქთა; მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი". (5, გვ.302).

ზევით აღვნიშნეთ, რომ XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევების დროს საქართველოში, მაშინდელი მეფე რუსუდანი გაიხიზნა ქუთაისში, ხოლო მთავრები „ივლტოდეს" თავიანთ ციხე-ქალაქებში. „მანდატურთუხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აჭარისასა". ხოლო მონღოლები „მოეფინეს მსგავსად მკალთა" და აოხრებდნენ და ხოცავდნენ და „უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქუეყანა". (5, გვ.547).

XIII საუკუნის შუა ხანებში აჭარა სამცხე-საათაბაგოს ერთ-ერთ საერისთაოს წარმოადგენდა. „უამთააღმწერელი"-ს გადმოცემით: „დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო" (5, გვ.612).

XIII საუკუნის ბოლოს, ჩრდილოეთის და სამხრეთის ყაენებს შორის ამტყდარმა ომებმა, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს მიწა-წყალზე, საქართველო გააჩანაგა. ჩრდილოეთის უფლისწულ თეგუდარსა და აბაღა ყაენს შორის ერთ-ერთ გამართულ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს „უამთააღმწერელი". „და კუალად იქმნა ომი ძლიერი ორ დღე და ვითარ მისჭირდა თეგუთარს, ივლტოდა უცნაურად, რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისჴევით, რომელი ყოვლად უვალ იყო.... გაღმართ განმავალთა წარუსქდა მთა იგი, ვითარცა ზუავი თოვლისა, კაცსა ვითარ ათასსა დედაწულისა მქონებელსა, და შთავიდა ჴევსა აჭარისასა, და დაიპყრა ციხენი და კაცი და ყოვლად უჩინო ყო, და ესრეთ საწყალობელად მოისრვოდეს. და ჯერეთცა ადგჰილსა მას სთხრიან მაჭარელნი და ჰპოებენ სამკაულთა დედათასა ოქროსა და ვერცხლისასა.

ჩაიარეს აჭარა და ნიგალისჴევი, და მერმე შეიარეს გურია და მივიდეს ქუთათის". (5, გვ.602).

„XV საუკუნის შუა წლებიდან გიორგი VIII-სა და ყვარყვარე II ჯაყელს შორის მომხდარი ბრძოლის დროს ათაბაგმა გააუქმა აჭარის საერისთავო. ამ ბრძოლაში ათაბაგს გურიის მთავარი ეხმარებოდა. სამაგიეროდ ყვარყვარე II-მ აჭარა გურიის მთავარს გადასცა. XVI ს. დასაწყისში მზე-ჭაბუკ ათაბაგმა გურიელს წაართვა აჭარა, მაგრამ 1525-დან ეს მხარე კვლავ ისევ გურიელის ხელში აღმოჩნდა. XVI ს. 70-იან წლებში აჭარა ოსმალეთმა დაიპყრო". (11, გვ.326).

ქართლისა და მით უმეტეს ლიხსიქეთ საქართველოს მეფე-მთავრები და სამცხე-საათაბაგოს მოაზროვნე მესვეურები, ცდილობდნენ სამხრეთ საქართველოს გამოხსნას ოსმალთა ბრჭყალებიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XV საუკუნის II ნახევრიდან, საქართველოს სამეფოს დანაწევრების დროს, ადრინდელ გურიის საერისთავოს მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა გურიის სამთავრო, რომელიც XVI საუკუნეში იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, XVI საუკუნის II ნახევრიდან გურიის სამთავრო ოსმალეთის გავლენის ქეეშ მოექცა. XVII საუკუნის დასაწყისიდან, მამია II გურიელის (1600–1625) დროს, გურიის სამთავრო გაძლიერდა. 1609 წელს გურიის მთავარმა მამია II-ემ აჭარა დაიპყრო. თუმცა, არ გასულა დიდი დრო და 1614 წელს მამია იძულებული გამხდარა, რომ თურქეთისთვის აჭარაც დაეთმო და ხარკიც კი ეხადა. მიუხედავად ამისა გურიის სამთავრო ცდილობდა აჭარისა და ბათუმის დაბრუნებას.

1629 წელს საცმხე-საათაბაგოში თურქები შეუდგნენ თავიანთი წეს-წყობილების დამკვიდრებას და მაჰმადიანური სარწმუნეობის გავრცელებას. მთელი ახალციხის საფაშო სანჯაყებად (ადმინისტრაციული ერთეული) და ნაჰიებად (ოლქი) დაყვეს. ახალციხის საფაშოში შედიოდა აჭარის სანჯაყი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თურქთა ზეწოლისა, აჭარამ, მთიანი ჭანეთმა და შავშეთმა, მაინც შეძლეს ნახევრად დამოუკიდებლობის შენარჩუნება. „თურქეთისადმი მათი მორჩილება ვასალობის სიტყვიერ აღიარებაში გამოიხატებოდა. ეს მხარეები ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ბეგლარბეგებს და მათ დასამორჩილებლად საგანგებო ექსპედიციების გაგზავნა ხდებოდა საჭირო. ეს დამსჯელი რაზმები ხშირად წარმატებას ვერ აღწევდნენ“. (9, ტ.IV, გვ.488).

„XVII ს. II ნახევარში აჭარის ფეოდალებმა მუსლიმანობა მიიღეს, გლეხობა კი კვლავ ქრისტიანობას იცავდა. ქრისტიანული სარწმუნეობა აჭარაში ნაწილობრივ XVIII ს. მინურულამდე შემორჩა. თურქთაგან შევიწროების გამო აჭარის მოსახლეობის ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეებში გაიხიზნა. აჭარა ოსმალეთის ხელქვეითი გახდა, მაგრამ აქ ოსმალთა ბატონობა ნომინალური იყო – აჭარის მოსახლეობა სულთანს გადასახადს არ უხდიდა და რეგულარულ სამხედრო სამსახურში არ გადიოდა, მხოლოდ ომის დროს აძლევდა მოლაშქრეებს. შემორჩენილი იყო მიწათმფლობელობის ძვ. ქართული ფორმები. ყველა საქმეს ადგილზე ბეგები განაგებდნენ. ასე გაგრძელდა XIX ს. 40-იან წლებამდე.“ (11, გვ.326).

XVIII საუკუნის II ნახევრიდან, ოსმალეთის მიერ გურიის სამთავროს სამხრეთი მხარის ნაწილის (მდ. ჭოროხიდან მდ. ჩოლოქამდე) დაპყრობის შემდეგ, თურქეთის გავლენა აჭარაზე უფრო მეტად გაძლიერდა, მუხედავად იმისა, რომ აჭარა ხშირად სულთანის ბრძანებებს არ ასრულებდა და აჭარაში აჯანყებებიც ხდებოდა. 1737 წელს აჭარლებმა უარი განაცხადეს ახალციხის ფაშას მორჩილებაზე, ამის გამო ახალციხის ფაშამ გაილაშქრა აჭარის წინააღმდეგ და ააოხრა. მხოლოდ, დიდი ხნის ბრძოლების შემდეგ შეძლო ფაშამ აჭარლების დამორჩილება. აჭარლები აწყობდნენ აჯანყებებს და იმარჯვებდნენ კიდევაც. 1774 წელს, როდესაც თურქეთის ლაშქარი იმერეთში, მდ. ჩხერიმელას ხეობაში, სასტიკად დამარცხდა, აჭარლები აჯანყდნენ. თუმცა მალე, ოსმალეთმა აჯანყება ჩაახშო და აჭარა ახალციხის საფაშოს მმართველობაში მოექცა.

ქართლ-კახეთის სამეფოს, რუსეთთან შეერთების დროს აჭარა ისევ შედიოდა ახალციხის საფაშოში. 1783 წლის 24 ივლისის მფარველობით ტრაქტატში „სპეციალური მუხლი იყო შეტანილი სამცხე-საათაბაგოს შემოერთების შესახებ“. ხელშეკრულებაში ეკატერინე II და ერეკლე II-ეც მოხსენებულნი იყვნენ თავიანთი წოდებებით. ხოლო ახალციხის ფაშას (1767–1769, 1770–1791) სულეიმანის (ჯაყელი) (გ. 1791) „ტიტულატურაში კი აღნიშნული იყო, რომ ის არის სულთანის ვეზირი და მუშირი, ფაშა ჩილდირისა და მეურვე იმერეთისა, სამეგრელოსი, აფხაზეთისა, გურიისა და მთელი ფაზის მხარისა“. (39, გვ.95).

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, აჭარის მდგომარეობა უფრო გართულდა და გაუარესდა. ის არაერთხელ დაარბიეს როგორც რუსეთის, ასევე ოსმალთა ჯარებმა. მიუხედავად კავკასიის მთავარმართებელთა არაერთი ცდისა, რუსეთმა ვერ შეძლო აჭარისა და ბათუმის დაპყრობა.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ახალციხის საფაშოში, ტახტისათვის დაუნდობელი შიდაფეოდალური ომი გაჩაღდა. 1780-იან წლებში ზემო აჭარის სანჯაყის მმართველები ხიმშიაშვილის საგვარეულოს წარმომადგენლები გახდნენ. ცნობილია, რომ „ზემო აჭარის სანჯაყი აბდულა-ბეგ ხიმშიაშვილი ოსმალთა ლაშქრობებში მონაწილეობდა. 1784 დამდეგს აბდულა-ბეგი აკეთის ბრძოლაში დაიღუპა“. (11, გვ.326). (აკეთი – ძველი სახელწოდებაა, ლანჩხუთის რაიონში შემავალი სოფლების: ზემო აკეთისა და ქვემო აკეთის). შ. ლომსაძე აღნიშნავს, რომ აბდულა-ბეგის სიკვდილის შემდეგ „აჭარის გამგებლობა ხელთ აუღია სელიმ აბდულას ძე ხიმშიაშვილს. XIX ს. დასაწყისში იგი ისე გაძლიერდა, რომ ახალციხის ფაშასაც აღარ ემორჩილებოდა“. (39, გვ.233). სელიმმა 1802 წლის 17 ოქტომბერს დაამარცხა ახალციხის ფაშა (1792–96, 1801–02, 1810–12) შერიფ-ფაშა ჯაყელი. მას, ჯერ „სტამბოლიდან მუსალიმობა მოუვიდა. ე. ი. სერასკირის მუსალიმად, ვალიდ ითვლებოდა“. ხოლო შემდეგ, „1803 წლის თებერვალში სელიმ ხიმშიაშვილმა სტამბოლიდან ყაფუჯი-ფაშობა მიიღო“. (39, გვ.234). ე. ი. იგი ახალციხის ფაშა

გახდა. შემდეგში, სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი დაუპირისპირდა თურქეთის ხელისუფლებას. იბრძოდა ახალციხის საფაშოს გამოყოფისათვის. დამოუკიდებლობის მისაღწევად იგი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც მართავდა მოლაპარაკებასაც. თურქეთის მმართველმა (1808–1839) მაჰმუდ II-ემ (1784-1839) დაუმორჩილებელი ფაშის, სელიმ ხიმშიაშვილის, დასასჯელად, 1815 წლის მარტში 15 000-ანი ლაშქარი გამოგზავნა. სელიმი აჭარაში, ხირხათის ციხეში გამაგრდა. მაგრამ, 24 აპრილს, მას ახლობლებმა უღალატეს. იგი შეიპყრეს და 1815 წ. 3 ივნისს „სელიმ ხიმშიაშვილის ღელვით აღსავსე და საინტერესო გზაც დასრულდა. მას თავი მოჰკვეთეს და სტამბოლში გააგზავნეს. ხოლო აჭარაში მყოფი სელიმის ოჯახის წევრები მის ყველაზე ახლობელ მოხელესთან – შირიან აღასთან და სხვა ახლობლებთან ერთად ახალციხეში გადმოიყვანეს და მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესეს". (39, გვ.243). მისი საფლავის ქვაზე, ამოტვიფრულია წარწერა, რომელიც მას წარმოუთქვამს სიკვდილის წინ: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს არ შერჩება, ამ ხსოვნას ჩემს შვილებს დავუტოვებ".

ამის შემდეგ, არ გასულა დიდი დრო და 1816 წლის ზაფხულში მესხეთში ისევ იფეთქა აჯანყებამ. „მესხეთის 1816 წ. აჯანყება იყო ნამდვილი სახალხო ბრძოლა, რომლის მიზანს წარმოადგენდა თურქთა უღლის გადაგდება... აჯანყებულთა მოქმედებაში აშკარად შეინიშნებოდა ეროვნული მომენტი ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. აჯანყებაში ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო: სამცხემ, ჯავახეთმა, არტანმა, აჭარამ, შავშეთმა, სადაც ჯერ კიდევ ძლიერად იყო შემორჩენილი ქართული ენა და ზნე-ჩვეულება. თურქთა მონობიდან ბრძოლის ცენტრი გახდა ქ. ახალციხე, სადაც ოთხი სექტემბრის გადამწყვეტი შეტაკება აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა". (39, გვ.149).

ამის შემდგომ, აჭარის გამაჰმადიანებული ქართველი მმართველები, თავის თავს დამოუკიდებლად თვლიდნენ და თურქეთთან დამოკიდებულება მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. „ახალციხის საფაშოს, აჭარის და ქვემო გურიის (ქობულეთის) გამგებლები, გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები ფაქტიურად თითქმის დამოუკიდებლები იყვნენ, სულთნის განკარგულებებს ხშირად არაფრად აგდებდნენ და სულთანს მათი დამორჩილება არც შეეძლო". (41, გვ.51). 1815 წელს აჭარაში თურქეთის სადამსჯელო ლაშქრის ყოფნისას, სელიმ-ფაშას შვილები: აჰმედი და აბდულა, მამია V გურიელს შეეხიზნენ. აჭარიდან დამსჯელი ლაშქრის ნასელის შემდეგ, აჰმედი დაბრუნდა და დაეუფლა აჭარას. შემდეგში, იგი ოსმალეთს მიემხრო. ცნობილია, რომ 1819 წლის 9 აპრილს აჰმედ-ბეგი მოულოდნელად შეიჭრა გურიაში და დაარბია სოფ. ასკანა და ტყვეები გაიტაცა. თუმცა, სწრაფად შეკრებილმა გურიის ლაშქარმა დაამარცხა მომხდურნი და ტყვეებიც დაიბრუნა. (1828–29) წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს, იგი თურქეთის მხარეზე იბრძოდა და სულთანმა მაჰმუდ II-ემ იგი ახალციხის ვილაეთის ფაშად (ბეგლარბეგად) დანიშნა და დაავალა, რუსეთის მიერ დაპყრობილი სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა აჰმედ-ფაშა ხიმშიაშვილის თავის მხარეზე გადმოეყვანა, ცნობილია, რომ 1829 წლის ზაფხულში კავკასიის ჯარების მთავარსარდლის ივანე პასკევიჩის (1782–1856) მითითებით, ზემო აჭარის მმართველ აჰმედ-ფაშა ხიმშიაშვილს დაუკავშირდნენ და რუსეთის მხარეზე გადმოსვლა შესთავაზეს. მაგრამ, იგი არ ენდობოდა რუსეთს და ამავე დროს რუსეთის წარმომადგენელთა არასწორი, თავხედური, მოქმედებების გამო, მისი გადმობირების ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამავე წლის 14 აგვისტოს გენერალმა დიმიტრი ოსტენ-საკენმა (1789–1881) ახალციხიდან ზემო აჭარაში გაილაშქრა. მან რამდენიმე სოფელი გააოხრა და გადაწვა. მაგრამ იგი მალე „სასტიკად დამარცხდა და 28 აგვისტოს უკან – ქვაბლიანში დაბრუნდა.... რუსთა ამ ლაშქრობამ აჰმედ-ფაშა საბოლოოდ მტრად გადაჰკიდა რუსეთს. რუსეთის სარდლობის პოლიტიკური სიბეცის შედეგად ზემო აჭარის გამგებლის პოზიციის მკვეთრად შეცვლამ რუსეთს ხელი შეუშალა, უბრძოლველად შეეერთებინა აჭარა და ქვემო გურია ბათუმითურთ და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტიც". (41, გვ.98).

1829 წლის ადრიანოპოლის ზავის თანახმად ახალციხის საფაშოს ნაწილი რუსეთს გადაეცა. ხოლო ახალციხის საფაშოს უმეტესი ნაწილი და აჭარაც ოსმალეთის გამგებლობაში დარჩა, ის ყარსის საფაშოს შეუერთდა.

თურქეთის საზღვრებში მოქცეული სამხრეთ საქართველოს ნაწილში, დამყარდა თურქების ბატონობა და ხდებოდა ეროვნული კულტურის (დედა-ენის, ზნე-ჩვეულებების და სხვ.) სასტიკი შევიწროება. ამავე დროს, დაპყრობილ მხარეებში, ოსმალეთმა შემოიღო გადასახადები და ოსმალთა ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახური. განამებული აჭარლები აწყობდნენ აჯანყებებს (1840, 1843, 1844, 1846) და რა თქმა უნდა ამ აჯანყებების ჩახშობისას ხდებოდა აჭარლების დარბევა და აოხრება.

1851 წელს აჭარა, ჭანეთი და ქვემო გურია ახლად შექმნილ ლაზისტანის სანჯაყში შევიდა და დაექვემდებარა ბათუმის კაიმაკამს (დიდი ვეზირის მოვალეობის შემსრულებელი). „ყირიმის ომის დროს (1853–1856) აჭარის ფეოდალები თურქთა მხარეზე იბრძოდნენ, ამის გამო 1854 მაისში რუსეთის სადამსჯელო რაზმმა ზემო აჭარის ზღვისპირა სოფლები მოარბია". (11, გვ.327).

1855 წელს ვინაიდან ოსმალეთის ხელისუფლებამ მოინდომა ხელახლა აჭარიდან ჯარისკაცთა განვევა, აჭარლები აჯანყდნენ. თურქებმა სასტიკად ჩაახშვეს აჯანყება. მიუხედავად ამისა, აჭარაში (1856, 1859 და 1875) ხდებოდა აჯანყებები. თურქეთის მთავრობა იძულებილი გახდა გაეუქმებინა გადასახადები.

მიუხედავად თურქთა მიერ ეროვნული კულტურის დევნისა, „ოსმალეთის ასიმილატორულმა პოლიტიკამ ნარმატებას ვერ მიაღწია: აჭარის მოსახლეობა თავგანწირვით იცავდა მშობლიურ ენას და ზნე-ჩვეულებებს. თურქთა ბატონობის მთელ მანძილზე აჭარის მოსახლეობის სალაპარაკო ენად ქართული დარჩა". (11, გვ.327).

ბერლინის 1878 ნლის 13 ივლისის ტრაქტატით აჭარის ნაწილი თურქეთს გამოეყო და რუსეთს გადაეცა. 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი, ქართველების დახმარებით ბათუმში შევიდა და ამით დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთს შეუერთდა. ამავე წელსვე შეიქმნა აჭარის ოკრუგი, რომელშიც შევიდა ბათუმის ოლქი.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელისუფლება დიდათ აფასებდა შავი ზღვისპირეთში, ადგილმდებარეობის გამო, ბათუმის მნიშვნელობას და ის ყოველ ღონეს ხმარობდა მის დასაუფლებლად. პირველ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ბათუმის შესახებ აღნიშნული იყო, რომ:

„ბათუმის ნავსადგურის უზარმაზარი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს საუკეთესოს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მეფის რუსეთი ადრიდანვე (1828 ნლიდან) ცდილობდა აჭარის შემოერთებას. რუსეთ-თურქეთის ომის 1877-78 ნ.ნ. შედეგად რუსეთმა, ბერლინის ხელშეკრულების თანახმად, მიიღო ბათუმი, იმ პირობით, რომ მას გარდაქმნიდა პორტ-ფრანკოთ. მაგრამ, რამდენიმე ნლის შემდეგ რუსეთმა ბათუმში შემოიღო თავისი ტარიფების სისტემა და ჩაკეტა ამიერკავკასიის მიწა-წყალი დასავლეთ-ევროპის ტრანზიტისათვის სპარსეთში". (106, ტ.1, გვ.593).

რუსეთის მთავრობა აჭარის დაუფლების შემდეგ, აქაც ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და თურქეთში გადასახლებას. ხოლო, განთავისუფლებულ ადგილებში ქართველების გარდა, სხვა ერის ნარმომადგენლებს ასახლებდა. ქართველი მოღვაწეები (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, პ. უმიკაშვილი და სხვ.), წერილებში აღნიშნავდნენ რუსეთის ამ მოქმედებას.

ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი – აჭარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსაიდამ მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთი-ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინათვე არვინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო; არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი.....

აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, ნვა და ბუგვა სოფლებისა, დანიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დალუპვა ხალხის ქონებისა, რომლის ნაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა, – ესენი სულ იმისთანა თვისების უბედურებაა, რომელიც დიდხანს გასნევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი." (1, ტ.5, გვ.27).

„თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში..... (აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი). მერე როგორ? თავისს მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, – სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში?...

ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან". (1, ტ.5, გვ.32).

იაკობ გოგებაშვილი წერილში „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა" წერს:

„ქართველი მოსახლეობა მიწის მხრივაც მეტად შევიწროებულია..... თავისუფალი სახელმწიფო მიწები არათუ ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში, არამედ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც ამჟამად ქართველებისათვის აკრძალული ხილია. დიახ, მიწა, რომელიც მთლად ქართველთა სისხლითაა გაჟღენთილი და რომელიც სანახევროდ ქართველთა ძვლებითაა მოფენილი, არ შეიძლება უკიდურესად გაჭირვებულ ქართველს მიეცეს დასამუშავებლად. შავი ზღვის სანაპიროებზე სახელმწიფო მიწებს ადვილად ღებულობენ რუსებს გარდა გერმანელები, მოლდაველები, ესტონელები, ლიტველები და სომხები: – მხოლოდ ქართველებს ეუბნებიან კატეგორიულ უარს.....

ქართველთა ჩაგვრა ისე მკაფიოდ არაფერში ჩანს, როგორც საეკლესიო სფეროში. რუსეთის ყველა სხვა ეროვნებას ჰყავს თავისი ეკლესიის მეთაური, თავისი სასულიერო იერარქია, აქვთ თავისი სასნავლებლები, ჰყავთ თავისი უფროსები, ახალგაზრდებს სასულიერო საგნებს დედაენაზე ასწავლიან, ამავე ენაზე ასრულებენ წირვას. სხვანაირად შეუძლებელიცაა. მაგრამ ის, რაც შეუძლებლად არის მიჩნეული ყველა სხვა ტომის მიმართ, სრულიად შესაძლებლად მიაჩნიათ ქართველთა მიმართ." (17, გვ.145–147).

1921 წლის 16 მარტის, საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის ხელშეკრულებით, აჭარის ნაწილი, აღიარებულ იქნა საქართველოს განუყოფელ მხარედ. 18 მარტს ბათუმში რუსეთის წითელი ჯარი შევიდა. 16 ივლისს, საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ შემადგენლობაში. ხოლო, 1990 წლის ბოლოდან ეწოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში.

2.11. ჭანეთი.

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ:

„ხოლო ბაიბურდიასა და ფორჩხის სამწრით, ჭანეთის მთას იქით არს ჭანეთი და აწ უწოდებენ ლაზსავე.... კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა და სარწმუნეობით არიან სრულიად მაჰმადიანნი, გარნა მცირედი ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი, არამედ იციან კვალად ქართული ენა ვიეთთამე". (46, გვ.3).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ სახელწოდება „ლაზეთი", „ლაზია", ქართულ წერილობით წყაროებში XIII საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. ხოლო ადრინდელ ბიზანტიურ წყაროებში ის „ჭანი"-ს სახელწოდებით იყო ცნობილი და წარმოადგენდა სატომო სახელს.

ისტორიკოსი იური სიხარულიძე წერს:

„ლაზია" ამ სახელწოდების ბერძნული ფორმაა. ადრინდელ ბიზანტიურ ძეგლებში ის იშვიათად გვხვდება (პირველად ეპიფანე კვიპრელი (314–403) იხსენიებს), ხოლო მოგვიანებით უფრო ხშირდება და ასევე მკვიდრდება ქართულშიც.

ქვეყნის სახელი შემდეგ მოსახლეობაზეც გავრცელდა და ასე იქცა ძველი „ჭანი“ „ლაზა“-ად.

ქართული ტრადიცია უკანასკნელ დრომდე მაინც ვერ იგუებს ჩვენი ნარსულისათვის ამ უცხოური პოლიტიკის საფუძველზე აღმოცენებულ ფაქტს და ამ ტერმინსაც ისტორიული დანიშნულებით ხმარობს (დასავლეთ საქართველოში ადრეფეოდალური სახელმწიფოს შემომქმედი ტომის აღსანიშნავად)“. (46, გვ.20).

უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდება „ჭანი“, „მთლიანად მაინც არასდროს არ გამქრალა: „ჭანი“ და „ჭანეთი“ დიდხანს შემოინახა ქართულმა საისტორიო მწერლობამ (უამთაღმწერელი, ვახუშტი) და ხალხურმა მეხსიერებამ“. (10, ტ.11, გვ.381).

თვით სახელწოდება „ჭანეთი“ ბერძნულ წყაროებში მოიხსენება აგრეთვე თიანიკეს სახელწოდებით“. (10, ტ.11, გვ.381).

როგორც ცნობილია, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ყირიმსა და ჩრდილო კავკასიაში (ყუბანისპირეთში) მობინადრე კიმერიელთა ტომები, ძვ. წ. VIII საუკუნეში, შემოიჭრნენ სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში, და იქ არსებული სახელმწიფოები ზოგი გაანადგურეს. ზოგიერთი ადგილობრივი ტომები განდევნეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან, ხოლო ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებ ტომებთან მოხდა მათი შერევა.

ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, კიმერიელების მიერ განდევნილი სამხრეთში მცხოვრები ქართველთა ერთ-ერთი ტომი **ტაბალები**, გადასულან ჩრდილოეთში და „მათ თავის მხრივ აფხაზებიც და მესხებიც უფრო ზევითკენ განუდევნიათ და კავკასიის ჩრდილოეთი ნაწილი მიუკუთვნებიათ. თითონ კი ლაზებისა, ჭანებისა და იბერების სახელით მათის მოსახლეობის მთელი სამხრეთი ნაწილი დაუსაკუთრებიათ.“ (2, ტ.I, გვ.436). მისივე თქმით:

„ამიერკავკასიაში საქართველო ორ დიდ სახელმწიფოებრივ ერთეულად იყოფებოდა, რომელთაგან დასავლეთი, ანუ იმერი საქართველო კ ო ლ ხ ე თ ა დ წოდებული შავი ზღვითგან იწყებოდა და აღმოსავლეთით შორაპნის და სკანდის ციხეებამდის აღწევდა. ჩრდილოეთის საზღვარს კავკასიონის მთის მთავარი უღელტეხილი შეადგენდა. სამხრეთით მას ლაზეთი ანუ ჭანეთი ჰსაზღვრავდა, რომელიც თავის დასავლეთს კუთხეში ქ. ტრაპიზონის მთელს სანახებსაც შეიცავდა. ჭანეთი რამდენადმე პატარა სახელმწიფოებრივ ერთეულად იყო დაყოფილი“. (2, ტ.III, გვ.301).

ქართული ტომი ჭანები, მოსახლეობდნენ III–VI საუკუნეებში ლაზეთის სამეფოს სამხრეთით, შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის მთიანეთში, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდილოეთ კალთებს, მდ. ჭოროხის სათავეებთან, მიუვალ მთებში, რომლებითაც მოწყვეტილნი იყვნენ ზღვისაგან [ახლანდელი თურქეთის ბაიბურთისა და ისპირის ილჩეების (მაზრების) მიდამოები]. შემდეგში, როდესაც დაიწყო მთის ტომთა ჩამოსახლება ბარში, სახელწოდება „ჭანეთი“ გავრცელდა შავი ზღვის სანაპიროს ვრცელ მიწა-წყალზე (ახლანდელი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე: ართვინის, რიზეს და ტრაპიზონის ვილაეთის მიდამოები). ი. ჯავახიშვილი, ჭანების ბინადრობის ადგილ-მდებარეობის შესახებ წერს, რომ: „გამორკვეულია, რომ ტიბარენების მეტომე ჭანების ერთი თემი ჯერ კიდევ V–VI ს. კაინელებად იწოდებოდნენ, რომ იქ შენახული იყო «კაინ»-ის ტომის სახელი. თავდაპირველად ეს ტომი, რასაკვირველია, მრავალრიცხოვანი იქმნებოდა და შესაფერისი საზღვრებიც ექმნებოდა მის მოსახლეობას.“ (2, ტ.I, გვ.409). და, რომ: „ტრაპიზონისა და ფარნაკიის დასავლეთით ჯერ ტიბარენნი ბინადრობდნენ, მერე ხალდები, ანუ ხალიბები და მაკრონები, რომელთაც სტრაბონის დროს ზანებს (ან ჭანებს) ეძახდნენ. აღმოსავლეთით ქართველი ტომების მიწებს მცირე სომხეთი საზღვრავდა“. (2, ტ.I, გვ.418).

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე ს (ძვ. წ. 435/431–355/354) დროს ის ადგილები რომელიც ქართველებსა და მის მოსაზღვრე ტომებს ეკავად, სომხებს დაუკავებიად და ამ ადგილებში სომხები ჩასახლებულან. სტრაბონის გადმოცემით, მის დროს, ესე იგი ძვ. წ. I საუკუნეში, „ეხლა ყველა ეს ხალხები ერთ ენას ლაპარაკობენო..... კარინსა და ქსერქსინში ხალხი უკვე სომხურსა ლაპარაკობდა; ეტყობა ერთი საუკუნის განმავლობაში ქართული ენა დაჩაგრულა და სომხური გაბატონებულა: მაშასადამე, ამ ორი მაზრის მცხოვრებნი სომეხნარევი ხალიბები უნდა ყოფილიყვნენ; მართლაც პლინიუს სეკუნდუსი ამბობს, რომ იქ „gens Armenochalybes“ – სომეხ-ხალიბებების ტომი მოსახლეობდაო. ე. ი.

გასომხებული ჭანები ყოფილან..... სტრაბონის ცნობებიდან მაინც ცხადადა ჩანს, რომ შავი ზღვის სამხრეთის ნაპირებზე ქართველი ტომების მოსახლეობა თანდათან შესამჩნევად მცირდებოდა.

არიანეს მოწმობით მეორე საუკუნეში ქრ. შ. მთელი ეს ქვეყანა რომის ხელმწიფის ან მფარველობას, ან არა და ბატონობას ემორჩილებოდა. ნვრილ-ნვრილ სამთავროებად დაქუცმაცებული ქართველი ტომები ზოგი შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი იყვნენ, ზოგს კიდევ იმპერატორის დანიშნული მოხელე განაგებდა. ტრაპიზონის მახლობლად მიუვალ ადგილებში მცხოვრები ჭანები ტრაპიზონელების დაუძინებელი მტრები ყოფილან და თუმცა კეისრისათვის აღუთქვამთ, ხარკს მოგცემთ ხოლმეო, მაგრამ თურმე თავის დროზე არ იხდიდნენ. ამ დროს ჭანებს საკუთარი მეფეები არა ჰყოლიათ.

როგორც უამთააღმწერელი პროკოპი კესარიელის (დაახლოებით 507-562 შემდეგ) სიტყვებიდან ჩანს, VI ს. ჭანებს ისევ ტრაპიზონის მახლობლად უცხოვრიათ და მიუვალ მთიანი ტყით მოცული, მაგრამ მწირი ადგილები ეჭირათ; მათ^ მეზობლად აღმოსავლეთით სომხები ყოფილან. ჭანეთის მთის გასწვრივ ზღვის პირას ტრაპიზონის დასავლეთით იდო დაბები **სუსურმენა** (ეხლანდელი სვრმენე) და **რიძაონი** (ეხლანდელი **რიზე**). ჭანეთის მთებში იყო მდინარე „ბოას"-ის სათავე, ლაზიკისაკენ მიიქცევა და შავს ზღვას ერთვის, მაგრამ ბოასის სახელით კი არა, არამედ აკაფსის უწოდებენ მახლობელნი მცხოვრებნიო. აქ ბიზანტიელს ისტორიკოსს, ეგონებ, მდ. ჭოროხი უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი..... ჭანები ამ დროს უკვე სრულებით თავისუფალი იყვნენ და არც ბიზანტიის კეისარს, არც ლაზთა მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ, მაგრამ ბიზანტიელებთანაც და ლაზებთანაც მეგობრული განწყობილება ჰქონდათო.

ჭანები, პროკოპი კესარიელის სიტყვით, ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთს ეწოდებოდა **„ჭანნი ოკაენელნი"**, მეორეს – **„ჭანნი ქოქსენელნი"**; ზემო დასახლებულ დაბა-ქალაქებს გარდა, შუაგულ ჭანეთში კიდევ შემდეგი დაბა-ციხეები ყოფილა: **სქამალინიხონ** (სხამალინხონ), რომელიც ჯვარედინ გზაზე დგას, – **ხართონ, კენა, სისილისონი, ბურგუ** და **ჭანჭახა** (ტძანძაკონ)." (2, ტ.I, გვ.420).

ჯავახიშვილის თქმით, „იმდროინდელი ჭანების ყველა საგეოგრაფიო სახელების ახსნა ჭანურ-ქართულით შეიძლება". (2, ტ.I, გვ.422).

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ ადრე ჭანებს უწოდებდნენ **სანებს** (Sanoi). მისივე თქმით, ჭანები მრავალ ტომისაგან შედგებოდნენ და ასახელებს **ოკეტინის, კოქსილინის** და სხვა ტომებს. ჭანები თავისუფალი მთიელები ყოფილან. მათ არაერთხელ დაუმარცხებიათ რომაელები. (10, ტ.11, გვ.381). „ბიზანტიელთა და ლაზეთის სამეფოს შორის მოსახლე ჭანურ ტომთა შესახებ პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ, თუმცა ისინი არც რომაელთა არც ლაზთა ქვეშევრდომები არ არიან, მაგრამ ლაზთა ეპისკოპოსები კი უნესებენ მათ მღვდელმსახურებასო, ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს ლაზეთის გარკვეულ კულტურულ გაელენას ჭანების მიმართ". (9, ტ.II, გვ.160).

არიანე ფლავიუსის (დაახლ. 95-175) გადმოცემით, ჭანები სანები არიან. სანები (ჭანები) ტრაპეზუნტელების მოსაზღვრე, უგულადესი მეომარი მთიელი ტომები ყოფილან და ამავე დროს ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტრები იყვნენ. იგი გადმოგვცემს, რომ ჭანები, „მეტად კარგი მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს. ძველთგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ენევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი. მაგრამ ამის შემდეგ, თუ ღვთის ნება იქნება, აწ ნესიერად გადაიხდის ეს ტომი გადასახადს, ან ჩვენ მას გავაძევებთ ქვეყნიდან." (9, ტ.I, გვ.547). მისივე თქმით, „მახელონები" – მაკრონები, ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრები ჭანური მოსახლეობაა, ჰენიოხები კი მთიელი ჭანები ჩანან, რომელნიც, ეტყობა, ძვ. და ახ. ნელთაღრიცხვის მიჯნაზე ბარში ჩამოვიდნენ და სათავეში მოექცნენ ამ გაერთიანებას." (9, ტ.I, გვ.547).

როდესაც თერქებმა ლაზისტანი დაიპყრეს, ამ ადგილებში მცხოვრებნი გაამაჰმადიანეს. „ამისდა მიუხედავად ბევრს მათგანს ეხლაც კი თავისი დედაენა არ დაუკარგავს და ლაზურად ლაპარაკობს... ეხლა ლაზების, ანუ ჭანების რიცხვი ძალიან შემცირებულია. ამგვარად, თუმცა ლაზურ-ჭანური შტოს ერთმა ნილმა დედაენა შეინარჩუნა, მაგრამ ქართველი ტომების საერთო სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოსწყდა და ამის გამო საქართველოს მერმინდელი ისტორიისათვის მათმა არსებობამ უნაყოფოდ ჩაიარა." (2, ტ.I, გვ.422).

ი. სიხარულიძე აღნიშნავს, რომ „ეს ზანური (კოლხური) ტომი ადრეფეოდალური ხანიდან გამოდის ისტორიულ სარბიელზე და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევს – თავის პოლიტიკურ ჰეგემონიას ის ჯერ იმ „სანიკეზე" ავრცელებს, რომლის წიაღშიც აღმოცენდა, ხოლო შემდეგ – მეზობელ მხარეებზეც და თანდათან შავი ზღვის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ჭანეთად აქცევს. მართალია, ეს გარემოება იმ სიღრმით ვეღარ ხორციელდება, რომ მრავალდიალექტიანობა გადალახულიყო და საერთო ჭანური მეტყველება შექმნილიყო, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და ჭანთა ისტორიულ როლს ჩრდილს არ ჰფენს.

სატომო სახელს „ჭანს" მოგვიანებით მეტოქედ გაუჩნდა „ლაზი", რომელიც თანდათან იქამდე გაბატონდა, რომ თვით ჭანებსაც კი დაავიწყა თავიანთი ძველი სახელი. ამ ტერმინმა აქა-იქ ქართულშიც კი შეაღწია, მაგრამ აქ ტრადიციის ძლიერ კედელს დაეჯახა და ჩვეული წარმატება ვეღარ მოიპოვა". (46, გვ.18).

ლურსმული წარწერებიდან და წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ჭანები და ჰენიოხი ტომები, დიდ როლს ასრულებდნენ სამხრე-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ძველი დროიდან ახ. წ. I საუკუნეში.

გ. მელიქიშვილი წერს, რომ: „ელინიზაციას გადაურჩა მთიანეთში მცხოვრები „სანური" (ჭანური) მოსახლეობა. იგი მტკიცედ ინარჩუნებდა თავის სოციალურ წყობილებას – გვაროვნულ წეს-წყობილებას და, ამასთანავე, საკუთარ ტომობრივ თავისთავადობას". (9, ტ.I, გვ.471).

წყაროებიდან ცნობილია, რომ კოლხეთში ხდებოდა დროთა განმავლობაში მთიელთა ტომების ჩამოსახლება როგორც ჩრდილოეთ მთიანეთიდან, ასევე სამხრეთიდანაც, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან, სადაც სახლობდნენ ჭანური ტომები და იწყებოდა გვაროვნული წყობილების დაშლა. ჩამოსახლებულ ტომებს ვერაფერს უხერხებდა რომის იმპერია.

ჭანეთის მიწა-წყალზე შემდგომში, 1204 წლიდან, შეიქმნა ტრაპიზონის (ტრაპეზუნტის) სამეფო, რომლის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდა ქართველები (ლაზები და ჭანები) და ბერძნები.

ბერძნულ წყაროებში ჭანეთი მოხსენებულია „თიანიკე", „ტძანიკე" „სანიკე" „ტძანოი" და „ტძანნოი"-ს სახელწოდებებით.

გ. მელიქიშვილი წერს, რომ „მეომარი მთიელი ჭანები", „რომაელებს აღთქმულ ხარკს არ უხდიდნენ" და „არიანე (II ს. 30-იანი წლები) იმუქრებოდა, რომ იმათ გამოასწორებს, ხარკს გადაახდევინებს", „მაგრამ შემდეგში ხარკის გადახდა ჭანებისათვის, პირიქით, რომაელებს მოუხდათ... ეტყობა, აქ ჩამოყალიბებულა ტომთა დიდი კავშირი, რომელსაც შეეძლო ხანგრძლივი და შორეული ლაშქრობების მოწყობა. VI ს. ბიზანტიელი ავტორის, იოანე მალალას „ქრონოგრაფიაში" ნათქვამია, რომ თეოდოსი I-ის მეფობაში (379–395) ჭანები შეჭრილან კაბადოკიაში, კილიკიაში, სირიაში და დაურბევიათ ეს ქვეყნები". (9, ტ.I, გვ.559). წყაროებიდან ჩანს, რომ ბიზანტიამ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო ჭანების დამორჩილება. მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორმა ი უ ს ტ ი ნ ი ა ნ ე დ ი დ მ ა (529–535) წლებში შეძლო ბოლოს და ბოლოს ჭანების დაპყრობა. ამის შემდეგ ჭანები ბიზანტიელთა ჯარშიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ამავე დროს აქ დაიწყო, ბიზანტიის გავლენით, ქრისტიანობის გავრცელება და ჭანების გაქრისტიანება. როგორც ცნობილია დასავლეთ საქართველოში 650 წელს მოქმედებდა ფასისის ანუ ფოთის ლაზიკის სამიტროპოლიტო, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდა. შემდეგში, „IX საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიამ დაკარგა უკანასკნელი გავლენა დასავლეთ საქართველოში:

აფხაზეთის სამეფო ეკლესიურადაც გამოეყო მას. კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაეკარგა მთელი სამიტროპოლიტო".....

ამრიგად, IX საუკუნის II ნახევარში ნეოკესარიის სამიტროპოლიტოდან გამოყოფილი ტრაპეზუნტის ეპარქია (ადრე – საეპისკოპოსო, ამიერიდან – სამიტროპოლიტო) იწოდა ლაზიკის სამწყსოდ. ამ გარემოებამ დროთა განმავლობაში ის ნაყოფი გამოიღო, რომ ეს სახელწოდება თანდათან გასცდა საეკლესიო უწყების ფარგლებს და ქვეყნის სახელადაც იქცა". (46, გვ.20).

ჭანები არაერთხელ არის მოხსენებული ბიზანტიელთა ისტორიკოსებსა და მწერლების მიერ. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს „იუსტინიანე იმპერატორის ღონისძიებებს ჭანეთში – ტყეების გაჩეხვა, გზების შეკეთება და სხვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი შეიქმნა „დაუბრკოლე-

ბელი კავშირი“ ჭანებთან, მაგრამ ყველაფერ ამას სანუკვარი თავისუფლების დაკარგვაც მოსდევდა.....

აგათია მირინელის ცნობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭანთა 556 წლის აჯანყების აღწერა და მათი ბრძოლა ბიზანტიის ჯართან რიზეს ახლოს. აჯანყებულებს რომ ისეთი „გამჭრიახი და მარჯვე“ წინამძღოლი ჰყოლოდათ, როგორც ეს ბიზანტიელთა სარდალი თეოდორე ჭანი იყო, პირველ წარმატებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ. მაგრამ დამპყრობლის სამსახურში მდგომი მათივე თვისტომის მოხერხებით დამარცხდნენ სწორედ ჭანები....

V საუკუნის მეორე ნახევარში ჭანთა ლაშქრობაზე კაპადოკიასა და სირიაში ცნობა დაუცავს VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალალას. საგულისხმო ცნობებს შეიცავს იმავე საუკუნის მწერლის სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაც“. (46, გვ.8–9) და სხვა.

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ ბიზანტია-ირანის ომის დროს, ირანის მიერ დაპყრობილი ციხე-ქალაქის პეტრას გასანთავისუფლებლად, ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანე I დიდმა ლაზეთში 7 000 ბიზანტიელი და ჭანების ათასეული გამოგზავნა.

„მოუვიდა თუ არა ლაზებს ბიზანტიელებისა და ჭანების მეშველი ჯარი, მაშინვე ქ. პეტრას გარსშემოერტყნენ. სპარსელი ციხის მცველები შეერთებულს მტრის ძალას გულადად დაუხვდნენ და, რაკი სურსათი ბლომადა ჰქონდათ კარგა ხანს მაგრად იყვნენ“. (2, ტ.I, გვ.250).

პეტრას დასაცავად ირანის შაჰის (531–579) ხოსრო I ანუშირვანის მიერ გამოგზავნილმა ირანის ჯარმა „მთელი ლაზიკა ისე განვლო, რომ არსად მეტოქე არ უნახავს“. მხოლოდ ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის გაიმართა ბრძოლა. ბიზანტიელები მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ, ბოლოს ბიზანტიელები მოიქანცნენ და „მაშინ ისინი მახლობელი მთის ნვერზე ავიდნენ და იქ შეეფარნენ... მაშინ ქ. პეტრაში დამწყვდეული სპარსელები ციხიდან გამოვიდნენ და ბიზანტიელების ბანაკს ცარცვა დაუწყეს. მაგრამ ამ დროს მათ უცბათ ჭანები დაეცნენ. ეს ის ჭანები იყვნენ, რომელნიც ბიზანტიელებს გაქცევის დროს არ გაპყვნენ. ჭანებმა მრავალი ამოწყვიტეს და მთელ ბანაკს თითონ დაეპატრონენ. ამის შემდეგ ჭანებიც აიყარნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ“. (2, ტ.I, გვ.251).

ბიზანტიელი აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემს, რომ: „556 წელს ლაზიკაში მყოფი ბიზანტიელების ჯარი ჭანეთში გაგზავნეს. ჭანების ერთი ნაწილი კეისარს ემორჩილებოდა, ერთი ნაწილი კიდევ, მთებში მობინადრე, კეისრისაგან ყოველწლივ საჩუქარს იღებდა, მაგრამ ცარცვა-გლეჯას არ იშლიდა. სწორედ ამათ დასასჯელად გაგზავნეს ჯარი. მედგარი და გამწვავებული ბრძოლის შემდგომ ჭანები დაამარცხეს და დაიმორჩილეს. ამის შემდეგ არამცთუ ყოველწლიური შესაწირავი ოქრო მოუსპეს, პირიქით, მათ გადასახადიც დაადეს“. (2, ტ.I, გვ.259).

XIII საუკუნეში ჭანები, თამარ მეფის შემწეობით, მცირე აზიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიწაწყალზე, ძველი პონტოს სამეფოს ადგილზე, დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ ჭანები და ლაზები. ამ დროიდან მოყოლებული ჭანების შესახებ უხვ ცნობებს იძლევიან ოსმალური და ქართული წყაროები.

XIV საუკუნის II ნახევრისა და XV საუკუნის I მეოთხედში მოღვაწე ბიზანტიელი ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის თხზულებაში „ტრაპიზონის ქრონიკა“-ში, რომელშიც გადმოცემულია ტრაპიზონის სამეფოს ისტორია 1204 წლიდან 1426 წლამდე, „დასახელებული „ლაზიკა“ საქართველოდ მიაჩნია, რათგან ნამდვილი ლაზიკა ანუ ჭანეთი თვით იმ ტრაპიზონის სამეფოს ეკუთვნოდა, რომელიც თურქთა შესევის სათარეშოდ ქცეულა. უეჭველია, მ. პანერეტს ლაზიკა თავის ნაშრომის ამ ცნობაში ძველი მნიშვნელობით აქვს ნახმარი ისევე, როგორც IV–VII საუკუნეებში ხმარობდნენ ხოლმე, და იმ დროის მსგავსადვე ლაზიკა დასავლეთ საქართველოდ აქვს ნაგულისხმევი“. (2, ტ.III, გვ.271).

როდესაც დაიწყო საქართველოს დაყოფა ცალკეულ სამთავროებად და XIII საუკუნის მეორე ნახევარში, მესხეთში ჩამოყალიბდა სამცხე-საათაბაგო, რომლის ერთ-ერთ ძლიერი მთავრის ბექა I ჯაყელის დროს, სამცხის სამთავროს საზღვრებში მოექცა ჭანეთის ნანილიც, რომელიც ტრაპიზონის მეფე კომნენოს, (სინამდვილეში ალექსის) (1297– 1330), ბექასთვის გადაუცია. „უამთააღმწერელი“-ს თქმით: „ესე ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღ-

ვამდე, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისჭევი და ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან, კომნინოსმან კირ მიხაილ". (5, გვ.637).

მიქელ პანარეტოსის ცნობით, XIV-ის დასაწყისში „თურქები ხალიბთა ქვეყანაში, ჭანეთში შესულან და ისე აუოხრებიათ და გაუკაცრიელებიათ, რომ ქვეყანა უშენი გამხდარა". (2, ტ.III, გვ. 250). 1341 წელს თურქები ტრაპიზონის იმპერიას „შეპსევიან, თვით დედაქალაქი გადაუწვავთ და გაუნადგურებიათ, დიდძალი ხალხი, ქალი, კაცი და ბავშვებიც ცეცხლში დაღუპულა". ამ დროს „ლაზიკა ანუ ჭანეთი თვით იმ ტრაპიზონის სამეფოს ეკუთვნოდა, რომელიც თურქთა შესევის სათარეშოდ ქცეულა". (2, ტ.III, გვ.271). როდესაც 1461 წელს, ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ II-ემ ტრაპიზონის იმპერია მთლიანად დაიპყრო და ის ოსმალთა იმპერიის ერთ-ერთ კუთხედ გამოაცხადა, ჭანეთის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ტრაპიზონის გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა, ოსმალეთს დაექვემდებარა. ხოლო ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს შემავალ, სამცხე-საათაბაგოს გამგებლობაში დარჩა. XV საუკუნის 60-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს ათაბაგმა ყვარყვარე II ჯაყელმა „მესხეთის ურჩ ერისთავთა საწინააღმდეგო ბრძოლაში რომ დახმარებოდა, {მისცა ყვარყვარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთისა გურიელსა კახაბერს}". (2, ტ.IV, გვ.75). გურიის მთავარს კახაბერ II გურიელს (გ. 1483), ამ დროს „ეპყრა რიონს გაღმართი საჯავახო, იმას-აქეთი გამოსწურივ ღომისციხეს გარდმოღმართი, ერგე, აჭარა, და ჭანეთი რკინისპალოს აქითი". (6, ტ.II, გვ.349).

„XVI საუკუნის დამდეგიდან ჭანეთი (აჭარასთან ერთად) განხეთქილების ვაშლად იქცა გურიისა და საათაბაგოს შორის. ეს შინაფეოდალური ქიშპი წყალს ასხამდა საერთო მტრის – ოსმალეთის – წისქვილზე, რომელიც საქართველოს სამხრეთის კარიბჭესთან იდგა და ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად ემზადებოდა.....

1512 წელს ჭანეთი კვლავ დაიბრუნა საათაბაგომ (ვახუშტი, აღწერა. გვ.711), და მასვე ეპყრა მურჯახეთის ომამდე (1535 წ.), ამის შემდეგ მას ისევ გურიელი დაეუფლა (იქვე, გვ.713, 811) და იგივე ფლობდა ოსმალთაგან მიტაცებამდე". (46, გვ.31).

XV საუკუნის II ნახევრიდან თურქებმა დაიწყეს შეტევები დასავლეთ საქარველოზე და საათაბაგოზე და თანდათან ოსმალეთმა შეძლო ჭანეთის დაპყრობა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგმა მზეჭაბუკ ჯაყელმა «დაეზავა ოსმალთა მორჩილების პირსა ზედა». ამით გამაგრებულმა «მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვითა»-ო". (2. ტ.IV, გვ.166). ამ დროს, როგორც ზევით ვთქვით, გურია განიცდიდა ოსმალთა მუდმივ თავდასხმებს. 1535 წელს იმერეთის მეფემ ბაგრატ III-ემ, როსტომ I გურიელთან ერთად გაილაშქრა სამცხე-საათაბაგოში და მურჯახეთთან ბრძოლაში მუსულმანები დაამარცხეს. იმის გამო, რომ არ დაეშვა გურიისა და ოდიშის მთავრების განდგომა, ბაგრატ III-ემ აჭარა და ჭანეთი ისევ გურიელს დაუბრუნა. „საათაბაგოს პარალელურად ოსმალები ცდილობდნენ ჭანეთ-გურიის დაპყრობას. ჭანეთის დაკავების შემდეგ ისინი გურიაში შეიჭრნენ და ბათუმში ციხე-სიმაგრის შენება დაიწყეს". (9, ტ.IV, გვ.109). გონიოს ციხე-სიმაგრის აგების შემდეგ, XVI საუკუნის 40-იან წლებში, თურქებმა ჭანეთი დაიპყრეს. ამ დროს ლიხსაქეთ საქართველო ირანს ემორჩილებოდა, ხოლო ლიხსიქეთ საქართველო – სულთანს.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში თურქებს ეპყრათ აფხაზეთი და ჯიქეთი. თურქების მიერ დანიშნული შერვან შარვაშიძე ფაშის წოდებით მართავდა „რიონის (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიზეს „ამოღმა". (9, ტ.IV, გვ.469).

თურქეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა ლიხსიქეთის საქართველოს მთლიანად დასაპყრობად. იმერეთის მეფის (1752–1784) სოლომონ I-ის დროს ოსმალეთი ზედიზედ აწყობდა ლაშქრობებს იმერეთის დასაპყრობად. ამ ომებში მონაწილეობას ღებულობდნენ სამცხე-საათაბაგოს, აჭარისა და ჭანეთის ფაშებიც.

სოლომონ I-მა შეძლო დასავლეთ საქართველოს მთავრების დამორჩილება, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება და იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ისევ ატყდა ლიხსიქეთის საქართველოში მთავრებს შორის ურთიერთ დაპირისპირება და ურთიერთმტრობა. ამით კი სარგებლობდნენ თურქეთი და

ირანი, ადვილად იმორჩილებდნენ სამთავროებს და თანდათან ხდებოდა დაპყრობილი მოსახლეობის გამაჰმადიანება. „თურქეთის მიერ ნაქეზებული ჭანი ფეოდალები სულთანს ურჩ აჭარას უმორჩილებდნენ, აჯანყებულ ჭანებს აჭარელი ფეოდალები არბევდნენ, ქობულეთის მხარის თურქთაგან დაპყრობაში კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თვით ქვემო გურიისა და აჭარის გამაჰმადიანებულმა ფეოდალებმა.

ასეთი იყო დასავლეთ საქრთველოს მთავართა და სხვა ფეოდალთა როლი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი კერძო ფეოდალურ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე მშობლიური ქვეყნის საერთო წარმატების ამოცანებს.“ (9, ტ.IV, გვ.676).

„ძლიერი მტრის შეჩერების ძალა ფეოდალურად დაშლილ საქართველოს არ შესწევდა და ოსმალეთიც თანდათანობით იპყრობდა ქვეყანას. ერთ-ერთი პირველი დაპყრობილთა შორის აღმოჩნდა სნორედ ჭანეთი. მისი ინკორპორაცია მტერმა XVI საუკუნის 40-იან წლებში მოახერხა. მიტაცებული ჭანეთი ოსმალებმა ტრაპიზონის ლივას მიათვალეს და ხუთ კაზად გაჰყვეს: ოფის, რიზეს, ხემშინის, ათინას და არქაბის (არხავე).....

იმის გასათვალისწინებლად, თუ სადამდე ვრცელდებოდა ჭანეთი დასავლეთით და რა ტერიტორია დაიპყრეს ოსმალებმა, განსაკუთრებით ძვირფასია აქ ოფის დასახელება. ეს პუნქტი (ახლა ფიიტაშად იწოდება) რიზეს დასავლეთით მდებარეობს.

ამავე სექტორშია სავარაუდებელი სასაზღვრო რკინის პალოც“. (46, გვ.31–32).

„ქართველები არ შერიგებიან ჭანეთის დაკარგვას და არაერთხელ შეეცადნენ მის განთავისუფლებას. მაგრამ ამ ცდებს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე წარმატება არ მოჰყოლია. ბერლინის ტრაქტატით საქართველოს დაუბრუნდა ჭანეთის ერთი ნაწილი (მდ. მაზიმ-ჩაის ჩრდილოეთით) და ასე დარჩა რევოლუციამდე. შემდეგ თურქებმა კვლავ მიიტაცეს ამ მხარის დიდი ნაწილი და საქართველოს ფარგლებში დარჩა მხოლოდ მსქიბუღალ-ტიბაშის ჩრდილოეთით მდებარე მცირე ჭანური ტერიტორია.“ (46, გვ.32). ხოლო როგორც ზევით ვთქვით, საბჭოთა წყობილების დროს, სამხრეთ საქართველოს სამხრეთის მხარის ნაწილი თურქებს გადასცეს და ჭანეთიც მთლიანად თურქეთის მფლობელობაში მოექცა.

2.12. სპერი.

სპერი წარმოადგენდა უძველეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (იბერიის) სამეფოს ისტორიულ განაპირა მხარეს, რომელიც იყო უძველეს დროიდან აღმოსავლურ ქართულ ტომებით დასახლებული და მდებარეობდა მდ. ჭოროხის ზემო დინების აუზში. (ახლანდ. თურქეთში მდებარე ისპირის რაიონი).

ცნობილია, რომ ვინაიდან სპერის საზღვრები აღწევდა შავ ზღვამდე, ამიტომ შავ ზღვას ეწოდებოდა **სპერის ზღვა**.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, როდესაც იბერიის სამხრეთში ჩამოყალიბდა სომხეთის სამეფო და მომძლავრდა, ის შეეცადა ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან, იბერიის სამეფოს სამხრეთ მხარეში მდებარე მიწა-წყლის დაპყრობას, მათ შორის სპერის ოლქისაც.

პ. ინგოროყვა სპერის შესახებ წერს, რომ:

„საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ადრეულ საშუალო საუკუნეებში ისტორიული სპერი განიყოფებოდა სამ ზონად:

ა. ზ ე მ ო - ს პ ე რ ი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული;

ბ. შ უ ა - ს პ ე რ ი, რომელიც დაკავშირებული იყო ტრაპიზონის მხარის ჭანეთთან;

გ. ქ ვ ე მ ო - ს პ ე რ ი, ანუ სპერის ძირითადი ნაწილი, რომელიც იბერიის (ქართლის) საზღვრებში შედიოდა.

ტერიტორიული მოცულობა ამ სამი ერთეულისა შემდეგი იყო:

ა. ზემო-სპერი, ე. ი. სპერის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, მოიცავდა ჭოროხის ხეობის სათავეებს, ვიდრე ქალაქ ბაიბერთამდე. ქალაქ ბაიბერთთან თავდებოდა სომხეთის ეს ზონა....

ბ. შუა-სპერი, ე. ი. ჭანეთის სპერი, მოიცავდა ჭოროხის ხეობაში მდებარე ღართის ველს და მის მიმდგომ ზონას...

გ. ქვემო-სპერი, ე. ი. იბერიის (ქართლის) სპერი, – მოიცავდა ჭოროხის ხეობას ღართის ველს ქვემოთ, ე. ი. ჭოროხის ხეობის იმ ნაწილს, სადაც მდებარეობს ქალაქი სპერი (თანამედროვე ისპირი).

სპერის ეს მთავარი ძირითადი მხარე, რომელიც ყოველთვის იბერიის (ქართლის) ნაწილად ითვლებოდა, კარგად არის ცნობილი ძველ-ქართულ საისტორიო წყაროებში. ჯუანშერის ქრონიკაში მას ეწოდება „საზღვარი ქართლისა სპერი". ეს მხარე, ქვემო-სპერი („საზღვარი ქართლისა სპერი") ადრეულ საშუალო საუკუნეებში ითვლებოდა კლარჯეთის ადმინისტრაციული ერთეულის (კლარჯეთის საერისთავოს) ნაწილად.

ასეთი იყო ტერიტორიული მოცულობა სპერის ამ სამი ნაწილისა ადრეულ საშუალო საუკუნეებში, ვიდრე ისტორიული სპერის ეს ტერიტორიები მთლიანად არ გაერთიანდა იბერიის „ქართველთა სამეფოს) ფარგლებში". (4. გვ.513).

VI საუკუნეში ქართლის გამგებლობაში იმყოფებოდა, ხოლო VII საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიამ დაიპყრო.

ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ბიზანტიის იმპერატორის ჰერაკლე კეისრის დროს „კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისაჲ – სპერი და ბოლოჲ კლარჯეთისაჲ ზღვისპირი". (5, გვ.231). IX საუკუნეში სპერი შედიოდა შავშეთ-კლარჯეთის სამთავროში. აშოტ დიდის, კურაპალატის „დროს სამთავროს ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი. აშოტი აფართოებს საზღვრებს". (9, ტ.II, გვ.449).

ზევით ავღნიშნეთ, რომ აშოტ დიდი. კურაპალატი, იყო პირველი მთავარი ბაგრატიონთა საგვარეულოდან, ხოლო „ბაგრატიონთა სახლი თავის თავდაპირველი წარმოშობით ქართველთა თემიდან – სპერიდან ყოფილა". (9, ტ.III, გვ.419). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრებაში" სუმბატ დავითის-ძე „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ"-ში, გადმოგვცემს, რომ ბაგრატიონები „შვიდნი ძმანი" ყოფილან, რომელთა ნაწილი „დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს", ხოლო ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს". (5, გვ.360). „სუმბატ დავითის ძის ზემომოტანილ გადმოცემაში არსებული მითითება იმის შესახებ, რომ ქართველი და სომეხი ბაგრატიონები ერთი და იგივე სახლის შვილები არიან, სავსებით სწორია. ეს აზრი თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში აღიარებულად ითვლება". (9, ტ.III, გვ.419).

აშოტ პირველის შემდეგ, სპერის დასაპყრობად იბრძოდა ჯერ ბიზანტია, ხოლო შემდეგ თურქეთი. წყაროებიდან ჩანს, რომ X საუკუნის 60-იანი წლებიდან, დავით III დიდის (გ. 1001) სამფლობელოში შედიოდა იმიერ ტაოს სამხრეთი მხარე, ბასიანი, თორთუმი, სპერი და მოსაზღვრე სომხური თემები.

XIII საუკუნის II ნახევრიდან სპერი სამცხის სამთავროში შედიოდა. „უამთააღმწერელი" გადმოგვცემს, რომ სამცხის მმართველი ბექა I ჯაყელი „ბექა განდიდებული იყო და აქუნდა ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე". (5, გვ.637).

მის დროს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან მომძლავრებულმა თურქებმა დაიწყეს თავდასხმები საქართველოზე. „უამთააღმწერელი"-ს გადმოცემით XIII საუკუნის ბოლოს, მცირეაზიელი თურქმანთა ტომების მეთაური აზატ მოსე შემოესია საქართველოს და „იწყო მძჯნვარედ ოჴრება, ჴოცა და კლვა". (5, გვ.641). ტაოს ერისთავს უთხოვნია ბექასთვის დახმარება. რომელმაც 12 000 მეომრით ვაშლოვანთან გაანადგურა მომხდურნი. გაქცეულნი „თურქნი მცირედი რამე შეივლტოდეს ქალაქსა და ციხეს სპერისასა და რომელნიმე ნორქალაქს". (5, გვ.644). თურქები განდევნეს სპერიდანაც.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის 1578 წელს დაიწყო ომი. ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ჯარი სამხრეთ საქართველოს შეესია. დიდებულთა ერთმა ნაწილმა ოსმალეთს უბრძოლველად გადასცა თავიანთი ციხე-სიმაგრეები. ოსმალებმა დიდი ბრძოლების შედეგად შეძლეს ციხეების (ქაჯთა ციხე, ველის ციხე, თეთრციხე) დაპყრობა. ხოლო მგელციხის (ახლა თურქეთშია. კურდყალა ეწოდება) აღება ვერ შეძლეს. ჩილდირის ველზე (ახლა თურქეთშია) 9 აგვისტოს გადამწყვეტ სასტიკ ბრძოლაში ირანსა და ოსმალეთს შორის, გაიმარჯვეს ოსმალებმა. ამის შემდეგ ოსმალებმა ამიერკავკასიიდან საერთოდ განდევნეს ირანელები და ამიერკავკასიას დაეპატრონენ. სპერის მხარეც თურქეთის შემადგენლობაში მოექცა და დღევანდელ დღესაც წარმოადგენს ისპირის ვილაეთს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ოსმალეთმა დაიწყო ქრისტიანების დევნა და საერთოდ შეეცადა, რომ ქართული კულტურა გაენადგურებინა (ხდებოდა ეკლესიების დანგრევა, მონასტრებს ხურავდნენ, ეპარქიებს აუქმებდნენ და სხვ.). იმ დროს, მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანდა. „მაგრამ აქა-იქ მღვდელმსახურება მაინც შემორჩა". უნდა აღინიშნოს, რომ „ქრისტიანობას განსაკუთრებით იცავდნენ ქალები. რენეგატი ფაშებისა და სხვა გამგებელთა ოჯახებშიაც ქალები კვლავ ქრისტიანობნენ."

მიუხედავად ამისა, „ქართული ენა ყველგან შემორჩენილი იყო და ხალხის ერთადერთ სალაპარაკო ენას წარმოადგენდა. მოსახლეობის ზედაფენაში თანდათან ვრცელდებოდა თურქული ენა, მაგრამ ამ ფენის წარმომადგენლებიც „თავისთაკს სახლებთა ან ურთიერთის მეგობრობასა შინა იტყვიან ქართულსავე". გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები ცენტრალურ ხელისუფლებასთან უშუალო ურთიერთობისათვის იძულებული ხდებოდნენ თურქული ენა შეესწავლათ: „უნყიან მოთავეთა თათრულიცა, დამჭირნეობისათვის ოსმალთ". სამხრეთ საქართველოს ფეოდალები ყოველგვარი სახის მიმოწერას საქართველოს სხვა მხარეების მფლობელებთან ქართულ ენაზე აწარმოებდნენ". (9, ტ.IV, გვ.496).

სპერის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ:

„საისტორიო წყაროები ამ საკითხის გამო სრულიად გარკვეულ ჩვენებებს იძლევა. საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ზემო-სპერში, იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც ეს კუთხე პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხების ჩამოსახლებას ადგილი არ ჰქონია და არც სომხურ ენას მიუღია აქ გავრცელება. ზემო-სპერი, მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც თავიდანვე იყო, ისე შემდეგაც დარჩენილა ქართულ მხარედ: მოსახლეობის უმრავლესობას ზემო-სპერში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ქართული ტომი – ჭანები....

ამრიგად ირკვევა, რომ სპერის მხარის ეს სანაპირო კუთხე – ზემო-სპერი – ისეთსავე ძირეულ ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, როგორც შუა-სპერი (ჭანური სპერი) და ქვემო-სპერი (იბერიის სპერი). არც ერთ ეპოქაში ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეებისა არც ერთ ნაწილს სპერის მხარისას არ დაუკარგავს ქართული ეთნოგრაფიული სახე". (4, გვ.514).

თავი მესამე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. (მოკლე მიმოხილვა).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, არაერთი ნაშრომია შექმნილი და განხილული, მით უმეტეს საბჭოთა წყობილების დროს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ვითარების, სუბიექტური და სხვა მიზეზთა გამო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა არ ყოფილა ძირფესვიანად შესწავლილი. განიხილებოდა მხოლოდ ცალმხრივად – „მოძმე რუსეთის ქება-დიდებით". ვინაიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იმ დროს ვერავინ გაბედავდა სიმართლის თქმას. სიმართლის მთქმელი ნაშრომებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა, საბჭოთა კავშირის დაშლის და რღვევის შემდეგ, როდესაც ტაბუ დადებულ გადარჩენილ საარქივო მასალებს აეხადა ფარდა და მისი შესწავლა და განხილვა შესაძლებელი გახდა.

ცხადია, ქართველ და რუს ერებს შორის ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი და რთული ისტორია აქვს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წყობილების დროს, ნინა საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს შორის დაწყებული ურთიერთობები, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული, უფრო მეტად გაღრმავდა და განვითარდა. ცნობილი საზოგადო და კულტურის სხვადასხვა დარგის მოღვაწეები თავიანთ ნაშრომებში, ნაწარმოებებში, წერილებსა და გამოთქმებში ერთხმად აღნიშნავდნენ რუსი და ქართველი ხალხის ერთმანეთთან დაახლოებას და მჭიდრო კავშირს. იმ დროს ეს გაპირობებული იყო როგორც საკუთარი, ასევე საერთო ინტერესებიდან გამომდინარეობით.

წყაროებიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ X–XII საუკუნეებში „რუსული წყაროების მიხედვით, კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავმა ცოლად შეირთო (1154) „აფხაზთა" (ქართველთა) მეფის ასული. ქართულ ისტორიოგრაფში, არაპირდაპირ წყაროზე დაყრდნობით, გამოთქმულია საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში ყივჩაყები გადმოასახლა ვლადიმერ მონომახთან დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად.

კიევის რუსეთისა და საქართველოს შორის დადასტურებულია კულტურული ურთიერთობის ფაქტებიც. კერძოდ, კიევის რუსეთის ეკლესიების (კიევის ლავრა, ნოვგოროდისა და ვლადიმირის ტაძრები და სხვა) ფერწერითა და მოზაიკით შემკობაში მონაწილეობდნენ ქართველი მხატვრები". (72).

საქართველოში ისტორიის მანძილზე, მით უმეტეს სპარსეთ-ოსმალეთის ქიშპობის ხანაში, დიდ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა სარწმუნეობა და ქართველებმაც, ამ სარწმუნეობის გამო, თავის გადარჩენის მიზნით, დაუკავშირდნენ ჩრდილოეთიდან მომძლავრებულ ერთმორწმუნე სახელმწიფოს – რუსეთს.

წყაროებიდან ცნობილია, რომ XVI საუკუნის ბოლოს, რუსეთსა და საქართველოს შორის დაიწყო ურთიერთობის აღდგენის მცდელობა. როდესაც საქართველოს მეფე-მთავრები მტრისაგან თავის დაღწევისა და სახელმწიფოს გადარჩენის მიზნით, შეეცადნენ დაკავშირებოდნენ ერთმორწმუნე რუსეთს. მაგრამ, ეს იყო მხოლოდ დიპლომატიური მცდელობა, რომელიც მოსკოვის ხელისუფლების უგულველყოფის გამო შეწყდა.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან, მომძლავრებულმა რუსეთმა გადაწყვიტა შავი ზღვით ხმელთაშუა ზღვისაკენ გასვლა და სპარსეთიდან ინდოეთისაკენ სავაჭრო გზის ხელში ჩაგდება. პირველ რიგში, მისი გეგმის თანახმად საჭირო გახდა კავკასიის დამორჩილება. რუსეთი შეეცადა კავშირი დაეყარებინა საქართველოს ხელისუფლებასთან. ამ დროს, ორივე სახელმწიფოს მესვეურებს სურდათ ურთიერთობის დამყარება. თუმცა მათი მიზნები განსხვავებული იყო: საქართველო ცდილობდა ისევ და ისევ თავის გადარჩენას, ხოლო რუსეთი კი, მის დაპყრობას და დამონებას. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ეს ურთიერთკავშირი დამთავრდა ჯერ მეფის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ მისი ანექსიით.

ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია საუკუნეების განმავლობაში ქართველ ერს დამპყრობელი ურდოებისაგან: სპობდნენ, სწვავდნენ, ანადგურებდნენ, მინასთან ასწორებდნენ. ყველას უნდოდა მისი

ხელში ჩაგდება და დაპყრობა. მაგრამ, ამ პატარა ქვეყანამ, ყველაფერს გაუძლო და დღევანდელ საუკუნემდე მაინც მოაღწია. წარმოუდგენელი რამ მოხდა ამ საუკუნეში. როდესაც საქართველომ ბოლოს და ბოლოს შვებით ამოისუნთქა, ნანატრი თავისუფლება მიიღო და აპირებდა ერთ-ერთ ევროპულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და ჩამოყალიბებას, სწორედ ამ დროს მას თავს ესხმის ჩრდილოეთიდან რუსეთი – მის სათავეში მოხვედრილი ბარბაროსი ხელმძღვანელები.

მართალია, ცნობილი რუსი ლიტერატორი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი ბესარიონ ბელინსკი (1811–1848) წერდა, რომ:

„ყოველი ხალხი არის რაღაც მთლიანი, განსაკუთრებული და ინდივიდუალური, ყველა ხალხს აქვს თავისი ცხოვრება, თავისი შეხედულება მოვლენებზე, თავისი ქცევის თავისებურების გაგება და მოქმედება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯობს დავუტოვოთ ყველას თავისი და რომ შევიცნოთ საკუთარი ღირსება, უნდა პატივი ვცეთ სხვის ღირსებას“.

მაგრამ, სინამდვილეში, სულ სხვანაირად ფიქრობდნენ და დღესაც ფიქრობენ რუსეთის სახელმწიფოს მესვეურები – მათ არასდროს ჰქონიათ საკუთარი „ღირსება“ და არც არასოდეს პატივს სცემდნენ „სხვის ღირსებას“.

რუსეთი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროსაც-კი, ე. წ. „მეფის რუსეთი“, თვით საბჭოთა ისტორიკოსების მიერ აღიარებული იყო როგორც „ევროპის ჟანდარმი“, რუსეთი – ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, ისევ ცდილობს გადაყლაპოს და დაიმონოს, მცირე სახელმწიფოები და მათ შორის – თავისუფალი საქართველო. ერთმორწმუნე რუსეთი, რომელმაც ვითომდა თავის კალთებს ქვეშ შეიფარა საქართველო, სინამდვილეში ჯერ მეფის რუსეთმა და შემდეგ, ბოლშევიკურმა, ეგრეთ წოდებულმა კომუნისტურმა რუსეთმა, – საბჭოთა სახელმწიფომ – მთლიანად დაიპყრო, ფეხქვეშ გათელა მისი ყოველგვარი თავმოყვარეობა, მისი ღირსება და კოლონიად გაიხადა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საბჭოთა წყობილობის დროს, რა თქმა უნდა ვერავინ გაბედავდა „მოძმე რუსეთის“ წინააღმდეგ რაიმე სიმართლის თქმას, არამედ გაფიქრებასაც-კი.

რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატი (ხელშეკრულება), აღიარებული იყო, როგორც ქართველი ერის ხსნისა და აყვავების ხანა, რომ „რუსი და ქართველი ხალხების ძმური კავშირის სახელმწიფოებრივი, დეკლარაციული აღიარება სათავეს იღებს გეორგიევსკის ტრაქტადიდან“ (43, გვ.3) და ცდილობდნენ ქართველ ხალხში ჩაენერგათ, რომ რუსეთის, „გმირი პროლეტარიატის“ შემწეობით, შეძლო ქართველმა ხალხმა სოციალური და ეროვნული თავისუფლების მიღება და „პირველ რიგში რუსეთის გმირი პროლეტარიატის მეთაურობით დაიმკვიდრა ქართველმა ხალხმა სოციალური და ეროვნული თავისუფლება.... ცხადზე ცხადია, რომ საბჭოთა საქართველოს არნახული წინსვლა და აყვავება სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ორგანულადაა დაკავშირებული რუს ხალხთან, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს ხალხთა ერთიან ოჯახში ნამყვან ძალას წარმოადგენს.... ჩვენ სიამაყით ვაღლებთ თვალს ორ საუკუნოვან გზას, რომელიც რუსმა და ქართველმა ხალხმა ერთად განვლეს გზა, რომელმაც გაუძლო ყველა გამოცდას და მართებული აღმოჩნდა ჩვენი ცხოვრების არჩევანში.... სწორი არჩევანი მოახდინეს ჩვენმა წინაპრებმა 200 წლის წინათ, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოში სტუმრობის დროს, – რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობა განმტკიცდა საქართველოს ექვსი სოციალისტური ათწლეულის მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის სოციალიზმის ისტორიული მისია – დააახლოვოს და დაამოყვროს ხალხები, დაამკვიდროს მათ შორის სიამტკბილობა და მშვიდობა“. (43, გვ.31). თუ რა „სიამტკბილობა და მშვიდობა“ მოუტანა „მოძმე ერთმორწმუნე რუსეთმა“ საქართველოს, ეს ნათლად გამოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. როდესაც, „ხალხზე მზრუნველი“ რუსეთი, ხელახლა ცდილობს დაიპყროს და დაიმონოს თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები და მათ შორის საქართველო.

ტრაქტატის შესახებ მსჯელობა და განსჯა, ჩვენ შორს წაგვიყვანს. ამიტომ, მოვიყვანთ ზოგიერთი ჩვენი მეცნიერების მოსაზრებებს, რომლებმაც, საბჭოთა წყობილების რღვევის შემდეგ, შეძლეს ზოგიერთი გადარჩენილი, ტაბუდადებული არქივების გამოქვეყნება და სიმართლის თქმა. მეცნიერებმა როგორც იქნა საბოლოოდ აღიარეს, რომ რუსეთის უმთავრესი მიზანი იყო, საქა-

რთველო „ექციათ მის განუყოფელ ნაწილად და აეძულებინათ მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“.... ამ პროგრამის განხორციელებას ცარიზმი ცდილობდა სხვადასხვა გზით, რომელთა შორის უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია წარმოადგენდა“. (9, ტ.V, გვ.121.) იგივე ხდებოდა საბჭოთა კავშირის დროსაც.

როდესაც 1919 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ი. ჯავახიშვილი წერდა:

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც მე-XVIII ს-ეა. ანინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“. (3, გვ.65.) ეს სიტყვები დღევანდელ დღესაც ეთანადება.

ი. ჯავახიშვილი ახასიათებს რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებას 1783 წლის შემდეგ და პირდაპირ აცხადებს, რომ:

„1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანია რა. ზიანი-კი აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა. საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა.“ (3, გვ.93)

„1783 წ-ის ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერების და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით შემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ. თვით ერეკლე მეფეც და მმართველი წრეები ხედავდნენ, რომ ამ პოლიტიკურ ნაბიჯის გამოისობით საქართველო ისეთს საშინელს განსაცდელში ჩავარდა, რომლის მსგავსში შაჰაბაზის შემდგომ არ ყოფილა“. (3, გვ.95).

შემდეგ წერს, რომ რუსეთის მესვეურები, „ქართველთა მხურვალე სარწმუნეობრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც ქართველების იმედად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

როცა რუსეთისათვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ და მაჰმადიან ძლიერი სახელმწიფოების მძლავრობისაგან უკიდურესად შევიწროებულნი იყვნენ. ამ დროს, ის ვითომცდა კაცთმოყვარეობის გრძნობით აღსავსე არწმუნებდა საქართველოს, რომ მუდამ მის დახმარებაზე ოცნებობს და მისთვის ზრუნავს. ასე იყო ხოლმე სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმისდა მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც იგი განიზრახავდა, არ ჩარევდა. მაგრამ რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწეულად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა. ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც. ასეთს შემთხვევებში ის იმაზეც კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მის წყალობითა და მის მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე.“ (3, გვ.110).

„საიდუმლო მოხსენებითგან ცხადად სჩანს, რომ რუსეთის მთავრობისათვის საზოგადოდ საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლივ მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო.

მაშასადამე ყოველთვის ისე იყო ხოლმე, რომ რუსეთის „დახმარების“ დასაწყისში გარეგნულად საქვეყნოდ დიდი სახელი და რიხი ჰქონდა, შედეგი-კი მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით შემორტყმული ქვეყნისა და ერისათვის“. (3, გვ.113).

როგორც ცნობილია, რუსეთმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მოუსპო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნიშნები და გადააქცია, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიად და ბათუმისა და სოხუმის ოლქად (ოკრუგად). რუსეთის მთავრობა ავიწროებდა სკოლებში ქართული ენის სწავლებას, 1882 წელს ოფიციალურად გააუქმა „საქართველოს“ სახელის ხსენებაც. ხოლო, 90-იანი წლიდან ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართულად ლაპარაკიც

კი აიკრძალა. ამავე დროს, რუსეთის მთავრობა ცდილობდა ქართველი ხალხის აყრას და მის ადგილას სხვა ეროვნებების ჩამოსახლებას. ასე, რომ რუსეთის მთავრობას სურდა ქართველი ხალხის გარუსება და საქართველოს სრული მოსპობა და ამის მიღწევას ცდილობდა როგორც ძალის გამოყენებით, ასევე „რბილი პოლიტიკით" და ასეთი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, გრძელდებოდა საბჭოთა წყობილების დროსაც.

როგორც ცნობილია, 1844 წლის დამლევს კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა მ. ვორონცოვი რომელმაც კავკასიის და საქართველოს დაპყრობის ძალდატანებითი მოქმედება, შეცვალა ჩუმი, რბილი პოლიტიკით: თანდათანობით, „კულტურულად", „კულტურულ ღონისძიებათა" ჩატარებით. ფილოლოგი, ლიტერატურის მცოდნე და პედაგოგი მიხეილ ზანდუკელი (1889–1963) წერდა, რომ მ. ვორონცოვი რუსეთის იმპერატორს (1825–1855) ნიკოლოზ I-ეს (1796–1855) წერდა: „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რომელიც საუკუნეებით შექმნილ ჩვეულებებსა სცვლის, ყველგან არაჩვეულებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვრებაში ამ მხარეში (ამიერკავკასიაში) ამისათვის ამგვარ შემთხვევაში საჭიროა დიდის სიფრთხილით მოქმედება. ძალდატანებითი ზომები არამც თუ სიკეთეს არ მოიტანს, არამედ, შეიძლება, მეტად მავნე შედეგებიც-კი მოგვცეს". (42, გვ.12) მ. ვორონცოვი სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობდა თავად-აზნაურების ხელის შეწყობას. მათ ნიშნავდა ადმინისტრაციულ მმართველობაში და სახელმწიფო დაწესებულებებში. ქართველთა გულის მოსაგებად, მან ნება დართო აღედგინათ ქართული თეატრი, გაეხსნათ საჯარო ბიბლიოთეკა, გამოეშვათ გაზეთები, ხსნიდა რუსულ სკოლებს და სხვ.

მაღალი წოდების მომხრობისა და გარუსების მიზნით, ვორონცოვი, აგზავნიდა თავად-აზნაურთა შვილებს სწავლის მისაღებად მოსკოვისა და პეტერბურგის სამხედრო სასწავლებლებში, ანიჭებდა თავადაზნაურულ წოდებებს, უმტკიცებდა მამულებს, უნიშნავდა ყოველწლიურ პენსიებს და სხვა. ამდაგვარი მოქმედებებით, მ. ვორონცოვმა ნაწილობრივ, მოახერხა ზოგიერთი ქართველი თავადაზნაური რუსეთის მომხრე გაეხადა და წარმოიშვა ეგრეთ წოდებული „რუსოფილები", რომელთაც სამშობლო არაფრად მიაჩნდათ და დიდის გულმოდგინებით თავსაც სწირავდნენ რუსეთისათვის. (ახლანდელ „რუსოფილებს" დღევანდელ დღესაც მიაჩნიათ, რომ „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის" და ცდილობენ, რომ განთავისუფლებული საქართველო ისევ რუსეთს შეუერთდეს), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, საზოგადოების ნაწილსაც და მაღალ წოდებებს შორისაც, ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რუსეთის მეშვეობით შეიძლებოდა, მტრების მიერ ნართმეული ქართული მიწების დაბრუნება და ძველი საზღვრების აღდგენა. ამიტომაც იყო, რომ ზოგიერთი იმ დროინდელი ქართველებიდან თანაგრძნობით შეხვდნენ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას და თურქეთის წინააღმდეგ ღებულობდნენ მონაწილეობას ამ ომში. განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლად; და მართლაც, რუსეთის ჯარმა, ქართველთა დახმარებით, წარმატებას მიაღწია კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში და 1878 წ. 3 მარტის სან-სტეფანოს დადებულ ხელშეკრულებით, რუსეთს გადაეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის მიწა-წყლები სოღანლუღის მთებამდე.

მ. ვორონცოვის შემდეგ, მეფისნაცვლის თანამდებობა გაუქმდა და შემოღებულ იქნა კავკასიის გენერალ-გუბერნატორთა მმართველობა, რაც, იმას ნიშნავდა, რომ საქართველო და კავკასია უშუალოდ ემორჩილებოდა რუსეთის ხელისუფლებას და მთავარმართებელი მხოლოდ ზედამხედველი იყო და მ. ვორონცოვის „რბილი პოლიტიკა" შეიცვალა, კავკასიისა და საქართველოს მიმართ უხეში, აგრესიული პოლიტიკით. საქართველოში გაუქმდა ეკლესიის თვითმმართველობა და ის დაუქვემდებარეს რუსეთის ეკლესიას. საქალაქო და საერო თვითმმართველებაში დანიშნულნი იყვნენ რუსი მოხელეები და რუსოფილები, რომლებიც უქადნენ საქართველოს სრულ მოსპობას და გადაგვარებას. მაგრამ, ქართველმა მამულიშვილებმა მაინც მოახერხეს წინ აღსდგომოდა ამ ძალას. საქართველოსა და კავკასიაში, რუსეთის წინააღმდეგ, აჯანყებები და შეთქმულებები ზედიზედ ხდებოდა. მიუხედავად რუსეთის სასტიკი, სადამსჯელო ზომებისა, რომლის დროსაც განადგურდა და დაინვა არაერთი სოფელი და აჯანყებულთა ნანილი ციხეში ჩასვეს, გადაასახლეს და ზოგიც ჩამოახრჩვეს, რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლები მაინც არ წყდებოდა. კავკასიელი და ქართველი ხალხი თავს იცავდა და თანდათან ხდებოდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და აღორძინება.

ზევით აღვნიშნეთ, რომ კავკასიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთი, თურქეთი და ირანი, სამივეს უნდოდა მისი ხელში ჩაგდება. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა, როდესაც რუსეთმა ყირიმის სახანო დაიპყრო.

„ქართველთა ეროვნული კონსოლიდაცია საკმაოდ რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ცარიზმი, რომელიც რუსეთის იმპერიის ყველა ხალხის გარუსებას, მათი ეროვნული თავისებურების ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად, ბუნებრივია, სიმპათიით ვერ შეხვდებოდა ეროვნული თვითშეგნების გაცხოველების ამ პროცესს. მეორე მხრივ, ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესისადმი ანტაგონისტურად განწყობილი აღმოჩნდა აგრეთვე ძლიერი სომხური ბურჟუაზია, რომელიც ამ დროს გაბატონებულ მდგომარეობას აღნევს საქართველოში და კავკასიის ზოგ სხვა რაიონში. იმ დროს, როდესაც მიმდინარეობს ქართველი ხალხის ისტორიაში გვიანფეოდალური ხანის შავბნელ პირობებში გამოცოცხლებული პარტიკულარისტული ტენდენციების ლიკვიდაცია, ცარიზმი ამ პარტიკულარიზმის „დამცველად" და „მფარველად" გვეელინება, „ზრუნავს", მაგალითად, მეგრელთა განათლების მოწყობაზე მეგრულსავე ენაზე (რა თქმა უნდა, მხოლოდ სანყის კლასებში) და „იცავს" მათ „უცხო ქართული" ენისაგან. მეორე მხრით, იბეჭდება წერილები, სადაც შებღალულია ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობა, ამტკიცებენ, რომ ამ ხალხს თავისი მაინცდამაინც არც ისტორია და არც კულტურა არ გააჩნია, რომ კულტურასა და მწერლობას იგი გვიან ეზიარა სხვათა გავლენით და ა. შ. ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთათვის იმ დროის მოწინავე ევროპულ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული თეორია ქართველთა წარმოშობის შესახებ..... მძლავრი იარაღი ხდებოდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, მისი თავისთავადობისა და ასიმილატორთა მხრით შემოტევისგან დაცვაში." (42, გვ.32).

რუსეთის მთავრობას და მის მოხელეებს დაუპირისპირდა ქართველი ახალგაზრდობა, რომლებიც სამოციანელების, ანუ თერგდალეულების სახელით არიან ცნობილნი. ამ დროს წარმოიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ამ მოძრაობის მედროშენი, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გახდნენ: აკაკი წერეთელი (1840–1915) – ქართველი ხალხის სათაყვანებელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, ლიტერატორი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძე (1843–1928) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი და საზოგადო მოღვაწე, გიორგი წერეთელი (1842–1900) – მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რაფიელ ერისთავი (1824–1901) – მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, იაკობ გოგებაშვილი (1840–1912) – ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი, სერგეი მესხი (1845–1883) – პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დავით ყიფიანი (1835–1892) – იურისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე და სხვები.

საზოგადო მოღვაწე, უდიდესი მოაზროვნე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და უცილობელი მედროშე, ილია ჭავჭავაძე, პუბლიცისტურ წერილებში, ილაშქრებდა რუსეთის იმპერიის მოხელეთა აღვირახსნილ მოქმედების წინააღმდეგ და მათ მიწასთან ასწორებდა. დაუფარავად ამხელდა მათ ვერაგულ ზრახვებს ქართველი ხალხის წინაშე. ილიას თქმით, რუსეთში შემავალი ეროვნებების მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია ის, რომ ყოველმა ერმა შეიძულა „რუსეთის სახელი" და ყოველ ღონეს ხმარობს და ცდილობს, რომ მისგან თავი დააღწიოს. ეს იყო შედეგი რუსეთის მთავრობის იმ მოხელეებისა, რომლებიც „თავის ქეიფზედ" მართავენ ამ ქვეყნებს. 1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში", ილია წერდა:

„ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველდღეს მის ავსა და კარგსა და ყოველდღე თვალწინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, – შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას,

ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წენვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნულარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულის-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში...“ (1, ტ.5, გვ.34).

უნდა ითქვას, რომ ყველა სახელმწიფო, რომელიც შედგება რამდენიმე ეროვნებებისაგან, აწყდება დიდ სირთულეს ეროვნებათა, თეორიულ და პრაქტიკულ, მართვის საკითხების გადაწყვეტისას, მოითხოვს თვითეული ერის დამახასიათებელი ხასიათისა და მოთხოვნათა შესწავლასა და გამოკვლევას. მით უმეტეს, ისეთ სახელმწიფოში, რომელიც წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს რუსეთის იმპერია. ეროვნების საკითხების გაუთვალისწინებლობამ გამოინვია 70 წლიანი საბჭოთა სახელმწიფოს ასე სწრაფი დაშლა.

1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა:

„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადსხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მინა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათი-თოოდ, და მერე – როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალხილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა.... თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოულებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, – თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი.“ (1, ტ.5, გვ.79).

დიდი ილიას ეს სიტყვები: „თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“, ჩვენდა საუბედუროდ, დღევანდელ დღესაც დღის წესრიგში დგას და გაურკვეველია დიდ სახელმწიფოებისათვის.

XIX ს. საქართველოში ხდება კაპიტალიზმის შემოჭრა. რუსეთსა და საქართველოში ჩატარებულმა საგლეხო რეფორმამ დააჩქარა სასოფლო მეურნეობისა და ნვრილი ხელოსნური წარმოებების გარდაქმნა. თანდათან ყალიბდება მსხვილი სანარმოებები, იქმნება ქარხნები და სააქციო საზოგადოებები. გალატაკებული გლეხობა ეძებს სამუშაოს ქალაქებში და XIX ს-ის მეორე ნახევარში ნარმოიქმნა მუშათა კლასი.

საბჭოთა მეცნიერები აღიარებდნენ, რომ საქართველოში მეფის რუსეთის მმართველობა იყო კოლონიური, რომელიც აღვივებდა ეროვნებათა დაპირისპირებას. მაგრამ, მათი თქმით, ეს ხდებოდა ვითომდა, მხოლოდ მეფის რუსეთის დროს და არა შემდეგ – საბჭოთა წყობილებისას, როდესაც საბჭოთა მთავრობა იგივეს ანხორციელებდა, ოღონდ შეფარვით.

XIX ს-ის 90-იან წლებში საქართველოში იწყებს გავრცელებას მარქსიზმი და შეიქმნა მარქსისტული ორგანიზაცია, სოციალურ-კლასობრივი – „მესამე დასი“. რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ: ფილიპე მახარაძე (1868–1941) – საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწე და ლიტერატორი, მიხეილ ცხაკაია (1865–1950) – საბ. სახ. მოღვაწე, გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე (1886–1937) – საბ. სახ. მოღვაწე, ნოე ჟორდანია (1868–1953) – პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი, შემდეგში, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) (1879–1953) – საბ. სახ. მოღვაწე, 1922 წლიდან ცკ-ის გენ. მდივანი და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864–1926) – პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი და სხვ. „მესამე დასელები“ დაუპირისპირდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით **ილია ჭავჭავაძეს** და როგორც

ცნობილია, აღმოჩენილი საბუთების მიხედვით, დასტურდება, რომ „მესამე დასელებმა“ კიდევაც მოკლეს ჩვენი „უგვირგვინო მეფე“ – ილია ჭავჭავაძე.

პოლიტემიგრანტი გერმანიაში, დოქტორი იოსებ იმედაშვილი (გ. 1944) ი. ჭავჭავაძის მკვლელობას, „სენსაციურ პოლიტიკურ მკვლელობას უწოდებს“ და აღნიშნავს: „მკვლელები იყვნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც თავიანთი მიზნებისაკენ პოლიტიკური მტრების გზიდან ჩამოშორებით მიდიოდნენ. შურისძიების აღსრულებას მხოლოდ მკვლელობაში ხედავდნენ. თავადის მოკვლა პროგრამულ აუცილებლად მიაჩნდათ“. (60). ი. იმედაშვილი, ჯერ კიდევ 1932 წელს წერდა: „ადრე თუ გვიან ბოლშევიკების ძალმომრეობის ეს სისტემა დაინგრევა“. (60). რაც აღსრულდა კიდევაც.

მწერალი და ისტორიკოსი ლევან სანიკიძე (1925–2002) წერდა:

„მესამე დასელნი“ ილიას მტრები იყვნენ. დიახ, არა მხოლოდ „მოწინააღმდეგენი“, არამედ – სწორედ მტრები“. (27, გვ.65).

„სამშობლო?!

სამშობლოზე, მამულზე და მის დახსნაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი ძარღვებს უშლიდა „მესამე დასელებს“. ამ შემთხვევაში მათი „უტყუარი კოზირი“ იყო ფრაზა „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“: „მუშებს სამშობლო არა აქვთ“. მათთვის ეს ფორმულა – რომელიც, რასაკვირველია, უფრო პოეტურ-სენტიმენტალური ფორმულაა, ვიდრე რეალურ-მეცნიერული – მაქსიმალისტური კანონის რანგში იყო აყვანილი. ასე გასინჯეთ, ყოველ ომში საკუთარი სამშობლოს მარცხის სურვილსაც („პორაჟენცობა“) აშკარად გამოხატავდნენ, – რასაკვირველია, მანამ სანამ, პროლეტარიატის დიქტატურის სახელით, თვითონ არ მოქცეულიყვნენ „სამშობლოდ ნაგულისხმევი“ სახელმწიფოს სათავეში.

არსად, არც რუსეთის და არც ევროპის სოციალ-დემოკრატთა შორის, არ ჰქონია ისეთი გასავალი და წამდაუწუმ ხმარების პრაქტიკა ამ ფორმულას – მუშებს სამშობლო არა აქვთო – როგორც ქართველ მარქსისტთა შორის.“ (27, გვ.67).

როგორც ცნობილია, შემდგომში „მესამე დასი“ გაიყო ბოლშევიკებად და მენშევიკებად და ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ბოლშევიკები ენერგიულად შეუდგნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებას. პირველ რიგში დაიწყეს ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნა. ყურადღება მიაქციეს საქართველოში მცხოვრებ ვითომ-და, ე. წ. „დაჩაგრულ“ ეროვნებებს: სომხებს, აფხაზებს. ოსებს და სხვ. და დაიწყეს მათი დაპირისპირება ქართველების წინააღმდეგ. რომელიც რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით დღემდე გრძელდება და ამ ეგრეთ წოდებულ ქართველთა მიერ „დაჩაგრული“ ერების „მოთავეები“ არ უწყიან, რომ თვითეულ ამ ერებს რუსეთის ქვეშ მყოფთ გადაგვარება და აღგვა ელოდებათ. როგორც ამოწყდა ჩრდილოეთ კავკასიელთა ზოგირთი ტომები, კავკასიაში რუსეთის გამოჩენის შემდეგ.

როგორც ისტორიკოსი და კავკასიოლოგი ჯონი კეციანი წერს:

„საბჭოთა პერიოდში მოდერნიზაცია ხორციელდებოდა სსრკ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შექმნისა და ახალი სოციალური ერთობის – საბჭოთა ხალხის ფორმირების მიზნით. ამ პროცესის მიხედვით ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ყაბარდოელებს და სსრკ ყველა ხალხს უნდა შეექმნათ ხალხთა ახალი, ზეეროვნული „გაერთიანება“. ახალი სოციალური ერთობის შექმნის ძირითადი ინიციატორი, სსრკ-ში მისი დომინანტური მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთის საზოგადოება გახლდათ. ინტეგრაციის ამ პროცესს საფუძვლად ედო „სოვეტიზაციის“ პოლიტიკა და იდეოლოგია. „სოვეტიზაცია“ კი დაფუძნებული იყო ტრადიციული სოციალური ორგანიზაციისა და კულტურის ახალი სოციალური საზოგადოების ფუნქციონირების და ორგანიზაციის შეუთავსებლობის პოსტულატის პრინციპებზე“. (18, გვ.11),

1918 წ. 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიღებულ იქნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

„ამრიგად, 1918 წლის 26 მაისს აღდგა 117 წლის წინ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართველი ხალხი ამ ფაქტს საყოველთაო ზეიმით შეეგება. ეს ისტორიული მოვლენა XIX–XX

ს-ის დამდეგის საქართველოს ეროვნულ და სოციალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის დამაგვირგვინებელი შედეგი იყო. 26 მაისი საქართველოში დღესაც აღინიშნება, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღე". (82).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნოე ჟორდანია. საქართველოს დამოუკიდებლობა, პირველმა აღიარა 1918 წლის 3 ივნისს თურქეთმა, ხოლო ამავე წლის 10 ივნისს გერმანიამ და მთავრობის მოწვევით საქართველოში გერმანიის ჯარები შემოვიდნენ. მაშინდელი რუსეთის მთავრობის – სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ვ ლ ა დ ი მ ე რ ლ ე ნ ი ნ მ ა (ულიანოვი) (1870–1924), „გენიალურად" გააპროტესტა გერმანელი ჯარების შემოსვლა საქართველოში. მან „მოტყუება უწოდა მენშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და იგი... დაახასიათა როგორც „გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ". (11. გვ.82). ამის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს:

ავსტრიამ – 1918 წლის 18 ივნის;
არგენტინამ – 1919 წლის 15 სექტემბერს;
იტალიამ – 1920 წლის 12 იანვარს;
საფრანგეთმა – 1920 წლის 12 იანვარს;
დიდმა ბრიტანეთმა – 1920 წლის 12 იანვარს;
იაპონიამ – 1920 წლის 7 თებერვალს;
ჩეხოსლოვაკიამ – 1920 წლის 8 აპრილსა;
ბელგიამ – 1920 წლის 26 აგვისტოს;
პოლონეთმა – 1921 წლის 28 იანვარს. (68).

მაშინდელი პოლიტიკური რთული ვითარების გამო, ახლად არჩეული მთავრობა, იძულებული გახდა, 1918 წლის 4 ივნისს, თურქეთთან დაედო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთის ხელში გადავიდა ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის ნაწილი.

1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ, სინამდვილეში, ის არასდროს შერიგებია საქართველოს დაკარგვას და ყოველთვის ცდილობდა მის დაპყრობას. რაც მოგვიანებით გამომჟღავნდა კიდეც.

რუსეთში, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ, ბოლშევიკები შეუდგნენ კავკასიის დამორჩილებას. 1920 წლის 28 აპრილში აზერბაიჯანის დედაქალაქში, ბაქოში, კომპარტიამ (ბოლშევიკები) მოაწყო აჯანყება და აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის (რევკომი) მოთხოვნით ბაქოში შევიდა რუსეთის XI-ე წითელი არმია, ს. ორჯონიკიძისა და ს ე რ გ ე ი კ ი რ ო ვ ი ს (კოსტრიკოვი) (1886–1934) ხელმძღვანელობით.

დაამხო ადგილობრივი მუსავატური ხელისულება და აზერბაიჯანი გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ასსრ), ხოლო, 1920 წ. 29 ნოემბერს, რუსეთის XI-ე არმიის საშუალებით, სომხეთის დაშნაკური (დაშნაკცუთიუნ) მთავრობა დაემხო და ისიც გახდა სსრ. ამ დროს საბჭოთა რუსეთს მთელი ჩრდილო კავკასია ჰქონდა დაპყრობილი და კავკასიაში დარჩა მხოლოდ საქართველო. საქართველო გახდა გარშემორტყმული საბჭოთა რუსეთის მიერ. დაიწყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაპყრობის გეგმის შემუშავება, ამ გეგმას პირადად ამზადებდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომლის ხელმძღვანელი იყო ს. ორჯონიკიძე. საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ ქართველი ბოლშევიკები. ხოლო საქართველოს დაპყრობის გეგმის შეთანხმება ხდებოდა რუსეთის ეროვნებათა საქმის კომისართან ი. სტალინთან. ამავე ხანებში, რუსეთის XI-ე წითელი არმია იდგა სომხეთსა და აზერბაიჯანში. ჯერ კიდევ ადრე, 1918 წელს რუსეთი შეეცადა საქართველოს დაპყრობას, მაგრამ ვერ მოახერხა. ქართველებმა დაამარცხეს საქართველოში შემოჭრილი წითელი არმია და რომ საზღვარგარეთი არ ჩარეულიყო, ბაქოსაც აიღებდნენ. ამის შემდეგ, კავკასიაში ბოლშევიკები იკრებენ ძალებს.

1920 წლის მაისის დასაწყისში XI-ე არმია, აზერბაიჯანიდან შემოიჭრა საქართველოში, „მაგრამ უშედეგოდ. მისი შემდგომი ცდები ოკუპაციისა დროებით აღკვეთა საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებულმა ხელშეკრულებამ. საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუშლიდა წითელი არმიის შემოსვლას საქართველოში“. (68).

ცნობილია, რომ როდესაც 1921 წლის „იანვრის ბოლოს ბოლშევიკებმა ფაქტობრივად, დაასრულეს დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკებები, რომელსაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში მჭიდრო ურთიერთობის დამყარება უნდა მოჰყოლოდა, ამ თანამშრომლობის სანაცვლოდ რუსეთი ცენტრალურ აზიაში დიდი ბრიტანეთის ინტერესებს უპირობოდ ცნობდა. თავის მხრივ, ლონდონი აღიარებდა, რომ კავკასია რუსეთის შიდა პოლიტიკის საქმეს წარმოადგენდა.

რუსეთმა ფარულ შეთანხმებას თურქეთთანაც მიაღწია. თურქეთის პრეზიდენტის (1923–1938) მ უ ს ტ ა ფ ა ა თ ა თ უ რ ქ ი ს (1881–1938) მთავრობა საქართველოს ისტორიულ კუთხეს – ტაოკლარჯეთს ითხოვდა. 1921 წლის იანვრის ბოლოს საბოლოოდ გაირკვა, რომ თუ თურქეთი არდაგანის, ართვინის და ოლთისის ოლქებს მიიღებდა, იგი საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოების წინააღმდეგი არ იქნებოდა.

ვითარების გარკვევის შემდეგ, რუსეთმა აქტიური მოქმედება დაიწყო. ბოლშევიკთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ ი ო რ გ ი ჩ ი ჩ ე რ ი ნ ი (1872–1936) 1921 წლის 20 იანვარს ვ. ლენინს წერდა:

“საქართველო ისე გავიდა თავს, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ და გავასაბჭოოთ იგი. თქვენ იცით მოვლენათა თანმიმდევრობა: საქართველომ უარი თქვა მთლიანად შეესრულებინა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული შეთანხმება, რომელიც მის ნავსადგურში შესული ჩვენი გემების დაბრუნებას გულისხმობს. გარდა ამისა, დააპატიმრა ჩვენი თანამშრომლები, მასობრივ რეპრესიებს მიმართა კომუნისტთა წინააღმდეგ და უარი თქვა შეესრულებინა ამ საკითხებზე ჩვენთან დადებული შეთანხმება“. (95). რა თქმა უნდა, რუსეთის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელებმა, წერილის მიღებისთანავე დაიწყეს მოქმედება და ამავე წლის 26 იანვარს კავკასიის ბოლშევიკ ხელმძღვანელებს ი. სტალინმა გამოუგზავნა დეპეშა: „სტალინი – ორჯონიკიძეს. ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება, გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა აგრეთვე შეკითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე თუ რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველოდ დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირწმუნება, რომ თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტი ვართო. აუცილებლად ჩემს სახელზე გამოაგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი ძალთა არსებული რაოდენობით. მე და ილიჩი ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობებს“. (95). ცნობილია ისიც, რომ ლენინის მითითებით, ცენტრალურმა კომიტეტმა XI-ე წითელ არმიას, რომელიც აზერბაიჯანში, საქართველოს საზღვართან, იდგა, საქართველოს საზღვრის გადალახვა და თბილისის აღების ბრძანება გასცა. დაიგეგმა პროვოკაცია საქართველოს სამხრეთ მხარეში – **ლორეში**.

საქართველოს და სომხეთის საზღვარზე მდებარე ლორეში, რომელიც ამ დროს ნეიტრალურ მხარეს წარმოადგენდა საქართველოსა და სომხეთს შორის (საქართველოს ისტორიული მხარე **ტაშირი**. ეხლანდელი სომხეთის სტეფანავისა და კალინინის ოლქი. იხ. ზევით) შემუშავებული გეგმის თანახმად, ბოლშევიკებმა, 1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რუსულ სოფლებში, რუსმა და სომეხმა წითელარმიელებმა მოახდინეს აჯანყება. 15 თებერვალს ორჯონიკიძემ მთავრობას სთხოვა, რომ ნება მიეცათ XI-ე არმიის საქართველოში შეეყვანა. „რამდენიმე საათში მოსკოვიდან პასუხი მოვიდა: „სტალინი ორჯონიკიძეს: „ეხლა გადმოგცემ ცეკას დაშიფრულ პასუხს. მანამდე კი გთავაზობ: ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი“. (95). დეპეშის მიღებისთანავე, საბჭოთა XI-ე წითელმა არმიამ გადმოლახა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი და 16 თებერვალს აიღო შულავერი. ამავე დღესვე შულავერში ჩამოყალიბდა „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ (რევკომი), რომელმაც იმავე დღესვე აჯანყებულთა დახმარებისათვის თხოვნით_მიმართა_საბჭოთა_რუსეთს. „საბჭოთა რუსეთის აგრესია მაინც ვერ შეინიღბა, რადგან წითელმა არმიამ საქართველოს საზღვარი 15_თებერვალს გადმოლახა. ხოლო საქართველოს რევკომის თხოვნა 16 თებერვალს გაიგზა-

ვნა". (69). საბჭოთა ჯარს წინ მოუძღოდნენ ქართველი ბოლშევიკები: ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე და სხვები, და გამოემართნენ თბილისისაკენ. გარდა XI-ე წითელი არმიისა, საქართველოში, 1921 წლის 25 თებერვალს მოქმედებდა, აფხაზეთისა და მამისონის მხრიდან, შემოჭრილი მე-3, მე-9, მე-11 და მე-13 საბჭოთა არმიები სიმონ ბუდიონისა (1883–1973) (შემდეგში საბჭოთა კავშირის მარშალი) და დიმიტრი ჟლობას (1887–1038) 18-ე კავალერიის დივიზია. (68).

„თბილისს სამი მიმართულებით უტევდნენ:

1. მარცხენა საბრძოლო დაჯგუფება (20-ე და 32-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები, სომხური წითელი ცხენოსანი ბრიგადა, ბოლშევიკ მეამბოხეთა რაზმი) ლორეს ზონიდან მოქმედებდა;

2. ცენტრალური დაჯგუფება (მე-18 და მე-20 მსროლელი დივიზიის ნაწილები. მე-12 ცხენოსანი დივიზია. 55-ე ჯავშნოსანი რაზმი) უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით. 30 კმ-ის დაშორებით, მოძრაობდა მდ. ხრამზე წითელი ხიდის მიმართულებით;

3. მარჯვენა დაჯგუფება. (მე-9 მსროლელი დივიზია. ჯავშნოსანი მატარებლები და მე-2 სატანკო რაზმი) კიდევ უფრო აღმოსავლეთით, 35 კმ. დაშორებით მოქმედებდა, მდ. ალგეთზე ფოილოს სარკინიგზო ხიდის მიმართულებით". (70).

თბილისს იცავდა გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874–1970), რომელმაც „ქალაქის დასაცავად ფრონტის ხაზი სამ სექტორად დაყო:

1. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ორხევის მიდამოებში სახალხო გვარდიის ნაწილები განლაგდნენ გენერალ ჯიჯიხიას მეთაურობით;

2. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ტაბახმელამდე ე. წ. სოლანლულის ფრონტი შეიქმნა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით. მის განკარგულებაში 2 500 ხიშტი, 5 საარტილერიო ბატარეა, 1 ჯავშნოსანი მატარებელი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი იყო;

3. მონაკვეთს ტაბახმელიდან კოჯრამდე გენერალი ა. ანდრონიკაშვილი იცავდა.

აქვე განლაგდა ტფილისის სამხედრო სასწავლებლის რაზმი (160 იუნკერი და 350 კადეტი) პოლკოვნიკ ა. ჩხეიძის მეთაურობით". (70).

18–23 თებერვალს განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლები კოჯორსა და ტაბახმელის მიდამოებსა და სოლანლულის მიმართულებით. მტრის შემოტევა მოგერიებულ იქნა და ბოლშევიკებმა უკან დაიხიეს. ამ ბრძოლების დროს მრავალმა ქართველმა შესწირა თავი საქართველოს დამოუკიდებლობას. 23 თებერვალს, დღევანდელი პარლამენტის შენობის წინ, ტაბახმელას მიდამოებში დალუპული იუნკერები დაასაფლავეს.

გენერალი გ. მაზნიაშვილი ამ ბრძოლებს შემდეგნაირად აღწერს:

„19 თებერვალშივე გაიხსნა ახალი მებრძოლი რაიონი ტაბახმელიდან დაწყებული კიკეთამდე. მებრძოლ რაზმს შეადგენდნენ სამხედრო სკოლის იუნერები, უნტეროფიცრების სამოსწავლო ათასეული, მე-12 ქვეითი ლეგიონი და სამხედრო გვარდიის რამდენიმე ათასეული.....

ჩვენი გამარჯვების შემდეგ მტერმა მიანება თავი ამ მებრძოლ რაიონს და აღარ შეუწუხებივართ, სანამ ჩვენ **ასე სამარცხვინოდ არ მივატოვეთ ტფილისი.**

21 თებერვლიდან მტერი მთელი თავისი ძალებით ეძგერა გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილის რაიონს.

მიუხედავად იმისა, რომ გენ. ანდრონიკაშვილს მეტად ნაკლები ჯარები ჰყავდა, 21 და 22 თებერვალს არამც თუ მოიგერია მტრის რამდენჯერმე განმეორებული იერიშები, იუნკრებისა და უნტეროფიცრების საშვალებით, არამედ თვითონაც გადავიდა იერიშზე და გადარეკა მტერი დაბლობებში.... (35, გვ.167).

„24 თებერვალს დილიდანვე მოწინააღმდეგე მთავარი თავისი ძალებით მოაწვა გენ. ანდრონიკაშვილის რაიონს და ნაწილობრივ ჩემს რაიონსაც, ტაბახმელიდან მოყოლებული შავნაბადამდე.

მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის იერიშებს ვიგერიებდით, და დიდ ზარალს ვაყენებდით." (35, გვ.171).

„ფრონტის მდგომარეობა კი 24 თებერვალს ასეთი იყო: მოწინააღმდეგის იერიშები ყველა რაიონებში მოგერებულნი იქნენ და დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი დღის ბრძოლით დაქანცული მოწინააღმდეგე ღამის იერიშებს არ მოახდენდა, ხოლო დილით, რადგანაც მოწინააღმდეგე იდგა

მთის გაშლილ ფერდობზე და ხევებში, ჩვენი კარგად მოწყობილი პოზიციების პირდაპირ, იძულებული გახდებოდა ან იარაღი აეყარა, ან და თუ ვინიცობაა უკან დაიხევდა, მთლად გაწყდებოდა.

ლეგიონების უფროსებთან ტელეფონებით ლაპარაკის დროს ეს ჩემი აზრი თანდათან მტკიცდებოდა.

ღამის 11 საათზე და 23 წუთზე, მოულოდნელად მიმიხმეს პირდაპირ მავთულთან და გადმომცეს მთავარსარდლის ბრძანება, ტფილისიდან მცხეთაში უკან დახევის შესახებ.....

ამ ბრძანებამ ძალიან გამაკვირვა და გამაოცა. 12 საათამდე დარჩენილი იყო რამდენიმე წუთი, რამდენიმე წუთის შემდეგ გუდანაბადი უნდა აგვეკრა და გავქცეულიყავით ტბილისიდან.

ჯერ კიდევ 24 თებერვალს საინტენდანტო და საარტილერიო საწყობებმა მოზიდეს ჩემს რაიონში სანოვაგისა და ვაზნების უამრავი მარაგი და... უცბად უკან დახევა სატახტო ქალაქიდან! ეს საშინელება იყო.

რა მოხდა?

რაში იყო საქმე?

ყველაზე მეტად მე ერთი გარემოება მაოცებდა: **ტფილისის დაცლა ისეთი დიდი საკითხია, რომ მისი გადაწყვეტა ასე მოჩქარებით, ასე დაუფიქრებლად ვერაფრით ვერ ამეხსნა.**

იმ კრებაზე, რომელზედაც ეს გადამწყვეტი დადგენილება მიიღეს, **არამც თუ არ მიგვინვიეს ჩვენ, ფრონტის უფროსები, რომლებიც ფრონტს თვალით დავყურებდით, რომლებმაც კარგად ვიცოდით მოწინააღმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულიერი განწყობილება, არამედ არც კი შეგვეკითხენ, ჩვენი აზრის მოსმენა არც კი ინებეს.“** (35, გვ.172–175).

ზემოთ დასახელებული სამხედრო მოღვაწეებიდან, გიორგი კვინიტაძე – გარდაიცვალა 1970 წელს პარიზის მახლობლად; გიორგი მაზნიაშვილი – გასამართლების გარეშე 1937 წელს დახვრიტეს; არტურ ჯიჯიხია (1874–1938) – 1938 წელს სტალინის ბრძანებით დახვრიტეს; ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (1871–1923) – 1923 წლის 20 მაისს დღევანდელი ვაკის პარკში დახვრიტეს.

მიუხედავად ქართველი ჯარის წარმატებისა, ნოე ჟორდანიას მთავრობამ ბრძოლის გაგრძელება უიმედოდ ჩათვალა და 24 თებერვლის, ღამეს, თბილისიდან ჯარი გაიყვანა და შემდეგ, ბათუმიდან საზღვარგარეთ წავიდა. წინა დღეს-კი, თბილისის ქუჩებში დაახლებით 1600 ტყვე წითელი არმიელები ჩამოატარეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია საქართველოს მთავრობამ დატოვა ქვეყანა, მაგრამ უფლებამოსილება არ მოუხსნია. რასაც იმ დროს და შემდეგშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მთავრობა საზღვარგარეთ დამყრობლების წინააღმდეგ განაგრძობდა ბრძოლას.

ამრიგად, 1921 წ. 25 თებერვალს რუსეთის წითელი არმია თბილისში შემოვიდა და ს. ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“. ბოლშევიკებმა და წითელმა არმიამ თბილისში შემოსვლისთანავე მოსახლეობის ძარცვა და რეპრესიები დაიწყეს. რომელიც გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე. 1921 წლის 19 მარტს თითქმის მთელ საქართველოში ბოლშევიკების ხელისუფლება დამყარდა. ხოლო მანამდე კი, რუსეთსა და თურქეთს შორის, 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთს გადაეცა საქართველოს რიგი მიწა-წყალი: **ართაინი, არტანი** და კიდევ სხვა ადგილები. რუსეთმა აღიარა 1921 წლის 21 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ახალი ხელშეკრულებით და 1922 წელს მიღებული კონსტიტუციით. თუმცა ეს იყო ფორმალობა, რადგან „იურიდიული ფორმა არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ სინამდვილეს“. (68).

ასე დაკარგა საქართველომ დამოუკიდებლობა და დამყარდა საბჭოთა დიქტატურა. საქართველო გახდა საბჭოთა სოციალისტური რასპუბლიკების კავშირის, 15 რესპუბლიკებს შორის, ერთ-ერთი კოლონია. სადაც ითელებოდა ყოველგვარი ადამიანური უფლებები. ასე გაგრძელდა საბჭოთა რუსეთის ბატონობა საქართველოში თითქმის 70 წელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასაბჭოებისთანავე, ბოლშევიკებმა საქართველოს მიწა-წყალი დაანაწევრეს და ზოგიერთი ქართული მხარე მეზობელ რესპუბლიკებს „ძმურად“ უწყალობეს. ამავე დროს, ვ. ლენინის მითითებით (რა თქმა უნდა, საქართველოს კომუნისტურ პარტიას უნდა განეხ-

ორციელებინა მისი მითითებები), საქართველოს საბჭოთა მთავრობას, რესპუბლიკაში უნდა დაეარსებინა „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობა“. (9, ტ.VII, გვ.11), საქართველოს მთავრობამ მჭიდროდ დასახლებულ ეროვნულ ერთეულებისათვის, ეროვნული საკითხების მოგვარებისათვის, შექმნა: 1922 წლის 20 აპრილს ე. წ. **„სამხრეთ-ოსეთის“** და 1922 წლის 16 ივლისს **აჭარის** ავტონომიური რესპუბლიკები. (გაუგებარია, აჭარლები რა ქართველები არ იყვნენ?), ხოლო 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილებით აფხაზეთი შეიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკად. რომელიც 1921 წლის 16 დეკემბრიდან დაკავშირებული იყო საქართველოს სს რესპუბლიკასთან საკავშირო ხელშეკრულებით. ხოლო მანამდე, 1921 წლის 28 მარტიდან აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული, 21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ.

საბჭოთა მეცნიერებიდან ზოგიერთნი, ყოველ მხრივ ცდილობდნენ ავტონომიების შექმნის გამართლებას და ამას დიდ მიღწევად თვლიდნენ და (უსირცხვილოდ) წერდნენ, რომ ამით ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ქართველ ხალხს დიდი სიკეთე შესძინა. იმ დროს წერდნენ:

„საქართველოში მოსახლე ეროვნებათა სახელმწიფოებრივმა მოწყობამ ავტონომიის საწყისებზე ჭეშმარიტად გაამართლა თავისი დანიშნულება. მან ბრწყინვალედ გადაწყვიტა ამოცანები, რომელსაც მის წინაშე სახავდა კომუნისტური პარტია საქართველოში“. (9, ტ.VII, გვ.107).

1993 წელს აკაკი ბაქრაძე წერდა:

„20-იან წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იმიტომ შეიქმნა, რომ მაშინვე აფეთქებულიყო, როგორც კი საქართველო დამოუკიდებლობას მოინადინებდა. და აკი აფეთქდა კიდეც“. (20, გვ.179).

ავტონომიების შექმნამ სანამდისაც მიგვიყვანა დღევანდელ დღეს კარგად ვხედავთ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს იწერებოდა: „გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია სრულიად ახალ სოციალურ ჯგუფებად გარდაიქმნენ და ახალი, სოციალისტური გახდა ქართველი ერიც“. (9, ტ.VII, გვ.693).

გასაბჭოებამდე, მეფის რუსეთმა საქართველოს კუთხეები შეიერთა:

1783 წ. – ქართლ-კახეთის სამთავრო;

1810 წ. – იმერეთის სამეფო;

1810 წ. – სამეგრელო-ოდიშის სამთავრო;

1864 წელს აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა და ეწოდა სოხუმის სამხედრო განყოფილება;

1883-იდან – სოხუმის ოლქი;

1828–1829 წწ. – თურქების მიერ დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს (სამცხე-ჯავახეთის) მხარის მცირე ნაწილი გადაეცა რუსეთს;

1828 წლის ბოლოს – გურიის სამთავრო; ხოლო 1840 წ. – გურიის სამთავროს დროებითი მმართველობა გაუქმდა და ის ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბარნიაში შეიდა;

1830 წ. – ჭარ-ბელაქანი;

1857–1858 წწ. – სვანეთის სამთავრო;

გ. გასვიანი სვანეთის შესახებ წერს, რომ:

„დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთებისას იმპერიის მთავრობამ სვანეთის საკითხიც დასვა, რადგან მეფის მოხელენი სვანეთს მთელ დასავლეთ კავკასიის სტრატეგიულ პლაცდარმად მიიჩნევდნენ.

კავკასიის ადგილმდებარეობის და ვითარების გაცნობამ მეფის სამხედრო სარდლობა დაარწმუნა, რომ დასავლეთ კავკასიაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა არა სვანეთს, არამედ ადიღეს, ჩერქეზეთს, აფხაზეთს, სამეგრელოსა და გურიის-აჭარას. ამ კუთხეების ხელში ჩაგდებას უნდა გადაეწყვიტა შავ ზღვაზე, აგრეთვე სრუტეებზე გაბატონების პრობლემა.

ადიღე-ჩერქეზეთის, ყაბარდოს, აფხაზეთ-სამეგრელოსა და გურია-იმერეთის შეერთებით მეფის მთავრობა სვანეთის საკითხსაც ფაქტიურად ავტომატურად ჭრიდა, რადგან სამხედრო მნიშვნ-

ელობის გზაჯვარედინების მილმა დარჩენილი სვანეთი გარემოცული ეყოლებოდა. თავის დროზე სნორედ ეს განაპირობებდა თვითმპყრობელობის ერთგვარ ინდიფერენტულობას სვანეთის მიმართ". (33, გვ.36).

1878 წ. – ბერლინის ტრაქტატით აჭარის ნაწილი რუსეთს გადაეცა და ახლად შექმნილი ბათუმის ოლქის შემადგენლობაში შევიდა. 1883 წელს ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. 1903 წ. ისევ ბათუმის ოლქი გახდა.

ამრიგად, XVIII–XIX საუკუნეებში, რუსეთის იმპერიამ საქართველო მთლიანად დაიპყრო და კოლონიად გაიხადა.

რუსეთმა დაიპყრო რა საქართველო, რომელიც ადრე, ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ შეძლო მთლიანად მისი დაპყრობა, მაშინდელმა რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო „საქართველოს ყოველმხრივი ათვისება.

საკითხი მდგომარეობდა იმაში, რომ მხარე „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრათ რუსეთთან", ექციათ იგი მის განუყოფელ ნაწილად და აეძულებინათ მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო". უზენაესი ხელისუფლების მიზანი იყო საქართველო გადაექცია ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიკურად – მაქსიმალურად მომგებიანი. ამ პროგრამის განხორციელებას ცარიზმი ცდილობდა სხვადასხვა გზით, რომელთა შორის უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია წარმოადგენდა". (9, ტ.V, გვ.121). უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ვითარება სუფევდა საქართველოში გასაბჭოების შემდეგაც, ოღონდ შეფარვით: „საბჭოთა ხალხის ძმური ოჯახი".... „რუსი და ქართველი ხალხების ძმური კავშირი".... და ამდაგვარი სხვადასხვა სახის იდეოლოგიური მოწოდებებით, ხდებოდა საქართველოს გარუსება და მისი უფლებების ფეხქვეშ გათელვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლისთანავე დაიწყო რეპრესიები – დაჭერები, გადასახლებები და დახვრეტები. დაიწყეს ძირითადათ ქართული ინტელიგენციის წმენდა, თუმცა 1921 წელს, არც იმ მუშებს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ცხოვრების მიმართ, დაადგათ კარგი დღე, ზოგი დახვრიტეს, დანარჩენნი კი გადაასახლეს შუა აზიაში და ციმბირში. 1924 წელს მთელ საქართველოში მომხდარი აჯანყებები და გამოსვლები, სისხლში ჩაახშვეს. რეპრესიები შემდეგშიც არ შეწყვეტილა, გადაასახლეს და დახვრიტეს საზოგადო მოღვაწეები და ცნობილი რევოლუციონერებიც-კი. ასე გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე. ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა დიდი წვლილი გაიღო: 700 000-მდე საქართველოს წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ ომში, ესე იგი მთელი საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის მეხუთედი და აქედან თითქმის ნახევარი დაიღუპა, რომლის გამო საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა და ეკონომიკაც გაუარესდა, გაიძარცვა წიაღისეულიც და სოფლის მეურნეობაც დასუსტდა, ვინაიდან ომის მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობა და ცხოვრება გადასული იყო ომის ყაიდაზე, მიუხედავად ამისა, ომის დამთავრებისთანავე საქართველოში ისევ დაიწყო რეპრესიები. პირველ რიგში რეპრესიები შეეხო, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, იმათ, ვინც ომის მსვლელობისას ტყვეობაში აღმოჩნდნენ. სამშობლოს ღალატის ბრალდებით ისინი გადაასახლეს. ამათ გარდა გადაასახლეს პარტიზანებიც, რომლებიც მონაწილეობდნენ ე. წ. ფაშისტების ზურგში და მათ შორის ისინიც ვინც თავი გამოიჩინა გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ომის შემდეგაც, 1951 წელს გადაასახლეს ინტელიგენციის წარმომადგენლები, ვისაც ჰყავდათ, სხვადასხვა მიზეზის გამო, საზღვარგარეთ დარჩენილი ტყვეები და ნათესავები. მომდევნო წლებში დააპატიმრეს მრავალი უდანაშაულო პიროვნება, ეგრეთ წოდებული „მეგრელთა საქმე", რომელიც დღემდე არ არის გახსნილი. რომლებსაც ბრალად ედებოდათ ვითომცდა სამეგრელოს გამოყოფის მცდელობა და უცხოეთის დაზვერვასთან თანამშრომლობა. ეს საქმე შეწყდა საბჭოთა კავშირის ბელადის, ჩვენი „მამა და მარჩენალის", სტალინის სიკვდილის შემდეგ. თუმცა საქართველოს წინააღმდეგ გამოხდომები, კომუნისტური წყობილების დროს არასდროს არ შეწყვეტილა. ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის მეთაურს, (1953 წლის სექტემბრიდან სკკპ ცკ-ის პირველი მდივანი, ხოლო, 1958–1964 წლებში სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ნიკიტა ხრუშჩოვს

(1894–1971), 1956 წლის (5–9) მარტის მოვლენებთან დაკავშირებით, ქართველების გადასახლება უნდოდა. ხოლო შემდეგ წლებში, კომუნისტური პარტიული ხელმძღვანელები განაგრძობდნენ და ეხლანდელი რუსეთის მთავრობა დღესაც ცდილობს საქართველოში ეროვნებების ერთმანეთთან წაკიდებას, ქართველი ხალხის დამონებას და საქართველოს ხელახლა დაპყრობას. ჯ. კვიციანი აღნიშნავს:

„ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, მას შემდეგ რაც საქართველომ (ქართლ-კახეთმა) დამოუკიდებლობა დაკარგა, ამ ტარიტორიაზე მცხოვრები ხალხების ადაპტაცია და ინტეგრაცია ერთიან ქართულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში პრობლემურ ხასიათს ატარებს. ცარიზმის რუსეთი საქართველოში, რუსულ კულტურაზე დაყრდნობით, ახორციელებს თავის „ცივილიზაციურ მისიას". ადგილობრივი, ქართული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა, რომელიც ელოდა გარდაქმნებს (იხ. იოანე ბატონიშვილის „სჯულდება"), გაუქმდა. ქვეყანაში, კოლონიური რეჟიმის პირობებში, აგრარული ცივილიზაციიდან ინდუსტრიულზე გადასვლისას გაწყდა სოციოკულტურული მემკვიდროებითი ძაფი, რომელსაც ადაპტაციის საფუძველზე ახალი ინდუსტრიული ცივილიზაცია ადგილობრივ ნიადაგზე უნდა ჩამოეყალიბებინა". (18, გვ.3). საბჭოთა კავშირის შესახებ ჯ. კვიციანი აღნიშნავს:

„აღმოსავლეთში, სადაც ლიდერად საბჭოთა კავშირი მოიაზრებოდა, დეკლარირებულ იქნა, რომ ქვეყანაში სოციალიზმი აშენდა. აქვე აღინიშნებოდა, რომ მისი გადაზრდა კომუნიზმში მსოფლიოს მტრული ქვეყნების (იგულისხმება დასავლეთი) გარემოცვის პირობებში ჯერჯერობით შეუძლებელი ხდებოდა და შემდგომ გამაგრებასა და განვითარებას საჭიროებდა. ეს პროცესი, თავის მხრივ, უკავშირდებოდა არა იმდენად ადამიანის ინტელექტის, მისი მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ზრდას, არამედ ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას და დანარჩენ მსოფლიოში კაპიტალიზმის დამარცხებას". (19, გვ.5).

„საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სხვადასხვა რეგიონის ხალხთა თანაცხოვრება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით ხორციელდებოდა, რაც, თავისი არსით, კონკრეტული ეთნოსის ტრადიციების გათვალისწინებას, ფაქტობრივად, გამორიცხავდა....

აქსიომად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საბჭოთა ეპოქაში სოციალისტური მშენებლობა, როგორც მოდერნიზაციის გზა, ჩიხში იქნა მოქცეული. ეს 1980-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის ჟამს განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა: ადგილობრივ ხალხთა ეთნოკულტურული სპეციფიკის იგნორირებამ (რაც კავკასიაშიც მძაფრად შეინიშნებოდა) და „საბჭოთა ხალხის" ხელოვნურად ჩამოყალიბებისათვის განეულმა პრაქტიკამ ხალხებს შორის უნდობლობისა და კონფლიქტების გაჩენა გამოიწვია (იგულისხმება ტერიტორიებით მანიპულაციები, ხალხების კულტურულებად და „არაკულტურულებად" დაყოფა, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მონყობის სხვადასხვა სტატუსი და სხვ.)". (19, გვ.61–62).

გავიხსენოთ ცნობილი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს (1802–1885) სიტყვები:

„მთავრობები ზოგჯერ არიან ყაჩაღები, ხალხი კი არასოდეს".

დასკვნა

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საქართველოს საზღვრების შესახებ მიმოხილვიდან ჩანს, რომ საბოლოოდ, საქართველომ ბოლშევიკების შემწეობით დაკარგა შემდეგი ძირძველი ქართული მიწები:

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ჩრდილოეთის მხარის 44 გადასასვლელიდან 20-ს რუსეთი აკონტროლებს და მის ხელშია ყველა სტრატეგიული სიმაღლე. (იხ. დაკარგული მიწები).

სოჭი და მისი მიდამოები, **ტუაფსე, მამისონის ულელტეხილზე** საზღვარი 20 კმ-ით გადმოიწია, **დვალეთი**, სოფ. **ფიჭვები, ლარსის მიდამოები**, სოფ. **ნაძვები, დიკლოს მთაზე** 24 კვ. კმ-ით საზღვარი გადმოიწია, **ზაქათალის ოლქი (საინგილო), გარეჯის უდაბნოს** დიდი ნაწილი, **ყარაიაზის** და

ელდარის ველები, ბამბაკი, ლორე-ტაშირის მხარე, ლოკ-ლალვარის ქედის ჩრდილოეთის ფერდობი, არტაანი, ბასიანი, სპერი, ერუშეთი, კოლა, ტაო, არტაანი, შავშეთი, ლივანი, აბოცი, კლარჯეთი, აჭარის ნაწილი – ზედა მაჭახელა და ზედა მარადიდი, ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი: მაჭახელა, ბაჩხა და მაკრიალი.

ცნობილია, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დაიკარგა 18 179, 49 კვ. კმ. 294 232 სული მოსახლით.

ჩვენის აზრით, საქართველოსა და კავკასიელების რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ, ამ მიმოხილვის შემდეგ, დღევანდელ ჩვენს (საქართველოს) ყოფიერებას, შესანიშნავად ესადაგება, ჯერ კიდევ VI საუკუნეში, კოლხი პოლიტიკური მოღვაწის, ცნობილი ორატორის, აიეტის სიტყვები, რომელიც წარმოადგენს ქართული მჭერმეტყველების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს და ასახავს მაშინდელ კოლხეთის რთულ და მძიმე ვითარებას, რომლის დროსაც, კოლხეთს უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის უნდა მიმხრობოდა: დამპყრობელ, მოძალადე რომაელებს, რომლებმაც კოლხეთის მეფე გუბაზი მოკლეს, თუ სპარსელებს. დღევანდელ დღეს, რომაელების მაგიერად უნდა ვიგულისხმოთ – რუსეთი, ხოლო, სპარსეთის – ევროპა.

„რომაელები, რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ იმგვარივე საშუალებით დაგვეცვა თავი, მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ იმ დროს როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად....

იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი, რა თქმა უნდა, უფრო თავხედურად ეპყრობიან და, ჩვეულებრივ, ქედმაღლურად უყურებენ მოსამსახურეებს, მათაც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა....

მარტო ის კი არ არის, რომ მათ გაგვანადგურეს, თუმცა ჩვენ არც უსამართლობა ჩაგვიდენია და არც რაიმე მტრობა ყოფილა ჩვენს შორის, არამედ, რა ჩვეულებაც წინათ ჰქონდათ, იმასვე მისდევენ, თითქოს ერთბაშად შეეპყრას ისინი სიმხეცეს, სიგიჟეს, სიძულვილს და ყველა სხვა ამგვარ მოვლენას.... სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული.... მე ვინატრებდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკულმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია. ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირის მიმართ...

ამრიგად, ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ მტერზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ დაუსჯელად იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღებთ საჭირო ზომებს, რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება“. (47, გვ. 232-234).

ამრიგად, დღევანდელ დღეს, საქართველოს გადასარჩენად დარჩენილია ერთადერთი გზა – ცივილიზებული სამყარო – ევროპა, დემოკრატიის გამომხატველი აშშ და თავდაცვის მიზნით – ნატო (ჩრდილოეთ ანტლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია).

რაც შეეხება რუსეთს – სანამდე რუსეთის მესვეურები არ შეიგნებენ, რომ არსებობს რუსების გარდა სხვა ერის წარმომადგენლები, რომლებსაც სურთ თავისუფლება, მანამადე რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის ყოველთვის იქნება დაძაბულობა და შეხლა-შემოხლა.

* * * * * *

ისტორიკოსი გეორგ რიხტერი საქართველოს შესახებ აღნიშნავს:

„თუმცა ელადას დიდი ღვანლი მიუძღვის ევროპის კულტურის წინაშე, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთით არსებობს ერი, რომელსაც კიდევ უფრომეტი ღვანლი მიუძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე, და ეს ერია საქართველო!"

* * * * * *

ფრანგი მწერალი, პუბლიცისტი და მოგზაური მარკიზ ასტოლდ ლუი ლეონარ დე კიუსტინე (1790–1867), წიგნში „რუსეთი 1839 წ." რუსების შესახებ წერდა:

„მე ყოველთვის გაკვირვებული ვრჩები, რომ არსებობს ქვეყნიერებაზე იმდენად უდარდელი ხალხი, რომელსაც შეუძლია ასე მშვიდად იცხოვროს და დაასრულოს სიცოცხლე ისეთ სიბნელეში რომელშიც მათ მბრძანებლები ამყოფებდნენ მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ. აქამდე მე მიმაჩნდა, რომ ადამიანის სულს არ შეეძლო ჭეშმარიტების გარეშე ყოფნა, როგორც სხეულს არ შეუძლია არსებობა მზისა და ჰაერის გარეშე. რუსეთში მოგზაურობამ, გამომიყვანა ამ ცდომილებიდან. ჭეშმარიტება – არის მოთხოვნილება მხოლოდ ყველაზე უფრო გამორჩეულ სულების ან ყველაზე უფრო მონინავე ერების. მდაბიო ხალხი კმაყოფილდება სიცრუით, რომელიც აქეზებს მათ ვნებებსა და ჩვეულებებს. ამ ქვეყანაში სიცრუე ნიშნავს საზოგადოების დაცვას, სიმართლის თქმა კი ნიშნავს მოახდინოს სახელმწიფოს გადატრიალება". „ეს ის ხალხია, რომელიც მუხლებზე დაჩოქილი, ოცნებობს დიდ იმპერიაზე". „ყველა, ვინც ახლოს გაიცნობს მეფის რუსეთს, მოხარული იქნება იცხოვროს სხვა მხარეში, სადაც არ უნდა იყოს იგი. მუდამ სასარგებლოა იცოდე, რომ არსებობს ქვეყნად სახელმწიფო, სადაც შეუძლებელია ბედნიერება".

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ლორდ რობინსონი წერდა:

„რუსეთს დიდი ხნის განმავლობაში არაფერი ეშველება იმპერიული ცნობიერების გამო, რომელიც დღესაც კი წინა პლანზე აყენებს არა სულიერ სიმდიდრეს, მატერიალურ კეთილდღეობას, არამედ მაინცდამაინც სამხედრო ძლიერებას და მიწების მიერთების დაუცხრომელ მადას, თანაც იმდენი მიწისა, რისი მოვლაც არ შეუძლია".

გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი ოტო ბისმარკი (1815–1898):

„შეუძლებელია, ორმა ერმა ერთ სახელმწიფოში იცხოვროს, თუკი საამისოდ არავითარი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური ბაზისი არ არსებობს. მმართველები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის მთლიანობას მხოლოდ და მხოლოდ შიშველ ძალაზე დაყრდნობით ცდილობენ, მარცხდებიან. ეს ასე იყო, ასე არის და ასე იქნება ყოველთვის".

არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს ქართველების მთავარი დანაშაული თვით ქართველების წინაშე (რომელიც ჩვენდა საუბედუროდ დღევანდელ დღესაც გრძელდება), რასაც აღნიშნავდნენ როგორც ქართველი, ასევე რუსეთის და უცხოელი მოღვაწეები.

ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იოანე (ივანე) მუხრანბატონი (1755–1801) წერდა:

„საქართველოს დარბაისელნი... ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ... თუ ამათ ერთი პირი ჰქონოდათ, ვერც რას უზამდნენ, ვერც რას სხვა მტერი წაართმევდა".

ისტორიკოსი და მწერალი ლევან სანიკიძე აღნიშნავდა:

„გაუცხოებული ქართველი საქართველოსათვის ყოველ „სისხლიერ უცხოელზე" უარესი მტერი იყო". „ჭეშმარიტად ყველაზე „უკეთ და სრულქმნილად" ქართველების დამარცხება მხოლოდ ქართველებს ეხერხებათ". „ქართველი კაცის დამარცხება არავის ისე არ ემარჯვება, როგორც ქართველ კაცსო" – იყო მოარულ „შეგონებად" სპარსეთში დიდი შაჰ აბასის დროიდან".

1766 წელს რუსი დიპლომატი და მწერალი პეტრე ლევაშოვი (1719–1820) ქართველების შესახებ წერდა: „„ქართველები მთელს აზიაში უმამაცესი ხალხია და მათ საშინაო თანხმობა რომ ჰქონოდათ, მაშინ ვერავითარი საგარეო-მტრული ძალა უმცირეს ზიანსაც კი ვერ მიაყენებდა“.

გავიხსენოთ აკაკის სიტყვები:

„რაც ძალადობით ნაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება,
ტანჯვით და მოთმინებითა.“

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, თბილისი, (1951–1957).
2. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ოთხ ტომად, თბ., (1960–1967).
3. ი. ჯავახიშვილი, პ. ს. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.
4. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
5. ქართლის ცხოვრება, თბ., 2008.
6. ქართლის ცხოვრება, ოთხ ტომად, თბ., (1955–1973).
7. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაზე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ., 1958.
8. საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად, თბ., 2012.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, თბ., (1970–1987).
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თერთმეტ ტომად, თბ., (1978–1987).
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საგანგებო ტომი, თბ., 1981.
12. გ. მელიქიშვილი, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 1953.
13. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
14. ს. ფირცხალავა, ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40-6 ს.ს. ძ. წ., თბ., 1948.
15. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980.
16. ა. აფაქიძე, საქრთველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოცენათა შუქზე, თბ., 1956.
17. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ.II, თბ., 1954.
18. ჯ. კვიციანი, ეროვნული უმცირესობანი საქართველოში XX–XXI სს., თბ., 2011.
19. ჯ. კვიციანი, კავკასია და კავკასიელები, თბ., 2010.
20. ა. ბაქრაძე, აფხაზეთისათვის, თბ., 2002.
21. ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.
22. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
23. ა. სონლულაშვილი, აფხაზი თუ აფსუა?, თბ., 2007.
24. ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959.
25. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
26. ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, ოთხ ტომად, თბ., (1982–1986).
27. ლ. სანიკიძე, მესამე დასის საქართველო, ნაკვეთი, პირველი, თბ., 1989.
28. რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები. ხალხთა (ეთნოსთა) სახელ-წოდებანი – ეთნონიმები, თბ., 2005.
29. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური კულტურა, ეთნიკური ისტორია, თბ., 2007.
30. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.
31. თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.
32. მ. რეხვიაშვილი, დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, თბ., 1978.
33. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979.
34. მ. ცინცაძე, საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1988.
35. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1927.
36. გ. ჩანგაშვილი, საინგილო, თბ., 1970.
37. ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1947.
38. ლ. თოიძე, 25 თებერვლის შემდეგ, თბ., 1990.
39. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

40. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
41. ქ. ჩხატარაშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985.
42. მ. ზანდუკელი, თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1925.
43. ა. სურგულაძე, 1789 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1982.
44. შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
45. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917– 1952, თბ., 2001.
46. ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), თბ., 1968.
47. ნ. კანდელაკი, ქართული მჭერმეტყველება, თბ., 1968.
48. გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976.
49. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978.
50. ჰეროდოტე, ისტორია, ორ ტომად, თბ., 1975.
51. აპოლონოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975.
52. ჯ. სამუშია, ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან, თბ., 1985.
53. გ. გასვიანი, აფსუები საქართველოში, ალმანახი „ციცინათელა“, №98, 2008.
54. გ. გუგუშვილი, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, გაზეთი „ასავალი“, №19, 2004.
55. ე. ბაბულაშვილი, დაჩაგრული ერისა და ეკლესიის ქომაგი წმინდა მღვდელ-მონამე კირიონ II (საძაგლიშვილი), გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №9-12, 2005.
56. ე. ბაბულაშვილი, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) ღვაწლი საქართველოს ეკლესიის წინასე, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №20, 2003.
57. წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №18 (225), 2003.
58. ს. კილაძე, ვინ გადასცა სოჭის ოლქი რუსეთს, „კვირის პალიტრა“, №21-23, 2007. დ. მაისურაძე, იუდას მორალი, ანუ სომხური საქმე საქართველოში, „კვალი“, №1, 2006.
59. ლ. ოჩიაური, შენ დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნდი, პაპა! მსურდა, ქვეყნიერებისათვის მეცნობებინა იმ ხალხის ბრძოლის შესახებ, ვისაც თავისუფლება წაართვეს და ვისი კურთხეული მიწაც ადამიანთა სისხლით შებღალეს. იოსებ იმედაშვილი, „რეზონანსი“, №24, 29 იანვარი, თბ., 2008.
60. კირიონ II. ვიკიპედია.
61. საქართველო. ვიკიპედია.
62. ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. ვიკიპედია.
63. გიორგიევსკის ტრაქტატი. ვიკიპედია.
64. აზერბაიჯანის ისტორია. ვიკიპედია.
65. აზერბაიჯანელები საქართველოში. ვიკიპედია.
66. სომხები საქართველოში. ვიკიპედია.
67. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ვიკიპედია.
68. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ვიკიპედია.
69. ტფილისის ბრძოლა. ვიკიპედია.
70. ჭიათურა. ვიკიპედია.
71. კიევის რუსეთი. ვიკიპედია.
72. ქ. დიდებულიძე, როგორ მოხვდა ძუძუანის აღმოჩენა მსოფლიოს 10 უმნიშვნელოვანეს აღმოჩენათა შორის.
http://www.tbiliselebi.qe/?mas-id=1545q&year=2012& Jum-id=34&rubr-id=25
73. თ. ნოზაძე, უცხოელი არქეოლოგები კოტიას კლდეში.
http://www.ambioni.qe/ ucxoebi-arqeoliqebi-kotias-kldeci

74. ქ. ჭელიძე, უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისში.
http://www.ambioni. qe/uaxlesi-arqeoloqiuri-armocenebi-tbilissi
75. ჯ. გამახარია, აფხაზეთი: მოკლე ისტორიული ცნობა.
http://scara.qe/2010-03-17-12-47-30/2010-03-17-13-52-36/51-afkhazethis-mokle
76. ზ. პაპასკირი, მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე. წ. „მცდელობის" შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში. http://burusi.wordpress.com/2010/ 02/08/zwrab-papaskiri-2/
77. თ. გვანცელაძე, აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკზე გადაყვანის ისტორიიდან. http://www.amsi.qe/istoria/div/qvonc.html
78. ბ. ხორავა, ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესები აფხაზეთში XIX–XX საუკუნეებში.
http://7days.qe/index2.php?neusid=9618
79. თ. გოგოსაშვილი, ქართულ-აფახაზური ურთიერთობის ისტორიული ასპექტები.
http://docs.qule.com/viewer?a=v&q=cacheiHBJGK32oshMJ:WWW.qruni.edu.qe/ down
80. ს. ვარდოსანიძე, კირიონ II სრულიად საქართველოს პატრიარქი.
http://www.qeorqja.web.com/history/qeo/kirion.html
81. გ. ბენაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921).
http://qeorqi benashvili. wordpress,com/2009/11/06/demokraticrepublicofqeorqia/
82. ნ. მიქიაშვილი, ეკლესიის წინააღმდეგ მენშევიკურ-ბოლშევიკური ბრძოლის მოუძველებული მეთოდები. http://new.internet.qe/?p=37450
83. ნ. ხაჩიძე, როგორ ამოიღეს ბოლშევიკებმა საფლავებიდან მერვე საუკუნის წმინდანების ნეშტები და რა განაჩენი გამოუტანა 12 საუკუნის მიცვალებულებს სასამართლომ.
http://www.tbiliselebi.qe/?mas-id=978&rubr-id=1&jum-id=43
85. ს. რატიანი, პოლიტიკური თეოლოგია: მართლმადიდებელი ეკლესია და საბჭოთა კავშირი.
http://azrebi.qe/index.php?m=734&newsid=36
86. უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბიოგრაფია. http://www.orthodoxy.qe/patriarqi/patriarqi-bio.htm
87. დ. ცინცაძე, ისტორიული ფოტოსურათი.
http://www.open.qeindex.php?m=12&y=2008&att=1150
88. ფ. დოჩია, ინტერვიუ შოთა გოგოხიასთან.
http://www.deotimes.de/index.php.upljads/sapriso=reso.swf?m=howe&newsid-185
89. თ. ქარჩავა, აპლიას წერილი საქართველოს პატრიარქს.
http://resonsncedaily.com/index.php/index.php?id-rub-1&id-artc=549
90. ვ. კობახიძე, საპატრიარქოსა და მედიის დემაგოგია აფხაზეთთან დაკავშირებით.
http://qandaba.livejournal.com/197746.html
91. ზ. რატიანი, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო.
http://amsi.qe/istoria/div/WyaroTal.html
92. პ. ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. კონსტანტინოპოლი, 4-6 ივლისი, 1918 წელი. http://www.amsi.qe/istora/pi/sazhvrebi.html
93. ხ. პაიჭაძე, საქართველო-რუსეთის საზღვარზე 44 გადასასვლელიდან 20-ს რუსეთი აკონტროლებს.
http://www.ambebi.qe/polirika/16125-sakarthvelo-rusetis-sazghvar-ze-44-gadasasvlelidan-20-s-rusethi-akontrolebs.html?add=1
94. ეკა ლომიძე, დავითგარეჯა – ორი ქვეყნის თავის ტკივილი.
http://forum.rustavi2.com/index.php?sowtopic=6044&mode=fhreaded&pid=701949
95. ლ. ბერულავა, როგორ მზადდებოდა 25 თებერვალი.
http://www.presa.qe/nev/?m=politikes&AID=3357
96. კ. მეტრეველი, ჯავახეთი. http://www.dzeglebi.qe/statisbi/istoria/javaxeti.html

97. რუსეთის ძველი გეგმის ახალი განხორციელება აფხაზეთში.
http://kavkasia.qe/index.php?action=more&id=45&lang=geo
98. აფხაზები საქართველოში.
http://qeoqen.qe/index.php?id-menu-up=4&lanq=&id-menu=23&abc=0
99. მამათმთავარნი საქართველოს ეკლესიისა. http://www.tveni.qe/?qveri=1&svla=pater
100. ეფრემ II სიდამონიძე. http://5nata5.livejournal.com/40653.html?thread=1195981
101. სისხლიანი იანვარი.
http://www.azqenconsulate.qe/qe/newsevents/bulletin/20130130034149661.html
102. ექსკლუზივი „ინტერპრესნიუსიდა". ექსპერტები აფხაზეთის სომხურ დიასპორასა და აფხაზებს შორის შეიარაღებულ დპირისპირებას არ გამორიცხავენ.
http://fotum.qe/?f=29&showtopic=33631900&st=15
103. Н. Ломоури, Грузино-Римские отношения, часть I, Тбилиси, 1951.
104. Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлисс, 1910.
105. Г. Штриккер, Русская Православная Церков в советское время (1917-1991), М., 1995.
106. Большая советская энциклопедия, в 65 томах, (1929-1931).
107. Наместник Кавказа великий кн. Михаил о небходимости упразднения Абхазского княжества и заселения его казаками.
http://nukri.orq/index. php?nave=News&sid=887
108. Фредерик Дюбуа де Монперэ.
http://abkazeti.info/history/20050616085258844 216.php
109. Эдмунд Спенсер, О мегрелии и населениа древней Абхазии.
http://abkazeti. info/history/2005068196286004.php
110. История Азербайджана. Википедия.
111. Иранская операция. Википедия.
112. Этнические меньшинства в Армении. Википедия.

სარჩევი

შესავალი 3

თავი პირველი. საქართველო უძველესი დროიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე. (მოკლე მიმოხილვა). 5

§I. არქეოლოგიური ხანები და არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში. 5

XX–XXI სს-ში საქართველოში არქეოლოგიური აღმოჩენები. 11

§II. ქართველური ტომები, სამეფოები და სამთავროები. 19

1. ძველი კოლხეთი. 28
2. ლაზიკის სამეფო 41
3. კოლხეთის სამეფო (დემოგრაფიული მდგომარეობა). 57
4. აფხაზები და აფხაზეთის სამეფო. 60
5. გაერთიანებული საქართველო. 84
6. აფხაზეთის სამთავრო. 111
   - 6.1. აფხაზეთი და რუსეთი 123
   - 6.2. საბჭოთა აფხაზეთი და შემდეგი დრო. 130
   - 6.3. ქართველების (აფხაზების) სარწმუნეობა და რუსეთი. 136
7. ოსები (ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“). 164

თავი მეორე. დაკარგული მიწები. (საქართველოს საზღვრები). 165

§1. ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი. 168

1. ნიკოფსი, ტუაფსე. სოჭი. 169

§2. ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი. 174

§3. აღმოსავლეთის საზღვარი. 177

1. აზერბაიჯანი. 178
   - 1.1. ალვანეთი (კავკასიის ალბანეთი). 182
   - 1.2. ჰერეთი. 190
   - 1.3. საინგილო. 199
   - 1.4. ყაზახის მხარე. 213
   - 1.5. აზერბაიჯანელები საქართველოში. 216
   - 1.6. ქართველები აზერბაიჯანში. 217

§4. სამხრეთის საზღვარი. 219
1. სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი. 220
1.1. სომხეთი. 220
1.1.2. სომხები საქართველოში. 224
1.1.3. სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები. 226
1.2. ბამბაკი. 230
1.3. ლორე 230
1.4. ტაშირი, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო. 240
2. სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი. 246
2.1. მესხეთი. 246
2.2. აბოცი. 248
2.3. პალაკაციო. 249
2.4. ჯავახეთი. 250
2.5. ბასიანი 262
2.6. არტაანი. 266
2.7. კოლა. 270
2.8. ტაო. 272
2.9. მაკრონები. 280
2.10. აჭარლები. 281
2.11. ჭანეთი. 287
2.12. სპერი. 293
თავი მესამე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. (მოკლე მიმოხილვა). 296
დასკვნა 309
გამოყენებული ლიტერატურა. 313